

K 196 677
3



გურამ შარებე

საქართველოს
მხედრული
სოციალური
აღზრდის
კუნძულები

გურიაშ შარიპე



საქართველოს
ქადაგის
სახალხო
აღზრდის
კუნძულზე

(მარტინ ივანიშვილი დაბიურის)



გამოცემლობა „საგვოთა სამართვოლო“
თბილისი — 1986

0081(0922:4) + 8C1091:82/899



71(2P)
0081(47.922)
3254

I) აფხაზეთი - იგრისის ლიტერატურის უნივერსიტეტი
აფხაზეთი - იგრისის კულტურის უნივერსიტეტი

წიგნში შესულია ფერორის მიერ ლონდონისა და ოქსფორდის სიცე-
ლეთა უაკებები 1984 წელს მეორე სამეცნიერო მივლინების დროს გა-
მოცემის შემთხვევაში კულტურის მისაღები (ვიორგი მეორემეტისეული
სამეცნიერო კარტული, უცნობი ქართული ფოლკლორული ჩანაწერები, ცნო-
ბები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა, სულხან-საბა თრბელიანის „ქართუ-
ლი ლექსიკონის“ იშვიათი ნუსხის, იგრეთვე, ილა ჭავჭავაძის, ბერი შე-
რეთლის, გრიგოლ თრბელიანის, ილექსანდრე ყაზბეგის, ივანე ჭავჭავაძის
გარებისა და სხვათა თხზულებების უცნობი ინგლისური თარგმანების გარ-
შემო, მოგონებები ილა ჭავჭავაძეზე, დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვი-
ლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და სხვ.).

წიგნი დამმარებას გაუწევს ქართული კულტურის ისტორიისა და ინ-
გლისიტ-ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთბათა საკა-
თხებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და მეთხეველთა ფართო საზო-
გადოებას.

3) ფარვი კულტურის ინტერესი

რეცენზიერება: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ს. სამიშვილი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
ნ. უგილაგა-ანდრონიქაშვილი

K 196 677
3

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რეს. მ.
ბიბლიოთეკა

სპეც-2000
მემორანული

© კამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986

4401000000—337
III—246—86
M 601 (08)—86

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„საქართველოს მზე და სიყვარული სწრაფად განგ-
ძურნავთ...“ — ასეთ ჩანაწერს ვპოულობთ უორდროპთა
არქივში ოქსფორდს, ბოდლის ბიბლიოთეკაში რომ არის
დაცული!

მართლაც, საქართველოს მზემ და სიყვარულმა ბევ-
რი რამ შეაძლებინეს ინგლისელ და-ძმას, ინგლისური
ქართველოლოგის ფუძემდებლებს — მარჯორი და ოლი-
ვერ უორდროპებს, რის შესახებაც ჩვენს მკითხველს საკ-
მაოდ დაწვრილებით ვესაუბრე გაზეთ „ქომუნისტის“
ფურცლებზე 1981 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამო-
ქვეყნებულ წერილების სერიაში „ბედნიერებისა და სათ-
ნოების საუნჯე“, ხოლო ამავე სათაურით 1984 წელს
„საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ წიგნში
მთლიანად დავბეჭდე ინგლისიდან 1981 წელს პირვე-
ლად სამეცნიერო მივლინების დროს ჩამოტანილი მასა-
ლები.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უშუალო დახმარე-
ბითა და მხარდაჭერით წამოწყებული სამუშაოს გასაგრ-
ძელებლად საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ურთიერთშე-
თანხმების საფუძველზე, ბრიტანეთის აკადემიის პრეზი-
დენტის ოუენ ჩადვიკის მიწვევით 1984 წლის აპრილ-
ში კელავ გავემგზავრე ინგლისში.

ამჯერად ჩემი მივლინების მთავარ მიზანს შეადგენდა
მენახა და მეცნიერულად აღმეშერა ნინო უორდროპთან
დაცული გიორგი მეთორმეტისეული ქართული სამეცნ
გულსაკიდი — ოქროს ჯვარი, გამეგრძელებინა მუშაობა
ლონდონის სახელგანთქმულ სოზბის აუქციონზე გაყი-



დული ქველი ქართული ხელნაწერების კვალის მიმღებელი ბად, შემესწავლა, გადმომელო და საქართველოში ჩამომეტანა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდრობისეულ ფონდში დაცული ხელნაწერული და იკონოგრაფიული მასალების, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალ იკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფოტო, მიკრო და ქსერონასლები, დამეცოლიებინა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ელიზაბეტ ჰილი და გადამელო მის ქრებო კოლექციაში დაცული 1839 წელს იტალიაში მხატვარ საბორეტის მიერ ნატურიდან შესრულებული ნ. გოგოლის უცნობი ფერწერული პორტრეტი, გავცნობოდი თანამედროვე ინგლისელ ქართველოლოგთა მუშაობას, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობის თხოვნით შემეგროვებინა მასალა ტელეფილმისათვის „უორდროპთა ნაკვალევზე...“

როგორც ადრე ვწერდი, ინგლისში 1981 წელს სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, მე არაფერი ვიცოდი უორდროპ-თა ოჯახში გიორგი მეთორმეტის გულსაყიდი სამეფო ოქროს ჯვრის არსებობის შესახებ და არც სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ამის შესახებ რაიმე ცნობილი.

მართალია, პროფ. დ. ლანგი და ივანე მაჩაბლის ასული — ელენე მაჩაბელი თავიანთ წერილებში (იხ. დ. ლანგი, ლედი უორდროპი, უურნ. „ბედი ქართლისა — რევიუ დე კარტველოლოები“, ტ. XI—XII, № 36—37, პარიზი, 1961, გვ. 92—93, ინგლ. ენაზე; ელ. მაჩაბელი-ჩერქეზიშვილი, მცირე მოგონება, უურნ. „დროშა“, 1965, № 12, გვ. 10) მოგვითხრობდნენ ნინო უორდროპისათვის ქართველების მიერ საჩუქრად გაგზავნილ რაღაც „ძვირფას სამკაულზე“, მაგრამ სახელდობრ რა იყო, რას წარმოადგენდა ეს „ძვირფასი თვლებით მოჭედილი საუცხოო ოქროს სამკაული“ ჩვენთვის უცნობი იყო.

1981 წლის შემოდგომაზე ოლივერ უორდროპის უმცროს ვაჟთან — ანდრო უორდროპთან ლონდონის მახლობლად კენტის საგრაფოს დაბა სევენოუქსში სტუმრობისას არც მას უთქვამს ჩემთვის ამის შესახებ არაფერი. მართალია, მან დიდი თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით მიმიღო, დამათვალიერებინა უორდროპთა საგვარეულო სასაფლაო სევენოუქსში, საღაც სხვებთან ერთად მარჯორი და ოლივერ უორდროპებიც განისვენებენ, მეზობელ დაბა ოტფორდში (ამჟამად იგი აქ ცხოვრობს საკუთარ სახლში) მიჩვენა კერძო კოლექცია, მათ შორის ქართული ნივთებიც, მაგრამ გიორგი მეთორმეტის ჯვარი იქ არ მინახავს. თუმცა, ანდრო უორდროპმა კი მიამბო მისი გაუთხოვარი დის — ნინო უორდროპის შესახებ, რომელიც პროფესიით ფსიქიატრია და მარტო ცხოვრობს პატარა ქალაქ ჰენლიში (ლონდონსა და ოქსფორდს შუა), მაგრამ მას თუ რაიმე ძველი ქართული ოქროჭედურობის ძეგლი ჰქონდა სახლში საკუთრად, იმაზე საერთოდ არაფერი



უთქვაშს ჩემთვის, პირადად კი ნინო უორდროპის **შეკვეთულის**
ცერ მოვახერხე.

თბილისში რომ დაგბრუნდი, ჩვენს სიძველეთსაცავებში
დაცული საარქივო დოკუმენტების გამოვლინებამ საშუალება
მომცა დამეზუსტებინა ეს საკითხი.

გამოირკვა, რომ 1919 წლის მიწურულს თბილისში შექმნილი „ქართველ ქალთა უორდროპის ქალის ნინოს საჩუქრის მისართმევი მომწყობი კომისია“ (თავმჯდომარე — ელ. ორბელიანი, მდივანი — ბარ. ყიფიანი, ხაზინალარი — თ. გელოვანი, წევრები — თარხნიშვილი, ღამბაშიძე, თ. ყანჩელი, გოლოვანი), რომელსაც ქართველ სახოვადოებაში შეუგროვებია ზაშინდელი კურსით 130 ათასი მანეთი და ვიღაც კერძო პირისგან (სახელდობრ ვისგან, ეს არ ჩანს!) შეუძენია „ძველებური ქართული ძვირფასი გიორგი მეთორმეტეს ოქროს ჯვარი“ და 1920 წლის 14 იანვარს, ნინობას, საჩუქრად მიურთმევის ოლივერ უორდროპის მაშინ მცირეწლოვანი (1916 წელს დაბადებული) ასულის — ნინო უორდროპისათვის!

ამ ცნობის ნამდვილობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, რადგან მისი ავტორია ცნობილი ქართველი მთარგმნელი და პოეტი ქალი ელისაბედ ორბელიანი, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის პირდაპირი შთამომავალი იყო ერეკლე II-ის მხრიდან და კარგად უწყოდა, თუ ვის ეპუთენოდა თავის დროს ეს ჯვარი, ამასთან, სწორედ ის თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც საჩუქრად მიართვა ქართველი ერის ისტორიული რელიქვია უცხოელ ქალს, თუმცა ასეთი „ხელგაშლილობისათვის“, ვიმეორებ, ქართველ ქალთა კომისიას არც მორილური და არც იურიდიული უფლება არ ჰქონდა!

მაშასადამე, თბილისში გამოვლენილი დოკუმენტებიდან ყველა ნიშნით ჩანდა, რომ ინგლისში, ქ. ჰენლიში, სადაც დღეს ცხოვრობს ნინო ოლივერის ასული უორდროპი, დაცული უნდა ყოფილიყო მეფე გიორგი მეთორმეტის ნაქონი ძვირფასი ოქროს ჯვარი, რომელიც უეჭველად ძველი ქართული ხელოვნების იშვიათი ნიმუში იქნებოდა.

იმიტომ ვისარგებლე თბილისში 1982 წლის ზამთარში სამეცნიერო მივლინებით ახალგაზრდა ინგლისელი ქართველოლოვანის სტივენ ჯოუნსის ყოფნით, რომლის მეუღლეა ქართველი ქალი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურს-



დამთავრებული მარინე მახარობლიშვილი, გაეკაცანი ასეული მენტები და ვთხოვე ინგლისში დაბრუნებისას ანდრო და ნინო უორდროპების მეშვეობით დაედგინა გიორგი მეთორმეტი-სეული ოქროს ჯვრის ბედი.

და აი, ინგლისიდან იმავე წლის ზაფხულში მივიღე სტივენ ჯოუნსის ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი, რომელშიც მწერდა: „ანდრო უორდროპს ვკითხე გიორგი XII-ის ჯვრის შესახებ. მან მიპასუხა, რომ მის დას — ნინოს მართლაც აქვს ეს ჯვარი... ვფიქრობ, რომ ქართველთაოვის დიდ ფასეულობას წარმოადგენს“...

სტივენ ჯოუნსის ეს ბარათი „კომუნისტში“ გამოვაჭვეყნე 1982 წლის 1 აგვისტოს და თან წერილობით ვთხოვე ინგლისელ ქართველობოց როგორმე გამოეგზავნა ჩემთვის ამ ჯვრის ფოტოსურათი.

მალე სტივენ ჯოუნსის მეუღლემ მარინე მახარობლიშვილმა ლორდონიდან ჩამომიტანა აღნიშნული ჯვრის ორი ფოტოსურათი, რომელიც შავთეთრით ბრიტანეთის მუზეუმის ფოტოლაბორატორიაში იყო გადაღებული. მფლობელს — ნინო უორდროპს ჯვარი. პენლიდან საგანგებოდ ჩაუტანია ლონდონში და გადაუღებინებია ბრიტანეთის მუზეუმის ფოტოსპეციალისტისათვის.

რამდენადაც შესაძლებელი იყო შავ-თეთრით გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით მსჯელობა, შევეცადე მკითხველი-სათვის მიმეწოდებინა ძველი ქართული ხელოვნების ამ შესანიშნავი ნიმუშის გარეგნული აღწერილობა, რომელიც დავბეჭდე გაზეთ „კომუნისტში“ 1983 წლის 29 მაისს, ხოლო დამატების სახით შევიტანე 1984 წელს გამოცემულ ჩემს წიგნი „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (იხ. გვ. 472—477, გვ. გვ. 239—241).

აღნიშნულმა ცნობამ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. პირადად ამხანავ ედუარდ შევარდნაძის 1983 წლის 26 სექტემბრის წერილობითი განკარგულებით, „უნდა მივიღოთ ჩვენზე დამოკიდებული ყველა ზომა, რათა განძი და-გაბრუნოთ სამშობლოში“.

* * *

...და აი, 1984 წლის 8 აპრილს უკვე ლონდონში ვიყავი.

ჩასვლის დღესვე, საღამოს, ლონდონიდან ოტფორდში და-
ცურექე ანდრო უორდრობს. მან ზედიზედ ორი უსიამოვნო
ამბავი მაცნობა: სწორედ დღეს დილით დავიწვინე ჭოსპიტალ-
ში მძიმე ავადმყოფი მეუღლე, ხოლო ჩემი და ნინო სააღდგო-
მო არდადეგებზე შოტლანდიაში, ედინბურგში იმყოფებათ.
მაგრამ ყველაზე დიდი უსიამოვნება მაინც თურმე წინ მე-
ლოდა — ქართული ჯვრის შესახებ რომ ცეითხე, მითხრა
ბრიტანეთის მუზეუმში ნინოს მიერ ფოტოსურათის გადასა-
ღებად მიტანილ ჯვარი ბრიტანეთის მუზეუმის მთავარი მცვე-
ლის მოადგილემ და შუა საუკუნეების სიძველეთა განკუთი-
ლების გამგემ მისტერ ჰიუ თეითმა „შესასწავლად“ თავისთან
დაიტოვათ!

ავად მენიშნა ბატონ თეითის დაინტერესება ქართული სა-
მეცნ ჯვრით, მაგრამ იმედი მაინც არ გადავიწვიტე და ოქს-
ფორდში დავრჩე სტივენ ჯოუნსთან; ყურმილი მასპინძელმა
იღო და პირველი, რაც მითხრა, ის იყო, რომ ნინო უორდრო-
ბისაგან წერილი მივიღეო. ვთხოვე წერებითხა იგი. აი, ნინო
უორდრობის წერილიც:

„ძვირფასო ბატონო სტივენი

მიდღობა მინდა მოგაბენოთ თქვენი ბარათისათვის, რომე-
ლიც პროფესორ შარაძის თხოვნით მომწერეთ...

მე შარშან გადავეცი ჩემი ქართული ჯვარი საჩუქრად
ბრიტანეთის მუზეუმს. მე ყოველთვის უდიდესი ზადლიერების
გრძნობა მეონდა ქართველი ქალებისადმი, რომლებმაც ფას-
დაუდებელი საჩუქარი მომართვეს წმ. ნინოს დღეს — 14 იან-
ვარს. ეს ჯვარი იყო ჩემთვის სიმბოლო ქართველი ხალხის
მიერ მათაქემის მოღვაწეობის დაფიასებისა, რომელმაც შესა-
ლებელი გახდა ქართველთა გამორჩეული ცივილიზაცია და
ძულტურა გაეცნ ინგლისელი საზოგადოებისათვის.

მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს ჯვარი არ უნდა ყო-
ფილიყო მხოლოდ საოჯახო რელიგიია, იგი ირის უნიკალური
საგანძურა, რომლის ნახვა და შეფასება ყველას უნდა შესძ-
ლებოდა. სწორედ ამის გამო გადავწვიტე გადამეცა ქართუ-
ლი ჯვარი ბრიტანეთის მუზეუმისათვის საჩუქრად, სადაც იგი
ზევრ მნახველს აღაფრთვანებს.

ჯვრის შესახებ ეს ვიცი მხოლოდ, რომ იგი ეკუთხნილი ქართლის სამეფო ოჯახს მე-17 საუკუნეში. თუკი ბატონ შარაძეს გამოქვეყნებული აქვს რაიმე მასალა ჯვრის ისტორიის შესახებ, ძალიან გთხოვთ მაცნობოთ.

პატივისცემით

ნინო უორდროპის „

ნინო უორდროპის ამ წერილმა საბოლოოდ დამარტიმუნა, რომ ბატონ თეითს თავისი მიზნისათვის თურმე ჩემს ჩასვლამდე მიეღწია: შვიდ ათეულ წელს მიახლოებული ხანდაზმული მანდილოსანი — მფლობელი ქართული სამეფო ჯვრისა, უკვე დაეყოლიებინა „უნიკალური საგანძური საჩუქრად გადაეცა ბრიტანეთის მუზეუმისათვის, სადაც იგი ბევრ მნახველს აღაფროვანებს“.

რა გაეწყობოდა, ახლა მთავარი იყო როგორმე მენახა და აღმერწერა ქართველთა ისტორიული რელიევია, რომელმაც უორდროპთა ოჯახიდან ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში გადაინაცვლა, თუმცა ამაზეც სტივენ ჯოუნსმა გამაფრთხილა, ბატონმა თეითმა ჯვრის ნახვის უფლება არ მომცა და მისმა ასეთმა დამკაიდებულებამ გულნატკენი დაგვტოვა მეც და ჩემი მეუღლეც, მაგრამ რას ვიზამთ?! — ჯვრის პატრონები ახლა ისინი არიან!

მივხვდი, რომ ბრიტანეთის მუზეუმის მცველი ჯვართან მისასვლელ უველა გზას კეტავდა იმის შიშით, ვაითუ, ქართველებმა მისი უკან დაბრუნება მოგვთხოვონ, მით უმეტეს, რომ ამგვარი შიშის საფუძველი მას რეალურად ჰქონდა:

საქმე ისაა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონში არაოთიციციალურად ჩავიდა საბერძნეთის კულტურის მინისტრი, ახლო წარსულში ჰოლივუდის ცნობილი კინოვარსკვლავი და ესტრადის მსახიობი ქალი მელინა მერქური და მოულოდნელად ეწვია ბრიტანეთის მუზეუმს. აქ მან მთავრობის სახელით ბრიტანეთის მუზეუმს მოსთხოვა საბერძნეთიდან გატაცებული ეროვნული სიმღიდრის დაბრუნება. ამას გარდა, ქალბატონმა მერქურიმ საერთოდ მოითხოვა ბრიტანეთის მუზეუმიდან მსოფლიოს ხალხებისათვის მათი კუთვნილი ეროვნული ძეგლების დაბრუნება (მას მხარი აუბა ეგვიპტემაც!).

ბრიტანეთის მუზეუმის მესვეურნი ქ-ნ მერქურის შემორივას ჯერჯერობით იმ საბაზით იგერიებენ, რომ ეს ძეგლები

თქმენს ქვეყანაში თღუპებოდა, ჩვენ გადავარჩინეთ და შევმ-
ნახეთ დღემდეო.

— ამისათვის დიდი მადლობა და ახლა მათ ჩვენ მოვუც-
ლითო — პასუხობს თურმე საბერძნეთის კულტურის მინისტ-
რი!

ქ-ნ მერქურის მოულოდნელმა ვიზიტმა ბრიტანეთის მუ-
ზეუმში დიდი ძეიოტაჟი გამოიწვია და სკანდალის ხასიათი
მიიღო, მან პრესაშიც გადაინაცვლა და მისი ექი დღემდე არ
მინელებულა.

ასე რომ, ბატონ თეითის სიფრთხილე ჩემთვის ერთგვარად
გასაგები იყო, მაგრამ მიუღებელი!

ამასთან, ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ნინო
უორდროპის ზემოთ მოყვანილი წერილის ერთმა ადგილმა. სა-
დაც იგი წერს: „ჯერის შესახებ მე ეს ვიცი მხოლოდ, რომ
იგი ეკუთვნოდა ქართლის სამეფო ოჯახს მე-17 საუკუნეში“.

ამ ცნობას ჩემთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა პქონ-
და, ვინაიდან იგი, ყველა ნიშნით, ნინო უორდროპმა უნდა
იცოდეს მამამისისგან, გამოჩენილი ინგლისელი ქართველო-
ლოვის — ოლივერ უორდროპისგან (გარდ. 1948 წ.), რომელ-
მაც 1920 წელს საქართველოდან ჩაუტანა თავის ქალიშვილს
ქართველი ქალებისაგან ნაჩუქარი სამეფო ჯვარი, ხოლო თვი-
თონ ოლივერს, ალბათ, პირადად აუხსნეს ჯერის წარმომავლო-
ბის ამბავი მჩუქებლებმა — ელისაბედ ორბელიანმა და სხვებმა.

ახლა კი უკვე გაიბა ძაფი საქართველოში ჯერის გაჩუქებას-
თან დაკავშირებით ჩემ მიერ გამოვლენილ დოკუმენტებსა და
ნინო უორდროპის მიერ მოწოდებულ ცნობას შორის, რომე-
ლიც უკველად ოლივერ უორდროპისაგან მომდინარეობს: როგორც
დანამდვილებით ჩანს, ქართველ ქალთა კომისია თა-
ვის დოკუმენტში „ძველებური ქართული ძვირფასი ვიორგი
მეთორმეტეს ოქროს ჯვარს“ რომ წერდა, აქ გულისხმობდა
არა საქართველოს (ქართლ-კახეთის) უკანასკნელ მეფეს გიორ-
გი მეთორმეტეს, ერეკლე II-ის ძეს (მეფობდა 1798—
1800 წწ.), არამედ ქართლის მეფეს — ვიორგი მეთერთმეტეს,
ვახტანგ V-ის ძეს, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე ორჯერ
(1676—88, 1703—09 წწ.) ივიდა და მეორედ (1703 წ.) გა-
მეფების შემდეგ ვიორგი მეთორმეტედ იწოდებოდა, ხოლო
თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ქართლ-კახეთის, გაერთია-



ნებულ სამეფო ტახტზე ასულ ერეკლე II-ის ძეს გიორგი მეტორმეტეს შეარქვეს გიორგი მეცამეტე. მაგრამ ოდგან სინამდვილეში ბაგრატიონთა დინასტიის ქართლ-კახეთის სამეფო შტოდან საქართველოს ისტორიაში ფიზიკურად თორმეტმა (და არა ცამეტმა) გიორგიმ იმეფა, როგორც ამის შესახებ ჯერ კიდევ აყალიბიკოსი მარი ბროსე წერდა, ამიტომ თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში გიორგი მეცამეტეს უძვე გიორგი მეტორმეტედ მოიხსენიებენ. მაგრამ ამდენ სისუსტეს ჯვრის საჩუქრად მიმრთმევი ქართველი ქალები არ დაგიღევდნენ და მე-17 ს-ის ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე დოკუმენტებში გიორგი მეტორმეტედ მოიხსენიეს, ოღონდ ოლივერ უორდროპს კი უთხრეს, თუ ამ გიორგი მეთორმეტეში რომელი გიორგი იღულისხმებოდა: არა მე-18 ს-ის მიწურულის ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი მეცამეტე (სინამდვილეში — გიორგი მეთორმეტე!), არამედ მე-17 საუკუნის ქართლის მეფე გიორგი მეთორმეტე (სინამდვილეში — გიორგი მეთერთმეტე!). ეს ამბავი კი მამას — ოლივერ უორდროპს, როგორც ჩანს, უამბნია თავისი ქალიშვილისათვის — ნინო უორდროპისათვის, რომელმაც მიუკერძოებლად გადმოგვცა მამის მიერ მოწოდებული ცნობა, რამაც ჩვენი ჯვრის დათარიღება ერთბაშად ერთი საუკუნით უძან გადასწია: გამოიჩინა, რომ იგი ყოფილი მე-17 ს-ის ქართლის მეფის, ირანელთა ბატონობის მოსპობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, გიორგი XI-ის საქუთრება. მაშიადამე, მისი თარიღიც მე-17 საუკუნეს გერ გადმოსცილდება.

ესვე ბუნებრივად ჩნდება კითხვა — ნუთუ ეს ის ჯვარია, რომელიც, ვახუშტის ცნობით, 1709 წლის 21 აპრილს, ყანდარში ლალატით მოკლულ გიორგი XI-ს (იგივე გიორგი XII-ს) შელიდან იჰყარა მირვეისმა და გამოუგზავნა შაპ-ჰუსეინს შემდეგი სიტყვებით: „ესრეთ გაცდუნებდა მეფე!“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 484).

საქმე ისაა, რომ ქართლის მეფე გიორგი XI, რომელიც საარაკო გმირობისათვის შაპ-ჰუსეინმა 1704 წელს სპარსეთის ჯარების მთავარსარდლად და ყანდარის მხარის ბეგლარბეგად (გამგებლად) დანიშნა, შაპის მოსაჩვენებლად გახდა მუსლიმანი, თორემ სინამდვილეში იგი ნამდვილ ქრისტიანად ჩემებოდა და ჯვარ-ხატსა და ფსალმუნს თურმე მალულად



შუდამ თან ატარებდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი შეფერსა-
თვის მიჩენილი მოღალატე სპარსელი მსახური მურადზე შრა-
ვეისთან მეფეს ახეზდებდა — გიორგი ქრისტიანია და ბევრჯერ
მინახავს ფარული რომ ლოცულობსო (შდრ. ი. ტაბაღუა, მა-
სალები XVIII საუკუნის ბირველი მეოთხედის საქართველოს
ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 39; ის. აგრეთვე, ი. გაწერე-
ლია, მასალა ვასტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის, რჩ. ნაწერები,
ტ. I, თბ., 1962, გვ. 474, 504).

კიდევ უფრო მეტი დანანებით შევუდექი მეორე დღისა-
თვის ბრიტანეთის მუზეუმში ბატონ თეითთან შეხვედრისა
და ქართული სამეფო ჯვრის ნახვისათვის გზადებას.

* * *

ორშაბათს, ზ აპრილს, დილით ბრიტანეთის ეკადემიაში
ოფიციალური მიღება მელოდა. ეკადემიის მთავარმა სწავ-
ლულმა მდივანმა პიტერ ბრაუნმა მოიკითხა ქართველი შეც-
ნიერები, მათ შორის, ბრიტანეთის ეკადემიის უცხოელი წევრი
ეკადემიკოსი თამაზ გიმურელიძე და თავის მხრივ მუშაობაში
ყოველგვარი დახმარება და ხელის შეწყობა იდმითქვა.

წამოვედი ბრიტანეთის მუზეუმში, რომლის თაღებიან
დარბაზში მოთავსებულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკა, სადაც
1981 წელს აც გმუშაობდი და ძველი საწევრო ბილეთი თან
შეონდა. მის საფუძველზე ახალი საწევრო ბილეთი გამიფორ-
ჩის (ახლა უკვე 1987 წლიმდე მუშაობის უფლებით).

მალე ბატონ თეითის მისაღებში გიყავი. აქ მისმა ბირადმა
მდივანმა (შუა ხნის მამაკაცმა) დაწევრილებით გამომქითხა ვა-
ნაობა და მისვლის მიზანი, დიდი თავაზიანობით შემპირდა
ყველაფერს ბატონ თეითს მოვახსენებო და გაუჩინარდა. საკ-
მაო ხნის ლოდინის შემდეგ იგი კვლავ მობრძანდა და გაღ-
მოვცა: ბატონი თეითი დიდ ბოდიშს გიხდოთ, დღეს ძლიერ
დაკავებულია და ვერ მიგიღებთ, იქნებ ხეალ მობრძანდეთო

მეორე დღეს, სამშაბათს, 10 აპრილს ბატონმა თეითმა
კვლავ დიდი მობოდიშებით უარი მითხრა მიღებას და ჯვრის
ჩვენებაზე. შევატყვე, მართლდებოდა სტივენ ჯოუნსის სიტყ-
ვები, ბატონი თეითი გაუჩონდა ჩემთან შეხვედრის. მაშინ
მდივანს მტკიცედ მოვთხოვე გაეგო, ბატონი თეითი საერთოდ
აპირებდა თუ არა ჩემს მიღებას და თუ აპირებდა, ზუსტად და-



ეთქვა შეხვედრის დღე. უარის შემთხვევაში, ვიფიქტურა ტანეთის აკადემიას დავიხმარ-მეთქი, მაგრამ ბატონში — მეტად მა შემოთვალა — ორშაბათს, 16 აპრილს უსათუოდ შევხვდებიო!

ორშაბათამდე მთელი ხუთი დღე მრჩებოდა თავისუფალი, ამიტომ გადავწყვიტე ამ დღეებში ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოტეკის უორდროპთა ფონდში მემუშავა, რადგან დევიდ ბარეტმა ჩემი ლონდონში ყოფნა რომ შეიტყო, შემომითვალა, თუ ოქსფორდში ჩამოსვლას აპირებთ, უსათუოდ ამ კვირაში ჩამოდით, თორემ იმ კვირის შუა რიცხვებში საალდგომო არ-დადეგებზე ბოდლის ბიბლიოთეკა დაიყეტებაო!

ამიტომ ოთხშაბათს, 11 აპრილს, იძრე დილით მატრებლით ლონდონიდან ოქსფორდს გავემგზავრე უორდროპთა ფონდში სამუშაოდ (ამის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი) იმ ვარაუდით, რომ კვირა საღამოს ლონდონში დავბრუნდებოდი და ორშაბათს, 16 აპრილს, დილით ბრიტანეთის მუზეუმში ბატონ თეითთან დათქმულ შეხვედრაზე გამოვცხად-დებოდი.

კვირას, დილით, ოქსფორდში ლონდონიდან ჩამომაკითხა ინგლისში საბჭოთა რაღიოს კორესპონდენტმა იური კობალაძემ (საერთოდ მსურს მაღლობის გრძნობით აღვნიშნო, რომ თითქმის მთელი მივლინების განმავლობაში იური კობალაძე გვირდიდან არ მომცილებია და დიდად მიწყობდა ხელს მუშაობაში, რათა შედარებით მოკლე დროში მომესწრო დასახული პროგრამის შესრულება, თანაც რამდენიმე დღე საალდგომო არდადეგებმაც წამართვა!). შუაღლისას უკვე ლონდონში დავბრუნდით და დღის მეორე ნახევარი უქმად რომ არ დამკარგოდა, ლონდონთან ახლოს მდებარე უორდროპთა საგვარეულო მამულში — სევენოუქსში გავემგზავრეთ. აქ ძვლავ მოვინახულე უორდროპთა საგვარეულო საძვალე და ცოცხალი ყვავილებით შევამკე იგი, ხოლო უკან, ლონდონისაკენ მომავალმა გზად ოტფორდში, ანდრო უორდროპთან წინასწარ გაუფრთხილებლად შევიარე, რადგან ვიცოდი, რომ ცოლი ავად ჰყავდა და მომერიდა საგანგებოდ შეწუხება. ანდრო უორდროპის სახლ-კარი დაკეტილი დამხვდა, მხოლოდ ოთახში მარტოდ გამომწყვდეული და ფანჯარას მომდგარი მათი საყვარელი ძალი წკმუტუნებდა საბრალოდ...



კარის მეზობელმა მამაკაცმა გამოიხედა და მიუნიტურული წერტილი შესახურის მეუღლე პყავს მძიმე ავად, ჰოსპიტალში უწესებული მუჭათონ თავზე ადგისო! გულისხმიერ მეზობელს მაღლობა მოვახ-სენე ყურადღებისათვის და ვთხოვე, თუ ძალიან არ შეწუხ-დებით, ბატონ ანდროსა და ქალბატონ ნინოსათვის გადასაცე-მად ჩემ წიგნს დაგიტოვებო, რომელშიც მათი მამისა და მამი-დის — ოლივერ და მარჯორი უორდროპების შესახებ არის სა-უბარი-მეთქი. მეზობელმა ჯერ გულდასმით ჩაიყითხა ჩემი წიგნისათვის დართული ინგლისური რეზიუმე, მერე მასში ჩართული ფოტოილუსტრაციებიც დაათვალიერა და შემპირდა, სიამოვნებით შეგისრულებო დანაბარებსო.

გვიან სალამოს ლონდონში დავბრუნდი.

ორშაბათს, 16 აპრილს, დათქმულ დროზე — დილის 9 სა-ათას და 30 წუთზე კვლავ ბრიტანეთის მუზეუმში ვიყავი, მაგ-რამ ბატონი თეითი ამჯერადაც „ძლიერ დაკავებული“ აღმოჩნ-და და ჩევნი შეხვედრა ისევ არ შედგა ჩემი მივლინების ვადა უკვე იწურებოდა, ხოლო ჯვარი ჯერ ნანახიც არ მქონდა მა-შინ კი გადავწყვიტე, ბრიტანეთის აკადემიის შეწუხება და დახმარების თხოვნა. აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი პ. ბრაუნი სასწავლოდ დაუკავშირდა ბრიტანეთის მუზეუმის ხელმძღვანელობას, აუქსენა, რომ მე ვიყავი ბრიტანეთის აკადე-მიის პრეზიდენტის ოფიციალური სტუმარი და ჩემი მივლი-ნების ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეადგენდა ქართული სამეცნ ჯვრის ნახვა და მისი მეცნიერული შესწავლა. მალე პ. ბრაუნმა მაცნობა, რომ ბატონ თეითთან თქვენი შეხვედრა ოთხშაბათს, 18 აპრილს, დილის 10 საათზე უსათუოდ შედგება და რაიმე გაუგებრობა თითქმის გამორიცხულია.

სამშაბათს, 17 აპრილს, სასტუმროში ოტფორდიდან გამოგ-ზავნილი ანდრო უორდროპის ბარათი დამხვდა:

„16. 4. 84 — ოტფორდი.

ძეირფასო პროფესორო შარაძე!

ძლიერ დამწყდა გულს, გუშინ სახლში რომ არ დაგწვდით, როცა თქვენ მობრძანებულხართ. როგორც გაიგებდით, ჩემი მეუღლე მძიმე ავად არის და მთელი ნაშუადლევი მასთან გა-ვატარე ჰოსპიტალში. რომ მცოდნოდა ნამდვილად მესტუმრე-ბოდით, მერწმუნეთ, შევეცდებოდი ორივესთვის ხელსაყრელი დრო ისე შემერჩია, სახლში რომ ვყოფილიყავი.

თქვენგან დიდად დავალებული ვართ, რომ ჩემი დღისთვის
და ჩემთვის გადმოსაცემად წიგნები დაგიტოვებია თუ მართვული
გულით გიხდით მადლობას ასეთი სიკეთისა და წიგნების გა-
კეთებული გულთბილი წარწერებისათვის. ქართულის არცოდ-
ნის მიუხედავად, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვე-
ნი წიგნი ღირსეულად დაფასდება ჩვენი მხრიდან და ყველაზე
გამორჩეულ ადგილს დაიჭერს ჩვენ ბიბლიოთეკაში ჩვენთვის
გასაგებ ენებზე დაწერილი წიგნების გვერდით. გისურვებთ
ბელნიერ მგზავრობას და მშვიდობით დაბრუნებას თქვენ
მშვენიერ სამშობლოში. გთხოვთ მიიღოთ, გეთაყვა, ჩემი სა-
უკეთესო სურვილები.

გულწრფელად თქვენი

ან დრო უორდროპი”.

სეთი ყურადღების გამოჩენისათვის მადლობის გადასახდე-
ლად ოტფორტში დავრეკე ანდრო უორდროპთან. ჟაუბრის
დასასრულს ანდრომ მთხოვა, იქნებ მოახერხოთ და გამგზავ-
რებამდე ძვლავ ჩამობრძანდეთო ჩემთან—შაბათს, 21 აპრილს,
11 საათზე უსათუოდ დაგინვდებითო. მართალია, კვი-
რას, 22 აპრილს, დილით უკვე სამშობლოში ვპრუნდებოდა
და მანამდე ბევრი რამ კიდევ მოსასწრები მქონდა, მაგრამ შე-
მოთავაზებულ წინადაღებაზე უარი ვერ ვუთხარი თტფორტ
დელ მასპინძელს და შაბათს შეხვედრაზე შევთანხმდით.

მალე მომივიდა ბრიტანეთის აკადემიის პრეზიდენტის
ოუენ ჩადვიკის სამადლობელი ბარათიც:

„ჩემო ძვირფასო პროფესორო გურამ შარაძე!

მივიღე თქვენი წიგნი, სიამოვნებით გავეცანი მას. თქვენი
მხრივ, ეს ფრიად გულუხვი საჩუქარია ჩემთვის. ქართული
კულტურის ისტორიით დაინტერესებული ვარ მას შემდეგ,
რაც მყავდა ერთი სტუდენტი (კემბრიჯის) უნივერსიტეტში მე-
ორე მსოფლიო ომის წინ. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მო-
გახსენებთ.

დავრჩები გულწრფელად თქვენი

ოუენ ჩადვიკი”.

დადგა 18 აპრილიც! იური კობალაძეს წინასწარ შევუ-
თანხმდი და ჯვრის ფერადი ფოტოსურათების გადასაღებად
საუკეთესო ხარისხის ფოტოაპარატურა და ფირები მოვამზა-

დეთ: დილის 10 საათზე ბრიტანეთის მუზეუმში უნდა შევჩვენოთ ბატონ თეითს!

ათის ნახევარზე მე და იური კობალაძე ფოტოაღმდეგის გადასაცემად ბით უკვე ბრიტანეთის მუზეუმთან ვიდექით. ამ დროს მუზეუმი ჯერ კიდევ დაკეტილია (ათ საათზე იღება), მაგრამ კარის მცველმა გვითხრა, ბატონშა თეითმა გამაფრთხილა, როგორც კი მობრძანდებოდით, დაუბრკოლებლად გამეტარებინეთ მის კაბინეტამდე.

მაღლობა ღმერთს, შეხვედრა უკვე ნამდვილად შედგება!

მცველმა თეითის კაბინეტამდე მიგვაცილა. კარი ღაი იყო, ოლონდ მასპინძელი შიგ არ აღმოჩნდა. შეწუხებულმა მცველმა მხრები აიჩეჩა, საათს დავხედეთ — ხუთი წუთი კიდევ ჟლდა ასა!

ზუსტად 10 საათზე მობრძანდა ბატონი თეითი!

შესახედავად ძლიერ სიმპათიური, მაღალი, გამხდარი, შუა ხანს მიტანებული, ასე ორმოცდაათი წლის თუ ცოტა მეტის ბატონი თეითი მეტისმეტი თავაზიანობით და სულერთიანად გაღიმებული შემომეგება, მაგრამ შევატყვე შინაგანად ისიც ღელავდა, ჩემ მღელვარებაზე ხომ აღარაფერს ვამბობ, მაგრამ მეც ვცდილობ ზის დაფარვას, თან იური კობალაძეც მამხნევებს თვალებით. ბატონშა თეითმა საერძლებთან მიგვიწვია. კაბინეტს თვალი მოვავლე: არც მაგიდაზე იღო არაფერი და არც ბატონ თეითს ეჭირა ხელში რაიმე. მაშასადამე, ჯვარი კვლავ შორს დეგს!

თითქმის ერთი საათი მელაპარაკა ბატონი თეითი ჯერის გარშემო. აშკარად ვგრძნობდი, ჩემგან მას ჯერ ჯერის მნიშვნელობისა და ისტორიული ღირებულების გაგება უფრო ინტერესებს, ვიდრე შეხვედრა და ჯერის ჩემნება, უფრო ზუსტად, ჩემთან შეხვედრა მას, ბირველ რიგში, მისთვის სასარგებლოდ სურს წარმართოს: კერძოდ, ზუსტად დაადგინოს წარმომავლობის ისტორია, ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა იგი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის, საიდან ვიცოდი მისი გიორგი მეფისთვის კუთვნილება, რა ისტორიული ღოკუმენტი მქონდა ხელთ და იმსახურებდა თუ არა იგი ნდობას, დაბოლოს, იყო თუ არა ჯვარი ნამდვილად ქართველი ოსტატის ნახელავი და რითი შემეძლო ამის დამტკიცება, ვიცნობდი თუ არა ძეელი ქართული ოქრომჭედლობის ისტორიაში მის ანალოგიებს და

თუ ასეთი მოიპოვება, რომელია იგი სახელდობრ; თან ისე შემომაპარა, რომ მას არ სჯერა ჯვრის ქართულობა, ისე ეეჭვება ყელსაბამი და ჯვარი ერთდროულად ერთი ასტაკოსა მიერ იყოს დამზადებული, განსაკუთრებით აფიქრებს ფერწერული მინანქრის გამორჩეულად მაღალი დონე და ნატიფი ხელოვნება, რომლის მსგავსი მე ჯერ არ შემხვედრია.

ამდენი შეკითხვა ზედიზედ რომ დამაყარა, მოთმინებით გუსმენდი და ვუცდიდი როდის დაამთავრებდა. ბოლოს ვუთხარი, თქვენს შეკითხვებზე მეტად თუ ნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხის გასაცემად ჯერ ჯვარი უნდა ვნახო, მე ხომ მას მხოლოდ შავ-თეთრი ფოტოთი ვიცნობ-მეთქი. ბატონი იყითი მიხვდა, რომ ჯვრის ჩვენებას იგი უკვე ვიღარ გაექცეოდა, შავრამ მანამდე მას ჩვენთვის თურმე კიდევ ერთი საგამოცდო კითხვა ჰქონდა შემონახული: რატომ გაინტერესებთ მაინცდამაინც თქვენ ეს ჯვარი და საიდან გაიგეთ მისი, არსებობათ?

მაშინ იძულებული გავხდი ამომელო ჩემი წიგნი, რომელზეც გადმოხევდილი მაქვს განეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია ამ ჯვრის თაობაზე და მის შესახებ საქართველოს სიძველეთსაცავებში გამოვლენილი ისტორიული დოკუმენტები. ბატონი თეთო გულწრფელად პირველად ახლა დაინტერესდა საუბრის გაგრძელებით და თქვა, თქვენი წიგნის ამ ადგილს უსათუოდ ვათარგმნინებ ინგლისურად პროფ. დ. ლანგს ან სტივენ ჯოუნსს, რადგან ჯერჯერობით ეს არის ჩვენთვის ერთადერთი პირველწყარო ამ ჯვრის ისტორიაზეო.

პირველი ყინული გატყდა!

დაწვრილებით რომ გაიგო ჩემგან ჯვრის ინგლისში უორდრობთა ოჯახში მოხვედრის ისტორია, ბატონმა თეთომა აღიარა, რომ იგი ძლიერ გამომაღვება, რადგან ამ ძეგლის შესახებ პუბლიკაციას ვამზადებო...

და მხოლოდ ამის შემდეგ გამოილო გვერდით მდგარი სეიფიდან დიდი ხნის ნანატრი ქართული სამეფო ჯვარი, ოღონდ, წინასწარ გამაფრთხილა, არავითარი ფოტოგადაღება და ზომების ასაღებად მისი ხელის ხლებაც კი არ შეიძლებაო!

მაშინ ვუჩერენ ბრიტანეთის იყადემიის პრეზიდენტის თუენ ჩიდვიერის მიწვევების ბარათი, რომელშიც იგი აღმითქვამდა ყოველგვარ დახმარებას დიდ ბრიტანეთში სამუშაოდ ჩასესლის

2. გ. შარაძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
შინაგანი რესუბი

ლროს. ბატონშა თეითმა სწრაფად ჩაიკითხა პრეზიდენტის წე-
რილი, სევე სასწრაფოდ წაიღო ქსეროსლის გადამდგრადადა
მხოლოდ ამის შემდეგ შემპირდა ჯვრის ფერადი ფოტოსურა-
თების როგორც მთლიანის, ისე დეტალების გადაღებას, აგ-
რეთვე, მასშტაბში ანაზომების გაკეთებას, რასაც უსათუოდ
გამოგიგზავნით, ოღონდ ცოტა მოვიანებით, გნებავთ, თქვენი
საელჩოს ფოსტით, გნებავთ, ჩვენ თვითონო. ხოლო, თუ სა-
ტელევიზიო ფილმისათვის სიუჟეტი გინდათ გადაიღოთ, სა-
ჭიროა თქვენმა ტელევიზიაშ თვითი მოცულურად სთხოვოს სა-
კავშირო ტელევიზიას, ამ უკანისკნელმა კი თავის ლონდონელ
კორესპონდენტს, რომელსაც მხოლოდ ამ გზით მივცემთ გა-
დაღების ნებართვასო!

საუბარი უძვე იერუ. ბატონ თეითს ვთხოვე ჯვრის მეც-
ნიერული აღწერილობა მინდა გავაკეთო-მეთქი. კი, ბატონო,
ოღონდ ხელი არ ახლოთო — კვლავ გამაფრთხილა ბატონმა
თეითმა და ოთხეუთხედ თხელ ყუთს თავი ახადა: ჩვენ თვალ-
წინ თეთრი აბრეშუმის ქსოვილზე დასვენებული აქროს ყელ-
საბამიანი ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ქართული სამეცო
ჯვარი აკიაფდა!

შევუდექი ჯვრის აღწერას:

ბაგაღლო აქროს ჯვარი, რომელიც სანაწილე ჯვარს უნდა
წარმოადგენდეს (ხელის ხლებისა და გახსნის უფლება არ
მომცეს!), შუაგულში შემკულია 5 დიდი ალმასით, განაპირა
მხარეები კი 5 დიდი ლალის თვლით, ხოლო კუთხეები ფირუ-
ზისფერი მინანქრის ზოლით არის შემოვლებული. ჯვრის გა-
რე კუთხეები 6 მსხვილი მარგალიტით, ხოლო თავი 2 შედა-
რებით წვრილი მარგალიტით არის დამშენებული.

ჯვარი ყელსაბამთან აქროს ფრინველის (შეიძლება მტრე-
დი იგულისხმებოდეს) გამოსახულებით არის დაკავშირებუ-
ლი, რომელსაც ნისკარტით ჯვარი უჭირავს, კიდურებით კა-
ყელსაბამზეა ჩამოკიდული. ფრინველის თავის ქალა ზურმუხ-
ტის ქვიდან არის გამოქანდაკებული, ხოლო ზურგი ლალიშ
მსხვილი თვლითა ძევს დაფარული.

ყელსაბამი შეიცავს 26 ოქროს ვარდულ ექვსფურცლოვან
თვალბუდეს. თითოეული ბუდის შუაგულში თითო მსხვილ
ლალის თვალია ჩასმული, მაშასადამე, სულ 26 მსხვილი ლა-
ლის თვალი, რომელთაც გარშემო ექვს-ექვსი ფურცლი



ბუდე ამოესებული აქვთ მწვანე ფერწერული მინანქანის განვითარებისა და მიმღების მიზანით). ყელსაბამის შემადგენელი ოქროს ბუდეები ერთმანეთისაგან გაყოფილია ოქროს მუხლებით, რომელთა თავებზე ორივე მხარეს 2 წვრილი მარგალიტია დამაგრებული, სულ 52 მარგალიტი, ხოლო ყელსაბამი იკვრება ოქროსვე ყუნწებით.

როგორც ვთქვით, ჯვარი, ყელსაბამის ვარდულები და ფრინველის ფიგურა ბაჯალლო ოქროსია, რომლებიც რამდენიმე ათეული ძვირფასი პატიოსანი თვლით (ალმასი, ლალი, ზურმუხტი, მარგალიტი), აგრეთვე, ფირუზისფერი და მწვანე ფერწერული მინანქრით არის შემკული. რაიმე წარწერა ან დამდა ჯვარზე არ დასტურდება.

ჯვრის უკანა მხარე ფერწერული მინანქრით (ფინიფტით) არის დაფარული: შუაში ამოზრდილი ტოტი მწვანე მინანქრით არის შესრულებული, რომლის ერთი ნაწილი დაზიანებულია, ხოლო ტოტის სამი თავი მთავრდება ვარდისფერ-თეთრი ფერწერული მინანქრის ყვავილებით, რომლებიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ბატონმა თეიოთმა ამასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ დიდი ხანია მინანქარზე ემუშაობ, მაგრამ ამისთანა ლამაზი მინანქარი არ მინახავსო. ნუთუ საქართველოში ასეთ მაღალ დონეზე იდგა მინანქრის ხელოვნებათ.

ამის პისუხად ბატონ თეიოთს მოვახსენე, რომ თქვენ პირველ რიგში უნდა გაეცნოთ ქართულ ტიხრულ მინანქარს-მეოქი და დავუსახელე შ. ამირანაშვილისა და ლ. ხუსკივაძის მონოგრაფიები, საიდანაც დარწმუნდებით, რა დონეზე იდგა ქართული ტიხრული სამინანქრო ხელოვნება, ხოლო რაც შეეხბა ქართულ ფერწერულ მინანქარს, რომელიც გაცილებით გვიანდელი მოვლენაა, მათ ნიმუშებს ნახავთ თ. სანიკიძისა და გ. პბრამიშვილის „VII—XIX ს. ქართული ოქრომჭედლობის კატალოგში“, რომელიც 1979 წელს შენევაშია გამოცემული. სხვათა შორის, ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული გიორგი მეფის სეული ჯვარი სტილისტურად და ფერწერული მინანქრის შესრულების ტექნიკით, განსაკუთრებით კი ყელსაბამის ჯვართან ფრინველის ფიგურით დაკავშირების მოტივითა და მწვანე მინანქრის გამოყენებით ძლიერ ენათესავება ამ კატალოგში 68-ე და 71-ე ნომრებად დაბეჭდილ ჯერებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ხელოვ-

ნების მუზეუმის საგანძურში არის დაცული (საინვ. № 9530 უწყვეტესებული
და № 10004) და მე-17 ს-ით თარიღდება. თეთრ-კაფალისფერი
მინანქრით კი ჩვენი ჯვარი ახლოსაა აგრეთვე ამავე საგანძურ-
ში დაცული კათალიკოსის კვერთხის თავის მოხატულობასთან,
რომელიც ამავე პერიოდისაა. ესეც კიდევ ერთი საბუთია იმი-
სა, რომ ინგლისში აღმოჩენილი ქართული სამეფო ჯვარი გი-
ორგი მეთერთმეტის (იგივე გიორგი მეთორმეტის) საკუთრებად
ვცნოთ და იგი მე-17 ს-ით დავათარიღოთ.

ბატონმა თეითმა გულშრფელად მთხოვა ქართველ მეცნი-
ერთა ამ შრომების შოვნა და მიწოდება, რასაც შევპირდი.

— ოღონდ ჯვარი სხვა დროს და სხვა ოსტატის მიერ დამ-
ზადებული მგონია, ყელსაბამი კი სხვა დროსო, — გამომცდე-
ლად გამიზიარა თავისი ეჭვი ბატონმა თეითმა.

ამ დაეჭვებას მე არ დავეთანხმე, რადგან ორივე ნაწილის
ოქრომჭედლობა ერთი სტილისაა და ფრინველის ფიგურით
ერთმანეთთან დაკავშირებით ყელსაბამი და ჯვარი ერთ კომ-
ბოზიციურ ჩანაფიქრს ქმნის; ამას გარდა, ბატონ თეითს ყუ-
რადლება მივაქცევინე ერთ ასეთ დეტალზე: შეხედეთ, ჯვრის
უკანა მხარის მწვანე ფერშერულ მინანქარს, შეუდარეთ ყელ-
საბამის წინა მხარის ვარდულის ექვსფურცლოვან ბულებში
ჩასმულ მწვანე მინანქარს და დარწმუნდებით, რომ ისინი ერ-
თი და იგივე არის-მეთქი!

ბატონმა თეითმა დიდი სიფრთხილით ყუნწებით ასწია
თეთრ აბრეშუმზე დასვენებული ჯვარი ¹ და ასეთივე დიდი
ყურადლებით დაათვალიერა ყელსაბამისა და ჯვრის მწვანე
ფერშერული მინანქარი და რომ დარწმუნდა მათ სრულ იდენ-
ტურობაში, კმაყოფილება ვერ დაფარა და გახარებულმა მი-
თხრა: გმადლობთ, მეც დამაჯერებლად მეჩვენება ეს საბუთი,
ამაზე არ გამიმახვილებია ყურადლებაო!

დამაჯერებლად მეჩვენება! — ეს ბასუხი ინგლისელისათვის
დამახასიათებელი თავდაჭერილობისა და სიფრთხილის ტიპი-
ური მაგალითია. ცნობილია, კაშკაშა მზიან ამინდშიც კი ინ-
გლისელს რომ ჰქითხოთ, დღეს როგორი ამინდიაო, გიპასუ-
ხებთ: ალბათ, მზიანიო!

ასე იყო ახლაც!



ერთი სიტყვით, ორ საათზე მეტ ხანს გასტანა ჩვენმა უბარმა. ბატონმა თეითმა იმდენი ინფორმაცია მოჰყოფილია ჯვრის შესახებ, რომ კარგ გუნებაზე დადგა, გარკვეულწილად მაღლიერების გრძნობაც გაუჩნდა, რითაც ვისარგებლე და ასეთი კითხვა დავუსვი: ეს ძეგლი ხომ საქართველოს ისტორიული რელიგვიაა და მის საკუთრებას წარმოადგენს, ქართველი ხალხი მოუთმენლად მოელის მის დაბრუნებას და ნახვას და როგორ მოვიქცეთ-მეთქი.

ბატონი თეითი წამოჭარხლდა (არ ელოდა ასეთ შეკითხვას!), ვერც ჩემი სიტყვების უარყოფა შეძლო — ჯვარი საქართველოს საკუთრებაა-მეთქი რომ ვუთხარი, — და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მიპასუხა:

— ჯვარი ამჟამად უკვი ბრიტანეთის. მუზეუმს ეკუთვნის, ახლა მიმდინარეობს მისი შესწავლა, რაშიაც თქვენ დიდად დაგვეხმარეთ და თქვენ შემდგომ ჩამოსვლაზე ჯვარი უკვი ბრიტანეთის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში იქნება გამოფენილით. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მაქვს, რა დიდია მის-დამი საქართველოში როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივი ინტერესი. ამიტომ მე შემიძლია ასეთი პირობა დავი-დოთ: თუ თქვენი ეროვნული მუზეუმი აღძრავს შუამდგომლობას ბრიტანეთის მუზეუმის წინაშე, ჩენ შეგვიძლია მუზეუმებს შორის ექსპონატთა საგამოფენოდ გაცვლის საერთაშორისო წესით იგი საქართველოში ჩამოვიტანოთ და თქვენ მუზეუმში გამოვფინოთ საჯაროდ დასათვალიერებლადო!

დიდი მაღლობა მოვახსენე ბრიტანეთის მუზეუმის წარმომადგენელს ასეთი „გულუხვობისა“ და „კეთილი დაპირებისა-თვის“ (თუმცა წამხდარ საქმეზე, ესეც უკვე მიღწევა და უკოლაზე უკეთესი გამოსავალი იყო) და გამოვემშვიდობე მას..

ბატონმა თეითმა კიბეებამდე გამომაცილა და შემომთავაზა ბრიტანეთის მუზეუმის კიდევ ერთხელ დათვალიერება.

...დავდიოდი ბრიტანეთის მუზეუმის უზარმაზარი შენობის ვრცელ საგამოფენო დარბაზებში, რომლებიც გამოჭედილია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა უძველეს კულტურათა განძეულობით და სინანულით ვფიქრობდი:

— ქართული ხელოვნების ერთი ბრწყინვალე ძეგლიც შთაინთქა ბრიტანეთის მუზეუმის ზღვა სიმდიდრეში!..

* * *

შაბათს, 21 აპრილს, დილის 11 საათზე ოტფორტში მიმდინარე
 უორდროპს ვესტუმრე.

განარებული მასპინძელი ეზოში შემომეგება და შინ შე-
 მიპატიუა. აქ კედელზე თვალსაჩინო აღვილას ისევ ჰქილია
 თამარ მეფისა და არჩილ პირველმოწამის ქართული ხატები,
 ხოლო ძირს, დაბალ მაგიდაზე იწყვია მე-17-18 სს. შესანიშ-
 ნავი ვერცხლის ქართული აზარფეშები (ორივეს ქართული
 მხედრული წარწერები იმკობს), გვერდით კედელზე ვხედავ
 ზეთის საღებავებით შესრულებულ ა. ზანაროვის „ძველი თბი-
 ლისისა“ და ი. ზანკოვსკის „მყინვარშვერის“ ორიგინალებს.
 საგანგებო თაროებზე იწყვია „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამია-
 ნის“, „ქართული ხალხური ზღაპრების“, „წიგნი სიბრძნე-სი-
 ცრუისას“, „განდეგილის“, „წმინდა ნინოს ცხოვრების“, „გი-
 ორგი ბრწყინვალის ძეგლისდების“ მარჯორი და ოლივერ
 უორდროპების ინგლისურ თარგმანთა შესანიშნავი გამოცემები,
 ქვეა ოლივერ უორდროპის წიგნი „საქართველოს სამეფო“...

ერთმანეთის ზოკითხვისა და პირველი შეხვედრის (1981
 წ.) მოგონების შემდეგ ანდრო უორდროპმა ჩემ წიგნში ჩარ-
 თული ფოტოილუსტრაციები გადაშალა, სადაც ერთ-ერთ
 მათგანზე 1896 წელს საგურამოში, „ილიაობაზე“ მისი წინაპ-
 რების ილია ჭავჭავაძესთან სტუმრობაა იღბეჭდილი და გა-
 დგირვებულმა მითხრა, არ ვიცოდი და ახლა პირველად თქვე-
 ნი წიგნიდან გავიგე, რომ თურმე ჩემი ბებია და ბაბუაც
 ყოფილან საქართველოში ნამყოფნიო. შემდეგ მასპინძელი
 წამოღვა და მეორე ოთახიდან ჩემთვის მოსართმევად წინას-
 წარ გამზადებული რაღაც შეკვრა გამომიტანა.

პირველი, რაც ხელში მომხვდა, ეს იყო მოოქრული მედა-
 ლიონი წმინდა ნინოს გამოსახულებით, რომელსაც ხელში
 ჭვარი ვაზისა უპყრია, ხოლო გარშემო ხუცური ასოებით შე-
 მოწერილი აქვს: „წ~ ა ნინო ქართველთა განმანათლებელი“.
 მედალიონის მეორე მხარეს ორნამენტულ ჩარჩოში ამოტვიფ-
 რულია ე. წ. ჰეტიმასის კომპოზიციის ნაწილი, კერძოდ, მა-
 ცხოვრის ვნების იარაღები — ჭვარი, შუბი და ლრუბელი.

იმის შემდეგ აბრეშუმის ბატოების მთელი შეკვრა გაფ-
 შალე. მასში აღმოჩნდა 5 ბატოა:

პირველი წარმოადგენს ოდესაში მოსწავლუ ქართველი სტუდენტების მიერ 1895 წლის 6 თებერვალს საქართველოსა დან ლონდონისაკენ მიმავალი მარჯორი უორდროპისათვის ოდესაში მირთმეული თაიგულის ბაფთას, რომელზედაც ოქტომბერის მელნით წარწერილია ილიას ლექსის ოდნავ შეცვლილი სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმათ მიგაინდეს,
იგ არაუერი საკვირველია,
საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს,
გინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ბაფთის მეორე ბოლოში კი ვკითხულობთ: „ქ. ბატონს მ. უორდროპს ქართველი სტუდენტებისაგან“.

ამ თაიგულისა და წარწერიანი ბაფთის შესახებ მანამდე მხოლოდ „ივერიაში“ 1895 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნებული კორესპონდენციისაგან ვიცოდი და დაბეჭდილიც მაქვს ჩემ წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (თბ., 1984, გვ. 167), მაგრამ ახლა უკვე ხელთ თვით ბაფთა მეჭირა, რომელიც უორდროპებს დღემდე სათუთად შეუნახავთ თავიანთ ოჯახში.

მეორე აბრეშუმის ბაფთა უკვე იმ გვირგვინისა იყო, რითაც ქართველებმა შეამქეს 1909 წლის დეკემბრის სუსტიან დღეს სევენოუქსში ახლადგაჭრილი საფლავი ჭერ ისევ სრულიად ახალგაზრდა მარჯორი უორდროპისა. ბაფთაზე ვარდისფერი ძაფით მსხვილად იმოქარგულია: „საქართველოს მოამაგეს“.

მესამე აბრეშუმის ბაფთა მარჯორის საფლავზე ცოტა მოგვიანებით (1914 წ.) მიტანილი გვირგვინისაა, რომელზედაც წარწერილია მარჯორის მისამართით გადასხვაფერებული სიტყვები ილიას ლექსიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“:

„აღარა გვეკებარ... უღვთო იყო შენი სიკედილი...
რაოდენ იმედო და ნუგეშთა კოქორთ უვავილი
დასჭირენ შენს გულში უიმედოთ ეგრე უდროვოდ?..

ი ღ ი ა“.

ბაფთის საპირისპირო კიდეში წერია: „ქართველთადმი სიშვარულით მგზნებარე გულს: დიმიტრი აბხაზი, ირაკლი ტარიშვილი. ლონდონი, 29 მარტი, 1914 წ.“

მეოთხე აბრეშუმის ბაფთა ძლიერ დაზიანებული და დაჭ-



რილია, იმდენად, რომ სანამ რესტავრაცია გაუკითხებულის, ძნელია მისი მთლიანად წარმოდგენა, მაგრამ მოგვყავს ის, რასი ამოკითხვაც შევძელით:

„საქართველოს მოამაგეს. დ. ღამბაშიძე, გ. ხიზანიშვილი, ს. ჯანელიძე, ი. ტატიშვილი, ა. მასხარაშვილი, ა. გუგუშვილი, ბ. გიუიმყრელი, ბ. ჯანელიძე, ვ. შალამბერიძე, ტ. ქოჩიაშვილი... 12 ქრისტეშობისთვე, 1914 წელი“.

მეხუთე ბაფთაზე უფრო სადა წარწერაა: „საქართველოს მოამაგეს. მგზავრი ქართველებისაგან: 1913 წ.“ ეტყობა, იანვრის ამ დღეს სევენოუქში თოვლი მოდიოდა, რადგან აბრეშუმის ბაფთა დაუსველებია და ლურჯი მელანი გადასულა. ასე გვინიათ, საქართველოსთვის თავდადებული ინგლისელი ქალის საფლავთან მდგარი მგზავრი ქართველების ცრემლებს დაუბიათო!

ანდრო უორდრობის მიერ მომზადებული მოულოდხელი სიურპრიზისაგან ჯერ კარგად არ ვიყავი გონის მოსული და იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომესწრო მათი ფოტოზე გადაღება და აღწერა, რომ უცემ ჩემი მასპინძლის მეორე მოულოდნელმა ჭინადადებამ გამომატებიზლა:

— ინებეთ, ეს თქვენ გეკუთვნით! აქამდე ისინი, მამაჩემისგან სასოებით მობარებული, შემოვინახე, ახლა უკვე ხანდაზმულობაში შევდივარ, მეშინია, ჩემს შემდეგ რაიმე არ მოუვიდეს და არ დაიკარგოს. წაიღეთ საქართველოში!

მე, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მოვახსენე კეთილ მასპინძელს ძეირფასი ნობათისათვის და აღვუთქვი, სამშობლოში რომ დავბრუნდები, თქვენი სახელით მათ საიმედოდ დასაცავად ჩვენ ეროვნულ მუზეუმს გადავცემ-მეთქი!..

გურიაში ჩაზრილი ჩართული ზღაპრები ოქსცორდიდან, მარჯორი უორდრობის პოლექციიდან

ოქსცორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის მარჯორი უორდრობისეულ კოლექციაში ჩვენ ყურადღებას იძყრობს 120-ვერდიანი ხელნაწერი კრებული (Ms. Wardr. e-4), რომელსაც ლამაზი ხელით ზემოდან აწერია: „ქართული ზღაპრები, გურიაში



ჩაწერილი ანა ბეჟანის ასულის მგელაძისაგან“. ზედა მარჯონიშვილი ას კუთხეში კი წარწერილია: „უძღვნი მარია ვარდორობის ასულს, ანა მერაბის ასულის ჭყონიასი“. გარეკანის ქვედა ნაწილი უჭირავს ოლივერ უორდროპის ხელით შესრულებულ ინგლისურ წარწერას, რომელიც ბევრ საგულისხმო ცნობას გვაწვდის ამ ხელნაწერი ქრებულის ინგლისში მოხვედრის თაობაზე: „Georgian Folk Tales, written down in Guria by Anna the daughter of Bezhan Mgelandze. 120 pp. followed by many blank. Presented to Marjory Wardrop at Kutais in 1895 by Anna daughter of Merab Lorthkipanidze and wife of Ilia Dchqonia“ („ქართული ხალხური ზღაპრები, ჩაწერილი გურიაში ანა ბეჟანის ასულ მგელაძის მიერ. 120 გვერდი, ახლავს ცარიელი გვერდებიც. მირთმეულია მარჯორი უორდროპისათვის ქუთაისში 1895 წელს ანა მერაბ ლორთქიფანიძის ასულისა და ილია ჭყონიას მეუღლის მიერ“).

მიუხედავად დ. ბარეტის კატალოგის არსებობისა (ოქს-ფორდი, 1973), ამ ერთ-ერთი უძველესი ქართული ფოლკლორული ჩანაწერებისთვის აქამდე არავის მიუქცევია ყურადღება, რის გამოც ერთოვნული ხალხური საუნგის ეს ძვირფასი განძი დღემდე სრულიად უცნობია ქართული ფოლკლორისტული მეცნიერებისათვის.

* * *

საერთოდ, მარჯორი უორდროპი იღრე დაინტერესდა ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებით, უკეთ რომ ვთქვათ, მარჯორი უორდროპმა თავისი ქართველოლოგიური მოღვაწეობა სწორედ ქართული ხალხური ზღაპრების შესწავლით, თარგმნითა და გამოცემით დაიწყო.

უკვე 1894 წელს ლონდონში გამოიცა „ქართული ხალხური ზღაპრების“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად იმდროინდელ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ პრესაში, ამასთან, რეცენზიები და გამოხმაურებანი დაიბეჭდა რუსეთსა და ამერიკაშიც. წიგნი შეიცავს 175 გვერდს, რომელშიც შესულია 16 ქართლ-კახური, 8 მეგრული, 14 გურული ზღაპარი და 28 ანდაზა. გამოცემისთვის წამდლვარებული წინასიტყვაობი-

დან ვიგებთ, რომ მარჯორს თავისი თარგმანის წერილებულ
ამოუყენებია ლადო აღნიაშვილის „ქართული ხალ-
ხლაპრები“ (ტფ., 1890), ალ. ცაგარლის „მეგრული ეტიუდე-
ბი“ (სპბ., 1880) და ბებურ ბ-ის გამოცემული „ქართული ხალ-
ხლაპრები“ (სპბ., 1884), ხოლო თარგმანზე მუშაობი-
სის მას თურმე ემარებოდნენ ივანე მაჩაბელი და ოლივერ
უორდროპი. დაბეჭდვამდე წიგნს ხელნაწერში გასცნობია სა-
ქვეყნოდ განთქმული მეცნიერი, ანთროპოლოგიური სკოლის
ფუძემდებელი, „პირველყოფილი კულტურის“ ავტორი ედუ-
არდ ტეილორი (1832—1917), რომელსაც შეუქია იგი. აქე-
დან აღვილი მისახვედრია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონ-
და მარჯორი უორდროპის ამ პირველსავე ფოლკლორისტულ
ნაშრომს ქართული ხალხური სიტყვიერების პოპულარიზა-
ციისათვის ინგლისურენოვან სამყაროში და საერთოდ, მთელ
მსოფლიოში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მარჯორი უორდროპის ეს
შეტად საინტერესო ნაშრომი დღემდე არ გამხდარი ქართველ
ფოლკლორისტთა საგანგებო კვლევის საგნად, არადა დიდად
საშური საქმე კია. ამას გარდა, მარჯორი და ოლივერ უორ-
დროპების მიერ ქართული ფოლკლორის შესასწავლად გაწე-
ული უაღრესად ფასეული შრომის დასახსიათებლად უხვი მა-
სალის მომცემია ოქსფორდში დაცული მათი ხელნაწერი ინ-
გლისური თარგმანები. ქართული და კავკასიური ხალხური
ზღაპრებისა — C—26 (28, 30), d—40/3, d—40/4 (1,5), C—22,
C—1 (22); მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა ბესარი-
ონ ნიუარაძის (თავისუფალი სვანის) მიერ 1893 წელს გამოქვეყ-
ნებული „ამირანის“ სვანური ვარიანტის (იხ. სვანური ზღაპ-
რები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1893,
გვ. 83—101) და ნ. ჯანაშიას მიერ ჩაწერილი აფხაზური
„აბრსკილის“ (დაბეჭდილია „აქაფის ქრებულში“, 1898, № V,
გვ. 1—6) მარჯორისეული ინგლისური თარგმანები — d—40/1
(6), d—40/1 (5), აგრეთვე, ოლივერ უორდროპის მიერ ინგ-
ლისურად თარგმნილი ოსური ლეგენდები თამარ მეფეზე —
C—26 (30).



ასე რომ, არაფერია მოულოდნელი იმაში, მარჯორი უკავებდა
როპი დაინტერესებულიყო ანა ბეჟანის ასულ მგელაშვილის
გასულ საუკუნეში გურიაში ჩართული ხალხური
ზღაპრების კრებულით. ეს ხელნაწერი, როგორც ახლა ირკვევა,
1895 წელს, საქართველოში პირველად ჩამოსვლის დროს,
ქუთაისში სტუმრობისას მისთვის მიურთმევია ცნობილი ქარ-
თველი უურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭყონია-
ს მეუღლეს — ანა (ანეტა) მერაბის ასულ ლორთქიფანიძე-
ჭყონიას, რომელიც ჩვენი გამოჩენილი მწერლის ნიკო ლორ-
თქიფანიძის და განლდათ.

უცხოეთის არქივებიდან ჩვენ იქამდე ვიცოდით იტალი-
აში, ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისიონერ ბერნარ-
დეს კოლექციაში დაცული მე-17 საუკუნის ქართული ხალხუ-
რი ზღაპრები (მათ შესახებ იხ. მ. ჩიქოვანის, ელ. ვირსალაძის,
ლ. კოტაშვილის შრომები), დღეიდან კი მათ ემატება ინგლის-
ში, ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ
კოლექციაში გამოვლენილი ქართული ხალხური ზღაპრების
კრებული, რომელიც მე-19 საუკუნეშია ჩაწერილი გურიაში.

აი, მისი შინაარსიც: I. გიორგი მოსამზირის შვილი (გვ.
1—15); ასახსნელი: „ერთი რამ ხეა ასეთი უმიწოდ გაიზდე-
ბისა...“ (გვ. 16); II. მართალი და ტყუვილი (გვ. 16—21), გა-
მოცანა: „უსულოთა მდებარენი ბორკილშიდა განეყრების...“
(გვ. 22); ახსნა: „ორი ვარსკვლავი დამუდარა, როდეს მივყოთ
მასაც ხელი...“ (გვ. 22); III. ზზის დედა (გვ. 22—46); გამოცა-
ნა: „სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული...“ (გვ.
47); ახსნა: „სიბრძნე ქრისტეა და სახლი უბიწო მისი მშობე-
ლი...“ (გვ. 47); IV. მეფეს ცოლი გაუთხოვდა (გვ. 47—52); V
მამლის რჩევა (გვ. 52—58); ასახსნელი: „ერთსა მაიდანს მი-
დორსა...“ (გვ. 58); VI. ძალად მარჩიელი (გვ. 58—65); VII.
ჭუჭა ცოლ-ქმარნი და ვაჭრის ნიზლავი (გვ. 65—72); გამოცა-
ნა: „ხუთი ძმანები არიან...“ (გვ. 72); VIII. ორი მოგზაური
და მათი ნახულ-გაგონილი (გვ. 73—85); IX. ექვსი ძმა (გვ. 85—
99); X. კოპე შენგელია (გვ. 93—108); XI მოხერხებული
რძალი (გვ. 109—116); XII. იგავები (გვ. 117—119); ასახს-
ნელი: „ათ ბეჭეს გიამბობ, ხუთ თავს ოთხ სულად...“ (გვ. 120).

როგორც ვხედავთ, კრებული შეიცავს 12 ქართულ ხალხურ

ზღაპარს (საგმირო ფანტასტიკური, ჯადოსნური, საფულეირო-ნოველისტური), რომელთა ტექსტებს შორის უკავშირდება, შესასვენებლად ალაგ-ალაგ ჩართულია 8 ასახსნელი, ანსა და გამოცანა, რომელიც დაწერილია ათ, ცამეტ და თექვსმეტ-მარცვლოვანი სალექსო საზომებით. მაშასადამე, ანა მგელაძის მიერ ჩაწერილი კრებული, რომელიც ოქსფორდშია დაცული, სულ 20 ტექსტისაგან შედგება. მე გადავიღე მათი სრული ქსერო-ასლები და საქართველოში ჩამოვიტანე.

ვინ არის ეს ანა ბეჟანის ასული მგელაძე — ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული ფოლკლორული ტექსტების ჩამწერი?

მეითხველს უნდა მოვახსენო, რომ იგი სრულიად უცნობია ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის. მას არ იცნობს არც ი. ყიფშიძის რედაქტიოთ გამოცემული „1852—1910 წლების ქართული ბიბლიოგრაფია“, რომელშიც „ხალხური სიტყვიერებაც“ არის შესული (პეტროგრადი, 1916, გვ. 76—97) და არც ელ. ვირსალაძის ხელმძღვანელობით შედგენილი „ქართული ფოლკლორის მოძღვა ანოტირებული ბიბლიოგრაფია“, წ. I, 1829—1901 (შემდგენლები ელ. ვირსალაძე, ფ. ზანდუკილი, მ. გოგიჩაიშვილი, თბ., 1973). იგი არ მოიხსენიება ალ. ღლონტის წიგნშიც: გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937. იქნებ მეითხველი დაგვეხმაროს ანა ბეჟანის ასულ მგელაძის ვინაობის დადგენაში!

აქვე შენიშნავ, რომ ფოლკლორისტმა ვ. მაცაბერიძემ მომაწოდა ცნობა რევოლუციონერ ილია ბეჟანის ძე მგელაძის (1875—1921) შესახებ, რომელიც სოფ. შემოქმედში (მანარაძის რაიონი) იყო დაბადებული. (მის შესახებ იხ. ა. ლეუავა, ქართველი რევოლუციონერები..., თბ., 1972, გვ. 123—124). ხომ არ იყო ანა ბეჟანის ასული მგელაძე მისი და?

რა მნიშვნელობა აქვს ოქსფორდიდან ჩამოტანილ ქართულ ზღაპრებს ჩვენი ფოლკლორისტიკისათვის?

მე ისინი გავაცანი ჩვენ წამყვან ქართველ ფოლკლორისტებს, მათ შორის, ცნობილ ფოლკლორისტსა და ენათმეცნიერს პროფესორ ალ. ღლონტის. იი, მისი დასკვნა:

„სულმოუთქმელად გადავიკითხე „ქართული ზღაპრები, გურიაში ჩაწერილი ანა ბეჟანის ასულის მგელაძისაგან“. ჭეშმარიტი აღმოჩენაა! მისი არსებობა არავინ იცოდა. ანა მგელა



ძეს მე არ ვიცნობდი, წყაროებშიაც არ უნდა იყოს მომღერალი ბული არც ამ ჩამწერის გვარი და არც მისი ჩანაწერები, კრებულად რომაა შეკრული.

ეს მშვენიერი ტექსტები, სათუთად მოვლილი და შენახული მარჯორი უორდროპის ქალალდებში, 90 წელიწადს ელოდა ბედნიერ დღეს, ალაპარაკებას, და ეს დღეც დადგა! მათ მოკრძალებით მოწმინდა არქივის მტვერი, ოქსფორდიდან შინააუგვი ჩამოტანილი და გამოჩენილი ჩვენ გასაკვირვებლად და გასახარად!

ვფურცლავ ქართველი მანდილოსნის ნახელავს, რომელსაც უნაზესი მარჯორი უორდროპის თითების ანაბეჭდიც ატყვია. ვფურცლავ და თითქოს არ მჯერა, როგორ დაივიწყა ეს სამაგალითო მანდილოსანი ღმერთმაც და კაცმაც ისე, რომ მისი ნაჯვალევი არსად დარჩა, მისი 120-გვერდიანი ჩანაწერებიდან (თავად ხომ ასე ბრძანებს: „გურიაში ჩაწერილიო!“) რაიმე ნიმუში სამშობლოში არ დარჩენილა, არც არავის უნახავს! არ უნახავთ ქართული ხალხური სიბრძნის იმისთანა ფიქრთა მპყრობელებს, როგორიც იმუამად ილია, აკაკი, პეტრე უმიკა-შვილი, ექვთიმე თაყაიშვილი იყვნენ!

ახლა რა შეიძლება ითქვას ამ ასი წლის წინანდელი ტექსტების მოძიების გამო, მათი მნიშვნელობის შესახებ? მათ, ჩემი მზრით, ორი პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ:

ა) უნიკალური ტექსტები ფოლქლორის ნიმუშებია, ისინი ქართულ ზღაპართმოცდნეობას ამდიდრებენ. მართალია, ჩვინამდის მოღწეულია გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩაწერილი ზღაპრები, მაგრამ ერთობ მცირე, თანაც, არა ამ სახისა. ეს კრებული ერთბაშად ახალ თავს შლის ხალხური პროზის ნიმუშების ჩაწერის ისტორიაში, გვიჩვენებს ტრადიციას. ზღაპრები დიდ ინტერესს იწვევს სიუჟეტიკით, სტრუქტურით, კოლორიტით, პერსონაჟებით. ამ ზღაპრების სიუჟეტურ ქარგაში ჩართულია მრავალი ცნობილი და მოარული მოტივი, მაგრამ თითოეული ტექსტი, ამის მიუხედავად, ინარჩუნებს თავისთავადობას, სიუჟეტურ მთლიანობას.

ბ) ტექსტები სანდო მასალებია ქართული დიალექტოლოგიისათვის. ჩვენ განებივრებული არა ვართ ამისთანა მასალით. ეს სიფრთხილითა და სიზუსტითაა იღბეჭდილი გურული კილოს გითარება XIX საუკუნის 80—90-იანი წლებისათვის. ჩა-

ნაწერებში დაცულია დიალექტიკური ნორმები. აღგილობრივი ლექსიკა, სტრუქტურაც. ამიტომ მათ ჩვენი დიალექტოლოგიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ. ამ ტექსტების გამოქვეყნება საშური საქმეა“.

ანა მგელაძის მიერ გურიაში ჩაწერილ ქართულ ზღაპრებს გარდა, ოქსფორდში გამოვლინდა თვით მარჯორი უორდრობის ხელით ჩაწერილი (თუ გადაწერილი?) ორი ქართული ხალხური ზღაპარი: ერთს სათაურად აქვს „მწევრის შვილი“, ხოლო მეორე უსათაუროა და პირობითად შეიძლება ისე და-სათაურდეს: „ერთი დედაქაცი და იმისი შვილი“. ორივე ზღაპრის ტექსტი ჩაყინძულია ხელნაწერ კრებულში — C — 1/1,7.

ინგლისელი ქართველოლოგი ქალი ფაქიზად იწერს ქართული ზღაპრების ტექსტებს. აქა-იქ ზოგი ასოს გრაფიკული მოხაზულობის მსგავსების გამო უცხოელის გაუწაფავ თვალს გაპარვია უნებლიერ უზუსტობანი: საინტერესოა გაირკვეს, მარჯორი უორდრობმა უბრალოდ გადაწერა რომელიმე პუბლიკაციიდან მისოვის საყურადღებო ქართული ზღაპრების ტექსტები თუ ისინი დღემდე უცნობ ვარიანტთა ჩანაწერებს წარმოადგენს?

ანა მგელაძისა და მარჯორი უორდრობის უცნობი ფოლკლორული ჩანაწერების ქართული ხალხური ზღაპრების ჩვენში არსებულ კრებულებთან შედარებამ უკვე მოგვცა პირველი შედეგები:

როვორც ირკვევა, ცალკეულ მოარულ მოტივთა და სიუჟეტთა მსგავსების ელემენტებისა და შაბლონური პარალელების მიუხედავად, ოქსფორდში დაცული ქართული ხალხური ზღაპრები გარიანტულად არც ერთ დღემდე ცნობილ ჩანაწერებს არ იმეორებს, ისინი გამოიჩინევიან თავისითავადობით, უცნობი სიუჟეტური რკალებით, კონტამინაციური სიუხვით, მხატვრულ-კომპოზიციური გამართულობით, ენის დახვეწილობით, კოლორიტის შესანარჩუნებლად დიალექტიზმების (ამ შემთხვევაში, გურულის) ზომიერი გამოყენებით, ლექსიკის სიმღიდრით.

აქვე მაინც საჭიროდ მიგვაჩნია სახელდახელოდ დაძებნილი ზოგიერთი მსგავსებისა და პარალელების აღნიშვნა:

მაგალითად, ოქსფორდულ კრებულში დაცული ჭალოსნუ-



რი ზღაპარი „მზის დედა“ მთლიანად ორიგინალური დრამულური მის ცალკეულ მოტივსა თუ პასაჟს ვხვდებით ზოგიერთ აქამდე ცნობილ ქართულ ზღაპარში: „დღისით მკვდარი“ (რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრები. I, ელ. ვირსალაძის რედ., თბ., 1949, გვ. 104—113; ქართული ზღაპრები, შეადგინა ალ. ლლონტმა, თბ., 1974, გვ. 30—36); „მზის ქალი“ (ხალხური ზღაპრები, კახეთსა და ფშავში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909, გვ. 45—50); „მზის სიძე“ (ალ. ლლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1949, გვ. 172—180); „მუფუნჩეულ“ (სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1893, გვ. 4—10).

ასევე გამოირჩევა თავისითავადობით ოქსფორდულ კრებულში გამოვლენილი ხალხური ნოველა „მამლის რჩევა“. მისი ვარიანტია ქართლში ჩაწერილი „ავი დედაკაცი“ (იხ. ქართული ხალხური ნოველები, გამოსცა ალ. ლლონტმა, 1956, გვ. 195—197; ხალხური სიბრძნე, II, თბ., 1964, გვ. 34—36), აგრეთვე, ქ. სონდულაშვილის მიერ ჩაწერილი „კაცს რო ერთი ანჩხლი ცოლი ჰყავდა“ (იხ. ხალხური სიტყვიერების მასალები, I, თბ., 1955). მსგავსი სიუჟეტი დასტურდება საბათან: „ანჩხლი ცოლის წურთვნა“ (სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გ. ლეონიძის რედ., თბ., 1928, გვ. 161—163), აგრეთვე, „ათას ერთ ღამიანში“ შდრ. „ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა“, — რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედ., I, თბ., 1949, გვ. 458; იხ. აგრეთვე, ხალხ. სიტყვ., ტ. V, მ. ნიქოვანის რედ., თბ. 1956, გვ. 159).

რაც შეეხება ოქსფორდული კრებულის „ძალიდ მარჩიელს“ შაბლონით იგი ემსგავსება საბას ირაკს „ანჩხლი რძალი და მაზლი“ („სიბრძნე-სიცრუისა“, გვ. 64—66), აგრეთვე, ზოგიერთ ხალხურ ნოველას, მაგალითად, „ტყუილი მკითხავი“ (რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრები, II, ელ. ვირსალაძის რედ., თბ., 1958, გვ. 381—382), „მატყუარა მკითხავი“ (ქართ. ხალხ. სიტყვ. ქრესტომათია, I, შეადგინა ქს. სიხარულიძემ, თბ., 1956, გვ. 326; შდრ. ა. ცანავა, წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ და ქართული ხალხური მახვილისიტყვაობა, თბ., 1957, გვ. 37).

„კოპე შენგელია“ ოქსფორდული კრებულის ერთ-ერთი საინტერესო ჯადოსნური ზღაპარია. ჩამოჰვავს თ. რაზიკაშვილის

მიერ კახეთში ჩაწერილ ზღაპარს: „გიორგი მონადირე მაცხოველ-
მა რომ ძაღლად აქცია“ (იხ. ხალხური ზღაპრები კუთხეთში და
ფრავში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909), აგ-
რეთვე, ელ. ვირსალაძის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტს (რჩ.
ქართ. ხალხ. ზღაპრები, II, თბ., 1958, გვ. 201—203), მაგრამ
ორივეზე გაცილებით მაღლა დგას, როგორც ტექსტის სიძვე-
ლით, ისე მხატვრულობით.

„მოხერხებული რძალი“ (ოქსფ. კრებ., გვ. 109—116) უან-
რობრივად ხალხური ნოველაა. ამისი ვარიანტია მ. ხუბუას
მიერ სამეგრელოში ჩაწერილი „ჭრვიანი რძალი“ (იხ. მ. ხუ-
ბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937; ხალხური სიბრძნე, II,
თბ., 1964, გვ. 446—449; ქართული ზღაპრები, გამოსცა ალ.
ლლონტმა, თბ., 1974, გვ. 335—338), ხოლო „მეფეს ცოლი
გულობული“ (ოქსფ. კრებ., გვ. 47—52) განსაკუთრებით სა-
ყურადღებოა „ლონდრეს“ მოტივის („შენი სახლიდან მოკი-
დებული ჩემს ტახტამდე მიწაში გზა გამოაყვანინე“) დადას-
ტურებით (შდრ. საბას).

ასეთი სახელდახელო შენიშვნებიდანაც კარგიდ ჩანს, თუ
რა დიდ მნიშვნელობას იძენს ოქსფორდში დაცული ქართული
ხალხური ზღაპრების კრებული ჩვენი ეროვნული ზღაპართ-
მცოდნეობისათვის, ერთ-ერთ ძლინდელ სანდო ფოლკლო-
რულ ჩანაწერთა საფუძველზე მისი უანრების, სიუჟეტებისა
და მოტივების უკეთ შესწავლისათვის, ხალხური ასახსნელე-
ბისა და ანდაზა-გამოცანების უძველესი ტრადიციების გათვა-
ლისწინებისათვის!

აქვე ვბეჭდავთ ოქსფორდიდან, მარჯორი უორდროპის კო-
ლექციიდან ჩამოტანილი ქართული ზღაპრების ტექსტებს:

* * *

ქართული ზღაპრიპი,
 გურიაში ჩამორიცვი ანა გერანის ასულის მხელადისაბან

I.

გიორგი მოსამზირის შვილი

იყო და ორა იყო, იყო კაცი ვინმე მოსამზირე* ძლიერ სახელგანთქმული, ასე რომ თოფსა და მშვილდ-ისარს თვალი რომ მისწვდებოდა, იმდენზე არაფელს არ ააცოენდა — არც ფრინველს და არც სხვა ნადირს. სახელად გიორგი მოსამზირეს ეძახდენ. მოკვდა კაცი იგი და ცოლი ორსულად დარჩა. ეყოლა ვაჟი და ზღიდენ სასოებით. რა ცოტა მოიზარდა, დედა ტილობდა, რომ მამამისის ხელოვნება მას არ გაეგო და სთხოვდა ყოველ კაცს, რომ მამამისის მესამზირობას ამ ბავშს ნუ უამბობთო. გაიზარდა ეს ყმაწვილი, ძლიერ მშვენიერი შეიქნა. ყოველ დღისათვის მოედანზე გავა და ბულთაობს, თამაშობს, საღამოზედ მოვა, დედა დიდის მხიარულობით დახვთება. დილით კიდევ გავა მოიდანზე. ამნაირად ატარებდა დროებას. ერთ დღეს ბურთს თამაშობდა ჩვეულებრივ და გამოუვლო ერთმა კაცმა და უთხრა ამ ყმაწვილს: განა მამიშენის შვილი ისე უნდაო, ასე ცუდათ უნდა კარგავდეს დროებასო? ამ ბავშმა თამაშობა არ გააგდო, ყური არ უგდო. ცოტა ხანს უკან გამოუარა მეორე კაცმა და უთხრა: აპა, ვაი, მამაშენის შვილი უკეთესი უნდა იყო!

ამ სიტყვებზე შეჩერდა ყმაწვილი, დაფიქრდა და მესა- მე კაცმა კიდევ გამოუარა და უთხრა: გიორგი მესამზირეს უკეთესი შვილი ეკადრებოდათ! მაშინ გამოუდგა შინისკენ ძლიერ სიჩქარით, მოაშურა დედას და უთხრა: დედა, მამაჩე- მი რა კაცი იყოვო, მე რათ არ გამაგებიერ. მეტი ხმა არ გასცა, შევიდა ოთახში, მამამისის თოფი ეკიდა, ჩამოიღო და წავიდა ძლიერ სიჩქარით. დედამ მიზდია დიდი ტირილით და თავში ცემით ეხვეწა: შვილო, მე დამიჯერე, ნუ მიხვალ, თორემ არ გიჯობსო, მარა არ მოუხედა. დედა დაბრუნდა სახლში ტირი-

* მოსამზირი — მონადირე (ჩამწერის შენიშვნაა, გ. 3.).



სენა, მარა ხელმწიფეს ისე შეგონებული ქონდა, არამედ შე-
გიდევაც შეიძლებ თუ მოინდომებ, არ გამიკეთებინო არ შე-
ძლებაო!

დაიწყო ტირილი ყმაწვილმა და წამოვიდა დედასთან. დე-
დამ რა სცნო შვილის მოსვლა, მწუხარედ კარზედ გამოეგება:
შეილო, რასა სტირიო?

რავა არ ვსტირი, დედაო, ხელმწიფემ იმისთანა საქმე შე-
მიკვეთა, ყოვლად შეუძლებელია ჩემგან.

რაო შვილო?

იმას რომ ეკადრება, იმისთანა სარაია გამიკეთებინეო,
რომ ეს რჯლა უნდა წინ მივაჭედოვო და სირმის ტყავი მალლა
უნდა გადავახუროვო.

უთხრა დედამ: შეილო, მე არ დამიჯერე, ახლა ხომ ნანობ? ეს არაფერია, მარა კიდევ ვარეს ხრის მოგინახავენო. წადი,
შეილო, ხელმწიფეს მოახსენე — შვიდი ნავი სავსე ოქრო და
ვერცხლი გამიმზადე-თქო, რომ სულ ვეზირის უნდა იყოს,
ერთი ფარა ხელმწიფის არ გაერიოს, თორემ არ შეიძლება-
თქო, მერმე მასთან მხლებელი იყოლიე და წადი შავ ზღვას
გაღმა, წითელ ზღვას გაღმა და თეთრ ზღვას გაღმა. იქ სამი
ხუროა, მიდი და მიართვი მრავალი ოქრო და ვერცხლი, სიხო-
ვე და წამოგყობა. ის ააშენებს მაგისთანა სარაიას, რომ თვა-
ლით არ დაიფასებაო.

ადგა ყმაწვილი და მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: ხელმწიფეო, რადგან გამიმეტეთ სასიკვდილოთ, თავს ვადავ-
დებ და წავალ — ეგების მოვიყვანო იმისთანა უსტა, რომ ვა-
ვაკეთებინო თქვენდა ნაბძანებად სარაია. მარა ვეზირებს უნდა
მოატანინოთ შვიდი ნავი ოქრო და ვერცხლი, რომ ერთი ფა-
რა თქვენი არ ერიოსო, თორემ არ შეიძლებაო.

ხელმწიფემ ბრძანა: შენ თუ ეს კი შეიძელი, ვეზირები მა-
გაზე ვარს რავა გაბედავენო. უბრძანა ვეზირებს, საჩქაროთ
მოამზადეთ შვიდი ნავი ოქრო და ვერცხლიო. ვეზირებს ამიზე
დიდი ზარი დაეცათ, მარა რაღას იქდენ? დაყიდეს საცხოვრე-
ბელი მალი(!) და მოასრულეს შვიდი ნავი სავსეთ. მხლებელი
გაატანა, წავიდა, შავი ზღვა გაიარა, წითელი ზღვა გაიარა,
თეთრი ზღვა გაიარა და იპოვნა ის უსტები, რომელიც დედამ
დაუბარა. მივიდა დიდი ვედრებით, უძღვნა ურიცხვი ოქრო
და ვერცხლი, წამოიყვანა და ხელმწიფესთან მიიყვანა. ისეთი



სარაია ააგეს, იმისთანა კაცის თვალს არ უნახავს. მარტინ შემოქმედი მისთან მიაჭედეს, თავზე სიჩრმის ტყავი დაფინეს და შეიქნა მშვენიერი სანახავი. ხელმწიფემ დიდი მაღლობა უბძანა. ყმაწვილის სახელი განითქვა გიორგი მოსამზირის შვილის. ახლა ვეზირები უფრო დალონდენ და გამეტებული შური ჩაიგდეს გულში.

გამოხთა ხანი და მოახსენეს ხელმწიფეს: ხელმწიფეო, ეს ყოველივე კაცი ღმერთმან მოგვცა, შენისთანა მშვენიერი სასახლე სხვა ხელმწიფეს არა აქვს; ახლა ამ სარაის რომ ეკადრება, იმისთანა მზის უნახავი თუ არ მოიყვანე, რად გინდაო. ხელმწიფემ უბრძანა: ვეზირნო, სად აღმოვაჩინო იმისთანა მზის უნახავი, ჩემს სარაის რომ ეკადრებაო? მოახსენა ვეზირებმა: ვინც ეს გაგიკეთებინა, იმას ისიც შეუძლია, მისი საკადრისი ქალი იშოვნოსო. ხელმწიფემ უბრძანა: თუ არ იცის საიდან იშოვნოსო. ვეზირებმა მოახსენეს: უეჭველია მავისთანა კაცი იმისთანა საცოლესაც გიპოვნის. იმაზე ხელმწიფე დარწმუნდა და გაუგზავნა კაცი, დაიბარა ის ყმაწვილი. მივიდენ და უთხრეს, ხელმწიფე გიბრძნებსო.

აღგა, დაღონებული წავიდა. იცოდა, კარგს არას მიბრძანებსო. მივიდა ხელმწიფესთან და თაყვანი სცა. უბრძანა ხელმწიფემ: ეს ყველაფერი კაი მიქენი, მარა რათ მინდა, თუ ამ ჩემ სასახლეს რომ ეკადრება იმისთანა გზის უნახავს არ მომვერიო. ატირდა ყმაწვილი და მოახსენა: ხელმწიფეო, მე ვინ მომცემს შენთვის იმისთანას, ან სად ვიპოვნიო? ეს ყოვლად შეუძლებელია ჩემგანო! მარა ხელმწიფემ უსაშველოთ არ გაუშვა: არ შეიძლება არ მიშოვნოვო.

წამოვიდა დიდათ მტირალე დედასთან. შესტირნა დედას, ხელმწიფემ ამისთანა შეუძლებელის საქმის შეძლება მიბრძანაო. დედამ უბასუხა: ქე გითხარ შვილო, მარა არ დაიკერეო. ეს კიდევ არაფერია, მარა კიდე უმეტეს შურს გამოიტანებენ შენზე, იცოდეო. წადი, შვილო, ხელმწიფესთან და მოახსენე: ხელმწიფეს შვილი ნავი ვერცხლის გააჭედინე და შვილი ნიჩაბი ოქროსი. ეს სულ ვეზირის უნდა იყოს-თქო, ერთი ფარა ხელმწიფის არ გაერიოს. იმასთან ის შვილი ნავი სულ თვალმარგალიტით უნდა იყოს საგსე-თქო, ოქროს ხონჩებით, ოქროს ლამბაქები თვალ-მარგალიტით მოაჭედვინე და სულ ესენი ვეზირების უნდა იქნეს, თუ ერთი ფარა ხელმწიფის გაერია,



არ იქნება-თქო. ეს ყველა რომ გაამზადონ, მერმეთ მუნიციპალიტეტის თან და მე ვიცი, სადაც იშოვება, სიტყვას დაგაბარებ და გაგიშობო.

წავიდა ყმაწვილი ხელმწიფესთან და მოახსენა: შვიდი ნავი ვერცხლის გააჭედინეო და შვიდი ნიჩაბი ოქროს, სულ ვეზი-რების ფულით. თუ ერთი ფარა თქვენი გაერია, არ შეიძლებაო, ის ნავები სულ თვალ-მარგალიტით სავსე უნდა იყოს და ძვირფასი ნივთებითო სულ ვეზირის უნდა იქნესო და მაშინ წავალ და ვეცდებიო, რომ თქვენი ბრძანება ავასრულოვო.

ეს ხელმწიფეს ღიდათ იამა, უბრძანა ვეზირს, ესენი უნდა მოამზადოთო. ვეზირებმა ტირილი დაიწყეს, ცოლი და შვილი რომ დავყიდოთ, არ აგვითავდებაო, რა ვქნათო. ხელ-მწიფე გაურისხდა: თუ გიორგი მესამზირის შვილი ამას კი ისაქმებს, თქვენ ამაზედ ვარს რავა მიბედავთო?!

რაღაც ძალი ქონდენ, სულ ცოლ-შვილი დაყიდეს, სხვა არაფერი აღარ დარჩენიათ და ძლივ მოასრულეს.

მაშინ ყმაწვილი წამოვიდა დედასთან და დაეკითხა. დედამ უთხრა: წადი, შვილო, ამ ნავით და საქონლით, მხლებელი კარგი იყოლიე — შავს ზღვას გაღმა, წითელ ზღვის გაღმა და თეთრ ზღვაზე რომ გაიარ, ერთი ხელმწიფის ქოშეია, რა რომ იმ ქოშეს დაუახლოვდეთ, ნავი და ნიჩაბი ათამაშეთ, ისე რომ მზიანი დარი იყოს. ისე მშვენიერათ ტრიალს დაიწყებს თეთრ ზღვაზე ვერცხლის ნავი და ნიჩაბი, ყოველ კაცს ესიამოვნება. ხელმწიფეს და დედოფალს მოახსენებენ, სამზერათ გადმოდგებიანო, ესიამოვნებათ თქვენი თამაშის მზერა. მერმეთ დედოფალი ისურვებს თქვენს ნახვას, გადმობდანდება, თორმეტი მოახლე გადმოყობა. ის უნდა იცოდე, დედოფალი რა ჩამობრძანდება, ყველა ნავებს დაიარს. თქვენ მაშინ, შვილო, უნდა უძღვნა ოქროს ხონჩებით ლამბაქებით თვალ-მარგალიტი და ძვირფასი ნივთები. დედოფალი წაბრძანდება და მიიტანს ანბავს. მაშინ ხელმწიფის რძალი ისურვებს წამოსვლას, იმას ცამეტი მოახლე გადმოყობა, ის უნდა იცოდე — ის სძალია ხელმწიფის. რა ნავში ჩამობდანდება, ისეც ყველა ნავს დაივლის და უძღვენი ძვირფასი თვალ-მარგალიტი და ნივთები ხონჩებით. ისიც რომ წაბრძანდება და მივა, კოშქში ხელ-მწიფეს ერთი მზის უნახავი ყავს და სთხოვს მამას მეც გამიშვიო და მამა ნებას მისცემს. გადმობრძანდება ისიც, თერთმე-



ტი მოახლეები მოყობა, ის უნდა იცოდე, ის არის ხელშეკრულების ქალი რომ თქვენს ნავში ჩამობრძანდება. მესამე ნავში რომ გადმოიარს, მაშინ გამოაფრინეთ ნავი და წამოიყვანეთ, მარა იმას ერთი ძმა ყავს, სახელათ ბეჟან ქვია, შინ არ არის, მარა კაცს უფრენენ. თუ იმან მოგასწროთ, წამოყვანა გაგიჭირდებათ. იმდენი ეცადე, გამოასწროთ. რა რომ ორი დღის სავალზე მოხვიდე, მე მიხმე. ჩემდა მოუსვლელად არ წამოხვიდე — ესე სიტყვები ყოველივე დაუბარა დედამ და გაუშვა.

წავიდა ყმაწვილი, ხელმწიფემ გაამგზავრა ნავით, თვალმარგალიტით დატვირთულით, მხლებელი ჩინებული აახლა. ახსენა სახელი ღვთისა და დაადგა გზას. შავი ზღვა გადიარა, წითელი ზღვა გადიარა და თეთრი ზღვა გადიარა და ნახა ამ თეთრ ზღვაზე გადამდგარი მშვენიერი კოშკი იყო. რა დაუახლოვდენ ამ კოშკს, დაიწყეს თამაშობა, ატრიალეს ნავი და ნიჩაბი. დაუწყეს მზერა ხელმწიფის კარისკაცებმა. მოახსენეს დედოფალს: უცხო ვინმე მოსულან და მშვენიერად თამაშობენ და ატრიალებენ ნავსო. გადმობძანდა დედოფალი და მოეწონა: თქვა, დიალ სასიამოვნოდ თამაშობენო, მინდა ვნახო ახლოსო. გადმოყვა თორმეტი მოახლე. თქვა ყმაწვილმა: ეს უთუოდ დედოფალი არისო და მიართვა უთვალავი თვალმარგალიტი. ყველა ნავები დაიარა, სულ სხვადასხვაფერი ძვირფასი ნივთები უძღვნეს. წაბძანდა დედოფალი და დედოფლის სძალი გადმობძანდა ცამეტი მოახლით და თქვეს: ეს უთუოდ დედოფლის სძალი იქნებაო. უძღვნეს ურიცხვი თვალ-მარგალიტი. იმანაც ყველა ნავები დაიარა და ყველგან სხვადასხვა თვლები მიართვეს. წაბძანდა ისიც. მიიტანა ამბავი და ქება მათი ქცევისა. ხელმწიფის ქალს გული შეექნა, ნახვა მოისურეა. თხოვა მამას — გამიშვიო. მამამ ნება მისცა. წავიდა, ჩაბძანდა ნავში ერთიდან მეორეში და მესამეში რომ გადიარა, გაუსვეს ნიჩაბს ხელი და გამოაფრინეს ნავი. რა ხელმწიფემ გაიგო, აფრინეს კაცი ბეჟანთან. ამათ ძლიერ სიჩქარით მიყავდათ ნავი, რა ბეჟან ძალიანი ჭაბუკი, სწრაფი ყმაწვილი იყო. იმდენი ისწრაფა, რომე რავაც იყო, მოეწია გზაში, ხელდა ხელ შეიყარენ: ბეჟანმა შეუბახა: შენ კა არა და მე ამას გიორგი მოსამზირის შვილიც ვერ გამიბედავსო. ყმაწვილმა უპასუხა: შენ ნუ მომიკედე, მე გახლავარ გიორგი მოსამზირის შვილიო. რა ეს სიტყვა ბეჟანმა მოისმინა



ამ ყმაწვილიდგან, ესიამოვნა დიდათ და უპასუხა: თუ მარტო შენ ხარ, ნება შენი იყოსო და აღარ ეჩხუბა, ნება უჭირა უასუფა
რულით დაემშვიდობა, გაბრუნდა ის თავის სახლში.

ეს მზის უნახავი ყმაწვილმა წამოიყვანა მშვიდობიანათ. რა ორი დღის სავალზე მოაწია, დედა იხმო — მომეგებელ. დედის მოსველამდინ იქ დადგა. მივიდა დედა და მშვიდობით მოსვლა მიულოცა შვილს. უთხრა: ჩვენ აქედან ისე ვერ წავალთ, თუ ხელმწიფემ შვიდ ვეზირს თავი არ მოსჭრა და არ გამოვიგზავნაო. ყმაწვილმა ხელმწიფეს კაცი გაუგზავნა — ჩვენი აქედან განძრევა არ შეიძლება, თუ შვიდ ვეზირს თავს არ მოსჭრი და არ გამომიგზავნიო. რა ეს ამბავი ხელმწიფეს მიუვიდა, იმწამსვე შვიდ ვეზირს თავი მოსჭრა და გაუგზავნა. რა ეს თხოვნა ხელმწიფემ შეასრულა, იმწამს ადგენ და წამოვიდენ. ხელმწიფეც გამოეგება. მოვიდნენ დიდი სიხაჭულით. დედაც მიყვა ამ ყმაწვილს და ხელმწიფემ ლხინი და მეჯლიში გადინადა, იხარებდენ. ,

რა შეა კამა შეიქნა, ვეზირი ხელმწიფეს ახლოს ახლავს და თავისი დედა ყმაწვილს გვერდს უზის; ყმაწვილის დედამ ხელმწიფეს თითი მიუნიშნა და დაუძახა: სისო ყურდღელოვო! ხელმწიფე ყურდღლად გადიქცა და გამოვარდა გარედ. ვეზირს დაუძახა: გამოეკიდე მწევაროვო! ვეზირი მწევრად გარდაიქცა, გამოეკიდა ყურდღელს. ხელმწიფე და ვეზირი ერთად მირბოდენ. ეს დედოფალი და სახელმწიფო დაარჩინა თავისმა დედამ გიორგი მესამზირის შვილს.

ისენი იქ იყვნენ ჭირში და ჩვენ ვიყვენით ლხინში.

ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი

ერთი რამ ხეა ასეთი უმიწოდ გაიზდებისა,
თესვა, ნერგვა და მოწევა არცერთი მოუნდებისა,
კაცი არ არის მისთანა არცა ზედ გაისვლებისა
და წელიწადსა. და წელიწადს შვა ერთხელაც მოიცვლებისა.

მართალი და ტყუცილი

იყო და არა იყო, ერთი ხელმწიფე იყო. სამი უცხო ქვეყნის კაცი მოუვიდა და უბრძანა ხელმწიფემ მოსამსახურეებს — მა უცხო კაცებს კარგათ მოუსვენეთო, კარგი ბინა უჩინეთ, ვახშამი კარგი მიართვითო. მოსამსახურემ ხელმწიფის ბრძანება შეასრულა — კარგს ოთახში დააყენა, ვახშმათ ცხვარი დაუკლა, კარგი ღვინო და პური მიართვა, — რა დასხდენ ვახშმათ, — ჭამენ და სმენ.

სთქვა ერთმა: ეს პური კარგია, მარა კვდრის სუნი უდისო. მეორემ სთქვა: ეს ღვინო კარგია, მარა სისხლი ურევიაო. მესამემ თქვა: ეს ცხვარი კარგი სუქანია, მარა ძალლის ძუძუით გაზდილიაო.

რა ეს მოსამსახურემ მოისმინა, ხელმწიფეს მოახსენა: ჩვენმა სტუმრებმა ასე თქვაო. ხელმწიფემ უბრძანა მოსამსახურეს: ის კაცები დილას შემომგვარეო!

რა გათენდა დილა ხელმწიფემ მოატანინა ნარიჯები და ტახტზე მოაწყობინა, ზედ ხალიჩა გადააგებინა, მაზედ სხვა სუფთა საგებელი და დაბძანდა ზედ ხელმწიფე. ბრძანა, ის კაცები შამომგვარეთო. შამოიყვანეს და თაყვანი სცეს, ხელმწიფემ — დასხედით — უბრძანა. დასხდენ. უბრძანა ხელმწიფემ: თქვენ თუ ამისთანა კაცები ხართ, ისიც თქვით, მე რაზედ ვაზივარო. ერთმა თქვა, რაზედაც ბრძანდებით, კარგი სუნი უდისო. მეორემ თქვა, წითელიც კი არისო. მესამემ თქვა, გვანძუალაც კი არისო. ხელმწიფეს გაეცინა. უბრძანა მოსამსახურეს — მეპურე, მეღვინე და მეცხვარე შამომგვარეოთო.

წავიდა, მოიყვანა სამივე. უბრძანა მეპურეს: ის პური, რომელიც ამ კაცებს მიართვით, სით მოიმქეთ? მოახსენა მებურემ: ხელმწიფევ, პური დავთესეთ ექლესის გალავნის შიგნით, ადგილი ტყუცილა არ გავაცდინეთო, პური მშვენიერი იყოვთ. მეღვინეს უბრძანა: ღვინო როგორი იყოვო? მოახსენა მეღვინემ: ხელმწიფევ, როდესაც ყურძენი მოვაკრეფინე და საწნახელში ჩაყარეს, თურმე დანა ჩაყოლოდა. რა რომ მწნეხელი ჩავიდა, ფეხი მოსჭრა მწნეხელს და სისხლი გაერია ღვი-

ნოს. მეცნიერების უბრძანა: ცხვარი როგორ იყოვჭიდაშემზღვეულის ასენა: ხელმწიფევ, ის ცხვარი პატარა რომ იყო, დედა მოუკვება და ძალლი იყო ლეკვიანი და იმას მიუსვი და გავაჩდიეთ.

გავირდა ხელმწიფე იმ მოგზაური ქაცებისაგან, რომ მათი სიტყვა ყველა მართალი იქნა და უბრძანა მგზავრთ: ოქვენი სიტყვა ყველა მართალი იქნაო და ამაში მაღლობელი ვარ. აწერთი ტყუვილი ისეთი მიამბეთ, რომ არც მამაჩემს გაეგონოს და არც მამათქვენსო; არც ბაბუაჩემს, არც ბაბუათქვენსო; არც პაპაჩემს და არც პაპათქვენსო!

წამოდგა ერთი და მოახსენა: ხელმწიფეო, ტყუვილს თქვენთან რავა გავძედავ და მართალს მოგახსენებო: მამაჩემს სამოცი ბუკი სკაი ყავდა და ყოველ სალამოს თითო ბობლათ გადითვლიდა — არ დაიბნესო. ერთ სალამოს გადითვზღვალა და ერთი ბობოლი აღარ იყო. ვეძებეთ ბევრი, სამი დღე ვეძებეთ და ვერ ვნახეთ. მეოთხე სალამოს მოვიდა ნახედარი, კისერზე ტყავი აღარ ქონდა. მამაჩემი შეწუხდა დიდათ. მითხრა: ნიგოზი დამწვარი წაუსვიო კისერზე, მოუშუშებსო. წაუსვი დამწვარი ნიგოზი და ზედ ასეთი ლებანი ნიგოზი ამოვიდა, რომ თვალუწვდომი სიმაღლე ქონდა. გამოიბა ნიგოზი, შვენიერათ დაიყლორტა და რა დამწიფდა, დავკუშნე მიწა და შევსტყორცნე, კაკალს ჩამოვაგდებ-მეთქი და მიწა ზედ წვერზედ ლება ნიგოზს მიეწება და ასეთი მოედანი გაკეთდა ზედ, რომ თვალუწვდომი. მამაჩემმა პური დაათესვია და შვენიერი პური შეიქნა. როდესაც დამწიფდა, გამაგზავნა მოსჭერიო. რა ჩავედი შიდ, ვნახე საშინელი ველური ტახი ჩასულიყო. ხელში არაფელი არ დამირჩა ნამგალის მეტი, შეუტყორცნე ნამგალი, გამოესო კანჭაზე. იბრუნა ტახმა და სჭრა პური და ვეონე მე, იბრუნა და სჭრა და ვეონე. ის დიდი მოედანი პური მან მოსჭრა და მე ვეონე. ხელმწიფეო, ტყუვილი თქვენთან არ იყადრება და მართალი ეს არისო. ხელმწიფეს გაეცინა და მაღლობა უთხრა, პატივისცემით გაისტუმრა.

ერთი-ორი ბია მქონდა, სამი-ოთხი ბროწეული, ღმერთმა ყველას მოგახმაროს მამითქვენის მოწეული.

გ ა მ ო ც ა ნ ა

უსულოთა მდებარენი ბორკილში-და განეყრების, უთვალავად დაეწყობის მალ-მალ პირსა აეღების,

ან ორსული მუცელ-მსხვილი პირს ეცემის, გავარდების, გასუქდება, დაშვენდების.

ა ხ ს ნ ა

ორი ვარსკვლავი დამედარა, როდეს მივყოთ მასაც ხელი,
აბრეშუმის ასე იქმნა ხამ-კანაფი ანუ სელი,
პირველ ამის ხელოვნებით თქვენ ყოფილხართ უფრო
ბრძენი,
და ამის მეტი ვერ ავხსენი, ვგონებ იყოს რაც რომ ქსელი.

III.

მზის დედა

იყო და არა იყო, იყო სამი ძმა ხელმწიფის შვილები და
ყავდა სამი დაი. მოილაპარაქეს ამ სამმა ძმამ: ჩვენ შორს რათ
მივალთ ცოლის სათხოერათ, შინ გვყავს და ის შევირთოთ.
ერთმანეთში ეს მოუბნება მოეწონენ, მარა დებმა ნებაზე არ
დაყვა. ძალა დაატანეს და ორი უფროსი დაიყოლიეს ნებაზე.
უმცროსმა თავი სასიკვრილოთ გადადვა, არ ქნა. უცროსი და
უცროსი ძმის წილი იყო, და უცროსმა ძმამ ჯაჭვი მისცა ხელ-
ში და უთხრა: წაიღე აგი წყაროზეო, იმდენი რეცხე, რომ მტრე-
დისფერათ გადააქციეო. თუ ეს შეიძელ, არ შემირთო. ისეთი
თოვლი და სიცივეა. სამი წლით წაიღო მდინარეზე საწყალმა
ტირილით. ბევრი რეცხა, მარა მტრედისფერათ არ იქცა.
დასწვა ხელი და ფეხი სიცივმა და თქვა: ღმერთო, რა ვქნა,
მოწყალეო, ჯაჭვი ვრეცხე, მარა მტრედისფერათ ვერ გადა-
ვაქციეო, სად წავიღეო? შამოჯდა მტრედი მაღლა და გაღმო-
უგდო თავის ფრთა — ეს წაუსვი და ჩემფერი იქნებაო.
წაუსვა ჯაჭვს და მტრედისფრად შეიქნა. წამოიღო შინ სი-
ხარულით: ეგონა ამით მოვრჩებიო, მარა რომ მოიტანა, გამო-
ექიდა უმცროსი ძმა, — მისდია, ირბინა საწყალმა იმდენი,
რომ მათ სახელმწიფოს გაშორდენ და სხვა სახელმწიფოში
შევიდენ. ქალმა ერთი ექლესია დაინახა, მიირბინა, ექლესიას
გარზე ხელი კრა, კარი გაიღო და ჩაიგდო კარი. ეს ძმა მისი
გარედ დარჩია და გაბრუნდა შინისკენ. ეს ქალი დარჩია ექლესი-
აში და ნახა, რომ კუსხო იდგა, შეძვრა ამ კუბოს ქვეშ და კუ-

ბოს გადასაფარებელი ქონდა, ფარჩით დაბურული მუზეუმი და ის ჩამოიტარა და მით თავი დაიმალა. თურმე მიწა კუნძულში ერთი ხელმწიფის შვილი იყო: დღე მოკვდებოდა და ღამე გაცოცხლდებოდა. მის დედ-მამას მეტი შვილი არ ყოლოდა, და მისს დედ-მამას მიწაში აეგენ სახლი და ისე ბნელში ცხოვრობდენ. ამ ხელმწიფის შვილის ღამე გაცოცხლება ერთმა ღვდელმა შეუტყო, სხვას არავის გაეგო და იმისთვის არ დაემარხა. ყოველ ღამე, შვა ღამის უამს, საჭმელს მიუტანდა და საიდუმლოდ ამ მკვტარს ინახვიდა. რა ეს ქალი დარჩა აქ, კუბოს ქვეშ ღამალული, ღვდელმა ჩვეულებისამებრ პური მიუტანა მიცვალებულს და დაუტია. ღვდელი წავიდა, წამოჭდა მიცვალებული და პურს ჭამა დაუწყო. ხელიდან ფინჩხი რო გაუცვინდა, საწყალმა მშეერმა ქალმა გამოყო ხელი და აიღო-ჭამა: ხელმწიფის შვილმა დაინახა რა თეთრი ხელი, ეოცა, კუბოს ქვეშ რა ზისო და პური მოსტეხა და მართლა დაუგდო. გამოსწია ხელი და კიდევ აიღო. კიდევ უფრო გარელე დაუგდო პური, მართლა ხელი გამოსწია პურის ასაღებად; მოსტაცა ხელი და ქალი დაიჭირა. ნახა, მშვენიერება ქალი იყო. კითხა: შენ, შენ ამ კუბოს ქვეშ რათ იყავიო? ქალს ყოველივე თავის ამბავი აანბინა და შეებრალა. მანაც თავის ანბავი უანბო. მე ხელმწიფის შვილი ვარო, ჩემ დედ-მამას ჩემს მეტი შვილი არ ყავდაო, სასოებით მზრდიდენ, ყოველ დღისათვის მოედანზე ვბულთაობდი, მშვილდ-ისარს არაფერს ვაცთუნებდიო. ერთი ხასიათი მქონდა, მზის ჩასვლისას მზეს მშვილდ-ისარს ეცსროდიო. ის მიწყინა ღმერთმა თუ რავარც არის, დღით მოვკეტები და ღამით გავცოცხლდებიო. ეს ამბავი ჩემი მოძღვრის მეტმა არ იცის და არც მსურს რომ ვინმემ გაიგოსო. ჩემი მოძღვარი ისე საიდუმლოთ მინახავს, ყოველ ღიმით საჭმელს მომიტანს, ასე ვარო. ახლა შენ ჩემი ბედის ხარო. მე რომ ის საჭმელი მომივა, ორივეს გვეყოფაო. ღამით ერთად ვიყოთ და დღით მე კუბოში უნდა ჩავიდე, შენ კუბოს ქვეშ თავი შეინახე.

იყვნენ ამ სახით. გავიდა ცოტაოდენი დრო. ქალი დაორსულდა, და როცა შობის დრო მოაწია, თქვა: რა ვქნა, სად უნდა მოვილოგინოვო. უთხრა ხელმწიფის შვილმა: წადი ჩემს სასახლეში, თუმცა ჩემი დედ-მამა მიწაში არიან, მარა მოსამ-სახურები არიან, იმათთან მიდი და ჩემი სახელი აფიცე —

თქვენი სიმონის მზეს სამადლოთ, თქვენს სახლში მომალო-
გინე-თქო. სასახლეში მწევრებია საშიშარი, მარა შეკედი მის
ცა: ხელზედ წამოიცვი, რა მიხვალ, მწევრები შეგესხმის, ეს
ბეჭედი უჩვენე — სიმონს გაფიცებ, დამეხსენი-თქო. როგორც
ჩემს სახელს მოიგონებენ და ამ ბეჭედს დაინახვენ, იმწამს
დაგეხსნებიან, ჩათვის ყურყულს დაიწყებენ.

წავიდა ქალი, ბეჭედი ხელზე წამოიცვა, გამოიყითხა გზა
და ასწავლეს. რა მივიდა სასახლეში, საშიშარი ძალები გა-
მოესხა. ქალმა ბეჭედი უჩვენა, — სიმონს გაფიცებ დამეხსე-
ნითო. რა სიმონის სახელი და ბეჭედიც დაინახეს, ძალები
მათვის წავიდენ, ყურყული დაიწყეს. ამ ამბავზე მოსამსახუ-
რებიც(!) გამოვიდნენ, ქალი ეუცხოვენ. უთხრა ქალმა; მე
უცხო და გაჭივრებული ვარ და თქვენი სიმონის მზესა, თქვენ
სასახლეში დამალოგინეთო. სიმონის სახელის ხსენებაზე დი-
დი ტირილი შექნეს, წავიდენ, დედოფალს მოახსენეს: ერთი
ქალი მოვიდა, დიალ მშეენიერიო და სიმონს გვაფიცებსო,
თქვენ სასახლეში დამაყენეთო და მომალოგინეთო, უცხო და
გაჭივრებული ვარო. დედოფალმა სიმონის ხსენებაზე იმდენი
იტირა, თავ-პირი დაიმტვრია, მერმე ბრძანა, დააყენეთო,
ყური უგდეთო.

წაიყვანეს ერთ ოთახში და დააყენეს. როცა შობის დრო
მოვიდა, მორჩია ქალი — გაუი ეყოლა, მარა ვინ უგდებდა სა-
წყალს ყურს: საგებლად ჩალა დაუგეს, საბნის ნაწეკვი და-
ხურეს, ნაბდის ნაწეკვი თავქვეშ დაუდვეს, შვა ღვინო ასვეს,
შავი პური აქამეს. ყმაწვილი ძველ ძონძში შეხვიეს. ერთი
მოახლე დააწვინეს მის ოთახში. სიმონ ყოველ ღამე მოაკი-
თხავდა რა რომ ქალი დალოგინდა. რა ყოველი კაცი დაიძი-
ნებდა, მაღლიდან გაღმოდგებოდა და დაუძახებდა:

— ქალო, მზე ყვავილოვო!

ქალი დაუძახებდა:

- სიმონ ბატონიშვილოვო!
- როგორ შენ და როგორ შენი ძეო?
- ჩალაზე მე და ძონძში შენი ძეო.
- ქვეშ რა გიგიაო?
- სამი ლერი ჩალაო.
- ზედ რა გხურავსო?
- საბნის ნაწეკვაო.

- თავქვეშ რა გიძევსო?
- ნაბდის ნაწეკვაო.
- საჭმელი რა გაქვსო?
- პურის ნაქოტაო.
- სასმელი რა გაქვსო?
- შუა ღვინოვო.

— ვაი დედაჩემსო, ვაი მამაჩემს და უფრო გადიაჩემსო! არ იციან შენ ვინ ხარ, თვარა ასე არ გიზმენო.

ეს გაიგონა გოგომ, შით რომ იწვა, და გამდელს უამბო. გამდელმა არ დაუჯერა. მეორე ღამეს კიდევ მოვიდა, კიდევ გამოიკითხა და ქალმა კიდევ ისე უბასუხა. მოახლემ ყველა უყურა და გამდელს უამბო. კიდევ არ დაუჯერა გამდელმა, მარა გოგომ არ მოეშვა, უთხრა: გამდელო, საშინლობა რამ არისო. ამელამ ერთი მოდი, დაწევი და უყურე და მაშინ შეიტყობო; დააჯერა რავაც იყო. გამდელი ჩუმათ დაწვა და ზა შეიქნა შუალამე, ჩვეულებრივ გადმოდგა მალლიდან და დაუძახა:

- ქალო, მზე ყვავილოვო!
- რა, სიმონ ბატონის შვილოვო?
- როგორ შენ და როგორ შენი ძეო?
- ჩეჩქზე მე და ბურდანში შენი ძეო.
- ქვეშ რა გიგიაო?
- სამი ღერი ჩალაო.
- ზედ რა გახურავსო?
- საბნის ნაწეკვაო.
- თავქვეშ რა გიძევსო?
- ნაბდის ნაწეკვაო.
- სასმელი რა გაქვსო?
- შუა ღვინოვო.
- საჭმელი რა გაქვსო?
- პურის ნაქოტაო.

— ვაი დედაჩემს, ვაი მამაჩემს და უფრო გადიასო! არ იციან შენ ვინ ხარ, თვარა ასე არ მოგეპყრობიანო!

ეს გამდელმა მოისმინა, დილას დედოფალს მოახსენა. ბევრი იტირეს. რა ტირილით დაიღალენ, ბძანა დედოფალმა: პატივი მიეცით, ტურფა საგებელში დააწვინეთ, თეთრი პური და კარგი ღვინო მიართვითო, ბოვში წმინდა სახვეველში შე-



ხვიეთ, კარგი პატივი ეცითო. მოსამსახურეებმა ეს აპრენდენტი
შეასრულეს. იმ ღამეს გამდელი კიდევ იქ დაწვა ჩუმათ. ოთ
ყველას დაეძინა, მოგიდა და დაუძახა:

- ქალო, მზე ყვავილოვო!
- სიმონ ბატონიშვილოვო!
- როგორ შენ და როგორ შენი ძეო?
- კარგათ მე და კარგათ შენი ძეო!
- ქვეშ რა გიგიაო?
- ტურფა საგებელიო.
- ზედ რა გხურავსო?
- ტურფა საბნებიო.
- თავქვეშ რა გიძევსო?
- ტურფა სართუმლებიო.
- საჭმელი რა გაქვსო?
- თეთრი პურიო.
- სასმელი რა გაქვსო?
- კარგი ღვინოვო.
- ძესა შენსაო?
- წმინდა სახვეველიო.

— კი არ გითხარ მე შენო, თქვენ არ უცვნიხართ იმათო.

ესეც რა მოისმინა გამდელმა, დედოფალს მოახსენა: დე-
დოფალო, ნახე ერთი, წამობრძანდი, უყურე. იმ ქალს ვთხო-
ვოთ, ეგებ ჩვენც გვიჩვენოს რა არის.

დედოფალმა ამ ამბით დიდათ შეზარდა. არც გულმა დაუ-
ჯერა, მარა ამ გამდელმა იმდენი იმეცადინა, ნებაზე მოიყვანა.
იდგა დედოფალი, მოვიდა ქალთან; რაც შეიძლებოდა მისი
მწუხარებისაგან იმეცადინა და ქალს ტკბილი საუბრით შე-
ექცა, ბოდიში მოითხოვა, რომ პატივი ვერ სცა მწუხარების
გამო. მერმეთ განუცხადა და სთხოვა დიდი სიყვარულით;
შეილო, შენი ამბავი გვაცნობევო, ვინ ხარ, საიდან მოხვალ,
ან ის ვინ არის, შენ რომ ღამე გელაპარაკებაო. ჩვენ ნურას
დაგვიმალავო, — ამას დიდი ვეღრებით და ტირილით ეხვეწე-
ბოდა.

ქალი ძლიერ შეწუხდა სიმონის ამბის მბობას, რაღგან სი-
მონ იმალვიდა თავს; მარა დედოფალს ვარი ვერ კადრა, სულ
ყოველი ფერი თავის ამბავი უამბო, მასთან, სიმონის ღამე
სიცოცხლე განუცხადა, მასთან მოსვლა და ამბვის კითხვა.

უბრძანა დედოფალმა: ჩამე ფერად მოიტყუე, რომ მოკლეს /
ამეღამ, შენთან მოიწვიეო. ქალმა მიუგო: თუმც და გადასახადო
გეცდებიო, მარა თქვენი ბრძანება თუ აქ შეიტყო, არ ჩაძო-
გაო. აქ ბრძანდებოდეთ, მარა ჩუმათ, მან არ შეიგნოსო.

იმ ღამეს დედოფალმა იქ მოისვენა. რა შუალამე შეიქნა,
შოვიდა და მოიკითხა: რავა კარგა მშვიდობითო? ქალმა უთხ-
რა: კარგა და მშვიდობით გახლავარ, შენი ძე კარგათ არის,
მოდი ერთი, ნახეო.

სიმონ უარი უყო, მარა ქალმა ძლიერ შეეხვეწა, იმდენი
ეხვეწა, მის ნებაზე მოიყანა. ჩამოვიდა, ბოვში ნახა, საგე-
ბელი და პატივის ცემა ქალის მოეწონა, დედ-მამას დაუმად-
ლა. იმ დროს დედოფალი უეცრათ მოეხვია კისერში და ტი-
რილი და მხიარულობა ერთმანეთს შეაერთა: შვილო, ჩვენ
რათ გვემალვიო, ღამით თუ ცოცხალი ხარ, რათ ჩვენთან არ
ხარო? მარა მან უპასუხა: რა საჭიროა ჩემი ღამით სიცოცხ-
ლე, რაღვან დღით მჯვრიარი ვარო. ან გამოჩენა ჩემი რავა
იქნება, ჩემი სახლი და ლოგინი საღაც არის, იქ უნდა ვიყო-
ვო. იმ ღამეს დედასთან კი დარჩა დედის მორიდებით. გათენე-
ბის ღროს წავიდა. ბევრი ეხვეწა დედამ, მარა არ მოუცადა,—
რათ გინდებვართო. ეს ჩემი ცოლი და შვილი არისო და პა-
ტივი ეციოო, და წავიდა.

რა გათენდა, ბოვშისთვის ძიძა მოიყვანეს და ზღიდენ
დიდი პატივით. ქალი რა ლოგინიდან ადგა, დედოფალს მოახ-
სენა: მე უნდა წავიდე ჩემი ქმრის წამლის საძებრად. ან უნდა
ვიპოვნო მისი წამალი ან უნდა თავი გადავატანოვო. რკინის
ჭოხი და რკინის ქალაბანი მომიტანინეთ, სანამ ის არ დაილევა
უნდა ვიაროვო.

გააკეთებინეს რკინის ქალაბანი, რკინის ჭოხი ხელში დაი-
კავა, ქალაბანი ფეხშე ჩაიცვა, ახსენა სახელი ღვთისა და წავი-
და, შორი გზა გაიარა, უცხოს ქვეყანაში შევიდა და ნახა
ერთი ქალი. სახლი გამოეხვეტა და ნაგავი რომ გამოეყარა, იმ
სანაგვეზე გაჩერებულიყო, გასაქანი ღონე არ ქონდა. იმ გა-
ჩერებულმა კითხა იმ მგზავრს: სად მიბრძანდებიო ამისთანა
უცხოთ მორთულიო? ამან თავის ამბავი უამბო: ჩემი ქმარი
დღით მოკვეტება და ღამით გაცოცხლდებაო და იმის ამბის
საკითხავათ მზის დედასთან მივალ, თუ კიბე ვიშოვეო. სთხო-
ვა იმ ქალმა: ღვთის გულიზა ერთი ჩემი ამბავიც იყითხეო:

ნაგავი გადავყარე და აქ რომ რაცხამ გამაჩერა, სახლში გურ
შევედი, ვარ ამ სატანჯველშიო და რამე ამბავი მომირტულო.
კარგი იქნებაო, — გაიარა და წავიდა.

— სხვა უცხო ქვეყანაში შევიდა — ნახა ერთი ქალი, უცხო
ძეირფასი ტანისამოსით მორთული იყო და აფევევდა პურს
და იქცეოდა ნაცრად. იყო მწუხარე დიდათ. რა ეს მგზავ-
რი ნახა, კითხა: სად მიბრძანდებიო, ასე უცხოდ მორ-
თულიო? ამან თავის ამბავი უამბო — მზის დედასთან მივალ,
ეგებ რაიმე წამალი ვიპოვო, თუმც კიბე ვიშოვევო. იმან და-
ლოცა და უთხრა: ღმერთი შეგეწევის, ერთი ჩემი ამბავიც
იყითხეო, პურს ვაფევივ და ნაცრათ იქცევა, შვილები შიმში-
ლით მეხოცებიან და რამე ამბავი მომიტანეო. კარგი იქნე-
ბაო, — გაიარა და წავიდა.

იარა, ბევრი უცხო ქვეყანა გაიარა, ერთ ქვეყანას მივიდა
და ნახა მუშა [კაცები] თესვიდენ პურს და თოხსაც რკინის
ტარი ეგო, ცულდასაც და წალდასაც პირი და ტარი ორივე რკი-
ნა იყო. ამოვიდოდა პური მშვენიერი და რა თავის ყრაზე მი-
აწევდა, თავს არ იყრიდა, გახმებოდა. იყვნენ მწუხარე. რა ეს
ქალი ნახეს, ეცცხოვენ და კითხეს: სიდან ბრძანდებით და
ან სად მიბრძანდებით ასე უცხოთ მორთულიო. ქალმა თავის
ამბავი უამბო, — ახლა მზის დედასთან მივალ თუ კიბე ვიპო-
ვეო. ღვთის გულისათვის ერთი ამბავი ჩვენიც იყითხე, რა
ამბავია ჩვენ თავზე: ვთესავთ და ნაყოფი არაფერი მოგვდი-
სო; რამე ამბავი მოგვიტანეო. ქალმა უთხრა, — კარგიო და
წავიდა.

მრავალი ქვეყანა მოვლო და ერთი ხელმწიფის სასახლეში
მივიდა. იქ დედოფალი ირჩება, მშობიარობს სამი წელიწადია,
არც მორჩა და არც მოკვტა. წესს ოქროს ტანტზე და ოქროს
ქსოვილებზე. რა ეს ქალი ნახეს, კითხეს სად მიმავლობა. ქალ-
მა უამბო ყველაფერი. სოხვეეს: ღმერთი მშვიდობით მოგი-
ყვანს, ჩვენი ამბავიც იყითხე — სამი წელიწადია დედოფალი
მშობიარობს და არ მორჩაო, რამე ამბავი მოგვიტანეო. ქალმა
უთხრა: დიალ კარგი იქნებაო.

წავიდა, ბევრი გზა გაიარა და ნახა ერთი ირემი, — რგო
ცამლი აწეულია და ტუჩი მიწაზე გასაქანი არ აქვს ცასა და
შიწას შვა, ისე გარჩენილა. მივიდა ქალი, ნახა ირემი, დიდათ
გაუკვირდა, კითხა: რა დაგმართიაო? ირემმა უთხრა: ამისთანა

განსაცდელში ვარ, ცასა და მიწას შვა გაკეტებული ვარო  ვიტანჯებით! შენ ვინ ხარ, ასე უცხოთ მორთული მუსიკით ქალმა მოუყვა თავის ამბავი: ჩემი ქმარი დღით მკვტარია და ღამით ცოცხალი, ქვეყანაზე მისი მკურნალი აღარ იშოვება და ახლა მზის დედასთან მივალ, მარა კიბე ვერ ვიშოვეო. ირემმა უთხრა: ჩემი რჯლი ცამდი აწეულია, ხელავ გასაქანი არ მაქვს? აღი ამაზე და თუ ღმერთმა მშვიდობით მიგიყვანოს, ჩემი ამბავიც იკითხეო. ქალს დიდათ იამა, ამ ამბავს ვკითხავ რასაკვირველიათ! დაიწერა პირჯვარი და გავიდა.

იარა, იარა, მრავალი დრო-უამი გავიდა და რამოდენს ხნის შემდეგ ავიდა. მივიდა მზის დედასთან. რა მზის დედამ ქალი ნახა, დიდათ ეუცხოვა. კითხა: შვილო, სიდან მოსულხარ, ვინ ნახა ადამის შვილი აქ მოსრულიო? მოუყვა ქალმა თავიდან ბოლომდინ, თავის ამბავი თითო-თითოთ უამბო: ჩემი ქმარი დღით მოკვტება და ღამით გაცოცხლდებაო, ქვეყანაზე ჭისი მკურნალი არ იშოვებაო და თქვენთან გიახელიო, მოწყალებას გვედრებიო. სხვა რაც გზაში ენახა, უველა მოახსენა. მზის დედას დიდათ შეებრალა, დიდი პატივი სცა, როგორც შეფეროდა მის მგზავრობას, ისე მოუსვენა. უთხრა: შვილო, დიდათ დასჯილხარ, მებრალებიო, მარა ახლა მზე ქვეყანაზე წაბრძანდაო, რომ მოვა შენ იმას ვერ ნახავ, უნდა დაგმალოვო. მისს მცხუნვარე სახეს შენ ვერ გაუძლებო. მე გამოვკითხავ ყოველივე ამბავსო.

მზის დედამ მზის მოსვლა რომ სცნო, ქალი განჯინაში დამალა, მრავალი სხვაც მიაფარა, სიცემ არ შეაწუხოსო. მობძანდა მზე და დედას პირის საბანი წყალი მოსთხოვა, დედამ წყალი თავის ხელით მიართვა. რა პირის ბანა დაიწყო, მზემ თეთი მან ქვეყნიერობის ამბავი მოაყოლა:

— დედა, მე ერთი საკვირველი ვქენი.

— რაო, დედაო, — დედამ ჰქითხა.

— რაი და, ერთი ხელმწიფის შვილი ყოველ წამოსვლის დროს მშვიდე-ისარს მესროდა და დღით მოვკლავ და ღამით გვაცოცხლებო.

— დედა, მერე აწ იმას რა ეშველებაო?

— ჩემი პირის ნაბანი წყალი რომ ჰქონდეს და გადააროს კაცმა, მორჩება, მეტი არაფელი არ ეშველებაო.

რა ეს მზის დედამ მოისმინა, ეს პირის ნაბანი თუნგმი ჩა
ასხა და შეინახა ჩუმათ.

— ერთი საკვირველი კიდევ ვქენიო!

— რაი დედაო?

— ერთმა დედაკაცმა იიჩემა და ყოველ ჩემ წამოსვლის
დროს სახლს გამოგვიდა და ნაგავს მომაყრიდა, და გავაჩერე
იქ და ქეა.

— დედა, აწი რა ეშველებაო?

— იმის ალთქმა დადვის, რომ საღამოს სახლი არ გამოხვი-
ტოს და აუშობო. ერთიც საკვირველი კიდევ არისო.

— რაი დედაო?

— რაი დედა და, დედაკაცს ჩაუცვამს ოქროს ქსოვილება
და აფქვევს პურს და ნაცრად იფევაო.

— დედა, აწ რა ეშველებაო?

— ძველი რამ მცირეთ ჩაიცვას და პურად იფქვევაო. კი-
დევ ერთი საკვირველი არისო.

— რაი დედაო?

— ერთ ქვეყანას თოხს, ცულდს და წალდს პირიც რკი-
ნა არის და ტარიცო. თესვენ, ნაყოფი არ მოუგიდის და ცოლ-
შვილი შიმშილით ეხოცებაო.

— იმას რა ეშველებაო?

— დედაო, პირი რკინის ჭინდენ და ტარნი ხის დააგონ,
ნაყოფს გამოიღებსო. ერთიც საკვირველი არისო.

— რაი დედაო?

— რაი და, დედოფალი დაწოლილა ოქროს ტახტზე ოქ-
როთ ქსოვილ ქვეშაგებში, სამი წელიწადია შობიარობს და
არ მორჩიაო.

— იმას რა ეშველებაო?

— დედაო, ტახტიდან ჩამოვიდეს, მცირე საგებელი დაი-
გოს და მორჩიებაო. ერთიც კიდევ ვქენი საკვირველი.

— რაი დედაო?

— იჩემმა ააფჩინა პირი და არც საათი გააჩდა, არც წა-
მი გააჩთა, სულ ყვიროდა, ყურთა სმენა აღარ იყოვო. რჯლა
იმ ზომა გაუზარდე, რომ ცასა და მიწას შუა გავანგეხე და
ქეა, სანძრაობა არ იქვს.

— იმას რა ეშველებაო,— დედამ ჰქითხა.

— დედაო, ალთქმა დადგას, რომ ეკენისთვის მეტარეზე ასეთი იყვიროს და ქე აუშობო.

ეს ქალს სულ ეყურებოდა. მზე რომ ქვეყანაზე წამოვიდა, მზის დედამ განჯინის კარი გააღო, ქალი გამოვიდა და უთხრა: შვილო, ხომ გესმოდა ყველა, რაც ამბავი იყოვო? ამის პირის ნაბანი წაიღე და წადიო. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცესო. ქალი დიდი სიხარულით წამოვიდა, თუნგით მზის პირის ნაბანი წამოილო. თითო თვის სავალი თითო კვირეს იარა სიხარულით. რა ქვეყნიერათ ირემმა ნახა, დიდათ გაიხარა — ჩემი ამბავი რა მომიტანეო. ქალმა უთხრა: ალთქმა დადევი ეკენისთვის მეტათ არ იყვიროვო. ირემმა აღითქვა, ენკენისთვის მეტათ არ ვიყვიროვო და იმწამს აიშვა ირემი. ქალი სულ სწრაფად იარებოდა და ხელმწიფის კარზე მივიდა. რა ნახეს, გაიხარეს და მოსვლა მიულოცეს. კითხეს: ჩვენი ამბავი რა მოიტანეო? ქალმა უთხრა: დედოფალი ოქროს ტახტიდან ჩამოიყვანეთ და მცირე ქვეშაგები დაუგეთ და მორჩებაო. დაუგეს დაბლად მცირე საგებელი, იმწამსვე მორჩა, — ვაუი ეყოლა. მოვიდა მუშა კაცებთან და რაი ცნეს ქალი, მოეგებენ, მოსვლა მიულოცეს, ჩვენი ამბავი რა იციო. უთხრა ქალმა: ხის ტარი დააგეთ ყოველ თქვენ სახელოვანოს და ნაყოფიერი იქნება თქვენი მუშაობაო. დააძვრეს რკინის ტარი და ხის დააგეს, ისეთი ნაყოფი მოუვიდათ, — ერთი წლის ნამუშევარზე ხუთი წლის სამყოფი. პურს რომ აფქვევდა, რა დაინახა, მოეხვია, მე რა ამბავი მომიტანეო. უთხრა ქალმა: გაიძვრე ეს ძვირფასი რომ გაცვია და მცირე ჩაიცვი და პურად იფქვევაო. ჩაიცვა მცირე ტანისამოსი და დააფქვია პური. მოაწია სანაგვეზე რომ ქალი იყო გაჩერებული და კითხა, მე რა ანბავი მომიტანეო. უთხრა: ალთქმა დადევი, მზის ჩასვლის დროს სახლი არ გამოხვეტო, მზეს ნაგავი არ მიაყაროვო. იღუთქვა და იმწამსვე სახლში შევიდა. ეს წამოვიდა დიდი სწრაფი სიარულით, მოვიდა თავის სასურველ სასახლეში. რა მოვიდა, შექნეს უზომო სიხარული. ეს პირის ნაბანი მოიტანა, თავის ქმარს გადაარო, გაცოცხლდა და ხელმწიფემ და დედოფალმა თავის ტახტი შვილსა და რძალს დაულოცა. იყვნენ დიდს ლხინში და სიხარულში.

სანთელი და საქმეველი ზეცას აანთო ღმერთმაო,
და აწ ბატონო მოისვენეთ, ძილი გაამოსთ ღმერთმაო.

გამოცანა

სიბრძნემ თავისი თვისისა სახლი იშენა გებული
 მას შვიდი სვეტი შეუდგა შვიდივე წმინდად გებული
 სიკვდილით მოქლა სიკვტილი შემუსრავს განრისებული
 და ამისი ახსნა თქვენგან მწადს, ვიცი კაცი ხართ მცნებული.

ახსნა

სიბრძნე ქრისტეა და სახლიუბიწო მისი მშობელი,
 თვით შვიდნი საიდუმლონი ყო მტერთა დასამხობელი,
 სიკვდილი ჯვარცმა ქრისტესი ყო მტერთა დასამხობელი
 და თვით მცნობსა ცნობა გებრძანა რას კადრებ მე უცნობელი.

IV.

მეფეს ცოლი გაუთხოვდა

იყო და არა იყო, იყო ერთი ხელმწიფე და დედოფალი.
 დედოფალი მეტად მშვენიერი იყო, მარა ხელმწიფეს ცოლი
 ფარულად ყავდა. თუ ხელმწიფე შინ არ ბრძანდებოდა, დე-
 დოფალი გარეთ ვერ დადიოდა, ხელმწიფეს ერიდებოდა, თვით
 ცხრა კლიტულში იყო. ხელმწიფე თუ სამ წავიდოდა, ცხრავე
 უნდა დაეკლიტა და გასაღებსაც თვით ხელმწიფე ინახვიდა,
 ისე კრძალვით ყავდა. სხვანაირად ხელმწიფეს დიდი სიყვა-
 რული და პატივისცემა ჰქონდა, მაგრამ ვეზირს და დედოფალს
 დიდი ხნით ჰქონდათ ერთმანეთის მტკიცე სიყვარული, მარა
 ხელმწიფემ მათზე აზრი ვერ აიღო. გულში ეჭვი სრულებით
 არ ჰქონია. ვეზირმა და დედოფალმა დიდი ხნის სიყვარულის
 მექონოვობით, შეულლება მოინდომეს, მარა ჯვარის წერის
 ღონე ვერ მოიპოვნეს, თქვეს თუ ჩუმათ დავიწერეთ ჯვარი,
 ხელმწიფე რომ გაიგებს მაინც დაგვაცილებს ერთმანეთს! რა-
 მე ისე უნდა გავაწყოთ, რომ ჩვენს ქორწინებაზე ხელმწიფე
 წვიული გვყავდეს, ჩვენს ჭამაში იჯდეს. თუ ეს მოხერხდა,
 ხელმწიფეს ძალა არ ექნება, რადგან მისი თანდასწრებით იქ-
 ნება, მარა ეს რა ღონისძიებით გავახერხოთ? უბრძანა დე-
 დოფალმა ვეზირს: შენ ეს იმეცადინე, რომ შენი სახლიდან
 მოჟიდებული ჩემს ტახტამდი მიწაში გზა გამოაყვანიე, თუ
 ამას იქ მერმე ყველა კარგა მოხერხდება. ეს სიტყვა ვეზირს
 მოეწონა და თქვა: ეს ძლიანია ადვილადა იქნებაო. მოიყვანა



ვეზირმა მიწის მთხრელი. დააყენა, თვით მისი ლოგოტიპის მახასიათებელი რომ დააღვინა დედოფალის ტახტამდი იმისთანა შშეუძლებელი გზა გამოიყვანეს, რომ ერთი წამის გამავლობაში რომ წამოვა დედოფალი ვეზირის ტახტზე დაჭდება, გაბრუნდება ერთ წამში თავის ტახტზე დაჭდება. ახლა ვეზირმა დააგდო ხმა, ცოლი მომყავსო და ამზადებს საქორწილო სახლებს, დიდ ქორწილს ემზადება. ხელმწიფეს ესიამოვნა ძლიერ ვეზირის დიდი მზადება. რა მოახლოვდა დრო ქორწინებისა, დაპატიჟა ხელმწიფე, ნათესავი და ერთგული.

რა მოვიდა ვეზირის ქორწინების და წვეულების მოსვლის დრო, ხელმწიფემ დედოფალი ტახტზე დატია, მან გამობრძანდა, ცხრაი კლიტული ყველა დაკლიტა და გასაღები ჯიბეში ჩეიდვა. მივიდა ვეზირის სახლში, შეხედა, ვეზირის ტახტზე, — მისი დედოფალი ზის. ხელმწიფეს გულზე ლახვარი დაჭსო, მსწრაფლ გამობრუნდა, მოვიდა თავის სახლში. სანამ ის ცხრა კლიტულს გააღებდა, მანამ დედოფალი მოსვენებით ტახტზე დამკდარი ნახა. გაბრუნდა ჩქარა, მივიდა ვეზირის სახლში, შეხედა, — დედოფალი ზის. წამოვიდა უფრო სიჩქარით, გააღო კლიტულები, შევიდა, — დედოფალი ზის მოსვენებით! შეწუხდა ხელმწიფე, და კიდევაც შერცხვა დედოფლის! გაბრუნდა ვეზირისას, დედოფალიც წავიდა. ხელმწიფის მისვლამდი დედოფალი ადრიდან მივიდა, დახვთა, ხელმწიფეს თავზე ზარი დაეცა... შეხედა ამ დედოფალს — ბეჭდები მისი ცოლის აცვია ხელზე, საყურე მისი ცოლის აქ, ყოველი ნივთები მისი ცოლის არის, ტანისამოსი, თვალ-ტანადობა, ყოველივე მისი ცოლის არის. ხელმწიფე თავზარდაცემული, ფერმიხდილი დაბრუნდა სასახლეში. დედოფალიც წამოვიდა ხელმწიფის მოსვლამდი, კიდევ თავის ტახტზე დახვთა. რა ხელმწიფემ შამოვიდა ფერმიხთილი და გამცბარი, კითხა დედოფალმა: ხელმწიფევ, რავა მალ-მალე დაიარები, როგორ ფერმერთალი ხარ? აწ ჯვარისშერის დროა, არ დაესწრობიო? ხელმწიფემ ბრძანა: ბატონო, შენ ნუ მომიქვტები, აგერ გავგიუდებიო! ის ქალი სულ შენ გგავს პირითაც, ტანითაც, ტანისამოსიც სულ შენი აცვიაო, ყოველივე ნივთი, ბეჭდები შენი არისო და რავა არ გავგიუდებიო! გაიცინა დედოფალმა — ხმამაღლა: რატომ გაგვირევებია? ქალი ქალს ემსგავსება, ნივთი ნივთს ემვანება, ბეჭედი — ბეჭედს, ამაზედ რა დაფიქრდი? მე აქ ვარ, ის იქ

არის, ეს რა საფიქრებელია? ამაზე დარწმუნდა მეფე და მეფე და
და. დედოფალიც წავიდა, ხელმწიფის მისვლამცირე ჭკურიძე
დასაწერათ გამოემზადენ. ხელმწიფეც მივიდა, გაყვა ეპტლესი
აზე, ჯვარი დასწერეს, მოვიდენ შინ, გამართეს ლხინი, მარა
ხელმწიფე დიდათ დაფიქრებული იყო, რამოდენიმე ხანს იჯ-
და ქორწილში მწუხარებით, მარა ადრე წამოვიდა. რა მოვიდა
დედოფალი აღარ დახვთა... დიდის მწუხარებით და ტირილით
დაემხო იატაკზე, მარა სირცხვილით ძალადობა ვერ მოიხმარა,
რადგან თვით ქორწილში იქ იყო.

ისინი იქ იყვნენ ჭირში და ჩვენ აქ ვიყავით ლხინში.

V.

მამლის რჩევა

იყო და არა იყო, იყო ერთი კაცი ჩვეული ქურდობის. წა-
ვიდა ერთ ღამეს ჩვეულებრივ, გზაში წასკრა სისხლი ცხვირ-
ში. მოავლო ხელი მიწას და მოწიკვა ბალახი და კარგა დაიცა,
სისხლი არ გამოეშვა. გაიარა ცოტა გზა და მამალმა დაიყივ-
ლა: ქურდი მოვიდაო, მეორე მამალმა დაიყივლა, ქურდი მო-
ვიდა და ძროხაც წაიყვანაო, მარა სამი ცერის მეტი არ ააქო
ეს ამ კაცმა გაიგონა, ძროხას ძუძუშე ხელი მოარო, სამი ცე-
რის მეტი არ ქონდა მართლა; ამ კაცს გაუკვირდა, ცოტა გზა
კიდევ გაიარა და ძალლებმა ძლიერი ყეფა შექნეს, მამალმა
ძალლს დაუყივლა: იყეფე ძალლო, იყეფეო! თუ იყეფ, კი
გმართებსო!

ძალლმა დაუყეფა: ნეტა რა ანბავიაო?

მამალმა დაუყივლა: ერთის საათის განმავლობაში ქვეყანა
შეიძერისო.

ძალლმა მოპყითხა: რაისთვისო?

მამალმა დაუყივლა: ისეთი ლაშქარი მოდის, ქვეყანაზე
არაფერს დატიებსო. ეს ამ კაცს სულ ეყურებოდა, მარა ჩა-
უდგა გზას და მივიდოდა. ნახევარი საათის განმავლობაში
ისეთი ხმიანობა შეიქნა, სოფელი თლათ შეიძრა; მოდიან
ხიზანი, ქალი, ბოვშებით, თავის ულუფით, მოდენიან ჭოგს.
იმდენი ჯარი შეიყარა, გასარები გზა არ არის, კაცი და სა-
ქონელი არეულია. ამ კაცმა ძროხას ხელი გაუშვა და დარჩა
ცხვრის ჭოგში გარეული. მიდის ცხვრები და ეს კაციც მა-

დის. ერთი ცხვარი უკან-უკან რჩებოდა, სიარული დიდი /
 უჭირდა. წინ მიმავალმა ცხვარმა დაუპეტელა:

რავა უკან რჩებიო? რატომ არ ისწრაფი, ვერ ხედავ ქვე-
 ყანა იძრევაო?

უკანამ უთხრა:

ჩემი ამბავი რომ იცოდე, ასეც რომ ვიარები, გაგივირდე-
 ბაო, გაჭირებისთვის მოვდივარ თვარაო!

წინამ უთხრა:

რატომ გიჭირს სიარულიო?

მძიმე ტანი მაქო. ჩემმა ბატონმა რომ ჩემი ანბავი იცო-
 დეს, ჩემს მეტი არაფერი უნდაო, გაჭეოდებაო!

წინამ კითხა:

რის მქონებელი ხარ, რომ გააკეთებო?

უკანამ უთხრა:

ჯერ ერთი ფახარი(I) იმისთანა მაქ მუცელში, რომ *დაქ-
 ლას და გამოიღოს, რასაც საუნჯეში ჩადებს, თვალ-მარგალი-
 ტით, ოქრო და ცერცხლით ნიადაგ სავსე იქნებაო; ამას გარ-
 და, ძვლებს ჩემსას რომ დააშუობს, სულ ციხე-დარბაზი ქალა-
 ქად-სასახლედ იქცევაო. ტყავი ჩემი მოედანზე რომ გაიტა-
 ნოს და ათრიოს მიწაზე, სანამ ხელში არ ჩააღნება სულ სოფ-
 ლებად და მოსახლე კაცებად გადიქცევაო; მერმეთ რომ დად-
 ნება ის ტყავი, დამდნარი დადვას სარაიაში და მშვენიერი
 მზის უნახავი შეიქნებაო! თავ-ფეხი ჩემი დადვას და ნახავს
 მეორე დღეს, ორი მშვენიერი მწევარი იქნება მისი დიდი ერ-
 დგულიო, მარა ბოლოს ქალს თავის ამბავი არ უამბოს, თვარა
 მოკვრებაო.

ეს ამბავი ამ კაცს სულ ესმოდა, აიყვანა იგი ცხვარი და
 გასწია და წავიდა. იმდენი იარა, მათი ქვეყანა სულ დატია,
 სხვაც ბევრი იარა, ერთ დიდ მაიდანს იმისთანას მივიდა, ორი
 თვის სავალზე კაცი არ იყო. დადგა იქ, დაისვენა. მერმეთ ის
 ცხვარი დაკლა, ფახარი გამოიღო, ძვლები დააშუო იმ ად-
 გილს, სადაც სასახლეთ დაშვენდებოდა. ისეთი ციხე და დარ-
 ბაზები შეიქნა და მასთან ქალაქი, — თვალი უკეთესს ვერ ნახ-
 ვიდა. მერმეთ დაიკავა ტყავი ხელში და ათრია. იმ უკაცურ ად-
 გილს სულ სოფლებათ იქცა, სანამ ხელში არ ჩააღნა, არ მო-
 ეშვა. მერმეთ დადვა ოთახში და მეორე დღეს ნახა მშვენი-
 ერი ქალი იყო. თავ-ფეხი ერთს ოთახში დადვა ისეთი მწევრე-

ბი შეიქნა, სხვა ვერ შეედრებოდა. ეს ფახარი საუნკუმის მიმღება
და სულ თვალმარგალიტს დებდა. გახელმწიფდა კაცი. იხა-
რებდა და იშვებდა. მარა ცხვირში ბალახი რომ დაითესა, ის
აღარ ჰქონდა. თურმე პირუტყვის ენა იმის ძალით ესმოდა.
სხვა სიკეთე აღარ აკლდა, ის ქალი ცოლად ყავდა, მარა დი-
დათ დაფიქრებული იყო. ამაზე ფიქრავდა, სიდან მოვსულ-
ვარო, თავის თავს ეკვირებოდა, ტომ და ნათესავს არ ხედვი-
და. ფიქრავდა მარად და ეტყოდა ქმარს: შენ ასეთი კაცი სი-
დან შეიქნიო, ან მე სიდან მიშონეო? ვინ არის ტომი და ნა-
თესავი შენი და ან ჩემიო? ამაზე კაცი ხმას არ გაცემდა, მა-
რა უსაშველო იყო, დღითა და ღამით ამას კითხავდა, ხან ეხვე-
წებოდა, ხან ეგულისებოდა, ხან იტირებდა, მარა კაცმა რად-
განაც იცოდა — თუმც თავის ანბავს ეტყოდა, მოკვეტებოდა,
ამისთვის მაგრობდა, მარა ნამეტანი შეჭივრება დააყენა და
უთხრა ერთ დღეს, ერთი თვე მაცალე და გეტყვიო. ერთი
თვე გავიდა, უთხრა, — ახლა მითხარიო. ერთი კვირეც მაცალე
და გეტყვიო. გავიდა ერთი კვირე... მითხარიო, ერთი დღეც
მაცალეო. გავიდა ერთი დღე. ახლა მითხარიო. ხეალამდიც
მაცალეო. აცალა, მარა კაცი დიდათ შეჭივრებული შეიქნა.
თუ უთხრა, — მოკვეტება, თუ არ უთხრა, არ უსვენებს! დახ-
კიდა თავი, არის გონებაში. ძალლებიც დიდათ მწუხარე შე-
იქნენ — ესმისთ მათი ბატონის ამბავი. პური რომ მიართვეს,
თათები დაადვეს, დაწვენ ზედ, არ ჰამეს. იმ კაცმა ღმერთს
ევედრა: მომარჩინე ამ ქალის ხელიდან, რადგან გამაქეთეო.
ძალლმა რომ პური არ ჰამა, მამალმა მასხრობა დაუწყო:

— აჲა, ვაიო, ძალლს რომ თეთრი პური ქონდეს და არ
ჰამდესო.

ძალლმა უთხრა: რას მემასხრებიო, გულზედ სისხლი მე-
რებაო!

მამალმა უთხრა: რასთვისო?

— რასთვის და, ჩემი ბატონი ხვალ უნდა მოკვეტესო.

მამალმა უთხრა: რასთვის მოკვეტებაო?

— რისთვის და ქალმა უსაშველოდ მოეკიდა, თავის ამბავი
მიანბეო. თუ უამბო, მოკვეტება, თვარა არ უსვენებს დღე და
ღამე.

მამალმა თქვა: ის სასიკვტილე ყოფილა და მოკვეტესო.

— რა ქნასო, — ძალლმა უთხრა.

მამალმა თქვა: მე ოცდაოთხ დედალს უარო და შენადეგობა
ქალს რატომ ვერ მოუარაო? რომ კითხავს, ძალიანი გადაკრას
მათრახი და ქე მოშორდებათ.

ეს ძალლის და მამლის ლაპარაკი ამ კაცმა ყველა გაიგო-
ნა და გულში თქვა: მართლა ასე ვიქ. რაკი გათენდა, უთხრა
ქალმა: ახლა მითხარიო. ამ კაცმა კი მათრახი თან იქონია და
იმდენი ურტყა, სანამ არ დაიღალა. მერმეთ ქალი არღა კი-
თხავდა.

ისენი იყვნენ ჭირში და ჩვენ ვიყვენით ლხინში.

ა ს ა ხ ს ნ ე ლ ი

ერთსა მაიდანს მიღორსა ერთი ჩიტი რბის,
ყოველი კაცი იმას სცემს — სისხლი არა სდის.

VI.

*

ძალად მარჩიელი

იყო და არა იყო. იყო ერთი საწყალი ჩოფანიო კაცი, რომ
თავის დღეში კარში არ გამოსულა. იჯდა ნაცარში და ნაცარს
ქექდა. რძალი ყავდა და დიდათ უჯავრდებოდა, — აღექი, გა-
რეთ გადი, რამე იშოვეო, მარა არ უჯერიყო.

ერთ დღეს ძალადატანებით გამოაგდო გარეთ: წადი, ჩემ-
მა თვალმა არ დაგინახოსო.

წავიდა და ერთ მიღორზე გამოვიდა და ნახა მოგზაური ქა-
რავნები, დაესვენებიენ და დასძინოდენ, საქონლით დატ-
ვირთული აქლემები დაებენ. რა ეს ნახა, იფიქრა, — ამ აქ-
ლემებს გადავმალავო. ახსნა ერთი, წაიყვანა ერთ ტყეში, შე-
აბა, მოვიდა, — კიდე, ქე სძინვენ. მეორეც წაიყვანა, ისიც
მასთან დააბა, და რა მობრუნდა მეოთხედ, ნახა, რომ
გაუღვიძიან და თავსა და პირს იმტკროვენ, ყვირიან. კითხა ამ
ჩოფანომ: რა ამბავიაო, რა დაგმართიანო. შესჩივლეს, — და-
ღალული ვიყავით და აქ მოსასვენებელა გარდავხდით, დაგვეძი-
ნა და საქონლით დატვირთული სამი აქლემები მოგვპარესო,
საღათ წავიდეთო. საწყალმა ჩოფანომ ხრიყი ქე იცოდა ცო-
ტა, — სთქვა, მე მარჩიელი ვარ და თუ სამარჩიელოს მომ-
ცემთ, მე ამოვარჩევო. უთხრა ქარავანმა: თუმც ამოგვირჩევ,
ბევრს გაჩუქებთო. მაზედ ეჭვს ვინ შეოტანდა, ისეთი საბრა-
ლო იყო. მოკიდა მაჯაზე ხელი ერთს და უთხრა: თქვენი აქლე-



მები ჯერ დამალულია ტყეში, და თუ დაღამებამდე უკარისტოს ეთ და არ იპოვნეთ, დაღამდება და წაიყვანებენო, მერმე ვიღარ იპოვნითო! ქარავანშა უთხრა: სით ჩა ვეძიოთ, არ ვიცით! ჩოფანომ სითაც ეგულებოდა იქით ანიშნა, — ამ მხარეზე ეძიეთო. ნიშანზე დააყენა და წავიდენ, ეძიეს და ერთი საათის გამაელობაში ნახეს. ამ ჩოფანოს ბევრი აჩუქეს და დაუმადლეს. ქარავანი თავის გზაზე წავიდა და ეს თავის სახლზე მივიდა, რძალს მიუტანა, ეს ვიშოვნეო. რძალს დიდათ გაუხარდა, უთხრა: აკი გითხარი, გარეთ გასვლა გიჯობს-თქო, ახლა ხომ კარგია.

გავიდა რამოდენიმე დღე. ის ქარავნები თავის ქვეყანაში მივიდა. მათ ხელმწიფეს ერთი თვალი ისეთი დაეკარგა რომ დიდი ძვირფასი იყო და ხელმწიფეს ძლიერ ყვარებოდა. რა დაიკარგა, დიდათაც მწუხარე შეიქნა. ხელმწიფე ამბობდა, ვინც იმას მიპოვნის, რასაც მთხოვთ, იმას მოგცემთო.

რაკი ქარავნებმა გაიგეს ხელმწიფის ისეთი მწუხარება, მივიდენ და მოახსენეს: ხელმწიფეო, ჩვენ რომ საქარავნოს ვიყავით, ერთი მთარგმელი იმისთანა ვნახეთ, რომ მან აღმოგვირჩია და გვაპოვნინაო, თუ იმ მთარგმელს ვიპოვნით და მოვაძებნიებთო, უთუოდ ის ამოირჩევსო.

ხელმწიფემ ბრძანა სითქენ არის, რომ მოვაძებნიო და ვიპოვნოვო. ქარავნებმა ნიშნეულ სოფლის და კაცის მსგავსება თქვეს.

ხელმწიფემ გაგზავნა კაცი იმ მხარეზე და აძებნია. ნახეს, უთხრეს: ხელმწიფე გიბრძანებსო, მთარგმელი ყოფილხარო და ხელმწიფეს ერთი ძვირფასი თვალი დაეკარგა, ძლიერ უყვარდა, თუმც იმას ამოარჩევ დიდი წყალობას მოგცემსო!

რა ეს გაიგონა საწყალმა თავს ზარი დაეცა, დიდი იტირა, ივარა, წასვლა არ შემიძლიაო, რძალს ბრალობა დაუწყო, მარა ხელმწიფის კაცებმა ძალა დაატანეს, ხელი მოკიდეს და ძალით გამოიყვანეს.

რა ღონე ჟონდა, წავიდა. რა რომ სასახლეში მივიდა, დიდი პატივით მიიღო ხელმწიფემ, კარგ ოთახში დააყენეს. მარა მას ერთიც არ ესიამოვნებოდა, შიშით ძრშოდა საწყალი. სულ ხელმწიფის კარისკაცები შემოესიენ, უყურებდენ, რას იტყვისო. მაგ საწყალს ენა საოქმელად არ ქონდა. რა დაღამდა, ხელმწიფე შამობრძანდა, დაბრძანდა, ერთი კოლოფი შა-



შოიტანეს მქალი ჩაუსვენ შიდ გამოსაცადათ, თუ ამ საწყისში ის კოლოფი ჯერ სხვასთან მიიტანეს. ვერავინ ვერ თქვა, რა არისო. მერმეთ ამ საწყალს ჩოფანოსთან რაკი ეს კოლოფი შიიტანეს, ამოიოხრა საწყალმა და თქვა: აპა, რათ მომკალიო, სძალოო. რა ეს თქვა, ხელმწიფემ და სულ ვინც იყო მაყურებელი, ის იფიქრა, მქალი ამოხსნაო, კოლოფში რომ იყოვო, და ყველამ გაიკვირვა. ხელმწიფეს გაეცინა, დიდათ ესიამოვნა. თქვა გულში: რაღან ეს კი ამოხსნა, თვალსაც კი ამომირჩევსო. კოლოფი გახსნეს, მქალი ამოიყვანეს. იყო ერთი ამბავი. ეს საწყალი ამაზე კი მორჩა, მარა რომ გათენდება ეს თვალი უნდა ამოირჩიოს. მაინც მწუხარედ არის. თურმე ის თვალი ერთ ხელმწიფის მსახურს მოუპარავს და ამ ამბავს უყურებს, და რომ კოლოფიდან მქალი ამ ჩოფანოს სიტყვით ამოიყვანეს, შეშინდა დიდათ და თქვა გულში: რაღან ის ამოხსნა, ამასაც ამოხსნის! ფიქრავს და გონიბს რა ღონე მოგიძიოვო! რა რომ დაწოლის დრო შეიქნა, ამ ჩოფანოს წმინდა ქვეშაგებში მოსვენეს. იმდენი ეცადა იმ მსახურმა, რომელსაც თვალი ჰქონდა, იმ ოთახში თავი დაირჩინა, ის ჩოფანო რომ იწვა. რა ყველას დაეძინა, ადგა, მივიდა და უთხრა: მთარგმნელო, შენის ღვთის გულისათვის, მომეშველე რამეო. ხომ იცი თვალი მე მაქ, რამე მომიხერხეო! მან უთხრა: რავარც შეგხედე, მაშინვე შეგატყვეო, რით შამოგიაროო? შენი სიცოდვისათვის ამას ვიქ: შენ დილას რომ ადგე ის თვალი ბატს გადააყლაპიეო და იმ ბატს ფხარი მოსტეხეო. იმ ბატიდან მოგაჩენ და შენ თავისუფალი იქნებიო. ამ სიტყვით ქურდიც თავისუფალი შეიქნა და მომეტებულად გამხიარულდა მთარგმელი, ამ განსაცდელიდან განთავისუფლდა. იმ ღამეს ორივემ ტებილად იძინეს. რა გათენდა, მხიარულად ადგა მთარგმელი, მსახურმა წყალი მიართვა, პირი დაიბანა, პირგვარი გამოისახა და ამ დროს ხელმწიფემ მიიწვია მასიონ, უნდა ამოარჩიოს!..

მხიარულად ხელმწიფესთან შევიდა, უთვალავი ჯარი შემოკრბენ და უყურებენ, — რას ამოარჩევსო!

მთარგმელმა ხელმწიფეს მოახსენა: ხელმწიფეო, მე ამას მოგახსენებ, ის შენი თვალი ფრინველს რამეს გადაუყლაბევსო, თორემ კაცს არა აქვსო.

ხელმწიფემ ბრძანა: რა ფრინველია, ისხც ამოარჩიეო.

თქვა მთარგმელმა: რაც ამ სასახლეში ფრინველია, შეიღო
 მოდენეთო.

სულ მოდენეს ინდოური, ბატი, ქათამი, ნახა ფხარ-მოტეხი-
 ლი ბატი და თქვა: დაკალით ეს ბატი და გასჭარით, შიგანში
 აქ.

გასჭრეს და გამოიღეს მიართვეს ხელმწიფეს. დიდათ გამ-
 ხიარულდა. ამ ჩოფანოს სხვა წყალობაც უბოძა, მასთან ერთი
 შეკაზმული ცხენი ისეთი გამოიყვანეს საჯინიბოდან, ხელმწი-
 ფეს ეკადრებოდა. ის მიართვეს. ცხენი ჩოფანოს სრულებით
 არ უნდოდა, თავის დღეში ცხენზე არ მჯდარა, შეხედვის
 ეშინოდა; არ წაიყვანა, ბოდიში დაუწყო, ამისთანა ცხენს ხელ-
 მწიფეს არ დაუხარჯავო. ხელმწიფემ არ დაუჭერა, ძალით შეს-
 ვეს. ეშინოდა საწყალს და ასე გაისტუმრეს პატივისცემით რა სა-
 სახლეს გასცილდა. ცხენმა თავი გაუზიდა, ვერ შამოაყავა სა-
 წყალმა, ბეგრს ხანს იქით გაზიდა ჭენებით, მერმეთ მობრუნ-
 და სასახლისკენ, სასახლეში ჩამოჭენდა. ძლივ მაგრდებოდა
 საწყალი ზეთ, მისდა ბედათ რა რომ სასახლეში კი ჩევიდა,
 საჯინიბოს თურმე ცეცხლი გასჩენდა და იწობოდა. დაინახა
 ჩოფანომ, დაიყვირა: მიეშველეთ, მიეშველეთ, საჯინიბო იწვე-
 ბაო! გამოიხდეს, ნახეს, მართლა იწვებოდა, მიეშველეს.
 მერმეთ კითხეს:

შენ რისთვის დაბრუნდიო?

უთხრა: მისთვის, რომ რა რომ ცეცხლი გაჩათა, ის ვამის-
 ნეო, თუმც არ დაებრუნებულიყავი, სასახლე დაიშობოდაო.
 მარა ეს ცხენი რომ მომეცით იმის ბრალიაო, არ დამიჭერეთ
 თვარა არ წავიყვანდიო. აშ არ წავიყვანო, ხელმწიფევ, ეს
 ცხენი ხელიდან არ გაუშვათ, თორემ საჯინიბო დაიქცევაო.
 ხელმწიფემ დაუმადლა, მართლა იმ ცხენის ბრალი ეგონა: ჩო-
 ბანოს ურიცხვი უბოძა და წავიდა. რძალს დიდათ გაეხარა
 მისი, გამდიდრდა.

ესენი იქ იყვნენ ჭირში და ჩვენ აქ ვიყვნეთ ლხინში.

VII.

ჭუჭა ცოლ-ჭმარნი და ვაჭრის ნიზლავი

იყო და არა იყო, იყო ერთი კაცი ორი ციდა და ერთი
 მტკაველა და ცოლი ყავდა ერთი ციდა და ერთი მტკაველა.
 ზისმა ცოლმა ერთ დღეს ოცდაოთხი ტილო შესტა, მოქსო-



გა, გარეცხა და მეორე დღეს ქმარს ბაზარში გაატანა დასა-
ყიდათ. ქმარი წავიდა და წაილო. გზაში ერთი კაცი შუალამურას
გოგო მოყავდა, კითხა:

— ვინ ხარ შენ, რა კაცი ხარო? — უპასუხა: მე ვარ ორი
ციდა და ერთი მტკაველაო და ცოლი მყავს ერთი ციდა და
ერთი მტკაველაო. ჩემმა ცოლმა ერთ დღეს ოცდაოთხი ტი-
ლო შესტა, მოქსოვა, გარეცხა და გასაყიდათ გამომატანა და
მივალ ახლაო.

— გამიცვალე ამ გოგოშიო.

— კარგი იქნებაო.

გაუცვალა და წავიდა. გაიარა რამოდენიმე გზა, შემოხვეთა
ერთი კაცი, ბიჭი მოყავს, კითხა:

— ვინ ხარ შენ, რა კაცი ხარო? — მან უპასუხა: მე ვარ
ორი ციდა და ერთი მტკაველაო, ცოლი მყავს ერთი ციდა და
ერთი მტკაველაო. ჩემმა ცოლმა ერთ დღეს ოცდაოთხი ტილო
შესტა, მოქსოვა, გარეცხა და გასაყიდათ გამომატანა. იგი
გოგოში გავცვალე და ქე მივალ ახლა შინო.

— გამიცვალე მე ბიჭშიო!

— კაი იქნებაო!

გაუცვალა და წავიდა. ცოტა რა გაიარა, შემოხვეთა ერთი
ცხენოსანი კაცი, კითხა:

— ვინ ხარ შენ, რა კაცი ხარო? მან უპასუხა: მე ვარ ორი
ციდა და ერთი მტკაველიო, ცოლი მყავს ერთი ციდა და ერ-
თი მტკაველიო. ჩემმა ცოლმა ერთ დღე ოცდაოთხი ტილო
შესტა, მოქსოვა, გარეცხა და გასაყიდათ გამომატანაო. იგი
გოგოში გავცვალე, გოგო ბიჭში გავცვალე და ქე მივალ. ახლა
შინო.

— გამიცვალე მე ცხენშიო!

— კარგი იქნებაო!

გაუცვალა და წავიდა, გზა გაიარა და ერთი კაცი შეხვეთა,
ხარი მოყავდა, და კითხა:

— ვინ ხარ შენ, რა კაცი ხარო?

— მე ვარ ორი ციდა და ერთი მტკაველიო, ცოლი მყავს
ერთი ციდა და ერთი მტკაველიო. ჩემმა ცოლმა ერთ დღეს
ოცდაოთხი ტილო შესტა, მოქსოვა, გარეცხა და გასაყიდათ
გამომატანაო. იგი გოგოში გავცვალე, გოგო ბიჭში გავცვალე,
ბიჭი ცხენში გავცვალე და ქე მივალ ახლა შინო.

— გამიცვალე ხარშიო!

— კაი იქნებაო!

გაცვალა და წავიდა. ცოტა რომ გაიარა, შემოხვთა კაცი, თხა მიყავს. შემოკითხა: ვინ ხარ შენ, რა კაცი ხარ?

— მე ვარ ორი ციდა და ერთი მტკაველიო, ცოლი მყავს ერთი ციდა და ერთი მტკაველიო. ჩემმა ცოლმა ერთ დღეს ოცდაოთხი ტილო შესტა, მოქსოვა. გარეცხა და გასაყიდათ გამომატანაო. იგი გოგოში გავცვალე, გოგო ბიჭში გავცვალე, ბიჭი ცხენში გავცვალე, ცხენი ხარში გავცვალე და ახლა ქე მივალ შინ.

— გამიცვალე მე თხაშიო!

— კაი იქნებაო!

გაუცვალა და წავიდა. ცოტა გზა გაიარა, შემოხვთა კაცი, მამალი მოყავს. შემოკითხა:

— ვინ ხარ, რა კაცი ხარო?

— მე ვარ ორი ციდა და ერთი მტკაველაო, ცოლი მყავს ერთი ციდა და ერთი მტკაველაო. ჩემმა ცოლმა ერთ დღეს ოცდაოთხი ტილო შესტა, მოქსოვა, გარეცხა და გასაყიდათ გამომატანაო. ტილო გოგოში გავცვალე, გოგო ბიჭში გავცვალე, ბიჭი ცხენში გავცვალე, ცხენი ხარში გავცვალე, ხარი თხაში გავცვალე და ქე მივალ ახლა შინო.

— გამიცვალე მამალშიო!

— კაი იქნებაო!

გაუცვალა და წავიდა. ცოტა გზა გაიარა, და ერთი წყალი იყო გასავალი, იქ ერთი დიდი ვაჭარი შეხვთა, აქლემი საქონლით დატვირთული მიყავდა, კითხა:

— ვინ ხარ, რა კაცი ხარო. ამან უპასუხა: მე ვარ ორი ციდა და ერთი მტკაველაო, ცოლი მყავს ერთი ციდა და ერთი მტკაველაო. ჩემმა ცოლმა ერთ დღეს ოცდაოთხი ტილო შესტა, მოქსოვა, გარეცხა და გასაყიდათ გამომატანაო. ტილო გოგოში გავცვალე, გოგო ბიჭში გავცვალე, ბიჭი ცხენში გავცვალე, ცხენი ხარში გავცვალე, ხარი თხაში გავცვალე, თხაი მამალში გავცვალე და ახლა ქე მივალ შინო.

ვაჭარმა უთხრა: გამიცვალე ნემსშიო!

— კაი იქნებაო! — და გაუცვალა ნემსში, მიღგა წყალზე და მენავეს უთხრა, გამიცვანეო.

— სანავო მომეცი და გაგიყვანო!

გამოიღო ნემსი და მისცა. გაიყვანა წყალზე და გადასული რიც გავიდა. ვაჭარმა უთხრა ციდა მტკაველა კაცს:

— ახლა შენი ცოლი მიგიშობს შენ შინო, ცარიელი რომ მიხვალო?

ციდა-მტკაველამ უპასუხა:

— ძალიან გაუხარდებაო!

— მე ვფიქრობ, რომ ძალიან გაგიჯავრდებაო!

მან უპასუხა:

— სრულებით საწყენს არ მეტყვისო.

ვაჭარმა უთხრა:

— თუ შენი ცოლი შინ მიგიშობს და ან ძლიერ არ გავი-წყრება, მე ამ საქონელზე ხელს ავიღებ, სულ შენ გაჩუქებო! და თუმც გაგიწყრა, შენ და შენი ცოლი ორივე მოსამსახურეთ გამყევითო!

ციდა-მტკაველამ უთხრა:

კარგი იქნებაო, აგრე იყოსო, მარა პირი არ იმტყუნოვო! ვაჭარმა ღმერთი იფიცა — არ გიმტყუნოვო, მარა შენ უნდა წაგიყვანო თუ გაგიწყრაო.

დანიშლავდენ ამაზე და წავიდენ. რა მივიდა ციდა-მტკა-ველა სახლზე, ვაჭარმა უთხრა: შენ დაიმალე, ჩუმათ უყურე და მე მივალო და შენს ამბავს უანბობო. აგრე ვქნათო. ვაჭარ-მა მიდგა კარებთან და წყალი მოითხოვა, — ერთი წყალი და-მალევინეო. ქალმა წყალი დაალევია. ცეცხლიც მომიტანეო, თუთუნი უნდა დავლიოვო. — ცეცხლიც მიუტანა. დაჯდა, ყა-ლიონი გააკეთა, სწევს. ქალს მადლობა უთხრა, გაგსაჯეო; მერ-მეთ უთხრა:

— შენმა ქმარმა კარგათ ივაჭრა, შენ რომ ტილო გაგე-ტანებია, ის გოგოში გასცვალაო.

— უი შავ, საწყალს კარგათ უქნია, ერთი ენის გამცემი არ მყავდა, ენის გამომცემს კარგია.

— ის ბიჭში გასცვალაო!

— უი შავ, უი შავ, ეს უკეთესი უქნია, ერთი სადილის მიმტანი არ ყავდა ყანაში რომ წავიდოდა და სადილს მიუტანს კაით.

— ის ცხენში გასცვალაო!

— ქვეითათ სიარულმა მოკლა საწყალი და ცხენი თუ იყი-და კაით.

- ის ხარში გასცვალაო!
- უი, საწყალს ზურგზე ტყავი არ ქონდა ტვირთის ნა-
ზიდავი და შეშას მოატანიებს, რამე სხვასაც, კაიაო!
- ის თხაში გასცვალაო!
- კაი ბატონო, ეზო სულ ბარდით გაკრული მაქ, ძაცი
მომცელავი არ მყავს და თხა მაინც ბარდს მოჭამს და ეზოს
გამიწმენდსო.
- ის მამალში გასცვალაო!
- ეს უკეთესი უქნია. გათენებას ვერ შევიტყობდი, ერთა
დამყივლებელი არ მყავდა და მამალი გათენებას შემატყობი-
ნებსო.
- ის ნემსში გასცვალაო!
- ძველის მოსაკერავი არაფერი მქონდა და არც ახალი
რომ მეშოვა მისი შესაკერავიო. ახლა ძველს მაინც მოვკერავ
ძაიაო.
- ის ნემსი მენავეს მისცა, წყალზე გამიყვანეო.
- ათასი მადლი ღმერთს, თუ ის მშვიდობით კი გამოვი-
და და მომიგიდაო!
- გამოვიდა ციდამტკაველა დამალული და უთხრა ვაჭარს:
აქი გითხარ განა, ჩემი მოსვლა იამება ჩემს ცოლს, საწყენს
არ მეტყვის-თქო. ახლა ჩემი ნიზლავი უნდა მომცეო. ვაჭარი
გაბუცდა, შერცხვა, მის თავს დააბრალა: რატომ არ ვიცოდი,
მისი ცოლი მასავით აბდალი იქნებოდაო ერთი აქლემი წმინდა
საქონლით დატვირთული დაატიებიეს და ვაჭარი გაბრუნდა
გულდაწყვეტილი.

ისენი იქ იყვნენ ჭირში და ჩვენ ვიყვენით ლხინში.

გამოცანა

ხუთი ძმანები არიან, არც ერთ აკლია ზრდილობა,
ეს ერთი ცუდი იციან — ერთმანეთისა ცილობა.

VIII.

ორი მოგზაური და მათი ნახულ-გაგონილი

იყო და არა იყო, იყო ორი ამხანაგი კაცი. უყვარდათ
სიარული უცხო და უცხო ქვეყნებში, მათ ცხოვრებას ამითო
ატარებდენ. ჩვეულებისამებრ, ერთ დღეს მოიუბნეს და გა-
დაირენ სულ შორს, უცხო ქვეყანას. ერთმა თქვა, — გზის ხარ-

ჭი, საგზალი რამე უნდა ვიქონიოთო. მეორემ უთხრა, — საგზალი რა საჭიროა, სადაც მივალ საჭმელს ყოველგან ვიშუაწყობა მან უპასუხა. — ძმაო, ეგ რავა იქნებაო, ვინ გვაჭმევს, ჟღერებით თვის იმისთანა კაცს სად შევხვდებითო. მეორემ უთხრა, სულ ლხინს გაწევიებო, ერთი ფარა არ გვინდაო. ამაზე ლაპარაკი წექნეს. აბა, დავნიზლავდეთ, მე თუ შენ საჭმელი ვერ გიშოვნეო და მოგაშიოვო. თუთხმეტი თუმანი მოგცეო, და თუ გაჭამო კარგათ და გასვა თუთხმეტი თუმანი შენ მომეციო. ამაზე დათანხმდენ ორივემ. წავიდენ, მარა წინ იმან გაუძლვა, რომელმაც ის თქვა, საგზალი მოგვინდებაო. ასეთი გზით წაუძლვა, რომ არც იყო სოფელი, არც ერთ კაცს თვალით ვერ ნახავდა. აბა, საჭმელს ვინ აჭმევდა! კვდებიან შიმშილით... ერთი მეორეს აბრალებს. ამ გაჭივრებით სამი თვის სავალი გაიარეს და ერთ სახელმწიფოში შევიდნენ. ნახეს, რომ ყოველი კაცი, ქალი და ყმაწვილი სულ შავით მოსილი იყვნენ. — ქალაქში სულ დაღუპული იყო, მთლათ მთელი ქალაქში და მოქალაქე ძაძით იყო დაბურული. ანბავს არავინ არ იტყოდა და არც ისენი ვისმეს (ამბავს) რასმეს კითხავდა. თურმე ვინც იმ ქვეყანას წავიდოდა, შავს შეიკარვიდა და ისე მივიღოდენ; რა ქალაქში შევიდენ, ერთმა გამოსცილდა, რომელმაც სთქვა საგზალი გვეჭივრებაო. ეგებ საჭმელი ვიშოვნოვო, და მეორე დაღის ქალაქში გაკვირვებით. იარება, იარება ალარც შიმშილი ახსოეს, არც წყურვილი. უნდა რამე გაიგოს, მარა ვინ ეტყვის? ნახა, რომ ერთი ციხე იყო, საშინელი დაბნელებული, ძაძით დაბურული. ავიდა იმ ციხეზე და ნახა ერთი ხელმწიფის შვილი ზის, სახე მზისა აქვს, მარა იმ რიგათ დაღუპულია შავით, რომ მისი მსგავსება არაფერს არ გავს; თავი მუხლზე აქვს დადებული. ეს კაცი დგას გაოცებული. ეს ხელმწიფის შვილი ხანდისხან აიხედავს, ამ კაცს შეხედავს, ისევ ჩამოკიდებს თავს. ამ კაცს ძლიერ უცხოობს და უცხოელადაც ამით სცნობს, რომ შავი არ აცვია, მარა არავინ რას კითხავს. რამოდენიმე ხანი გავიდა და ერთი პატარა ყმაწვილი მხარით შამოიყვანეს. ეს ყმაწვილი ნახევარი კედარო თავიდან რომ დაიწყებოდა ქუდიანა წითელიც კი იყო, მწვანეც, ყვითელიც და ალისფერიც; ნახევარი კედაროს ქუდიანა ძაძი ემოსა. რა ის ყმაწვილი შემოიყვანეს, შეიქნა ერთი ვაება, ყვირილი, ტირილი, თავ-პირში ცემა. ხელმწიფე და მთელი მო-

ქალაქე დიდის ხმით ტიროდენ. მერმეთ გაიყვანეს რას კუნძული, სამი საათის გამავლობაში ძლივ დადუმდენ. ეჭვის ფლეგანა, გამკრთალი არის, მარა ვინ რას ეტყვის, ან გულას რტყვის. მერმეთ აიხედა ხელმწიფემ და შეხედა ამ კაცს:

— ძმაო, შენ სადაური კაცი ხარო?

რა ეს ხელმწიფემ უბრძანა, თაყვანი სცა და მოახსენა, ყოველი მისი გარემოება და ჩვეულება ქვეყანაზე მოგზაურობის ამბვები. უბრძანა ხელმწიფემ:

— ვიცი, დაკვირვებული ხარ ამ ამბავზე, თუმცა შენ ამ ამბავს ამ ქალაქში ვერავინ გეტყვის, მარა მე გიამბობ, რადგანაც ვიცი მსურველი ხარ ცნობისო. მე ხელმწიფის შვილი ვარ, — ხომ ხედავო, მამაჩემს ჩემს მეტი შვილი არ ყავდაო, სასოებით მზღიდა. ჩემთვის იმისთანა ცოლი უნდოდა, ქვეყანაზე უკეთესი არ ყოფილიყო, მაგრამ ვერ ამოაჩინა. მე ასეთი კაცი ვიყავ, ვერც ცხენოსანათ შემედრებოდა ვინმე, ვერც ჯირითში, ვერც ბულთის თამაშში, ვერც მშვილდისრის სროლაში. ისარს ჰაერში ფრინველს არ ავაცთენდი. სამი ხელი ტანისამოსი სახელმწიფო და სამი შეკაზმული ცხენი მყავდა, ერთი ხელი ტანისამოსი და ერთი ცხენი უკეთესი იყო, მეორე უფრო დამცრო იყო, მესამე კიდევ იმაზე დამცრო. რა დილას ავდგებოდი და პირს დავიბანდი, უკეთესს ტანისამოსს თუ ჩავიცვამდი, მეჯინიბეს კითხი არ უნდოდა, — მსწრაფლად უკეთესს ცხენს კარზე მომგვრიდა და შევჭდებოდი. მაშინ ძალაც უკეთესი მექნებოდა. თუ იმაზე უფრო მდარეს ჩავიცვამდი, ცხენსაც იმაზე მდარეს მომგვრიდა და შევჭდებოდი. ძალაც იმაზე ნაკლები მექნებოდა. თუ კიდევ იმაზე მცირეს ჩავიცვამდი, ცხენსაც უმცირეს მომგვრიდა და ძალაც ნაკლები მექნებოდა, ამას რომ ჩავიცვამდი, ხან სანადიროს წავიდოდი, ხან მოედანზე ვბურთაობდი.

ერთ დღეს გაველ მაიდანზე, ბულთს ვაგდებთ და ვიჟერ, ვთამაშობ, გავიხედე ამ მოედანზე, თვალი ძლივ უწევდება იმდენზე ორი კაცი მოდის, მზეც კი მოყავთ, მთვარეც და ვარსკვლავიც! დავაგდე ბურთი, დავაჩერე თვალი: მოყავსთ ერთი მზის უნახავი. ვთქვი, ეს არის მამაჩემი რომ ეძებს ჩემთვის, ამისთანა სხვა რა იქნება! წავეგებე სწრაფლად, ხელი მოვკიდე — ქალს არ ვანებებ; გაძალება მოინდომეს, მარა დავსძლიე, მითხეს: ყმაწვილო, ნუ გვიზამ! ამის გულისთვის სამი წე-



ლიშვადია მამამისს ციხე ვადგივართო და დღეს ძლივ არ შეანებენ თო. ამას შენ წაგვართმევ, — ჩეენ რა ვქნათო; ისინი თურ? ე ხელმწიფის გაზავნილნი იყვნენ, მისთვის უნდოდენ, მარა მე რავა დავანებებდი, წავიყვანე ის კაცები მამაჩემთან. მამაჩემმა ამ ქალის ერთი წონა მარგალიტი მისცა, ერთი წონა თვალი და ერთი წონა ოქტო. ამ საჩუქრით ის კაცები გაუშვა, მარა ისინი ისე მწუხარე წავიდნენ, თუნდ ერთი ფარა არ წაეღონ: მამაჩემს და მე თავისი სურვილი აგვისრულდა და ქორწილი მიყო, რაც შეგვეფერებოდა. ვიყავით სიხარულში. გავიდა რა-მოდენიმე ხანი და მე ავდექ ერთ დილას საშვალი ტანისა-მოსი ჩავიცვი, საშვალი ცხენი უნდა მოეყვანა მეჯინიბეს, მა-რა არ მოიყვანა. გავუჭავრდი, — დაიხოცეთ, რა დაგემართენ-მეთქი. რა ჩემი ხმა გაიგონეს, გამოვიდა მეჯინიბე და მითხრა: ბატონო, დღეს შენ უკეთესი ტანისამოსი გეცვა და უკეთესი ცხენი მოგვარე და წაბძანდიო. მე ვუთხარ: მე ახლა ავდექი, ჩემთვინ ცხენი არ მოგიყვანია-მეთქი! მოვიხედე, — ლოგინზე ჩემი ცოლი ქვეშაგებში იწვა მეგონა, თურმე ამდგარიყო ჩემს უმალ, ჩემი უკეთესი ტანისამოსი ჩაეცვა, უკეთესი იარაღი შა-მოერტყა, მეჯინიბეს ვგონებოდი და უკეთესი ცხენი მიეყვანა. ის შემსხდარიყო და წასულიყო. რა ეს გავიგე, დავლონდი. რაღას ვიქმოდი, მოვაყვანიე საშვალი ცხენი, შევჭედ და გამო-უდეგ უკან. ვიარე რაც შეიძლებოდა სისწრაფით, ასე რომ სამი დღის სავალს ერთ დღეს ვათავებდი. გავედი ერთ დიდ მოედანზე და დავინახე ჩემი ცოლი ყვავის თავის სისხო, ვი-არე რაც ლონიძიება მქონდა და დავინახე კაცის თავის სისხო, ვიარე და დაუახლოვდი; რა რომ ახლოს მივედი, მომიხედა და დამიძახა: ყმაწვილო ნუ მომზდეო! მარა მე რავა მოვეშვე-ბოდი, დაუახლოვდი კიდე, მომიხედა და მითხრა: ყმაწვილო ნუ მომდევ ვიჯობსო! მე არ დავეხსენ, ახლოს მივედი. მო-მიბრუნდა, შამომქრა ხრმალი და იქავ უსულოდ დამაგდო. გაიარა და წავიდა. მერმეთ იფიქრა, — ამის მამას მეტი შვი-ლი არა ყავს და ამდენ ფასათ მიყიდა, მე ქე დავეკარგე, შვილი გი მოუკალი, მისი ცოდვა ქას არ მიზამსო. მობრუნდა, დამაყა-რა წამალი, მომარჩინა და მითხრა: ნუ მომდევ, თორემ მოგ-ძლავო! წავიდა. მე შინ რავა დავბრუნდებოდი, და ჩუმათ უკან მივზდიე, — თავს არ ვიჩენდი, შორი-შორს მივზდევდი.

რა ბევრი გზა გავიარე, ერთ სახელმწიფოში შევედი ძლიერ

დაღალული, შიმშილით დასუსტებული. ერთ დეჭაპეტული
სახლში შევედი და ვუთხარ: ბებიაშვილობას, რამებაც შეუტკეც
მეტები. შემატყო გაჭირვებული ვიყავი, იმ წამში საჭმელი მო-
მიტანა და მაჭამა. მე დაღალული აღარ დავიძარ იქიდან, არც
მას ეწყინა. სროლა იყურებოდა საშინელი, ისე რომ ჩხუბი
გეგონებოდა. ვკითხე დედაბერს,—სროლა რომ არის, რა ამ-
ბავია-მეტქი? მან მითხრა: შვილო, ჩვენს ხელმწიფეს ერთი
ქალიშვილი ყავდა, ქმრის ნათხოვარი იყო და დაეკარგა სამი
წელიწადია, და ახლა მოვიდა და ამეღამ მისი ქორწილია, ქმა-
რი მისი მოვაო და იმის სიხარულიაო. რა ეს ამბავი მიამბო,
ვსთქვი გულში: ჩემი თავი ცოცხალი არ მინდა, თუ ის არ
ვნახე, რაცხა ჩემზე უკეთესია-მეტქი!

ავდექ, წამოველ, შეველ სასახლეში, არის სვრა და ძვრა!
ვინც მოვიდეს, კაცი არ იკითხავს, — ვინა ხარო, იმდენი სხვა
და სხვა ხალხია. რა დაღამდა სულ ახლოს მივდექი. მოვი-
და სიძე, დედოფალი გამოიყვანეს მშვენიერი მორთული და
დასვეს ტახტზე. მე იმდენი ვეცადე, სულ ახლოს მასთან დავ-
დექი და ვიმზირები, სიძეს როდეს შამოიყვანებენ, — ვნახო.
მე ვინ რას მკითხავს, რიდი არა მაქვს. ამ დროს მოხავან სიძე,
იქით-აქეთ ორი კაცი უდგანა მხარში ერთი რამ ამბავით. შევ-
ხედ — დიდი საშინელი მაღალი, შავი არაბი, შესაშინებელი სა-
ხის! ვსთქვი გულში: ვაი, ჩემს დღეს, ამ საზიზლარი არაბისა-
თვის დამტია რამ გულმა გაუძლო ამის შეხედვას-მეტქი! რა
შამოიყვანეს და დასვეს ამ მშვენიერ დედოფალთან, შამოუყ-
ვირა: სად იყავ შენ კახფავო! დედოფალმა ნელის ხმით უბა-
სუხა: სად ვიყავ რა, ჩუმათ ხომ არ წავსულვარო... მაგიერი
ხმა ამან რავა გამცაო, გააქანა მჯილი და ცხვირში ისე მწარეთ
სთხრიშა, სისხლი წააგდებია, და თითონ ადგა და გარეთ გავი-
და. რა ეს ამბავი მოხთა, შეიქნა სვრა და ძვრა, ასე რომ სა-
სახლე დაიქცაო, — ეგონებოდა კაცს. მე ზედ წავადექი დე-
დოფალს ახლოს, მარა ვინ შემხედვიდა. ქალმა ამოიოხრა და
სთქვა:

ვაი, შენ დღეს, რომ მე შენათ ერთი ნეკი ღირდა იმისთა-
ნა ხელმწიფის შვილი დავტიე და აწი რაღაო!

მე დაუძახე: მე კიდე იგერ ვარ, თუ შენ ჩემკენ გული გაქ-
მეტქი!

რა ეს გაიგონა, ადგა სწრაფათ, „აბა, წავიდეთო“ — მოვ-

კიდე ხელი, წამოვედით, შევჭედით ცხენებზე და ვიარეთ
დღითა და ღამით! და რა მოვედით, მამაჩემმა უდიდეს მერძეს
წილობა და ლხინი მერმეთ გააწყო: სამს თვეს ისეთი ქორწი-
ლობა იყო, რომ სულ უმეტესი და უმეტესი ლხინი იმართო-
და. რადგან თავის სურვილით მოვიყვანეთ, სიყვარულიც და
სიხარულიც მომეტებული იყო. გამოხთა ხანი და ღაორსულდა
ჩემი ცოლი და შვა ის ყმაწვილი, რომელიც შამოიყვანეს. დე-
დოფალი კი მუცელს გადაპყვა. რას რომ ხედავ მწუხარებას
სულ იმაზე არის. იმ ბავშვს დღეში ისე შამოვიყვანთ, ვნახავთ
და იმაზე ვიტირებთ.

რა ხელმწიფემ ეს ამბავი დასრულა, ამ კაცის აფხანაგი
შამოვიდა და უთხრა: კაცო, ახლა ჩემ ნიზლევს არ მომცემო,
შიმშილით რომ მომკალიო? ამან უთხრა, — ძმაო, შენ კაცი
არ მიჩვენე და სოფელი და უკაცურ ადგილს მარონინეო, საჭ-
მელს ვინ მაჭმევდაო. ხელმწიფემ. იკითხა, როგორ იყოვო? —
წამოიჩიქა ახალშემოსრულმა კაცმა და ხელმწიფესთან უჩივ-
ლა: ხელმწიფეო, მე ამ კაცმა ამ პირობით წამომიყვანა, რომ
საგძალი და გზის ნუზლი არ გვეჭივრებაო. სულ სადაც მი-
ვალთ, მე გაჭმევ, რამდენიც გინდაო. მე თანახმა არ გაუხთი,
მარა თუთხმეტი თუმანის მომცემი ვიქნებიო, თუ ვერ გაჭამე-
ვო. ჩემგანაც პირობა აიღო, თუ მაჭმევდა, თუთხმეტი თუმანი
უნდა მიმეცა. ახლა შიმშილითაც კი მომკლა და არც
მაძლევსო, ამის სამართალი მიბოძეო. ხელმწიფემ ამოიღო და
თუთხმეტი თუმანი ერთს მისცა და თუთხმეტი მეორეს და
უთხრა: ძმაო, ან შენ რათ იფიქრე, ასე შორს ქვეყანას წამოდი,
გზის ხარჯი არ მინდაო და ან შენ უკაცური ადგილი რომ იარე,
სოფელი არ უჩვენე, ერთი მაინც გამოგეცადა, სოფელი გა-
გერო, თუ ვერ გაჭმევდა, მაშინ გაამტყუნებდიო. ხელმწიფემ
ამ ამბით და საჩუქრებით ეს კაცები გამოუშვა და თავის
ქვეყანაში მივიდენ.

ისენი იქ იყვნენ ჭირში და ჩვენ აქ ვიყავით ლხინში.

IX.

ექვსი ძმა

იყო და არა იყო, იყო ხუთი ძმა, მონადირენი, რომ ქვე-
ყანაზე არას ნადირს არ ტიებდენ, არც ცოტუნებდენ ისარს.
ამოსწყვიტეს სულ. მათს ქვეყანას, მრავალ სხვა სახელმწი-

ფოშიც არც ნადირი, არც მხეცი ფეხს არ აბიჯებდა, ფრინვე-
ლიც ამოსწყვიტენ. რაკი სანადირო აღარ იყო, შექმნებდენ.
ჩვეულება ვეღარ დაითმინეს და თქვეს: რა ვქნათ, უარისარო
აღარ გვაქვს, სად წავიდეთ? ამბავი რომ მოისმის, იმდენზე სა-
დირო არ არისო. სადმე შორს წავიდეთო. ეს მიუბნეს და
ნადირო არ არისო. გაუცხადეს: დედა, ჩვენ ისეთი ჩვეულება
თუ არა. დედას გაუცხადეს: დედა, ჩვენ ისეთი ჩვეულება
გვაქვს, თუ სანადირო არ გვაქვს, ვერ ვმხიარულობთო. სიახ-
ლოვეს მოილია, სანადირო არ არის, სადმე უნდა შორს წავი-
ლოვეთ, ჩვენს ხრმალს დაგიტიებთ დაკიდულს, თუ ის ხრმალი
დეთ, ჩვენს ხრმალს დაგიტიებთ დაკიდულს, თუ ის ხრმალი
დაკიდული იქნება, იმით სცან, რომ ჩვენ ცოცხალი ვიქნებითო.
თუმცა ხრმალი ჩამოვარდეს, მაშინ სცან,— ცოცხალი აღარ
თუმცა, — აგი ნიშანი იქონიეო რა ეს დედას უანბეს, და-
იწყო ტირილი: შვილებო, ნუ მიხვალთ, მე დამიჯერე, თვარა
ცოცხალი ვერ მოხვალთ! ბევრი ეხვეწა, ცრემლი ხელებზე
აყარა, მარა არ დაუჭერეს.

დაკიდეს თავიანთი ხრმალი და წავიდენ. თავის ქვეყანას
დაშორდენ, ბევრი გზა სხვა გაიარეს და ერთ დიდ მინ-
დორში მივიდენ. ერთი ჭადარია, მისს სიმაღლეს კაცი თვალს
ვერ შეაწვდენს. ერთი კაცი იმ ჭადრის ქვეშ წევს. რა ეს კა-
ცები ნახა, ჰერთხა: სით მიხვალთო? ამათ უპასუხეს: ჩვენს
ქვეყანას ნადირი ამოვსწყვიტეთ და ჩვენ ისეთი ჩვეულება
გვაქვს, თუ სანადირო არ გვაქვს, ვერ ვისიამოვნებთო. მი-
გვაქვს, თუ სანადირო ტყეს შევხვდეთო. იმ კაცმა უთხრა:
ვალთ, ეგებ სანადირო ტყეს შევხვდეთო. თუ კაცმა უთხრა:
შვილებო, ნუ მიხვალთ, მე დამიჯერეთ, თორემ აქეთ გამრები
ბევრი მინახავს და გამომრები ერთი არ მინახავსო. იმ კაცებმა
ეს არ მოუსმინეს. ნუ მიხვალთ, დამიჯერეთო! არ დაიჯერეს
და უთხრა: რადგან არ დამიჯერეთ, იმ ჭადარს ისარი შეს-
ტყორცნეთ და თუ გადაცილოთ, წადით, თუ ვერ გადაცი-
ლოთ, ნუ წახვალთო. ესროლეს თითო-თითო ხუთივემ, მარა
შვაზე ვერ მიუწიეს. — აბა, ნუ მიხვალთო. უშალა ბევრი, მა-
რა არ დაიშალეს და წავიდენ.

იარეს ერთი იმდენი კიდე და ერთს ტყეში ისეთში შევ-
დენ, რომ ნადირის სიმრავლის რიცხვი არ ითქმება. იხარეს
ძლიერ, დადგეს კარვები, შიდ გააკეთეს ბინა. სწყვეტენ ნა-
დირს და არიან განცხრომაში. ორი ძალლები ისეთი ყავსთ—
იშერს და გიშერს უძახიან, თუ ისინი დაბმული არ არის,

არაფერს მავნებელს არც ნაღირს და არც სხვას რომელის
მოუშობენ.

ერთს დილაზე აღგენ ეს კაცები, მწვადს წვენ, საუზეს
ჭამენ. ერთი საშიშარი ბებერი მოვიდა, გარელე დადგა, —
ცოტა მწვადი მაჭამეო. რა დაინახეს, — მოდი, ბებია, მოდი, —
დაუძახეს, — ხორცი წაიღეო.

— მეშინია, ბატონებო, თქვენი მწევარ-მეძებრებისო.

— არა, ბებია, ნუ ვეშინია.

— მეშინია, მეშინია, ბატონებო! — მოიწივა თმა და ეს
კისერზე დაადევით მწევრებს და მოვალო. გამოართვეს და
დაადვეს მწევრებს კისერზე. ჭაჭვით დაიბა ძალლები. რა
ძალლები კი დაიბა ნახა, თურმე ეს მდევი იყო, — ააბჩინა პი-
რი და ხუთივე თავის იარაღიანა გადაყლაპა, მასთან ეს ძალ-
ლებიც.

რა ეს მდევმა ჩაყლაპა, მათი დაკიდული ხრმალი ჩამო-
ვარდა. დედამ რავი ნახა ხრმალი ჩამოცვინდა, თავი და ჰირი
დაიმტვრია, ლოყა და გული სისხლით დაიღება, იყო ვაება-
ში და გლოვაში.

გამოხთა ხანი და დაორსულდა და ვაჟი ეყოლა. რა ვაჟი
მიეცა, ცოტა გული დაიწყნარა, ვაჟს ზრდა დაუწყო. რა ფეხი
აიღვა და ენა ამოიბა ყმაწვილმა, დედამ დაარიგა ყველა, რომ
ძმები თუ ყავდა არ გააგებიოთო. ყმაწვილი ძალიან სიჩქარით
იჩრდებოდა, ხუთი წლის რომ შეიქნა, ათი წლისას გავდა.
ჰკუაც შესაფერი ჰქონდა და თვალ-ტანადად მშვენიერი იყო.
ღეღ-მამაც ამას ცთილობდენ, ძმები რომ ყავდა არ გაიგოსო.
იარაღს არ აჩვევდენ, ბულთზე და თამაშობაზე ხავდენ გაჩვე-
ული. გავიდოდა მაიღანზე, მთელი დღე თამაშობდა და იყო
სიხარულით. ერთ დღეს, რა თამაშობდა მოედანზე, სამი კაცი
გამოივლო და უყურეს ამ ვაჟს: კარგი ვაჟი არისო, მარა მი-
სი ძმანებიც კაი იყვნენო, სად არიან ახლაო. რა ეს ყმაწვილმა
გაიგონა, წამოვიდა შინ სირბილით, დედას მოაშურა და
უთხრა დედას: დედა, მე თუ ძმები მყავდა, რათ არ მითხა-
რიო. რა დედას ეს უთხრა, მეხი თავს დაეცა. ივარა, — არა,
ღედა, ძმა არ გყოლიავო, მარა რავა დაუჭერა. უსაშველოთ
ჩამოეკიდა, ყველა დაწვლილებით მიამბეო: ან რამდენი ძმა
მყავდა, ან რა იქნენ, რა სახით დაიკარგენ, თუ მოკვდენ ტყვე-
ლი არ გამოგადგება, ყველა მართალი მიანბეო, ყველა დაწვლა-

ლებით უნდა შევიტყოვო. რაღა ექნა დედას? ვერაფერიანონე
მოიგონა, ყველა დაწვლილებით უანბო. რა ყოველიც მოი-
ვაჟმა, იმანც ისე ხრმალი დაკიდა და უთხრა: დედა, ამას შე-
ხედე, თუ ასე იქნება დაკიდული, მე ცოცხალი გეგულებოდეო,
თუ ჩამოვარდეს, იმედი გადაიწყვიტეო. ერთი ჩიტიც გალი-
აში ყავდა ამ ყმაწვილს, ალილო ჩიტს უძახოდენ, იმისი მშვე-
ნება — ენით არ გამოითქმის, ხმაც ისეთი ქონდა, კაცის ყური
იმისთანას ვერას გაიგონებდა. ის დედას ჩააბარა, — კარგა
მოუარეო. დედა რამდენი ეხვეწა ტირილით, შვილო, ხომ
გესმის რომ ისენი დაიკარგაო ჩვენი დაუჯერებლობითო და
შენც მათთან რათ იყარებიო, მარა არ მოუსმინა, წავიდა,
იარაღი და შვილდ-ისარი აიღო, ძალლები ორი ძალიანი ერთ-
გული წაიყვანა და გაუდგა და წავიდა.

იარა იმდენი, რომ იმ ჭაღართან მივიდა. იგი კაცი ნახა
მწოლიარე. გამარჯობა უთხრა. — გაგიმარჯოს ლმერთმაო, სი-
დან მობრძანდები, ან სით მიბრძანდებიო. ყმაწვილმა უთხრა:
გზა გამაჩნია რამ სავალი, სანამ ფეხი მიმისწვდება უნდა ვი-
აროვო. იმ კაცმა უთხრა: მე დამიჯერე, ნუ მიხვალ, თორემ
იქით გამრები ბევრი მინახავს და გამომრები არავო. ყმაწვილ-
მა არ დაუჯერა. — აბა, რადგან არ მიჯერხაჩ, მმ ჭაღარს ისა-
რი შესტყორცნე. — თუ გადააცილო წადიო, თვარა ნუ წახ-
ვალო. შესტყორცნა ისარი და იმდენზე იაცილა, რომ ერთი
იმდენი სიმაღლე ქონებოდა კიდე გადააცილებდა. აბა, წადიო,
ლმერთმა მშვიდობის გზა მოგცესო. წავიდა. იარა, დღეს ლა-
მე წართო და მივიდა, სადაც მისი ძმები მისულიყვნენ. ნახა
სიმრავლე ნაღირის და თქვა გულში: უთუოდ ჩემი ძმები აქ
იქნებოდენო. დადგა კარები, დაყო ხანი რამ. მივიდა დედა-
ბერი, დაუძიხა ყმაწვილმა: მოდი, ბებია, ხორცი წაიღეო! —
მეშინია თქვენი წევარ-მეძებრებისო! — ნუ გეშინის, მოდიო.
მოიწყვიტა თმა და მისცა: ეს კისერზე დაადევიო. ყმაწვილ-
მა თმა გამოართვა და ცეცხლში ჩაშვა. იაფჩინა პირი ვეშაპმა
და ყმაწვილმა მშვილდ-ისარი ჩასჩარა პირში, ძალლები თავს
წახავდენ და დაუძიხა ყმაწვილმა.

ჩემი ხუთი ძმებიო! — სულ ცოცხლად გამოყარა თავისი
იარაღებით; მათი იშერ-გიშერიო, — ისიც ცოცხლად დაყარა. მერმეთ დაკუწი ლექურით სულ წვრილად და წამოვიდნენ
კარვისქენ. ამ ხუთმა ძმამ ჰყითხა: შენ გინ ხარ ასეთ გან-

საცოლელს გადაგვარჩინეო და ახლად გვშვე? ყმაწვილი კი უკიდურესია. მე თქვენი ძმა ვარო. იმათ უთხრეს, ჩვენ ძმა არ გვყოლიაო. ყმაწვილმა უთხრა: მე თქვენ რომ წამოსულხართ, მერმეთ ვშობილვარ და როდესაც ვსცან თქვენი ანბავი, თქვენდა საძებრად გადმოვიტერ და ღმერთმა აქ მომიყვანაო. რა ამ ადგილს მოვედი, მაშინვე ვიმისნე, — უთუოდ ის ჩემი ძმები აქ იქნებოდენ, და ის ბოროტი რომ ვნახე, განვიზრახე გუნებაში: უთუოთ ეს მღზნებარია, თორემ ბებერს აქ რა უნდა? რა პირი ააფჩინა ჩასაყლაპავად, ვსთქვი, — ეს არის ჩემი ძმები მაგას ჩაუყლაპავს, მოვმართე მშვილდ-ისერი და თქვენი სახელი რაკი ვახსენე, დავაყრევინებინე; მერმეთ ისიც დავკუშე. აშე ძმებო, მსწრაფლად დედისკენ ვიაროთ, ის თავპირ დაგლეჭილი დავაგდე. ჩვენის დავარგვით დაბნელებული გული აშე გაუნათლოთო. ძმებმა მადლობა მოახსენეს, პირად კი მხიარულ მადლობას ძღვინდენ, მარა გულში ცუდი ფიქრი მოდიოდენ. განვიზრახვიდენ: ამ ჩვენმა ძმამ ჯურლმულიდან გამოგვიყვანა, მარა რას გვიზამს მაგიერს? ჩვენ ეს არ გვიძმობს: ზოგს მეჯინიბეთ დაგვიყენებს, ზოგს მზარეულად, ზოგს ფარეშათ, ზოგს მეჯოგეთო. ამაზე გონიერდენ და ფიქრავდენ.

ეს ყმაწვილი შინისკენ ესწრაფებოდა, ჩქარობდა, მოვიდოდა მალის სიარულით. ძმები თან მოყობოდა. მაიღანზედ დააღმდათ და დადგენ, ბინა გააკეთეს. მოუბნეს ამ ხუთმა ძმებმა: რამე გზაში მოუხერხოთო, თვარა შინ თუ მიგვიყვანა, ყეელას გვიყმობს და ვერც რამეს მოვახერხებთო. ამოთხარეს იმ ღამეს ერთი ორმო და ზედ ნაბაზი გადააფარეს. რა გათენდა, წითელი ვაშლი დადგეს ზედ. რა გამოემგზავრეს, ერთმა თქვა: ვინც იმ ვაშლს გაჭენებული ცხენით აიღებსო, ვაუკაციბა იმას დარჩებაო. ყმაწვილმა თქვა: მაგას რავა ვერ ავიღებო! გააჭენა ცხენი. — რა მიაგდო ნაბაზზე, ჩავარდა ორმოში, წაახავდენ: ზოგი როხს აყრის, ზოგი მიწას! — ჩაქოლეს და დატეს იქ.

ესენი გამოუდგენ გზას და წამოვიდენ სიხარულით. რა ის ყმაწვილი ჩაქოლეს, ხრმალი ჩამოვარდა. დედამ შექნა ვაება: თმაი დაიწეშა, ლოყა და გული დაიგლიგა სისხლის ცრემლით ირლვნებოდა... ეს ხუთი ძმა ჭადართან მივიდენ. ნახეს ჭადართან რომ კაცი იყო. დიდათ გაეკვირვა იმ კაცს მათი მისვლა, მიულოცა და კითხა: ერთი ყმაწვილიც გამოიარა აქ. იქით მო-



ვიდოდა, თუ ნახეთო. იმათ უთხრეს არ გვინახავს გაუკვირდა, ამათი მშვილდ-ისარი შვამდი არ მიწეულა ჭადაოზე და ესენი ქე მოვიდენ, ის ამდენი სიმაღლე სხვა ქონიდა ჭადარს გადააცილებდა, — ის რა იქნაო?

ამ ხუთმა ძმამ მივიდენ შინ და დიდათ გაეხარენ: დედამისი ლოყადახეული მოეხვია: შვილებო, მაღლობა ღმერთს, თქვენ რომ მოგიყვანაო! მარა თქვენი ძმა წამოვიდა თქვენდა საძებრად, ის არ გინახავანო? — არ გვინახავს, ჩვენ ძმა სად გვყავდა!

დედამ უთხრა, თქვენს მერმე მომეცა და რა გაიზარდა და თქვენი ამბავი გაიგო, საძებრად გადიშრა, ხმალი დაქიდული დამიტია, აქამდის კი იყო და ახლა ჩამოვარდაო. ამას სისხლის ცრემლით ეუბნებოდა დედა. ესენი ვარს ანბობდენ, — მნახელი არ ვართო.

იმ ყმაშვილმა რომ ალილო ჩიტი დატია, ის ჩიტი წავიდა და დაჯდა იმ ორმოზე, სადაც ის ყმაშვილი იყო დაქოლილი. ერთ პირს ისეთს იტირებდა, რომ ქვაც აღულდებოდა მისი სიცოდვით; მეორე პირს ისეთს იმღერებდა, იმის სიამეს კაცი ვერას გაიგონებდა; მესამე პირზე გალობას იტყოდა. მთელ დღეს ასე ატარებდა. იმ ადგილიდან არ დაიძროდა.

ერთ დღეს ხელმწიფე სახობბეს წამოსულიყო. ქორს ხოხობი არ დაეჭირა, გაბნეოდა. ბაზიერი აყურებდა, იქა-აქა იარებოდა. რა იმ ადგილს დაუახლოვდა, ეს საქვირველი ხმა ამ ჩიტის მოესმა. დაუგდო ყური და ამ ხმას მოყვა და ნახა მშვენიერი სანახავი ჩიტი და მის ხმას ექვირვება. ქორიც და-ავიწყტა და ხელმწიფის შიშიც! დიდ ხანს იდგა და უყურებდა. მერმეთ გაბრუნდა, მივიდა ხელმწიფესთან. შესწყრა ხელმწიფე. სად იყავ ამდენ ხანსო. მოახსენა: ხელმწიფევ, იმისთანა სანახავი ვნახე და საყურებელს უყურევო, რომ ნახოთ, მე კი არა, თქვენც დაეკვირვებითო. ხელმწიფემ უბრძანა: რა ნახე იმისთანაო? — ერთი ჩიტი ზის ერთს ადგილას, მისი შვენება ჩემი ენით არ გამოითქმისო. ერთს იმისთანას იტირებს, კაცის გონებას დააბნევსო, ერთს იმისთანას იმღერებს, კაცის ჟური იმისს უტკბესს ვერაფერს გაიგონებს, მერმეთ გალობას იტყვის, — მკვდარს გააცოცხლებს, — ამას იფიქრებო.

ხელმწიფემ ბრძანა, — მეც ვნახო თუ მართლა არისო. მობ-შანდა ხელმწიფე და დიდათ გაეკვირვა მის მშვენიერებას.

დადგა, ბევრ ხან უყურა. ახლოს არ მივიდა, არ მიგვიშოშტ, სატირლის ხმას უყურა, ხელმწიფემ ბრძანა: ეს რა არის, რამე საშიშარი არ იყოს იმ ადგილსო, ვნახოთ რა არის! შეიცვლებული ჩიტი ადგა, მარა შორს არ წავიდა, ახლოს შამოუედა. მოთხარეს იქ მიწა, ნახეს ორმო იყო. ამოიღეს მთლად, რაც დაეყარენ თავზე. ჩიტი სულ თავს ეფართქალებოდა რო ორმოს თხრიდენ. ნახეს, — ყმაწვილი, ძლივ სული ედგა. ამოიყვანეს და კითხა ხელმწიფემ: რა საქმით იყავ ამ ორმოშიო? — ყმაწვილმა თავის ამბავი მოახსენა. შებრალდა ხელმწიფეს და უბძანა, — შენს სიმართლეს არ დავკარგავო. ყმაწვილმა მაღლობა შესწირა და ხელმწიფე წაბრძანდა. ყმაწვილი შინ გამოემართა სიხარულით. ჭადართან გამოიარა, ის კაცი ნახა, დიდათ გაეხარა, მშობლურებ მოეხვია: შენმა დაყოვნებამ შემაწუხაო. გამოემშვიდობა, წავიდა. მისი ჩიტი მხარზე ეჯდა. მოვიდა შინ. დედამ რა დაინახა, სიხარულით ჭაბნდა, მერმე სურვილით მოეხვია და დაკოცნა. ძმები კი დალონდენ. მერმეთ იმათი მოგონება შეასრულა: ერთი ფარეშათ დააყენა, მეორე — მეჯინიბეთ, მესამე — მზარეულათ, მეოთხე — ხაბაზათ და მეხუთე — მეჯოგეთ.

წუხელის იქ გიახელით ჭირში და დღეს აქ გიახელით ლხინში.

X.

კოპე შენგელია

იყო და არა იყო, იყო ერთი კაცი მონადირე. ერთ დღეს წავიდა სანადიროს და მოკლა ერთი შველი. გახადა ტყავი, ბორცი აკაფსა და ტყავში ჩააწყო: ავიღებ და წავიღებო. იმ დროს შველი ადგა და გაიქცა. კაცმა რა ეს დაინახა, გაკვირვებით დაიძახა, — ვის დამართია ამისთანაო! შველმა მოუხედა და უთხრა: კოპე შენგელიას კითხე და იგი გეტყვისო!

თქვა ამ კაცმა, ვინ არის კოპე შენგელია, ჩემი თავი ცოცხალი არ მინდა, თუ ის არ შევიტყვეო. ეძება ბევრი, ვისაც შეხვთებოდა ყველას კითხავდა: კოპე შენგელია თუ გინახავან და იცნობთ, მასწავლეთო! მარა ვერავინ აუხსნა. ქალაქის აღგილებზე ეძება, იკითხა, მარა ვერ იპოვნა: მოვა შინ დალონებული. გზაში რომ მოვიდოდა, ერთი კაცი შეხვთა, ბევრ ხანს ერთად იარეს, ერთმანეთს ამბავი გამოკითხეს. ამ კაცმა უთხ-

რა: კოპე შენგელიას მაძებარი ვარო და ვერ ვიპოვნული კითხა, რასთვის დაეძებო? ამან უთხრა, რავა არა შენგელი, შველი მოვდალ, გავატყავე, ხორცი ავკაფე და ტყავში ჩავა-წყვე, მინდოდა შინ წამელოვო. წამოდგა შველი და გაიქცა. მე გაქვირვებით დავიძახე, — ვის დამართია ამისთანა-მეოქი! მო-მიხედა შველმა და მიპასუხა: კოპე შენგელიას კითხეო! სამი თვეა ვეძებ და მცნობელი კაცი ვერ ვნახეო. მან კაცმა უთხრა: მე ვიცი, საღაც არისო. ეს დიდათ ესიამოვნა და მოეხეია, შე-ევედრა, მასწავლეო! იმ კაცმა ყოველივე კარგათ გააგებია, ნიშ-ნები მისი სოფლის, რასაც მხარეზე იყო, ყველა კარგათ ამც-ნო. მაღლობა უთხრა და წავიდა. საღაც იყო მოძებნა და ნახა სახლი მისი. შორიდან მიდგა ჭიშკარზე და დაინახა კოპე შენ-გელიამ, სცნა რომ შორებელი იყო, სახლში მიიწვია. მე შენ სამი თვეა ვეძებე და ვერ გიპოვნე, ახლა გიპოვნეო. რასათვის მეძებო? — ამ კაცმა უბასუხა: მისთვის, რომ შველი მოვდალი, გავატყავე, თავის ტყავში თავის ხორცი ჩავდევი, ადგა და წავიდა. მე დაუძახე, — ვის დამართნია ამისთანა-მეოქი, და მან მიპასუხა: კოპე შენგელიას კითხეო და ის გეტყვისო. ამის საკითხავად მოვსულვარ, თუ ამისთანა დაგმართია. მან უპა-სუხა, ძმაო, მე რომ დამმართია, სხვას რავა ვეტყვი, თუ არ გაუგია. მარა შენ რადგან შორიდან გასჯილხარ, გეტყვი. მარა ასე ფეხზე დგომით ჩემი ამბავის მოსმენა არ იქნება, სახლში შამოდი, დავგდეთ და გიანბობ. ჩავიდა სახლში, დასჯდენ და მოუყვა და უთხრა თავის ანბავი:

ერთი ობოლი კაცი ვიყავი, მარტოხელი. ცოლი არ მყავდა, ვითხოვე ქალი და შეძლებისამებრ ცოტა საქორწილო მზადე-ბა ვქენი. ნათესავები დაგპატიჭე, მოვიყვანე ცოლი, იმ ღამეს ქორწილობა გადავიხადეთ. სტუმრები მეორე დღეს წავიდენ სახლში. ალაფი ნაქორწილევი დავალაგე, გახშამი ვჭამეთ. და-ლალული ვწობი ქალთან. რა ტანზე ძრობა დავიწყე, დაიძახა ჭიშკარზე ვინცხამ: „კოპე შენგელი კოპე შენგელი!“. ვდე-ქი, მივედი — წვიმა და ბნელა... საშინლად გადამარტყა მა-თრახი და მითხრა — ცხენათაც იქცევიო! გადამაქცია ცხენათ, შემჯდა ზედ, გათენებამდი მაჯიგჯიგა, მაჯიგჯიგა იმ წვიმაში, ამ უბედურობა ტალახში და რა გათენდა, გადამარტყა მათრა-ხი — კოპე შენგელიათ იქცევიო! — და ვიქეცი კოპე შენგე-ლიათ. საშინლათ ამოტალახული, გაწუნწყული, გაცივებული

მოვედი. მარა ენა სათქმელად არ მაქ. სირცხვილით და გაჭიბერებით რა დამინახეს — სად იყავ?! — იმან კი მომაძურავდა მომაძახა; ცოლმა კი მითხრა, რას გავხარ, სად იყავ, მაგრამ ხმა რავა ამოვილე, სირცხვილით ვკვტები. ვარ დაღამებამდი. მოვიდა, დაიძახა — კოპე შენგელია, კოპე შენგელია! უსაშველოდ არ მოეხსნა ჩემ სახელს, საშველი არ დამაყენა; ვთქვი, ეგებ ვინმე გაჭივრებულია, ივდექი, მივედი — გადამარტყა მათრახი, — ვირათაც იქცევიო! გადამაქცია ვირათ, მაჯიგჯიგა, მაჯიგჯიგა გათენებამდი, ამოვითხრაშნე, ამოვიტალახე და, რა გათენდა, გადამკრა მათრახი — კოპე შენგელიათ იქციო და მაქცია კოპე შენგელიათ. მოვედი შინ გატალახული, სირცხვილით ხმას ვერ ვიღებდი. და დამინახეს, ყველამ ამიხავდა: სად დაიარები, რას გავხარ? ცოლმა ვარესი უბედურება დამაყენა. მე პასუხი ვიჩ გავეცი. რა დაღამდა, აღრე დაწოლა მოვინდომე. რა გავიხატე და ვწობი, კიდო დაიწყო ძახილი. მე ყური არ მიუგდე, მარა უსაშველო იყო მისი ძახილი; ამას იფიქრებდი, რომ დიდი გაჭირვებული უნდა იყოსო. რა აღარ მომისვენა, ივდექი, მივედი. გადამარტყა მათრახი და — მურათაც იქცევიო! გადამაქცია მურათ, შემჯდა, გათენებამდი მარბენია და რა გათენდა, ქე გამიშვა მურათ, კოპე შენგელიათ აღარ მაქცია. მივედი შინ. რა დამინახეს, სულ კეტი მცემეს: ვისია აგი ტალახში დასცრილი მურა, სახლში არ შამოუშვათ, გასვრის ყოვლისფერსო! ჩემმა ცოლმა სულ ბევრი მცემა! მე ენა კი მქონდა, მარა რავა ამოვილებდი ხმას. ვსთქვი გულში: შიმშილით მოვკვტები, სად წავიდე? მერმეთ მოვიგონე: წავალ აგვართამი მეჭოგესთან, ეგების მწყემსმა რამე მაჭამოს-მეთქი. წავედი. რა დამინახა მეჭოგემ, დიდათ იამა: რა დიდი მურა მოვიდაო, ეს მგელს დაიჭერსო! იმ წუთში საჭმელი მომიტანეს, — ეგებ მოგვეჩეოსო. მე შიმშილით მკვდარი ვიყავი, ვჰამე რამდენიც მინდოდა. თფილი საწოლი გამიკეთეს — ძალლს რაც შეეფერებოდა. რჩეს მასმევდენ, მეფერებოდენ, — მურა მცივანი არისო, ცეცხლთან უდომას არ მიშლიდენ, ვიყავი რამოდენიმე ხანს და ჩემდა უბედურათ, ცხვარს მგელი მოუხთა და ცხვარი წაილო. გამოვიდნენ ერთობით მწყემსებმან ღარღილით, ყვირილით მისდიეს. მე შევშინდი და ლოგინს

ქვეშ დავიმალე. ესენი ამბობდენ: მურა რა იქნა, რომ ხმა არ
ისმისო? ერთმა თქვა,— მურა ჩუმათ გაეკიდება, ამასთან უძრავი
იცისო, მეორემაც დაამოწმა,— კაი ძალი კი არ დაიყეფს,
ისე კვალში ჩაუდგება და მისდევსო. მე ეს სულ მეყურებოდა.
ერთმა გამოიხედა ლოგინისკენ და დამინახა. იყვირა,— მურა
აგრე ყოფილა დამალულიო! გამომაგდეს კარში ცემით. დავ-
ლონდი: რაღა ვქნა, ვთქვი,— საშველი ჩემ თავს არა აქვს, თუ
რამე არ მოვახერხე! გადავდევი თავი სასიკვდინოთ და გამო-
უდექ მგელს უკან. მივსდიე უკან კვალში და მივეწიე. ცხვარს
ჭამდა, გადავაჭედი, მგელი დავარჩვე, თავი მოვრდენი და წა-
მოვიდე და მიუტანე მწყემსებს. დიდათ გაიხარეს, უმეტესი
პატივი მცეს. ვიყავი რამოდენიმე ხანი და, ჩემდა უბედურათ,
თურმე ხელმწიფის ცოლი ყოველ წელიწადს შვილს შობდა,
ყმაწვილს რაცხა ღამით მიეპარებოდა აკვანში და მოკვლიდა.
სცვიდენ, ღამეს უთევდენ, მარა ორმოც დღემდი არ მოეკლა
არ იქნებოდა. არას ღონისძიებით პატივი არ იქნა. იყო ხელ-
მწიფე დიდათ მწუხარე. მოახსენეს: ხელმწიფევ, მეჯოგეს ერ-
თი მურა ისეთი ყავს, მგელს იჭირავს და ის მოაყვანიე და
აკვანთან დააბი. იმას დაიჭირავს უთუოდ, რაც არის. წამიყვა-
ნეს, ღამაბეს აკვანთან. მე შიშით ვძრწოდი, მარა რაღა მექნა.
იყვნენ მცელები, ღამეს ათევდენ, მარა გათენებისას ყველას
დაეძინა. ჩამოვიდა მაღლიდან ერთი არწივის ოდენი ფრინვე-
ლი და რაკი დაეცეს აკვანში ყმაწვილს, წამოვგარ პირი და
დავიჭირე ძლიერ ტოტებით და კბილით მაგრათ მოვეკიდე.
მან მითხრა — კოპე შენგელია ხარ შენ, განაო? მე უთხარ: კი,
კოპე შენგელია ვარ-მეთქი. — ნუ მომკლავ და კოპე შენგე-
ლიათ გაქცევო. — მე უთხარ, ამ ყმაწვილს ვერ მოგაკვლიებ,
ხელმწიფიდან ვარ მცელად, თუ ვირ დავცევი მე მომკვლენ.
მან მითხრა — ნუ მომკლავ და არც ყმაწვილს მოგაკლავ, არც
თავის დღეში ვავნებ, რამდენიც შვილი ეყოლოს. შენ ვინც
ეს ვიყო, იმას გასწავლი, შენც გაქცევ, რავარც იყავ ისე. ამ
პირობით შეუშვი კბილი და ამოილო მათრახი და გადამარ-
ტყა—კოპე შენგელიათაც იქცევიო! ვიქეცი, მომცა მათრახი და
მითხრა, — ეს ყველა შენმა ცოლმა ვიყო, რაც დაგემართაო
და, რომ მიხვიდე შინ, ეს მათრახი გადაარტყი და უთხარი—
ეირათაც იქცევი-თქო! — და ვირათ იქცევა. გადატიდე კოპა
და წყალი აზიდვიერ. ეს მითხრა დავიჭერე და ის გაუშვა.
ყმაწვილი მოვარჩინე სიკვტილს.



რა გათენდა, მე ჭავეით დაბმული ქე ვიყავი კაცოფი რა
მნახეს, დიდათ გაეკვირათ — ძალლი დავაბით და კაცოფი უმარტინი
უმაწვილი კარგათ იყო. ის იხარეს და მე მკითხეს, — შენ აქ
ვინ დაგაბაო. მე ყოველივე ჩემი ამბავი დაწვლილებით უანბე,
დამალვა არ მიეწყობოდა. ბოვშის აწ ნუ გეშინიან, ნურაოდეს
მავნე ვერ მიეკარება-მეთქი. ეს ხელმწიფემ დიდათ იხარა,
მე წყალობა მომცა. წამოვედი და რა შინ მოვედი, ჩემ ცოლს
გადავარტყი მათრახი და ვირათ ვაქციე და ვაზიდვინებ კო-
კებით წყალს. იმ ღროს მეც ვნახე — წყალი მოიტანა კო-
კით და მითხრა, — ეს არის ჩემი ცოლიო! შენ თუ დაგმარ-
თიათ ამისთანა, იფიქრეო, შენ იმისთვის გიანბე ჩემი ანბავი,
რომ ჩემი ძებნით დამაშვრალხარ, თვარა სხვას ამას არ უან-
ბობდიო. მე მადლობა მოვახსენე, ამისთანა მე არაფელი დამ-
მართნია, ღმერთმა დამიფაროს-მეთქი, და წამოველ შინ.

წუხელის იქ ვიყავი ჭირში და
დღეს აქ გიახელ ლხინში.

X I.

მოხერხებული რძალი

იყო და არა იყო, იყო ერთი მამა-შვილი კაცი, ხურო ისე-
თი, რომ ქვეყანაზე უკეთესი არ იპოებოდა და ერთ ხელმწიფეს
სახლის აშენება უნდოდა და ბძანა: სად ვიშოვნო იმისთანა
ხურო, რომ ამიგოს ისეთი სახლი, სხვას არ ჰქონდესო? მო-
ახსენეს, — ხელმწიფევ, ერთ სოფელში ერთი მამა-შვილი კა-
ცია, იმის უკეთეს ხუროს ვერ იშოვნიო. ბძანა, მომიყვანეთო.
გაგზავნეს კაცი — ხელმწიფე გიბძანებს, სახლი უნდა აუ-
გოვო. ამ მამა-შვილ კაცს ცოლი არ ყავდა და თქვა მამამ:
სახლში არავინ მყავს, ხელმარტო ვარ, ვის დაუტიო სახლი?
სძალს მოვიყვან და სახლში დავტოვებ და ვიახლებიო; ხელ-
მწიფის სახლს მალე ხომ ვერ ავაშენებ, დიდ ხანს დავრჩებიო.
ამ სიტყვით გაისტუმრა ხელმწიფის კაცი, წავიდა მამამ და
შვილისათვის საცოლო მოძებნა და მოიყვანა. დატოვეს სახლ-
ში და წავიდენ. გზაში ერთი პატარა მდინარე წყალი დახვთა,
ხილე. უთხრა შვილს: ფეხს ნუ დამასოლებიებ, ისე გამიყვა-
ნეო. შვილმა უთხრა: ხილი არ არს და რაფერ გაიყვანო
დაუსოლებლადო. გაიარა და ერთ ტყეში შევიდენ. უთხრა მა-

ჩამი: ამ ტყეში ერთი შედი და ორი გამოდიო. უთხრა  მას: ერთი ორად რაფერ გამოვიდეო. გაიარენ და ^{უკავშირობელი} რასთან მივიღენ. უთხრა მამამ: ამ აღმართში ისე ამიყვანე, არ შემატყობიოვო. უთხრა შვილმა: რავა იქნება, ამის სიმაღლე იღმართში არ შეგატყობიო, ისე აგიყვანოვო!

გაგულისდა მამა და დაბრუნდენ და წამოვიდენ შინ. რა შინ მოვიდა, ქალმა კითხა ყმაშვილს, რატომ დაბრუნდითო? ყმაშვილმა უთხრა, რავა არ დავბრუნდებოდით, წყალზე მივედით და ხილი არ იყო, ფეხს ნუ დამასოლებიებ ისე გამიყვანეო; მთას შეტყეში შევედით და, ერთი შედი და ორი გამოდიო; მთას შეტყეში შევეძით და, არ შემატყობიო ეს აღმართი, ისე ამიყვანეო. ეს რავა იქნებოდა!

ქალმა უთხრა, სულელი ყოფილა, ეს რავა შეგეძლოვო ეს რომ თქვა ქალმა, მოკიდა ხელი მამამთილმა და ჭიშკარს გადააცილა, — შენ არ ხარ ჩემი შესაფერიო. წავიდა და სხვა რაძალი მოიყვანა, დატია სახლში და წავიდენ ხელმწიფესთან. რა იმ წყალთან მივიღენ, კიდე ისე უთხრა შვილს: ფეხს ნუ დამასოლებიებო. უწყინა შვილმა: არ შეიძლება, წყალზე ხილი არ არის და ფეხდაუსოლებლად გასვლაო. ტყეში შევიდენ, — ერთი შედი და ორი გამოდიო. იმაზეც ვარი უყო შვილმა. მთას შეუდგენ და ისე ამიყვანე, არ შემატყობინოვო. იმაზეც ვარი რა უყო, გაუჯავრდა მამა და დაბრუნდენ შინ. მოვიდენ, კითხა ქალმა ქმარს: რაზე დაბრუნდიო? უთხრა ქმარმა: მამა გაგიდა, წყალზე მივედი ხილი არ იყო და ფეხს ნუ დამასოლებიებო, ისე გამიყვანეო; ტყეში ვიარეთ, — ერთი შედი და ორი გამოდიო; აღმართს შეუდექით და ნუ შემატყობიებ, ისე ამიყვანეო და ეს რავა შემეძლოვო. ქალმა მართლა გაგიქებულიო! მოკიდა მასაც ხელი მამამ-უთხრა: მართლა გაგიქებულიო! მოკიდა მასაც ხელი მამამ-თილმა და ეზოს გადააცილა: არც შენ ხარ ჩემი საფერიო. წავიდა კიდე, სხვა ცოლი მოჰევარა და დატია სახლში. ესენი წავიდენ თავის გზაზე. რა წყალთან მივიღნენ, უთხრა მამამ: წავიდენ თავის გზაზე. რა წყალთან მივიღნენ, უთხრა მამამ:

ნუ დამასოლებიებ ფეხსო შვილმა ბასუხი არ გასცა. ტყეში ნუ დამასოლებიებ ფეხსო შვილმა ბასუხი არ გასცა. შევიდენ და, — ერთი შედი და ორი გამოდიო! არც მაზე გასუხვიდენ და, მთას შეუდგენ და ნუ შემატყობიებ, ისე ამიყვანე ბასუხი. მთას შეუდგენ და ნუ შემატყობიებ, ისე ამიყვანე ბასუხი. მთას შეუდგენ და ნუ შემატყობიებ, ისე ამიყვანე ბასუხი! გაუჯავრდა შვილმა, მამამაც უწყინა და დაბრუნდნენ და ნეო! გაუჯავრდა შვილმა, მამამაც უწყინა და დაბრუნდნენ და ნინ მოვიდენ. კითხა ყმაშვილს ცოლმა, — რატომ დაბრუნდითო? ყმაშვილმა უთხრა: მამაჩემმა გამაგულისა: წყალზე მივი-



ლით, ხიდი არ იყო და ფეხს ნუ დამასოლებიებ, ისე გამოიყენები ნეო. ქალმა უთხრა: ორ ნოღოს გავსკრიდი და გავიტრუტს ლა და არ დეისოლებდა ფეხს მოხუცებულიო, აგი რავა ვერ ქენო! — ტყეში შევედით და, ერთი შედი და ორი გამოდიო და ის ვარ ვქენი, ერთი ორად რავა ვიქცეოდი.

— ეს რავა ვერ ქენი! შესულიყავი, ჯოხი გამოგეჭრა და გამოსულიყავი, — ორი იქნებოდი, მოხუცებული მამა დააბიჯებდაო.

— აღმართს შეუდექით და, — ნუ შემატყობიებ, ისე ამიყვანეო. აღმართში ისე რავა ამეუკანა, არ შეეტყოვო!

ქალმა უთხრა ეს რავა ვერ ქენი, მოვყობოდი უცხო და უცხო ანბავს, უანბობდი, იმაზე დააყურებდა მოხუცებული და აღმართს ისე აიარდა, ვერ შეიტყობდაო.

რა ეს რძალისაგან მოისმინა ყმაწვილის მამამ, ძლიერ გამხიარულდა, მოეხვია და უთხრა: მამავ, შენ ხარ ჩემი შვილი, ჩემი რძალი! შენ გებარებოდეს ჩემი ოჯახი, ჩვენ შორის გზას მივალთ. შენ იცი, რაც ჰქონით იქნებით, და დაემშვიდობა და წავიდნენ ხელმწიფესთან. დაიწყეს შენობა. სამი წელიწადი დაყვეს და ისეთი მშვენიერი სახლი ააშენეს, არას ხელმწიფეს არ ქონია იმის სიმშვენიერე სახლი. ხელმწიფეს დიდათ მოეწონა და ესიამოვნა, მარამ გონებაში განიზრახა, ეს კი კარგი სახლი ამიგეს, მარა აწ სხვაც ააგებიებს ამისთანას და მაშინ მე რათ მინდაო. დაფიქრდა და თქვა გულში: ამათ არ გაუშვებ ჩემი სასახლიდან. რო ეს ხელმწიფემ გონებაში განიზრახა, ამ ხურო კაცებმა ეჭვი აიღეს, — ხელმწიფემ არ გვიშობსო. ხერხი რამ მოიგონეს და თქვეს: ეს სახლი არ გვიზის, ხელოვნება რამე აკლია და გვინდა რომ არ მოვაკლოვო. სახლს ჭახრაკით აშენებდენ თურმე. ერთ კუთხეში ერთ ბურლს დაიჭრიდენ, სახლი დაიქვაფოდა. მოვიდნენ და დააჭრეს ერთ კუთხეში ბურლი და სახლი დაბლა დაუშვეს. კითხეს, — ეს რათ ქენითო და, ამათ უპასუხეს, — არ მოგვეწონა, არ იყო კაი. ერთი რამ ხელოვნება აკლდა, შინ ერთი სახელვანო გვაქვს, ის უნდა მოვიტანოთო, თვარა არ იქნებაო. ხელმწიფემ ბრძანა: მე გავაგზავნი კაცს და მოვატანინებო. ამათ მოახსენეს: ჩვენ თუ არ წავედით, არ იქნება, გაგზავნილ კაცს არ მისცემენ, ძვირფასი არისო. ხელმწიფემ გაშობა არ ქნა: კარგს საიმედო კაცს გავაგზავნიო. მოახსენეს: აბა, თუ არ დაგვიგერებ

შევენი ვეზირი, მოურავი და მოლარეც გააგზავნეთ, თუ კარგი არ არის სხვა ვერ მოიტანსო.

ხელმწიფემ ვეზირი და მოურავი გაგზავნა და მოლარეც თან გაატანა და წავიდენ. რა მივიდენ, ქალმა ნახა, კითხა,— რათ მობრძანებულხართო? ამათ უთხრეს: ხელმწიფის გამოგზავნილი ვართ, შენმა ქმარმა და მამამთილმა შამოგითვალა უხერ-სახერხი რომ გვაქვს შინ, ისე გამოგვიგზავნეო, საჭირო შეიქნა აქ.

ქალმა რომ ეს მოისმინა, ჩაფიქრდა და თქვა გულში: სახელოვანო იმათ რაც ქონდათ ყველა წაიღეს, აქ არ დაუტოვებიათ და უხერ-სახერხი რა უნდა იყოსო? უთუოდ იმათ რაცხა უჭირსთო და უთხრა: წამობძანდით, ხულაში არისო. გაუღო კარი ხულის და,— შებძანდით და გამოიტანეთ, ერთი ვერ გამოიტანს, ვერც ორი, მძიმეაო. შეუშვა სამივე ხულაში და კარი დაუკლიტა. უთხრა: სანამ ჩემი ქმარი და მამამთილი არ მოვა, მანამ ამ ხულის კარი არ გაიღებაო. რა ესენი არ მივიდა, დააგვიანდა, ხელმწიფემ სხვა კაცი გამოაგზავნა, რა იქნენო? ქალმა შეუთვალა: სანამ ჩემი ქმარი და მამამთილი აქ არ მოვა, მანამ თქვენი ვეზირი, მოურავი და ვერც მოლარე თქვენ ვერ გიახლებაო. რა ეს ამბავი მიუვიდა ხელმწიფეს, ისინი გამოუშვა და რა რომ ისენი მოვიდენ, ვეზირი და მოურავი გაუშვეს.

წუხელის იქ ვიყავი ჭირში
და დღეს აქ გიახელი ლხინში.

XII. იგავები

ერთს ქვეყანას ერთი შაი ხელმწიფე იყო, დიდი სამეფოს მატრონი და მდიდარი, მარა ქვეშევრდომ შეუწყნარებელი იყო: თუ მასთან მთხოვნელი მივიდოდა, მოპასუხეს თავის მოქრით გაასამართლებდა და ხშირად მთხოვნელსაც მოქვეთდა თავს. ამითი იმისი სამეფო დამცირდა და ბევრი სოფლები დაიცალა.

ერთს დღეს, ერთი მთხოვნელი მოვიდა და სამართლის გადაწყვეტილება ითხოვა. მეფე თურმე სხვა რამე ფიქრით უგუნებოთ იყო და უბრძანა: რატომ ამისთანა დროს ჩემ-გან სამართლის განჩინების ბრძანება ითხოვეო? უბრძანა

ვეზირს: ამის სამართალი ეს არის, წაიყვანე, თავი მოკვეთე
და წარმომიდგინე.

რა მთხოვნელმა ეს მოისმინა და პირი უკან მიიბრუნა, წა-
ილაპარაკა: მეფემ რომ ჩემი სწავლის გარემობა იცოდეს, მე
თავს არ მოქვეთსო. ესეც მეფემ გაიგონა და მობრუნება
ბრძანა. ვეზირმა მოაბრუნა. ხელმწიფემ უბრძანა კაცსა მას: შენ რა ისეთი სწავლული ხარ, რო შენი სიკვტილი დასაკლისი
რამ არისო. კაცმა მალ მოახსენა: მე ყოველთა ფრინველთა ენა
ვიციო, რასაც ისინი იტყვიან, გავიგონებო. მაშინ მეფემ თავის
მოჭრიდან განათავისუფლა და ვეზირს უბრძანა: კაცი ესე
წაიყვანე, ამისაგან ფრინველებთ ენები ისწავლე და შენ მე
მასწავლეო.

განვიდა რაოდენიმე დრო. მეფეს ის სიტყვები გარდავიწ-
ყებული ქონდა და ჩვეულებრივ სამართლით კაცებს ხოცავდა.
ერთ სალამო დროს მეფე თავის ოთახში ბრძანდებოდა, *ვეზი-
რი იგი თავს ადგა. გარეთ ღამის ფრინველებმა გალობა მორ-
თეს. მოაგონდა მეფეს კაცი იგი, რომელმაც ფრინველებთ
ენების ცოდნა მოახსენა და უბრძანა ვეზირს, ისწავლე შენ იმ
კაცისაგან ფრინველთ ენებიო? ვეზირმა მოახსენა, — ვისწავ-
ლეო. აბა, მითხარ ის ჭოტები რას ამბობენო? ვეზირმა მო-
ახსენა:

იმათში ერთს ვაჟი ყავს და მეორეს ქალიო. ვაჟის მამა
ქალის მამას ქალსა სთხოვს და შვიდას ნასოფლარს მზითვათ
თხოვსო. ქალის მამა ეუბნება: ხუთი ქალი კიდო სხვა მყავს
გასათხოვარიო და შვიდასი ნასოფლარი რო შენ მოგცე, სხვას
რა მივცეო? ვაჟის მამა ეუბნება რამ შეგაშინა, ეს მე მომე-
ციო და შაი მეფემ თუ დღე დაყო, ამისთანა სოფლებს ბევრს
ააონებსო!..

მაშინ მეფემ ბრძანა: განა მე ესეთი უსამართლო კაცი ჩა-
რო? ვეზირმა მოახსენა: ჭოტნი იგრე ამბობენო და რა მო-
გახსენოვო. მეფემ იმ დღიდგან დაუფიქრდა და სამართალიც
ჩიგით შამოილო და სამეფომაც გაძლიერდა და გამრავლდა.

ასახსნელი

ათ ბეჭედს გიამბობ, ხუთ თავს ოთხ სულად,
 ათს ხელსა ჰვპოვნი ასს თითსა სრულად.
 მწოლარე მიღის რვა ფეხის მდგმურად,
 ხუთი წავიდეს, ოთხი მოვიდეს, ჰეშმარიტია ნუ შერაცხ
 ტყუდად.

* * *

მარჯორი უორდოოპის ხილით ჩაწერილი ქართული ზღაპრეზი

მწევრის შვილი

იყო ერთი ხელმწიფე. იმას შვილები არა ჰყვანდა. ერთმა
 მკითხავმა ურჩია, დაეკლა მას მტრედები, რომელთაც ბუდე
 ჰქონდათ ხელმწიფის ბაღში. მთელი მტრედი თვითონ შეჭა-
 მა, მხოლოდ ბარქლები მისცა მოსამსახურეს და წელები მი-
 უგდო თავის მწევრს.

გავიდა პატარა ხანი და ხელმწიფესაც ეყოლა შვილი. იმის მოსამსახურესაც და მწევარსაც. ხელმწიფემ სამნივ თვითონ იშვილა. მალე ამათ მოინდომეს თოფები და სხვა იარაღი. ხელმწიფემ გააკეთებინა უშველებელი თოფები, მაგ-
 რამ მწევრის შვილმა დაამტვრია და გადაყარა. ხელმწიფემ გააკეთებინა უფრო დიდი თოფები და მწევრის შვილმა მო-
 ინდომა თავისი ძმებით მოევლო მთელი თავისი სახელმწიფო. ხელმწიფემ ასწავლა გზა და ანიშნა ერთი ალაგი, სადაც იდვა დიდი ქვა და ზედ ეწერა: „ვინც ამ ქვას იქით გადავა, ცოცხა-
 ლი ვეღარ დაბრუნდება“. და უთხრა, რომ იმას იქით მდეგი-
 ბის სახელმწიფოა.

მწევრის შვილი მალე გაუდგა გზას. მალე იმ ქვასთანაც მივიდა. იმის ძმებს არ უნდოდათ იმას იქით გადასვლა, მაგ-
 რამ მწევრის შვილმა ძალად წაიყვანა. იარა, იარა და მიადგა ერთ უშველებელს სახლს. ნახა გაშლილი სუფრა, რომელზე-
 დაც ელაგა ექვსი თეთრი, ექვსი ნაჭერი პური და ექვსი კოვზი და შიგ კი არვინ იყო. მწევრის შვილმა იცოდა, რომ ის სახ-
 ლი სამი ყველაზედ ღონიერი მდევისა იყო და გაგზავნა თავისია ერთი ძმა თეთრი მდევის მოსაკლავად. იმან იცოდა, რომ მდევს უნდა ხიდზედ გამოეარნა. იმის ძმა წავიდა და ჩასაფრდა, მაგ-

რამ რა წამს მდევი დაინახა, დაიმალა. მწევრის შვეტაზუანი
იცოდა და თვითონ ჩასაფრდა. მდევმა რომ გამოიაყება, მწევრის
რის შვილმა ჩაახველა. მდევის ცხენი დაფიხა და მდევ-
მა შეჰყვირა: „შე ოხერო, რა გახტუნებს?“ სამნი ძმანი
ვართ, სამი ცოლი გვყავს და ჩეენი შიშით ზეცას ფრინველს
და ქვეშკნელს ჭიანჭველს ვერ გაუვლია, ერთი ვიღაც მწევრის
შვილია და ჯერ ხოჭიჭიდან არ არის ამოსული“. — „მწევრის
შვილი მე ვარ“ — შესძახა მწევრის შვილმა და გადმოხტა.
იძრო ხმალი, შემოჰკრა და ცხენიდან გადმოაგდო. მერე ყური
მოსჭრა, ჯიბეში ჩაიდო და მდევი ხიდს იქით გადააგდო. მი-
ვიდა ძმებთან და უთხრა: „რა პქენ, ვერ მოკალიო?“ — „მე იქ
ვერაფერი ვნახეო“, — უპასუხა ძმამ. მერე უნდა გამოეარნა
შავ დევს. მწევრის შვილმა გაგზავნა მეორე ძმა, მაგრამ იმა-
საც შაეშინდა. ისიც მწევრის შვილმა მოჰკლა, მოსჭრა ყური
მდევს, ჩაიდგა ჯიბეში, მოსწყვიტა იმის რაშს ძუა, შეჰკრა
და გაგზავნა მდევების სახლში. ახლა მოვიდა მწევრის შვილის
ჯერი. ძმებს უთხრა: „როცა ცხენმა წიხლი ჩაგრათ აუშვით
და გამოგზავნეთო“. მესამეთაც ჩასაფრდა. პატარა ხანს უკან
გამოჩნდა მდევი. რამდენსაც ამოისუნთქებდა, იმდენი ნა-
კერჩხალი სცვიოდა პირითგან. მწევრის შვილმა კიდევ ისე
ჩაახველა და მდევმა ისევ შეუტია ცხენს. მწევრის შვილმა და
იმან დაიწყეს ბრძოლა იმ პირობით, რომ მდევს ქორ-მეძებ-
რები არ მოშველებოდნენ. დაიქნია მდევმა და მწევრის შვილი
მუხლამდის ჩასვა მიწაში. დაიქნია ახლა მწევრის შვილმა და
იმანაც მუხლამდის ჩასვა. მდევმა მუცლამდის ჩასვა, მწევრის
შვილმა — წელამდის, მერე მდევმა წელამდის ჩასვა და მწევ-
რის შვილმა — ყელამდის. მდევმა ქორ-მეძებრები მიიშველა,
მაგრამ მწევრის შვილმა გამოხსნა ძუა და პატარა ხანს უკან
მოვარდა შავი მდევის რაში და თან დიდ ბოძს მოათრევდა.
მოხედა მდევს თავში და მოკლა. ამაზე ქორ-მეძებრებიც ვა-
იფანტნენ და მწევრის შვილმა ყველანი თვითონ დაისაკუთრა.
მწევრის შვილის ძმები დამთვრალიყვნენ და დასძინებოდათ
ძუის გამოხსნაზედ. ცხენს რამდენჯერმე წიხლი ჩაეკრა, მაგრამ
იმათ არ გამოჰვიძებოდათ და ამიტომ ცხენს ბოძი, რომელ-
ზედაც თვითონ ება, გადმოეგდო და გამოქცეულიყო. მწევრის
შვილმა იმასაც მოსჭრა ყური და ჯიბეში ჩაიდო. მერე დაბრუნ-
და და აჩვენა ყველა ყურები. იმათ შერცხვათ, მაგრამ რას

იშამდნენ? პატარა ხანს უქან მწევრის შვილმა ძმები გაგზავნა, თვითონ კატად იქცა და დასკუპდა მდევების მდევების მოვიღნენ მდევების ცოლები და გაუკვირდათ, რომ იქაურობა არეული იყო და ამბობდნენ. „ვინა ქნაო?“ კატა კნაოდა „მიაუ!“ — „შენ სად შეგიძლიან ესა“ — დაუყვირეს მდევის ცოლებმა და სცემეს. კატა ისევ მწევრის შვილად იქცა და უთხრა ყველაფერი. მერე ისინი დადგნენ დიდი ქვის ერთ ნაპირზედ, მწევრის შვილი მეორეზედ და ჩასჭიდეს ხელები. თუ მდევები გადაიტაცებდნენ, მწევრის შვილი იმათი იქნებოდა და თუ მწევრის შვილი გადაიტაცებდა, მდევები იმისი იქნებოდნენ. მწევრის შვილი ახტა და მუხლამდის ქვაში ჩაჯდა. ჩასჭიდა ხელი მდევებს და ყველანი თავისთან გადაყარა. უფროსი თვითონ შეირთო, შვათანა შერთო ხელმწიფის შვილს და უმცროსი მოსამსახურის შვილს. მერე ის დაბრუნდა თავის სახელმწიფოში. გზაზედ გადიარა ერთ მდევების სახელმწიფოზე. იქ ეგდო დიდი, ერთი სოფლის ტოლა ქვა. ვინც იმ ქვის ერთ თავს ასწევდა, ის უნდა ყოფილიყო იმათი მეფე. უქმე დღე იყო, როცა მივიდა მწევრის შვილი იქ. მივიდა მდევების ხელმწიფე და აუწია ერთი თავი ამ ქვას. მწევრის შვილმა დაავლო ქვას ხელი და ისეთი მაღლა შეისროლა, რომ ქვა ძლივს გამოჩნდა. მდევები მოეხვივნენ და ეხვეწებოდნენ, შენ იყავ ჩვენი ხელმწიფეო, მაგრამ მწევრის შვილი დიდ უარზედ იდგა. აღგა მერე და იქიდან წავიდა თავის სახლში. იქ გაიგო, რომ ხელმწიფეს დაპირის კიდევ ერთი შვილი, რომელიც გაგიუბულიყო და ყველას ჰქლავდა, ვისაც სახლში ცეცხლი ენთო, — ეშმაკები ხართო.

მწევრის შვილი დაეფიცა თავის მამას, უთუოდ მოგიყვანო და წავიდა საძებნელად. იარა, იარა და მივიდა ერთ სახლთან. იქ იმან დაინახა, რომ ხალხი წიოკობდა და ტიროდა. მივიდა და ჰქითხა: „რა ამბავიაო?“ იმათ უთხრეს: „ხელმწიფეს ჰყავს ერთი შვილი, გიუ და ესე გვხოცავს ყველას, ვის სახლშიც ცეცხლსა ნახავსო“. მწევრის შვილი შევიდა და დაიშირა თავისი ძმა. გაპკრა ორიოდე სილა და გაუჭავრდა, მერე შეჰქრა და მოჰვევარა თავის მამას.

ხელმწიფე როცა მოკვდა, ტახტზედ მწევრის შვილი ავიდა და თავისი გმირობით და ჭკუით ყველგან სახელი გაითქვა.

ელასა, მელასა,
 გუდა მეკიდა ყელასა,
 მოქმელსაც და გამგონებელსაც
 ძილი გაამოთ ყველასა.

* * *

[უსათაურო]

იყო და არა იყო, იყო ერთი დედაქაცი. იმას ყავდა ერთი შეილი. შეილმა არაფერი არ ისწავლა. ერთ დღეს უთხრა დედას, რომ წაეყვანა ურიასთან, რომელიც ფართალს ჰყიდიდა. დედამ წაიყვანა და მიაბარა ურიას. ურიამ ჰქითხა: „რა ჰქია სახელი“. — „გაფხრიშე (გახიე) და გადააგდე“ — უპასუხა ყმაწვილმა. ურია სხვაგან წავიდა და ჩააბარა ყმაწვილს ყველაფერი და უთხრა: „აბა, შენ იცი „გაფხრიშე და გადააგდე“, შენთვის მომიბარებია ყოველიფერი“; როდესაც ურია წავიდა, ყმაწვილმა მიპყო ხელი და ყველაფერი გახია და გადააგდო. ურია მოვიდა და ჰქითხა: „რა გიქნია ეს“, — „არაფერი“ — უპასუხა ყმაწვილმა — „რაც დამიბარე, ის ავასრულე“. ურიამ ურტყა, ურტყა და გააგდო.

ყმაწვილი წავიდა დედასთან და სთხოვა მიებარებინა სხვა მეხილე ურიასთან. დედამ მიაბარა; ურიამ ჰქითხა: „რა გქვია შენ სახელი“, — „მოკმიჩე და გადააგდე“, — უპასუხა ყმაწვილმა. ერთხელ ეს ურია სხვაგან წავიდა და უთხრა ყმაწვილს: „აბა, შენ იცი, „მოკმიჩე და გადააგდე“, შენთვის მომიბარებია ყველაფერი“. წავიდა ურია თუ არა, ყმაწვილმა ყველა ხილი მოკმიჩა და გადააგდო. ურია დაბრუნდა. ნახა ეს თუ არა, გალახა და გააგდო. ყმაწვილი დაბრუნდა დედასთან და სთხოვა, რომ ცხრა მთას იქით ავაზაკებია, იქ წაეყვანა. წავიდნენ. იარეს, იარეს, იარეს და მივიდნენ, დედამ მიაბარა იმ ყაჩაღებს შეილი და დაბრუნდა შინ. ყაჩაღებმა უთხრეს ყმაწვილს, რო ვახშამი გაეკეთებინა და თვითონ წავიდნენ საავაზაკოთ. ყაჩაღები თორმეტი იყვნენ, მაგრამ ერთი იმ თვეში მომკვდარი იყო, მხოლოდ მისი ცხენი და იარაღი ქე იყო თავის ადგილს. ყმაწვილმა მოამზადა საჩქაროთ ვახშამი, დაიკიდა იარაღი ზევდრის ყაჩაღის, შეჭდა ცხენზე და გასწია; წინ შამოეყარენ

შიღაც კაცები, შეწუხებულნი, მტირალნი. ყმაწვილებულის შეკვთხა, „რა დაგემართათ“, იმათ უპასუხეს, რომ თერთმეტი ყაჩალი დაგვეცა გზაზე და გაგვცარცვესო. და ასე წავიდნენო. რაკი ყმაწვილმა შეიტყო საით წავიდნენ ყაჩალები, გააჭენა ცხენი იქით, მიეწია ყაჩალებს, ესროლა თოფი, დამბაჩა და ისე შეპუვირა, რომ მთები შეინძრენ. ყაჩალები შეშინდნენ, დაყარეს ყოველისფერი და გაიქცენ. ყმაწვილმა სულ ყველასფერი, რაც ყაჩალებს დაატოვებინა, წაულო იმ საწყლებს, რომელსაც მკუთვნოდა და თითონ კი გეგშურა სახლისკენ, გამოიცვალა ტანისამოსი, ცხენი თავის ალაგას დაბა, დაჯდა ცეცხლთან, თითქოს არაფერი არ ყოფილიყოს. ყაჩალები დაბრუნდნენ, ჰამეს ვაბშამი. ნავახშმევს ერთმა მათგანმა სთქვა, რომ ის ძაცი, რომელმაც ჩვენ ნაცარცვავი დაგვატოვებინა, ეს ჩვენი ყმაწვილიაო. ამხანაგებმა სიცილი დააყარეს და უთხრეს, შენ ისე შეშინებულხარ, რომ თავბრუ დაგხვევიაო. მაგრამ იმან თავისი არ მოიშალა და ბოლოს გადასწყვიტეს ამ ყმაწვილის გამოცდა; ამისთვის იგი გაგზავნეს შუალამეს სასაფლაოზე, სადაც მეთორმეტე ყაჩალი იყო დამარხული და ქვაბი გაატანეს ქაშის მოსახარჩავათ. ყმაწვილმა იღო ქვაბი და გასწია, მივიდა სასაფლაოზე, დაანთო ცეცხლი და დაუწყო ქაშს მზადება. ყმაწვილის იქ მისვლამდე ერთი ყაჩალი წავიდა, ამოთხარია იქვე ორმო, ჩაწვა და დაიმალა. როდესაც ქაში მზათ იყო, ყაჩალმა ამოწია ხელი და საზარელის ხმით სთქვა: „ბავშვო! მაჟამე ცოტა მეც“. ყმაწვილს არ შეეშინდა და მიცა რამდენიმე კოვზი ხელში. ცოტა ხნის შემდეგ ვითომდა მქვდარმა კიდო ითხოვა. ყმაწვილს გული მოუკიდა, იღო მთელი ქვაბი აღუღებული ქაში და ჩაასხა ორმოში. ყაჩაქი(!) შეიფუფქა კარგათ, ამოვარდა სასაფლაოდან და უყვირა, რა მიქენი ეს მეო. „მე რა ვიცოდი თუ შენ იყავიო“ — მიუგო ყმაწვილმა, მოკიდა ქვაბს ხელი და წავიდა შინ; დაბრუნდა შინ ყაჩალიც და უამბო თავის ამხანაგებს ყველაფერი დაწვრილებით. ყაჩალები დაფიქრდნენ და არ იცოდნენ რაფერ მოეშორებიათ ეს ყმაწვილი. იფიქრეს, იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს გადასწყვიტეს ასე: ერთმა თავი მოიავაღმყოფა და ბავშვი გაგზავნეს უკვდავების წყალის მოსატანათ. ყმაწვილმა აიღო დოქი და წავიდა. იარა, იარა, იარა და როგორც იყო მივიდა. ნახა რომ უშველებელი კლდეა და იქიდგა[ნ] წყალი ჩა-



მოდის თითო წვეთებით. შეუდგა დოქი ამ წყალს და მოგვიანებულ იქნა იქით-აქეთ მზერა. უცბათ სადაც არ იყო გაჩნდა კუნძულები დედაბერი ოქროს წკეპლით ხელში და უნდო[ოდა] ყმაწვილისთვის დაერტყა, მაგრამ ყმაწვილმა [ა] მივარდა უცბათ და წქნელი წაართვა. დედაბერმა გაღაეხვია და დაუწყო კოცნა და უთხრა, რომ მოჯადოებული იყო; ვისაც წკეპლს დაარტყამდა ქვათ იქცეოდა და ეხლა განთავისუფლდა. თქვა თუ არა ეს, გადაიქცა ჩიტათ და გაფრინდა. ყმაწვილმა აამსო დოქი წყლით და დაუწყო ქვებს, რომელნიც იქ ეყარეს, ცემა და და ყველა ქვები კაცად გადაიქცნენ. ყმაწვილმა მოჰქიდა დოქს ხელი და წავიდა შინ. გზაზე ერთი ურია გადაეყარა, რომელიც ჩააცივდა,—ეს წკეპლა ჩემიათ და შენ მოგიპარიაო. აიშალენ-დაიშალენ ამაზე და წავიდნენ მეფესთან. ყმაწვილმა მოახსენა მეფეს სამი წლის ვადა მიეცა და თორმეტს ამისთანა წკეპლს მოიტანდა. მეფე დასთანხმდა და თავდები მოთხოვა. ყმაწვილი წავიდა შინ, მოიყვანა ყაჩალები მეფესთან და უთხრა: „ესენი ციხეში ჩასვი და კარგათ მოუარე, სამის წლის უკან აქ გიქმნები, და არც ეს ურია გაუშვა ჩემს მოსვლამდის“; სთქვა ეს თუ არა, წავიდა. იარა, იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახელმწიფოში და ნახა, რომ ყველა სახლს შავი აქვს გადაქრული, კაცები მოწყენილია, ყველანი სტირიან. გაუკვირდა ყმაწვილს ეს და იქითხა რა იყო ამის მიზეზი. ამაზე უპასუხეს, რომ ხელმწიფის შვილი მოკვდა იგერ ერთი წელიწადია, შუალამისას რაღაც დიდი ეეებერთელა ჩიტი მოფრინდება, გააცოცხლებს და აწვალებს დილამდი. დილას მეფის შვილი ისევ მოკვდება და ჩიტი გაფრინდება. ყოველს საღამოს გინმე უნდა წავიდეს იქ და მაშინ ჩიტი ხელმწიფის შვილის მაგიერათ იმას აწვალებს და ესეც უთხრეს, რომ გუშინ ერთმა ყმაწვილმა კაცმა ჭვარი დაიწერა და დღეს იქ უნდა წავიდესო. ყმაწვილმა იქითხა, სად დგას ის ყმაწვილი კაცი, რომელიც იმეღამ უნდა წავიდესო. და როდესაც ასწავლეს, წავიდა იმ კაცთან და უთხრა, ამეღამ შენ მაგიერ მე წავალო და შენ სიკვდილს გადარჩებიო. იმ კაცს ძალიან გაუხარდა და არ იცოდა როგორ დაესაჩუქრებინა ყმაწვილი, მაგრამ უკანასკნელმა არაფერი არ გამოართვა.

დაღამდა თუ არა, ყმაწვილი წავიდა სასაფლაოზე. სასაფლაოზე კლდეებიდამ ოთახსავით იყო გაკეთებული. ყმაწვილმა

შივიდა, კუბოს იქით მიწვა. შუალამისას მოფრინდეს გადახული ვებერთელა ჩიტი, დაცა მიწაზე, იქცა დედაბეჭერებულებულა ხელმწიფის შეილს: „ადეგ, გაწვალო ერთი კარგათ, დღეს შენ მაგიერათ არავინ არ გამოუგზავნიან“. ხელმწიფის შეილი გაცოცხლდა, წამოდგა; ქალი, ესე იყო უნდა მოეკიდა ხელი, რომ უცბათ წამოდგა ყმაწვილი და უთხრა: „მაგას შენ ხელს ვერ ახლებ. მე ვარ აქ. (აქანე—იმერულია). ქალმა დაინახა თუ არა, ერთი იკივლა და უნდოდა წკეპლით, რომელიც ხელში ეჭირა, დაერტყა, მაგრამ ყმაწვილი გაუხტა განხე და მეორეჯერ აღარ აცალა მოქნევა, მივარდა და წაართვა. ქალმა გადაეხვია, გადაკოცნა და უთხრა, რომ მოგადოებული იყო და ვისაც წკეპლის დაარტყამდა ქვათ იქცეოდა და მიუთითა ქვებზე, რომელნიც იქ ეყარენ და რომ დღეიდან გადო მოიშალა. — სოქვა ეს, იქცა ჩიტად და გაფრინდა.

ყმაწვილმა ქვებს, რომელიც იქ ეყარენ, დაარტყა წკეპლა და უველა კაცათ იქცა. ისთე რომ, ყველა გააცოცხლა, ვინც ხელმწიფის შეილისთვის მოქლული იყო. გაცოცხლდა უველანი თუ არა, მეფის შეილმა წაიყვანა სასახლეში. ქალაქი გაცოცხლდა, შეიქნა დიდი სიხარული და მოლხენა. ხელმწიფეს უნდოდა ყმაწვილი დაესაჩუქრებინა, ხოლო უქანასკნელმა არ მიიღო საჩუქრები და სთხოვა,—მეორე ნაპირას ზღვაზე გაეშვა. ხელმწიფე ძალიან შესწუხდა, რადგანაც ზღვაში რაღაცა იყო, რომელიც გემებს ჰლუპავდა და ამისთვის არაკაცი არ დადიოდა ზღვაში. მაგრამ ბოლოს, როგორც იყო დიდი გაჭირვებით უშოვა კაცები, გაუკეთა გემი, ჩასვა შით და გაისტუმრა. გემი შვა ზღვამდი კარგათ მიდიოდა, და კაცებიც მუშაობდნენ, მხოლოდ შვა ზღვაში რომ მიაწიეს, რაღაც მშვენიერი სიმღერა მოესმათ. ყველანი გაშეშდნენ ყმაწვილის გარდა. სიმღერა სულ ახლოვდებოდა და გეგონებოდათ თითქოს რაღაც არასულიერი გალობსო. უცბათ გემთან გამოჩნდა ნახევარი თევზა და ნახევარი ქალი. ხელში რაღაც რგოლი ეჭირა და უნდოდა ამითი გემს მიჰყარებოდა, თურმე ასე ჰლუპავდა გეგმებს, მაგრამ ყმაწვილი გადასწვდა და ეს რგოლი წაართვა. ქალთევზა გაპქრა, სიმღერა აღარ მოისმოდა და კაცები, რომელნი გემზე იყვნენ, თითქოს გაცოცხლდენო. ასე მშვიდობიანათ მიაღწია ყმაწვილმა მეორე ნაპირს. გადმოხტა და ვიღაც ბებერი კაცი დაინახა და ჰკითხა, რა ქვეყანაა ესაო.

ბებერმა უპასუხა, მე არ ვიციო, მამაჩემს ჰქითხეო, გამარტინდა ყმაწვილი და იფიქრა, აგი რომ ამისთანა ბებერმა, მამა რაღა უნდა იყოსო. წავიდა მამასთან. იმან უთხრა, მე არ ვიციო, მამაჩემს ჰქითხეო. მთლად გაშტერდა ყმაწვილი და გასწია იმის მამასთან, იმან უპასუხა აი, ამ გზას დაადექიო და ურთ კოშეში მიგიყვანსო, იქ შეიტყობ, რაც გინდაო.

ყმაწვილი წავიდა, იარა, იარა, იარა და მივიდა კოშეში. შევიდა შით, გაიარა ერთი ოთახი და მეორეში ჭვრეტილიდან შეიხედა. იქ დაინახა სამი მზისუნახავი, რომელნიც სუფრასთან იჯდნენ და ქეიფობდნენ. ერთმა აიღო თასი, დაისხა ლვინო და სთქვა: „ღმერთმა აცოცხლოს ის ყმაწვილი, რომელმაც მე გადამარჩინა, როდესაც მოჯადოებული ვიყავი და უძვდავების წყაროს ვფარივდი“; მეორემ სთქვა, „არა, ღმერთმა ის აცოცხლოს, რომელმაც გადამარჩინა, როდესაც მოჯადოებული ვიყავი და ხელმწიფის შვილს ვაწვალებდი“; „არან, — სთქვა მესამემ, — ღმერთმა ის აცოცხლოს, რომელმაც მე გადამარჩინა, როდესაც მოჯადოებული ვიყავი და ზღვაში გემებს ვღუპავდი“.

ყმაწვილმა გაიგონა ეს თუ არა, შევიდა ოთახში. მზისუნახავებმა იცვნეს, მივარდნენ, დაუწყეს კოცნა-ალერსი. ყველა ამბობდა: „ეს არის ჩემი დამხსნელიო“ და უთხრეს, რასაც გვეტყვი, აგისრულებთო.

ყმაწვილმა მოუყვა ყოვლისფერი და უთხრა,—თორმეტი წეპლა მიშოვეთ ოქროსი იმისთანა, როგორიც ამას ჰქონდაო და კიდევ მითხარით რა ამბავია ეს, რომ ამისთანა ბებრები ვნახე და ყმაწვილი არავინო. მზეთუნახავებმა აუხსნეს, რომ ის ქვეყანა ისეთია, რომ ბავშვის მაგიერად ბებრები იბარებიანო.

უშოვეს თორმეტი ოქროს წეპელი, დაასაჩუქრეს ოქროვერცხლით და გამოისტუმრეს. ყმაწვილი დაბრუნდა უკან. ზღვა მას მერმე უშიშო შეიქნა, მოვიდა მეფესთან. სწორედ სამი წელიწადი ესეც იყო თავდებოლა, მოუტანა 12 წეპელი. მეფეს ძალიან გაუხარდა, როდესაც ყოვლისფერი თავგადასავალი ამ ყმაწვილის შეიტყო, მიათხოვა თავისი ერთადერთი ქალიშვილი და მეფობა დაუთმო. ყმაწვილმა ყაჩალები გამოუშვა ციხიდგან. ისენი ისე შეშინდნენ, რომ ცხრა მთას იქით გადიკარგნენ. ურიას აპატივა, თავისი დედა მოიყვანა და სა-

სახლეში აცხოვრებდა, როგორც დედოფალს და მისმა მეფე-
ბამ ძალიან კარგათ ჩაიარა და ხალხსაც თავს ერჩივნა და მო-
ვე.

მეც იქ გახლდი, მეფეც ვნახე, ჭირი იქ დავტოვე (დავტო-
ვი — გადაშლილია, გ. შ.).

და ლხინი აქ მოვიტანე (მოვიტანე — გადაშლილია, გ. შ.).

მისტიზიკაცია თუ სინამდვილე? შოთა რუსთაველის ეგრეთოდებული არაგული ლექსების გამო

ლონდონში მუშაობის დროს ერთი საზღვარგარეთული
ქურნალის ძეველ ნომერში („ქართლოსი“, № 11—12, პარიზი,
1938, გვ. 162—163) მოულოდნელად წავაწყდი ჩვენი მეცნი-
ერებისათვის უცნობ ნიკ. დადიანის წერილს შოთა რუსთავე-
ლის ე. წ. არაბული ლექსების შესახებ. მისი უაღრესად დიდი
მნიშვნელობის გამო წერილი მოგვყავს მთლიანად და უცვლე-
ლად:

„შოთა რუსთაველზე“

ჩემი სტამბოლში ყოფნისას (იმ წერილის ავტორის ნიკ.
დადიანის ქალიშვილის ბაბო დადიანის ცნობით, მამამისი
სტამბოლში ყოფილა 1921 წელს, გ. შ.) ხმა დაირჩა, ქართველ-
მა იუნკერებმა საბერძნეთში რაღაც დოკუმენტი აღმოაჩინეს
შოთას შესახებო. დაუყოვნებლივ მივმართე აწ გარდაცვალე-
ბულს პროკოფი აბულაძეს მოეწოდებინა ჩემთვის ცნობა ამის
შესახებ. განსვენებულმა აბულაძემ დაუყოვნებლივ მიპასუხა,
რასაც მკითხველი ქვემოთ გაიცნობს.

გვგონია, არ არის უყურადღებოდ დასატოვებელი ეს ცნო-
ბა. იქნებ მოხერხდეს როგორმე იმ არაბული წიგნის შოვნა,
რომელზედაც ქვემოდ არის ლაპარაკი. ვინ იცის, იქნებ ის
დედანიც აღმოჩნდეს, რომლიდანაც არაბულად არის ნათარგმ-
ნი შოთას „მარგალიტები“ და ოცნება ცხადი შეიქმნეს! მიუხე-
დავად იმისა, რომ განსვენებული პროკოფი აბულაძე ნიჭიერი
ადამიანი იყო, თვით მოლექსე და კარგი მოქართულე, მის
აქ მოტანილ თარგმანს მაინც ძლიერ ეტყობა სხვა ენის გავ-



ლენა და ცხადია, პირვანდელი მისი სახე ამ ლექსებს შეუძლია გადასცემა და მიღების მიზანით გამოვიყენოთ. მათ დიდი გემოვნებისა და მაღალი ილმაფრენის პატრონის ადამიანის ხელი. ძლიერ ძნელია ნათარგმნიდან ნათარგმნის თარგმანი სწორი გამოვიდეს; მაგრამ მაინც ეს ლექსები მართლაც თუ „მარგალიტები“ არ არიან, ტკბილსა და სამურ პოეტურ სურნელებას მოკლებული არ არიან.

ნიკ. დადიანი

* * *

„...სიამოვნებით ვასრულებ თქვენს დავალებას და გაწვდით დანამდვილებითს, ვრცელსა და სწორს ცნობებს რუსთაველის დოკუმენტის შესახებ, რომელიც იღმოაჩნდა ბერძენ მწერალს ბ-ნ ტრიკოგლიძის.

სრულებით შემთხვევით, ერთს ბერძნულ ძველ გაზეთში წავაწყდი ამ ლექსებს და რუსთაველის მოქლე ბიოგრაფიულ ცნობას, რომლებიც დაბეჭდილი იყვნენ სათაურით „ქართული პოეზია“ და რომელსაც ხელს აწერდა მთარგმნელი, ვინმე ტრიკოგლიძის. ჩვენი ყურადღება მიიპყრო რუსთაველის სახელმა და დავუწყეთ ამ მწერალს ძებნა. გავიგეთ, რომ მას გათავებული ჰქონია აღმ. ენათა ფაკულტეტი; გავიგეთ აგრეთვე მისამართიც და გავეშურეთ მის სანახავად. შევეკითხე თუ საიდან სთარგმნა მან რუსთაველის ლექსები და ბიოგრაფიული ცნობა და ან თუ ხელთა აქვს რაიმე დოკუმენტი. მან შემდეგი სთქვა:

„ჩემს ეგვიპტეში ყოფნის დროს, ქ. ალექსანდრიაში, ჩემმა მასწავლებელმა — პროფესორმა მაჩუქა ერთი არაბული წიგნი. ამ წიგნს წინა და უკანა ფურცლები დაკარგული აქვს და ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ რომელ წელში არის დაწერილი: წიგნში მოთავსებულია აზიურ გამოჩენილ მგოსნების ლექსები და ნაწარმოებები. სხვათა შორის, იქ წავაწყდი ამ ქართულ ლექსებს, რომელთაგან ორი რუსთაველის სახელით არის მოთავსებული; მეორე ორი ქართულია, მხოლოდ ავტორის სახელი არა სჩანს და ჩემი აზრით, ხალხური უნდა იყოს. ეს ლექსები არაბული რითმით არის დაწერილი და ძვირფას რამეს წარმოადგენენ. მათ ჩემი ყურადღება მიიპყრეს და ამ

ორი წლის წინად გადმოვთარგმნე ბერძნულ ენაზე (ცეკვაზე აღმართად იქცს ნათარგმნი). ეს ბიოგრაფიული ცნობაც ამიტენ შესაბამის დაბეჭდილი და ისიც გადმოვთარგმნე” -ო.

აი, ეს გვითხრა ამ ბერძენმა მწერალმა დოკუმენტის შესახებ. სხვა რამ ქართული ლიტერატურიდან არაფერი ყოფილა ამ წიგნში, როგორც ეს მწერალი ამბობს.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პატარა ბიოგრაფიულ ცნობას და ამიტომ სამჯერ-ოთხჯერ შევეკითხე, არის თუ არა ის დაბეჭდილი არაბულ წიგნში-თქო. მან მიპასუხა, რომ ეს ცნობაც დაბეჭდილია ლექსებთან ერთად, თორემ დღემდე სრულებით არაფერი ვიცოდი რუსთაველის შესახებო.

მე გადმოვთარგმნე ეს ლექსები და ბიოგრაფიული ცნობა ბერძნულიდან, რომელთაც ამ წერილთან ერთად გიგზავნით. მაგრამ, თქვენც კარგად წარმოიდგენთ, როგორი გამოვიდოდა რუსთაველის ან მე-12 საუკუნის ქართული ენით დაწერილი ლექსი, გადათარგმნილი არაბულ ენაზე, არაბულიდან გადმოთარგმნილი ბერძნულზე და დღეს ბერძნულიდან ისევ თავის მშობლიურ ენაზე!

ბერძნულ ენაზე ორი პირველი ლექსი: „ურნი სამოთხისანი“ და „სიმღერა“ რუსთაველის სახელით არის თარგმნილი, ხოლო შემდეგი ორი: „ერთი ამბორისათვის“ და „ჩვენი (უნდა იყოს: ჩემი, გ. შ.) ტრფობა“ უცნობ პოეტის სახელით. ასე რომ, დაბეჭითებით შეიძლებოდა გვეთქვა, მათ არავითარი კავშირი არ აქვთ „ვეფხის ტყაოსანთან“.

მხოლოდ, როდესაც მეორედ ვიყავი, ბ-ნ ტრიკოგლიდისმა მითხრა, რომ მას თარგმანის დროს შეცდომა დაუშვება: ის ორი ლექსი, რომელიც რუსთაველის სახელით არის ბერძნულ თარგმანში, მითხრა მან, არის ქართული ხალხური, ხოლო მეორე ორი — უცნობი პოეტის სახელით — ეკუთვნიან რუსთაველსო.

თუ არაბულ ტექსტში, როგორც ბერძნულში, რამოდენჯერმე მეორდება წინადადება: „ერთი შენი ამბორისთვის, ჩემო ყველავ, შენს ფეხთ ქვეშ დავაფენდი...“ და სხვ., მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ დიდ პოემასთან, რათგან, როგორც მახსოვს, „ვ. ტ“-ში არ არსებობს არც ერთი ადგილი, საღაც ერთი და იგივე წინადადება მეორდებოდეს რამოდენჯერმე იმ საწით, როგორც აქ არის. მაშა-

სადამე, ესენი რუსთაველის ღვთიური ხელით შექმნილი პატი/ რა „მარგალიტები“ არის, რუსთაველის პატარა ლექსიქონის გვარის არის ერთი ხანა — ტაეპი, სადაც რუსთაველი მოჰყვება ქებას და ამბობს (ეს ტაეპი ზეპირად არ მახსოვეს): მას ვაქებ ვინცა მიჭიათ. ამისდა მიხედვით ბევრი ჩვენი მკვლევარი ამტკიცებს, რომ რუსთაველს დაწერილი პეტონია პატარ-პატარა ლექსები — თამარის ქება, რომელიც უამთა განმავლობაში დაკარგულანო. ეს დოკუმენტები ამ აზრის გამართლებაა. რაც შეეხება მეორე ორ ლექსს, ბ-ნ ტრიკოგლიდის აზრით, ისინი ქართული ხალხური არის; თუ ამ ლექსებს ისეთი ხასიათი და ტონი აღმოაჩნდათ, როგორც ბერძნულ თარგმანში აქვთ, მაშინ მე მკონია, შეუძლებელია იყვნენ ისინი ხალხური და არ ეკუთვნოდენ მე-12 საუკუნის რომელიმე ჩვენს მგოსანს და, ვინ იცის, შეიძლება თვით რუსთაველსაც. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს ამას დაამტკიცებს და აშკარად პყოფს არაბული ტექსტის განხილვა.

შესაძლებელიაო, ამბობს ეს ბერძენი, აღნიშნული არაბული წიგნი დაბეჭდილი იყოს ამ 40-50 წლის უკანო.

რამდენადაც ძველი იქნება ეს წიგნი, იმდენად უფრო საუკრადლებოა, ხოლო თუ უკანასკნელ წლებში დაწერილი, კიდევ უფრო მეტი საყურადლებო და საინტერესოა ჩვენთვის, რათვან უნდა ვითიქროთ, რომ ამ არაბულ მწერალს — პოეტს, რომელმაც სთარგმნა არაბულ ენაზე რუსთაველის ეს ლექსები და ბიოგრაფიული ცნობა, უნდა სცოდნოდა ქართული და ხელთ უნდა პეტონდა ამ ლექსების ქართული დედანი, ანდა მათი არაბულ ენაზე უძველესი თარგმანი, რომლითაც იგი ისარგებლებდა.

მე თავიდანვე მინდოდა ბერძენისაგან წიგნი მენათხოვ-რებია და გადმომეხატა იქიდან ყველაფერი, რაც ქართულს ლიტერატურას შეეხებოდა, მაგრამ ლაპარაკის დროს აშკარად შევამჩნიე, რომ ამ წიგნს ასე აღვილად და უსასყიდლოდ არ მოევა. რა ვქნათ, ერთი რომ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ, მეორე აქ „ევროპის კულტურა“, სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო“...

პროფეტის (წინასწარმეტყველის) სამოთხეში არსებობენ ასულნი,

შექმნილნი ღვთის (ილაპის) მიერ საჩუქრად რჩეულთა, რომელნიც დედამიწაზე მიჰყვებიან მის კანონს... და იმ ასულთ ეწოდებათ ურნი.

ყოველ დღე განუწყვეტლად აწვდიან მწველ ხვევნებში დაუსრულებელ სურვილს, რომელშიაც კვალად იშვება სურნელება მათი სიქალწულისა.

და ყოველ რიერაუზე, შემოქმედების მშვენიერებიდან კვალად პოულობენ ახალ სიქალწულეს თავის საუკუნო ტრადიციისათვის.

სიქალწულე გულისა, რომელსაც არასდროს ჰყვარებია, სიქალწულე აზრისას, რომელმაც არა იცის რა სიყვარულისა, სიქალწულე ტანისა, რომელიც შეუძყრია მოგონებას გუშინდელი ტკბობისა;

გუშინწინ ღამეს სიზმარი ჩემი გააოქროვა ამ სამოთხის მზემ და თვალებმა ჩემმა, ვით შენ, სიზმარი ერთი სიზმრისა, იხილეს ის ასულნი, რომელთაც ეწოდებათ ურნი. ო, რა მშვენიერები იყვნენ! იყვნენ ასულნი — თეთრი ყვავილნი, ვარსკვლავნი, სხივები, სურნელებანი, და რძე, და თოვლი, და საროტანნი.

და რათგან შენ გემსგავსებოდენ ყველანი, მათ ახლო დიდ ხანს განვიცდიდი ნეტარებას, რომელიც ყოველ წუთს განახლებულად იშვება და რომელსაც პროფეტი უბოძებს თავის რჩეულთ.

შენ გემსგავსებოდენ, უსაყვარლესო ჩემო, მაგრამ არც ერთს არ ჰქონდა თავის ტანში სხივები შენი, არც მოთენთილი მხრები შენი, არც შენი ყელი, არც რძის ფერი მკერდი შენი;

არც ერთს არ ჰქონდა ტუჩებში სურნელება შენი ვარდისფერ ბაგეებისა, არც ერთს არ ჰქონდა ვარსკვლავნი, რომელნიც ციმციმობენ შენს თვალებში;

არც ერთი არ იყო ასული ვითარცა შენ, არც ერთმა არ იცოდა ალერსი, როგორც ალერსობ შენ, არც ერთი —

არც ერთი არ იყო ისეთი, როგორც შენ, რომ განეანლე-
ბია მწველი ხვევნა სავსე შარბათით.

საკუთარი სულთქმა შენი რად შეუპყრია მოგონებას ჩვე-
ნი შორეულ ხვევნა-ტრფობისა, და გული შენი ხშირად
იგონებს თუ როგორ შემიყვარე მე.

და ტანი შენი შეუპყრია ხსოვნას ჩვენი გუშინდელ ამბო-
რებისა, და იცის იმ წუთს, ვით დააფრქვიოს ტუჩებში
სურნელება ყველა ძეელი ჩვენი ამბორისა.

ამისათვის, ჩემი სამოთხე არის აქ დედამიწაზე, შენს
ჩრდილში.

და სიყვარული შენი მიღირს უფრო მეტად ვიდრე
სამოთხის ურნი.

სიმღერა

(უცნობი პოეტი)

რად ამბობ და იმეორებ, რომ გსურს გამშორდე, სად ხარ
შენ მშვენიერო ვით მზე, რომელიც ამოდის! მზე რომ
არასოდეს არ ესვენება? და ანათებს მსოფლიოს?

რომ მაცხოვრა მთლად შესუდრული შენს სხივებში
თუნდაც სიხარულით შევირხეოდი ეკალთა შორის.

და დავსწყევლიდი ჩემს სულს იმ დღეს, როს თვალები
ჩემი დაკარგავდენ თავის წინ შენს შუქს.

ერთი ამბორისათვის

(შოთა რუსთაველი)

ერთი შენი ამბორისათვის, ჩემო ყველავ, შენს ფეხქვეშ
დავაფენდი მთელ საუნჯეს ჩემი სულისას.

რომ მქონოდა მთელი სამყარო ჩემს მფლობელობაში,
მთლად მსხვერპლად შევსწირავდი შენს საკუთარ სიყვა-
რულს და შენი სინარნარის ჩემს სევდასთან შეერთე-
ბას.

ო, რა ძნელია ფიქრი, რომ არ ძალგიძს შეუერთდე არსს,
რომელსაც ეტრფი.

ერთი შენი ამბორისათვის, რომელსაც შენ მოგართმევ-

დი, ჩემო ყველავ, შენს ფერხთქვეშ დავაფენდი შენ
საუნჯეს ჩემი სულისას.

არ არსებობს უფრორე შავი ტანჯვა, უიმელო დაუსრულებელ სურვილისა, მოგონება მღალავს და მოაქვს ცხელება. ო, მოდი სატრფოვ ჩემო, მიქანცული ვლოდინობ, ვთროთი... მოდი სიხარულის შუქით და აღირსე ჩემს ხელებს, რომ შეეხონ შენს ფერხთა ტერფის კიდეებს.

ერთი შენი ამბორისათვის, შენი ბაგებიდან რომ მიმელო, ჩემო ყველავ, დავაფენდი შენს ფერხთქვეშ მთელ საუნჯეს ჩემი სულისას.

ჰაი, უბედური გული ჩემი კვალად ემსახურება შენს უგრძნობს ტრფიალს, რომელმაც არ იცის, როგორ გამიღიმოს სიყვარულით და ვით საადი (სპარსელი პოეტია) ვრჩები დაძირული სიმწარეში და ნაღველში, მაგრამ ჩემი დაუსრულებელი სურვილი კვლავ დარჩება. ასე არს დაწერილი ბედისაგან.

ერთი ამბორისათვის, სატრფოს ბაგეზე რომ მღირსებოდა, მის ფერხთქვეშ დავაფენდი მთელ საუნჯეს ჩემი სულისას.

ჩემი ტრფობა

(შოთა რუსთაველი)

დავამწყვდიე სურვილი ჩემი ერთს მშვენიერ ვარდში, და რომ ვეღარ ვიხილე ის ვარდი, ვიტირე მთელი ღამე. მე მან მაგრძნობინა, რომ სურვილი ჩემი იყო მისი საკუთარი სურვილი, მაგრამ დავმალე ტრფობა ჩემი სულის სიღრმეში. განკურნებანი და სინარნარე იფრქვევიან მის შავ თვალებიდან, როგორც წყაროს წყალნი. აღელვებენ ჩემში უამრავ ტქბილ გრძნობებს, თუ რად არის ჩემთვის წყარო ყრმობისა ტრფობა მისი.

მაგრამ დამალული მაქვს ეს ტრფობა სულის ფსკერზე.

გიოგრაფიული ცნობა

რუსთაველი, მთავარსარდალი თამარ მეფის ჯარებისა, ითვლება საქართველოს უდიდეს მგოსნად. იცხოვრა მე-12 საუკუნის დამლევს და უკვდავ ჰყო მისი სახელი უმშვენიერესი (ნაწარმოებით) „ტრფობანი ტარიელისა“ და „თამარიანი“,

ზეშთაგონებულნი თამარის ტრფობით და მისი ომებში გამოიკვებით, რომელსაც უწოდებს „ღვთაებრივ მეფეს“. განათლებული: ისწავლა და ღრმად იცოდა ებრაული, ბერძნული, ლათინური და სომხური ფილოლოგია. მართლაც, ამან იმდენად იქონია მასზე გავლენა, რომ ბევრს ადგილას მის ნაწარმოებებში (მის მოღვაწეობაში) ვხვდებით ფრაზებს, რომლებიც გულისხმობენ პომიროსს, ორაციოს, ფსალმუნს დავითისას, ღალადთა ღალადი და სხვ.

აქვს ბიბლიური გამოთქმები და ხშირად ვხვდებით სტის, როგორც შემდეგი: „მენატრება შენი სახე ვითარცა მოწყურებულ ირემს წყარო“ (შდრ. „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“ — 1656,4; „გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“ — 855,3; გ. შ.), ან კიდევ: „ჩემი მეგობარი არის კონა ვარდის, (რომელიც) ასურნელებს და აწყლულებს ჩემს გულს ყოველ (იმ) წუთს“ (შდრ. „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მქრა და დამიწყლულა“ — 862,1; გ. შ.). რუსთაველი გარდაიცვალა ტფილისში, მე-13 საუკუნის დასაწყისს“.

„პროკოფი აბულაძე“.

საჭირო იყო, პირველ რიგში, ამ წერილის ავტორთა — ნიკ. დადიანისა და პროკოფი აბულაძის ვინაობის გამორკვევა-დადგენა. აი, რა ამოვიყითხე მათ შესახებ იქაურ წყაროებში:

ნიკოლოზ (კოკი) დადიანი, — შვილი ნიკოლოზ დადიანისა და თამარ აფხაზეთის უქანასკნელი მთავრის მიხეილის ასულისა, გიორგი შარვაშიძის დისა, — დაბადებულა 1879 წელს. უსწავლია ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ მის ფართო განსწავლულობას ქართულ ლიტერატურაში და ღრმა ცოდნის შეძენის დაუკებელ წყურვილს: „ძნელად შეხვდებით აღამიანს, რომელსაც მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭითა და უნარით, ამდენი ნოუიერი საზრდო მიეცეს თავისი ინტელექტისათვის: არ იყო საგანი, რომლის გამო დამუშავებული შეხედულება და სწორი აზრი არ ჰქონებოდა. ბევრი ენახა, ბევრი გაეგონა და ბევრი წაეკითხა. იცნობდა ზედმიწევნით ქართულ ძველს და ახალ ლიტერატურას, ქართულ ისტორიას, ევროპის და რუსულ კლასიკოსებს. დიდი მახსოვრობის პატრონი იყო... დიდი სიყვარულით



ეპყრობოდა ახალ მწერლებს... მაგრამ მისი გამამხნევლებული, ძალის მიმცემი, უდიდესი მეგობარი იყო შოთაში „უკუჭხს ტყაოსანი“.

— რუსთაველი მაღამოა ჭრილობისათვის-ო — იტყოდა ხოლმე და ვით სახარება, მუდამ გადაშლილი ედო მაგიდაზე.

...20 წლის კოკი დასახელებული იყო მარშლად სენაკის მაზრის თავადაზნაურთა მიერ და ექვსწერ იყო ზედი-ზედ არჩეული...

1904 წლის იანვრის და თებერვლის გაზეთ „პეტერბურგ-სკაია ვედომოსტი“-ის ნომრებში წაიკითხავდით ბატონი კოკის საპოლემიკო წერილებს ვოსტორგოვის წინააღმდეგ. კავკასიის მმართველობის დავალებით ეს მზაკვარი რუსის მოხელე პროპაგანდას ეწეოდა განსაკუთრებული მეგრული ანბანის შემოღების შესახებ.

ახალგაზრდა მარშალმა, სამეგრელოს თავადაზნაურთა სახელით, სასტიკად გაილაშქრა ვოსტორგოვის წინააღმდეგ და მისი დამრიგებელი და გამამხნევებელი ცნობილ ვექილ მექი ფალავას დახმარებით ეს საქმე მოიგო: ვოსტორგოვი დამარცხებულ იქმნა და მეგრული ანბანის შემოღების ცდა მოისპო.

გარდაიცვალა 1939 წლის პრილში, პარიზში. 13 პრილს დაკრძალეს სანტ-უანის სასაფლაოზე („ქართლოსი“, № 19—23, მაისი, 1939, გვ. 289—290). სხვათა შორის, მანამდე, 1933 წელს იქვე დაკრძალეს აკაკი წერეთლის ქვრივი ნატალია. ამჟამად ნ. დადიანი გადასვენებულია ლევილში („ლტოლვილთა საძვალენი“, პარიზი, 1971, გვ. 13).

ნიკოლოზ (კოკი) დადიანს მოსდევდა პოეტური ნიჭი, რომლის საბუთია მის საფლავზე აღნიშნული ეპიტაფია:

„მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი, (რომ) წარწერა იხილე ლოდზე,
ძელებიც კი ფიქრობს საქართველოზე“

(იხ. გრ. წერეთელი, ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971, გვ. 96).

იქვე შევნიშნავ, რომ ეს ნიკოლოზ (კოკი) დაღიანი გახლავთ ჩვენი თანამოქალაქის, „ვეფხისტყაოსნის“ კომისიის თანამშრომლის ბაბო დადიანის მამა.

ახლა პროკოფი აბულაძის შესახებ: იგი ყოფილა ქაიხოსრო



აბულაძის ძე, დაბადებულა ქუთაისში, 1898 წელს (სხვაწყვეტილება
თი—1891 წელს). ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დაძ-
თავრების შემდეგ სწავლა გაუგრძელებია თბილისის უნივერსი-
ტეტში, 1921 წელს კი შესულა საბერძნეთის სამხედრო სას-
წავლებელში ათენში, ხოლო 1923 წლის დასაწყისში მოწყო-
ბილა პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში. 1924 წელს
მან თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ჩაერიცხა ვარ-
შავის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ განყოფილებაზე. 1929
წელს პროკოფი აბულაძემ მიატოვა პოლონეთი და წავიდა
საფრანგეთში, სადაც 1931 წლის 22 სექტემბერს გარდაცვლი-
ლა ქ. ნიკაში, საავადმყოფოში, დაკრძალულია ნიცის სასაფ-
ლაოშე. პრ. აბულაძე თურმე ლიტერატურულ საქმიანობასაც
ეწეოდა და თავისი გვარითა თუ რეო ამონის ფსევდონიმით
ლექსებიც ქვეს გამოქვეყნებული („მხედარი“, № 11, პარიზი,
1931, გვ. 3—6; შდრ. ლტოლვილთა საძვალენი, პარიზი, 1971,
გვ. 30).

როგორც ვხედავთ, შოთა რუსთაველის ე. წ. ორაბული
ლექსების გამო 1938 წელს პარიზში დაბეჭდილი წერილის
ავტორები — ნიკოლოზ (კოკი) დადიანი და პროკოფი აბულაძე
კეთილსინდისიერი, განათლებული, მწიგნობარი და ლიტერა-
ტურული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებანი ყოფილან, ასე-
ვე, საქმაოდ კარგად ჩახედული ჩვენი მწერლობის ისტორი-
აში. ამდენად, მათ მიერ მოწოდებულ ცნობებს საქმარისი ან-
გარიში უნდა გაეწიოს, მით უმეტეს, რომ საქმე ეხება ჩვენი
გენიალური პოეტის უცნობ ლექსებს.

შოთა რუსთაველის ე. წ. ორაბული ლექსების შესახებ ახ-
ლად მოპოვებული ცნობების ნამდვილობას ემიანება და
აღსატურებს 1922 წელს გაზეთებში „ლომისსა“ (8 ოქტომბე-
რი, 1922, № 6, გვ. 3—4) და „ბასტრიონში“ (10 დეკემბერი,
1922, № 22, გვ. 3) გამოქვეყნებული კორესპონდენციები.

ჩვენ აქ აღარ გამოვუღებებით ამ გაზეთების კორესპონდენ-
ციების დაწვრილებით განხილვას, არც მით უმეტეს, სულ სხვა
წყარო — 1942 წელს მარსელში, დაბეჭდილი ფრანგი ორი-
ენტილისტისა და მთარგმნელის ფრანც ტუსენის წიგნი და
მის გარშემო ჩვენში გამოქვეყნებული ს. ფირცხალავას (იხ.
გან. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 9. I. 1949) და მ. მამუ-
ლაშვილის (იხ. ე. „ლროშა“, № 11, 1959) საინფორმაციო წე-



რილები შეადგენს ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანსა, არაფუნქციური ისინი საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში (ალ. ბარამიძე, გ. იმედაშვილი), განსაკუთრებით კი მ. თოლდუას მიერ უკანასკნელ ხანს დაბეჭდილ ნაშრომში (კვალი იმედიანი, „კრიტიკა“, № 2, 1983). ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს მაინც რა სიახლეებს შეიცავს 1938 წლის პარიზული მასალები შოთა რუსთაველის ე. წ. არაბული ლექსების შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მეცნიერებისათვის აქამდე ცნობილ ზემოთ დასახელებულ წყაროებთან შედარებით?

1. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ჩამოტანილი ცნობების ავტორია უშუალოდ მათი მომპოვებელი პროკოფი აბულაძე, ვისაც პირადად უნახავს ბერძენი აღმოსაფეროდნე და მთარგმნელი ტრიკოგლიდისი, რომლისგანაც უშუალოდ მოუსმენია და ჩაუწერია მისი მონათხრობი ალექსანდრიაში აღმოჩენილი რუსთველის ლექსებისა და ბიოგრაფიული ცნობების შემცველი არაბული წიგნის შესახებ. ამდენად, მათ მეტი ავთენტურობის ელფერი ეძლევათ.

2. ამჟამად უკვე ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ პროკოფი აბულაძე ყოფილა 1920 წლის ახლოს ბერძნულ გაზეთში ტრიკოგლიდისის მიერ არაბულიდან ბერძნულად თარგმნილი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების, რუსთველის ორი უცნობი ლექსისა და აგრეთვე, ანონიმი ქართველი ავტორის ორი ლექსის პირველაღმომჩენი და ქართულ ენაზე მათი პირველი მთარგმნელი.

3. აქამდე არსებული ცნობების ავტორი — ნიკოლოზ მათიკაშვილი მესამე პირია, ვისაც უშუალოდ არც ტრიკოგლიდისი უნახავს და არც მისი ბერძნული თარგმანი გადმოულია ქართულად. ამიტომაც არის მისი ცნობები სიზუსტეს მოკლებული.

4. ირკვევა, რომ ტრიკოგლიდისის არაბული წყარო, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო რუსთველის ლექსებია შეტანილი, ხელნაწერი კი არ ყოფილა, როგორც ეს აქამდე მიაჩნდათ, არამედ ნაბეჭდი წიგნი, ჩანს, XIX საუკუნისა.

5. ტრიკოგლიდის აღნიშნული არაბული წიგნი კაიროში კი არ უნახავს, როგორც ამას დღემდე ვარაუდობდნენ, არა მედ ალექსანდრიაში.

6. ნიკ. დადიანისა და ტრიკოგლიდისის ნამშობიდან ისტორიულ ტემაზე, რომ დასახელებული არაბული რუსთველოლოგიური წყაროს ბერძნული თარგმანი ქრონოლოგიურადას შეასრულა 1922 წლების ბერძნულ პერიოდულ პრესაში საძიებელი.

7. რაც ყველაზე მთავარია, გამოიტკი, რომ აჩქარებული ინფორმაციის წყალობით, ქართულ პრესაში 1922 წელს დაბეჭდილა მცდარი და ორუეული ცნობა ლექსების — „ურნი სამოთხისას“ და „სიმღერის“ რუსთველისეულობის შესახებ. ტრიკოგლიდის პ. აბულაძესთან ხელმეორედ საუბრისას დაუზუსტებია, რომ მის ხელთ არსებულ არაბულ წყაროში რუსთველისეულად მიჩნეულია არა „ურნი სამოთხისას“ და „სიმღერა“, არამედ სულ სხვა ლექსები: „ერთი ამბორისათვის“ და „ჩემი ტრავობა“, რომელიც გაზეთ „ბათტრიონის“ 1922 წლის 6. მათიკაშვილისეულ პუბლიკაციაში უცნობი ქართველი პოეტის ლექსებად იყო გამოცხადებული. *

8. რაც შეეხება რუსთველის ბიოგრაფიული ცნობებისა და ლექსების („ერთი ამბორისათვის“, „ჩემი ტრავობა“) შემცველი არაბული წიგნის საერთოდ არსებობას, ამას თითქოს უფრო მეტად სარწმუნოდ ხდის პროკოფი აბულაძის დაენებითი შეკითხვის პასუხად ტრიკოგლიდისის, ერთი შეხედვით, გულწრფელი და ბეჭითი განცხადება: „ეს ცნობაც დაბეჭდილია ლექსებთან ერთად [იმ არაბულ წიგნში], თორემ დღემდე სრულებით არაფერი ვიცოდი რუსთაველის შესახებო“ (შლრ. მ. მამულაშვილი, რუსთაველის ბერძენი ინტერპოლატორი, „დროშა“, 1966, № 3, გვ. 17; იხ. აგრეთვე, „ქუთაისი“, 17. X. 1965, № 205; რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ II, ლ. მენაბდის რედ., თბ., 1978, გვ. 166, 417).

მიუხედავად ამისა, კითხვა — მისტიფიკაცია თუ სინამდვილე? — ჩემთვის კვლავ დგას. ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გასაცემად მუშაობა კვლავ უნდა გაგრძელდეს... (იხ. „თბილისი“, 8. VI. 1984, № 132)

P. S. მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ ლ. მენაბდის მიერ მოპოვებული მასალებით ამ საკითხს ახალი შუქი ეფინება და შოთა რუსთაველის ე. წ. არაბული ლექსები უფრო მისტიფიკირებული იხსრება (იხ. „ლიტ. საქართველო“, 8. II. და 15 XI. 1985 წ.) თუმცა ამ კითხვას საბოლოო პასუხი არ აქვს გაცემული.

პირველად ცნობას ლონდონში, სახელგანთქმულ „სოზბის“ აუქციონზე 1952 წლის 28 იანვარს 450 გირვანქა სტერლინგად გაყიდული სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის იშვიათი ნუსხის შესახებ ჯერ კიდევ 1981 წლის ოქტომბერში ინგლისში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს წავაწყდი ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, მაგრამ მივლინების ვადის ამოწურვის გამო მაშინ ვერ შევძელი მიგნებულ კვალს გამოვდევნებოდი, თუმცა, წინასწარი ცნობა კი გამოვაქვეყნე გაზიერ „კომუნისტში“ 1981 წლის 6 დეკემბერს (გადავბეჭდე წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“, თბ., 1984, გვ. 434).

ამიტომ ახლა ერთი სული მქონდა სანამ „სოზბის“ აუქციონზე მივიღოდი. ბრიტანეთის აკადემიამ წინასწარი იზრუნა აუქციონის ხელნაწერთა განკოფილების დირექტორთან დოქტორ ქრისტეფორ დე ჰამელთან ჩემ შეხვედრაზე, რომელსაც აღრიც ვიცნობდი.

16 აპრილს, დღის 5 საათზე, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შევხვდი დოქტორ ჰამელს. მე მას მოვაგონე 1981 წლის ოქტომბერში დადებული პირობა, თუ დავადგენდი ზუსტად წელს, თვეს და რიცხვს, როდის გაიყიდა ჩემთვის საინტერესო ხელნაწერი, მაშინ ჩახედავდა „სოზბის“ საიდუმლო კატალოგებში და მეტყოდა მფლობელის ვინაობას.

— მაინც რა გაიგეთ, როდის გაყიდულაო? — მკითხა ჰამელმა.

— 1952 წლის 28 იანვარს, ორშაბათ დღეს, დილის 11 საათზე-მეთქი — მივუგე პასუხად.

დოქტორმა ჰამელმა ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე უხმოდ, სწრაფი ნაბიჯებით გავიდა მეზობელ ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ შემომიტანა „სოზბის“ საიდუმლო კატალოგი, რომელშიც შემდეგი რამ ამოვიყითხე:

„უმნიშვნელოვანესი ქართული ილუსტრირებული ხელნაწერი ორბელიანის ლექსიკონისა, რომელიც, შესაძლოა, ავტორის სიცოცხლეშია შესრულებული, უ. ე. დ. ალენის საკუთრება, გაიყიდება აუქციონის დიდ საგამოფენო დარბაზში ნიუ ბონდ სტრიტზე ორშაბათს, 28 იანვარს, 1952 წელს,



ზუსტად 11 საათზე. დასათვალიერებლად გამოიფინვისა ხულიანი მცირე ორი დღით იდრე (გარდა შაბათისა).

ორშაბათი, 28 იანვარი, 1952 წელი.

ილუსტრირებული ხელნაწერი პირველი ქართული ლექსიკონისა, რომელიც, შესაძლოა, ავტორის სიცოცხლეშია გადაწერილი.

ორბელიანი (თავადი სულხან-საბა, 1658—1725), ლექსიკონი, ქართული ხელნაწერი. ქალალდზე სუფთად ნაწერი შავი მელნით, საზედაო და ზოგიერთი სხვა ასოები — წითლით (სინგურით), 326 ფ., შემქული ქართული ანბანის 37 ლიდი ფერადი ასოთი, რომლებსაც ქმნიან ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები და ანბანის რიგის მიხედვით განლაგებულია ლექსიკონის შესაბამისი თავების დასაწყისში. ამათგან 14 მეტ-ნაკლებად დაუსრულებელია. ჩამოყალიბებულ ქართულ ყდაში, რომელიც წარმოადგენს ხეზე გადაკრულ შავ ტარსიკონს (თხის ტყავს). ყდის ორივე მხარეს, შუაში, მოვარაყებული ორნამენტებია, ხოლო კიდე და უკანა მხარე ვინიერებით არის დამშვენებული. ვარაყი გაფერმკრთალებულია. ყუაზე ქართული საეკლესიო შრიფტით წარწერაა: „ლექსიკონი“. აქვს ორი შესაკრავი და სამაგრი, ერთი კუთხე და ზიანებულია. ზომა 13×8½, მე-18 ს.-ის I მეოთხედი.

ავტორი:

გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი, თავადი სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წელს. 1698 წელს ბერად იღიკვეცა, მაგრამ სამი წლის შემდეგ კათოლიკობა მი-იღო და საბოლოოდ შეუერთდა წმ. ბასილის ორდენს. 1713 წელს საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის სახელით იმხანად სპარსეთში იყო ტყვედ, ორბელიანმა ხან-გრძლივად იმოგზაურა ევროპაში. იგი მიიღეს ლუდოვიკ XII-მ და პაპმა კლიმენტ XI-მ. საქართველოში დაბრუნებულ მას ცივად დახვდნენ. 1724 წელს გაჰყვა მოსკოვში გახიზნულ ვახტანგ მეფეს. იგი მოსკოვში გარდაიცვალა მომდევნო წელს.

ლექსიკონზე მუშაობა ორბელიანმა გიორგი IX-ის (უნდა ეწეროს გიორგი XI-ის, აქ უნებლიერ კორექტურა აღნიათ, გ. შ.) მეფობაში დაიწყო, რომელიც ტახტზე ავიდა 1675 წელს, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს (1711—24) კი გაავრცო და დაასრულა (ვახტანგ VI მისი ახლო ნათესავი და მოწაფე იყო).

თანამედროვენი დიდად აფასებდნენ მის ლექსიკონში განკუთხული სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგაც ზევრ-ჭერ იქნა გადაწერილი. პირველად დაიბეჭდა 1884 წელს, ხოლო მეცნიერული გამოცემა 1928 წელს განახორციელეს პროფესორებმა ყიფშიძემ და შანიძემ.

ცნობილია ორბელიანის ლექსიკონის სამი ძირითადი რედაქცია: პირველი — შედარებით მოქლე, ცნობილია როგორც C რედაქცია, მეორე — უფრო სრული და გადასინჯული B რედაქცია, ხოლო საბოლოო ვარიანტს, რომელიც ევროპიდან დაბრუნების შემდეგ აქვს ავტორს შესრულებული, A რედაქციას უწოდებენ. წინამდებარე ხელნაწერი უფრო იშვიათ B რედაქციას მიეკუთვნება და არ შეიცავს გეოგრაფიულ სახელებს მათი მდებარეობისა და სიმაღლე-სივრცის ჩვენებით, რაც ორბელიანშა ევროპაში მოგზაურობის შემდეგ შეიტანა თავის ლექსიკონში.

ხელნაწერის წარმომავლობა:

შეძენილია თავად პეტრე ბაგრატიონ-მუხრანსკის ოჯახიდან, რომელიც მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირი ჩამომავალი იყო. ფორზაცზე არის თავად გ. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ხელმოწერა.

კოლოფონში ბოლო გვერდზე ნათქვამია, რომ ხელნაწერი გადაწერილია ითანა ლარაძის მიერ „აწყურის მსაჯულის მზე-ჭაბუქ ორბელიანის“ ბრძანებით, რომელიც, როგორც ჩანს, ავტორის ბიძაშვილი ან ძმისწული უნდა იყოს. მზეჭაბუქ ორბელიანი იყო ციხე-ქალაქ აწყურის მსაჯული სამცხეში. კოლოფონის მიხედვით, იგი ნახსენებია 1718 წლის სიგელში. პირველი მომგებლის ვინაობის დადგენა ამტკიცებს იმ ვარაუდს, რომ ხელნაწერი ავტორის სიცოცხლეშია შესრულებული.

ხელნაწერის შინაარსი:

ფ. 1. ანბანი და რიცხვთა ტაბულა

ფ. 6. შენიშვნები ქართულ გრამატიკაზე

ფ. 8. ორბელიანის წინასიტყვაობა, დაწერილი წითელი მელნით, სადაც ორბელიანი ამბობს, რომ სიტყვები, რომებსაც ახსნა არა აქვთ, დაწერილია სინგურით, და თუკი ვინმეს ეცოდინება, შეუძლია ჩაწეროს განმარტება.

ფ. 9. [ფ. 303]. ლექსიკონის ტექსტი, რომელიც როგორც ამბობენ, 17.412 სიტყვას შეიცავს, საიდანაც 400 არ არის განმარტებული.

ფ. 304. ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ფ. 304V. ვახტანგ მეფის ლექსი, რომელშიც შემატედა ორბელიანი, შემდეგ კი თვით ორბელიანის ლექსჩე, უცილესი იყი შენდობას სთხოვს იმათ, ვისაც მისი ლექსიკონი შეიძლება არასრულქმნილად ეჩვენოს.

ფ. 305. ოთხ პარალელურ სვეტად ჩამოწერილი თურქული და ქართული სახელები.

ფ. 306V. ზოდიაქოს ნიშნები და შელიწადის დროთა ქართული, არაბული, სპარსული, ლათინური, ბერძნული, ჩინური და თურქული სახელები.

ფ. 307. კვირის დღეები სომხურად და ქართულად.

ფ. 308. ქრისტეს მოწაფეთა სახელები და მოკლე ბიოგრაფიები.

ფ. 312V. ქართულ-თათრული ლექსიკონი (უცნაური თავისებურება!).

ხელნაწერის გაფორმება:

ხაზგასმა არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ილუსტრირებული ქართული ხელნაწერები დასავლეთ ევროპაში დიდი იშვიათობაა. [ადამიანისა და ცხოველთა ფიგურებით] გაცოცხლებული ლექსიკონის 37 ასოსათაური, მიუხედავად იმისა, რომ მათშიაც იგრძნობა ირანის გავლენა, უფრო მეტად, მაინც ორიგინალური (ინდივიდუალური) სტილით ხასიათდება. მათ მიიქცის აწ განსვენებულ არქიმანდრიტ ფერაძის (იგულისხმება ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფიის დოქტორი, პატროლოგიის პროფესორი ვარშავის უნივერსიტეტისა ვრიგოლ ფერაძე, გ. შ.) ყურადღება, რომელმაც დაწერა, რომ ლექსიკონის ეს ნუსხა „გამოირჩევა სხვა ხელნაწერებისაგან იმით, რომ იგი შეიცავს ისეთ მშვენიერ მინიატურებს, როგორიცაა ტექსტის სათაური ასოები“.

ამით მთავრდება სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონის უცნობი ნუსხის ინგლისური აღწერილობა „სოზბის“ კატალოგში. მოდევნო ფურცლად მასში ჩაკრულია ხელნაწერის ერთი გვერდის შავ-თეთრი ფოტორეპროდუქცია, რომელზედაც სანიმუშოდ ვხედავთ ასო „გ“-ს მინიატურას ხუთი მამაკაცის ფიგურით (ამათგან ოთხს ბუკ-საყვირები აქვთ ტუჩე მიღებული, ხოლო მეხუთე, თითქოს, ცეკვავს), ქვემოთ კი

„გა“

- (1) გაა ართრონია სიტყუბათა. რ ~ ლითა ითქმის განღმრთობა. გამეფება. გაუფ -
- (2) ლება. გაკაცება. გაცხოველება, გაპირუტყვება. გაგზავნა. გაცემა. და ~ ჟ ივე
- (3) ესრეთ. რ ~ ესე თავად მოვალს ესე ვ ~ რთა ყ ~ თა ~ თვეს:
- (4) გაად. 0 გამოჯურვებული
- (5) გაადვილება. ადვილ საქნელ ყოფა.
- (6) გაავება. ავად შეიცვალოს.
- (7) გაამურება. თოფის უერთ ნაირობა.
- (8) გაამხანავება. მისად ამხანავად ქმნა.
- (9) გააძლო. მშიერს აჭამო.
- (10) გააბა 0 ბორცვი
- (11) გაბაათ 0 ბორცვთა თხემი.
- (12) გაბადანი. ზურგ ჩაღრეკილი.
- (13) გაბათან 0 ამაღლებული“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ხელნაწერის ამ გვერდის ფოტო-
რეპროდუქციას საიდუმლო კატალოგში მოსდევს კვლავ ინგ-
ლისურად ნაბეჭდი ფურცელი „ფასები და მყიდველთა გვა-
რები“, საიდანაც ვიგებთ, რომ საბას ლექსიკონის ეს იშვიათი
ნუსხა 450 გირვანქა სტერლინგად 1952 წლის 28 იანვარს
„სოჩბის“ აუქციონზე შეუძენია ვინმე პეჩის (Patch).

მყითხველი ალბათ დავვეთანხმება, რომ ხელნაწერის უკე-
თესი აღწერილობა ძნელი წარმოსადგენია და იგი თითქმის
უნაკლოა (ზოგიერთი სადაც ცნობის გამო ქვემოთ შევჩერ-
დებით).

ვის შეიძლება იგი ეკუთვნოდეს? როგორც აღწერილობი-
დან ჩანს, მისი ავტორი საქმაოდ ლრმად არის ჩახედული ქარ-
თული ფილოლოგის საკითხებში და საინტერესო დაკვირვე-
ბებსაც გვთავაზობს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული
ლექსიკონის“, იგივე „სიტყვის კონის“ ამ მართლაცდა იშვიათი
ნუსხის გარშემო.

ჩემი აზრით, ამ აღწერილობის ავტორი შეიძლება იყოს
თვითონ ხელნაწერის მფლობელი უილიამ ედუარდ დევიდ
ბლენი (1901—1973), გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი

და ქართველოლოგი, რომელსაც ჩვენთვის აუხსნელი შიზე გამო გაუყიდია „სოზბის“ აუქციონზე ეს ხელნაწერი 1952 წლის 28 იანვარს, უფრო კი მგონია იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ლონდონში იმ დროს მოღვაწე ქართველ მეცნიერს ანდრია გუგუშვილს (1895—1970), რომელიც ჩვენში ნაკლებად არის ცნობილი და რის გამოც გთავაზობთ ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობას მის შესახებ:

ანდრია გუგუშვილი, რომელიც 1895 წელს იყო დაბადებული, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა. პირველმა მსოფლიო ომმა მას ბერლინში მოუსწრო და სამშობლოში უკან ვეღარ დაბრუნდა, ამიტომ იძულებული გახდა ჯერ პოლანდიაში და იქიდან ინგლისში, კერძოდ, ლონდონში, გადასულიყო. აქ იგი მეგობრობდა და თანამშრომლობდა გამოჩენილ ინგლისელ ქართველოლოგებთან — ოლივერ უორდრობთან და უილიამ ალენთან. ანდრია გუგუშვილი იყო მდივანი ინგლისში დაარსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა და ლონდონში ინგლისურად გამომავალ სამეცნიერო უურნალ „გეორგიისა“, რომელსაც უ. ალენი სცემდა. ამ უურნალში იბეჭდებოდა როგორც უცხოელ, ისე საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევები საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. მაგალითად, 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლონდონში გამოიცა „გეორგიის“ საგანგებო „რუსთაველის ტომი“, რომელშიც დაბეჭდილია ი. ჯავახიშვილის, გ. ლეონიძის, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ს. ჯანაშიას, უ. ალენის, გრ. ფერაძის, ზ. ავალიშვილის, გ. გვაზავას, გ. ლემან-ჰაუპტის, ბ. ნიკიტინის, ლ. მუსხელიშვილის, ა. გუგუშვილის და სხვათა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები. ამავე უურნალის სხვა ნომრებში გამოქვეყნებულია ა. გუგუშვილის წერილები, რომლებიც ხელს უწყობდა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ამას გარდა, ანდრია გუგუშვილი ქართულ ენას სწავლიდა დაინტერესებულ ახალგაზრდა ინგლისელ მეცნიერთ ლონდონის უნივერსიტეტში. ეხმარებოდა მათ ქართული კულტურის ღრმად ათვისებაში, რითაც განამტკიცებდა ინგლისური ქართველოლოგის საუკეთესო ტრადიციებს — მარჯორი და ოლივერ უორდრობებმა რომ ჩაუყარეს მყარა საფრენელი.



ამ მხრივ, ნიშანდობლივია ანდრია გუგუშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მისი ამაგისადმი მაღლიერების ურთისწინებით გამსჭვალული ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის რ. ჸ. სტივენსონის 1970 წლის 17 ივნისის ქართული წერილის სიტყვები რომელთაგან ზოგიერთს აქ მოვიყვანთ: „...მის ხსოვნას მარად გულში ვატარებ; თუმცა, ჩვენს შორის წლოვანების დიდი განსხვავება იყო, მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა იგი ჩემი საუკეთესო და უძვირფასესი მეგობარი გამხდარიყო.

მე მას დავუახლოედი ჩემი მუშაობის დროს ქართულ ლინგვისტურ და ლიტერატურულ სწავლის დროს. იგი იყო უბეჭითესი და მოთმინებით ოღაცვე მასწავლებელი; მის დაუხმარებლად იმედიც კი არ მექნებოდა ჩავწედომოდი ქართულს, რადგან მათვის, ვინც ინდოევროპულ გრამატიკულ ფორმებს შეჩვეული არიან და მით გაპირობებული, უეჭვილად ძნელი მისადგომი არის ქართული ენა ყველა ენას შორის. საათების განმავლობაში მსჯელობით, ფურცლიდან ფურცლამდე დაწერილი შენიშვნებით, იგი სასწავლელ საკითხს არქვევდა და მეხმარებოდა უზომოდ, როცა მე გართული ვიყავი „ამირანდარეჭანიანის“ ინგლისურ ენაზე თარგმნით, რომლის იდგილები ჩემთვის ხშირად სრულიად გაუგებარი იყო; დაბოლოს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს, როცა მას რომელიმე შეკითხვას ვუგზავნიდი, იგი შესაძლებელ პირობებში სრულ პასუხს მაძლევდა ხოლმე.

მე ველოვობ ანდრია გუგუშვილს, როგორც ერთგულ მასწავლებელს და კომპანიონს, რომელთან ცოცხალი და ვრცელი საუბრებით ჩემთვის გაიღო მრავალი ფანჯარა ცხოვრებისა; ველოვობ ყველაზე უფრო უანგარო, უხე და ლოიალურ მეგობარს:

ასრე უნდა მოხმარება, გაპეიდოდეს ვისცა ვისი“...

როგორც აյადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა მაცნობა, მას ჰქონია მიმოწერა ანდრია გუგუშვილთან და მის არქივში დღესაც ინახება ანდრიას წერილები და მის მიერ გამოგზავნილი უურნალ „გეორგიეს“ სრული კომპლექტი. აქვე შევნიშნავ, რომ ა. გუგუშვილის წერილების ერთი ნაწილი ინახება აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში, — ხელნაწერთა ინსტიტუტში რომ არის დაცული.

ამას გარდა, გაზეთ „თბილისში“ 1984 წლის 9 და 11 ივნისს



ანდრია გუგუშვილის შესახებ ჩემ მიერ პირველად გუგუშვილი ნებული ამ ცნობების გამო ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მცხა-მტკაცა ბრძოლში“ (28. VIII. 84, გვ. 4) დაიბეჭდა პედაგოგ შ. გუგუშვილის საგულისხმო გამოხმაურება „წერილები ლონდონიდან“, სადაც იგი ზუგდიდში მცხოვრებ ანდრია გუგუშვილის რძლის — კატო ჯოჯუა—გუგუშვილის ნაამბობის საფუძველზე, ზოგიერთ დამატებით ბიოგრაფიულ ცნობას გვაწვდის ანდრია გუგუშვილზე: „ზუგდიდში გუგუშვილების რამდენიმე ოჯახია, სხვადასხვა დროს ჩამოსულები სოფელ ეწერიდან (აბაშის რაიონი). ზუგდიდში მცხოვრებ იულონ გუგუშვილსა და ოლღა შენგელაიას სამი ვაჟი ჰყავდათ: ანდრო, ვარლამი და ვლადიმერი (ლადო). უილბლო მამა ისე წავიდა წუთისოფლიდან, რომ ვლადიმერი თვალით არ უხილავს. ქვრივი ქალი ბედის უკურმართობამ ვერ შეაკრთო. სიმდიდრეს, სიტემისამოვნებას უარი უთხრა და ობლების აღზრდა-განაფლება ცხოვრების მიზნად დაისახა. ბავშვებს დაწყებითი განათლება მიაღებინა, ხოლო შემდეგ ყველაფერი მიყიდ-მოყიდა და ოჯახით საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა.

ანდრომ გიმნაზია დაამთავრა თუ არა, გეოლოგიური მეცნიერების დასაუფლებლად გერმანიაში გაემგზავრა. მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და სამშობლოსაკენ გზა გადაეკიტა. ძმა ვარლამი მის წერილებს განძივით ინახავდა... ამჟამად ოჯახში ძვირფასი რელიქვის სახით ინახება სამივე ძმის ერთად გადაღებული ფოტო...

ანდრო იულონის ძე გუგუშვილის ძმის — ვარლამის ოჯახში (ქ. ზუგდიდი, ფოთის ქ. № 14) ამჟამად ცხოვრობს ანდროს რძალი კატო, ძმისწულები ნოდარი და ომარი, ქალიშვილი გათხოვილია თბილისში. ქ. ზუგდიდში ანდროს ჰყავს მამიდაშვილები, დეიდაშვილები და სხვა ნათესავები. ანდროს ძმა ვლადიმერი (ლადო) 20-იან წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. ზუგდიდში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. შემდეგ პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა გააგრძელა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, უდროოდ გარდაიცვალა...“

ანდრია გუგუშვილი, როგორც ვთქვით, განსაკუთრებით ახლოს იყო და მეგობრობდა გამოჩენილ ინგლისელ ქართველოლოგთან პროფესორ უილიამ ალენთან, რომელიც თავის შრომებში ხშირად იხსენიებდა მას მაღლობით ქართულ საკი-



თხებში გაწეული დახმარებისათვის. ერთი ცნობით მეცნობრობა, თავის მხრივ, ალენმა იმითაც გამოხატა, რომ 1970 წელს ირლანდიაში გარდაცვლილი ანდრია გუგუშვილის ნეშტი თავის საგვარეულო აკლდამაში მოათავსა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ „სოზბის“ აუქციონზე გაყიდვამდე პროფ. უ. ალენის კუთვნილი საბას ლექსიკონის ამ იშვიათი ნუსხის საფუძვლიანი მეცნიერული აღწერილობა თუ თვით მფლობელს არა, ანდრია გუგუშვილს უნდა ექუთვნოდეს.

მაგრამ ამ აღწერილობაში ზედმიწევნით სიზუსტესთან ერთად, ზოგიერთი ცნობა იწვევს ჩემ სერიოზულ დაეჭვებას, კერძოდ, ხელნაწერის გადამწერის — იოანე ლარაძის და პირველი მომებებლის — მზეჭაბუქ ორბელიანის მოღვაწეობის პერიოდის მე-18 ს-ის I მეოთხედით განსაზღვრა და აქედან გამომდინარე, შესაბამისად, ხელნაწერის ამავე პერიოდით დათარიღება.

მართალია, ჯერ ხელნაწერი სრულად ხელთ არა გვაქვს და უამისოდ ძნელია თითქოს კოლოფონის ცნობიდან მომდინარე ინტერპრეტაციის უარყოფა, მაგრამ ჩვენს საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებში შემონახული დოკუმენტური ჩვენებების მიხედვით იოანე ლარაძე და მზეჭაბუქ ორბელიანი, ვფიქრობთ, არ შეიძლება მე-18 ს-ის I მეოთხედს ეკუთვნონ და აი, რატომ:

დავიწყოთ იოანე ბატონიშვილის ცნობებით. სწავლული ბატონიშვილი თავის განთქმულ „კალმასობაში“ (ტ. II, გვ. 202—203) ჩვენთვის საინტერესო პიროვნებათა შესახებ წერს:

„მზეჭაბუქ ორბელიან მსაჯულისათვის

მზეჭაბუქ ორბელიანი, კაცი შესახედავათ მსგავსი ესოპესი, და ძეელთა ფილოსოფიათა ზედმიწევნილი, ღვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი, და პატიობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარსიტყვაობასა შინა მარჯვე და პასუხისა უცხოდ მიმგები, მესტიხეობასა შინაც ქებული, და მსაჯულობისა საქმეთაცა შინა გამოცდილი. ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი. ამანვე სთარგმნა ძველი საფილოსოფოსო წიგნი, „პერიარმენიად“ წოდებული, სომხურისა ენისაგან. ეს იყო მეფეთაგან მიჩნეულ, რომელიცა შეაქცევდის ხუმარსიტყვაობითა, რომლისა ანეგდოტნი მრავალნი, მისგან ნათქვამნი უწყიან ქართველთა.

იოანე მღვდელი ლარაძე, ესე აღზარდა საფილოსოფუნდოს
სწავლასა შინა მზეჭაბუქ ორბელიანმან. ესე იოანე იყო მშვე-
ნიერი მწერალი და კარგი დიალიგტიკოსი. ამან შემდგომად
მამისა თვისისა, გიორგი ხარების ეკლესიის დეკანოზისა, მი-
იღო ადგილი მისი და კეთილად იღვაწა საყდარისა მისთვის. და
ესრეთ განვლნო წელნი თვისნი”.

ეს მზეჭაბუქ, იგივე ჭაბუქ ორბელიანი, რომელიც მე-18
საუკუნის მეორე ნახევრის, ერეკლე II-ის დროინდელი, ისტო-
რიული პირია, ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე საიათნოვას
ლექს-კალამბურით „ჭაბუქ ორბელიანზედ“ („არაგვს გაუდოთ
ხიდია...“) და მის შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ და-
წერილი კომენტარით (დაწვრილებით იხ. გ. შარაძე, თეიმუ-
რაზ ბაგრატიონი, ტ. II, თბ., 1974. გვ. 131—134), ხოლო
ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში თუ სულ მთლად უცნობი
არა, შედარებით ნაკლებად არის ცნობილი იოანე ლარაძე. ამი-
ტომ ჯერ მოვიხდება მისი ვინაობისა და მოღვაწეობის პერი-
ოდის ზუსტად დადგენა.

მე-18 საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერზე (S—1400)
გაკეთებული მინაწერებიდან ირკვევა, რომ იოანე ლარაძე და-
ბადებულა 1765 წლის 27 მარტს. იგი ყოფილა ხარების ეკლე-
სიის დეკანოზის გიორგი ლარაძის მეოთხე შვილი და ცნობი-
ლი მწიგნობრის პეტრე ლარაძის — სხვათა შორის, საბას
ლექსიკონის ერთ-ერთი შემმოკლებლის (იხ. A—1428, შდრ.
ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რე-
აქციები, თბ., 1957, გვ. 6,282) — უმცროსი ძმა.

ე. თაყაიშვილის გამოკვლევით, ლარაძეები სამეგრელოდან
გადმოსულან სომხით-საორბელოში და დიდ გომარეთთან
ახლოს ორი სოფელი გაუშენებიათ: დიდი ეგრისი და პატარა
ეგრისი. თვითონ გიორგი ლარაძე თავიდან ცნობილი ერის-
კაცი ყოფილი და დიდი სამსახური გაუწევია თეიმურაზ
II-ისათვის აბდულ-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც
იგი მეფეს თბილისში გაღმოუყვანია, სადაც იგი ჯერ მღვდლად
ეკურთხა, შემდეგ კი ხარების ეკლესიის დეკანოზი გახდა. გი-
ორგი ლარაძის მიერ უნდა იყოს აშენებული ეკლესიები დიდ
ეგრისსა და პატარა ეგრისში. ერთ მათგანს პატარა ეგრისში
აწერია მისი სახელი, ხოლო გიორგის ცოლის — ხორეშანის

შექვეთით არის მოჭედილი ერთი ღვთისმშობლის ხატი წელს (იხ. ე. თაყაიშვილი, პეტრე ლარაძის „დილარუშენიშვილი“ ცნობი ხელნაწერი ლარაძეთა გენეალოგიითურთ, ხელნ. ინსტ., ე. თაყაიშვილის ფონდი, № 167; მისივე, არქეოლოგიური ექსკურსიები..., IV, გვ. 88, 90—98, 107, რუს. ენაზე, 1913).

გიორგი ლარაძე გარდაცვლილა 1794 წლის 5 თებერვალს და თუ იოანე ბატონიშვილის ცნობას მოვიშველიებთ, მაშინ ამავე წელს იოანე ლარაძეს დაუჭერია მამამისის — ხარების ექლესის დეკანოზის — ადგილი. სხვა ქართულ ხელნაწერში (S—5009) კი ვპოულობთ იოანე ლარაძის გარდაცვალების ცნობას: „კურთხეული იოანე ლარაძე დეკანოზი, კაცი იგი ზეცისა, მიიცუალა ალავერდს, მწირობასა შინა წელსა ქრისტესით ჩყდ, ქართულ უფასოსა, სამშაბათსა, თუცსა ივლისსა და“.

მაშასადამე, აქედან ჩანს, რომ იოანე ლარაძე გარდაცვლილა 1804 წლის 26 ივლისს, ალავერდს. მისი ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მიუხედავად იოანე ბატონიშვილის მაღალი შეფასებისა, „ესე იოანე იყო მშვენიერი მწერალიო“, ბევრი არაფერი შემოგვრჩენია. ვიცნობთ მის კიდურწერილ ლექსს „ქრისტეშობის მილოცვას“ ((S—2588), მიძღვნილს ერეკლე II-სადმი (1790 წ.) და იამბიკოს, თქმულს ანტონ II კათალიკოსზე (A—1164) (შდრ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი პირველი, თბ., 1962, გვ. 346—347).

ასეა თუ ისე, ახლა უკვე ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ იოანე გიორგის ძე ლარაძეც, მზეჭაბუკ ორბელიანთან ერთად, ყოფილა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე — დაბადებულა იგი 1765 წელს, ხოლო გარდაცვლილა 1804 წელს. აქვე შევნიშნავთ, რომ ვიცნობთ მეორე იოანე ლარაძეს, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერს (S—305 ნუსხისა, იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, წერილები და გამოკვლევები, ტ. I, თბ., 1984, გვ. 489—490), ოღონდ იგი იყო იოანე იოსების ძე, ანუ ძმისშვილი იოანე გიორგის ძე ლარაძისა, რომელიც დაბადებულა, როგორც ერთი ხელნაწერიდან (S—5009) ირკვევა, „ოქდონბერს კა, წელსა ჩყთ“ (ე. ი. 1809 წლის 26 ოქტომბერს), ხოლო გარდაიცვალა, ჩყდ წელსა, აპრილის სამს დღესა“ (ე. ი. 1892 წლის 3 აპრილს).

ჩევენი საისტორიო წყაროები მე-18 საუკუნის მეორე ხანები ხევარზე აღრე არ იცნობს არც ერთ სხვა მზეჭაბუკ შესაბამის ანს და იოანე ლარაძეს. მაშასადამე, სულხან-საბას ლექსიკონის ლონდონური ნუსხაც ვერ იქნებოდა სხვა იოანე ლარაძის მიერ გადაწერილი და სხვა მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ მოვებული. მაშინ მაინცდამაინც ისე გამოდის, რომ საბას ლექსიკონის ჩევენთვის საინტერესო ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

საბას ლექსიკონის ლონდონური ნუსხის 1952 წლის ინგლისური აღწერილობის ავტორს კი იმდენად სარწმუნოდ მიაჩინია წინამდებარე ხელნაწერის მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში გადაწერა, რომ მისი ეს აზრი პროფ. უ. ალენს უკრიტიკოდ გაუზიარებია 1970 წელს კემბრიჯში გამოცემულ ორტომიან ნაშრომში: „რუსეთის ელჩინბები ქართველ მეფეთა კარზე 1589—1605 წწ.“, რომლის I ტომის კონტრტიტულში დაბეჭდილია ამ ხელნაწერიდან ამოღებული თ, მ, ც, ჟ ასოთა ფერადი მინიატურები, ხოლო ქვემოთ გაკეთებულ შენიშვნაში კვითხულობთ: „მოხატული სათაური ასოები სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის ხელნაწერისა, რომელიც გადაწერა აწყურის მსაჯულის მზეჭაბუკ ორბელიანისათვის 1724 წელს“.

ამ მოსაზრებას, ერთი შეხედვით, თითქოს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ლონდონური ნუსხა რედაქციულად მისდევს საბას ლექსიკონის რედაქციას, რომელიც შემონახულა H—1658 ავტოგრაფულ ნუსხაში და საბას მიერ არის გადაწერილი 1715—16 წლებში. კაცი იფიქრებდა, რომ ლონდონური ნუსხაც ამ დროსაა გადაწერილიო, რადგან იგი არ იცნობს და არ იყენებს საბას ლექსიკონის A და Z რედაქციათა ნუსხებს (H—1429, A—75, A—1473), რომლებიც 1721—25 წლებში არის გადაწერილი საბას და მისი ძმის ზოსიმეს მიერ და მათში შრომას უკვე დასრულებული სახე აქვს მიღებული. მაგრამ არც ის შესაძლებლობა არის გამორიცხული, რომ იოანე ლარაძეს და მზეჭაბუკ ორბელიანს (თუ ვირწმუნებთ, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე სხვა იოანე ლარაძე და მზეჭაბუკ ორბელიანი არ ყოფილან) სწორედ საბას ლექსიკონის B რედაქცია ჩაუვარდათ ხელთ და სწორედ იქიდან გაორმანდებოდა.

რეს და სათაურ ასოთა დიდებული მინიატურებით შეამჭერ სწორუპოვარი ქართველი ლექსიკოგრაფის შრომას მაღლით

ჯერჯერობით ძნელია კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ხელნაწერის გადამწერი და მომხატველი ერთი და იგივე პიროვნება იყო, თუ სხვადასხვა; ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა დანამდვილებით ახლავე შეიძლება, რომ ჩვენი ხელნაწერის სათაური ასოების უბრწყინვალესი მხატვრობა სრულიად განსხვავდება ამ ხასიათის აქამდე ცნობილ მხატვრობათაგან (შდრ. ლ. ქუთათელაძე, „სიტყვის კონის“ სათაური ასოები, უ. „დროშა“, 1959, № 11, გვ. 7—8).

მაინც როგორ მოხვდა საბას ლექსიკონის ეს იშვიათი ნუსხა საზღვარგარეთ, კერძოდ ლონდონში, თავდაპირველად უ-ალენის ხელში? ამის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს ვპოულობთ ექვთიმე თაყაიშვილის 1946 წლის ერთ გამოუქვეყნებელ ხელნაწერ შრომაში, რომელიც მის ირქივშია დაცული:

„ეს ლექსიკონი წინად ეკუთვნოდა ნიკო. მუხრანსკის, ბურად წოდებულს (ვინაიდან მან მიიღო მონაწილეობა ბურების ომში ინგლისელების წინააღმდეგ). ერთხელ, ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს, მუხრანში ჩამოვიარე: ნიკო მუხრანსკის ოფახსაც მივაკითხე, მაგრამ იქ არც ნიკო დამხვდა და არც მისი მეუღლე. მარტო ბავშვების გამზრდელი იყო შინ. ზოგი წიგნები იქ ლია კარადაში ეწყო. გავსინჯე და აღნიშნული ლექსიკონიც იქ ვნახე. ხელნაწერმა მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება ფერადი მეთაური ასოების სიმბოლური სურათებით, რაც სხვა ამგვარ ხელნაწერში იშვიათად მენახა. თბილისში ნ. მუხრანსკის ვთხოვე შემოეწირა ხელნაწერი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის: „დიდის სიამოვნებითო — მიპასუხა, — მაგრამ მანამ მუხრანს არ მეწვევით, არ მოგიტანთ: იქ სხვაც მექნება თქვენთვის საინტერესო და ერთად მოგაროვთო“. მეც დაგვირდი, მაგრამ ვეღარ მოვახერხე წასვლა. მერე კი გარემოება შეიცვალა. რევოლუციის შემდეგ მისი შვილები პარიზში აღმოჩნდნენ. მისი უფროსი ქალი უმცროს და-ძმას პატრიონობდა და უვლიდა. ხელნაწერიც მას წამოელო და ნივთიერი გაშირვების გამო მიეყიდა მისტერ ჭორგ (?) ალენისათვის. იმ დროს ალენს პატარა საანტიქვარო მაღაზია ჰქონდა ლონდონ-

ში და მან გამოსცა ამ მაღაზიის დასურათებული კატალოგი, რომელშიც, სხვათა შორის, მოაქცია ჩვენი ხელნაწერიდან გადამოღებული ერთი სიმბოლური სურათი, — სასწორისა. ამ დღეს აღმოჩენისას საანტიქვარო მაღაზიას თავი მიანება, მაგრამ ხელნაწერი კი თვით დაიტოვა.

ხელნაწერი გადაწერილია მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სარდალ მზეჭაბუქ ორბელიანისათვის, იოანე ლარაძის მიერ.

ბოლოში ხელნაწერს აქვს გადამწერის ჩვეულებრივი ანდერძი და შენიშვნები, რომელიც ასე იკითხება:

„ამა წიგნისა მომლუწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვთ მოივსენებდეთ, მეფის არჩილის, და მეფის გიორგისა, და ბატონის ლეონის დედის ძმისწულისა, საქართველოს მსაჯულის, პატრონის ორბელის ძეს. ამა მეფეთა ბრძანებითა აღსწერა ესე წიგნი ფრიალითა შრომითა, და რუდუნებითა, რამეთუ ქართლის ქუეყანასა ლექსიკონი ალარ იპოვებოდა და ოცდაათს წელიწადს ძლივ შეაწყო განმარტებით, რამეთუ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლის საქმისაგან უცალო იყო. მაშინ ქორონიკონი იყო ჩქვე (=1712) აპრილის კვ (=23) ისპაანს წავიდა, მეფეს ვახტანგს გაჰყვა, ბ(=2) ნოემბერს გამოაბრუნა, დეკემბერს კ (=20) ქართლს მოვიდა, ქორონიკონს ჩლიგ (=1713) აგვისტოს იზ (=17) საფრანგეთს გაიპარა, ფრანცია, ჯენევა, სიკილია, პრომი ნახა. ფრანციის მეფე, პრომი — პაპი, გრანდუკა უცხო კარგად დახურდენ, ყოველი კაცი გაჰკვრდა, რაც იმ ქუეყანაში უცხო და ძვრად სანახავი იყო, ყველა აჩვენეს. წმიდა პაპამ წმიდის ჯუარის ნაწილი, წმიდა კლემენტოს მოწამის თავი და სხუა მრავალი [ნაწილი უბოძა. იც (=18) მარიამობისთვეს გამოისტუმრა, გზაზე წმიდა სახლი და მრავალი] წმიდა ადგილები მოილოცა, კ (=20) ოქტომბერს მალთას მოვიდა, ც (8) დეკემბერს ფრანციის ცისის მეფის ხომალდი მოვიდა, წამოვიდა, ქორონიკონს ჩლიე (=1715) იანვარს ით (=19) კონსტანტინეპოლეს მოვიდა. იქ დაეგვიანა ის წელიწადი, ფრანციისის დესპანისას იღვა ჩელის შეწყობით.

ვინც ეს ლექსიკონი გარდაპსწეროს და საბას სახელი არ დაპსწეროს, მის მაგ(ი)ერად უფალმან ის გაიკითხოს.

დაბადებულა სულხან საბა ორბელიანი ქართულს ქორონი-

კონს ტმვ (346) ოქდომბერს კდ (=24)¹, რომ ლავთინულად
ოთხი ნოემბერი იქნება, დღეს კურიაკესა, უამსა შეტყიც ფაში-
სასა“.

ხელნაწერის ბოლოს სწერია:

„აქა ესე დასრულდა, დიდება ლმერთსა, ბუნებით ერთსა.
დასრულდა ლექსთა კანონი

ლირსმან ჰყო ადრე პოვნანი!

1) აღმაწერინა წიგნი ესე, სასურ-საწყური-სატრფოდ

2) მსაჯულმან საქართულოდასამან
ბრძენმან, ტომ

3) ორბელიოთმან მზეჭაბუკ, მე უუნდოესსა მონასა,

4) სქეს ლარაძესა იოანეს, დალაცათუ საზოგადოებისა არა

5) მოსაწონ არს ნალუაწ-ნაწერი ესე, გარნა შესანდობელ

6) არს ბრალი უსწავლელობისა, უკეთუ არა იყოს ნაშვი
დაპინძლობისა,

7) მონა ვარ უკმარი და რომელი იგი თანა მედვა ყოფად
ვჰყავ.

ესე არს ლექსთა კანონი
ვინც სრულებით ჰყო პოვნანი“.

ამ ხელნაწერის გადამწერი იოანე ლარაძე უნდა იყოს გი-
ორგი ლარაძის ძე და პეტრე ლარაძის ძმა. იოანე ბოლოს
ალავერდის დეკანოზი გახდა და იქ გარდაიცვალა 1804 წლის
26 ივლისს“ (ე. თაყაიშვილი, ევროპაში ნახული ქართული
ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები სხვა ქართულ სიძვე-
ლეთა შესახებ, ხელნ. ინსტ., ე. თაყაიშვილის ფონდი, № 651,
გვ. 33-36; იხ. აგრეთვე, იქვე, № 657, გვ. 3-8), „ხო-
ლო მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი გარდაიცვალა
1794 წელს და დამარხულია ტფილისის სიონში“ (იხ. გაზ.
„საქართველო“, 1929, № 2, პარიზი; შდრ. მისივე, არქ. ექს-
კურსიები..., IV, რუს. ენაზე, 1913, გვ. 95).

დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის მიერ პირველად თბილისის
უნივერსიტეტში 1946 წლის ივნისში წაყითხული ამ მოხსენე-
ბის თეზისებიც, რომლის მე-10 პუნქტში, კერძოდ, ჩვენთვის
საინტერესო ხელნაწერის შესახებ ვკითხულობთ:

¹ რაც ფრჩხილებშია ჩვენ დედანს აკლია, ხოლო სხვებში არის (ე.
თაყაიშვილის შენიშვნა, გ. შ.).



„საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, რომელიც გნის მისტერ აღენს (ინგლისში). ხელნაწერი გადაწერილია იმანე ლარაბის მიერ მე-18 საუკუნის დასასრულს მზეპაბუკ ორბელიანისათვის. წიგნი ფრიად საყურადღებოა ფერადით შესრულებული მეთაური ასოებით და ნამეტნავად სიმბოლური სურათებით ამა თუ იმ სიტყვისა. ეს იშვიათია სხვა ხელნაწერებში“ (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიის 1947 წლის 11 აპრილის სხდომაზე წაყითხული მოხსენების თეზისები).

უფრო დაწვრილებით აღწერს ხელნაწერის მხატვრობას ე. თაყაიშვილი ერთ თავის იდრინდელ წერილში:

„ხელნაწერი დიდათ საყურადღებოა თავისი მხატვრული ასოებით. თითოეული ანბანის ტექსტს თავში უზის ფერადებთ. დახატული დიდი მეთაური ასო მხედრული. ზოგიერთი ასო შემკობილია სიმბოლური ფიგურებით და ამიტომ რთული სახე აქვს. მთელი სცენებია წარმოდგენილი. მაგალითად ასო ჭ-ს თან ახლავს ჭოჭოხეთის სურათი, ტ-ს უწერია: „სული მართალი უბრალოდ იტანჯების“. დახატულია მუსულმანის ტირანი, რომლის ბრძანებით ჰგვემენ მართალს, ქრისტიანს. ც-არის გამომხატველი ცოდვათა და უწერია: „ვაჲ მწერალთა უკეთურებისათვის“. ჰ-ს უწერია: „ჰა უგვარო ჩმის გაცემა“ და სხვა. ასოების შემკობილება ზოგჯერ დამთავრებული არ არის. მაგალითად, ფერადებით არ არის შესრულებული ასოები: ქ, ყ, შ, წ და შ.

ერთი ნიმუში ამ ლექსიკონის მხატვრული მეთაური ასოის, სახელდობრ, ტ აღენმა მოათავსა ახლად გამოსულს თავის საანტიქვარო კატალოგში. თუმცა ეს ასო აქ ფერადებით არ არის წარმოდგენილი როგორც დედანში, მაგრამ მაინც საუცხრვოთ არის შესრულებული და კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. დიდ სამსახურს გავიწევს აღენი რომ ყველა ასოს ამრიგად გამოსცემდეს ერთს ალბომად“ (იხ. ე. თაყაიშვილი, ქართული სიძველენი ეკროპილ ანტიქვარებთან, გაზ. „საქართველო“, 1929, № 2, პარიზი).

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ე. თაყაიშვილის ცნობებიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ლონდონში 1952 წელს აღენის მიერ გაყიდული იშვია-

თი ნუსხა თავის დროს ყოფილა ინგლის-ბურებისა და მარგანან-
თქმული გმირის ნიკო ბაგრატიონის (მუხრანსკის, იგივე ნიკო
ბურის, დაიბადა მუხრანში 1868 წელს, გარდაიცვალა 1933
წელს თბილისში) საკუთრება, რომელიც მართლაც იყო
ვახტანგ VI-ის პირდაპირი შთამომავალი და ჩეენში ქარგად
არის ცნობილი თავისი მოგონებებით (იხ. ნიკო ბაგრატიონი,
ბურებთან, თბ., 1951). ასევე საბოლოოდ ვრწმუნდებით, რომ
ხელნაწერის გადამწერი ითანე ლარაძე და ხელნაწერის მომ-
გებელი მზეჭაბუკ ორბელიანი მე-18 საუკუნის მეორე ნახევ-
რის ისტორიული პირები არიან და არა ამ საუკუნის პირველი
მეოთხედისა, როგორც ამას ინგლისურ აღწერილობაში
ვხვდებით. ამდენად, ხელნაწერიც მე-18 საუკუნის მეორე ნა-
ხევარშია გადაწერილი და არა ამავე საუკუნის პირველ მე-
ოთხედში, როგორც ამას ინგლისური აღწერილობის ავტორი
გვიმტკიცებს.

საინტერესოა, რომ უ. ალენს საბას ლექსიკონის ეს ნუსხა
გაყიდვამდე უჩვენებია ცნობილი ინგლისელი ქართველოლო-
გის დ. ლანგისათვისაც, რომელიც 1957 წელს, ნიუ-იორკში
გამოქვეყნებულ ერთ თავის ნაშრომში შენიშნავდა: „ბატონმა
უ. ალენმა მიჩვენა მის საკუთრებაში მყოფი სულხან-საბა
ორბელიანის ლექსიკონის მე-18 საუკუნის შესანიშნავი ხელ-
ნაწერი, რომელიც გადაწერილია ითანე ლარაძის მიერ მწერ-
ლისა და მსაჯულის მზეჭაბუკ ორბელიანისათვის“ (დ. ლანგი,
საქართველოს სამეცნიერო უკანასკნელი წლები (1658—1832)“,
ნიუ-იორკი, 1957, გვ. 126, შნ. 11, ინგლ. ენაზე).

* * *

ახლა საჭირო იყო საბას ლექსიკონის ამ იშვიათი ნუსხის
ახლანდელი მფლობელის—პეჩის ვინაობისა და ადგილსამყოფ-
ლის დადგენა.

ისევ ქრისტეფორ დე ჰამელმა მიშველა: ეს პეჩიო, — მი-
თხრა ჰამელმა, — ჩვენი აუქციონის ძველი თანამშრომელი
იყო, უკვე კარგა ხანია პენსიაზე გავიდა, ლონდონში ცხოვ-
რობდა, ახლა 90 წელს იქნება მიღწეული თუ საერთოდ ცო-
ცხალიათ! არც ის არის გამორიცხული, რომ ხელნაწერი თა-
ვისთან არ ჰქონდეს, რადგან იგი შემჩნეული იყო ხელნაწერე-

შის ყიდვა-გაყიდვაში, ორ დღეში დავადგენთ პეჩის სახელი
დასავალსო.

მართლაც, ორი დღის შემდეგ პამელმა შემატყობინა, რომ
პეჩი ცოცხალი ყოფილა, მისი ლონდონური მისამართიც და-
გადგინეო, — მითხრა, — ოღონდ მასთან თქვენთვის საინტერე-
სო ქართულ ხელნაწერზე საუბრის გასაგრძელებლად აუცი-
ლებელია ბრიტანეთის აკადემიის პრეზიდენტის შუამავლობა
და ოფიციალური წერილი, რათა პეჩმა გვითხრას თქვენი
ხელნაწერის ბედის შესახებო.

მაგრამ ამასობაში სააღდგომო არდადეგები დაიწყო, აკა-
დემიის პრეზიდენტი ოუენ ჩადვიკი იტალიაში წასული აღმო-
ჩნდა, ხოლო ჩემი მივლინების ვადაც ამოიწურა.

ამიტომ საბას ლექსიკონის ამ იშვიათი ნუსხის მიგნებულ
ცხელ კვალზე მიყოლა ვთხოვე ლონდონში მცხოვრებ საბჭო-
თა უურნალისტს იური კობალაძეს, რომელიც გავაცანი ჭრი-
ტანეთის აკადემიის ხელმძღვანელობას, კერძოდ, პირადად
წარვუდგინე აკადემიის მთავარ სწავლულ მდივანს პიტერ
ბრაუნს და „სოზბის“ აუქციონის ხელნაწერთა განყოფილების
დირექტორს ქრისტეფორ დე პამელს და შევთანხმდით, რომ
სააღდგომო არდადეგების დამთავრებისა და ბრიტანეთის აკა-
დემიის პრეზიდენტის ოუენ ჩადვიკის იტალიიდან დაბრუნე-
ბის შემდეგ იური კობალაძე გააგრძელებდა ჩემი სახელით პე-
ჩთან მოლაპარაკებას...

P. S. ინგლისიდან 1984 წლის ივლისში სამშობლოში დაბრუ-
ნებულმა იური კობალაძემ მაცნობა, რომ არც „სოზბის“ აუქ-
ციონის ხელმძღვანელობამ და არც პეჩმა სიახლოვეს არ გა-
მიქარესო. ამასობაში, ლონდონიდან მივიღე „სოზბის“. აუქცი-
ონის ასისტენტის ელიზაბეტ ტრიპის მიერ 1984 წლის 14
ივნისს გამოგზავნილი თავაზიანი ბარათი, რომლითაც ბო-
დიშს მიხდის, თქვენი თხოვნა ვერ შევასრულეთო...

* * *

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ
უნდა იყოს საბას ლექსიკონის ამ იშვიათი ნუსხის მფლობე-
ლის — ნიკო ბურის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობე-
ბის მოყვანა, რომლებიც შეიძლება ოდესმე გამოგვადგეს
აღნიშნული ხელნაწერის დაფარული კვალის მისაგნებად:

„სამართლიანობისა და ადამიანისაღმი სიუკარულმა“ —
იყენა ის აფრიკაში და ააღებინა თოფი ხელში „~~უკავშირობის~~
ნიკო ბური თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის
ფრანგი გრაფის — ბრედას შესახებ.

ეს სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ თვი-
თონ ნიკო ბურზე!

ვინ იყო ნიკო ბური?

„ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ თბილისის ქუჩებზე ხში-
რად შეხვდებოდით არაჩვეულებრივი სიმაღლის ახოვან ვაჟ-
კაცს, რომელსაც ძველებური ქართული ჩოხა-ახალუხი ეცვა.
ნაცნობები მას „ნიკო ბურს“, ხანაც უფრო მოკლედ „ბურს“
ეძახდნენ, მაგრამ ბევრმა როდი იცოდა საიდან მიიღო ამ
ქართველმა კაცმა ასეთი უცნაური მეტსახელი, როდი იცოდ-
ნენ, რომ ამ ბერიკაცს თითქმის ფანტასტიკური ბიოგრაფია
ჰქონდა“—ასე იწყებს მწერალი გიორგი ნატროშვილი თავის
წინასიტყვაობას, რომელიც წაუმდლვარა 1951 წელს გამოცე-
მულ ნიკო ბაგრატიონის მოგონებების წიგნს — „ბურებთან“
(თარგმნა და შენიშვნები დაურთო რაჟდენ გვეტაძემ).

„ბური“ ჰოლანდიური სიტყვაა და ნიშნავს გლეხს, მიწის
მუშას.

1497 წელს პორტუგალიელმა ვასკო-დე გამამ ჰოლანდიის ე-
მით მოიარა სამხრეთ აფრიკის ნაპირები. შემდეგ ამისა, იქ ჰო-
ლანდიელებმა დააარსეს პატარა კოლონია. მალე ამ აღგილებში
გადმოსახლდნენ უმიწაწყლო და ბოგანო ფრანგებიც, ხელი-
სუფლების მიერ დევნილი და ხელისუფლებასთან შეურიგე-
ბელი ადამიანები. გადმოსახლებულთა უმრავლესობას შეად-
გენდნენ ჰუგენოტები. ახალ მიწაზე დასახლებულებმა პირველ
რიგში ხელი მიჰყვეს მიწის დამუშავებას. ამრიგად, წარმოშ-
ვა ბორთა, ანუ ბურთა ახალი ქვეყანა, — ნიკო ბურზე უკეთ
ვერც დასწერ ასე მოკლედ და გასაგებად ბურების ქვეყნის
წარმოშობის ისტორიას.

ბურების შრომისმოყვარეობამ, მესაქონლეობის, მევენახე-
ობისა და მიწის დამუშავების მაღალმა კულტურამ, აგრეთვე,
ბუნებრივმა პირობებმა და ოქროს მდიდარმა საბადოებმა ხე-
ლი შეუწყო მათი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყო-
ბის დაწინაურებას, შექმნეს რესპუბლიკა, ჰქონდათ თავიანთი
პარლამენტი და ჰყავდათ არჩეული პრეზიდენტი.



მე-18 საუკუნის მიწურულამდე ბურები თავს გრძნობდნენ, მაგრამ მე-19 საუკუნიდან აქ გამოჩენები სელები, რომლებმაც მოინდომეს ბურებზე თავიანთი გავლენის გავრცელება. თავისუფლებისმოყვარე ბურებმა ინგლისელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, შექმნეს ორი ახალი რესპუბლიკა — ტრანსვაალის და ორანჟისა და გაერთიანებული ძალებით შეეცადნენ ინგლისელთა ძალების მოგერიებას. 1880—81 წლების პირველ ომში მათ სასტიკად დაამარცხეს ინგლისელები, მაგრამ 1899 წელს ტრანსვაალის დასაპყრობად ინგლისელებს ახალი ომი გამოუცხადეს... სწორედ ამ უსამართლო ომში ბურების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად მოხალისედ წასულთა შორის აღმოჩნდა ქართველი კაცი — ნიკო ბაგრატიონი!

თბილისი-პეტერბურგი-პარიზი-მარსელი-ალექსანდრია-აი, გზა, რომელიც გაიარა საქართველოდან შორეულ აფრიკაში ლომებზე სანადიროდ მიმავალმა ბაგრატიონთა შთამომავალმა, მაგრამ ალექსანდრიაში ჩასვლისას, გაიგო რა ინგლის-ბურების ომის დაწყების ამბავი, მან ლომებზე გამზადებული იარაღი უყოყმანოდ თავისუფლებისმოყვარე ხალხის დასამონებლად წამოსული დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართა და როგორც მოხალისე, ტრანსვაალში გაემგზავრა. აქ იგი პირადად წარუდგა პრეზიდენტს პაულუს კრიუგერს და ბურთა სახელოვან მხედართმთავრებს უუბერს, ბოტას, კრონიეს, დელარეის, დე-ვეტას და ვილბუა-დე მორელის ამოუდგა მხარში, ვითარცა მათი ერთგული მეომარი.

პირველ ხანებში ბურებმა, რომელთა მხარეს მამაცურად იბრძოდა ნიკო ბაგრატიონიც, ბევრი მწარე დამარცხება აგემეს ინგლისელებს. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს მათ ტყვედ ჩაიგდეს მაშინ სრულიად ახალგაზრდა — ასე, 25 წლის სამხედრო უურნალისტი, მომავალში გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე უინსტონ ჩერჩილი, რომელიც ბურების დიდულოვნებამ იხსნა მოსალოდნელი მძიმე განსაცდელისაგან. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს ნიკო ბაგრატიონი თავის მოგონებებში:

„ბურები იჩენდნენ გასაოცარ სულგრძელობას. ტყვედ წამოყვანილ ინგლისელებს ბურები, როგორც სტუმრებს, ისე ეპყროვოდნენ, მალე კი მთლად ათავისუფლებდნენ...“

ლმობიერად მოეპყრნენ ბურები უინსტონ ჩერჩილის აკადემიუმი
რომელიც იმ ხანებში ტყვედ შეიძყრეს.

მე ერთხელ გენერალ ბოტას ბანაქში მოვხვდი. ჩემი იქ ყოფნის დროს მოიყვანეს ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე ინგლისელი. ერთი მათგანი იყო წითელლოებიანი 20-25 წლის ახალგაზრდა ოფიცერი, შემდეგში ყველასათვის ცნობილი უინსტონ ჩერჩილი. იგი მაშინ „მორნინგ პოსტის“ სამხედრო კორესპოდენტის სახელით მოევლინა სამხედრეთ-აფრიკას და ითვლებოდა ბურების დაუძინებელი მტრის სესილ როდსის დიდ თაყვანისმცემლად. ბურებმა ეს ახალგაზრდა ტყვედ შეიძყრეს შემდეგ პირობებში: ჩერჩილი უნდა ჩასულიყო ლედ-სმიტში, მაგრამ ქალაქი ბურების მიერ ალყაშემორტყმული იყო. ინგლისელები შეეცადნენ ჯავშნიან მატარებლით ალყის გარღვევას, მაგრამ ბურებმა მატარებელი ხელთ ჩაიგდეს და სხვა რამდენიმე ინგლისელთან ერთად ჩერჩილიც ტყვედ წაიყვანეს.

ახალგაზრდა ტყვე ოფიცერი ჰერცოგის შთამომავალი აღმოჩნდა. დედამისი ამერიკელი უურნალისტის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პატრონის ქარომის ქალი ყოფილიყო. ჩერჩილი დაბადებულა 1874 წელს, მიუღია სამხედრო განათლება, მაგრამ პირველადვე, როგორც ვთქვით, ბედმა არ გაუღიმა და ტყვედ ჩავარდა.

გენერალმა ბოტამ ტყვეები ზურგში, პრეტორიაში გადააგზავნა, საიდანაც ჩერჩილმა იოლად მოახერხა გაქცევა და თავი შეაფარა პორტუგალიის ბოლაზს — ლორენსო მარკოს. აქედან კი, როგორც შემდეგ გავიგე, იგი გადასულიყო ინგლისელების კოლონიაში, ნატალში“ (ბურებთან, თბ., 1951, გვ. 97-98).

იმდროინდელი ქართული პრესა შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ინგლის-ბურების ომის (1899-1902) მსვლელობას: ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ სავსეა მიმდინარე ოფიციალური ინფორმაციებით ომის შესახებ, აქვეა ილია ჭავჭავაძის, ალ. ყიფშიძის (ფრონელის), ვარლამ ჩერქევის, ილია ალლაძის საგანგებო წერილები, ა. ცაგარლის ზიშვილის, ილია ალლაძის საგანგებო წერილები, გ. გელიშვილის „ბურების ეთნოგრალექსი „პატარა ბური“, გ. გელიშვილის „ბურების ეთნოგრალექსი „პატარა ბური“, „სამშობლოსათვის — ამბავი ტრანსვაალის ცხოვრებიდან“ (თარგმანი) და სხვა, საიდანაც ნათლად ჩანს ცხოვრებიდან“ (თარგმანი) და სხვა, საიდანაც ნათლად ჩანს



თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად აჭმილებული რი ბურებისადმი ქართველთა თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

პირველ ხანებში გამარჯვების სასწორი ბურების მხარეს გადაიხარა, რის გამოც ილია ჭავჭავაძე დაუფარავი კმაყოფილებით 1899 წლის 2 დეკემბერს გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „საოცარს სანახავობას წარმოადგენს დღევანდელი ომი ინგლისისა და ტრანსვაალისა... გოლიათი ინგლისი, ეს დიდი და უშველებელი ზღვათა მფლობელი იმპერია ერთ მუქა ერს მიესია და არამც თუ ვერა გაუშვია-რა, ჯერ მარცხის მეტი არა უნახავს-რა. მთელს ქვეყანას უკვირს და ეოცება ამ ერთ მუქა ერის ვაჟეკაცობა, მხნეობა და საომარი მომზადებულობა. დიდი თუ პატარა სულ-განაბეჭით ელოდინება ყოველ დღე ამბავს ტრანსვაალში სისხლის ღვრისას...“. იმავე 1899 წლის 16 დეკემბერს კვლავ „ივერიაში“ ილიას შემდეგ სიტყვებს ვკითხულობთ: „თავ-მომწონებას ინგლისისას დიდი თავზარი დაცუა. ეს მართლა-და ძლიერი სახელმწიფო, ეს მდიდარი, ჰევიანი, განათლებული და თამამი ერი ლამის დამარცხდეს ტრანსვაალის „ტეტიებისაგან“, როგორც დაცინვით ინგლისელნი უწოდებენ სამხრეთ აფრიკაში დაბინავებულ პოლანდიის გლეხობას, რომელიც დღეს გულდაგულ წინ იღუდგა და ინგლის გამარჯვებით ეომება...“.

ბოლოს და ბოლოს ბურებმა მაინც ვერ გაუძლეს ინგლისელთა ძლიერი არმიის შემოტევას და დამარცხდნენ. ბურები იძულებული გახდნენ პარტიზანულ ბრძოლებზე გადასულიყვნენ. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს, 1900 წლის 5 აპრილს, ბოსოვოსთან ინგლისელებმა სხვა ბურ ჯარისკაცებთან ერთად დაატყვევეს მათ მხარეზე მებრძოლი ქართველი ვოლონტერი ნიკო ბაგრატიონი და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ ვითარცა ქართველთა სამეფო გერმანულობის შთამომავალს მაღლედახვრეტა წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებით შეუცვალეს... (ამ კუნძულზე იყო ერთ დროს გადასახლებული ნაპოლეონი!).

ით, როგორ მომხდარა ეს თვით ნიკო ბაგრატიონის გადოცემით:

„მაშ ასე, მე უკვე ტუვა ვარ. ტყვეების ერთი ნაშილი გაგზვნეს წმ. ელენეს კუნძულზე. ნაწილს, ყოველგვარი სამსჯავროს გარეშე, რაღაც მოსაზრების გამო დახვრეტა მიუსაჯეს, მათ შორის ვიყავი მეც...“

იცხოვოს
მართვადი
მართვადი

ლად. ყველა ხალხს უნდა შეეძლოს თავისუფლად იცხოვოს
ამ ქვეყანაზე. ამისათვის ხალხი არ უნდა ისჯებოდეს მართვისა
კიტჩენერის თვალებში ახლა სხვა ფერის შუქმა გაიღვა,
მაგრამ თავი შეიკავა და თავიდანვე აღებული კილოთი მოქ-
ლედ მითხრა:

— ჩვენ ვხვრეტთ მეამბოხეებს. თქვენ კი, როგორც სამხე-
დრო ტყვე, ინგლისის მთავრობის განკარგულებით, იგზავნე-
ბით წმ. ელენეს კუნძულზე, — ეს თქვა და შებრუნდა“ (ბუ-
რებთან, 1951, გვ. 117—122).

წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებაში მყოფ ნიკო ბაგრა-
ტიონის შესახებ საინტერესო მასალებს ვპოულობთ იმდრო-
ინდელ პრესაში, კერძოდ, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელ-
ში“.

1900 წლის 3 სექტემბერს „ივერია“ (№ 192, გვ. 1) წერ-
და: „ტფილისის გაზეთებს ამ დღეებში შემდეგი წერილი
მოუვიდათ ნ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან, რომელიც ამ უ-
მად წმ. ელენეს კუნძულზედ თურმე იმყოფება:

„5 აპრილს 1900 წ. ბოზოვოსთან მომხდარ ცხარე ბრძო-
ლის შემდეგ სადაც გენერალი ვილბუა-დე მორეილი მოპქლეს,
ჩვენ ტყვეთ წაგვიყვანეს და აი, ინგლისელებმა წმ. ელენეს
კუნძულზედ გამომგზავნეს. წერის ნებას არ მაძლევინ და არა
კვერა, რომ ეს ლია ბარათი (ბარათზედ წმ. ელენეს კუნძუ-
ლის სხვადასხვა ადგილებია გამოხატული) თქვენამდე მოაღ-
ლის; როგორც-კი ნებას მომცემენ, — ყოველივეს დაწვრი-
ლებით გაცნობებთ“.

თავ. ნ. გ. მუხრანსკი ძმაა აწ განსვენებულის დუშეთის
მაზრის თავადაზნაურთა წინამძლოლის ლ. მუხრანსკისა“ (იხ.
აგრეთვე, „ცნობის ფურცელი“, 3 სექტ., 1900 წ., № 1228,
გვ. 2).

„ცნობის ფურცელი“ 1900 წლის 7 ნოემბერს (№ 1291,
გვ. 2) აუშვებდა თავის მკითხველს, რომ „ტფილისში დაბ-
რუნდა წმინდა ელენეს კუნძულიდან თავადი ნ. გ. მუხრანსკი,
რომელიც სამხრეთ აფრიკაში ვოლონტერად იყო ბურების
ხარში და ტყვედ იქმნა წაყვანილი ინგლისელების მიერ“, ხო-
ჭარში და ტყვედ იქმნა წაყვანილი ინგლისელების მიერ“, ხო-
ჭარში და ტყვედ იქმნა წაყვანილი ინგლისელების მიერ“, ხო-
ჭარში და ტყვედ იქმნა წაყვანილი ინგლისელების მიერ“:



გაზეთ „Новое Время“-ში დაბეჭდილია წმ. ელენე სარაძეს შულიდვან დაბრუნებულ თავ. ნ. გ. ბაგრატიონ-მუხრანშემტკობის ნის ნალაპარაკევი. როგორც ვუწყით, თავადი მუხრან-ბატონი ტრანსვაალში წავიდა თავისუფალ მეომრად. ტრანსვაალის მთავრობას ჯარში აფიცრად მიუღია და გენერლის ვილბუა მორელის (შემდეგ ეს გენერალი მოკლულ იქნა) ადიუტანტად დაუნიშნია. ტყვედ თავადი 5 აპრილს ბრძოლის დროს წაუყვანიათ. დეპეშით უკვე იყო გადმოცემული ამ ბრძოლის ამბავი. ვილბუა მორელის 50 კაცისაგან შემდგარ რაზმს გარს შემოერტყა 40-ჯერ დიდი ჯარი ინგლისელებისა. მთელი სამი საათი იგერიებდნენ დიდის გმირობითა და მამაცობით ერთი მუჭა მეომარნი ურიცხვ მტერს. ბოლოს, ვილბუა მორელის მოკვლის შემდეგ, ყოველნი ტყვედ ჩაიგდეს ინგლისელებმა. თავად ბაგრატიონის სიტყვით, წმ. ელენეს კუნძულზედ ინგლისელები ვერ ექცევიან თურმე კარგად გენერალ კრანძესა და დანარჩენ ტყვეებს. სულ იქ 2000 ჯარისკაცი და 55 აფიცერი ტყვე ყოფილა. ინგლისელები თვით კრონიესაც კი არ აძლევენ თურმე კარგ საჭმელს და არ ექცევიან კარგად. სადგომები მეტად ცუდი ჰქონიათ ტყვეებს. კარგის თვალით ინგლისლებს მხოლოდ თავად მუხრან-ბატონისთვის შეუხედნიათ. იმისთვის ცალკე კარავი მიუციათ და ერთი დარაჯი მიუჩენიათ, საჭმელსაც კარგს აძლევდნენ თურმე. ტყვეობაში მუხრან-ბატონმა ექვსი თვე და ოთხი დღე დაჰყო. გაუნთავისუფლებიათ იგი ევროპაში გავლენიან კაცთა გამოსარჩევებით. წამოსვლის დროს ბურთა ტყვე აფიცეებს გამოსათხოვარი სადილი გაუმართავთ მუხრან-ბატონისათვის და ჰოლანდიურ ენაზედ დაწერილი შემდეგი ადრესი მიურთმევიათ:

„წმ. ელენეს კუნძული, დედვუდკაპი, 15 სექტემბერი 1900 წელს. თავად ნ. გ. ბაგრატიონ-მუხრანბატონს, დედვუდკამპში ტყვედ მყოფს.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ქვემოთ ამისა ხელის მომწერთ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფიცეებს, გაიგეს-რა, რომ რუსეთს პბრუნდებით, ჰსურთ ამ წერილით გამოვიცხადონ თავიანთი მადლობა იმისთვის, რომ თქვენის კეთილშობილ გულის რაინდულ ლტოლვილებას აჰყევით, არ დაჰზოგეთ არც შრომა, არც ხარჯი და პირადად მონაწილეობა მიიღეთ რესპუბლიკის ბრძო-

ლაში ინგლისის ურიცხვ ჭართან. ჩვენი მართალი საქართველოს თქვენ სიცოცხლის შეწირვა განიზრახეთ. სამხედრო მიზუდმა გილალატათ და იქ ტყვედ ყოფნა გარეუნათ ჩვენთან ერთად. ერთხელ კიდევ გმადლობთ იმ მსხვერპლისათვის, რაც თქვენ გასწიეთ. იმედი გვაქვს, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ყოველთვის თანაუგრძნობთ ჩვენ სამართლიან საქმეს. ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ ყველა იმას, რაც თქვენ, უცხოელმა, ჩვენთვის გააკეთეთ, ჩვენი ხალხი ყოველთვის მაღლობით მოიგონებს. იყოს კურთხევა ღვთისა თქვენსა ზედა; ეს არის ჩვენი გულწრფელი სურვილი“.

ადრესზედ 25 აფიცერს უწერია ხელი. თავად მუხრან-ბატონთან ერთად გაუნთავისუფლებიათ ფრანგი გრაფი ბრედაც. ორივენი ჯერ ლონდონში წაუყვანიათ და მერე იქ მიუნიჭებიათ თავისუფლება. პარიზში, საღაც განთავისუფლებულნი ლონდონიდგან ჩასულან, ყველანი სიხარულით მიჰვებებიან. თავადი ნ. გ. ბაგრატიონ-მუხრანბატონი უკვე ჩამოვიდა ტფილისში” (შდრ. ი. უგულავა, ბურების ჭარისკაცი, თბ., 1981, გვ. 194; ალ. სიგუა, ნიკო ბური, წიგნში: ხეო, იცოცხლე, კეთილო! თბ., 1982, გვ. 38-41);

ნიკო ბაგრატიონი ეკუთვნოდა ქართლის ბაგრატიონთა-მუხრან ბატონების სამეფო შტოს. იგი დაიბადა 1868 წელს, სოფელ მუხრანში. მისი უახლოესი წინაპრებია: ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონი (მე-18 ს.) ედიშერ ივანეს-ძე (1787-1815?) ნიკოლოზ ედიშერის-ძე (1807-1863) გიორგი ნიკოლოზის-ძე (1830-1884) ნიკო ბური.

ნიკოს დედ-მამას — გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონს და ცეატერინე მესხიშვილს 16 შვილი — თხუთმეტი ვაჟი და ერთი ასული — თამარი ჰყოლიათ. ამათგან ყველაზე უფროსი ლევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი (1864-1900) ღუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამდობლი გამხდარა (მისი ერთადერთი შვილი წერეთლის ქალისაგან — სიმონი ახალგაზრდობაში დაღუპულა), ხოლო ერთ-ერთ ვაჟს — დავითს ცოლად შეურთავს შვედი ადმირალის ქალი — ეკატერინე თეოდორეს ასული ენეგელმი (1876-1963), სწორედ მათი შთამომავალია დამსახურებული ინჟინერი, ომის ვეტერანი ლეონიდე მუხრანელი, ჩვენი ცნობილი უურნალისტი ქალი ია ლეონიდეს

ასული მუხრანელი და მეცნიერი პიდროლოგი სიმონ წერტილი
ნიძე.

ერთადერთი ასული თამარ ბაგრატიონ-მუხრანბატონი კი
ცოლად გაჰყოლია მიხეილ ჭავჭავაძეს, რომელთა ასულები —
რუსულან და ნატა ჭავჭავაძეები დღეს თბილისში ცხოვრო-
ბენ.

ნიკო დედმამიშვილებში მეორე ყოფილა. მისი მეულე
იყო ცნობილი ქართველი გენერლის, 1848-49 წლებში
ავსტრიელი პაბსბურგების წინააღმდეგ აჯანყებულ უნგრელთა
მეთაურისა და სახალხო გმირის ლაიოშ კოშუტის სიკვდილი-
საგან მხსნელის ილექსანდრე ბუჩკიაშვილის ასული ანა, რო-
მელთანაც 4 შვილი ჰყავდა: ნატალია (1903-1979), რუსულანი
(1906-1977), ილექსანდრე (1908-1934) და ირინე (დაბ. 1916
წ.). იმათვან ნატალია, ილექსანდრე და ირინე პარიზში ცხოვ-
რობდნენ და დღეს მათვან მხოლოდ ირინელაა ცოცხალი. ხო-
ლო რუსულანი თბილისში ცხოვრობდა და აქვეა დასაფლავე-
ბული. მისი ერთადერთი ვაჟი — ნიკა ჩიკვაძე თბილისში,
8 მარტის ქუჩაზე (№ 34) ცხოვრობს და დღეს ისლაა საქარ-
თველოში ნიკო ბურის ერთადერთი პირდაპირი შთამომავალი.
ნიკო ბურის უფროსი ქალიშვილი ნატალია პარიზში ცოლად
გაჰყვა ფრანგ გრაფს უან ტურანეეს (1882-1977) და უშუალოდ
გადაეგდო (გარდ. 1979 წ.). ასევე უმემკვიდროდ გადაეგო
ილექსანდრე, რომელიც 1934 წელს გარდაიცვალა პარიზში,
ხოლო ირინე გაუთხოვარია.

ნიკო ბურს დარჩა საინტერესო არქივი და სამუშეუმო ნივ-
თები, რომელთა ერთი ნაწილი საქართველოშია, ხოლო ნაწი-
ლი კი საზღვარგარეთ გაიტანეს მისმა შვილებმა. სწორედ სა-
ზღვარგარეთ გატანილი ნაწილიდან მოხვდა ლონდონის აუქ-
ზღვარგარეთ გატანილი ნაწილი ნიკო ბურის წინაპართა ნაქონი სულხან-
ციონშე ერთ დროს ნიკო ბურის წინაპართა ნაქონი სულხან-
ციონში „ქართული ლექსიკონის“ მეტად იშვიათი
საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ მეტად იშვიათი
მე-18 საუკუნის უცნობი ნუსხა შესანიშნავი მხატვრობით,
რომლის კვალს იმას წინათ ინგლისში სამეცნიერო მივლინე-
ბის დროს მივაგენი და საგანგებო წერილი მივუძღვენი გა-
ზეთ „თბილისში“ (9-11-12 ივნისი, 1984, №№ 133, 134, 135).

საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმისა და ს.
ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდებში ინა-
ხება ნიკო ბურის ოჯახიდან შესული თოფები, ერეკლესეული



თასი, თამარ მეფის ნაქარგი პორტრეტი, ნიკოლოზ ფლოშვილის
ძე მუხრან-ბატონის საოჯახო პორტრეტი, ხოლო ნიკო წმიდას
შვილიშვილთან-ნიკა ჩიკვაიძესთან (თბილისი, 8 მარტის
ქ. № 34) დაცულია როგორც ნიკო ბურის, ასევე დედის
მხრიდან პაპის—გენერალ ალექსანდრე ბუჩქიაშვილის ნაქონი
იშვიათი ავეგი, ბაგრატიონთა ნაქონი ხმალი, საგვარეულო
საბეჭდავი, ვერცხლის ჯვარცმა, დეკაბრისტ რაევსკისეული
კარადა, მე-18-19 სს. სახელგანთქმული ფრანგი მხატვარი ქა-
ლის-ვიუე ლებრენის „ქალის პორტრეტი“ (პასტელი), საინტე-
რესო არქივი და ფოტოდოკუმენტები და სხვ.

რაც შეეხება პარიზში ნიკო ბურის შვილების — ნატალიას,
ალექსანდრესა და ირინეს მიერ გატანილ საოჯახო რელიგი-
ებს, მათ შესახებ ნატალია ბაგრატიონი გარდაცვალებამდე
რამდენიმე წლით აღრე — 1975 წლის 5 აგვისტოს პარიზიდან
ანდერძიგით სწერდა თბილისში მცხოვრებ ახლო ნათესავს —
მეცნიერ-პიდროგეოლოგს სიმონ ზედგენიძეს: „თუ გაიხსნება
მამაჩემის მუზეუმი მუხრანში, ყველაფერს, რაც მე გამაჩნია,
საქართველოში გამოვგზავნი“. ამავე აზრისაა დღეს პარიზში
მცხოვრები ნიკო ბურის უმცროსი ქალიშვილი — ირინეც (იხ.
„თბილისი“, 6. IV. 1985).

ამავე წერილში ნატალია ბაგრატიონი იშერება მისი წინა-
პრის — ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრან-ბატონის საოჯახო
პორტრეტზე გამოსახულ პირთა ვინაობის ახსნას. რადგან ეს
ნამუშევარი ითვლება XIX საუკუნის ქართული ეროვნული
მხატვრობის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლად (შდრ. შ. ამირა-
ნაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ფერწერა,
მოსკოვი, 1960, გვ. VI), ხოლო მასზე გამოსახული პიროვნე-
ბანი (სულ 11) ბოლომდე გამოცნობილი არ არიან, ამიტომ აქ
მოვიყვანთ ნატალია ბაგრატიონის ცნობებს, რომლებიც დამ-
ყარებულია საოჯახო ტრადიციულ გადმოცემაზე:

„ნიკოლოზ ედიშერის ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონის
(1807-1863) საოჯახო პორტრეტზე გამოსახული არიან:

მარცხნიდან: პირველი — მაკრინა ნიკოლოზის ასული ბაგ-
რატიონი-ბუჩქიაშვილისა, გენერალ ალექსანდრე ბორისის ძე
ბუჩქიაშვილის, ყარსის დების გმირის მეუღლე; მეორე —
ანნა ნიკოლოზის ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა, პროფე-
სორ პლატონ იოსელიანის მეუღლე, შემდეგში მცხეთის სამ-



თავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი; მესამე^{მეორე}_{მეორე} ნიკოლოზის ასული ბაგრატიონი-ერისთავისა, მეუღლე რევენ ქსნის ერისთავისა ქალიშვილ სოფიოსთან ერთად; მეოთხე — უმცროსი ვაჟი ირაკლი ნიკოლოზის ძე, შემდეგში მოკლული თანაპოლკელ წერეთლის მიერ; მეხუთე — თვითონ ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი; მეექვსე — ნიკოლოზის მეუღლე-თამარ ჯორჯაძე; მეშვიდე — უფროსი ვაჟი გიორგი ნიკოლოზის ძე; მერვე — მისი მეუღლე ეკატერინე მესხი და მათი ვაჟები — ლევანი და ნიკო ბური“.

მართლაც, მუხრანში დღემდე შემორჩენილია ნიკო ბურის სასახლე. სულ უკანასკნელ დრომდე მასში სოფლის სკოლა იყო მოთავსებული, მაგრამ ახლა უკვე გამოთავისუფლებულია და ელოდება მზრუნველ ხელს.

აღნიშნული სასახლე ჭერ ერთი, რომ ქართული საერთო არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია (ასეთ ძეგლებით ჩვენ მაინცდამაინც განებივრებული არა ვართ) და მეორეც: ეს სახლი ისტორიულ-მემორიალურიცაა, რომლის ხშირი სტუმრები ყოფილან, თვით ნიკო ბურის გადმოცემით (იხ. ბურებთან, თბ., 1951, გვ. 15-16) ნიკოლოზ ბარათაშვილი, პლატონ იოსელიანი (იგი სიძე იყო ამ ოჯახისა), რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე (როცა იგი დუშეთის მაზრაში მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად და მერე მოსამართლედ), აგრეთვე, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ინტელიგენციის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები.

ახლა მცხეთის რაიონში რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების წყალობით ნამდვილი სახალხო ლაშვრობაა გამოცხადებული ქალაქ-მუზეუმისა და მისი შემოგარენის ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა გამოსახენად, შესანარჩუნებლად და გადასარჩენად. პარტიის მცხეთის რაიონმის ხელმძღვანელობა ნამდვილად საშვილი-შვილო საქმეს აკეთებს ამ მიმართულებით. კერძოდ მხურეა-ლედ დაუკირა მხარი ჩვენს წინადადებას მუხრანში ნიკო ბურის სასახლის აღდგენისა და იქ მუზეუმის მოწყობის თაობაზე. ვესაუბრეთ მუხრანის თავკაცებს, რომლებიც შევვპირდნენ სოფლის მოსახლეობის დარაზმეას და სარესტავრაციო სამუშაოების მაღე დაწყებას. ნიკო ბურის შთამომავლები როგორც საქართველოში, ისე პარიზში გვპირდებიან იშვიათი

სამუზეუმო ნივთებისა და ისტორიული რელიგიურის ხელფარის
უსასყიდლოდ გადაცემას.

მაშ დრო აღარ იცდის: შევქმნათ ნიკო ბურის მუზეუმი
მუხრანში!

ივანე ჯავახიშვილის შრომის უცნობი ინგლისური თარგმანი

დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობის გამომზეურებას მისი გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს სიმონ ყაუხებიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა, აკაკი შანიძემ, ილია აბულაძემ, გორგი ჩიტიამ, ილექსანდრე ბარამიძემ, ხოლო ამჟამად დავით ჩხილევიშვილის საერთო რედაქციით მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტომეულის გამოცემა. მას გარდა, გამოქვეყნებულია „ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა“ (შეადგინა ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, თბ., 1976), აგრეთვე, „ივანე ჯავახიშვილის ბიობიბლიოგრაფია“ (შემდგენლები ვ. გოგილაშვილი, ე. დოლიძე, რედაქტორები ს. ხადური, ე. ხოშტარია, თბ., 1976), ხოლო სულ ახლახან დაიბეჭდა მ. დუმბაძის მონოგრაფიული ნაჩვევა „ივანე ჯავახიშვილის აღრინდელი შემოქმედება, 1898-1912“ (თბ., 1984) და ამ მიმართულებით თითქოს მოულოდნელია რაიმე ახლის აღმოჩენა.

მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ (1977 წ.) პროფ. გ. ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია ცნობილი ეთნოლოგის რობერტ ეისლერის ერთ პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო რეცენზიას, რომელიც 1913 წელს არის დაბეჭდილი ლაიფციგში გამომავალი პერიოდული ორგანოს „რელიგიის მეცნიერების არქივის“ XVI ტომში. ამ რეცენზიიდან იქრვეოდა, რომ სოლიდურ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალ „The Quest“ — ში 1912 წელს გამოქვეყნებული ყოფილა ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი აღრინდელი ნაშრომი ქართველთა წარმართობის შესახებ, მაგრამ, სახელდობრ ივანე ჯავახიშვილის რომელი ნაშრომი იგულისხმებოდა აქ, ან ვინ იყო მისი მთარგმნელი, ეს რ. ეისლერის რეცენზიიდან, უკეთ, ბიბლიოგ-



რაფიული შენიშვნიდან არ ჩანდა, რის გამოც გ. ლორთქიშვილის ნიძის სიტყვებით, „ბუნებრივია, ი. ჯავახიშვილს მსახურებულებულის უცნობი ინგლისური სტატიის აღმოჩენამდე ადრეა რაიმე დასკვნის გაკეთება“ (იხ. გ. ლორთქიშვილის, ივანე ჯავახიშვილის ბიბლიოგრაფიის უცნობი ფურცლები, თსუ, შრომები, ტ. 184, თბ., 1977, გვ. 189-192).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულია პროფ. მ. წერეთლის წერილები, რომლებიც ლონდონიდან არის პეტერბურგს გამოგზავნილი. კერძოდ, 1911 წლის 14 თებერვლით დათარიღებულ წერილში საუბარია მის მიერ „ქართველი ერის ისტორიის“ თარგმნაზე, ხოლო იმავე წლის 6 მაისის წერილში იგი ეხება ივ. ჯავახიშვილის წერილის თარგმანის დაბეჭდვის; არქივის იღწერილობის შემდგენელთა განმარტებით (თბ., 1976, გვ. 271), თითქოს აქ უნდა იგულისხმებოდეს ი. ჯავახიშვილის წერილი «Обзор теории и литературы о происхождении грузинского языка» (ЖМНП, СПБ., 1908, № 8,) ხოლო გ. ლორთქიშვილის მიერ წამოყენებული „სამუშაო პიპოთეზით... არ იყო გამორიცხული, რომ ი. ჯავახიშვილის რეცენზირებული ნაშრომი წარმოადგენდა „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის იმ ნაწილის თარგმანს, სადაც ქართველურ ტომთა წარმართობაზეა ლაპარაკი (აღნიშნული გამოკვლევა კერ კიდევ 1908 წელს დაიბეჭდა თბილისში)“, თუმცა, აქვე ფრთხილად დასძენდა: „როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს კონკრეტული საკითხი, ნათელია, რომ ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსის შრომებით დაინტერესებულნი იყვნენ ევროპის სამეცნიერო ცენტრებშიც. იცოდა თუ არა იყად. ი. ჯავახიშვილმა ამ ნაშრომების შესახებ ჩ. როგორც ჩანს, პირველი მსოფლიო ომის გამო ევროპასთან შეწყვეტილმა ურთიერთობამ არ მისცა მას საშუალება თვალი ედევნებინა იმ დროის პერიოდიკისათვის და მისი უცხოური ნაშრომები დავიწყებული იღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მის პირად არქივში სამისო ცნობა არ მოიპოვება“.

ამასობაში, ინგლისში 1981 წელს პირველი სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს ოქსფორდის ბიბლიოთეკის უორდოპისეულ ფონდში მივაკვლიე ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ (ტ. I, ტფ., 1908) მარჯორი



უორდროპისეულ უცნობ ფრაგმენტულ თარგმანს აჩვენათ ეს ენაზე, რომელიც დ. ბარეტის ცნობილ „ქატალოგში“ (ოქსფორდი, 1973) დაღასტურებული არ არის (ამის შესახებ იხ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984, გვ. 340), ხოლო მიმდინარე წელს ინგლისში ხელმეორედ სამეცნიერო მივლინებისას, ბუნებრივია, საგანგებოდ დავინტერესდი უურნალ „The Quest-ით და მასში გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის შრომათა დღემდე უცნობი ინგლისური თარგმანების გაცნობითა და შესწავლით.

ლონდონში, ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გავეცანი უურნალ „The Quest“-ის („ძიებანის“) 1912 წლის III ტომის 2-3 ნომრებს, რომლებშიც დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის ჩვენთვის საინტერსეო ნაშრომები.

უურნალი „The Quest“ („ძიებანი“) მეცნიერული ხასიათის ყოველჯვარტალური სოლიდური ორგანოა, რომელსაც რედაქტორობდა გ. რ. ს. მიდი (G. R. S. Mead), ხოლო გამომცემელი იყო ქონ მ. უოტკინსი (John M. Watkins).

უურნალი გამოდიოდა ლონდონში და მასში თანამშრომლობდნენ დასავლეთ ევროპის სახელმოხვევილი მეცნიერები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ამ უურნალის 1912 წლის III ტომის № 3-ის შინაარსს, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიც არის დაბეჭდილი, საიდანაც შეგვიძლია გავითვალისწინოთ უურნალის მეცნიერული დონე და მიმართულება: გ. მიდი, ფსიქიკის ტალღის აღმავლობა; ქ. უიქსთიდი, უილიამ ბლეიკის მეთოდი; ჰ. ა. დაკინფილდი, ტოტემიზმი ძველ ალტერატივურნენდ გ. გარდნერი, დანტეს „ვიტა ნუოვას“ მისტიკური ასპექტი; რობერტ ეისლერი, ჯონი-იონანი-ოანესი? (როგორც ვხედავთ, რ. ეისლერიც თანამშრომლობდა ამ უურნალში, გ. შ.); ჰ. სტენლი რედგროუნი, სულის ხედვა: ქრისტიანული მისტიციზმის ესსეი; ა. რ. პორვუდი, ბუნების მნიშვნელობა; ი. ჯავახიშვილი, მთვარის ღვთაება წმ. გიორგი; კ. ს. ანდერსონი, რწმენის არსი: ნარკვევი ქრისტიანობის წარმოშობაზე; მიწის სიმღერა — ლექსი ევა მ. მარტინისა; ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები და შენიშვნები და სხვ.

აღნიშნულ უურნალში ივანე ჯავახიშვილის ორი ნაშრომია გამოქვეყნებული: პირველი დაბეჭდილია „The Quest“-ის 1912 წლის № 2-ში (გვ. 225—237) და ასევე დასათაურებული:

„სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი თავახშვილი შვილი, ხალხური ზღაპრები და ქართველთა უძველესი წილი—მართული რელიგია“ (The Folk-tales and ancient pagan religion of the georgians, prof. J. Javakhishvili, of the University of St.—Petersburg), ხოლო მეორე შრომა უურნალის ამავე 1912 წლის III ტომის № 3-ში (გვ. 528—545) ამგვარი სათაურით არის წარმოდგენილი: „სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ჯავახიშვილი, მთვარის ღვთაება წმ. გიორგი“ (St. George the Moon—God, prof. J. Javakhishvili, if the University of St.—Petersburg). ორივე ნაშრომს ბოლოში მიწერილი აქვს: „თარგმანი ქართულიდან მიხეილ წერეთლისა“ (Translated from the Georgian by Michael Tseretheli).

მაშასადამე, უკვე გაირკვა ივანე ჯავახიშვილის ჩვენთვის საინტერესო ნაშრომთა ინგლისურ ენაზე მთარგმნელი: იგი აღმოჩნდა უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფესორი მიხეილ (მიხაელ) წერეთელი.

იხლა საინტერესოა, ივანე ჯავახიშვილის რომელი შრომების თარგმანია ინგლისურ უურნალში წარმოდგენილი? ტექსტობრივმა შედარებამ ნათელყო, რომ პროფ. მ. წერეთელს ინგლისურად უთარგმნია ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომის 1908 წლის პირველი გამოცემის მესამე თავი, რომელიც ორიგინალში ასეა დასათაურებული: „ქართველების ეროვნული წარმართობა“ (გვ. 83-117).

მთარგმნელს — პროფ. მ. წერეთელს ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომის ეს თავი ორ ნაწილად დაუყვება: პირველისთვის დაურქმევია „ხალხური ზღაპრები და ქართველების უძველესი წარმართული რელიგია“ (იგი უდრის ორიგინალში წარმოდგენილ 83-98 გვერდებს შესავლით და ქვესათაურით: „ღვთაებათა უფროს-უმცროსობა ქართულ სახალხო პოეზიაში“), რომელიც დაუბეჭდავს The Quest—ის 1912 წლის III ტომის № 2-ში, ხოლო მეორე ნაწილისთვის უწოდებია „მთვარის ღვთაება წმ. გიორგი“ (იგი უდრის ორიგინალში წარმოდგენილ 98-117 გვერდებს ქვესათაურით: „ქართველები უზენაეს ღვთაებად მთვარეს (თუთა თთუე) სოვლიდნენ“).

თარგმანში შეინიშნება ზოგიერთი შემოკლებანი და გარ-



დასვლები, მაგრამ, საერთოდ, იგი ყურადღებას იქნავს მიზნის ზუსტითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით. პირველი როასლები საქართველოში ჩამოვიტანეთ და ივანე ჯავახიშვილის პირად საარქივო ფონდს გადავცემთ.

დღეიდან აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მდიდარ მეცნიერულ მექვიდრეობას მისი სახელგანთქმული შრომის ადრინდელი უცნობი ინგლისური თარგმანებიც შეემატება!

„ვეფხისტურასნის“ ჩვენი უცოდი ლაშიძონი

გადავიდე და საქართველოში ჩამოვიტანე ჩვენში სრულიად უცნობი „ვეფხისტურასნის“ პირი, რომელიც ამ საუკუნის 30-იან წლებში შეუდგენია და 1937 წელს პარიზში დაუბეჭდავს ივ. გახოკიძეს (1883-1943).

ლექსიკონისათვის წამდლგარებულ წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „განხრახული მქონდა ვეფხვის ტყაოსნის გამოცემა, მაგრამ სიძვირის გამო, ეს ვერ მოვახერხე. ვ. ტ.-სთვის დამზადებულ ლექსიკონს საფუძვლად უძევს დ. კარიჭაშვილის მიერ გამოცემული ვ. ტ.-ის ლექსიკონი, რომელიც შევავს სხვადასხვა ლექსიკონიდან. მრავალ შემთხვევაში ვისარგებლებნ მ. წერეთლის რჩევით, რისთვისაც მას მაღლობას ვუძვნი. მეტად ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ მკითხველს ეს ლექსიკონი ვ. ტ.-ის კითხვეს გაუადვილებს“.

როგორც ვიცით, დ. კარიჭაშვილმა თბილისში ორჯერ გამოსცა „ვეფხისტურასნი“ ვრცელი ლექსიკონის დართვით: პირველად — 1903 წელს, მეორედ — 1920 წელს. ამათგან რომელი გამოცემით ისარგებლა ივ. გახოკიძემ, — არათერს ამბობს. შედარებამ გამოარკვია, რომ ივ. გახოკიძეს ხელთ ჰქონია დ. კარიჭაშვილის მიერ 1920 წელს გამოცემული „ვეფხისტურასნისთვის“ დართული ლექსიკონი. ამას გვაფიქრებინებს კიდევ ერთი ასეთი დეტალიც: „ვეფხისტურასნის“ პროლოგი დ. კარიჭაშვილს 1903 წლის გამოცემაში ასე ჰქონდა დასათაურებული: „ვეფხისტურასნის წინასიტყვაობა“, ხოლო 1920 წლის მეორე გამოცემაში კი იგი ასე შეუცვლია: „ვეფხისტურასნის თავნართი“. ივ. გახოკიძესაც თავის ლექსიკონში პოე-

მის დასაწყისის სათაური სწორედ ამგვარად აქვს შეტანილი:
„ვეფხის ტყაოსნის თავნართი“.

ივ. გახოკიძის ლექსიკონი დ. კარიჭაშვილისავან განსხვავებულადაა შედგენილი: მასში პოემის განსამარტი სიტყვები ჩვეულებრივ ანბანის რიგზე კი არ არის გაწყობილი, არამედ პოემის თავებისა და ტაეპების (სტროფების) თანამიმდევრობის მიხედვით არის ახსნილ-განმარტებული. იწყება პირველი ტაეპით, მთავრდება 1575-ე ტაეპით. არა აქვს ბოლო (დ. კარიჭაშვილის გამოცემით) 1576-ე ტაეპის განმარტება.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული ლექსიკონი და მისი ავტორი ჩვენ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ბიბლიოგრაფიულადაც სრულიად უცნობია (შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, თბ., 1957), ჩვენ ინტერესს მისდამი ის ფაქტიც აძლიერებს, რომ მის შედგენაში თურმე თავისი წვლილი შეუტანია გამოჩენილ მეცნიერს და „ვეფხისტყაოსნის“ ისეთ დიდ მცოდნეს, როგორიც გახლდათ პროფესორი მიხ. წერეთელი, ხოლო დაბეჭდილა მეორე ასევე ცნობილი რუსთველოლოგის რედაქტორობით. ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული უცნობი ლექსიკონი გარკვეული შენაძენია ჩვენი რუსთველოლოგიური ლიტერატურისათვის და ერთგვარ სამსახურს გაუწევს პოემის ტექსტის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარებს.

0401 ჟავავაძე ოქსორდზი

მართალია, თავისი ცხოვრების დაისზე ილია ჭავჭავაძემ ორჯერ იმოგზაურა ევროპაში (1900-01 წწ.), მოიარა გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იყო ბერლინში, დრეზდენში, კარლსბადში, ვენასა და პარიზში (ამის შესახებ დაწერილებით იხ. ჩემი წერილი, ილია ჭავჭავაძე ევროპაში, უურნ. „ჭორნბი“, № 2, 1982), მაგრამ დიდი ქართველი მწერალი არასდროს ყოფილა შექსპირის ქვეყანაში და ქერძოდ, არც ოქსფორდში ჩასულა ოდესმე. მიუხედავად ამისა, მარჯორი და ოლივერ უორდროპების რუდუნების წყალობით, ილია ჭავჭავაძის უკვდავ სულს დაუსადგურებია ინგლისის ამ უმშვენიერეს და უძველეს ქალაქში, მართლაცდა მსოფლიოს ამ საუ-


ნივერსიტეტო ცენტრში და, უწინარეს ყოვლისა, ოქსფორდის
უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის კედლებში, დაცულია
დაცულია უორდროპთა უმდიდრესი კოლექცია.

1981 წელს, ინგლისში სამეცნიერო მივლინებით პირვე-
ლად ყოფნისას, უორდროპთა კოლექციაში გამოვლენილი
იღია ჭავჭავაძის უცნობი ნაშრომი „წმინდა ნინოს ცხოვრე-
ბის შესახებ“, ილიას 1894-1904 წლებში მარჯორი უორდრო-
პისადმი გაგზავნილი ოთხი წერილი, ილია ჭავჭავაძის ღირსე-
ული მეუღლისა და ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი ცხოვ-
რების ერთგული თანამგზავრის ოლღა გურამიშვილი-ჭავჭა-
ვაძის ორმოცდაათამდე უცნობი წერილი (1894-1911 წწ.)
მარჯორი და ოლივერ უორდროპებისადმი, ილიას უმცროსი
და უსაყვარლესი დის — ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის
უბრწყინვალესი წერილი ილია ჭავჭავაძის ტრაგიული დაღუ-
პვის გამო, აგრეთვე, ქუთაისელი პედაგოგის — ვენერა ბერი-
ძის ბარათი ილიას სიკვდილისა და დასაფლავების შესახებ
ჯერ ნაწილობრივ გაზეთ „კომუნისტში“ გამოვაჩეუყნე, ხოლო
მთლიანად შევიტანე ახლახან გამოცემულ ჩემს წიგნში „ბედ-
ნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (გამომც. „საბჭოთა საქარ-
თველო“, თბ., 1984).

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ინგლისში იმუამინდელი
მივლინების დროს მოძიებულ ახალ მასალებს ილია ჭავჭავაძის
გარშემო.

§ 1. გაზითი „ტაიშეი“ ილია შავაჩავაძის მავლელობის ზესახებ

იმდროინდელ ინგლისურ პრესაში ვეძებდი რაიმე გამოხ-
მაურება ხომ არ იყო გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის ტრა-
გიკულ სიკვდილთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ მასსოვა-
და ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის დეპეშის საპასუხოდ
მარჯორი უორდროპის 1907 წლის 3 ოქტომბრის ფრანგულად
მოწერილი წერილის ერთი იდგილი: „ძვირფასო მეგობარო!
გმადლობთ, რომ დეპეშაზე გვიპასუხეთ, ვერაფრით ვერ და-
ვიჭერეთ ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილი ცნობების სიმართლე.
ახლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ისე სასტიკად მოკლეს თა-
ვადი ილია, რომელიც აგრერიგად გვიყვარდა, და დაჭრეს სა-

თნო და კეთილი კნეინა ოლღა. გული ნაღველით გვეცმულია ხაზე
საშინელი დანაკლისია საქართველოსათვის!“

სწორედ მარჯორის წერილის ამ ადგილის გამო ვწერდი ადრე: „აქედან ჩანს, რომ ინგლისური პრესა საგანგებოდ გა-
მოხმაურებია წიწამურში დატრიალებულ ტრაგედიას. ცხადია,
ეს გამოხმაურება დიდ ინტერესს იწვევს და ცალკე კელევის
საგანია“ (იხ. ბეჭნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984,
გვ. 335).

და აი, მართლაც, ერთ-ერთი უძველესი ინგლისური გაზე-
თის „ტაიმსის“ 1907 წლის 14 სექტემბრის ნომერში მე-5
გვერდზე დაბეჭდილი ილმოჩნდა შემდეგი შინაარსის ცნობა:

„თავადის მკვლელობა“

ტფილისი, 13 სექტემბერი

თავადი ილია ჭავჭავაძე — სახელმწიფო საბჭოს წევრი მო-
კლეს დუშეთის რაიონში. ამავე დროს მძიმედ დაჭრეს თავა-
დის მეუღლე — კნეინა ჭავჭავაძე“.

როგორც ახლა უკვე დოკუმენტურად დასტურდება, წიწა-
მურის ტრაგედიის ექის ლონდონამდეც მიუღწევია, ცნობი-
ლი ინგლისური გაზეთის ფურცლებზე აღმოჩნდილა უდიდესი
ქართველის ტყვიით წაქცევის შემზარავი ცნობა და მას საერ-
თაშორისო რეზონანსი შეუძენია. სწორედ ამ გზით გაუგია ეს
შემაძრუნებელი ამბავი ჩვენი ხალხის ერთგულ მეგობარსა
და ილიას უკვდავი ნიჭის თაყვანისმცემელს მარჯორი უორ-
დოროპს და თავისი გულწრფელი სამძიმარი გამოუთქვამს
შელოვიარე საქართველოსათვის!

§ 2. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მარჯობი უორდოროპისული გამოურვევისათვის ინგლისში თარგმანი

1981 წელს გაზეთ „კომუნისტში“ ვწერდი: „დღემდე სპე-
ციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის
ცნობილი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ და „მგზავრის
წერილების“ მარჯორი უორდოროპისეული ინგლისური თარ-
გმანები. ამათგან, „განდეგილის“ თარგმანი 1895 წელს გამოქ-
ვეყნდა ლონდონში, ხოლო ოქსფორდში ხელნაწერის სანით
დაცული „მგზავრის წერილების“ მარჯორისეული თარგმანის
შესახებ პირველი ცნობები ჰქონდები კიდევ ამ ორი ათეული წლის



წინ დაბეჭდა ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძემ თავის ფრანგულ კულტურულ ურალლებო ნარკვევებში (იხ. „ცისკარი“, 1958, № 5; მარჯორიანი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 74—79), თუმცა თვით თარგმანის ტექსტს დღემდე არ იცნობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება.

ამას გარდა, ოქსტორდში, უორდროპების ფონდში დაცულია „ქაცია-ადამიანის“ და „გლახის ნაამბობის“ მარჯორიანისული ინგლისური თარგმანები როგორც ავტოგრაფის, ისე მანქანაზე დაბეჭდილი ხელნაწერების სახით. „ქაცია-ადამიანის“ თარგმანის თარიღია 1900 წელი, ხოლო „გლახის ნაამბობის“ თარგმანის ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც ჩანს, ისიც ამავე წლებში უნდა იყოს შესრულებული.

აღნიშნულ თხზულებებთან ერთად აქვეა ილია ჭავჭავაძის „ავტობიოგრაფიის“ ინგლისური თარგმანი, რომელიც ოლივერ უორდროპს შეუსრულებია და საკუთარი შენიშვნებიც დაურთავს“ (იხ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, გვ. 339-340).

წლევანდელი მივლინების დროს გადავიდე და საქართველოში ჩამოვიტანე ილია ჭავჭავაძის აღნიშნულ თხზულებათა („მგზავრის წერილები“, „ქაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „ავტობიოგრაფია“) მარჯორი უორდროპისული გამოუქვეყნებელი ინგლისური თარგმანების ქსერონასლები და მიკროფილმები.

დანამდევილებით ირკვევა, რომ ყველა ისინი მარჯორი უორდროპს უთარგმნია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის ქართველთა ამხანაგობის გამოცემის II ტომის მიხედვით (აქვე შევნიშნავ, რომ მარჯორი უორდროპს თავის ბიბლიოთეკაში ჰქონდა აღნიშნული გამოცემის ილიას მიერ ნაჩუქარი ოთხტომეულის სრული კომპლექტი). ამათგან, „მგზავრის წერილები“ ნათარგმნია მთლიანად, ხოლო „ქაცია-ადამიანი“ და გლახის ნაამბობი“ — არასრულად, კერძოდ, „ქაცია-ადამიანიდან“ ნათარგმნია წინასიტყვაობა, I-II თავები და III თავის პირველი აბზაცი, ხოლო „გლახის ნაამბობისა“ კი I-II თავები (ნაწილობრივ).

ამას გარდა, გადავიდე და ჩამოვიტანე მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი თავისებური ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც შესულია ვახტანგ ოჩბე-



ლიანის, გრიგოლ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, გამოუქვეყნებელთა შემცირება
ვოლსკის ლექსების მარჯორისეული გამოუქვეყნებელთა შემცირება
სური თარგმანები, მათთან ერთად, ილია ჭავჭავაძის ლექსე-
ბის ასევე გამოუქვეყნებელი ინგლისური თარგმანები, შეს-
რულებული მარჯორი უორდროპის მიერ ლონდონის მახლო-
ბელ იგარაჟ ჩიზლპორსტში 1892-1895 წლებში. მათ შორის
განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინგლისურად თარგმნი-
ლი ილიას „ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ...“ („აჩრდილი-
დან“), „ელეგია“ („მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა...“),
„გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი...“), „ბაზალეთის ტბა“
და სხვ., გრიგოლ ორბელიანის „ჩემი ეპიტაფია“, „თამარის
სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რაფიელ ერისთავის „სამშობლო
ხევსურისა“ და სხვ.

ჩვენი მკითხველისათვის უცნობი ყველა ამ თარგმანის სა-
განვებო შესწავლა და გამოქვეყნება ხელს შეუწყობს შარჯო-
რი უორდროპის მთარგმნელობითი ხელოვნების უკეთ გაცნო-
ბას და, რაც მთვარია, ქართული პოეზიისა და პროზის ამ
შედევრების ინგლისურენოვანი სამყაროსათვის სრულყოფი-
ლად მიწოდების კეთილშობილურ საქმეს.

§ 3. ოლდა პავეავაძის ორი უცნობი წერილი

ოქსფორდიდან კიდევ ჩემოვიტანე ოლდა ჭავჭავაძის ორი
უცნობი წერილი რუსულ ენაზე, რომლის გადმოღება 1981
წელს ვერ მოვახერხე.

წერილები დაწერილია 1910 წლის დეკემბერში და გაგზავ-
ნილია თბილისში ამ დროს სტუმრად მყოფი ოლივერ უორ-
დროპისათვის, რომელიც ცხოვრობდა სასტუმრო „ლონდონ-
ში“ (ამჟამად ათონელის ქ. № 31-ში მდებარე სახლში).

ინ, ისინიც:

I.

1910 წ. 18 დეკემბერი.

ლრმად პატივცემულო ძვირფასო ოლივერ!

დამდეთ პატივი და მინახულეთ. თქვენი ნახვა ჩემთვის
იმასვე უდრის, ჩემს ახლოს რომ ჩემი წმინდათა წმინდა მარ-
ჯორი დაფრინავდეს! თქვენ, ჩემო მფარველო, ნუ მიმატოვებთ

და ნუ მომაკლებთ თქვენს კეთილშობილ კაცომიყვანებულების
გელოდებით.

თქვენი გულწრფელად პატივისმცემელი
ოლღა ჭავჭავაძისა.

P. S. თქვენი საქართველოში ყოფნა სიმშვიდეს მაძლევს.
გუშინ ლეისტმა შემოიარა ჩემთან და სხვათა შორის, თქვენ-
ზე მყითხა, ხომ არ ჩამოსულაო? მე რადგან ვიცოდი, რომ
ერთმანეთი ჯერ არ გენახათ, — არ ვიცი-მეთქი, — ვუპასუხე.
ალბათ, ჩამობრძანდით! შესაძლოა, თქვენ გუშინ უკვე კიდევ
ინახულეთ იგი. როცა გნახავთ, გეტყვით. ექიმი არ მოსულა,
საწყენია! გელოდებით.

II.

1910 წ. 19 დეკემბერი

ღრმად პატივცემულო ძვირფასო ოლივერ!
იმედი მაქვს, თქვენ გულთან ახლოს მიიტანთ ჩემს თხოვ-
ნას და ჩემგან სახსოვრად იქონიებთ ქართულ სასმისს, ხო-
ლო თასი გთხოვთ გადასცეთ დედათქვენს, რომლის ღრმა პა-
ტივისმცემელიც გახლავართ. ნუ დამივიწყებთ და თქვენი ნა-
ხვით მანუგეშეთ.

გულწრფელად თქვენი ღრმა პატივისმცემელი
ოლღა ჭავჭავაძისა.

თქვენს ლმობიერ ყურადღებას მე ძლიერ ვუფრთხილდები
და ვაფასებ და ნუგეშს მგვრის. თუ ღირსი არ ვიყო
თავის დღეში ვერ გავბედი ვდი თქვენ შე-
წუნებას (ხაზგასმული ფრაზა ოლღა ჭავჭავაძეს ქართუ-
ლად მიუწერია თავისი რუსული ბარათისათვის)¹.

იქვეა ოლღა ჭავჭავაძის მიერ 1909 წლის დეკემბერში თბი-
ლისიდან ოლივერ უორდროპისთვის ფრანგულ ენაზე გაგზავ-
ნილი დეპეშა მარჯორის გარდაცვალების გამო:

„ტფილისი, 1909, XII

ბელმონტი, სევენოუქსი, ოლივერ უორდროპს
უსაზღვროდ დამწუხრებული ვარ, წერილსაც მალე მიიღებთ
ოლღა ჭავჭავაძე“.

¹ თქვენი უორდროპთა ფონდი — d 38/1-2,3.



აქ იგულისხმება ოლღა ჭავჭავაძის 1909 წლის 17 დეკემბერის წერილი ფრანგულ ენაზე, რომელშიც იგი გამსპოვებული უდიდეს სულიერ ტკივილს იმის გამო, რომ „აღარ არის ასეთი ერთგული და ღირსეული მეგობარი, რომ ამ დიდებულმა გულმა ფეოქვა შეწყვიტა...“.

გვსურს აქვე მკითხველს ვაცნობოთ, რომ გადავიღეთ და საქართველოში ჩამოვიტანეთ ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძის მიერ მარჯორი და ოლივერ უორდორპებისადმი ქართულ და ფრანგულ ენებზე მიწერილი წერილების ქსეროსალები, რომელთა ტექსტები 1981 წელს მივლინების დროს გვქონდა გადმოწერილი და გამოქვეყნებული ნაწილობრივ ჭერ გაზეთ „კომუნისტში“, ხოლო სრულად წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნგე“. ამ უაღრესად მნიშვნელოვან ხელნაწერთა პირებს ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმსა და ჭ. კიკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს ჰადავცემ.

რაც შეეხება ოლივერ უორდორპისთვის 1910 წლის 23 დეკემბერს გაგზავნილ მარიამ წერეთლის წერილს, იგი ჩვენთვის საყურადღებოა, პირველ რიგში, როგორც საფოსტო ქაღალდი, რომელზედაც სტამბური წესით ძველი ქართული ცხ-კოშკის, ბატისფრთისკალმიანი გრავნილისა და ყვავილოვანი ტოტით შემკულ წაქცეული ლირის ფონზე გამოსახულია ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. ილიას ტრაგიკული იღსასრულის შემდეგ ამ წესითაც გაუმრავლებიათ მისი უკვდავი სახებია..

მოგონებები ილიაზე

ინგლისში ყოფნისას ვცდილობდი შეძლებისდაგვარად თავი მომეყარა უცხოეთში გაფანტული მოგონებებისათვის ილია ჭავჭავაძის შესახებ, რადგან ამ მოგონებათა ავტორები ილიას თანამედროვენი, მისი უშუალო თვითმხილველი არიან და ბევრ ისეთს ძვირფას ცნობას გვაწვდიან, რომლებიც ახალი კუთხით აშუქებენ ჩვენი უკვდავი წინაპრის პიროვნების, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალ იდუმალებით მოცულ მხარეს.

ამ მოგონებებში შესაძლოა წავაწყდეთ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებისაგან განსხვავებულ საკითხთა

განმარტებებსა და ინფორმაციას, მაგრამ მკითხველების მიერ მაინც ძირითადი იქნება როგორც ისტორიული უძრავი და ლეგიტიმური მასალა, რომლებიც გარკვეული კუთხით აშუქებენ ამა თუ იმ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიას, მათს შეხედულებებს.

ამ მოგონებათაგან ამჯერად ამოვკრიბე ჩვენი მკითხველის სთვის საინტერესო ადგილები, სადაც იგი იპოვის უამრავ ახალ ცნობას ილიას დამოკიდებულების შესხებ ე. წ. საგლეხო ბანკებთან თუ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის იღდების მიერ კიდევ ახალგაზრდა დამწყებ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს; აქვე ნახავთ 1890-იან წლებში ილიას სამუშაო კაბინეტის სანდო აღწერილობას ყოფილ ნიკოლოზის (იმუამად კალინინის) ქუჩაზე მდებარე „ივერიის“ რედაქციის შენობაში — უმცროსი დის ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის სახლში, რაც გამოგვადგება მისი ამჟამინდელი რეკონსტრუქციის დროს; თვალს გაადევნებთ ე. წ. „ბანკოვიადის“ მწვავე შეტაკებებს და აქ ილიას ორატორულ ხელოვნებას; აქვე გაიღვებს ზოგიერთი იმდროინდელი ჩვენი მოღვაწის ლანდები; კიდევ ერთხელ დარწმუნდებით ქართველ ახალგაზრდობასა და მის მომავალზე ილიას ყოველდღიურ ზრუნვაში; იმოიკითხავთ საინტერესო დეტალებს ილიას პირადი ცხოვრებიდან, „ივერიის“ რედაქციის მუშაობიდან, პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს კომისიაში ილიას მგზნებარე გამოსვლიდან...

§ 1. მკარისი განაუვილის ვაში — რევაზ განაუვილი იგორება:

...მეცხრამეტე საუკუნეში მართალი იყო ქართველი საზოგადოება, რომელმაც ფრანგი მოგზაურის შეკითხვაზე: — გინა გყავთ ყველაზე დიდი პიროვნებაო? — უპასუხა II Ya Illa (სიტყვათა თამაშია, ფრანგულად ნიშნავს: ეს არის ილია გ. შ.).

...მასხოვს, ილია მოდიოდა ყოველ ახალ წელიწადს თავადაზნაურო სკოლაში, უკან მოსდევდა მოსამსახურე ორი ვებერთელა კალათით და თვალდაცეცებულ მოწაფეებს ბლუ-

ქა-ბლუჭად გვირიგებდა კამფეტებს და სხვა ტკბილეულობებს. საქართველოში ასე მგონია დღესაც, სიმბოლოდ შეგვიძლია წარმოვაჭყალიშობა ილიას ეს გულუხეობა, თუ როგორ ურიგებდა მთელ ქართველ ერს თავის გულისა, გონების და ხელის ნაწარმოებსა.

...ნამდვილი ომი, — უამისოდ ვერც ერთი ქართული საქმე ვერ გასძლებს, — გათამაშდა ჩემს ყმაწვილობაში, როდესაც ილია ჯერ ცოცხალი იყო, — „ბანკობიანას“ სახელით. ხუმარანი თუ პოეტები, უურნალისტები და პუბლიცისტები, ტლან-ქი მოენე თუ კარკატურისტები, მთელი ქართველი საზოგადოება იყო გაყოფილი და ყოოლილი თავად-აზნაურობის ამა თუ იმ ბანაკს: „ჭავჭავაძისტები“ და „მაჩაბელისტები“ გააფ-თრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ვანო მაჩაბელის მომხრე ქართლელი თავადაზნაურები ტივებით ჩამოდიოდნენ თბილი-სში და კახელნი ცხენ და ცხენ ან „დილიუნებითა“.

ყოველი კრება იყო მძაფრი პაექტობა არა მჰრტო ილიას ენამჭევრობის „მძიმე არტილერიასა“ და ვანო მაჩაბელის მჭერმეტყველების „მსუბუქ ცხენოსნებს“ შორის, არამედ ვა-ნებით უფრო ნაკლებ, ვიდრე სატევრითა და რევოლუციონი შეიარაღებულთა შორის.

მაგრამ ილიას ძალუმი ლოლიქა, სარკაზმებითა და მჭრელი ირონიით შეზავებული სიტყვა, არა მარტო სჯობნიდა მუდამ, არამედ, რაც მთავარია, — ინელებდა მოწინააღმდეგეთა სიმ-ძაფრეს და კრება არასოდეს გადასცდენია პარლამენტალურ წესებს.

ერთხელ, მიხეილ მაჩაბელმა, ილიას ყველაზედ მოუსვე-ნარმა მოწინააღმდეგემ, ტაშიც კი დაუკრა ილიას, აღტაც-ბულ კრებასთან ერთად.

— ბატონებო! — წამოდგა ილია, — სისულელე ხომ არა წამომცდა რა, მიშო მაჩაბელიც კი ტაშს რომ მიკრავსო?

ერთ-ერთ წინა კრებაზედ, მიხეილ მაჩაბელს, აზრის დასა-სურათებლად უთქვამს: „ერთხელ თიანეთს მივდიოდი, ბუ-რუსი იყო საშინელი, გზა დამებნა და შორიდან ძალლის ყე-ფა შემომესმა, ალლოთი ავყევი და გზაც გამოჩნდაო“. ამის შემდეგ ვიღაც არტილერიის ღენერალს უსაყვედურებია ილიასთვის: „ბატონო ილია, თქვენ სარგებლობთ თქვენი ცო-დნითა და პრესტიუით და საზოგადოებაზე ახდენთ გაელენს, სინამდვილეში კი მიხეილ მაჩაბელი მართალიაო“. ილიას

ქცლავ დაუსაბუთებია თავისი აზრი და დაუმტკიცებია: ლო-
ლიკისა და ცოდნის წინააღმდეგ ვერავითარ ათავსულების
არაფერი შეუძლიანო, და რაც შეეხება აღლოს, მე ხომ მიშო
მაჩაბელი არა ვარ, „ბურუსში ავყვე ძალის ყეფასაო“.
მომხრეთ და მოწინააღმდეგეთ ისეთი სიცილი იუტებიათ, რომ
შემდეგ კრებებზედაც კი მიხ. მაჩაბელს და არტილერიის ლე-
ნერალს ხმა აღარ ამოუღიათ.

საბოლოოდ ილიამ გაიმარჯვა, მისი პირადი მეგობარი
ივანე მაჩაბელი კი მისტერიულად დაიკარგა. ამ ამბავმა დიდი
მღელვარება გამოიწვია, მაგრამ ზეთივით გადაესხა „ბანკობია-
ნას“ ზღვას... სტიქიონი დაწყნარდა და მას აქეთ, ილიას მე-
საჭეობით, ბანკის გემს ყოველწლიურად მოჰქონდა საქარ-
თველოს სალაროში ერთი მილიონი მოგება. ნახევარი ხმარ-
დებოდა ბანკისავე გაძლიერებას, უძრავ და მოძრავი თანხების
სახით და მეორე — გამოუკლებლივ, იყო ნამდვილი ბიუჯეტი
ქართული საზოგადოებისა. ილიას შემდეგაც ქართულ სალა-
როში ყოველწლიურად შედიოდა ნახევარ მილიონი ოქროს
მანეთი, რაც ახლანდელი ანგარიშით უდრის 150 მილიონ
ფრანკს.

1917 წლის ნოემბერში ხომ ილია ჭავჭავაძის დისტულმა,
ნეტარხსენებულმა კოტე აფხაზმა ქართველ ხალხს გადასცა
ილიას ბანკის შენაძენი ქონება, 26 მილიონი ოქროს მანეთის
ლირებულებისა (ე. ი. 8 მილიარდი ფრანკის) და ის დაედვა
საფუძვლად ჩვენს დამოუკიდებლობასაც.

აი, ვინ იყო კიდევ ილია, და არა მარტო პოეტი და მწვე-
ლი პოლემისტი; და ნუ გაგიკვირდებათ, რომ „ბანკობია-
ნობის“ დროს, კიდევ ერთმა გაბაშვილმა ვერ მოითმინა და
ვინმე ბრწყინვალე თავადიშვილს, — ილიას რომ შეეხო უკმე-
ნი სიტყვით, — თავზე ქოლგა დაამტვრია ბრწყინვალე ლოეა-
ში. ეს იყო ეკატერინე გაბაშვილი!

ლეგენდა უმატებს: როცა ილიამ გაიმარჯვა, ბრწყინვალე
თავადიშვილმა ბოდიში მოიხადა, დამსჯელ ხელზე ეამბორა
ეკატერინეს და უთხრა: „მართალი ბრძანდებოდით, ქალბატო-
ნო, ილიას მგმობს იმაზე მეტიც ეკადრებოდაო“!... (ჟ. „ერის
დიდება“, № 5, პარიზი, 1958).

...მსოფლიო ომის წინა დროს დაარსებულმა ასეთი ტიპის ბანკებმა, თვით გლეხობის მიერ წარმოებულმა (ილია სწორედ ასეთი ტიპის ბანკებზე უთითებდა), დიდი სამსახური გაუწია გლეხობას. თითქმის ყოველ დიდ სოფელში დაარსებული იყო ასეთი ბანკები და დღითი-დღე თავიანთ მუშაობას აფართოებდნენ.

მთავრობის მიერ განზრახული ბანკები, რომელსაც იცავდა ლევან ჯანდიერი და იწონებდა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი იმ დღეს, ჩვენს გლეხობას არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, პირიქით, დაავალებდა მას, როგორც ძევლი, ვორონცოვის მიერ დაარსებულმა „პრიკაზებმა“ დაავალიანეს და გააღატაკეს ჩვენი თავად-აზნაურობა. „წვრილი საგლეხო კრედიტის საქმე ცოცხალი საქმეა — ამას თვით გლეხები უნდა განაგებდეს და არა მოხელენი და ხალხის გარეშე მდგომნი პირი. მოხელეების ზანტი და საჭიროების მიუხვედრელი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ მავნებელი შეიქმნება და დააქცევს გლეხკაცობას“—ო. ილიამ ეს ჩვენ მიერ მოკლედ მოყვანილი აზრები, მთელი მეცნიერების მასალებით დაასაბუთა და დაიპყრო ამით მსმენელთა ყურადღება. თავის საფუძვლიანი მოსაზრებანი ილიამ დააგვირგვინა ხალხში გავონილი ამბით: როცა ტფილისიდან ბაქოსაკენ რკინისგზის გაყვანა უნდოდათ, ჩვენში მოვიდნენ განათლებული ქვეყნების ვაჭარ-სოვებაგრები, დიდი ფულის პატრონები, დაიბარეს ჩვენი ვაჭრის-სოვებაგრებიც და უთხრეს. „ჩვენ ფიქრადა გვაქვს ტფილისიდან ბაქომდის რკინიგზი გავიყვანოთ, — მოდით თქვენც დაგვეხმარევით, თქვენი წვლილი შემოიტანევით ამ საქმის განსახორციელებლად“—ო. ჩვენებმა პკითხეს: „რა არის ეს რკინიგზა“—ო. იმათ უპასუხეს: „ეს ის არის, რომ დღეს რომ ბაქომდინ ერთ კვირას უნდებით, რკინიგზით დღე-ღამეში ჩახვალთ“—ო. ჩვენებმა უპასუხეს: „ეს ძალიან გარგი საქმე ყოფილა“, მხოლოდ სთხოვეს ევროპელებს: „მობრძანდით და ერთ რასმე გაჩვენებთ“—ო. გაუძღვენ ჩვენებური ვაჭარ-სოვებაგრები და მიიყვანეს ერთ დიდ შენობასთან და მოახსენეს მათ: „აი, ამ შენობის პირველ სართულში მოთავსებულია საოლქო სასამართლო და მეორე სართულში სასამართლო პალატა; თუ ლმერთი



გრწამთ, ეგ თქვენი რაღაცა რკინიგზა ყოფილა, პირველდასტარ-
თულიდან მეორე სართულამდის გააბით, რომ უკლესი და გადაში
გზაში მთელი წელიწადი არა რჩებოდეს”-ო.

როცა ეს ამბავი გაათავა ილიამ, საზოგადოებას მიმართა
და უთხრა: აი, როგორი მოხელეების ხელში უნდა ჩააგდოს
ცოცხალი საქმე ბატონ ლევან ჯანდიერმა და ამით გაათავა
თავისი სიტყვა. ლევანისა და მთავრობის პროექტიც ამ საზო-
გადოებას არ გასცილებია.

* * *

წელიწადი არ მახსოვს, — ვვონებ 1903 წელს იყო (სინამ-
დვილეში ეს 1906 წელს იყო, შდრ. ს. ჯორგენაძე, ცხოვრება
და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981, გვ. 85. გ. შ.) ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა, კეთილსინდისიერმა მკვლე-
ვარმა, პროფესორ ივ. ჯავახიშვილმა ჩვენს დედაქალაქ ტყი-
ლისში, ყოფილ ორტისტიულ თეატრის დიდ დარბაზში (დღე-
ვანდელი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური
თეატრის შენობა, გ. შ.) საგარო ლექცია წაიკითხა საქართვე-
ლოს ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. ლექციას მრავალი ხა-
ლხი დაესწრო; დაესწრო აგრეთვე ჩვენი დიდი ილიაც.

მოუცლელობისა და უდრობის გამო ი. ჭავჭავაძე საჯარო
თუ სახალხო ყრილობებზე იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე,
ეპეს გარეშეა — ილიას კრებებზე დაუსწრებლობა სიზარმა-
ცით არ აისწნებოდა; იგი მეტად დატვირთული იყო მრავალი
საქმით. თითქმის არ ყოფილა არც ერთი ქართული საქმე,
რომლის დამწყებ-დამაარსებელი იგი არ ყოფილიყო. ორმო-
ცდაათი წლის განმავლობაში ყველა ქართულ საქმეს ილიას
ბედნიერი კალთა ჰქონდა გადაფარებული და ამ კალთის ქვეშ
იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ქართული აზრი, ქართული
ვითარება.

ვინ არ იცის, რა დიდი მოტრფიალე იყო ჩვენი ილია ქარ-
თველი ერის წარსულისა, ქართული ისტორიის ცოდნისა; რა
რიგად შეხაროდა ჩვენ ქართველ ისტორიკოსებს, რა სათუთად
ექცეოდა მათ ნაშრომ-ნამოღვაწარს. ბევრს ეხსომება რა დი-
დის სიხარულით შეეგება გაზეთ „ივერია“-ში ი. ჭავჭავაძე
იმ ამბავს, როცა ჩვენმა დაუღალავმა მოღვაწემ დ. ბაქრაძემ



იმავე „ივერია“-ში საქართველოს დავიწყებული ქართველობის ისტორიაში გამო თავის „ივერია“-ში 1888 წ. სწერს: „ბ-ნ დ. ბაქრაძეს სანატრელის სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი. თუ ეს საგანი ამ პროგრამით შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება მთელი დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ დავიწყებულის წარსულისა. ვისაც კი გაეგება რამ, სიხარულით აღტაცებული მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე. მართალნიც არიან“.

დიდ ილიას ღრმად ესმოდა ისტორიის ცოდნის მნიშვნელობა და მას მრავალი მადლიანი და ღრმააზრიანი წერილები დაუბეჭდია ამის შესახებ. იგი ერთ-ერთ თავის წერილში ამბობს: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათანხსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოფილი ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულის, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მერმისისაო“.

„ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არ ჰქონია წარსული, სულაც არ ჰქონია ისტორია. ესე იგი იმისთვის ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანი ქრებულისას, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისას და რომელიც მკის თავის დროებისათვის და ამისთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში და სხვა უფრო ძლიერი ისტორიის მქონე ერი დაეძვერება თუ არა, თან გაიტანს და შეიწირავს ხოლმე.“

„ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდა-



ოთ, იმიტომ რომ რა იყო — ის დავიწყებული აქციურული შემთხვევაში ასადამე, რა არის — არც ის იცის. არ იცის, რა გაიძაგროს, რისთვის გიშიროს თავი, რას გამოესარჩილოს და რას არა... ფეხ-ქვეშილამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, რომელსაც ისტორია შეაღუდებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამავრებლად”...

თავისთავად საგულისხმოა, ასეთი აზრის მატარებელი იღა-
მიანი იპოვნილა დროს და პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია-
ზე დაესწრებოდა. ილია დარბაზის პირველ რიგში იჯდა და
ლექტორს დიდის გულმოდგინებით უგდებდა ყურს. პატივცე-
მულმა მეცნიერმა ურიცხვი მასალების ცოდნით მსმენელთ
ფართოდ გადაუშალა ჩვენი წარსულის ეკონომიური ცხოვ-
რება. რამდენადაც მახსოვს, სხვათა შორის, ჩვენი ერის თვალ-
მარგალიტთა სიმდიდრეს შეეხო და ხშირად ამბობდა: ამდენი
და ამდენი ათასი ლიტრა მარგალიტი მოგვეპოვებოდათ. ლე-
ქციის გათავებისას დარბაზში აუარებელმა ხალხმა მოიყარა
თავი ილიას გარშემო. ყველა ერთხმად ღალადებდა ლექციის
ღრმა შინაარსიანობაზე. ერთი დამსწრეთავანი მაინც მეტად
გატაცებული ჩვენ წარსულში თვალმარგალიტის სიუხვით,
ილიას აღფრთოვანებული მეტყველებით ეუბნებოდა: — ბა-
ტონო ილია, რა აუარებელი სიმდიდრე გვქონია, ნეტა საღ და-
იღუპა ამდენი თვალმარგალიტიო... ილია მიხვდა, რომ აქ პა-
ტირა გაუგებრობა იყო და გატაცებულ მოსაუბრეს ნელის
ხმით ჰქითხა: — თქვენ, ბატონო, როგორ გესმით ლიტრა მარ-
გალიტი, ან რას გულისხმობთ მაგითო. თუ ლიტრა ისე გეს-
მით, როგორც საწყაო, მაშინ ერთი ლიტრა ხორბალი ცამეტ
გირვანქას უდრის; თუ ისე, როგორც საწონი, მაშინ უდრის
ცხრა გირვანქას. თუ ასე გესმით, მაშინ საქართველოს ამდენი
ხვინჭაც არ ექნებოდათ. არა, აქ ლიტრაში მარგალიტის ბუდე
უნდა ვითიქროთ. მარგალიტის შესანახ კოლოფს ლიტრას:
ეძახდნენ.

ერთხელ ილიას კიდევ 1905 წელს შევხვდით ჩვენ სამ-
ღვდელოების ერთ კრებაზე. დასახელებულ წელს ჩვენმა სამ-
ღვდელოებამ სამართლიანად წამოაყენა საქართველოს ეკლე-
სიის დამოუკიდებლობა და ავტოკეფალია მოითხოვა. ხშირად
იმართებოდა კრებები. სამღვდელოების გარდა ერის-კაცებიც



ესწრებოდენ. ერთი ასეთი ყრილობა მოხდა ნიკოლაზეც ეკლესიის (ჩიყის ქუჩაზე) სასწავლებლის შენობაში. არგებოლი მახსოვს, კრებას ხელმძღვანელობდა სიონის ტაძრის მთავარი დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე. კრებაზე მრავალი სამღვდელო-ება და ერთსკაცნი გამოცხადდენ. დაესწრენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატებიც... საფუძვლიანი საეკლესიო მოხსენება ვა-აკეთა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ. შეურყეველი სა-ბუთებით ამტკიცებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-ლის მოთხოვნის სამართლიანობას. სამღვდელოებიდან ბევრ-მა ილაპარაკა. ერთი კაცებიდან ილაპარაკა ბ. სამსონ ფირ-ცხალავამ. უკანასკნელი თავისებური გულწრფელობით ამ-ტკიცებდა ავტოკეფალიის აუცილებლობას და მოითხოვა, რომ სამღვდელოებას დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა იგი. შუა ლაპარაკში რომ იყო ბ. სამსონ ფირცხალავა, სწორედ ამ დროს კრების დარბაზის კარი გაიღო და ფეხი შემოსდგა ილიამ. იქვე თავისუფალ სკამზე დაბრძანდა. თავმჯდომარემ კრება დროებით შესწყვიტა და ორატორიც შეჩერდა. ილიამ სთხოვა კრება განეგრძოთ და ორატორმაც განაგრძო თავისი სიტყვა. მოლაპარაკეთა სია ამოიწურა. შემდეგ კრებამ ერთხმად მიმართა დიდ ილიას და სთხოვა თავისი აზრი გამო-ეთქვა. ილიამ ნელის ხმით განაცხადა: — ექიმიდან აკრძალუ-ლი მაქვს ლაპარაკი გულის ტკივილის გამო, ამიტომ ვერ ვი-ლაპარაკებო. მართლაც, გარეგნულად აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ადამიანის ჭანმრთელობა საგრძნობლად იყო შერ-ყეული. მაინც დამსწრეთა დაეინიხით შუდარას ანგარიში გა-უწია და რამდენიმე სახელმძღვანელო აზრი წარმოსთქვა. ჯდომელამ ილაპარაკა, მოკლედ სთქვა: — გულდასმით მოვის-მინეთ ყველას, ყველას ლაპარაკი მომეწონა და ჰქუაში და-მიჯდა. მხოლოდ ერთი რამ ჰქუაში არ დამიჯდა. თქვენ მოი-თხოვთ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას — სამართლიანად მოითხოვთ აგრეთვე, რომ საქართველოს ეკლესიას დაუბრუნ-დეს თავისი ისტორიული ადგილ-მამული, რომელიც წყაროდ გადაიქცევა სამღვდელოების შესანახალო. ამ გზით გსურთ ეკლესიის მრევლი გაანთავისუფლოთ სამღვდელოების შესა-ნახ ხარჯებიდანო. მე კი გეტყოდით: თქვენი სამართლიანი მოთხოვნა მტკიცე იქნება, უკეთუ მას ხალხი ზურგს გაუმაგ-რებს. თქვენ მოითხოვთ საეკლესიო ადგილების აღდგენას —



გარედ კი ხალხი მოითხოვს საეკლესიო და სათავაფინანსურულების ჩამორთმების. ამას თავი დაანებეთ. ჩვენი ხალხი შორის წმუნეა, სარწმუნოების მათაყვანები და მორწმუნე და ღვთის მოსავი ხალხი მუდამ შეინახავს თავის სულიერ მამასო.

კრების შემდეგ თითქმის ყველა დამსწრემ, მათ შორის ბევრი სოციალ-დემოკრატიც იყო, დიდი ილია სახლის კარებიძე მიაცილა (ჟ. „ქართლოსი“, № 4-5, 6-7, პარიზი, 1937).

§ 3. პიორადი რუსული. ილიასთან უორი-ახლოს დგომით

არიან პიროვნებანი, ხშირად დიდ ბუნებოვანნიც, რომელთა მოღვაწეობის და ნამოღვაწარის შესახებ მთელი ფოლიანტები, გამოკვლევანი და წიგნები დაწერილა; არა იშვიათად იმ ეპოქისათვის, სადაც მათ უმუშავნიათ, თავისი სახელიც-კი მიუციათ; მათი საზოგადოებრივი ცხოვრება, ბრწყინვალე და ნაყოფიერი, მთელი ქვეყნის თვალწინ გადაშლილა, მაგრამ, როდესაც მოისურვებთ იმათ კერძო ცხოვრების აღწერა-შეხებას, სათქმელი ან არა გაქვთ რა და ან სულ ცოტა. ასეთი მოღვაწენი ისე მისცემიან საქვეყნო სამსახურს, რომ დრო აღარ შერჩენიათ შინაური განცდების, პირადი „მეობის“ დატოვებისათვის, რამოდენადაც ეს „მეობა“ არ გამოხატულა მათ ნაშრომებში.

ინტიმურ „მეობის“ სფეროში მიუკარებელნი, ისინი თითქოს არ აფასებენ საკუთარს, პირადულ ცხოვრების ფაქტებს. ასეთი ადამიანები, მეტ-შილად, გულ ჩათხრობილი არიან, საძუთარ ფიქრებში ჩაქინებულნი.

ჩემის გავებით, დიდი ილიაც ასეთი იყო და ეს განხევ გადგომა არ იყო შედეგი ილიას მიუკარებლობისა, განდევილობის, ან ადამიანის ზოძლებისა. პირიქით, ილიას სწორებ ხალხში ტრიალი, ხალხთან ცხოვრება უყვარდა. ვერ წარმომიდგენია იგი განმარტოებული, რადგან სულ მუდამ, როდესაც-კი ვხედავდრ, ხალხით იყო გარს შემორტყმული; ყველასთან თანასწორი, ამყოლი ლხინშიც და საერთო საქმიანობა-შიც. მინახავს ილია ცხარე მოკამათე საზოგადოებრივ თუ კერძო წრებში; მინახავს ნადიმ-ქეიფშიც, როდესაც მასთან თეფშე დამწკრივებულ ღვინით სავსე ჭიქებით მისულან და არც იქ დამდგარა უკან... ყველგან ერთნაირად, ყველასთან თანასწორი,

მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ არის რაღაც წრე, უშისაფრთხო ილიას გარშემო შემოხაზული, რომლის გადაბიჯებას არ აკად-რებდი მას, რადგანაც იცოდით, რომ არც ილია იკადრებდა თქვენი წრის შელახვას. ის ეს „წრე“ საზღვრავდა საზოგადოებრივ ილიას — კერძოსაგან...

აქ არის სიძნელე ილიას იმ ცხოვრების აღწერისა, რომელიც მიმდინარეობდა გარეშე საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. მართალია, ერთ დროს მე ბედმა მარგუნა ერთგვარი პრივილეგია ილია ხშირად მენახა ხოლმე, მაგრამ ჩემი მასთან შორი-ახლოს დგომა უფრო შორი იყო, ვიდრე ახლო. იმ წრეში, რომელიც მართლა ახლო იყო ჩვენ დიდ მოღვაწესთან, შედიოდნენ: ძმანი ყიფშიძენი, მეტადრე უფროსი — გიგა, ნიკო ხიზანიშვილი, ანტონ ფურჭელაძე, დავ. მიქელაძე. ის ამათ მოეთხოვებოდათ ილიას ცხოვრების დახასიათება. ჭრივოლ ყიფშიძემ სცადა კიდეც ილიას ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა, მაგრამ ამაოდ; მიუხედავად მისი ჩვენს პოეტ-მოღვაწესთან სიახლოებისა, საქმაოდ მერთალი სურათი მოვცა იმისი. და აქ ბიოგრაფის არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. ილიასთან შესაძლებელი იყო ახლო დგომა, მაგრამ ამით ვერაფერს ინტიმურს, პირადულს ვერ დასტურებდით მას. და ეს იმიტომ, რომ დიდი ილია პირადულ განცდების სფეროში, როგორც ვსტევით, გულ-ჩათხრობილი ადამიანი იყო, თავის ფიქრებში განმარტოებულად გართული.

მახსოვს ასეთი ამბავი: ერთ დღეს ილიამ დამიბარა თავის-თან მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, თუ რა პოზიცია უნდა დაგვეცვა მეფის მოადგილე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან, რომელთანაც ორივე ვიყავით მიწვეული (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოდ გვექნება ლაპარაკი). დანიშნულს დროზე რომ მივედი ილიასთან, შემიყვანეს მის კაბინეტში, სადაც ათიოდე წუთით მარტო დავრჩი. გადავავლე თვალი ჩვენი მოღვაწის სამუშაო ოთახს, რომლის მოწყობილებას წინადაც კარგად ვიცნობდი. იგერ კედელზე მეფე ერეკლეს დიდი სურათი, ფერადებით დახატული, მდიდარ ჩარჩოში ჩასმული; იქვე ჩვენი ნიჭიერი მხატვრის, გიგო გაბაშვილის სხვა ნახატებიც; თაროზე პოლონელ მოქანდაკის, ფელიქს ხოდოროვიჩის მიერ ჩამოსხმული თულუხჩი და კინტო ხაბაზით თავზე; ბუხრის ზემოდ: კავკასიის უშველებელი რელიეფური რუკა;

ბუხრის მარჯვნივ, შემოსავალი კარების მიმართულებით გა-
ლალ-ზურგიანი სკამი, რაღაც მძიმე ტომებით დატანილი იყო; ამ
სკამს მიყუდებია, პირდაპირ იატაკზე დაყენებული, დიდი
იტალიელი პატრიოტის, გარიბალდის მაღალი სურათი. გმირს
თავზე „გარიბალდის ქუდი“ ახურავს, წელზე ხმალი აქვს შე-
მორტყმული. მე ვიცი, რომ გარიბალდი ილიას საყვარელი
გმირია. სურათი განგებ ისე მოუთავსებიათ, რომ ოთახში შე-
სვლისას სულ პირველად გარიბალდი დაგხვდებათ, როგორც
ცოცხალი პიროვნება, იატაკზე მდგომი და არა ჩარჩოში ჩა-
მული და კედელზე ჩამოკიდებული. აი ილიას საწერი მაგიდა.
იგი კარების მარცხნივ, კედელთან სდგას; მაგიდაზე მორიგი
წიგნები, რომელთაც ილია კითხულობს; უამრავი მგოსან-მწე-
რლების ხელთ-ნაწერი ქალალდები, ქალალდის პატარა ნაფლეთ-
ნაკუწები; ყველა ეს დასტობით, ზოგი მწყობრად დალაგებუ-
ლი, ზოგი თითქო უპატრონოდ მიგდებული, აქა-იქ წიგნებს
ქვეშ თუ პორთფელებს ქვეშ ამოდებული. საერთო შთაბეჭდი-
ლება დიდი უწესობისა მაგიდაზე, რაც არ ეგუება დაწკრია-
ლებულ და სუფთად დალაგებულ ოთახს. მე ვიცი, რომ ამ
სახლში არავისა აქვს უფლება მაგიდას ხელით შეეხოს და
თავის ნებაზე დაალაგოს იქ დაყრილი ნივთები. ამის უფლება
თვით ილიას მეუღლეს, ყველასაგან უღრმესად პატივცემულ
ოლღასაც კი არა აქვს!

მანამ კაბინეთს ვათვალიერებდი, მომესმა შიდა ოთახები-
დან ყეირილი; ყური დავუგდე და ვიცანი ილიას ხმა, რომე-
ლიც ვიღაცას წყრომით ემუდარებოდა: „დამანებე თავი
ილაჯი ნუ გამიწყვიტე მაგ შენი კითხვებით!“ რომ ამ სახლში
ყვირილით ლაპარაკი მომესმა, ეს არ გამკვირვებია, რადგან
ვიცოდი, რომ ქალბატონ ოლღას ორთავ ყურში სმენა აკლდა
და ყველანიც მაღალი ხმით ვებაასებოდით ხოლმე; მაგრამ
ილია რომ შემოვიდა, სახეზე რაღაც განსაკუთრებული იღელ-
ება შევატყე და ყურები ვცევიტი.

შემოსვლისას მასპინძელმა დაუყოვნებლივ ამ სიტყვი-
ბით მომმართა:

„წყეული ხასიათი მაქვს, გულში რაც გინდა დარდი მქონ-
დეს, არავის გავუზიარებ. მოხდება ხოლმე, რომ მთელი კვი-
რაობით ჩემს ფიქრებს მარტოდ ვატარებ, ვარ გაჩუმებული
და დამუნჯებული, არავინ იცის, რა მტკივა და რა მომდის;



არც მიყვარს ამაზე სხვები დამეკითხონ, თუნდ ეს სხვები მატება ლობლებიც იყვნენ. ამისთანა ხასიათის აღამიანის გაძლიერება მატება ლიან ძნელი უნდა იყოს შინაურებისათვის”...

აშკარა იყო, რომ იგი რაღაცას ნანობდა და სურდა, მე ეს მცოდნოდა...

ამნაირად, თვით ილიამ კარგად იცოდა თავისი ეს ზე — მისი გულ-ჩათხრობა და პირადულ სფეროში მიუკარებლობა...

ამ პირობებში მეტად ძნელია ვისიმე ცხოვრების სისრულით აღწერა და გადმოშლა. მე იმას არც გაპირებდი და ამ ჩემს მოგონებებში უფრო იმ განცდებზე მაქვს ლაპარაკი, რომელიც გამოწვეული იყო ჩემში ილიასთან შეხვედრით, მასთან შორი-ახლო დგომით.

* * *

პირველად ილია ვნახე ამ 55 წლის წინად, ასე 1881-1882 წლებში. მე მაშინ მესამე თუ მეოთხე კლასის შეგირდი ვიყავი ტფილისის კადეტთა კორპუსში. მამაჩემი ჩემს სანახავად ჩამოვიდა ბათუმიდან ტფილისში და ჩვეულებისამებრ ჯერ სიონის საყდარში წამიყვანა და იქვე ეზოში მცხოვრებ, მხცოვან ალექსანდრე ეპისკოპოზთან მიმიყვანა და დამალოევინა. მერმე გავუარეთ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას, სადაც მამამ მოიკითხა უურულიანთ გვარის რაღაც ძველი სიგელის ამბავი. კანცელარიიდან რომ გამოველით, მამამ მითხრა: შეილო, დღეს საღამოს ქართული სკოლის ქრება ყოფილა დანიშნული და იქ წავიდეთო; იქ ილია ქართველების დაგანახვებ, ჯერ ხომ არ გინახავსო? და წავედით სასკოლო საზოგადოების ქრებაზე. პირველად ვესწრებოდი ქართულ საზოგადო ქრებას და ყველაფერი იქ ნახული ჩემგან დიდ ყურადღებას იწვევდა. რომ შევედით, ქრება დაწყებული იყო. ქართული სათავადაზნაურო საზოგადოების სკოლა მაშინ ყოფილ ნიკოლაევის ქუჩაზე იყო კუკიაში, იქ სადაც შემდეგში რუსის ჯარის საინტენდანტოს რაღაც დაწესებულება გადავიდა. საქმიან მოხდენილი ზალა ხალხით იყო გაჭედილი. სულ პირველად მეოცა ხმაურობა და უწესოდ აქა-იქ სიტყვების დაულაგებელი რახა-რუხი. გეგონებოდათ, მოზრდილი ხალხი დაულაგებელი რახა-რუხი. გეგონებოდათ, მოზრდილი ხალხი კი არ შეკრებილა, არამედ სკოლის შეგირდებს მოუყრიათ თავი რომელიმე სარეკრიაციო დარბაზში, დიდი „პერემენის“



ლროს. ეს შთაბეჭდილება უფრო განმტკიცდა, როდესაც შეა-
რის წყარუნიც მომესმა, თითქო კლასებში შესრულებულ
იწვევენ იქ დამსწრეთა. ავიხედე ზევით, ესტრადისაკენ; იქ
სამი კაცი იჯდა მაგიდასთან და ერთი მათგანი იყო ზარს რომ
გაშმაგებით აჯანჭლალებდა. მამა ჩემმა ამიხსნა — აი ის, შუა-
ში რომ ზის, გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილია; აქეთ-
იქით რომ უსხედან, ერთი ცხვედაძეა და მეორე გოგებაშვი-
ლი. ეგენი მასწავლებლები არიანო.

როგორც იყო ძალზე მოხუცებულმა და წელში ორად მო-
ხრილმა მამაცაშვილმა თავისი ზარის საშუალებით ჩამოაგდო
სიჩუმე და სიტყვა ვიღაცას მისცა. ეს ვიღაცა სკამების მეორე
თუ მესამე წყებაში იჯდა. ლაპარაკი რომ დაიწყო, ფეხზე
იდგა და ცალი ხელი სერთუკის უბეში ამოედო. უფრო სა-
შუალო ტანისა იყო, საკმაოდ მორგვალებული, შავი, მოხდე-
ნილად შეკეთებული წვერითა და ულვაშით. თმა, წარბი და
თვალებიც შავი ჰქონდა. მან რომ ლაპარაკი დაიწყო, სრული
სიჩუმე ჩამოვარდა. თავისი სიტყვა რუსულად წარმოთქვა იმ
კაცმა, ვიფიქრე, ალბათ გენერალმა არ იცის ქართული და
ამიტომ ასე მოიქცა ის მოლაპარაკე. მალე შევნიშნე, რომ
ყველა რუსულად წარმოსთქვამდა ხოლმე სიტყვებს (ამისი
ნამდვილი მიზეზი მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გავიგე-
სასკოლო კრებები და ქართული სკოლაც რუსეთის სამოს-
წავლო უწყების ზედამხედველობას ეკუთვნოდა და ეს დაწე-
სებულება კი ყოველ ღონეს ხმარობდა რაიმე საბაბი ეპოვა
სკოლის შევიწროებისათვის და თვით საზოგადოების დაშლი-
სათვის. ამისი ერთი საბაბი ისიც იქნებოდა, თუ საჯარო კრე-
ბებზე ქართული ენა იქნებოდა დაშვებული. ამ მხრივ მეტი
თავისუფლება ემჩნევოდა ჩეენს პროვინციებს, სადაც უშუა-
ლოდ ისე არ მძვინვარებდენ „მზრუნველი“ იანოვსკის და რუს
ეგზარხოსების უწყებანი).

თავისი სიტყვა იმ შავ-წვერა კაცმა დაახლოებით ასე და-
იწყო:

— სიტყვა მოვითხოვე არა იმისათვის, რომ უთუოდ ვისი-
მე საწინააღმდეგოდ ვიღაპარაკო, არც იმისათვის, რომ სხვას
ჰქუა ვასწავლო, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ მე თვითონ
მსურს, ჩემად, გამოვარკვიო, ვინაიდან ის, რაც აქ იყო თქმუ-
ლი, ყველა არ არის ჩემთვის საკმაოდ ცხადი. —



მამა ჩემმა წამჩურჩულა: — ეგ ბრის, შვილო, ჩვენებოთ შეუძლია
რაღა ილია ჭავჭავაძე; ყური კარგად დაუგდე. — მეტად უძლია და
უურადლებით დავაცქერდი მოლაპარაკეს. ხსოვნაში დამრჩა
ილიას მაღალი შუბლი, მოელვარე და მიმზიდველი თვალ-წარ-
ბი და თეთრი პირის კანი. გულმოდგინედ ვუსმენდი ორა-
ტორს. მართალი უნდა ესთქვა, ზემოდ ამონაწერი სიტყვების
გარდა, ვერაფერი ვერა გავიგე რა. რაღაც პროგრამებზე,
სისტემებზე, საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გე-
ოგრაფიაზე და სხვა ამისთანებზე ჰქონდათ ლაპარაკი და ყვე-
ლა ეს არ შეადგენდა ჩემი ინტერესების მაშინდელ რეპერ-
ტუარს. კრება იმით გათავდა, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი
რაღაც აზრით ყველა მოარიგა და ამის შემდეგ კრებაც სიმ-
შვილით დაიშალა.

ილიას ზემოდ ამოწერილი სიტყვების გამო მამა ჩემმა შემ-
დევი ამბავი გადმომცა: თურმე ერთ ამისთანა ყრდლობაზე
ჩვენმა დამსახურებულმა მოლვაწემ, დიმიტრი ყიფიანმა დიდი
დასაბუთებით თავისი წინადადება შეიტანა, მგონი, ბანკის შე-
სახებ. დიმიტრის შემდეგ ილიას მოეთხოვა სიტყვა, გაეკრი-
ტიკებინა დიმიტრის შემოტანილი წინადადება და ბოლოს სა-
ზოგადოებას თურმე ასე მიმართა: — მე გირჩევთ, რაც ბატონ-
მა ყიფიანმა აქა სთქვა, დაივიწყოთ, უკუ აგდოთ მისი წინა-
დადება, რადგან იგი ზარალის მეტს არას მოვალეობო. — კარ-
გად არ მახსოვს ამ ფრაზის რედაქცია, მაგრამ, ვგონებ, რომ
დაახლოებით ასე ეთქვა ილიას. ეს სიტყვები მხცოვან დიმიტ-
რი ყიფიანს ისე სწყენდა, რომ გულმოსული წამომდგარა
და თავისი ბოხი ხმით ეთქვა: — ჰო და მაშ მე აქ სულ ზედ-
მეტი ცყოფილვარ! — სთქვა ესა და გულნაწყენი გავიდა
კრებიდანო. ყველაზე ძლიერ ალბად ილია ნანობდა, რად ვაწ-
ყენინე ადამიანს, რომელსაც დიდ პატივსა ვცემო, მაგრამ საქ-
მეს ოდარა ეშველებოდა რა, დიმიტრი წავიდა და მას იქით
იგი კრებაზე აღარავის უნახავსო. აი ეს ეპიზოდი მოაგონდა
მამა ჩემს და ამითი ხსნიდა იმ თავაზიან სიტყვის შესავალს,
რომლითაც ილიამ სასკოლო ყრილობას მიმართა.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ კამათის დროს ილია ძა-
ლიან დაურიდებელი იყო; ბევრს ეგონებოდა, რომ იგი სცდი-
ლობდა თვით მოკამათის პიროვნებაც აეგდო აბუჩად, მაგრამ
როდესაც შემდეგში უფრო ახლო გავიცანი ილია, დავრწმუნ-

დი, რომ მას სწორედ უველაშე ნაკლებად კერძო პიროვნება აინტერესებდა. მას საქმე მოპირისპირეს აზრთანა ამჭელებულად თუ იგი ჰქუაში არ დაუკდებოდა, მოურიდებლად შეებრძოლებოდა, ჯერ სერიოზული არგუმენტაციით, და თუ დაინახავდა, რომ ეს არა სჭრიდა, მაშინ მიმართავდა დაცინვის კილოს, აბუჩად აგდებას და ენა-მახვილობით სავსე იუმორს.


სიმართლე უნდა ითქვას, პირადი წყენა თვითონაც არ იცოდა, როდესაც მას აკრიტიკებდენ. ხშირად გულწრფელადაც მოსწონებია მოპირდაპირის ენა და თვით მისი, ილიას, სასაცილოდ აგდებაც; „ეს ძალიან ყოჩალად გადმომჯრაო!“, არა ერთჯერ უთქვამს ილიას მოწინააღმდეგის სიტყვის შესახებ.

* * *

მახსოვეს ერთი ასეთი ამბავი: მაშინ მე, ასე თუ ისე, უკვე ჩაბმული ვიყავი საზოგადოებრივ საქმიანობაში და სხვა კომიტეტშიც ვიყავი წევრად არჩეული. ერთ საბანქო კრებაშე გამოვიდა ცნობილი კახელი მემამულე, კიკო ჩოლოვაშვილი, ნაციმბირელად წოდებული. იგი მუდამ ოპოზიციაში უდგა ილიას, თუმცა პირადი განწყობილება ძალიან კარგი ჰქონდათ. თავის სიტყვაში, მართლაც ჰიუმორით სავსეში და დარბაის-ლური ქართულით გადმოცემული, სასაცილოდ აიგდო „ჩვენი ბანკის უზენაესი მმართველი და ყველაფერში უცოდველი ბატონი ილია ჭავჭავაძე“. ორატორი უკიუინებდა ახალი ქართული თეატრის შენობა ისე ძვირად დაგვეღომია, რომ ჩვენ გატყავებული დავრჩითო. მაგრამ წარსულ ხარჯებს ეინა სჩივის, მომავალისაგან მაინც გვიხსნას ჩვენმა დიდმა „ფინანსისტ-მა ილიამაო. აბა, შეხედეთ ამ თეატრის ჭერსაო“. სათეატრო დარბაზში გაჭედილმა ხალხმა და თვით ილიამაც თვალები ზევით აღაპყრეს. „აგერ შუაში ხომ ხედავთ მთელ მსოფლიოში ცნობილ ხუთი გენიოსის სურათებს, ირგვლივ ჩამომწკრივებულთა. ამშენებლებს შუაში თავისუფლად დაუტოვებიათ ერთი ცარიელი ადგილი და იქ ჯერ არავინ მიუხატავთ. რას უნდა ნიშნავდეს ეს, ბატონებო, თუ არ იმას, რომ მაღლ იქ დახატავენ მეექვსე გენიოსის სურათს, და ეს გენიოსი, რაღა თქმა უნდა, თავადი ილია ჭავჭავაძე იქნება“—ო. ასტყდა ამ სიტყვებზე ზალაში ერთი ხალისიანი ხარხარ-სიცილი. ილიაც



Չոռջո մշտակմերթուսելու Սամեցո չքարո (Շինա Թեհրէ)



გიორგი მეთორმეტისეული სამეცნ ჭვარი (წინა მხარე, ფრაგმენტი)



ანდრო უორდოპი

ანდრო უორდოპის ნაჩექარი წმ. ნინოს გამოსახულებიანი მედალიონი

ანდრო უორდოპის ნაჩექარი მედალიონის მეორე მხარე




ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ
ପାଇଁ ପରିଚୟ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ମାଧ୍ୟମରେ
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ । ୧୯୭୧

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ସାହିତ୍ୟରେ ମିଳିବାଲେ ଗ୍ରେହଗ୍ରହନେତିରେ ଦାତାତ୍ମ୍ୟ



କାନ୍ତିମାନ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଲିଙ୍ଗର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଶରୀରର
ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - କାନ୍ତିମାନର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ -
ଲିଙ୍ଗର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଶରୀରର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟର
ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - କାନ୍ତିମାନ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଲିଙ୍ଗର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ -
ଶରୀରର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ - ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟର ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ -



ଅଳ୍ପ „ଗ“-ସ, „ହ“-ସ, „ତ“-ସ, „ଥ“-ସ ମିନିଆର୍ଥୁରା ସାଥାସ ଲେଖେବିଜନିଲି ଲକ୍ଷ-
ଲକ୍ଷନ୍ତୁରି ନୟସିଲାନ



ମୁଦ୍ରଣ ମହିନା ଜାନ୍ମନୀ ୨୫ ୧୦

ବାଣିଜ୍ୟପଦନି

ଚନ୍ଦ୍ରରା

ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧିବିହୀନ

On 26-9-1892. ମୁଦ୍ରଣ କରିଛି ଶାନ୍ତିକିପାଳ

ପ୍ରକାଶିତ ତାରିଖ । ୧୮୯୨ ମୁଁ । ୧୮୯୫ । ୧୩
XII

ଓଲିଙ୍ଗ ପ୍ରାଚୀବାଦୀର ଅନ୍ତର୍ଭାବରେ 1892 ମୁଦ୍ରଣ କରିଛି ଶାନ୍ତିକିପାଳ ଏବଂ
ଲେଖକଙ୍କାରୀଙ୍କ ଉପରେ ଅନୁମତି ପାଇଥାଏଇବାକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିଛି



ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ମୃଦୁତି
ଏହି ଅଧିକାର କବିତାର ଲୋକଙ୍କ
ଦେଖିବାର ପଛ ଯଥିଲୁଣ୍ଡା. ଯଥିଲୁ
ଦେଖିବାର ଏକ ଦିନ ୨୬^୫ ଜାନୁଆରୀ
ଏ ପ୍ରମାଣିତ ହେଲା ଏବଂ ଦିନ
ଦିନାଳାର ଦିନ ହେଲା (୧୯୩୩)।

ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ମୃଦୁତି

ଲେଖକ-ବାବୁ ଫିଲ୍ମ୍ N2

୨୩ ମୁଗ୍ଧଳୀ ୧୯୧୦୬ ଫ୍ରିନ୍ଟିଂରେ।

Bazalethi's Lake.

Deep down in Bazalethi's lake,
 'Tis said a golden cradle lies,
 And there beneath the swelling waves,
 An orchard blooms, & never dies.

—
 That garden gay is always green,
 Its blossoms ne'er know Decay;
 The changing seasons of this earth,
 That region rare need not obey.

—
 Nor summer's sun, nor winter's cold,
 Can harm that emerald orchard fair,
 E., in those sunlit glades of gold,
 Eternal spring doth hold sway; there.

—
 In that fair garden's very heart
 The golden cradle aye doth rest,
 * There now hath never dared to go—
 That spot has never known a guest.

ଓର୍ବଲେଜାର୍ଦି
ଶାକପାତା



ଶ୍ରୀତରଣି ପାତେଙ୍ଗନୀ-ଶ୍ରୀତରଣି

ଗନ୍ଧରୀ ପ୍ରିଣ୍ଟିଂ ଇଞ୍ଜଲିସ୍ଯୁରି ଲିଟରେଚରିଟ୍ୟୁଳ୍



1910:

19 Տարության

Տեղակաց լուսա
Տպան Ռուբերժ.
Խառնած է ՅԵ
ըստ առաջնային
Խոհեմայ Արաբից
և Կառավարություն
ու Բարձր գյուղաց
իւ Բարձր օքանու
պահանջման օգակ
առաջնայ Արաբ
Վասա շաբաթու
Կորդաց Խառնայ
Յ Վեհակ չ ենթաց

1905 5. (1) 29 မြှောက်နှစ်

ပါ အောင် ၁၃၀၂၅။
ပါ လောက် လောက်၏
၂၄၅၏ ဒုပေါ် ၃၁၁။
ပါ ၁၇၄၆။ ၁၇၇၆။
ပါ လောက် ၃၁၁။ ၁၇၇၆
၁၇၇၆။ ပါ ၁၇၇၆။
၁၇၇၆။ ၁၇၇၆။ ၁၇၇၆။
၁၇၇၆။ ၁၇၇၆။ ၁၇၇၆။
၁၇၇၆။ ၁၇၇၆။ ၁၇၇၆။
၁၇၇၆။ ၁၇၇၆။ ၁၇၇၆။



„ზატიკის“ 1738 წლის გამოცემა, რომელშიც ჩაწერილია „კიფხისტყაოსნის“ 8 სტროფი



ანდრია გუგუშვილი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100 101 102 103 104 105 106 107 108 109 110 111 112 113 114 115 116 117 118 119 120 121 122 123 124 125 126 127 128 129 130 131 132 133 134 135 136 137 138 139 140 141 142 143 144 145 146 147 148 149 150 151 152 153 154 155 156 157 158 159 160 161 162 163 164 165 166 167 168 169 170 171 172 173 174 175 176 177 178 179 180 181 182 183 184 185 186 187 188 189 190 191 192 193 194 195 196 197 198 199 200 201 202 203 204 205 206 207 208 209 210 211 212 213 214 215 216 217 218 219 220 221 222 223 224 225 226 227 228 229 230 231 232 233 234 235 236 237 238 239 240 241 242 243 244 245 246 247 248 249 250 251 252 253 254 255 256 257 258 259 259 260 261 262 263 264 265 266 267 268 269 270 271 272 273 274 275 276 277 278 279 280 281 282 283 284 285 286 287 288 289 289 290 291 292 293 294 295 296 297 298 299 299 300 301 302 303 304 305 306 307 308 309 309 310 311 312 313 314 315 316 317 318 319 319 320 321 322 323 324 325 326 327 328 329 329 330 331 332 333 334 335 336 337 338 339 339 340 341 342 343 344 345 346 347 348 349 349 350 351 352 353 354 355 356 357 358 359 359 360 361 362 363 364 365 366 367 368 369 369 370 371 372 373 374 375 376 377 378 379 379 380 381 382 383 384 385 386 387 388 389 389 390 391 392 393 394 395 396 397 398 399 399 400 401 402 403 404 405 406 407 408 409 409 410 411 412 413 414 415 416 417 418 419 419 420 421 422 423 424 425 426 427 428 429 429 430 431 432 433 434 435 436 437 438 439 439 440 441 442 443 444 445 446 447 448 449 449 450 451 452 453 454 455 456 457 458 459 459 460 461 462 463 464 465 466 467 468 469 469 470 471 472 473 474 475 476 477 478 479 479 480 481 482 483 484 485 486 487 488 489 489 490 491 492 493 494 495 496 497 498 499 499 500 501 502 503 504 505 506 507 508 509 509 510 511 512 513 514 515 516 517 518 519 519 520 521 522 523 524 525 526 527 528 529 529 530 531 532 533 534 535 536 537 538 539 539 540 541 542 543 544 545 546 547 548 549 549 550 551 552 553 554 555 556 557 558 559 559 560 561 562 563 564 565 566 567 568 569 569 570 571 572 573 574 575 576 577 578 579 579 580 581 582 583 584 585 586 587 588 589 589 590 591 592 593 594 595 596 597 598 599 599 600 601 602 603 604 605 606 607 608 609 609 610 611 612 613 614 615 616 617 618 619 619 620 621 622 623 624 625 626 627 628 629 629 630 631 632 633 634 635 636 637 638 639 639 640 641 642 643 644 645 646 647 648 649 649 650 651 652 653 654 655 656 657 658 659 659 660 661 662 663 664 665 666 667 668 669 669 670 671 672 673 674 675 676 677 678 679 679 680 681 682 683 684 685 686 687 688 689 689 690 691 692 693 694 695 696 697 698 699 699 700 701 702 703 704 705 706 707 708 709 709 710 711 712 713 714 715 716 717 718 719 719 720 721 722 723 724 725 726 727 728 729 729 730 731 732 733 734 735 736 737 738 739 739 740 741 742 743 744 745 746 747 748 749 749 750 751 752 753 754 755 756 757 758 759 759 760 761 762 763 764 765 766 767 768 769 769 770 771 772 773 774 775 776 777 778 779 779 780 781 782 783 784 785 786 787 788 789 789 790 791 792 793 794 795 796 797 798 799 799 800 801 802 803 804 805 806 807 808 809 809 810 811 812 813 814 815 816 817 818 819 819 820 821 822 823 824 825 826 827 828 829 829 830 831 832 833 834 835 836 837 838 839 839 840 841 842 843 844 845 846 847 848 849 849 850 851 852 853 854 855 856 857 858 859 859 860 861 862 863 864 865 866 867 868 869 869 870 871 872 873 874 875 876 877 878 879 879 880 881 882 883 884 885 886 887 888 889 889 890 891 892 893 894 895 896 897 898 899 899 900 901 902 903 904 905 906 907 908 909 909 910 911 912 913 914 915 916 917 918 919 919 920 921 922 923 924 925 926 927 928 929 929 930 931 932 933 934 935 936 937 938 939 939 940 941 942 943 944 945 946 947 948 949 949 950 951 952 953 954 955 956 957 958 959 959 960 961 962 963 964 965 966 967 968 969 969 970 971 972 973 974 975 976 977 978 979 979 980 981 982 983 984 985 986 987 988 989 989 990 991 992 993 994 995 996 997 998 999 999 1000

იორგი დავ გეგმათ ს 252



" 565 გეგმა ს 252 ქადაგი

ქადაგის შესრულება

კარავანის ხელი

565 ქადაგის შესრულება

Georgian Folk Tales

written down in Georgia

by Anna 'the daughter of Bagrat'

Myeladze

120 H. formerly many times

presented to Margery Mandeville in 1911

by Anna, daughter of David Lekhengvadze -

wife of Shalva Dadiani

ანა მგელაძის მიერ ჩაწერილი ქართული ზოაპრეზი მარჯორი ფორდონვის
კოლექციიდან ოქსფორდში



17-187-197

Nov 26th 1873
Age 19 years.
Ht 20 ft.
Lg 25 ft.
Growth 3 ft per year.
at 20 years
in 10 years
in 20 years

Aug. 20 - 1889
Layman's Seminary Shallow
bottom & drift bottomed
with scattered plants among rocks and shells
dry land by 3 p.m.
dry the body was dead

196. *Bryozoa*

19.000-19.000-
19.000-19.000-19.000

W. P. Goff, 552
W. P. Shadwell

198-45

Septembre 1866
Salisbury

Phoenix

35. May 26.

18. 1. 18. 18. 18.

Digitized by srujanika@gmail.com

1874 *Aug 27*

ოლივერ უორდონპის საღამოს მონაწილეთა ხელმოწერების ფურცელი იქსფორდში. გაფორმებული იაკობ ნიკოლაძის მიერ

ორბელიანის პორტრეტი
ოქსანორდში



Gregory Orbeliani

აკაკი ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტოსურათი გველესიანების ოჯახთან



თხზულებაზი

აკადი

წერილი გვ. 1

II

ტე ღ ღ ღ

სრამბა წიგ. გამ. ქარ. ამ—ისა ჭიათურ. გრუ. იზატ. თ—სვა.
1893

აკადის თხზულებათა 1893 წლის გამოცემა მარჯორი უორდოპის
კოლექციიდან

Acad.
Feb. 2. 1897.

11 bis Strada Surorilor,
Bucharest.

The Reed,

where art thou my reed, sweet ^{voice} loved
and pleasant, that with thy voice
thou warnest not a georgian heart
in the North!

* *

When the shepherd takes thee in
his hand & makes mountain &
valley cry aloud, when the sweet
notes ^{are lost} leave themselves in heaven
& the melancholy ones in black hills

* *
Then my thought embraces thy voice
like brother brother & thy
Sighing reminds me of georgia's
bitter ^{Orige} _{lament} tears

7

Երեսուն.

Չո՞ ֆի՞զ երշուու
կյո՞ւու ամսուու,
Շի՞ յա՞ր յա՞ ո՞չու
Երեսուն յա՞նու՞ւ!



Չո՞ վա՞զ Շի՞ վա՞զ անցուու,
Հա՞ցո՞ր հա՞ց պա՞տու,
Շի՞ ո՞նու ի՞ւ չի՞ւ
Երեսուն յա՞նու՞ւ.

Երեսուն ե՞ն, Երեսուն ե՞ն,
Երեսուն յա՞նու անցուու,
Երեսուն յա՞նու գլու՞մ
Չ յա՞ցուն կյո՞ւու երսու.

1.63 1843 Inmeridian Lullaby
Dedicated to the new-born children of slaves.



Thou plump presents son, thou tiny one
Why sleep what has lull'd thee to sleep thou
sweetly, free from care?

In thy mother's breast thou hast found thy
sweet shelter, Sleep, rosebud, heartseas!

Thy mother says: may thy mother be thy pledge
They little hand has seized my breast
~~and mother foretold me of thy wrongs~~
~~then make me attain to be mother of God~~

Thou hast not thy father's fate another lot
awaits thee. Thy star is another

Fate ^{has} smiled on thee! Lullaby, heartseas

Sleep, little rosebud, heartseas Sleep
God has ^{further} designed happiness beforehand

In return thou must serve him, do no ill,
make not thy mother tear her hair, make me
not wear black! What other things



ექვთიმე თაყაიშვილი




ექვთიმე თაყაიშვილი



დები — ნიკა, ბაბო და ტასო ბაგრატ-ონეგი

თამუნია წერეთელი





სოლომონ სიზარ მალანი



ელენე თარხნიშვილი



Ձակընուան: Հնինա Ֆրունզովա (Սերգո Ֆրունզովիս մահնօք), օպերատոր, 1982 թվականին, ալուսա գյուղում, Տարուշի, 1982



ეკა ჩერქეზი ძმასთან ერთად



იცინოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც კვირობდა ამ ამბავს. უფრო წალენების სცენაზე გამოვიდა თეატრის მშენებელი და ასახულებელი რომ მაგ ადგილას ელექტრონის ლუსტრა უნდა ჩამოვეკიდოთ და ამით დაამშვიდა ჩოლოყაშვილიც და სხვებიც...

რაკი ორატორებზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, ვიტყვი ძევა, რომ საოცარი გულისყურით იცოდა ილიამ სხვისი სიტყვების მოსმენა და ყმაწვილებს გვეტყოდა ხოლმე: — ვინც სხვისი სიტყვის მოთმინებით მოსმენა არ იცის, თავის ღლეში კარგად ლაპარაკსაც ვერ ისწავლისო.

ვფიქრობ, რომ თვითონ ილიას, მაინცდამაინც, არ უყვარდა ლაპარაკი; იგი ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქო ელოდა, იქნება სხვამ სთქვას, რაც სათქმელი მაქვს და აცლიდა სხვებს. ამიტომ იყო, რომ, მეტ წილად, ილიამ სულ ბოლოში იცოდა სიტყვის აღება.

ორატორული ხერხი და ნიჭი ჩვენი მოღვაწისა შეერთოდ არის ცნობილი; ამ სფეროში ახალგაზრდებს ასეთ რჩევას გვიძლევდა: „თავის დღეში არ აჩქარდეთ და სიტყვა არ მოითხოვთ, მანამ სრულიად არ დაპატრონებიხართ თქვენს თემას. მაგრამ ნუ დაიწყებთ ლაპარაკს, თუ კარგად მოფიქრებული არ გაქვთ თქვენი სიტყვის შესავალი და მისი დაბოლოება. ეს იმისათვის არის, რომ ლაპარაკის პროცესში რაიმე შემთხვევით, არა აგერიოთ რა. მოკამათებმა განგებ რომ აგრიონ, რაკი თქვენ უკვე იცით, როგორ უნდა დაიწყოთ და როგორ მოათავოთ სიტყვა, თქვენ თქვენსას გაიტანთ და საერთოდაც სიტყვა საჭირო შთაბეჭდილებას მაინც მოახდენსო“.

* * *

იმ ჩემი სულ პირველი შეხვედრის შემდეგ ბევრმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ ილია თითქმის აღარსად მინახავს. ბუნდოვნად მაგონდება, რომ მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი მას ქართულ თეატრში. ილია მეორე წყების სავარსელში იჯდა და მანამ წარმოდგენა არ გათავდა, სკამიდან არ დაძრულა. ამ შემთხვევაში ჩვენი მეორე დიდი მგოსანი აკაკი სულ სხვანაირად იქცეოდა. როდესაც კი იგი ტფილისში იყო, ყველა ქართულ წარმოდგენას ესწრებოდა და იქ მეტწილად ერთ ალაგის არა მჯდარა. ხან წინა რიგებში ვხედავდით, ხან უკანა წყებაში, ხან კიდევ კულისებში. ყოველ ანტრაქტის

დროს ფოიეში, უყვარდა ბოლთის ცემა, მეგობრების ტერიტორიაზე
მცემელთა მიერ გარს შემოხვეული. წარმოდგენაზე დამსწრე
„გიმნაზიელებიც“ ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთი ფრონტით,
ავედევნებოდით უქან აქავის და ალერსით და ჩუმი ხმით
ეჩურჩულობდით: — ჩვენი პოეტი, ჩვენი დიდი მკოსანი, ჩვე-
ნი ლერმონტოვ-პუშკინი, ჩვენი აქავი! — მოხდებოდა, რომ ეს
სიტყვები აქავის ყურამდეც მიღიოდა, ღიმილით გადმოგვხე-
დავდა და ჩვენ კი, შემქრთალნი, დავიფანტებოდით ფოიეში
და ხალხში ავერეოდით ხოლმე...

კადეტთა კორპუსში კურსი 1886 წელს დავასრულე. სამ-
ხედრო, სააფიცრო სკოლაში შესვლაზე უარი ვსთქვი და ჩემ-
მა მშობლებმაც ხელი შემიწყვეს და პარიზში გამისტუმრეს,
სადაც ან სამთო ინსტიტუტში ვაპირებდი შესვლას, ან უმაღ-
ლეს აგრონომიულ ინსტიტუტში. მთელი წელიწადი იქ ვემ-
ზადებოდი მისალები გამოცდების ჩასაბარებლად. პარალელუ-
რად ვმაცადინეობდი ქართულ ენაშიც და ხელი მივყევ ქარ-
თული ისტორიის და ლიტერატურის შესწავლასაც. ქართველ
სტუდენტების წინა თაობებს დაეტოვებინათ ქართული პატა-
რა ბიბლიოთეკა, ზოგი ქართული წიგნი პარიზის ბიბლიოთე-
კებშიც დაგვხვდა, ზოგიც თვითეულს ჩვენთაგანსაც ჰქონდა
თან წამოლებული და ტფილისის გამოცემანიც მოვდიოდა.
ყველა ამან ხელი შემიწყო ილიას ზოგიერთ ნაწერებსაც გავ-
ცნობოდი და შემეგნო მისი პოლიტიკური და საზოგადოებრი-
ვი ფიზიონომია. ანალგაზრდა სტუდენტს საკუთარი იდეალე-
ბიც მქონდა და შეძლება მომეცა ერთვარი რევიზია გამეკე-
ბინა ჩემი თავისათვის, რამდენად იყო იგი დაახლოებული, თუ
დაშორებული მასთან, რასაც ილია გვიქადაგებდა...

სულ პირველად აღტაცებას იწვევდა ჩემში ილიას წერი-
ლები, სადაც იგი ქართველობის ლირსებას იცავდა, ქორივით
რომ დააფრინდებოდა ხოლმე საქართველოს მოძულე კატკო-
ვებს, გაზეთ „კავკაზს“, სომხის შოვინისტ ჟურნალისტებს
„ტიფლისკი ლისტოკი“-ს რედაქციიდან, სადაც დასმენის და-
ბეჭდვაც კი გაბედეს ქართულ საზოგადო დაწესებულებებზე,
მაგალითად ამ სიტყვებით: — პროპაგანდას აწარმოებენ, რომ
არაფერი რუსული არ მიიკარონო და სხვა... — მოწონდა,
რომ თვით სომხის ერს სამეგობროდ იწვევდა და იგონებდა
ჩვენს წარსულს ურთიერთობას. მოსაწონი იყო ის მათრახები,

რომელიც გადაგვარების გზაზე შემდგარ ქართველ ქართველ მოხვდებოდა ხოლმე ილიასაგან, მაგ. ასეთი — „ეგრძელებოდება ბული მაღალი წოდების ხალხი, თუნდაც სრულიადაც დაეთხოვოს კიდეც ჩვენ ლიტერატურას, დიდი არაფერია. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონიერის გახსნის გზაზე წარიმართოს“. — ან კიდევ ილიას ასეთი განცხადება: — „საღ არის, საღ იმალება განათლებული და მცოდნე წყობა ერისა? რატომ არ ეშველება იმ ხალხს, რომელსაც ის თავის სწავლაზე ხარჯავს, ხალხის ოფლით, წვა და დაგვით არის შეძენილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვდილი“. — ჩვენ, ახალგაზრდობისათვის ეს სიტყვები პირდაპირ საპროგრამო მნიშვნელობას ღებულობდა და გვიმტკიციდა *ლტოლვას ქართულ საქმეში მუშაობისათვის. ჩვენი მოვალეობის ღირ შეგნებას გვაწვდიდა ასეთი ძახილი ილიასი: — „ყოველ დაწინაურებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელიწადში ცხოვრება ფეხს იცვლის... ყოველგვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალი დასის ხალხი გამოდის“ ან კიდევ: „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი“ (მომყავს ილიას სიტყვები ამდროინდელ გამოცემებიდან). ჩვენი ერის მთლიანობას და ყველა ქართველთა სწორ-უფლებრივობას გვიხატავდა ასეთი სიტყვები: — „თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა“... ამ სიტყვების დაწერა იმ ადამიანის მიერ, რომელიც სათავეში უდგა იმ ქართველ მოღვაწეთ, ბატონიშვილის წინააღმდეგ რომ აღიმართენ, არ გვაკვირვებდა. ისიც დასაჯერებელი გახდა, რომ ილიას მოსაქლავად, წინანდელ ფეოდალური ფენების ნაშთებში შეთქმულობაც კი იყო მოწყობილი...

ჯერ პარიზიდან და შემდეგ მოსკოვიდან, საღაც მე პეტროვსკო რაზუმოვსკის აკადემიის სტუდენტი გავხდი, თვალი არ მოგვიშორებია ილიას მოღვაწეობაზე; საღაც კი შევძლებდით, მის ნაწარმოებს ვშოულობდით, ვსწავლობდით და ვიწროვნებოდით. მისი ხელმძღვანელობა წერა-კითხვის საზოგადოებისა, ერთ ღროს ქართული დრამატიული საზოგადოებისა, ბანკისა და სხვათა საყოველთაოდ იყო ცნობილი მოზარდ თაობაში.



არ ვიცი, თუ ბევრსა აქვს წიგითხული ილიას გამოცემის შედეგი პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან ბანკის მოწყობის და საბანკო პოლიტიკის შესახებ. აქ ილია გამოდის, როგორც დიდი სპეციალისტი. იმისი „ფელეტონები ასეთ მოსაწყენ თემებზე, როგორიც არის საბანკო ტეხნიკა, ბუღალტერია, ბალანსი, ჯირავნობის ქაღალდების კურსები და სხვა გაკვირვებას იწვევდა არა მარტო იმით, რომ ქართველი დიდი მგოსანი დაუშინაურდა ამისთანა საგნებს, არამედ წერილების სტილიც, ტერმინოლოგიის ადვილად დაძლევა, სპეციალურ კითხვების მდაბიოდ და მოქნეულად გაფორმება — გადმოცემა. როდესაც სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდით აკადემიაში, არა ერთხელ ჩამიხედნია ილიას საბანკო წერილებში; ეს მისი ფელეტონები დღესაც მაქვს შენახული.

მოსკოვში კურსის გათავების შემდეგ ტფილისში რომ ჩამოვედი (1893 წ.), მაშინვე ამირჩიეს სამს ქართულ საზოგადო დაწესებულებაში: ქართულ სასკოლო კომიტეტში, ბანკში — ზედამხედველ კომიტეტის წევრად და დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა მაშინდელმა ძველებმა გადასწყვიტეს ახალგაზრდობის ჩაბმა საზოგადო საქმიანობაში, რომ მომავალი კადრები მომზადებულიყო.

მახსოვეს, მაშინ აკაკიმ საოხუნჯო მილოცვები დაგვიწერა ყველა ახლად არჩეულს და თავისებურად გაგვამათხახა. რაյი მე სამ დაწესებულებაში ვიყავი ერთბაშად არჩეული, მხცოვან აკაკის მიერ ასეთი შოლტი მომხვდა: „უურული, აუცილებელი წევრი ქართული დაწესებულებების ყველა კომიტეტისო“. ორიგინალური იყო ილიას მოქცევა ჩვენ ახალგაზრდების მიმართ. ძალიან უხაროდა ახლების საქმეში ჩაბმა, მაგრამ არაფრით არ გვაჩვენებდა, რომ ჩვენ იმისი ხელმძღვანელობა გვესაჭიროებოდა. პირიქით, ისე გვექცეოდა და ისეთ მოთხოვნილებებს გვიყენებდა, როგორც საქმეში დიდი ხნობით ჩახედულ ხალხსა. არ უყვარდა ტიპები, რომელნიც სხვის ლალაობას მოითხოვდენ. თითქმ იმისი თქმა უნდოდა: რაი საქმეში შემოხვედი, მაშ შენი თავის იმედიც გქონია და აბა გვიჩვენე ეგ შენი უნარიანობაო. საზოგადოთ წინააღმდეგი იყო პროტექციებით ვისიმე წინ წაწევისა. საინტერესო და საქმისათვის

სასარგებლოდ მხოლოდ იმათ სთვლიდა, ვინც საკუთაროსად მოქმედობდა ნით, ცოდნით და გამრჯელობით დაიმსახურებდა საზოგადოების ყურადღებას. ასე ექცეოდა გარეშეთაც და შინაურებსაც. კორპუსიდანვე ჩემი სიყრმის ამხანაგი, კოტე აფხაზი, დისწული ილიასი, არტილერიის ოფიცერი იყო. ვიცოდი, რომ მას დიდი ხანია სურვილი ჰქონდა ამ სამსახურისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ისიც ბიძასებრ ამნაირ საქმეებში ჯიუტი იყო და ერთხელაც არ შეუწუხებია თავისი სახელოვანი ბიძა რაიმე თხოვნით. არც ეს უკანასკნელი ცდილა თავისად ეზრუნა დისწულისათვის, რომელიც, ვიცოდი, დიდათ უყვარდა. რაკი ორივე ყოყმანობდა, ავდექი და მე მივედი ილიასთან; დავუხასიათე, რა სასიქადულო დისწული ჰყავს, ნიჭიერი, მომზადებული, შრომის მოყვარე ინტელიგენტი. ილია მისმენდა სიამოვნებით, ლიმილი პირს არ სცილდებოდა, ნამდვილად შევატყვე, რომ უხაროდა ასეთი დახასიათება; დამპირდა, მოვითიქრებო, მაგრამ, ალბათ, ინიციატივის გამოჩენას იქიდან ელოდა და რაკი ეს არ მოხდა, ვინაიდან პროტექციებით წინ წაწევა კოტესაც სძულდა, ჩემი ცდისაგან არათერი არა გამოვიდა რა და ამით დაგვიანდა კოტე აფხაზის საზოგადოებრივ ასპარეზზე იმ თავითვე ჩაბმა...

* * *

ბანქში მონაწილეობამ უფრო ახლო დამაყენა ჩვენ სასიქადულო მოღვაწესთან. იმ ხანობას „ბანკობია“ უკვე გაჩიღებული იყო ჩვენში. ილია ყოველ მორიგ სხდომისათვის ისე ემზადებოდა, როგორც სტუდენტი გამოცდებისათვის. ტეხნიკურ და პრინციპიალურ კითხვების გარჩევის დროს სრული დოკუმენტაციით აღიჭურვებოდა ხოლმე, სპეციალურ წიგნებიდან ციტატების წარდგენით; იმისი ბიბლიოთეკა იმ დროს სავსე იყო ამნაირი გამოცემებით; მასსოვს ერთხელ ჩემი პროფესორის ლექციები მივუტანე სამეურნეო ბანკების შესახებ და ილიამ იქიდანაც ამოილო ადგილები ოპოზიციის ჩასაჩუმებლად.

ილიას ტაქტიკა საბანკო ოპოზიციასთან ბრძოლაში ასეთი იყო: სერიოზულ არგუმენტაციას თავისას წაუყენებდა, დაცინვაზე დაცინვით უპასუხებდა, ხუმრობას ხუმრობითვე

უმასპინძლდებოდა და თუ საქმეს გაუჭირვებდნენ, პი-
როვნების აბუჩად აგდების წინააღმდეგი იყო.

ჩვენ, ახალგაზრდებს ბევრი რამ არ მოგვწონდა მაჩაბლის-
ტების და ჭავჭავაძისტების ახირებულ შებრძოლებაში. ამი-
ტომ თავშივე ორთავ პარტიას ვერიდებოდით და ჩვენი დამო-
უკიდებელი ჯგუფის შედგენა დავაპირეთ, რომელიც სხვებმა
„ნეიტრალურ პარტიის“ სახელით მონათლეს. დიდ ხანს არ
შეგვრჩენია ნეიტრალობა და მალე ჭავჭავაძისტებში გავითქვი-
ფეთ, რაშიაც ხელი თვით ოპოზიციონერ-მაჩაბლისტებმა შეგ-
ვიწყვეს...

მაშინაც, და ეხლა მით უფრო, არ მომწონდა ბანკის კით-
ხვების გარშემო ასეთი შეჯახება. დღესაც ვერ გამიგია — რა
ჰყოფდა სერიოზულად იმ ორ ჯგუფს. ვგონებ უფრო ტემპე-
რამენტი, ვიდრე პრინციპიალური განხეთქილება. არა მცირე
როლი ითამაშეს, ვინც ილიას და ვანოს გარშემო იყვნენ დაჯ-
გუფებული და უპრაგონდ ენაწყლიანობდნენ. ნიჭითა და
ენერგიით სავსე ივ. მაჩაბელი ის მაჭარი იყო, რომელიც სულ
მუდამ დუღდა და გადმოდიოდა, — ილია კი ას-კოკიან ქვეპ-
რში დამდგარი და უკვე დაყენებული ლვინო იყო. ერთი ანგა-
რიშს იმას არ უწევდა, რომ შეუძლებელია სულ მუდამ მაჭ-
რობაში ყოფნა; მეორეს კი თითქოს დავიწყებოდა, რომ
ერთ დროს იგიც მაჭარი ბრძანდებოდა. თვითონ ბანკისათვის
იმდროინდელ კრებებს, თავდავიწყებამდე გატარებულს, ჩე-
მის აზრით, ვნების მეტი არა მოუტანია რა. აბა, რა ხეირს
დაყრიდა ასეთ სათუთო საკრედიტო დაწესებულებას მთავ-
რობისაგან მოხდენილი რევიზიები, ამისი სატახტო ქალაქის
გაზეთებში გამოტანა, სამინისტროებში ილიას მოწინააღმდე-
გეთა მიერ საჩივრების გაზავნა და სხვ. ყველა ეს სახელს
უტეხდა ჩვენს ბანკს და ეს გარემოება გავლენას ახდენდა ჩვე-
ნი გირავნობის ფურცლების კურსებზე...

როდესაც ბანკობია იმით გათავდა, რომ ოპოზიციამ ვერ
იქნა და ილია ბანკიდან ვერ გააძევა, ერთხელ გავკადნიერდი
და ზედამხედავ კამიტეტის სხდომაზე ილიას ვუთხარი: —
„ბატონო ილია, გარეგნულად თქვენი გამარჯვებით დასრულ-
და ეს ამოდენა ალიაქოთი და არსებითად კი მე ვსთვლი, რომ
თქვენ დამარცხებული ბრძანდებით“-მეთქი. — „აბა, რო-
გორა-ო, თითქმის გაჯვირვებით შემექითხა ილია. — „ჯერ

იმითი, რომ ბევრი შრომა დაგჭირდებათ, მანამ ჩვენს ბანქს წინანდელ ნდობას დაუბრუნებდეთ და დაუბრუნებთ კი? მერე, აბა უკან მივიხედოთ: ოპოზიციამ ამოდენა წლები ისე დაგაყარგვინათ, ისე შეგიქრათ ხელები რაღაც მეორე-ხარისხოვანი საკითხების ირგვლივ, რომ უმთავრესი ჩვენთვის, ჩვენი ლიტერატურა დაგავიწყდათ. ამ ხნის განმავლობაში დრო ბოლარ შეგარჩინესთ, რომ რამე საყურადღებო შეგეთხზათ და დაგეწერათ. აი სადა ვართ ყველა დამარცხებული“. — ამაზე ილიამ მხოლოდ ეს მიპასუხა — „ჰო, მაგ მხრივ, შეიძლება თქვენ მართალი იყოთ!“ — ბარემ აქვე ვიტყვი, ილიასთან ამავე ხასიათის სხვა გამოლაპარაკებაზედაც, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ მიუხედავთ მდგომარეობისა და წლოვანების სხვადასხვაობისა, და ილიას ვითომდა მიუკარებლობისა, შეგეძლოთ მისთვის პირში ბევრი რამ ისეთი გეთქვათ, რასაც ბევრ სხვას ვერ გაუბედავდით.

* * *

ერთხელ მან ბანქში გამოგვიცხადა, რომ გადასწყვიტა გერმანიაში გამგზავრება ერთი ცნობილი სპეციალისტის სახახვად. ამის გაგონებაზე მე წამომცდა: — „ძლივს! ქართველებისათვის სწორედ სათაკილოა, რომ თქვენ აქამდე ევროპა არ გინახავთ და რუსეთის იქით არსად გასულხართ!“. გული მოუვიდა ილიას ამის გაგონებაზე, მაგრამ ის კი არ სწყენია, რომ მე ვერეოდი იმის საქმეში, არამედ ის, რომ ვერ გავვეგო მისი მდგომარეობა და ისე ვსჯილით: — „სად ჯანდაბას წავიდოდი ჩემი ვალებისა და ვექსილების პატრონი?“, ალელვებით ზარი დარეკა და შემოსულ მექარე ბეჭანს უბრძანა: — „ტერმინასოვს დამიძახე!“ — ეს სომეხი ერთ-ერთი ბუხპალტერის თანაშემწედ იყო ჩვენს ბანქში და ილიამ მას მიანდო თურმე პირადი ვექსილების ვადებზე თვალყურის დევნა. ტერმინასოვი რომ შემოვიდა, ილიამ უთხრა: — „აბა, მიჩვენეთ ჩემი ვექსილების სია!“ — ილიამ გამოართვა კარგად გრძელი ნუსხა ვადებისა, ცხარედ ააფრიალა იგი და შემოვეძახა: — „აბა ამ ვადებს სად წაუვიდე; უჩემოდ პროტესტებში ხომ ვერ გავუშვებდი მათ!“ — როდესაც ბუჭხალტერი გავიდა, სხვებმა, უფრო მახლობლებმა უთხრეს: — „ქაცო, რა ამბავია მაგოდენა ვექსილები?“ — მე მაინც



არ ვცხრებოდი და კიდევ შევერიე ლაპარაკში ქართველური მუნიციპალიტეტები, მრცხვენია იმ შაშინდელი ჩემი მეტირობისა...)

— ამის გაგონებაზე ილიამ უბის წიგნი ამოიღო და გადაგვიშალა, თითქო ვისმე უფლება გვერდა მისთვის ანგარიში მოგვეთხოვა ასეთს, უაღრესად პერსონალურ საქმეში. — „ი გადახედეთ ამ წიგნაქს და ნახავთ, ვალები რაზე დამედო და ვისი დამედო“ — და ილიამ წაგვიყითხა, სად რა ვალი დასდებია: გაზეთის გამოცემაზე და სტამბაზე. — „იქნება ჰგონია ვისმე, რომ გაზეთი რამე სარგებელს მაძლევს. იგია ჩემი ვალების უპირველესი წყარო“-ო...

ზველა ამნაირ გათამამებულ გამოსვლებში მთავარი ის იყო, რომ თავისუფლად ვაძლევდით ჩვენს თავს ნებას ასეთი კითხვები დაგვესვა ილიასათვის, რომელიც ყველას გვიყვარდა და განსაკუთრებული პატივისცემით ვეპყრობოდით. ილიამაც იცოდა ესა და იმის მაგივრად, რომ შეენიშნა ჩვენთვის — რა თქვენი საქმეა, ჩემს კერძო ცხოვრებას შეეხოთო, პირიქით, დალაგებით აგვიხსნილა ხოლმე.

* * *

მალე ერთი შემთხვევა კიდევ მომეცა, ილია უფრო ხშირად მენახა. მოსკოვში სწავლის დასრულების შემდეგ მე განვიზრახე ჩემს აგრონომიულ დარგში მეშოვნა რაიმე სამსახური. სწორედ იმ ხანებში კავკასიის მთავრობამ მოიწადინა ექსპედიციის გაგზავნა ცეილონზე, იქ ჩაის მოყვანისა და მოვლის შესასწავლად. მინდოდა მესარგებლებია ამით და გადავწყვიტე როგორმე მომეხერხებინა ექსპედიციას გავყოლოდი და ჩაის სპეციალობა შემესწავლა. სადაც მივეღ ამაზე გამოსალაპარაკებლად, ყველგან სიცილით დამხვდენ: ხომ არ გაგიუბულხარ, ქართველს იქ ვინ გაურევსო! მართლაც, ექსპედიციაში მარტო ამისთანა გვარები იყო: კლინგენ, მარკვრაფ, სიმენსონი და სხვ. ... ასეთი იყო იმ კავკასიური ექსპედიციის შემადგენლობა, რომელსაც მომავალში ვითომდა ბათუმის ოლქში და გურიაში უნდა ემუშავა!

აქ რომ მარცხი დამხვდა, ახლა განვიზრახე სასოფლო-სამეურნეო რაიმე დაწესებულებაში შევსულიყავი, რომ იქიდან მეცადა საფრანგეთში ჩემი გაგზავნა მეხილეობისა და მე-

ღვინეობის შესასწავლად. აქაც მარცხი მომივიდა. ამ უწყვეტობისა უზენაესმა გამგემ კავკასიაში, მედვედევმა, ძალიან ცივად მი-
გვიღო; მე და მამა ჩემი უარით გამოგვისტუმრა. ერთი კუ-
რიოზული ამბავიც მოხდა მედვედევის კანცელარიაში: დერე-
ფნისაქენ რომ მივდიოდით, თავის კაბინეტის კარებთან დაგ-
ვხვდა მედვედევის თანაშემწე, „მეცნიერი აგრონომი“ გიორ-
გი. იგი მამა ჩემს კარგად იცნობდა, და როცა გაიგო უარის
თქმა ჩემს თხოვნაზე, ქართულად ასეთი ფრაზა სთქვა „...სა-
ქართველოში ქართველისათვის არ არის ალაგი და პოლშაში
პოლიაქებისათვის!“ საშინლად მეოცა ასეთი თავისუფალი სი-
ტყვა რუსის დიდი მოხელისა, მაგრამ მერე მამა ჩემმა მი-
თხრა — პოლიაქია და დიდი პატრიოტიცო!

ქუჩაში რომ გაველით, ასე მივმართე მამას: — ვხედავ რუ-
სებთან არა გამოდის რა და ეხლა მე ვიცი, რა გზასაც დავად-
გები! — მამისაგან ვზა დალოცვილი გავედი გაღმა, ნიკოლაე-
ვის ქუჩაზე, სადაც „ივერიის“ რედაქცია იყო. გადავწყვიტე
ამ გაზეთის რედაქციაში შესვლა და იქ მუშაობა. შემეძლო,
რასაკვირველია, პირდაპირ ილიასთან მისვლა და იგი, ალბათ,
უარს არ მეტყოდა, მაგრამ რაჯი ვიცოდი იმისი ხასიათი, ჭერ-
თანამშრომლებთან მიველ, სახელდობრ, გიგო ყიფშიძესთან.
მან გამაცნო გაზეთის ხელმძღვანელი დავ. მიქელაძე. ამანაც
პრინციპიალური თანხმობა მომცა და შემიყვანა ილიასთან, იმ
კაბინეტში, რომელიც ზევით ავწერე: ილიას გულახდილად ვუ-
ამზე მთელი ჩემი ცდები და სიმწარით დავასკვენი, რომ ჩემი
გულითადი სურვილია სპეციალისტი გავმხდარიყავი აგრონო-
მიულ დარგში, მაგრამ ჭერჭერობით რაჯი ეს არ ხდება, ყველაზე
მეტად გული ურნალისტობისაკენ მიმიწევს-მეთქი. ილიამ არ
გაიკვირვა ოფიციალური წრეების ჩემდამი ასე მოქცევა და იქ-
ვე ჩამრიცხა გაზეთის თანამშრომელად, თვეში 50 მანეთის და-
ნიშვნით.

* * *

რედაქციის უახლოესი შემაღენლობა და მათი კომპეტენ-
ცია ასეთი იყო: ილია ჭავჭავაძე — მისი წერილები, თავის თა-
ვად ცხადია, იბეჭედებოდა რიგს გარეშე; ამავე დროს იგი იყო
უზენაესი გადამჭრელი მატერიალური კითხვების; ჭამაგირსაც
უშუალოდ ის არიგებდა. რაც შეეხება პრინციპიალურ კი-

თხევებს, არასოდეს არ უკისრია დიკტატორულ როლში გამო-
სვლა.

დათა მიქელაძე (მეველე) — გვიშესრიგებდა, ვის რომელ
დღისათვის უნდა დაეწერა ან მეთაური, ან ფელეტონი. გარ-
და ამისა, ბეჭდავდა მოხდენილ, ფრანგულ უურნალისტების
ყაიდაზე შედგენილ წერილებს.

გიგა ყიფშიძე — მეპრესე იყო და კორესპონდენტების
ნაწერების შემასწორებელი (მეტ წილ კორესპონდენციას ასე-
თი შესწორება—შეზავება ძალზე სჭირდებოდა იმ დროსა),
გარდა ამისა საკუთარ წერილებსაც ათავსებდა. იგი ილიას მა-
გიერობას სწევდა ქართული მართლწერის და სტილის დაცვა-
ში, მეტადრე ახალგაზრდა თანამშრომელების მიმართ.

არტემ ახნაზარაშვილი: ნიჭიერი ფელეტონისტი, წმინდა
„ტფილისურ-ქალაქური“ ჰიუმორით სავსე და ამავე დროს
სუბუქი სტილის პატრონი. ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი
თანამშრომლების ქართული ენის შემსწორებელი, გიგასთან
ერთად, იგიც იყო.

ამავე როლში გამოდიოდა ახალგაზრდა მგოსანი — განდე-
გილი — ერისთავისა, რომელიც თავის ლექსებსაც გვიბეჭ-
დავდა და ჩვენთან ერთად ქრონიკასაც სთარგმნიდა.

გიორგი ლასხიშვილი. — მან ქართული ენა ჩემზე უკედ
იცოდა და წერაც უადგილდებოდა. ამავე დროს დიდ მუშაო-
ბას ეწეოდა, რომ სერიოზული უურნალისტ-პუბლიცისტი
გამხდარიყო.

* * *

ჩემი ერთი წელიწადი რედაქციაში მუშაობის დროიდან
მაგონდება სამიოდე ეპიზოდი, რომელიც უშუალოდ იყო და-
კავშირებული ილიასთან. — ერთ ჩემს მეთაურში ფრთხილად
გავატარე ის აზრი, რომ მიწა იმას უნდა გადაეცეს, ვინც მას
ამუშავებს-თქმ. მეფიქრებოდა: ვაი თუ დავ. მიქელაძემ არ
მოწონოს-მეთქმ — იგი დიდი ფეოდალების და მემამულეთა
ჩამომავალი იყო და შეიძლება არ მოსწონებოდა ეს აზრი. —
იმ ჩემმა წერილმა ეს ერთი ეტაპი ადვილად გაიარა; ახლა
საქმე ილიაზე იყო მიმდგარი, ველოდი: რას იტყოდა იგი. მა-
ნაც ნება დაგვრთო და მეთაური დაიბეჭდა. მაგრამ ყველაზე
მეტად ის მაინტერესებდა: თვით ილია როგორ უყურებდა



ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს: იზიარებდა, თუ ლიბერტე^{ლიბერტე} მოუვიდა, რომ რედაქციამ შენიშვნაც კი არ გაუკეთა იმ წე- რილს. მალე ამის გაგების შემთხვევაც მომეცა.

არ მახსოვს, რის გამოისობით, ილიასთან ჩამოვარდა ლაპა- რავი ამ თემაზე და მან ასეთი აზრი გამოსთქვა: — რასაკვირ- ველია, ეგ აზრი სწორეც არის და სამართლიანიც, მაგრამ ერთი გამონაჯლისით: ხილის ბალის და ვენახის შენარჩუნების უფლება კი ყველას უნდა მიეცეს, ვისაც ეს საქმე უყვარსო. აი მაგალითად, ჩემს ხილის ბალში თითოეული ხე ისე გამიზრ- დია, როგორც შვილი; ამავი მაქვს და ცოდვა არ არის ჩამო- მერთვას, თუნდაც სასყიდელიც მომცენო!

მეორე ეპიზოდი ეხება იმ ჩემ წერილს, რომელიც მხელ- ვანმა ჩვენმა მგოსანმა, რაფიელ ერისთავმა, მაშინდელმა ცენზორმა, დააკავა. იქ მე ვეკამათებოდი გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ს რედაქციას, „ინოროდცების“ მოძულე ცნობილ სუვორინს. იმ ხანობაში ოსმალეთში სომხების მორივი ჩლე- ტა მოახდინა „სისხლიანი“ სულთან აბდულ-ჰამიდის აღმი- ნისტრაციამ. მთელი ევროპის პრესა იყაყანდა ამაზე და თომ- ხებს გამოექომაგა. სუვორინმა კი არაფრად ჩააგდო ეს ათა- სობით ამოხოცვა და დასწერა, რომ სომხები ტყუილად აზვი- ადებენ საქმესა, სულ რაღაც ორიოდე სომეხია მოკლულიო! საშინლად აგვაშფოთა რუსული გაზეთის ამ ცინიკურმა წე- რილმა; მე გამოვეკამათე მას და ჩემი წერილის ბოლოში შე- ვეკითხე სუვორინს: უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ: ჩამ- დენი სომეხი უნდა იქმნეს მოკლული, რომ თქვენი სინდისიც აღელდეს-მეოქი.

ილია სომეხ პუბლიცისტებთან ცხარე, არსებითად, დაცვი- თი, ბრძოლას აწარმოებდა და არ იყო მოკლებული ინტერესს მისი მიდგომა ამ კითხვისადმი. ილქრძალვა რომ გაიგო, რო- გორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ინანა, მაგრამ ვერას გახდა, რაღვან რაფიელმა გვამცნო, რომ საგანგებო ცირკულიარი მისელოდათ სამინისტროდან: სომხების ამოცლეტის შესახებ პრესაში არა დაუშვათ-რაო. იმ ალქრძალული წერილის ამბა- ვი გაეგოთ ტფილისის სომხურ გაზეთებს. ჩახსოვს: ჩვენს რედაქციაში მოვიდა სომხის გაზეთების თანამშრომელი ჭეშ- მარიტოვი და რამოდენიმე ანაბეჭდი (ეპრო) წაილო თანა.

თავის დროზე ილია სწერდა: — ჩვენში, ჩვენგან მთელი.



სომხობა როგორც ერი, თავის დღეში არც გაკითხული გაკიცხულა და არც ავად ხსენებულაო.

როდესაც სომეხ-ქართველობის ურთიერობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ილიასაგან გამიგონია: — ძლიერი სომხეთი დიდი საიმედო საზღვარი ყოფილა ყოველთვის საქართველოსათვის. სომეხთა სახელმწიფოს დამხობით ერთი აგური გამოეცალა ჩვენ სამხრეთ საზღვარის კედელსაო.

* * *

„ბანკობიანაზე“ არა ნაკლებად აღმოფოთება ჩვენი საზოგადოებისა და მისი ორად გაყოფა გამოიწვია სასკოლო კითხვამაც. ზოგს უნდოდა სათავადაზნაურო სკოლისათვის სრული კლასიკური გიმნაზიის ხასიათი მიეცა; ზოგს კიდევ სურდა იგი უფრო რეალურის ტიპისა ყოფილიყო, სულ ახალი პროგრამით და ორგანიზაციით გადაკეთებული, სადაც სასოფლო მეურნეობაც ისწავლებოდა და ზოგიერთი ისეთი დისციპლინები, რომელსაც საშუალო ალაგს მიუკუთვნიდა, უმაღლეს და საშუალო სკოლის შუა. ამავე დროს იგი მოსამზადებელი სასწავლებელიც იქნებოდა, ვინც ხაზინის კლასიკურ გიმნაზიებში მოისურვებდა შესვლას. ამ მეორე აზრს იზიარებდენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ცხვედაძე და სხვებიც. ამ კითხვაში მე ახალგაზრდების იმ ჯგუფს ვეკუთვნოდი, რომელიც ილიასი და ნიკოლაძის აზრს იზიარებდა. — როგორც იყო ეს სასკოლო საკითხიც გადაწყდა. გაიმარჯვა ილიას საწინააღმდეგო აზრის მიმართულებამ. ეს გარემოება მე იღვნიშენ ჩემს ერთ წერილში; მიულოცე ქართველობას, რომ ძლიერ საბოლოოდ გადასწყვიტა ბრძოლა; მოვუწოდებდი აწ კინკლაობისათვის თავი დაენებებინათ და ეცადათ ყველას შეეწყო ხელი არსებული სკოლის აყვავებისათვის. წერილის ბოლოში ვიხმარე ერთი ნამეტნავად ახირებული შედარება, სადაც ორ საკამათო სკოლის ტიპს, ერთს ჩიხირომა დაგარჩვი, მეორეს — დედლის წვენი; ქართველობა კი დავადარე შიმშილით მომაკვდავ იდამიანს. მანამ დავადებულის მახლობლები იმის დავაში იყვნენ, თუ რა ვაჭამოთ მას — ჩიხირის ათვედლის წვენიო, ის უბედური, ძალაგამოლეული, სულ ძლიერ-ლა ითქვამდა; ბოლოს გადასწყვიტეს: ეჭმიათ ის, რაც



იქვე ხელთა პქონდათ. ეს იყო ჩიხირთმა, თუმცა დაუკარგებოდა ასახულის მიზნი ეჭმიათ-მეთქი. ამ სწორედ ამ გემრიელ საჭმელებისა მე-ფიქრებოდა და ველოდი, რომ წერილის ამ ბოლოს ამომიშლი-დენ. გაზეთი რომ გამოვიდა, იქ ვნახე ჩემი წერილი, სწორედ ისე დაბეჭდილი, როგორც მე დავსწერე. ვნახოთ, მეორე დღეს ილია შემოვიდა რედაქციაში, თანამშრომლების ოთაში და შეეკითხა მეველეს — დავით მიქელაძეს: — ეს ვისი დაწერი-ლია? — მე აღელვებით და დარცხვენით სისხლი თავში ამი-ვარდა; სულ გავინაბე. დ. მიქელაძემ მიუთითა ჩემზე: — აი, გიორგიმ დასწერაო. სრულიად უნებლიერ წამოვდექი წინ და დავეკითხე: — ბატონო ილია, არ მოგეწონაათ? — მან გაიღიმა და რატომლაც რუსულად მოკლედ მოსჭრა: „ნეტ, ნიჩევო!“ დღესაც არ ვიცი: ამ ორი უარყოფითი სიტყვით რის თქმა უნ-დოდა ჩემთვის მთავარ რედაქტორს: მართლა მოეწონა, თუ იმის თქმა უნდოდა — ეხლა მიპატიებია, შემდეგში კი..

საზოგადოთ, ილიას არ უყვარდა კომპლიმენტების ხარჯვა, ან პირში ვისიმე ქება. ეს უკანასკნელი მან პირს უკან უფრო იცოდა. პირში კი, აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეული მედ-გრად შეჯახება და მოურიდებლად თავისი აზრის თქმა უფრო ეხერხებოდა. ამ შემთხვევაში, არ დაგიდევდათ: მოგეწონებო-დათ მისი ასეთი მანერა მსჯელობისა თუ არა.

* * *

სრულიად გარკვეული პოზიცია ეკავა ილიას თავადაზნაურ კითხებთან. არსებითად იგი არავითარ ფასსა არა სდებდა ამ ხარისხებს. იმისათვის ეს ნაწილი ქართველი ერისა იმდენად იყო საყურადღებო, რამდენადაც იგი მიწაზე ეწეოდა სათანა-დო შრომას და გლეხებთან ერთად შემნახველი იყო საქარ-თველოს ტერიტორიისა და ისტორიული ტრადიციებისა. მისი წარმოდგენით: ეს წოდება, სწავლით და ცოდნით აღჭურვი-ლი, ამ უამად ფაქტიურად ყოველ პრივილეგიას მოკლებული, ჩვენში, თანდათან, ქართველ ფერმერებად იქცეოდა და ამით სასოფლო მეურნეობის აყვავებაში თავის დადებით როლს ითამაშებდა... დიდი მომხრე იყო ილია იმ თავითვე ისეთი სა-სოფლო მართველობა დაწესებულიყო ჩვენში, სადაც ყვილა წოდება ერთუფლებიანი იქნებოდა, თავადაზნაურობასაც ყვი-



ლა ის გადასახადი ეხადა, რაც იმ დროში მარტო გადასახადებს ედოთ. ერთს უღელში მოქცევით და საერთო საქმეებზე ზრუნვით უნდა მომხდარიყო ამ წოდებათა დაახლოვება და იმ ხიდის გამთელება, რომელიც ჩატეხილად მიაჩნდა. ამნაირი თანამშრომლობა, მისი აზრით, დამყარდებოდა ე. წ. „ვსე-სოსლოვნოე“ სასოფლო მმართებლობის საშუალებითაც...

ილია ერთ დროს მეტად გატაცებული იყო ჩვენი გლეხობისათვის მეტად სახეირო პროექტით, რომელიც, არ ვიცი ვისი შთავონებით, მოუვიდა ფიქრში ტფილისის გუბერნატორს შერვაშიძეს...

გუბერნატორის ფიქრი საკმაოდ მარტივ იდამინისტრატიულ ზომას გულისხმობდა: გლეხებს ყოველ-წლიური მოსავლის ერთი ნაწილი უნდა გადაედოთ და ამით მოემარავათ საკვები ფონდი მოუსავლიან პერიოდებში. ილიამ გააფართოა შერვაშიძის აზრი და მოიწადინა ამნაირი ფონდით გლეხებისათვის გაეჩინა მათვეის საკუთარი სახსარი, საიდანაც ქართველი გლეხობა დაიკმაყოფილებდა სხვაგვარ მოთხოვნილებათაც, როგორიც არის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, ინვენტარის შეძენა და მთელი რიგი კულტურული ზომები. დიდი მუყაითობით შეუდგა ილია დებულების შედგენას და ამ საქმეში, მახსოვს, უახლოესი მისი თანამშრომელი ილექსანდრე ყიფშიძე იყო, საუცხოო მცოდნე საგლეხო დებულების და ქანონებისა.

იმ პროექტით მართლაც დიდი საქმე უნდა გაკეთებულიყო. ილია გატაცებით იტყოდა ხოლმე: — თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, ჩვენი გლეხი სხვის თვალში შემაცევერალი იღება. ათეულ წელში მილიონები დაუგროვდება და იმ წესდების ძალით თავის მდგომარეობას თვით გააუმჯობესებსო.

საუბედუროდ, ამ პროექტებიდან არა გამოვიდა რა. როდესაც გუბერნატორმა წესდება თავის უმაღლეს მთავრობას წარუდგინა, იქიდან შემოუთვალეს, რომ თავის ქერქში დამდგარიყო და ამისთანა პროექტებისთვისაც თავი დაენებებინა. რაღა თქმა უნდა, იმ მთავრობის ინტერესს სრულებითაც არ შეადგენდა: ღონიერი, მისგან დამოუკიდებელი და თვითმართველი გლეხური საზოგადოება საქართველოში გაჩენილიყო. რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია მას, რომ ყოველი ქართული დაწესებულება, თუ კოოპერაცია და-



მოუკიდებელი ყოფილიყო რუსების ხაზინისაგან, შემდგრევა
მაგალითებითაც ვნახავთ.

* * *

ერთ დროს გაღვივდა საქართველოს ეპლესის ავტოკეფალიის საკითხი. ვიღაცა დიდმა სასულიერო პიროვნებამ სთქვა, ჩენ მღვდლებს რუსებისაგან ეხლა ჯამაგირი რომ მოსდით, თუ მოესპოთ, იქნება უარიც კი სთქვან ავტოკეფალიაზე. ამაზე ილიამ შენიშნა ყრილობას, რომ ყოვლად დაუშვებელია მაგ ჯამაგირების დატოვება, ვინაიდან, იცოდეთ, ვინც ფულს იძლევა, ბატონიც ის არის, და მაგისთანა პირობებში ავტოკეფალიაც კაპეიკად არ ეღირებაო..

ილია, რაღა თქმა უნდა, დიდი მომხრე იყო ჩენში ერობათა დაწესებულების შემოღებისა. მისი რწმენით, შემოვიდოდა თუ არა ჩენში ეს რეფორმა, თავადაზნაურულ კრებულებს ყოველი მნიშვნელობა დაეკარგებოდათ, რადგან ერობაში შეერთებული ყველა წოდება და მდგომარეობა უფრო ფართე შესაძლებლობით იზრუნებდენ საერთო კითხვების მოსაწესრიგებლად, ვიდრე რაღაც დახავსებული და უღონო თავადაზნაურული დაწესებულებანი. ამათ ფასი აქვთ, ისიც ძალიან მცირე, მანამ ერობა შემოვა და შემდეგ კი არავისათვის საჭირო აღარ იქნებიან...

* * *

კერძო საქუთრების მომხრე და დამცველი ილია პრინციპი დაუშვებლად სთვლიდა ძალით მის დარღვევას, მათიალურად დაუშვებლად სთვლიდა სათანადო კანონი, რომელიც ამ საქუთნამ არ გამოვიდოდა სათანადო კანონი, რომელიც ამ საქუთნაში მოსპობდა. ამ შემთხვევაში ილია გამოდიოდა, როგორც რებას მოსპობდა. ამ შემთხვევაში ინსტიტუტის, რადგან მას სთვლიდა შეგნებული მომხრე ამ ინსტიტუტის, რომელიც ზრდისათვის და, მგონი, აგრძელდეს სტიმულად წარმოების ზრდისათვის და, მგონი, აგრძელდეს კანონიერებაზე. თავადაზნაურული ულტრა-არისტოკრატიული ფენები (ასეთები ძალიან მცირე იყო) — ილიას რატიული ფენები (ასეთები ძალიან მცირე იყო) — ილიას სწყალობდენ, არ უყვარდათ იგი დემოკრატიული პზროვან სწყალობდენ, არ უყვარდათ იგი დემოკრატიული პზროვან გამო. სხვათა შორის, ცნობილია, რომ ჩენი მოღვაწე მომხრე იყო თავად-აზნაურთა კრებებისათვის ცენზი ყოფი-



ლიყო შემცირებული, რათა ღარიბ წევრთაც შესძლებოდა მიეღოთ მონაწილეობა ყრილობაზე. იგი ყოველთვის მნიშვნელერდა ისეთ სამარშლოდ მოწვეულ კანდიდატს, რომელიც შეგნებულად აფასებდა ქართულ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. როდესაც კენჭის ყრა ხდებოდა, მხოლოდ იმისათვის მოვიდოდა, რომ არა სასურველი კანდიდატი არ გასულიყო. ისე კი, ამ წოდების კრებებს იშვიათად ესწრებოდა... ჩემს ხსოვნაში, მას არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ თავადაზნაურულ ოფიციალურ დეპუტაციაში...

სრულიად გასაგებია ილიას განზე გადგომა ამ შემთხვევაში. მან კარგად იცოდა თვითმპყრობელობის და მისი აენტების მოქცევა საქართველოსადმი. თავის დროზე ილიამ მოგვაწოდა ასეთი ირონიით სავსე დახასიათება თავადაზნაურებისა და მინისტრებისა:

„ჩვენმა თავად-აზნაურობამ, გულ-დაჯერებულმა (რა კაი გულისანი ვართ!), რომ მინისტრები მართლა ქვეყნის ამბების შესატყობად მოსულან, ხელთ იგდო დრო და მინისტრს შეატყობინა ჩვენი ქვეყნის დარღი“...

* * *

ილია თავისი ჩვეულებებით უაღრესად სადა და თავმდაბალი ადამიანი იყო. მე ვიტყოდი, რომ მას ბოლომდე რაღაც სტუდენტური შერჩა. სტუდენტურ ხასიათს ღებულობდა მის სახლში გამართული საღამო-ვახშმები; სტუდენტობა იყო ცხარე კამათი და ილიას ამ კამათში ჩაბმა-შეჯიბრება, ხშირად გაჯიუტებაც და თავისი ნათქვამის ძნელად დათმობა. საჯარო კრებებზე შეკამათების დროს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა მოპირდაპირეთა მიერ ერთმანეთზე სასტიკი იერიშების მიტანა, ყოველი ღონის და ხერხის მოხმარება, რომ მოწინააღმდეგეს აზრი უნიადაგო, ულოლიკო და საქმისათვის მავნებლად ეჩვენებინათ. ამნაირი ეფექტურების მოსახდენად ილიას საშუალებათა დიდი არსენალი ჰქონდა დაგროვილი, ორატორული ხერხი იქნებოდა იგი, თავისი აზრის საბუთიანი და ურყევი ანალიზი, თუ სხვისი აზრის გაკილვა და აგდება და სხვა ამის-თანები. მხოლოდ ერთი რამ იყო ილიასათვის მიუღებელი — მისი პიროვნების შეურაცყოფა! აქ თვითონაც კარგავდა ხოლო — მე წონასწორობას და მოპირდაპირესაც აღარ დაინდობდა.

მომხდარა, რომ ამნაირი პირადი შეჯახება დუღლითა და გადასაცემა
უთავებია...

გაძეთ „ივერიის“ თანამშრომელი მანსვეტაშვილი — დობ
იაგო — ერთს ამბავს გადმოგვცემს, რომელიც გვიჩვენებს,
როგორ შეიცვალა ილიაში მაჩაბლისადმი მამაშვილური თუ
ამხანავური სიყვარული მათი საბოლოო დაშორებით. ილიამ,
თურმე, ხელი არ მისცა და თავის სახლიდან დაითხოვა ვიღაც
მეგაზეთე, რომელმაც უმსგავსო და ვანო მაჩაბლის პიროვ-
ნებისათვის შეურაცყოფელი წერილი დასტამბა თავის უურ-
ნალში: — „მე არა მსურს ხელი გავუწოდო იმას, ვინც ჩემს
მეგობარს შეურაცყოფა მიაყენა“—ო. ამნაირად, იგი მტკიცნეუ-
ლად იტანდა არა მხოლოდ თავისი პირადობის შელახვას,
არამედ მეგობრისასაც და ამისათვის თავსაც კი გამოიდებდა
ხოლმე...

* * *

ილიას უყვარდა კრებებისა და სხდომების გათავების შემ-
დეგ თავის მეგობრებთან ერთად ევაბშმა, შინაურულად, რო-
მელიმე რესტორანში. რამდენჯერმე შემთხვევით დავესწარი
მეც ამნაირ შინაურულ პურის ჭამის. ერთ დღეს ვაბშმობდით,
მტკვარს რომ გადაცყურებს, იმ რესტორანში. ილია თავისე-
ბურად გემრიელად შეექცეოდა თევზსა და ცივად დედალსა.
ამ ორ კერძს იგი უდანასწანებულოდ, პირდაპირ ხელით იგემებ-
და ხოლმე, თუ უცხო არავინ ერთია კამპანიაში. ჭამის დროს
მხიარული ოხუნჯობა და თან სერიოზულ თემებზე გადასვლა
იცოდა: სიმღერის დროს ილია ყოვლად უმწეო იყო, თუმცა
არ იშლიდა და მრავალ-უამიერის დროს ამარდ ცდილობდა
თავისი ხმა შეეტკბილებინა ხოლმე.

ერთხელ, ამნაირ დროს გატარებაში რომ ვიყავით, ჩვენს
მეზობლად, მეორე ოთახში, მეორე კამპანია ლხინობდა; მათ
უკვე გაჭერებული ღვინის სმა ჰქონდათ და იქიდან ერთი
ღრიანცელი მოისმოდა. მეზობლებმა შემოგზავნეს „დეპუტა-
ცია“ და რა გაეგოთ ილიას იქ ყოფნა, მისი სადღეგრძელო
გადმოგვცეს. თავაზიანობა მოითხოვდა მაღლობა ამ წესითვე
გადაგვეხადა და აი ჩვენ ოთახიდანაც წავიდნენ ჩვენი წარმო-
გადაგვეხადა და აი ჩვენ თავისი კომპანია ერთობენ შეერთებუ-
ლები. ჩვენები რომ დაბრუნდენ, ილიას გადმოსცეს
იქაურების თხოვნა, რომ ორივე კომპანია ერთად შეერთებუ-



ლიყო. ილიამ რომ გაიგო დ. კეზელის იმ ოთახში ყოველწლიურად განაცხადა, რომ იგი მასთან პურს ერთად არა სქამს და უარი სთვეა მათ შემოერთებაზე...

დ. კეზელი, ნიჭიერი, ფელეტონების შემთხვეველი, მეტ წილად რუსულ და რუს-სომხურ გაზეთებში თანამშრომლობდა. იგი არასთერს ერიდებოდა, რომ თავის ნაწერებში ქართული საზოგადო საქმიანობა და მოღვაწენი სასაცილოდ იყვდო.

ამას კი ილია არავის აპატიებდა!

მასსოვს კიდევ ერთი ამისთანა ვახშამი, მეორე ალაგას. ჩვეულებრივი ქართული გემრიელი სუფრა, ილიას ხალისიანი ლაპარაკი, მშვიდობიანი დროს გატარება. ვიქნებოდით ექვსიოდე კაცი. უცბად მოგვესმა ერთი საშინელი ღრიანცელი და ყვირილი: მიშველეთ, მიშველეთ! რალაც სკანდალი ხდებოდა ჩვენგან ცოტა მოშორებით მყოფ კაბინეტში. რავი იმ აღამიანის ვეღრება არა სცხრებოდა, ჩვენებმა ვერ მოითმინეს და გავარდენ ამბის გასაგებად. ილია და მე მარტოკა დავრჩით ჩვენს ოთახში. „მიშველეთ“, „მიშველეთ“-ის ძახილი კვლავ გაისმოდა. ახლა მე ვეღარ მოვითმინე და მეც გავარდი იქით, საიდანაც მოისმოდა ყვირილი და სახტად დავრჩი იმ სანახაობით, ჩემს თვალწინ რომ იშლებოდა:

საქმაოდ გრძელ მაგიდას უვლის ერთი დაფეთებული ყმაწვილი კაცი, ძახილით: „მიშველეთ!“ და მას კვალდაკვალ მისდევს გამხეცებული, ხანგალ-ამოღებული ადამიანი ყვირილით: „არავინ მომეკაროს, თორემ ამ ხანგალს მას ჩავსცემ!“. მათი ამხანაგ-მოქეიიფენი, გაფითრებული უძრავად დგანან და არაფრით შველიან სასიკვდილოდ განწირულ კაცს! მთელი რესტორანის სხვა ძლიერები და ლაქია-მხარეულებიც-კი შეჯუფულან შესავალ ღია კარებთან და შიშობენ მიეშველონ საცოდავს.

ამ საერთო უბედურობის დროს, უცბად, ვიღაცამ მკრაუქანიდან მხარი, წინ გააპო უშველებელი ხროვა კარებში მდგომ მაყურებლებისა და თამამად შევარდა იმ ოთახში, სადაც მკვლელობა უნდა მომხდარიყო, განცვითრებული ვხედავ, რომ ეს ადამიანი ჩვენი ილია იყო! შეშმა ამიტანა. ერთი თვალის დახამხამებაზე ილია მიუვარდა ხანგალ-ამოღებულ კაცს, სწვდა მკლავში ხელი და შესძახა: „თუ ჩემი პატივისცემა გაქვს, ეგ ხანგალი მე მომეცი!“. ამ ძახილშე და ილიას

დანახვაზე იმ ოთახში სწორედ რაღაც სასწაული მოხდება; მამ
მგელივით გამხეცებულმა, ეტყობა, იცნო ილია, და უცებ ისე
მოდუნდა და ისე ჩაიფუყა, რომ ბავშვივით დაემორჩილა
ილიას და ხანჯალი ჩააბარა. ამით გადურჩა ის უცნობი ყმაწ-
ვილი სიკვდილსა და ეს მოხდა მხოლოდდამხოლოდ ილიას
ვაჟკაცური გაბედულობით. იმოდენა ხალხში მხოლოდ მან გა-
მოიდო თავი. მართალია, თავისი თავი დიდ საფრთხეში ჩააყე-
ნა, მაგრამ ეს მან არაფრად მიიჩნია, ოღონდა ეცალნა აღამია-
ნის სიკვდილიდან გადარჩენა. ყველა ეს, როგორც ვსოდეთ,
მოხდა ერთი თვალის დახამხამებაში...

* * *

მაგონდება ილიას სხვა ხასიათის დროს გატარებაც. სულ
პირველად ტფილისში, იმის ბინაზე, ყოფ. ნიკოლოზის ქუჩა-
ზე. მე მაშინ სტუდენტი ვიყავი და ილიას ასე ახლოს ნახვაც
პირველი იყო ჩემგან. მასპინძელი დიდი თავაზიანობით და
გულუხვობით უხვდებოდა თავის სტუმრებს. ახალწლის მიე-
ბების ღამე იყო და უხვად, თუმცა უპრეტენზიოდ, გაშლილ
სუფრის ირგვლივ ჩვენ უურნალისტ-ლიტერატორებს მოეყა-
რათ თავი. ზოგი მათგანი პირველად იქ გავიცანი. აგრე მხცო-
ვანი რაფიელ ერისთავი, იგი ქართული ენის ცენზორი იყო იმ
დროს. იქვე ნიკო ხიზანიშვილი, ყიფშიძეები, სტეპან ჭრელა-
შვილი, „ივერიის“ ყველა თანამშრომელი, კოლა ერისთავი, რო-
მელმაც ზეპირად იცის ყველა ჩვენი დიდი მგოსნების ნაწარმოე-
ბი და სხვები, რომელთა სახელები ახლა აღარ მაგონდება. ღა-
მის 12 საათმა რომ დაპქრა, გაიღო კარები და შემოვიდა სასა-
დილოში „ივერიის“ ასოთამწყობთა დეპუტაცია. მათ თან მორ-
ტანეს, ის-ის არის, ახლად დაბეჭდილი „ივერიის“ საახალწლო
ნომერი, მიართვეს ილიას და თეფშზე დალაგებულ ღვინით
სავსე ჭიქებით, მუშა-ასოთამწყობთა მონდობილობით, ადღე-
გრძელეს ჩვენი დიდი მწერალი. ილიამ ხელახლად გაავსო
მათი მოტანილი ჭიქები და თვითონაც ადღეგრძელა ტკბილი
და თბილი სიტყვებით სტამბის მუშები.

სუფრის თამადათ ჩვენი დაუვიწყარი რაფიელი იყო. ილია
მივიდა მასთან ალავერდით და ახლად მოტანილი „ივერიის“
ნომერიც მას გადასცა. მხცოვანმა მგოსან-თამადამ მოითხოვა
ვერცხლის თასი, შიგ ჩადო თთხად დაკეცილი სველ-სველი გა-



ზეთის ნომერი და ზედ წითელი ყვარლის ღვინო დაასჭიულებული ნიერი და ოხუნჯური სიტყვა წარმოსთქვა ტოლუშაშვა, ადღეგრძელა გაზეთი და თასი ჩამოგვიტარა ყველას, თვითეულს ისე დაგვალევინა ღვინოსა და გაზეთის წვენი, თითქო ზიარებას გვაწვდიდაო. სუფრას ლამაზ სიტყვებთან და მრავალუამიერთან ერთად ალაზათებდა კოლა ერისთავის არტისტული დეკლამაცია ჩვენი პოეტების ნაწარმოებიდან. როდესაც მან „თორნიკე ერისთავი“-დან გადმოგვცა ერთი საუკეთესო ალაგი, წამოდგა მაშინ ჩვენი მასპინძელი, ილია და აღტაცებით სთქვა: — „ბატონებო, ვადღეგრძელოთ საესე ჭიქით ის ადამიანი, რომლის კურთხეულმა მარჯვენამ დაგვიწერა ეგ მშეენიერი ნაწარმოები, — ჩვენი ძვირფასი მგოსანი აკაკი!...“

ერთხელ ანტონ ფურცელაძემ ვახშმად დაპატიჟა ილია თავისი მეგობრებით; თანაც მასპინძელი თავისი ახალი ნაწარმოების წაკითხვასაც აპირებდა. კარგა ბლომა ხალხმა მოიყარა თავი იმ ნადიმზე; სულ უურნალ-გაზეთებში მომუშავენი იყვნენ, ცნობილნი თავისი დამოუკიდებლობით, და თუ გნებავთ, „რადიკალობითაც“. აქ იყვნენ ნიკო ხიზანიშვილი, ყიფშიძეები, ეგნატე იოსელიანი, სტ. ჭრელაშვილი, ი. ბაქრაძე და ბევრი სხვაც. ერთი სიტყვით, სულ „რაზნოჩინცები!“

ნიკო ხიზანიშვილი, თავის ჩვეულების მიხედვით, როგორც ანტონის შინაური კაცი, წამდაუწუმ სამზარეულოში შეჰყოფდა თავს და იქიდან უფრო და უფრო აღტაცებული გამოვიდოდა ხოლმე. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ნიკოს გემრიელი პურის ჭამა უყვარდა და ცდილობდა წინასწარ თვალი მოეტყუებინა იმ საჭმელების ხილვით, რაც ანტონისას მზადდებოდა. სწორედ ამ დროს გულუხვემა მასპინძელმა მიმართა ილიას: — „ვახშამი მზად არის, მაგრამ მე მინდოდა გამეგო, როგორ მოისურვებთ: ის ჩემი თხზულება ვახშმის წინ წავიკითხოთ, თუ ვახშმის შემდეგ“-ო. ამ სიტყვის გაგონებაზე წამოვარდა ხიზანიშვილი და ასეთი პროტესტი განაცხადა: — როგორ შეიძლება ანტონის ნაწარმოები ვახშმის წინ მოვისმინოთ! იქ, სამზარეულოში იმოდენა გემრიელი რამ მზადდება, რომ აუცილებლად ჯერ მათ უნდა მოვუაროთ! მერე, შეილოსან, მე რომ ჩემი აცყიაობის ამბავი ვიცი, იმ შენ, ნაწარმოებში თუ რამე არ მომეწონა, ხომ არ შემიძლია, თუ



ჩემებურად არ გავშოლტე ავტორი! ამას კი შედეგად, თავისი იცის, რა მოჰყვეს! რომ გოჭები და ინდოურები აღარ შევგვი-
რთვას და ცარიელ მწვადზე და მუავე მერეთულ არბოულ
ღვინოზე გადაგვატაროს განრისხებულმა ავტორმა! ამიტომ
მე წინადადებას ვიძლევი: მოთხრობა ვახშმის შემდეგ იყოს
წაკითხულიო. საერთო სიცილის დროს ახლა ილიამაც დაუ-
მატა: — მე კი ეს ვიცი, რომ კარგი ნაწარმოები თავის ღირ-
სებას არც ვახშმის წინ დაპკარგავს და არც მის შემდეგა!
ჩვენ მასპინძელზე მიგვინდეთ, როგორც სურდეს, ისე მოიქ-
ცესო. მხიარულმა სუფრამ გათენებამდე გასტანა! რასაკვირ-
ელია, არც ანტონს, არც იმის სტუმრებს ლიტერატურული
მხარე საღამოსი აღარ მოჰყონებიათ...

საგურამოში „ილიობას“ მხოლოდ ერთხელ დავესწარ. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის ხალისი, თავაზიანობა და ნამდევილი სტუმართ-მოყვარეობა, რომლითაც ილია და მისი ღირსეული მეუღლე ოლღა უხვდებოდენ უამრავ სტუმრებს, ყველას ერთნაირად და განურჩევლად. პურის ჭამის დროს ილია სულ გარს დასტრიალებდა სტუმრებს და ემსახურე-
ბოდა მათ; ყველასათვის ჰქონდა თითო რამ სათქმელი სიტ-
ყვა, დიდი იყო თუ პატარა, გლეხი იყო, თუ ვინმე წარჩინე-
ბული. ეტყობოდა, თვითონ ილიას გლეხებთან ყოფნა ეხალი-
სებოდა, მათთან პურის ჭამაც, მათთან ჯამით ღვინის დალევა
და მათთანვე გამობაასება.

ცნობილია, რომ ილიამ მამაპაპური ყმები თვითონ გაათა-
ვისუფლა უსასყიდლოდ და როცა საგურამოში დასახლდა,
მხოლოდ ისეთი მიწები აარჩევინა თავის მეუღლეს, რომელ-
ზედაც არც ყმებს და არც ხიზნებს არასოდეს არ უცხოვრიათ.

ილია, ეტყობა, იმითაც იყო ამაყი, რომ ყოველ გლეხს,
როგორც თავისთან სწორს, ისე გაუყრიდა თვალში თვალსა,
რადგან იგი თავის სახლში მხოლოდ მესაკუთრე იყო და არა
მებატონე. ილია არცა მალავდა, რომ იმისი სრული მიღრეკი-
ლება კერძო საკუთრების ინსტიტუტისაკენ იყო. ეს თავისი
რწმენა, მან, თავის დროზე, ჩამოაყალიბა: „კერძო საკუთრე-
ბა, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბეჭნიეროდ
თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივ-
ში“. თვით აბობოქრებულ რევოლუციის ხანაშიც-კი ილია მო-
ურიდებლად და გაბედულად ჭადაგობს საზოგადოების საკე-



თილდლეოდ კერძო საკუთრების პრინციპისაღმი ფრთხოების
მოქცევას და ამბობს, სხვათა შორის, რომ არავის აქვს ნება:
„თქვენს მამულზედ ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო
საკუთრება ჯერ კიდევ ქვეყნითხედათ უდევს, არამც თუ რუ-
სეთში, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნი-
სას მთელ დედამიწის ზურგზე“...

საგურამოში ყოფნის დროს ვხედავდი, რა განსაკუთრებუ-
ლის ყურადღებით ისმენდა ილია გლეხების ლაპარაკს, მათ
მახვილ სიტყვიერებას და მათ გამოთქმათ. საზოგადოთ ილიას
ემჩნევოდა ჩვენი გლეხის იდეალიზაცია და როგორც ჩვენი
ერის მთლიანობის გამომხატველი, პირდაპირ ამაყობდა გლე-
ხების „ღრმა აზროვნებით“.

და სწორედ ამ გარემოებას უდებდა საძირკვლად იმ დიდ
იმედებს, რომელსაც საქართველოს მომავალი უსახავდა მას. ნასწავლმა კაცმა, რაც გინდა ჭივიანი სიტყვა სთქვას, მეტწი-
ლად, სულ წიგნებიდან არისო, იტყოდა ილია, საქმე ერის
სიღრმიდან ამოსულ გონივრებაშია, აქ არის ერის მომავალი
და ფუძე იმ მშენებლობისა, რომლის აგებასაც ერი მოახდენ-
სო. ისტორიასაც ხომ ყველა ერთადა ჰქმნისო და ილიამ, ჯერ
კიდევ 1888 წელსა სთქვა: „ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი,
ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი
ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპანი, რომელთაც თავისი
სახელი, ასე თუ ისე, მოუქცევიათ, ყველას მამა-პაპაა საერ-
თოდ და განუყოფელად“... გლეხებისაღმი გულწრფელი თანა-
გრძნობა და სიყვარული ილიას ამ სიტყვებიდანაც სჩანს:
„გლეხო, ბევრს რამეს მოკლებული ხარ, ბევრი რამე წართმე-
ული გქონდა და მარტო ერთი პატიოსანი და ნამუსიანი სა-
ხელი-ღა შეგრჩა“—ო...

* * *

როგორც ზემოდა ვსთქვით, „ივერიის“ რედაქციაში თი-
თქმის ერთი წელიწადი ვმუშაობდი. ჩემი გულის წადილი,
რომ ჩემს სპეციალობაში დამეტყო სამსახური, ჯერ კიდევ
აუსრულებელი რჩებოდა და მეც ვისარგებლე მოულოდნელი
შემთხვევით, როცა ერთშა ჭართველმა დიდმა მოხელემ სამი-
წათ-მოქმედო სამინისტროში, მამა-ჩემის შორეულმა მონათე-
ნავემ, აღმითქვა თავის უწყებაში გამწესება. ეს მართლაც

იშვიათი შემთხვევა გამომიტყვერა: იგი მაძლევდა იმყდას; ასეთა
მოვახერხებდი როგორმე საზღვარგარედ მივლინებას. როდე-
საც მოხელედ გავხდი, არ შემიწყვეტია, დრო-გამოშვებით,
გაზეთის თანამშრომლობაც, რასაკვირველია, უსასყიდლოდ.
ილიას მხოლოდ ბანქში ვხვდებოდი ხოლმე. იქვე ვხედავდი
ჩვენს მხცოვან რაფიელ ერისთავს; იგიც, როგორც მე, ბან-
კის ზედამხედველი კომიტეტის წევრი იყო.

ერთს სხდომაზე რაფიელმა გამოაცხადა, ცენზორობას თავს
ვანებებ და აბა ჩემს მოადგილეზე იფიქრეთო. მე არ მიმიქ-
ცვერა, მაინცდამაინც, დიდი ყურადღება ამ კითხვისათვის და
ისე შორიდან-კი მესმოდა, ზოგი ერთს ასახელებდა, ზოგი —
მეორეს, სულ საზოგადო მოღვაწეთა წრიდან. იყო ლაპარაკი
ჩვენს მწერალ ანტონ ფურცელაძეზედაც.

გაიარა კარგმა ხანმა რაფიელის განცხადების შემდეგ; ერთ
დღეს შემოვიდა ჩემსას ჩემი ახლო ამხანაგი X... კონ-
ფიდენციურად გამომიცხადა, რომ საცენზურო კომიტეტ-
ში მას ჰყავს ახლო ნათესავი, რომელიც საგანგებოდ მი-
სულა მასთან და უთქვამს: რაფიელ ერისთავი ღრმა მოხუ-
ცებულობის გამო იძულებულია ქართულ ცენზორობას თავი
დაანებოს, მთავრობა ახალ კანდიდატს ეძებს; გადაწყვეტილია,
რომ იგი ყმაწვილი კაცი უნდა იყოს, უმაღლესი სწავლის დი-
პლომით აღჭურვილი; თუ ქართველებმა ამისთანა კანდიდატი
წამოაყენეს, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ვინმე... მო-
ვერ წამოაყენეს, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ვინმე... მო-
ხელე დანიშნოს ქართულ ცენზორად. ამ გარემოებამ უნდა
დაგაფიქროთ ქართველები და საჭირო ზომები მიიღოთო. ბო-
ლოს იმ ნათესავმა თვით ჩემს ამხანაგს შეაძლია რაფიელის
ადგილი და თანაც გამოუცხადა, რომ სადაც ჯერ არს იგი
დაეკითხა და იქ დაარწმუნეს, რომ დაუყონებლივ იქნე-
უკვე დაეკითხა და იქ დაარწმუნეს, რომ დაუყონებლივ იქნე-
ბი დამტკიცებულიო. ამ განცხადებამ ძალიან ამაღლვა. ყოვ-
ლად შეუძლებლად მიმაჩნდა არა-ქართველის ცენზორად და-
ნიშნა და მეტადრე მოხელე-ჩინოვნიკისა. ვინ იცის, ვინ იქნე-
ბოდა გამწესებული რაფიელის მაგიერ! ეს კატასტროფა იქნე-
ბოდა ჩვენი პერიოდული და არა პერიოდული გამომცემლო-
ბისათვის. ამიტომ როცა X დამეკითხა: რას მირჩევო, მე ვუ-
პასუხს: „ფიქრი და ყოყმანიც-კი არ შეიძლება, უნდა დასთან-
ხმდე“-თქო. იმ ჩემს მეგობარს ეფიქრებოდა, რადგან ქარ-
ხმდე“-თქო. იმ ჩემს მეგობარს ეფიქრებოდა, რადგან ქარ-

სარგებლობის მაგიერ, უნებლიერ რამე ზანდ მივაყენო
 გაზეთ-ურნალებსო. ამაზე მე მას აღვუთქვა ხომ ყოველ
 დღე იმის განკარგულებაში ვიქნები, რომ ამ შეიც დავეხმა-
 რო ხოლმე. განვმორდით და მე სრულიად უჩქმუნებული
 ვიყავი, რომ ქართული ცენზორობის კრიზის საკეთილოდ
 იყო ამოწურული. მაგრამ მეორე დღეს კვლავ მინახულა X-მა
 და მაცნობა, რომ ვერ ბედავს ხელი მოკიდოს ჩაფიერის მე-
 მკვიდრეობას, რადგან არც ლიტერატურას უწობს კარგად
 და არც საჭირო ენის ცოდნა აქვს. ამიტომ სკა კანდიდატი
 უნდა ვეძებოთო. წავიდა ამ სიტყვით; თვითონც შეწუხებუ-
 ლი. საღამოს კვლავ მინახულა. ვისარგებლე ა შემთხვევით
 და დავუწყე ხელახლად ჭიჭყინი; ვუსაყველურ ისიც, რომ
 იგი თავისი ყოყმანით ჩენ საზოგადო ინტერესებს არ უწევს
 ანგარიშს; ვინ იცის, ეხლა ვის დანიშნავენ ჩაფიერის მაგივ-
 რად და სხვა... ამ სიტყვებზე X-მა უცბად მომიკრა: მე ვიც-
 ნობ ერთ ადამიანს, რომელიც იქნება მიღებული მაგ ადგილ-
 ზე, თუ კი დათანხმდა. აბა ვინ? ვინა და შენა, ჩემო გიორგი!
 მე უკვე ველაპარაკე იმ ჩემს ნათესავ კაცს, უამბე შენი ვი-
 ნაობა და თავის უფროსთან მოლაპარაკების შემდეგ, ეს არის
 მაცნობა, რომ ვეცდები უურული იყოს დამტკიცებული მის
 სამსახურშით. ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი; უცბად
 მივხვდი, რომ რასაც ჩემს ამხანაგს ვურჩევდი, ჩემთვის მიუ-
 ღებელი იყო და ცოტა არ იყოს, გულში მრცხვენდა, რომ
 ისე ვუადვილებდი X-ს ცენზორობას. ერთად ერთი გამოსა-
 ვალი დამრჩა: გვენახა ორივეს ილია და გვეამბა დაწვრილე-
 ბით ყველაფერი ეს. მე კიდევ ვიმედოვნებდი, რომ ილია და-
 აჯერებს ჩემს მეგობარს და მე ამცდება ამ საქმეში ჩაბმა.

ილიამ როცა გაიგო საქმის ვითარება, კატეგორიულად გა-
 მოგვიცხადა: — ერთ-ერთი უთუოდ უნდა დათანხმდეთ, ჩვენ
 სხვა კანდიდატი არავინა გვყავს და რომ იყოს კიდეც, ვინ
 იცის, დამტკიცებენ თუ არა! ამასთანავე დასძინა: — ეს კი
 იცოდეთ, რომ ძალიან არასასიამოვნო და სასიფათო თანამ-
 დებობაა და სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ იქ ჩვენი
 კაცი გვყავდეს. საცენზურო კომიტეტს ისეთი სასტიკი ცირკუ-
 ლიარები მოსდის, რომ ცენზორი ვალდებულია „მამაო ჩვი-
 ნო“-ს ზოგიერთი ალაგებიც კი აღკრძალოს, თუ უნდა ერთგუ-
 ლი მოხელეობა გამოიჩინოს. ამასთანავე ცენზორს სულ მუ-



დამ საქმე ექნება ისეთ უმაღურ ხალხთან, როგორც ჩვენი კულტურული ტერიტორები ვართო: რაც უნდა შეღავათით მოგვეპყვიტებული უნდა, ჩვენ მაინც იმის ლანძღვაში ვართ და ამას-კი ატანა უნდა და გულთან ახლო არ მიტანა. კვლავ დასძინა, რომ ერთ-ერთი უნდა დასთანხმდეთო...

რაღა სიტყვა გავაგრძელო, ბოლოს ქართული ცენზორობა მე მომახვიდეს თავსა. საწყენი კიდევ ის იყო, რომ ვხედავ-დი, სამუდამოდ უნდა გამოვთხოვებულიყავი აგრონომიულ დარგში გაწრთვნას და მუშაობას. სწორედ ასეც დამემართა. ცენზორობის შემდეგ ჩავები მუნიციპალურ მოღვაწეობაში, რომელსაც მთელი 22 წელიწადი შევსწირე, თუ რამე სპეციალობა შევიძინე — ეს იყო მუნიციპალური საქმე... აქ უალა-გო იქნება ჩემი ცენზორობის დროს ყველა ამბის მოტანა. აღვნიშნავ იმ ეპოქიდან მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც, ასე თუ ისე, დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძესთან.

*

* * *

რაյი პირადათ ჩემს თავს ვრაცხდი, როგორც საიდუმლოდ მიგზავნილ დელეგატს საცენზურო კომიტეტში, ყოველი ჩემი მოქმედება იქ, ამ გარემოებას დავუქვემდებარე. რასაკვირველია, ეს ჩემი ახირებული „დელეგატობა“ დიდ საიდუმლოებას შეადგენდა ილიასა, X-ის და ჩემს შორის; იგი არც არავის უნდა სცოდნოდა, თორემ ყოველი აზრი დაეკარგებოდა ჩემს გამწერებას. იმ ხანობად მთავარმართებლად კავკასიაში ახლად დანიშნეს თ. გოლიცინი. ბუნებრივი იყო, ქართველობას გაეგო: რანაირი მინდობილობით და რაგვარი წადილით გამოგზავნილი ჩვენში ეს დიდი რუსთ ბობოლა მოხელე. იყო გამოგზავნილი ჩვენში ეს დიდი რუსთ ბობოლა მოხელე. განსაკუთრებით გვაიტერესებდა, მის ბრძანების დროს მიეცე-მოდა რაიმე ოდნავი შეღავათი მაინც ჩვენ, ქართულ, საზოგადო საქმიანობას თუ არა? ამაზე ხშირად ჩამოვარდნილა ლაპარაკი, ილიას დასწრებით, როგორც ბანკის კომიტეტის და გამგეობის სხდომებზე, ისე სხვაგანაც. თქმა არ უნდა, რომ გამგეობის სხდომებზე, ისე სხვაგანაც. თქმა არ უნდა, რომ გამგეობის ილიას და არც სხვებს არავითარი ილუზიები არ ებადე-ბოდათ, მაგრამ გოლიცინის ფიზიონონომიის სახალხო გამოაშეა-ბოდათ არ იყო მაინც ინტერესს მოკლებული. ამ მიზნის მი-რავება არ იყო მაინც ინტერესს მოკლებული. მიღება: ილია დასწრებს მეთაურს, სადაც მშვიდობიანის კილოთი

აღნუსხავს ყველა ქართველისათვის სავარამო კიბიშებულებულა გამოსთვამს იმედს, რომ ის კითხვები ახალი მთავარ მართებელის მიერ სასურველად იქნება გადაწყვეტილი.

ილიამ დასჭრია საუცხოოდ დასაბუთებული წერილი, დაურთო მას ნიკიტინის მიერ რუსულად თარგმანი და გამომიგზავნა. როგორც შევთანხმდით, მე ნება არ დავრთე და წარვუდგინე საცენტრო კომიტეტს, როგორც ილიას წერილი, ისე თარგმანიც; ეს უკანასკნელი ვითომ ჩემგან მომზადებული. მოხსენების დროს კომიტეტს ვაცნობე, რომ წერილს უყოფმანოდ დავრთავდი ნებას, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, სიფრთხილისათვის, კომიტეტის აზრიც გამეგო, რადგან ახალი მთავარ მართებელის ხაზს არ ვიცნობ-მეტქი. კომიტეტის თავმჯდომარემ ილიას ის წერილი მეორე დღესვე წარუდგინა გოლიცინს და უკანასკნელისაგან მიიღო ძატეგორიული ბრძანება, რომ ოდგილობრივ გაზეთებში ამგვარი წერილები არავთარ შემთხვევაში არ ყოფილიყო გაშვებული. ამნაირად ერთბაშად გამოაშეარავდა გოლიცინის ფიზიონომია და სისულელე იყო იმ ხმის გაერცელება, თითქმ ქართველები რაღაცას მოელოდენ იმ ძარღვებ-მოშლილ მთავარ მართებლიდან...

* * *

ნიკო ნიკოლაძე დიდათ იფასებდა ილიას, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ილიას პუბლიცისტური წერილების შესახებ ნიკოლაძეს ხშირად უთქვამს, რომ ისინი ისეთი ღირსებისა არიან, რომ არც ერთი დიდი ევროპიული უურნალი არ იტყოდა უარს მის დაბეჭდვაზეო. თქმა არ უნდა, რომ ილიას პუბლიცისტიკას ნიკოს თაობა უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენ, ახალგაზრდები. მათ ყველაფერი თავის დროზე ჰქონდათ წაკითხული და გაჩიტული; ჩემს დროს-კი სანთლითაც რომ გეძებნათ, ვერსად მონახავდით მათ. ამიტომაც დიდი ბედნიერი მოვლენაა, რომ ამ უამავ ილიასი და სხვათა თხზულებათა სრული გამოცემები არსებობს. ათ-ტომიანი ილიას ნაწერების წაკითხვა ბევრად შეგვიწყობს ხელს სავსებით შევაფასოთ ჩვენი დიდი მოღვაწე და მასთან უარვყოთ მის შესახებ, შეცდომით თუ განხრახვით, არა მართებული მსჯელობა ზოვიერთისა.

ამ მოხუცებულობის დროს პირველიდ მომეცა შემთხვევა,



ასე ვსთქვათ, ერთის დაქვრით გავცნობოდი ილიას ტახტაშვილის მიერ განვითარებას. ქვევით განვებ მოვკრიბე ოთხმო-ტურულ მემკვიდრეობას. ნაწერის ის ადგილები, რო-ციანი წლების მისი ზოგიერთი ნაწერის ის ადგილები, რო-მელნიც დღესაც გამოდგებოდენ დღევანდელი ამბების შესა-ფასებლად.

სანამ ილიას ნაწერების სრული გამოცემა გამოვიდოდა, რა გინდა რა სიყალბე ას იწერებოდა ჩვენი დიდი მოღვაწის შესახებ. მაშინ ილიას აბუჩად იგდება დიდ მოდაში იყო. ამ-უამად საქმე სხვაფრივ დატრიალდა. გამ. „პრავდა“ ილიაზე ამბობს: — „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულია-რული საზოგადო მოღვაწე!“. ან რა ეთქმის გაზეთს მას შემ-დეგ, როცა მის ხელშია, ამჟამად გამომუდაგნებული თვითმკუ-რობელობის პოლიციის ასეთი დახსაიათება ილიასი: — (1894 წელს) „სარწმუნოდ შეიძლება დამტკიცდეს, რომ მთავარი ხელმძღვანელი ნაციონალური მოძრაობისა არის თავადი ილ-ია ჭავჭავაძე... ხმები დადის, რომ მასთან ხდება ფარული კრე-ბები, რომელზედაც მსჯელობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ კითხვებზე“. — ილია სულ მუდამ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ირიცხებოდა, ამიტომ მოხდა, რომ ქართულ საზოგადოებას იღუპრძალეს ილიას 40 წლის იუბი-დეს გადახდა და ამ მიზეზით საიუბილეო კომიტეტიც დაშ-ლილი იყო.

მაშინ, როდესაც ილიაზე ამბობდენ, რომ იგი ბოლოს მე-მამულეთა და თავადაზნაურების იდეალების წარმომადგენელი გახდა, რითაც თავის სიყმაწვილის დროის პრინციპებს უღა-ლატაო, ეხლა კი ასეთ მსჯელობას ვხვდებით: — „ისტორიამ გაამართლა ილია, როგორც მხატვარი, პოეტი, მხატვრული აზროვნების უდიდესი ოსტატი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევ-რის დახავსებული ცხოვრების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი და ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უდი-დესი მოღვაწე“. ამის საოლუსტრაციოდ მოყვანილია მათ გა-დესი მოღვაწე“. ამის საოლუსტრაციოდ მოყვანილია ნაწერებიდან და სწორედ ეს ციტატებია, ყველაზე უფრო საყურადღებო. იმავე ავტორს (ა. სულავას) მოჰყავს რა ილიას მოხევეს სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვიყუდნოს“, დასძენს: „ამ პროპაგანდისა-თვის ბრძოლას შესწირა ილიამ თავისი მღელვარე სიცოცხლე

და უძლვნა მას მხატვრული ნაწარმოები, უამრავი ფუტლია-
ცისტური წერილი და შრომები". და რასაკვირველის, ეს შე-
ფასება სწორეა. თუ რამდენად ტყუილია ილიას პიროვნების
დახასიათება, როგორც არა სრულიად საქართველოს ინტერე-
სების მსახურისა, არამედ თავადაზნაურობისა, მოჰყავს ასეთი
საბუთი. როდესაც ილია სახელმწიფო საბჭოში საქართველოს
თავადაზნაურობამ აირჩია, მან საჯაროდ ასეთი განცხადება
გააკეთაო:" თუ მე სახელმწიფო საბჭოში შევდივარ თავად-
აზნაურობის სახელით, ეს მხოლოდ საქმის ფორმალური და
იურიდიული მხარეა: საბჭოში მე დავიცავ მთელ საქართველოს
ინტერესებს და მთლად ჩემს ღონეს მხოლოდ საერთო კითხ-
ვებს მივცემო"-ო... 1906 წელს გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკ“-
ში ილიას შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: „მე დამცველად
გამოვალ ადგილობრივ ინტერესებისა. ადგილობრივი საჭირო-
ების ფარგლებში მე მომინდება დავიცავ ფართე ადგილობრი-
ვი თვითმართველობა კანონმდებლობითი უფლებებით“. თვით
სახელმწიფო საბჭოს არქივებში შენახულა ილიას ასეთი და-
ხასიათება: — „აგრარული კითხვების გარშემო იგი მომხრეა
მიწების ძალით ჩამორთმევისა, თუ ამას სახელმწიფოებრვი
ინტერესები მოითხოვენო“-ო.

როგორც ვიცით, ერთმა მცირე ჯგუფმა მემამულეთა წრი-
დან გამოსულმა... მიმართა ყოვლად დაუშვებელ საშუალებას...
და შექმნა რაზმი, რომელსაც „შავი რაზმი“ უწოდა ხალხმა.
ამ საქმის ინიციატორებმა მოიწვიეს თათბირი, სადაც განაცხა-
დეს თურმე, რომ საჭირო იარაღი მათ უკვე გაღმოცემული
აქვთ მთავრობისაგანაო. ამ თათბირზე ილიაც ყოფილა მიწვე-
ული და ი, არჩილ ჯაფანაშვილის მოწმობით, რა უთქვამს იქ
დიდ ილიას: „ბატონებო, ის რაც ეხლა ჩვენში ხდება, სხვაგა-
ნაც მომხდარა. ქვეყნიერებაზე არ არსებობს არც ერთი ერი,
არც ერთი სახელმწიფო, სადაც ამის მსგავსი რევოლუცია არ
მომხდარიყო. ქარიშხალი გადაივლის და ცხოვრება კელავ და-
ლაპოტში ჩადგება. ნუ ჩაიდენთ იმისთვის საქმეს, რომელიც
თქვენ პირშავად გამოგიყვანთ თქვენს მეზობლებთან და შემ-
დეგში, როცა ეს ამბავი დაშოშმინდება და თქვენ თქვენს სახ-
ლებში დაბრუნდებით, სირცხვილით თვალსაც-კი ველაზ გაუს-
ტორებთ მეზობლებსა. რისთვის გინდათ ეგ იარაღი? ვის სა-
წინააღმდეგოდ მოგიგროვებიათ ეგ თოფები? ნუ თუ გლეხო-

გასა? არ გაბედოთ! მიუყარეთ უკან ეგ თოფები მზტადული
თქვენ დაგირიგათ!“...

საინტერესოდ მიმაჩნია აქ მოვიყვანო თრიოდე ამონაწერი
ილიას იმ წერილებიდან და იმ კითხვებზე, რომელნიც ეხლა
მთელი ევროპის უურნალ-გაზეთებს აკერია პირზე. დავიწყოთ
სოციალური კითხვებით.

სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგოდ აღმართული ზო-
მების შესახებ გერმანიაში იგი სწერდა 1886 წელს: „ბისმარკს...
ვერც მოძღვრება სოციალობის შეუწყნარებია და ვერც უარ-
უყვია. ვერ შეუწყნარებია იმიტომ, რომ დღევანდელს დღეს
დაპირის მარტო შემძლებელი, სულ თავისაკენ მიუთ-
ლია, ზედ დამჯდარა და მაგრად ჩაუჭიდნია ხელი; წყობა დღე-
ვანდელი დღისა ე.წ. „ბურუუათა“ წყობაა. ეს მესამე წოდე-
ბად ცნობილი ნაწილი ერისა, რომელიც დღეს განაგებს თაოქოს
ყვილავა... მოძრავის თავნისა და შეძლების პატრიონების ნა-
წილი, საცა კი მიიხედავთ, ყველგან ეგენი არიან... სულ ყველ-
გან ობსავით მოკიდებული, და რაც საიდან გამორჩომაა —
არავითარ შემთხვევას არა ჰყარგავენ, რომ არ გამორჩენ“...
სამუშაო დღის შემოკლებაზე და მუშის ქირის მომატებაზე
ილია 1886 წელსვე სწერდა: „ეს თითქმის დიდსა და პატარას
ენაზე აკერია დღეს საფრანგეთში, მაგრამ ამას ეურჩება დიდი
უმრავლესობა ბურუუაზისა, რომელსაც მუშა-კაცის ყელის
საბელის ზევიდამ გაშვება ზირალის მომასწავებლად მიაჩნიათ“.
არსებულ სოციალურ წყობილებაზე აი რასა სწერდა ილია 1898
წელს: „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების
იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-
ნაკლებად განაწილებისა და ადამიანთა შორის გაუქმება ყოვე-
ლის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის
კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზედ წამოყენება და ხელ-
შეწყობა გამრჩევლ და მშრომელ კლასების წარსამატებლად...
ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქნიათ რა,
რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის
მოსახსენებლად“.

ილია ერთ დროს დაინტერესებული იყო ისპანიის ისტო-
რიით, მის ლიტერატურასაც გაეცნო. ესპანელებისა და ქართ-
ველების ნათესაობასაც იტყოდა ხოლმე, თუ მას რამე სერიო-

ზული სარჩული უდევსო. გამოსაცნობია ყველა ქართველულ-ტო-
მებში უფრო რომელი ემსგავსება ამ ნიჭიერ და გეგმულშეტო-
მოძრავ ერსაო. როდესაც ბისმარკი ისპანიის კაროლინის კუნ-
ძულებს დაემუქრა, ილიამ დასწერა: „ბისმარკის ეს წადილი
გულში ტკივილად ჩარჩა ისპანიასა, და იქნება ისე მთავრობას
არა, როგორც თვითონ ისპანიის თავმომწონე ერსაო“. თვით
ისპანიაზე კი ამის ამბობს ილია: „ისპანია ყველაზედ ძლიერი
სახელმწიფოა მეორე ხარისხოვანთა შორის და მისი მოუსვენა-
რი შვილები რომ არა ჰერცოგნენ მის შინაურ საქმეებს, არ აბრ-
კოლებდნენ საქმეთა მსვლელობას, აშკარაა, ერთი რამ იქნე-
ბოდა სხვათა შორის“-ო. როდესაც იაპონიამ თავის ყოველ
დარგში გაევროპიელებით მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყ-
რო, ილიამ ასე იწინასწარმეტყველა: „იქნება იაპონიამ პირვე-
ლი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზე-
მოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლები-
სამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოპფინოს გულს
აზიასაცო“.

* * *

ჩვენს ქართულს პრესაში ასეთ ახირებულ მსჯელობასაც
შეხვდებით ილიას შესახებ: რა გაზიადებული რამ არის მს
რაღაც ხუთიოდე სიტყვა, ილიამ მოხევეს რომ ათქმევინაო და
საქართველოს დამოუკიდებლობაზე მას პირდაპირ არა დაუ-
წერია რაო. პირდაპირ ამის დაწერას იმ დროში აბა რომელი
ჰქონდათმყოფელი ადამიანი მოსთხოვდა ვისმე და არა პირდა-
პირ კი ილიამ მრავალჯერ მოახერხა ფარულად ექადაგნა ეს.
აი ერთი მაგალითი. 1890 წელს ილია სწერდა:

„ირლანდიის ერმა თავისი გულითადი წადილი ინგლი-
სის ხელიდან თავის დახსნისა არ გაიტო გულში... ძლიერდა
ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის
ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, როცა უბედურება რამ,
განსაცდელი რამ, გულზედ ხელს არ აკვრევინებს, როგორც
იმედ გადაწყვეტილს, სასოება დაყარგულს, არამედ იმოდენად
ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრევ-მოსძრევს, რამდენადაც
ძლიერაა თვით მის თავზე შოსული უბედურება და განსაც-
დელი“...

როდესაც კერძოდ საქართველოზე ჩამოაგდებს ანთონ გოგიაშვილის „გელათისა და ბათუმის მიმოხილვა“ თემაზე მიმოხილვა. იტყვის: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამს სამეცნიდ და 5 სამთავროდ“. ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მღალადებელი იგი განსაკუთრებულ სიხარულს გამოსთვევამს თავის შესანიშნავ სიტყვაში აჭარა-ქობულეთის შემოერთების გამო, იმ ბანკეტზე, რომელიც ჩვენი მოძმე ქართველი მუსულმანების დასწრებით მოხდა იმ დროს თბილისში. უდიდესი სიამოვნება გამოსთვევა იმ მოგზაურობის შესახებაც, რომელიც ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკიმ მოახდინა ქახეთში. აქ აკაკი მიღებული იყო როგორც სიმბოლო ერთიანი საქართველოსი და აი ილია რას ამბობს იმ სიტყვაზე, რომელიც აკაკი წერეთელს კახეთში წარმოეთვევა: „ამაზედ მშევნიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედა“-ო. საქართველოს ერთმთლიანობის ფამოსათქმელად თვით ილიამაც სთქვა სიტყვა სამეგრელოში, როდესაც იგი იქ მთავრის მიერ ნაანდერძევ ბიბლიოთეკის მისაღებად წავიდა. იმ მშევნიერ სიტყვაში არის ფრაზა, რომელიც შესანიშნავად გამოსთვევამს მოკლედ ჩვენი სამშობლოს ერთიანობის იდეას. ილიამ მიმართა სამეგრელოს: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ენახე“-ო!

„ქართული სკოლა დიდი რამ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი დაცსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მეტი არა ვინდომოთ რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ კოვზით ეგ ზღვა არ დაიღევა“... „უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგეს ჯერ ის, რომ სხვა და სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოაწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებით ვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ“-ო...

მაგრამ რაც დასწერა და როგორც მოღვაწეობდა, ისიც ცხად ჰყოფს ამ დიდი ქართველის მსოფლმხედველობას, მისი მრმართულების გზას და ეს ეგზი ყოველ დარგში — ეროვნულს, სოციალურს, თუ პოლიტიკურში, — იყო ფართო, პროგრესიული, მაშინდელის გამოთქმით, — ლიბერალური, და არსებითად, დემოკრატიული და რადიკალური. დღიდან მისი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისა ილია, უხვად და მუსურვილი დღის კულტურით და მაღალის მორალით, ერ-

თიანია და უდრეკი, უცვლელი და ურყევი თვით სტატუსის-
დე. ამნაირი ადამიანი დაქარგა საქართველომ სწორების-
ტორიულ გარდატეხის ხანაში, როდესაც ჩვენს სამშობლოს
იმისი ხელმძღვანელობა ყველაზედ უფრო მეტად ესაჭიროე-
ბოდა...

* * *

დიღხანს აღარ დავრჩენილვაზ ქართული ენის ცენზორად.
ბათუმის ქართულ საზოგადოებრივ წრეებიდან მომივიდა წი-
ნადადება ბათუმში გადავსულიყავი და იქ კენჭი მეყარა ბა-
თუმის თვითმართველობის გამგეობის წევრობაზე. თან ჩვენი
ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის წერილი
მომივიდა, სადაც იგიც მავალებდა ბათუმში გადასვლას. მალე
ორი ჩემი მეგობარიც ჩამოვიდა ბათუმიდან. მათაც ჰქონდათ
დაკისრებული ამ საგანზე ჩემთან მოლაპარაკება. თქმა არ უნ-
და, რომ მე უყოყმანოდ დავთანხმდი; თვითმართველობაში
მუშაობა მიზიდავდა და ცენზორობის მიტოვება „დეტერტირო-
ბათაც“ არ ჩამეთვლებოდა, რადგან კვლავ ქართული საქმი-
სათვის მიბარებდენ ბათუმში. ამ ქალაქში გადასვლის შემდეგ,
სადაც სრული ათი წელიწადი დავრჩი, თითქმის სრულებით
მოვსწყდი თბილისის ამბებს. გაიარა ბევრმა წელმა, რომ დიდ
ილიას აღარსად შევხედრივარ. მხოლოდ თბილისში, ერთი
მივლინების დროს, საღლაც მოვკარი ყური, რომ მეფის ნაც-
ვალი გრ. ვორონცოვ-დაშვილი პეტერბურგში გზავნის რაღაც
საგანგებოდ მისგან შედგენილ კავკასიის ერების დელეგაცი-
ას, რათა ამ დელეგაციას მოეთხოვა პეტერბურგში, საღაც ჯერ
იყო, რომ მომავალ რუსეთის პარლამენტში, „სახელმწიფო
ღუმა“-ში, კავკასიასაც მისცემოდა უფლება საკუთარი დეპუ-
ტატების არჩევისა. იმ ხანებში „ბულიგინის კონსტიტუციის“
გარშემო ხდებოდა ცხარე თათბირები და პეტერბურგის მა-
ღალ წრეებში თურმე გადაწყვეტილი ჰქონდათ კავკასიისათ-
ვის არ მიეცათ უფლება საკუთარი დეპუტატების ყოლისა. ი
ამ დელეგაციაში ქართველების მხრივ მეფისნაცვალს დაენიშ-
ნა ჩვენი ორი დიდი მოღვაწე: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკო-
ლაძე. ილია თურმე დიღხანს არ თანხმდებოდა დელეგაციაში



გონაწილეობაზე და უარს ამბობდა იმ საბუთით, რომელს იღებენ
პუტაცია თვით კავკასიის მოსახლეობამ უნდა აირჩიოს და ამავ
ადმინისტრაციამათ. ბოლოს, ილია, როგორც იყო, დაითანხ-
მეს, მაგრამ მან გრ. ვორონცოვს ერთი პირობა მაინც დაუსვა:
ქართველებს ერთი დელეგატი კიდევ უნდა მისცემოდა და ამ
მესამეს თვით იგი, ილია აირჩევდა. მეფისნაცვალმა ამაზე სრუ-
ლი თანხმობა გამოუტადა.

დღესაც არ ვიცი რატომ, ვისი რჩევით, ან რომელი საზო-
გადოებრივი ინსტანციის მონაწილეობით, ქართველების მხრივ
ეს მესამე დელეგატობა მე დამეკისრა. ილიას გაეგო ჩემი იმ ხა-
ნებში თბილისში ყოფნა, დამიბარა თავისთან, და გამომიცხა-
და, რომ მე უნდა წავყოლოდი მას პეტერბურგში; თანაც ამი-
სნა, რისთვის. „როგორც მიბრძანებთ: გიახლებით-მეთქი“,
მოკლედ მოვახსენე ილიას ჩემი თანხმობა და ამ ლაპარაკის
მესამე დღის შემდეგ ჩვენ ორივე უკვე იმ მატარებელში ვისხე-
დით, რომელმაც პეტერბურგისაკენ წაგვიყვანა.

მახსოვს, ილიას გამოსაცილებლად სადგურის ბაქანზე თორ-
მეტიოდე მისი პატივისმცემელი იყო თავმოყრილი. მატარებე-
ლი რომ დაიძრა, შემომესმა ბაქანიდან აღელვებულის კილოთი
ჩემდამი მომართული დავალება: — „იცოდე, ჩვენს წინაშე
პასუხისმგებელი შენა ხარ: როგორც ჯანსაღად ჩაგაბარეთ ჩვე-
ნი ილია, ეგრეთვე უნდა ჩამოგვიყვანო“-ო ეს იყო იაკობ
ისარლიშვილი, ვგონებ, ილიას სტუდენტობის დროის ამხანაგი.
ასალელვებელი მიზეზი კი ჰქონდა ისარლიშვილს: მთელს რუ-
სეთში რეაქციის ტალღა აღვირაწყვეტილად მძვინვარებდა.
რევოლუციური ძალები არასფერს აღარ ეპუებოდენ და გა-
ფიცვებით თუ ტერორით უპასუხებდენ მთავრობის სასტიკ
ზომებს. ის მატარებელიც, რომელსაც ჩვენ მივყავდით, უკა-
ნასკნელი გამოდგა: პეტერბურგში რომ მივედით, დაიწყო
რკინისგზების საერთო გაფიცვა.

ილიამ მოისურვა, რომ ჩვენს სასტუმროში ერთს ნომერში
დადგარვიყავით. არ ვინ იცოდა, რამდენი ხანი დავრჩებოდით
პეტერბურგში, ან როდის შევსძლებდით რკინისგზებზე კვლავ
მოვზაურობას. საჭირო გახდა სასტიკი ეკონომია გაგვეწია,
რომ ფული არ შემოგვკლებოდა და უცხო მხარეს საძებნელი
არ გაგვხდომოდა. პურის ჭამაც ერთად გვქონდა და მისელა-
მოსვლაც ხომ საერთო იყო. ყველა გაწეულ ხარჯს მე ვიწერდი

და დროგამოშვებით ანგარიშს ვარდგენდი, ყველა ხალას /სა-
ნახევროდ ვისტუმრებდით. დროებით ჩემი ხედრული ფრთხოებული-
წერებოდა, რადგან თბილისში ფულის მიღება ვერ მოვასწარი.
თითქო ორი სტუდენტი დასახლდათ, ისე ვიყავით. ილიას,
ეტყობოდა, მართლაც თავის სტუდენტობის ხანა აგონდებოდა,
ყველაფერში ანგარიშით იქცეოდა. სულ პირველად სატახტო
ქალაქის წიგნის მაღაზიები დაიარა, სადაც სქელკანიანი წიგ-
ნები შეიძინა, იურიდიული (პროფესორების ლექციებიც კი),
ფილოსოფიური, ეკონომიკური. ჩაუჯდა იმ წიგნებს და მთელ
დღეებს როცა არ ვიყავით წასასვლელი, კითხულობდა; ვატყობ-
დი კითხვის დიდ ხალის. ხშირად წაყითხულ ადგილებს, რაც
მოეწონებოდა და ღირსშესანიშნავად მიიჩნევდა, თავის უბის
წიგნში იწერდა. ერთხელ ისე იყო კითხვით გართული, რომ
მიხოვა: „რაკი სახლიდან გადიხართ, შვეიცარს უთხარით, თუ
მე მიყითხოს ვინმემ, — შინ არა ვარ“. მე არ დავეთანხმე მისი
ბრძანების გადაცემაზე: — თქვე დალოცვილო, ეგ თქვენი თბი-
ლისის ადათი აქ მაინც მოიშორეთ! რაღაც ორიოდე დღითა
ვართ ჩამოსული, რა ბევრი ნაცნობი ჩვენა გვყავს აქა, რომ
შეგაწუხონ! მოვა ვინმე ისეთი, რომლის უნახაობა თქვენვე
დაგნანდებათ-მეთქი. — ჩაიცინა და კარგიო, მითხრა ილიამ:
„იყოს ნება თქვენი, მაგრამ იძულებული ვიქნებით ამ ხალათის
მაგიერ სერთუკი ჩავიცვაო“-ო. მე მაინც უარი ვუყავი და ვაი-
ძულე „ფორმა“ გამოეცვალა.

ჭერ კიდევ თბილისიდან რომ მოვდიოდით, იქ ერთმა ჩემ-
მა ნაცნობმა მითხრა: — მებრალები, გიორგი, ამბობენ ილიას
ერთობ მძიმე ხასიათი აქვსო და გაგიმწარებს დღეებსაო... ეს
სრული ტყუილი გამოდგა. მთელი ერთი თვე ერთად ვცხოვ-
რობდით, ჩვენი საწოლები გვერდით იდგა, დილით ჩაი და სა-
ლამოთი ვახშამიც ჩვენს ოთახში ერთად გვქონდა, რესტორა-
ნებშიაც ერთად დავდიოდით და არა ყოფილა შემთხვევა, რომ
რითიმე ეგრძნობებინა ილიას ან თავისი უფროსობა, ან დაე-
უინა და ჩემთან შეუთანხმებლად გადაეწყვიტა რაიმე, რაც
ორთავეს შეგვეხებოდა. იმის ნებასაც კი არ მომცემდა ან სკა-
მი შემეთავაზებინა, ან უკეთესი ნაჭერი დამეომო და სხვა...
არც რითიმე შეუბლალავს ჩემი დამოუკიდებლობა და თავი-
სუფლება. ვიმეორებ, კაცს ეგონებოდა, ერთი კურსის სტუ-
დენტები ერთად დამდგარიან, საერთო ბინაზეო.

პეტერბურგში დიდი ყინვა იღვა და სხდომასე ან ვაჭირობების ზე რომ მივდიოდით, თბილად ვიცვამდით. ილიას თავსწილი შექმნა დეგში საარაკოდ გამხდარი ქურქი ესხა, შიგნით აქა-იქ ძალიან გაცვენილი და გარედან კი გახეხილი მაუდით. ძალიან საშუალო ლირსების ქურქი უნდა ყოფილიფო ჯერ ახლობის ლროსაც. სამაგიეროდ მე მესხა დიდებული, ძვირფასი ბეწვით შემოვლებული „ნიკოლაევსკი“ შინელი... თბილიც იყო და გარეგანი შეხედულებითაც დიდებული რამ! ის გენერლის შინელი ჩემს სიმამრს გამოვართვი, რადგან თბილი პალტო არა მქონდა: აბა ბათუმში მცხოვრებს რაში მეჭირვებოდა!

პეტერბურგის ქუჩებში მარხილებით რომ მივსრიალებდით ხოლმე, ყოველ სამხედრო ნაწილების შეხედრაზე ატყდებოდა ერთი ამბავი და განგაში. სულ „სმირნო“-ს ძანილით და იარალის საპატიო მომარჯვებით გვხვდებოდენ და გვაყილებდენ. ერთხელ ილიამ ჩაცინვით მითხრა: „გიორგი, ეს ამოდენა პატივისცემა სულ თქვენის სიმამრის შუბის წყალობით მოვდის“—. მართლაც, სამხედრო ნაწილების და „გოროდოვების“ შიშით ქუჩაში ვერ გამევლო თავისუფლად: სულ ყველა „ჩესტის“ მიკეთებდა... რაკი ილიას მეტწილად შინ ჯდომა უყვარდა, ერთხელ თვითონ შემომთავაზა თავისი გახუნებული ქურქი, ეგ ჩაიცვი ხოლმე და მაგითი იარეთო! მეც ხშირად სწორედ ასეც ვიქცეოდი. ავილებდი თავსა და ვუვლიდი გარს „გოსტინი დვორის“ დახურულს ბაზარს. ამ დროს ილიათავის ნომერში ან კითხულობდა, ან ალბათ ამზადებდა იმ სიტყვას, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა იმ კრებულში, რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა: — „უმაღლესი ბრძანებით დაარსებული გრაფ სოლსკის კომისია“. — მანამ იმ უმაღლესი კომისიის სხდომები დაიწყებოდა, მეტწილად, ჩვენ შინ ვისხედით ხოლმე. აი ამ დროს დაგვემართა ერთი სასაცილო ამბავი, რომლის მიზეზი პროვინციულობა და პეტერბურგელ „თავისებური ატმოსფეროს“ უცოდინარობა იყო. ერთ დღეს ნომრის კარი ვიღაცამ დაგვიკაუნა. ვნახოთ, შემოდის ერთი უცნობი, პატარა შავშვერა იხალგაზრდა, ცხვირზე პენსნეთი, და ხელში რაღაც რვეულით. გამოგვიცხადა, რომ იგი საგანგებოდ არის გამოგზავნილი ერთი ენციკლოპედიური გამოცემის რედაქტირ მიერ, რათა ჩვენი გვარებიც იყოს იქ აღმეჭდილი. და მი-

შართა ილიას: — თქვენ, ვგონებ, თავადი ჭავჭავაძე ბრძანდებით და გთხოვთ თქვენი ბიოგრაფიული და მოღვაწეობის მასალა მომაწოდოთ, რომ გამომცემელს მივართოა. სთვა ესა, გაშალა რვეული და მოიმარჯვა ფანქარი. ილიამ უთხრა: მე სათქმელი არაფერი მაქვს და რატომ შეწუხებულხართო! უცნობი „ლიტერატორი“ არა სცხრებოდა და არ ეშვებოდა ილიას. ამ უკანასკნელის მიუკარებლობა მე ძალზე მაღლვებდა, რაღაც დაუშვებლად მიმაჩნდა, რომ იმ ენციკლოპედიაში, სადაც იმოდენა გამოჩენილი ხალხის სახელები იქნებოდა, ილიაც არ ყოფილიყო აღნიშნული. ავდექი და მე დავუწყე იმ ადამიანს ილიას შესახებ საჭირო ცნობის მიწოდება. კარგა ხანს ველაპარაკე, ვღელავდი, გატაცებით გადავშალე ილიას საქართველოს წინაშე დიდი დამსახურების სია... ის ყმაწვილი ყველაფერს იწერდა, ილია კი განზე იჯდა და იქიდან გაკვირვებით, თითქო მისთვის უცნობი ახალ-ახალი ამბების მოსმენით, ჩუმად გულს ირთობდა, თანაც თავს როგორლაც უხეშად გრძნობდა. როცა ჩემი სიტყვა გავათავე და ილიას აწითლებულ სახეს შევხედე, მეც ვიგრძენი ერთგვარი უხერხულობა, რომ ცოცხალი ადამიანის წინაშე მისი ნეკროლოგის მსგავსი რაღაც გამოვიყვანე იმ ჩემი ნაკარნახევით. როცა ეს მოვათავე, ახლა ის „ლიტერატორი“ მე ჩამაცივდა, თქვენს შესახებაც მომეცით ცნობებიო. მე, რასაკვირველია, ჩემზედ არა მითქვამს რა და იმითი მოვიშორე თავიდან, რომ ვუთხარი, მე თავად ჭავჭავაძის მდივანი გარ-მეთქი და ენციკლოპედიურ გამოცემისათვის სათქვენოც არა მაქვს რა-თქო. როგორც იყო თავიდან მოვიშორეთ ის ადამიანი. საღამოზე ეს ამბავი ნიკო ნიკოლაძეს ფუამბეთ და მე დატეკითხე მას, თუ მანაც ნახა ენციკლოპედიის თანამშრომელი. ამის გამონებაზე მორთო ნიკომ ერთი სიცილით ედ რა გიქნიათ, ოთახში როგორ შემოუშვით ის შეჩვენებულით იგი ენციკლოპედიამ კი არა, „ოხრანქამ“ შემოგიგზავნათ, რომ თქვენგან გაეგო, გინცა ბრძანდებითო! ჩემთან რომ მოსულიყო, ახლოსაც არ გავიკრებდიო! ნიკოლაძე მართალი გამომდგარა: არავითარი ენციკლოპედია არ გამოცემული და ჩემის გამოუცდელობით „ოხრანქის“ აგენტს ბევრი რამ ისეთი შეგატყობინე, რომ თუ რევოლუციას არ მოესწრო, ილიას, შეონი, იაფად არ დაუჯდებოდა...

„უმაღლეს კომისიაში“ დანიშნულს ვადაზე მიგვიწვიეს



ქავკასიიდან ჩამოსული ყველა დელეგატი. ის კრებულშისთვის ლოდ ერთხელ მოხდა „მარინსკის სასახლეში“, მარინსკის მოთავსებული იყო სახელმწიფო საბჭო. კრებას თავმჯდო- მარეობდა დიდი, ძველი მოხელე, გრაფი სოლსკი, წევ- რებად კი იყვნენ ყველა მინისტრი: ვიტტე, დურნოვო და სხვები და აგრეთვე ათიოდე სახელმწიფოს საბჭოს წევრი, — სულ დიდი ბობოლები. ამათ გარდა იყვნენ კიდევ მეორე ჯგუ- ფის წევრნიც; ისინიც დიდი მოხელენი. თუ პირველი ჯგუფი, როგორც პრეზიდიუმი, ერთ ამაღლებულ ადგილზე ისხდენ, ეს მეორენი დაბლა, პარტერში იყვნენ, სავარძლებში, რომელნიც წყობით და რიგებით იდგენ, როგორც თეატრში. მათ უკან, კედლის გასწვრივ, პრეზიდიუმის პირდაპირ, იდგა ერთი გრძე- ლი, მუქი მაუდით დაფენილი მაგიდა. მას ეწოდებოდა „კო- რესპონდენტების“ მაგიდა და კავკასიის დელეგატები იქ ჩა- მოგვამწკრივეს „ჩინისა და ხარისხის“ მიხედვით. მე სულ ბო- ლოში მერგო ალაგი; ჩემს გვერდით ილია იყო, იმაზე ზევით ნ. ნიკოლაძე. ამნაირად, ქართველები ერთი მეორეს მიესდევ- დით. თავმჯდომარე კავკასიელ დელეგატებს სიით გამოუძა- ხებდა ხოლმე. აქაც ვისაც დიდი რამ ხარისხი ჰქონდა, ჯერ იმათ იწვევდა. ბოლოს ჯერი ჩვენ ილიამდეც მივიდა. იგი თა- ვისი ჩვეულებრივის, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა პრე- ზიდიუმის მაგიდას; მან თითქო შორიდანვე დაიწყო მის წინ ჩამომწკრივებული ხალხის მუშტრის თვალით ათვალიერებ- ჩამოთვალიერება; გეგონებოდათ, შუა წრეში მოქცეული მო- ჭიდავე თვალებით დაეძებს, აბა ვის უნდა შევეჭიდოვა... ილი- ს წინ ბარემ ექვსმა კაცმა ილაპარაკა. ისინი თავაზიანად და მოკრძალებით იძლეოდენ პასუხს იმ შექითხვებზე, რომელსაც მათ გრაფი სოლსკი უსვამდა. პრეზიდიუმის სხვა წევრებიც სვამდენ კითხვებსა. მათ უმთავრესად აინტერესებდათ გაეგოთ, ვინ ახდენდა კავკასიაში რევოლუციას და როგორი მსვლელო- ბა ჰქონდა მას.

ილიამ, ეტყობა, სულ სხვანაირად შეამზადა თავისი სიტყვა და არ აპირებდა ცალკე შექითხვებზე პასუხის მიცემას. თავის სიტყვაში მან ცხადათ აგრძნობინა მის წინ მსხლომარე რუ- სეთის უზენაეს მმართველებს, რომ იგი კავკასიის მთავრობის მრჩეველ აგენტად ან მოწყალების გამოსათხოვნად კი არ ჩა-

მოსულა თავის ქვეყნიდან, არამედ გამოდის, როგორ მხრალ
მდებელი უმწეო მდგომარეობის დასასურათებლად. მრავალშე
აც აგრე ას წელიწადზე მეტია, იმყოფება კავკასიის სხვა ერებ-
თან ერთად, ქართველი ხალხიც. თავისი, მართლაც საბრალ-
მდებლო სიტყვა, ილიას შეედგინა მწყობრად, ქრონოლოგი-
ურს წესზე, ჩამოთვლით იმ რეფორმებისა და სხვა ზომების
სიის აღნუსხვით, რომლის შემოლება რუსეთის მთავრობას ში-
და გუბერნიებისათვის გამოემეტა და კავკასიის მხარე-კი სულ
მუდამ მივიწყებული ჰყავდა. იმას კარგად ხედავსო კავკასიის
მოსახლეობა. ასეთი იყო შესავალი ილიას სიტყვისა. შემდეგ
ორატორი მოჰყვა ამ დებულების საილუსტრაციოდ ფაქტების
გადმოლაგებას. თანდათან იშლებოდა უმწეო სურათი, რომელ-
შიაც ჩვენი მხარე იმყოფებოდა. ილია თანდათანობით როლში
შედიოდა, მაგრამ აქ თავმჯდომარემ, ეტყობა, ვეღარ აიტანა
მისი ოპოზიციური ტონი, სრულიად უცნობი სახელმწიფო
საბჭოს პრაქტიკაში და, უცბიდ, შეაწყვეტინა ორატორს სი-
ტყვა: „ჩვენ ეგეები არ გვაინტერესებს, შენიშნა მოხელემ,
ჩვენ გვსურს ვიცოდეთ თქვენი აზრი აი ამის შესახებ: განა შე-
საძლებელია კავკასიის დაერთოს ნება დეპუტატების არჩევისა,
როდესაც იქ საშინელი რევოლუციური ამბოხება ხდება“—ო?...
ილია აშკარად მიხვდა, რომ მას აღარ მისცემენ სიტყვის გაგრ-
ძელების საშუალებას. მე ვიგრძენი, რომ იგი გულმოსულიც
იქნებოდა, რაკი ბოლომდე არ მოუსმინეს და აი რა სურათი
ვნახე: — ილიამ რიხიანად, მარჯვენა ხელის სერთუკის უბეში
ამოდებით და მარცხენის ძირს ჩაქნევით (ასე იცოდა მან, რო-
ცა გაცხარდებოდა) ეს სიტყვები ახალა პირში იქ მყოფ სრუ-
ლიად რუსეთის გმბრძანებლებსა და მმართველთ: —

„როგორ თუ განა შეიძლებაო? შეიძლება კი არა, აუცილე-
ბლად და დაუყოვნებლივ უნდა იყოს გავრცელებული კავკა-
სიის მხარეზედაც ეგ რეფორმა და ჩვენც უნდა მოგვეცეს უფ-
ლება ჩვენი დეპუტატების არჩევისა. და თუ ასე არ მოხდა
მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ გამოგიცხადოთ, რომ ახალ შე-
ურაცხყოფას ვეღარ მოითმენს ჩვენი ხალხი, და თქვენ იძუ-
ლებული იქნებით ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სოლდა-
თებისა აღშფოთებულ კავკასიის მოსახლეობასთან შებრძოლე-
ბაში“—ო. სთქვა ილიამ ეს, ოდნავ თავი დაუკრა თავმჯდომარე
და იმავე აუჩქარებელის და მტკიცე ნაბიჯით მობრუნდა თა-

ვის ადგილის. მე ალტაცებული ვიყავი ილიას ღირსეული და
გაბედული გამოსვლით, მზად ვიყავი გადახვეოდი... ამაზე გადადების გან
გათავდა ის სხდომა. თავის ხელობაში კარგად გამოცდილმა
თავმჯდომარემ მოისურვა ერთგვარი დივერსიის მოხდენა და
ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილ მძიმე შთაბეჭდილების გასა-
ჯარწყლებლად დააპირა რომელიმე კავკასიელის შეცდენა-
გაბრიყვება, რომ ჩვენისავე წრიდან მოესმინა ილიას სიტყვე-
ბის გაბათილება. მე შიშმა ამიტანა, ნუ თუ, გავიფიქრე, ვინმე
იქისრებს ამისთანა უკადრის საქციელს?! თავმჯდომარემ მოგ-
ემართა დელეგაციას და მოთმინებით უცდიდა, ვინ მოითხოვ-
და სიტყვას. ყოყმანი იღარ შეიძლებოდა. გრაფ სოლსკის წა-
დილის გაცრუება უნდა საჩქაროდ მომხდარიყო, რომ, მართ-
ლაც, კავკასიელების მხრივ შეცდომა არავის დაეშვა. თითქო
ვიღაცამ კისერში მერაო, უცბად წამოვდექი და სიტყვა მო-
ვითხოვე.

ჩემის წარმოდგენით, ილიას სწორედ იქ შეაწყვეტინეს ჟი-
ტყვე, სადაც მას ერთი დიდი ბრალდება კიდევ უნდა ეთქვა და
იმის თქმას-კი, ჩემად, აუცილებლად ვსთვლიდი. ვგრძნობდი,
რომ მეც შემაწყვეტინებენ სიტყვას, თუ ცოტა სხვა ფორმა
არ მივეცი იმ დებულების წარდგენას. სულ არ გაუვლია რა-
მოდენიმე წუთს, რაც მე ამ ფიქრებში ვიყავი და, უცებ, თავმ-
ჯდომარის წინ გავჩნდი. აი რისი თქმა მოვახერხე: „აქ ჩვენ
გვეკითხებიან, განა შეიძლება მომავალ საკანონმდებლო დაწე-
სებულებაში არჩევნების მოხდენა, მანამ ძირიანად არ იქნებიან
აღმოფხვრილნი ის სააგიტაციო ძალები, რომელნიც კავკასია-
ში რევოლუციურ გამოსვლებს ახდენენ? მაგრამ ამისათვის-
კი, სულ პირველად, დანამდვილებით უნდა გავეცნოთ: ვინ არი-
ან და სად არიან ის ძალები, რომელნიც შფოთსა და მღელვა-
რებას სოესენ ჩვენს მოსახლეობაში. თქვენ კარგად მოგეხსე-
ნებათ, რა უკიდურეს მიწის სივიწროვეს განიცდის ქართველი
გლეხი, რა მჭიდროდ არის დასახლებული ჩვენი მხარე, თუ
სახეში მივიღებთ მხოლოდ იმ მიწების სივრცეს, რომელიც მე-
ურნეობისათვის გამოსაღევია. ჩვენში მრავლად არიან ადგი-
ლები, სადაც გლეხი, მიწის დამუშავების დროს, თავის ტანს
წნელით ან თოვით მიაბამს ხოლმე რომელიმე ბუჩქს ან კლდო-
ვან ალაგს, რომ ფეხი არ დაუსხლტეს და უფსკრულში არ გა-
დაიჩეხოს. რაჭის მაზრაში მიწის ფასი იმ ზომაშდეა აწეული,



რომ ერთი ქცევა 1200 მანათამდე და მეტადაც უსისხლები აქ
თავმჯდომარებ შემაყენა და დამექითხა: განა ისეთ დიდ ძობა-
ვალს იძლევა იქაური მიწა, რომ ეგეთი ფასები ყოფილაონი
ქცევა რას უდრისო? იქ დამსწრე ბარონ ნოლდემ (ეს გრ. ვო-
რონცოვის წარმომადგენელი იყო პეტერბურგის უწყებებში)
დამასწრო და მოახსენა კომისიას: ქცევა 900 კპ. სუენი არი-
სო! — მე განვაგრძე ჩემი სიტყვა და გრ. სოლსკის გავვირვე-
ბაზე ვსთქვი: — ეგ დიდი ფასები, რასაკვირველია, არ არის გა-
მომხატველი მიწების ნამდვილი შემოსავალისა, რომელიც
ძალიან დაბალია. ეგ ფასები სწორედ იმისი მოქმედია, რომ
საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს მიწის სივიწროეს გა-
ნიცდის და ყოველი ქართველი მონატრულია ერთი პატარა
ფეხის დასაბჯენი აღგიღი მაინც მოიპოვოს თავის სამშობლო-
ში და არავითარი ფასის წინ არ დაღვება, თუ ფული იშოვა
სხვაგან სამუშაოზე. და აი როდესაც ასეთი უმწეო მდგომარე-
ობაა ჩვენში, რას ხედავს ჩვენი გლეხი? მას, რომ მთავრობა,
საღაც-კი თვალს მოჰკრავს, რომ იმის განკარგულებაში თა-
ვისუფალი მიწა გაჩნდა, ამ მიწას აღგიღობრივ, გაჭირვებულ
გლეხს კი არ აძლევს...

რაჯი სალაპარაკოდ გამიხდა საქმე, ახლა სხვა ხასიათის
საკითხზედაც გადავედი. საქმე იმაშია, რომ კავკასიის მთავ-
რობის პროექტით ჩვენში დეპუტატების არჩევა ისე უნდა მო-
მხდარიყო, რომ ქართველი კანდიდატი არ გასულიყო იმ ად-
გილებში, რომელიც მთავრობისათვის საშიშროებას წარმოად-
გენდა. ასეთ ადგილად, სულ პირველად, ითვლებოდა ქალაქი
ბათუმი, საღაც რევოლუციური მოძრაობა სდულდა და გადას-
დულდა და, ნაწილობრივ, სოხუმის ოლქიც. მიტომ მთავრო-
ბამ განიჩრახა ეს ოლქები გაეთქვითა უფრო კეთილსაიმედო
ერთეულებში. ასეთები იყვნენ მთავრობის თვალში შავი ზღვის
გუბერნია, ქალაქ ნოვორისისკით და ყარსის ოლქი. პროექ-
ტში ეს ოთხი, სულ სხვა და სხვა ხასიათის ადგილები გაერ-
თიანებინათ და მით ერთი საარჩევნო კურია გამოეყოთ: ერთ
დეპუტატის არჩევაც ქალაქ ნოვიროსისკში უნდა მომსდა-
რიყო. მე აუცილებლად დავინახე კავკასიის მთავრობის პლა-
ნის ჩაფუშვის სიჭიროება, და, როგორც ქ. ბათუმის წარმომად-
გენელისათვის, ჩემთვის სავალდებულოც. აი იმის ირგვლივ
ავაწყვე ჩემი სიტყვა.

დასრულდა სოლსკის კომისიის მუშაობა. კავკასიის მიერცხული უფლება თავისი დეპუტატების არჩევისა და ჩერქეზების გუბერნიაც ჩამოგვაშორეს ბათუმელებს. ჩვენი მხარის უფლებების დაცვა და საქმის სასურველად მოთავება მთელი კავკასიის დელეგატების დამსახურება იყო და აქ უნდა ვსოდათ, თავისი დიდი როლი ითამაშა იმ მუქარამ, რომლითაც ჩვენმა დიდმა ილიამ მიმართა რუსეთის დიდ ბობოლა მმართველებს.

სოლსკის კომისიის ყრილობას დაესწრო მეოთხე ქართველიც, თბილისის გუბერნიის გარშალი დავით მელიქიშვილი. იგი არ იყო დელეგაციის წევრი, მაგრამ მაინც დაესწრო არა ოფიციალურად, ასე ვსოდათ, როგორც მეთვალყურე. დ. მელიქიშვილი განსაკუთრებული ნდობით იყო აღჭურვილი გრაფ ვიტტეს მიერ, რომელთანაც დაახლოვებული ნაცნობობაცა ჰქონდა. ბევრნაირად იყო საინტერესო მელიქიშვილის პიროვნება. იგი დაბადებით ეკუთხნდა ქართულ არისტოკრატიულ წრეს, რწმენით ხმალამოლებული მომხრე იყო რუსეთის დინასტიისა და ამავე დროს-კი გულით — ქართველი. უნდა ითქვას, რომ დავით მელიქიშვილი უთუოდ დიდი კულტურით აღჭურვილი ადამიანი იყო. მან ბრწყინვალედ დაასრულა სამოცდათან წლების მიწურულში პეტერბურგის უნივერსიტეტი, იურიდიულ ფაკულტეტზე საპროფესორდაც კი უპირებდენ მას დატოვებას, მაგრამ პროფესორის მაგიერ, თანახმად გვარის ტრადიციისა და ბიძის, ლევან მელიქიშვილის სურვილისა, იგი მოულოდნელად ნიუეგოროდის დრაგუნის პოლკში შევიდა მოხალისე ჯარისკაცად. რუსის სამსახურში დიდი კარიერის გაკეთების საშუალება ეშლებოდა წინ, მაგრამ რუსები მაინც ალმაცერად უყურებდენ მას და არ სჯეროდათ მისი ას პროცენტად გარსებრივად და ამიტომ მათ სამსახურში შორს ვერ წავიდა; მიუხედავიდ ამისა, რომ ცოლებით ნათესავნიც იყვნენ, ილია და დავითი ძალიანაც არა სწყალობდენ ერთმანეთსა. ეს გასაგებიც არის, რადგან ილია რუსეთის საკითხში არასფერში არ ეთანხმებოდა მელიქიშვილს...

სოლსკის კომისიის სხდომები გათავდა და ჩვენ სამშობლო-საკენ წამოვედით. ილია და მე ვაგონის მეორე კლასის ორადგილიან კუპეში მოეთავსდით. იგი თბილისამდე აღარ გამოგვიცვლია. რაკი საერთო ხარჯები მე მებარა, ილიას ვსოდოვ ჩემი ანგარიშები მოესმინა. იგი დიდის ყურადღებით ისმენდა



და ციფრებს ზეპირად აჭამებდა. ჩემი მოხსენება იმშობლებით გამოიყენება და, რომ მე დამედო ილიას ვალი 700 მანეთზე ცოტა მეტი (დანამდვილებით აღარ მახსოვრებელია). ავდექი და ეს ფული იქვე მივართვი იმ თანხიდან, რომელიც წინა დღეს მივიღე სახელმწიფო საბჭოს რომელიღაც განკოფილებიდან, როგორც ჩემი ხვედრი საგზაო ხარჯებისა. ილიამ გამომართვა ფული და მითხრა: „ანგარიშში მხოლოდ ერთი შეცდომა მოგვიდათ“, მიმითითა რაღაც დეტალზე და დაუმატა: „ოქვენ კიდევ გმართებთ ჩემი ორი მანეთი და 50 კაპიკი“. მე ავუხირდი ჩვენი ბანქის ყოფილ უმთავრეს მართველს, რომ იგი სცდება. სულ ცოტა, ნახევარი სათი მაინც ვიკამათეთ და ილია არ მომეშვა მანამ მართლაც არ დამიმტკიცდა, რომ იგი სწორად ანგარიშობდა. ავიღე და ის ორი მანეთიც და ათი შაურიც მივართვი, თანაც ორივემ ბევრი ვიცინეთ.

* * *

თბილისში ჩამოსვლისას შეგვატყობინეს, რომ მეფის მოადგილე გიბარებთ ამა და ამ დღისათვისო. ჩვენც დანიშნულ დროზე ავედით ერთად სასახლეში. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა დაწვრილებით გამოკითხა ილიას კომისიის მუშაობაზე და დასძინა, რომ იგი მოხარულია, რომ კავკასიელთა დელეგაციამ სავსებით დაიცვა მისგან წარდგენილი პროექტი. ილია საკმაოდ უხალისოდ ებაასებოდა მეფისნაცვალს, თავისი დებულებანი არა წარუდგენია რა, მხოლოდ შეკითხვებზე აძლევდა თავდაჭერილ პასუხებს. ბოლოს ვორონცოვ-დაშკოვმა მეც მომმართა. ეტყობოდა მან ყველაფერი უკვე იცოდა, თუ ვინ რა ილაპარაკა გრაფ სოლსკის კომისიაში. მეფის ნაცვალმა წინადადება მომცა წარმედგინა პირადათ მისთვის წერილობითი მოხსენება გლეხების მიწის სივიწროვის შესახებ. ბათუმზე კი სიტყვა არ დაუძრავს. გამოვეთხოვეთ და გამოვედით. მე იმ დღესვე შევადგინე შემოკვეთილი მოხსენება, თეორად გადაწერილი ავუტანე ილიას; მან მომიწონა და მესამე დღეს იგი უკვე მეფის ნაცვალს გადავეცი. გრაფმა ჩემს თვალ წინ გადაიკითხა მოხსენება, ლურჯი ფანჯრით იქა-იქ ხაზებს უსევდა და გვერდზე თავის დასკვნებს აწერდა. მოხსენებას სულ რომ გაეცნო, გამობაასების ღრის მითხრა: — „რასაკვირველია, მიწის სივიწროვეს უნდა ეშველოს რამე. იმაშიაც მართალი ხართ,

რომ დაუშვებელია უცხო მხარედან ჩამოსახლება აქაუკი თა-
ვისუფალ ადგილებზე. ეს ფაქტიურად არც ხდება აჯორა გარდა
ხანია. ჩვენ თუ ეასახლებთ აქეთ, მხოლოდ რუსის გლეხებს
და მათი გადმოსახლება, რასაკვირებელია, შემდეგშიაც უნდა
მოხდეს. ამ თქვენს მოხსენებას მე გადავცემ ჩემს თანაშემწეს
პეტერისონს და ისიც ინახულეთ“—ო.

ამით გათავდა ჩემი იქ მისვლა! სახლისაკენ რომ წამოვედი,
გულში გავიფიქრე: მგონი ილია მართალია და საქმეც სწორედ
იქით მიღის, როცა ორივე მხარეზე „ზღვა სისხლი“ უნდა და-
იღვაროს... ამნაირად, მეფის ნაცვალთან ჩემი ბაასიც ცარიე-
ლი, მგლის თავზე სახარების კითხვა გამოდგა...

* * *

ჩემს დღეში არ დამაკიტყდება ის დღე და საათი, როდესაც
ამ აუდიენციის შემდეგ, ჩემი ბინისაკენ მივდიოდი. იმ დროს
მოხდა ერთი ისტორიული ამბავი. ქუჩაში მიმავალს, სახელ-
შეიფონ ბანების შენობას რომ შევუხვიე, უცბად არაჩვეულებ-
რივი რაღაც ხმაურობა მომესმა, თითქო ჩემს წინ ზარბაზანმა
იჭექაო! საშინელი რამ იყო ეს გასროლა. სადღაც ყუმბარა
გასკრა! ბათუმის გამოსვლებმა საკმაოდ გამრწვთნეს ამისთა-
ნების გამოცნობაში. მართლა ესეც გამოდგა: არსენ ჯორჯია-
შვილმა სტყორცნა ყუმბარა რუსეთის მხედრობის დიდს მეთა-
ურს ღენერალ გრიშნოვს და იქვე მოჰკლა იგი, ყოფილ ბა-
რიათინსკის ქუჩის ჩასახვევში... ჩემს წარმოდგენაში რაღაც
სიმბოლიური კავშირი გაება იმ თავგანწირულ ახალგაზრდა
ქართველის, არსენ ჯორჯიაშვილის გამოსვლასა და უკვე მო-
ხუცის, დიდი ილიას ამაყ და თამაშ მუქარის შორის, რომლი-
თაც მან დაურიდებლად მიმართა პეტერბურგში სრულიად რუ-
სეთის მამამთავართ...

დიდმა თაობამ, რომლის უშესამჩნევესი ფიგურა უტყუა-
რად ილა ჭავჭავაძე იყო, და მათ შემდეგ გამოსულმა ქართ-
ველმა მოდგმებმა, მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეს იმ დიად
მოძრაობას, რომელმაც ქართველი ერი გაერთიანებისაკენ და
განთავისუფლებისაკენ დარაზმა. თაობათა მთელი წყების მოლ-
ვაწეობა, ათეულ წელთა მანძილზე მოტანილი მსხვერპლით,
ილიას საქეუყნო სამსახური და, ბოლოს, იმისი გაბეღული სი-
ტყვა და ეხლა ი ეს ჯორჯიაშვილის ყუმბარა,— ყველა ეს

ეტაპი იყო ერთიანი, შეუჩერებლივი, შეუწყვეტელი ისტორიუმის ული პროცესის, რომელიც აშკარად ხდიდა ქართველებისთვის თანდათანობით გამოფხიზლებას, მის ზრდასა და მოუღრეკებლად დასმული მიზნისაკენ სვლას. და ეს მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება და სოციალური სამართლიანობის დამყარება...

* * *

მალე ბათუმში დავბრუნდი. ქალაქის თეითმართველობაში მუშაობამ სავსებით ჩამითრია, როგორც მე, ასევე ჩემი უფროსი კოლეგები: ჩემი მეგობარი, მთელს ბათუმში პოპულიარული პიროვნება, დაუღალავი მოღვაწე და ჩინებული ქართველი ი. ზ. ანდრონიკაშვილი (ქალაქის თავი) და ჩვენი ნიჭიერი მგოსანი, ცეცხლით საეს საზოგადო მოღვაწე, ბათუმისათვის სწორედ რომ თავდადებული, აწ განსვენებული, გრიგოლ ვოლსკი.

ბათუმის რევოლუციურმა ამბებმა, რომლის მსვლელობაში ბათუმის ქალაქის გამგეობას თავისი საპატიო როლი მიეკუთვნა, ისე ჩაგვიყოლია, რომ სხვა ინტერესებისათვის მოცალეობა აღარა გვრჩებოდა.

ეს იყო იმის მიზეზი, რომ პეტერბურგიდან ბათუმში დაბრუნების შემდეგ აღარ მინახავს ჩვენი დიდი ილია. აღარ მინახავს არც ცოცხალი და აღარც მოკლული და ნაწვალები...

ქალაქი ბათუმი, 1907 წ.

ქალაქი პარიზი, 1937 წ.

(ჟ. „ქართლოსი“, 1937, № 8, 9-10).

ზეობრივი გაირობის უკვდავი მაგალითი

ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში მუშაობის დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო თბილისელი ანტიკვარის გრიგოლ მაისურაძის 1912 წლის 8 აპრილის წერილმა ოლივერ უორდროპისაღმი, რომელსაც აქ მოვიტანთ მთლიანად (სტილი დაცულია):

„8. I. V. 1912

გატონო ოლივერ უორდროპ!

მე მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი, რომელმაც მე

შალიან გამაკვირვა იმიტომ, რომა მე თქვენ გამოგიგზავნებიყ-
ნი, მაგრამ თქვენ კი გზაენით თაყაიშვილთან. მე ძალაში გამოგიგზავნებიყ-
ნი, მაგრამ ვინ მისცემს მუქთათ. ამიტომ მე გთხოვთ, რომა თუ
შეიძლება ჩემი წიგნი მევე გამომიგზავნეთ, და არა თაყაიშვილს
გაუგზავნეთ; თაყაიშვილზე მე არაფერს არა ვყიდი იმიტომ,
რომა სულ მუქთათ უნდა, იმიტომაა იმასთან არავის არაფე-
რი არ მიაქვთ. მე მინდოდა კიდე სხვა წიგნები გამომეგზავნა,
მაგრამ თქვენ კი თაყაიშვილთანა მგზავნით, კიდე გთხოვთ,
უმორჩილესათ გამომიგზავნო უკან.

გრიგორი მაისურაძე.

სწორედ ამისთვისინა ვართ ჩვენი ქართველები უკან ჩამორ-
ჩენილი, რომა ასთუმნიანი რამე რომ წავიღოთ ერთ და ორ
მანეთზე მეტ არ აძლევს ჩვენი ბატონი თაყაიშვილი. მე თქვენ
აი ამიტომ მოგმართეთ და არა თაყაიშვილს. მე თითონაც ვიც-
ნოფ ბატონ თაყაიშვილს, რომა ფასს არ იძლევიან. ესენი სულ
იმას იძახიან, რომა შამოგვეწიროთ, მაგრამ ჩვენ თითონ არა
გვაბარია რა, მაგრამ იმათ რა შავწიროთ. ჩვენ დაგვჩენია კიდე
მიმართოთ უცხოელებს.

გრიგორი მაისურაძე.

Адрес:
Тифлис, Армянский Базар
№ 12, Григорий Майсурадзе».*

როგორც ირკვევა, ამ გრიგოლ მაისურაძეს პირველად 1912
წლის 15 მარტს მიუწერია ოლივერ უორდროპისთვის შემდე-
გი შინაარსის წერილი:

„19 $\frac{15}{III}$ 12.

ბატონო ოლივერდ ვარდრობ!

მე გავიგე თქვენი ანბავი და გამოვგზავნე თქვენთან ძველი
წიგნი, რომელსაც სახელი ჰქვიან (ყარამანიანი) და ეხლა მე
ველოდები თქვენგან ანბავს. თუმცა კიდევ არი ეხლა ძველი
წიგნები, მაგრამ რა უშველო, ფული არა მაქვს, რომ ვიყიდო,
თქვენგან რომ მომივა კარგი პასუხი მაშინ, რასაკვირველია,
ვიცდები გულდადებით, რომ ვიყიდო კიდე კარგი წიგნები და

* ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა, უორდროპთა ფონდი — d
38/11 (7).



გამოგიგზავნოთ. ეხლაც არი ერთ ალაგას ძველი ვეფხუდაც ტყეოსანი, მაგრამ რა ვქნა, ფული არა მაქვს, რომ ჭიშიღლო. მე გთხოვთ ჩარა პასუხი გამომიგზავნო, ხელიდან არ წამივიდეს ეს ვეფხვის ტყაოსანი რომ ვიყიდო. მე იმედი მაქვს, რომა კიდე რამდონიმე სხვადასხვა წიგნები და რამეები ვიშოვნო და გამოგიგზავნოთ. კიდე მაქვს ეხლა ერთი ნაშოვნი ძველის ძველი ხატი ვერცხლის ყუთში ჩადებული შიგ ოქროს ხატი ზედ წარწერილი, შიგ ოქროს ყუთი ისიც ნაწილებით წმინდანებისა ვისიც ნაწილებია სულ სწერია ორივე ყუთებზე და ოქროსიც და ვერცხლისაზეცა—ესე იგი წმინდა ნინოსი, წმინდა გიორგისა, დედა ხეთისა მშობლისა, წმინდა ბარბარისა და კიდე სხვგბისა. თუ რომა გნებამთ შემომითვალეთ და იმასაც გამოგიგზავნით. მე მაქვს ბრილიანჩიკის მაღაზია, ჩემთან ბევრი რამეები მოაქვთ ხოლმე, მაგრამ უფულობით ვერა ვყიდულოფ. მეც დავიარები ხოლმე აქა-იქა სოფლებში.

ჩემი ადრესი: 4-ე უარდანი თბილისის გამზირი სამართლის ტონი, № 1802).

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ამ წერა-კითხვის უცოდინარი თბილისელი ვაჭრუკანას წერილები, საიდანაც ნათლად იხატება, თუ როგორ თანდათანობით გაპქონდათ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი და მატერიალური კულტურის უძვირფასები ძეგლები.

მაგრამ ამ გადაგვარებული ქართველის ზნედაცემულობის, საბეღნიეროდ, წინ მედგრად დახვედრია ინგლისელი ქართველოლოგი და მაშინვე, 1912 წლის 10 აპრილს ეს ამბავი შეუტყობინებია ჩვენი ეროვნული საუნჯის შეუდრეველი გუშაგის ექვთიმე თაყაიშვილისათვის:

„ჩემთ ძვირფასო მეგობარო!

...ვინმე ბ-მა მაისურაძემ (სომხური ბაზარი № 12, თბილისი) გამომიგზავნა წერილი, რომელსაც თქვენ ნახავთ ამ ბარათში და „მანუჩარიანის“ ხელნაწერი, რომელსაც თქვენ ამავე ფოსტით მიიღებთ. მე მივწერე ბ-ნ მაისურაძეს და ვუთხარი, რომ არა ვარ ამ ხელნაწერის მყიდველი და ვთხოვე მოემართა ამის შესახებ თქვენთის“ (იხ. ოლივერ უორდროპის წერილები ექვთიმე თაყაიშვილთან, პუბლიკაცია ელ. კელენჯერიძისა,

„ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაშე“, ტ. III, თემა 1961,
გვ. 214, 220).

გახარებული ექვთიმე თაყაიშვილი ატყობინებდა ქართუ-
ლი კულტურის ერთგულ ინგლისელ მეგობარს:

„ჩემო მეგობარო!

ჩვენ უნდა გიმოქმედოთ შეთანხმებულად და მეგობრულად
ქართული ხელნაწერების ყიდვისას და არ უნდა მივცეთ საშუ-
ალება ვაჭრუქანებს ხელი მოითბონ ჩვენს სიძველეთა ხარჯზე“
(ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი d-39/7,3), „...ძლიერ კარგი
გააკეთეთ, რომ დაუბრუნეთ ხელნაწერი მაისურაძეს, მან ის
ჩვენ მოგვიტანა“ (ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი d-39/7,5).

ამ დოკუმენტებიდან კიდევ ერთხელ დამატებით იკვეთება
ექვთიმე თაყაიშვილის ზნეობრივი გმირობის უკვდავი მაგა-
ლითი, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ როგორ გადაუტენინა
მან ქართველ ხალხს უცხოეთში გაზიდვისა და განიავება-
დაკარგვისაგან ეროვნული კულტურის ძვირფასი ნაშთები.

* * *

ექვთიმე თაყაიშვილის არქივის მეცნიერულ აღწერილობას
და ბიბლიოგრაფიის შედგენას დიდი ამაგი დასდო ელ. კელენ-
ჯერიძემ (1963, 1973 წწ.). მიუხედავად ამისა, ზოგი რამ კი-
დევ დარჩა მოსაძიებელი, შესავსები და დასაზუსტებელი. ამი-
ტომ დაინტერესებულ მკითველს ვთავაზობ ახლად მოპოვე-
ბულ შემდეგ ცნობებს:

ე. თაყაიშვილის ნაშრომი „სამუსულმანო საქართველო
(წოროხის აუზი)“ დაბეჭდილა ე. „ქართლოსის“ 1939 წლის
მაისის თვეის № 19-23-ში (შდრ. ელ. კელენჯერიძე, იყალემიკოს
ექვთიმე თაყაიშვილის არქივის აღწერილობა, თბ., 1972, გვ.
126, 228; სქ. 16; ე. თაყაიშვილის ფონდი, № 664, № 2239).

დღემდე მკვლევართა განკარგულებაში იყო მხოლოდ ცალ-
კი ფურცლებად ცალ გვერდზე სტამბურად დაბეჭდილი და
გავრცელებული ექვთიმე თაყაიშვილის „მიმართვა ქართველ
ემიგრაციისადმი“, რომელიც 1936 წლის 25 ნოემბრით იჩის
დათარიღებული და დაცულია ე. თაყაიშვილის არქივში (ხელნ.
ინსტ., ე. თაყაიშვილის ფონდი, № 114; შდრ. ელ. კელენჯე-
რიძე, დას. ნაშრ., გვ. 51). ახლა იჩვევა, რომ ე. თაყაიშვილს
თავისი „მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი“ გამოქვეყნებუ-

ლი ჰქონია ავტოთე ქ. „ქართლოსში „1937 წლის თებერვლის
№ 1-ში, გვ. 8-9.

საქმე ისაა, რომ 1936 წლის შემოდგომაზე ექვთიმე თაყაი-
შვილის მოწაფეებს და თაყვანის მცემლებს პედაგოგიური და
მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლის შესრულებასთან დაკავ-
შირებით გადაუწყვეტიათ მისთვის იუბილის გადახდა. უცხო-
ეთში მყოფ მატერიალურად შევიწროებულ და მეცნიერული
მუშაობის ნორმალურ პირობებს მოქლებულ დიდ ქართველ
მეცნიერს, რომელიც ერთგულ დარაგად ედგა საზღვარგარეთ
გატანილ ეროვნულ განძს, დაუწერია „მიმართვა ქართველ
ემიგრაციისადმი“, საიდანაც მოვიტანთ ზოგიერთ აღვილს:

„...ქართული სულიერი, გონიერივი და მატერიალური კულ-
ტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რამეში მეტად თავი-
სებურია; იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი
ძველი კულტურა ჰქონდეს; მა კულტურამ გადაარჩინა ქართ-
ველი ერი მოსპობას უამთა ვითარების აბობოქრებული ქარტე-
ხილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოვე-
ლი ჭირის გადატანისა.

ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს
არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჰეშმარიტად ქართული სულის
მატარებელი; მას გადაგვარება მოელის, თუ უკვე გადაგვარე-
ბული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ, ხელი შეუწყოთ
ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ
რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში
და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში; უამისოდ ჩვენ ვერ ალ-
ფიდგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ
მის ცხოველყოფელ ძალას, რომელიც იხატებოდა პირველ
ყოვლისა მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიე-
რო და საერთო ლიტერატურაში, პოეზიაში. ფილოსოფიაში,
ხუროთმოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში,
რეტროს და ზენეობის სიმტკიცეში, სოციალურ წყობილებაში,
მეურნეობაში, ეკონომიკაში და სხვა.

...კვეენაში ნუვინ ჩამომართმეცს, თუ ვიტყვი, რომ მე წი-
ლად მხვდა სხვებთან ერთად ჩემი სუსტი ღონე და მცირე თა-
ვისუფალი დრო, — სპეციალურ საპედაგოგიო მოღვაწეობიდან
გადარჩენილი, — მთლად შემეწირა ქართული საისტორიო და
საკულტურო საგნების და მასალების შეგროვებისათვის, ცნო-



გაში მოყვანისათვის, ოლწერისა და გამოცემისათვის... ჭავჭავაძე
ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაქვს და გამოუცემელი რჩება; ამ
საქმე კი საშურია: დრო მიღის, მე მივიწურე აღსასრულისა-
კენ „ადამის ტომთა წესითა“, და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს
ვერავინ გაართმევს... ამათ გამოცემას მპირდებოდენ ექვს დიდ
ალბომად, მაგრამ ეს იმედი ეხლა გაქრა, ამაზე ოცნებაც მეტია,
ვინაიდან ამას, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, დასჭირდება ნახე-
ვარ მიღიონ ფრანქზე მეტი...

ამიტომ გავკალნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული
საკულტურო საქმეა, და მივმართავ ყველა საზღვარს გარეთ
მყოფ ქართველ ორგანიზაციებს და თვითეულ საზღვარს გა-
რეთ მყოფ ქართველს განურჩევლათ პარტიისა, კეთილ ინე-
ბონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ
ამ საქმეში, ვისაც ეხერხება, ერთდროული თანხა მოგვაწო-
დოს; ვისაც ეს არ ეხერხება, თვიურად ერთი წლის განმავლო-
ბაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს; უფრო ხელმოყლეთ შეუძ-
ლიათ ხუთ-ხუთი ფრანკი გადადვან; რასაკვირველია, ვინც
უმუშევარია, მათ ეს მიმართვა არ ეხება...

ახლო ხანში 50 წელი შესრულდება, რაც მე საპედაგოვით
დარგში და ამ დარგში (იგულისხმება მეცნიერული მოღვაწე-
ობა, გ. შ.) დავიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილ-
მა შეგირდებმა მომმართეს წინადაღებით იუბილეს მოწყობი-
სა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, პირველად იმი-
ტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია, — მე მხოლოდ
ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი. მეორედ იმიტომ, რომ
კიდევაც ლირსი ვიყო იუბილეისა, ჩვენს პირობებში, ემიგრა-
ციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგების! იუბილეზედ მეტად
ჩავთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა
საშვალებას მომიხერხებენ.

...კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე თუ რამე გაეცე-
ბულა, ისევ ლარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენ-
ციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვყვანდენ და ვინც გვყვან-
და, ბევრი საიმისო არაფერი გაუკეთებიათ. თუ გული გულობს
და ყველანი შევერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს
ტშველება...“

მიუხედავად ასეთი გულმხურვალე მიმართვისა, პარიზში
ემიგრაციაში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერულ ნაშ-
14. გ. შარაძე

რომთა გამოცემის საქმე მაინც დიდად წინ აღ წაწეულა...
ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერებების მაკ-
გიდრეობის შესასწავლად და გამოსაცემად განსაკუთრებით
ბევრი რამ გაკეთდა დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ემიგ-
რაციიდან სამშობლოში დაბრუნებისა (1945 წ.) და გარდაცვა-
ლების (1953 წ.) შემდეგ.

ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და ლვაწლს მიეძღვნა
შ. ამირანაშვილის (1968 წ.), რ. მეტრეველისა და შ. ბადრიძის
(1962 წ.), ა. სურგულაძის (1977 წ.), გ. უორდანიას (1983. წ.)
მონოგრაფიული ნარკვევები, მწერალ ელ. უბილავას წიგნი
„განძეულობის გუშაგი“ (1980 წ.).

1946 წლიდან დღემდე თბილისში გამოქვეყნდა ექვთიმე
თაყაიშვილის რამდენიმე ნაშრომი და „მოგონებანი“, მათ შო-
რის აღსანიშნავია აკაკი შანიძის დიდი მზრუნველობის წყა-
ლობით 1952 და 1960 წლებში რუსულ და ქართულ ენებზე
გამოცემული ე. თაყაიშვილის ფუნდამენტური შრომა: „1917
წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“,
ხოლო 1968 წელს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ გამოსცეს
ე. თაყაიშვილის „რჩეული ნაშრომების“ I ტომი. 1966 წელს
გამოვიდა სამეცნიერო კრებული „აკადემიკოსი ექვთიმე თა-
ყაიშვილი“...

სრულიად განსაკუთრებული და ფასდაუდებელია გამოჩე-
ნილი მეცნიერისა და მოღვაწის განსევნებულ გიორგი ლომ-
თათიძის ამაგი, რომელიც მან დასდო სამშობლოში დაბრუნე-
ბულ ხანდაზმულ, 80 წელს გადაცილებულ ექვთიმე თაყაიშ-
ვილს. პროფ. გ. უორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „გ. ლომ-
თათიძე (თავის მეულე ნინო ლოლობერიძესთან ერთად) 1948-
52 წლებში თანამშრომლობას უწევდა ექვთიმეს ახალ-ახალი
ლიტერატურის გაცნობაში, მასალების შეკრებაში, მოფიქრე-
ბულ ნაშრომთა დაწერაში, რედაქტირებასა და დასაბეჭდად
მომზადებაში. დიდია გ. ლომთათიძის როლი ექვთიმეს მოგო-
ნებების ჩაწერაში; თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ლომ-
თათიძის გარეშე ჩვენ შეიძლება ბევრი რამ ექვთიმეს ცხოვ-
რებიდან არც გვცოდნოდა“ (იხ. გ. უორდანია, დაბრუნებული
საუნჯე, თბ., 1983, გვ. 23).

უკვე რამდენიმე წელია ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ

მეცნიერის ხსოვნის სახალხო დღესასწაულს, იქვე დაიდგა მეცნიერების თაობა მეცნიერის დღესასწაულის დღეზე; 1984 წელს ამ დღესასწაულმა თბილისში გადამტკიცია ნაცელა, უკეთ, თბილისიდან — დიდუბის პანთეონიდან (სადაც განისვენებს დიდი მეცნიერის და მამულიშვილის ნეშტი) და-იწყო და მახარაძეში გაგრძელდა...

ასე რომ, ჩვენს სამშობლოში დიდი პატივით და ზრუნვით არის გარემოსილი ექვთიმე თაყაიშვილის უკვდავი სახელი და ღვაწლი; ახლა უკვე დადგა დრო საბოლოოდ ახდეს 50 წლის წინათ ემიგრაციაში ნანატრი და აუხდენელი ოცნებაც — ქართველ მეცნიერთა გაერთიანებული ძალებით დავიწყოთ ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა!

აქვე მკითხველს ვთავაზობთ წლების მანძილზე ექვთიმე თაყაიშვილის ერთგული თანაშემწის განსვენებულ გიორგი ლომთათიძის აჩქივში დაცულ ექვთიმე თაყაიშვილის ფოტო-მასალას, რომელიც გაღმოგვცა ისტორიკოსმა ნინო ლოლობერიძემ.

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფის უცნობი ნუსხა „ზატიპის“ 1738 წლის გამოცემაზი

ამ საუკუნის დამდეგს ქუთაისში კარგად ცნობილი პედაგოგი, მომავალ გამოჩენილ მეცნიერთა — გიორგი ახვლედიანისა და ვუკოლ ბერიძის ფრანგული ენის მასწავლებელი ქუთაისის გაუთა გიმნაზიაში ვენერა ბერიძე-წერეთლისა (გარდ. 1912 წლის 6 იანვარს) პირველად 1981 წელს წარვუდგინე ჩვენს მკითხველს ინგლისიდან ჩამოტანილი მასალების მიხედვით გა-ზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილების სერიაში: „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე...“

ვენერა ბერიძე-წერეთლის უფროსი დის — ნინო გურიელის შეიძლიშვილმა, თბილისელმა უურნალისტმა ქალმა ლეილა დადიანმა მადლიერების ნიშნად საოჯახო რელიკვია — ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნის“ უცნობი ძველი ნუსხა მისახსოვრა. რომელსაც შესწავლის შემდეგ, საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ჩვენს ეროვნულ საცავს — ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაგ-ცემ...

ბოლო მივლინების დროს ოქსფორდიდან ვენეცია გადაწყვეტილი წერეთლისას კიდევ რამდენიმე უცნობი წერილი ქაშჩავათანე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა ღრმა მეგობრული უძრავს მარჯობი აქავშირებდა მას ჩვენი კულტურის ერთგულ ინგლისელ დაძმასთან, გამოჩენილ ქართველობოგებთან — მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან, როგორ განიცადა მან მარჯორის უეცარი სიკვდილი ბუქარესტში 1909 წლის დეკემბერში, როგორ ზრუნავდა იგი მარჯორის გარდაცვალების შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტში გახსნილი მარჯორის ული ქართული ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად, მათ შორის, ზუსტდება ჩვენი ცნობები როგორ მოხვდა ოქსფორდში „ვეფხისტყაოსნისა“ და „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ხელნაწერები, რომლებიც დღეს იქ არის დაცული (d-17 და e-9)... აი, ეს წერილებიც:

I.

1909 წლის 7 დეკემბერი, ქუთაისი ძვირფასო ოლივერ!

წარმოუდგენელია ჩემი მწუხარება და მთელი ჩვენი ოჯახის ამ საზარელი ამბვის შეტყობით. დავკარგე უძვირფასესი მეგობარი ჩემი, ჩემი ანგელოზის სადარი მარჯორი, დავკარგე ჩემი საყვარელი სამშობლოს ერთგული გულშემატკივარი შვილებული, მკვიდრ შვილზე უერთგულესი!

მარჯორის სიკვდილი გამომხატველია საქართველოს უბედობის. რა მოულოდნელი, წარმოუდგენელი გულსაზარი ამბავი მომიტანა, ოლივერ, თქვენმა ბარათმა! მე კი ვოცნებობდი ამ ზაფხულს მარჯორისა და თქვენს მოპატიუებას, კვლავინდებურად ერთად სიამოვნებით დროს გატარებას და ამის მაგიერ კი ჩემს დღეშიდაც ვეღარ ვიხილავ მის სათნო მშენებელ სახეს! მტკივა ამ მოფიქრებით გული. რა რიგად შევდივარ თქვენს მწუხარებაში, მეცოდვებით, როგორც ჩემი საკუთარი ძმა, მერწმუნეთ ოლივერ! ჩემი და ნინუცა (ტელემაქ გურიელის მეუღლე ნინო ბერიძე, გ. შ.), მამაჩემი (სიონ ბერიძე, ხიდისთავში მცხოვრები გურული აზნაური, გ. შ.) და ყველა ჩემი მახლობლები მცხარის ცრემლით ვიგონებთ ჩვენს ძვირფასს დაუვიწყარს მარჯორის! ყველა თქვენი აქაური ნაცნობები არა ჩვენზე ნაკლებ დამწუხრებული არიან ასეთი ძვირფასი აღამიანის დაკარგვით ნიჭით აღვსილი და კეთილ გან-

წყობილებით ჩვენი სამშობლოსადმი; თითქმის ვინც სრულად
გით არ იცნობდა მას და გაიგო თუ რა დაკარგა ჩვენმა ჩვეულებები
ნამ მაგ მშვენიერ აღამიანში—ისინიც დამწუხარდენ და უერთე-
ბენ მათ მწუხარებას ჩვენს მწუხარება-ტირილს. გთხოვთ გა-
დასცეთ, ოლივერ, ჩემი და მთელი ჩვენი ოჯახის უგულითადე-
სი თანაგრძნობა ბატონ დედათქვენს და თომას (მარჯორის უმ-
ტროსი ძმაა, გ. შ.). მაგრამ მარჯორის ხსენება საუკუნოდ დარ-
ჩება ჩვენში. მე კი მისი მოყვარული გულითადი მეგობარი უნუ-
გუშოდ ვრჩები და ვერასდროს ვერ ვინუგეშებ მისი დაკარ-
გვით, სულ თვალშინ მიღვას მისი ანგელოზის მსგავსი სახე!

რა ავადმყოფობამ მოგვტაცა ასე უეცრათ მისი თავი? თქვენ
მწერთ მხოლოდ ერთი დღე იავადმყოფაო — რა იყო ასეთი?
ნუთუ გულის ავადმყოფობა? მახსოვს, აქ რომ იყო, ამბობდა
«порок сердца» მაქვსო!

შორიდან მუხლს ვიდრეკ ძვირფასი გვამის საფლავზე და
ვეამბორები; რომ მომიწვდებოდეს ხელი შეუმქო საფლავი მი-
სი საყვარელი ქვეყნის ყვავილებით, ბეღნიერად ჩავთვლიდი
ჩემს თავს. იმედი მაქვს, ოლივერ, არ შესწყვეტით კავშირს
ძვირფასი დისგან დამყარებულს მისს შეყვარებულ ქვეყანას-
თან და მის ერთგულ მეგობრებთან.

მე ყოველთვის მზა ვარ და ვიქნები დურის სიყვარულით
და მეგობრობით გამოგიწოდოთ ხელი.

დავშთები თქვენის მწუხარების მოზიარე

ვენერა ბერიძე.

II

1911 წლის 20 აპრილი, საჩხერე

ძვირფასო თლივერ!

...რომელ ხელნაწერს თხოულობ, ოლივერ? ვეფხისტყაო-
სანს ჩვენი ოჯახისას თუ რამე სხვას? თუ იმ ვეფხისტყაოსან-
ზე მწერ, მომწერე ახლა დანამდვილებით და ვეცდები გამო-
ვაგზავნინო მხოლოდ სანახავად, თორემ ის შეწირული აქვს
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე თუ მუზეუმი-
სათვის, არ ვიცი; თუ სულ გინდა რომ მანდ იყოს ვეფხის-
ტყაოსნის ხალთნაწერი, მაშინ ვეცდები სხვა ვიშოვო, მომწერე
კარგათ რომ მივხვდე და ყოველ ღონეს ვინმარ, რომ ვიშოვო...
მარად თქვენი მეგობარი

ვენერა წერეთელი.

1911 წლის 3 აგვისტო, საჩერე
ძვირფასო ოლივერ!

...რაც შეეხება იმას, რომ მწერ ძველი ნაწერების შესახებ, რასაკვირველია, მეც და სხვა შეგნებული ვინც არის, ვცდა-ლობთ, რომ არ დაიბნეს, ვეძებთ, მაგრამ მაინც ბევრი იქა-გება და უფრო ბევრი კი რუსეთს უვარდება ხელში. ოლივერ, როსტომის (წერეთლის, ვენერას ქმრის, გ. შ.) ბიძაშვილს, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობს, თუ ვასსოვს, თითქმის ერთ ეზოთ ვდგავართ, ჩვენი სახლი და მათი ძლიერ ახლოსაა, რომელსაც ჩვენ გიგას ვეძახით და ისე კი სახელად გრიგოლ (გიორგი) სიმონის ძე წერეთელია, სურს გამოგზავნოს ოქს-ფორდში, მარჯორის ბიბლიოთეკას შესწიროს ხელნაწერი სუ-რათებიანი ვეფხისტყაოსანი და არ ვიცი თუ როგორ გამოვ-გზავნო, გთხოვ კარგათ მომწერო, რა რიგათ გამოვგზავნო, რომ არ დაიკარგოს; მე ასე ვფიქრობ, ჯერ შენ გამოვიგზავ-ნით და შენ თვითონ მერე იქ გადასცემ, — არა, ასე არ სჯობს! მხოლოდ არც ის ვიცი, შენს სახელზეც როგორ გამოვგზავ-ნოთ, რადგან რამოდენიმე წიგნები კიდევაც დაიკარგა ხომ ჩე-მი გამოვგზავნილი ფოჩტით მარჯორის სახელზე შარშანწინ*. როდესაც მომწერ როგორ უნდა გამოვგზავნოთ, მაშინვე გა-მოვგზავნით. მაშინაც მე რაიმე თუ ვიშოვე ძეველი წიგნები, მსურს ყველა მანდ გამოვგზავნო, მაგაზე უფრო შესაფერი და საიმედო ბინა სადღა მოიპოვება ჩვენი ძველი წიგნებისათ-ვის!...

მარად მოყვარული მეგობარი

ვენერა წერეთლისა.

* იგულისხმება ბაჟის გადაუხდელობის გამო ინგლისის ფოსტაში და-კარგული წიგნები (ოლონდ, სახელდობრ რა, არ ვიცით), რასაც ვიგებთ მარჯორი უორდრომისადმი 1908 წლის 16 ნოემბერს გაგზავნილი ვენერა ბერიძის წერილიდან, რომელიც ოქსფორდშია დაუსული: „ჩემო უძეირფა-სესო მარჯორი! ...ლონდონიდან მომივიდა ეს განცხადება და ისევ შენ გიგ-ზავნი, რომ დამიწერო პასუხზედ ასე: თუ შემატყობინონ ან იქ რამდენი უნდა გადახდა ან თუ შეიძლება რომ იქ გადვიხადო (наложенным плате-жком). ნამეტანი მწყენია, რომ დააკავეს იქ ფოჩტაში, ეგ რა კანონი გქო-ნიათ? ბაჟი მიღების დროს უნდა გადავაჭდევინონ. მომიხერხე ასენიარიად, რომ გამომიგზავნონ, მარჯორი, ნამეტანი გული დამწყდება თუ დაიკარგა”... ეტუობა, ამ თხოვნას შედეგი არ გამოულია და ქართული წიგნები სამუდა-მოდ დაკარგულია!



ამ წერილის პასუხად 1911 წლის 3 სექტემბერს ოფიციალურად
უორდროპი თავის ქართველ მეგობარ ქალს ატყობინებდა
„ძვირფასო ვენერა!

...რამდენიმე დღეში იწყება რუსთაველის მარჯორისეული
თარგმანის ბეჭდვა და წიგნი უნდა გამოქვეყნდეს ამ წლის ბო-
ლომდე. იმედი მაქვს, ისევე კარგად მიიღებენ მას, როგორც
ის იმსახურებს. როცა წიგნი გამოვა, ერთ ცალს თქვენც გამო-
გიგზავნით.

გთხოვთ გადასცეთ თავად გრიგოლ წერეთელს ჩემი გულ-
წრფელი მადლობა იმისთვის, რომ შემოგვთავაზა თავისი საინ-
ტერესო ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტის მარჯო-
რის ბიბლიოთეკისათვის. უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, რათა
გზაში არ დაიკარგოს, ან არ დაზიანდეს...

გულწრფელად თქვენი

ოლივერ უორდროპი.

(ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, წერილი ინგლისურ
ენაზეა დაწერილი).

IV.

1911 წლის 31 ოქტომბერი, საჩხერე
ძვირფასო ოლივერ!

...დიდი ხანი არ არის, რაც ქუთაისში ვიყავი და იქედან
საიმედო პირს გავატანე ბ-ნ სტივენსთან თქვენთან გამოსაგზავ-
ნი ორი წიგნი: ერთი ძველი „ვეფხისტყაოსანი“ და შეორე
„ანდრია სალოსი“; ძალიან ბოდიშის წერილი მიეწერე, რომ
შევაწუხე და თქვენც გთხოვთ, ოლივერ, მასთან ბოდიში მომ-
თხოვთ, მაგრამ ასე უფრო საიმედო მიმაჩნდა. ეს ორი წიგ-
ნი, როგორც წინედ გწერდი მარჯორის სახელობაზე ბიბლიო-
თეკას შემოვწირეთ მე და როსტომის ბიძაშვილმა ვიორგი სი-
მონის ძე წერეთელმა. მარჯორის ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი
თუ დააბეჭდინე? როდესაც მანდ წაიკითხავენ, ძალიან საინ-
ტერესო ჩვენთვის თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენ
სწავლულებ-მეცნიერებზე და გთხოვ მათი აზრი დაწვლილებით
გადმომცეთ, ოლივერ!..

თქვენი გულითადი მეგობარი

ვენერა წერეთლისა.



ნუსტიკა (გ. 17)

გერმანული დოკუმენტი

ინგლისში მოხვედრილი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსტიკა (გ. 17) გარშემო ცნობებს ოქსფორდში რომ ვაგროვებდი, რა ვიცოდი, თუ უფრო მეტად სასიამოვნო მოულოდნელობა სამშობლოში მელოდა...

* * *

1984 წლის 19 ივნისს ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმში გამსვლელი სესია მოაწყო გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის (ძველი ვაჩაძიანის) სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

ცნობილი მოღვაწის ლევან ჯანდიერის ყოფილ ძველ სა-სახლეში, რომლის ხშირი სტუმრები ყოფილი ილია, აქავი და ვაჟა, აგ სოფლის პედაგოგ-ისტორიკოსს გიორგი მაისურაძეს გაუმართავს მშვენიერი მუზეუმი, საღაც თანასოფლელთა აქტიური დახმარებით შესანიშნავი ექსპონატებისთვის მოუყრია თავი (აქვე დავძენ, რომ რაიონის ხელმძღვანელობისაგან ამ მუზეუმის კაპიტალურ შექეთებას და მასში დაცული მდიდარი ექსპონატების მოვლა-პატრონობას მეტი ყურადღება სჭირდება). მათ შორის ჩემი ყურადღება მიიჩუია ძველმა ნაბეჭდმა ქართულმა წიგნებმა, რომლებიც პატივცემულ გ. მაისურაძის განცხადებით, სოფლის მუზეუმისთვის ახლახან შეუწირავს ერთ სასულიერო პირს, რომლის ვინაობასაც, მისი თხოვნით, მუზეუმის მესვეური არ ამხელს.

ერთ-ერთ მათგანში ყდის შიდა ორივე გვერდზე ჩაწერილი აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ რვა სტროფი, რომელთა შესახებ ვიღაცას, აშკარად სასულიერო პირს, გვიან ასეთი შენიშვნა მიუწერია: „ქ. ვისაც ეს დაუწერია ზემო ლექსები, დაუშევებია, რომ აქ დაუწერია სამლოც წიგნში“.

მაინც რომელი „სამლოც წიგნია“ იგი?

ხეზე გადაკრულ მშვენივრად ორნამენტირებულ ტყავის-ყდიან წიგნს, მართალია, სატიტულო ფურცელი და პირველი ათი გვერდი აკლია, მაგრამ შინაარსის და სხვა მონაცემთა მიხედვით დანამდვილებით ირკვევა, რომ იგი წარმოადგენს 1738 წელს მოსკოვში ბაქარ გახტანგის ძის ბრძანებითა და იოსებ სამებელის წარსაგებლით ქრისტიფორე გურამიშვილის მიერ დაბეჭდილ 876-გვერდიან „ზატიკს“.

წიგნის 380-ე და 427-ე გვერდებზე გაკეთებულ მინაწერუ-

ბიდან ირკვევა, რომ იგი ერთ დროს ჰყუთვნებია ანდრონიკე
შვილებსა და ფარემუზიშვილებს:

1. „ეს ესე ზატიკი ენდრონიკანთი“ (გვ. 380).

2. „ქ. ესე ზატიკი ფარემუზიშვილისა ვინც მაიპაროს გაუ-
წყრა ამისი მადლი. ქვს უნზ [1312+457=1769 წ.]“ (გვ. 427).

„ზატიკის“ ამ ცალის ყდის შიდა გვერდებზე, როგორც უკვი-
ზემოთაც ვთქვი, ჩაწერილია ვიღაცის ხელით „ვეფხისტყაოს-
ნის“ რვა სტროფი, ამათვან, პირველი ხუთი სტროფი პირველ
გვერდზე, ხოლო მომდევნო სამი — მეორე გვერდზეა მოთავ-
სებული.

აი, ისინიც:

„(1). ქ. სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა
პირველ ნდომა სიახლისა სიშორისა ვერ მოთმენა
მიცემა და არას შური ჩუქებისა არ მოწყენა

[და] გავლენა და მოგმარება მისად რგებად ველთა ჩბენა.

(2). ქ. მე რა მნახა მიბნედილი მეფე ყელსა მოშენვია
ცრემლით მითხრა შვილო შვილო ცოცხალი ხარ სიტყ-
ვა თქვია

მე პასუხი ვერა გავეც ვითა შმაგი შევკრთი დია
და კვლავ დავეცი დაბნედილსა გულსა სისხლი გარდმე-
თხია.

(3). ქ. ვარდსა ჰყითხეს ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტა-
ნად პირად
მიქვირს რად ხარ ეკლოვანი პოვნა შენი რად არს

ჭირად

მან თქვა ტქბილსა მწარე ჰპოებს სჯობს იქნების რა-
და ძვირად

და [ოდეს] ტურფა დაიაფდეს აღარ ღირდეს არცა ჩირალ.
(4). ქ. იტყვის ღ'თო რა შეგცოდე შენ უფალსა არსთა
მხედსა

რად გამყარე მოყვარესა რად შემასწარ ამა ბედსა
ერთი ორთა მგონებელი ვარ საქმესა წასაწყმედსა
და მოგვცდე თავი არ მეწყალვის ჩემი სისხლი ჩემსა
ქედსა.

(5). ქ. რა წამეჭიდა ყოველი წვრილად გიამბო ენითა
მერმეღლა გაბრჭე მართალი მაგა გულითა ბრძენითა
შენ მოგელოდი მიმჭირდა მოლოდინითა შენითა

და შვ[აბს] ველარ გავძელ მინდორთა მოელა მომზრდა
ცხენითა აგენტობითა
(6). ქ. მინდორ მინდორ მიუღიოდით ჩვენ ღამესა და
ბნელსა

დიდი რამე სინათლენი გამოგვიჩნდა შუა ველსა
ვთქვით თუ მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედან
ქმელსა

და დაბნეულნი მივეცენით გონებასა ჩვენსა [მსჯელ]სა.
(7). ქ. მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღთისა
კრონოს წყრომით შემხედველმან მოიშორა სიტყბო
ეზისა

მათვე რისხვით გადუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვ-
ლე ცისა

და ველი მკვდართა ვერ იტევდა გადიადდა ჯარი მკვდრისა.

(8). ქ. ოდეს ძე ჩემი ეთხოვნა სასიძოთ ინდოთ მფლობელსა
მაშინ ვერ საღით ვიცნობდი ტარიელს სისხლთა მჩქე-
ფესა

უმჯვიდროდ ყოფნა ეწერა მათს წიგნსა მათსა სეფესა
[და] ამად ვერ მივხვდი მიგმობდით ჰქუასა დანაყეფე]სა“.

1957 წლის გამოცემასთან შედარებიდან ირკვევა, რომ პირ-
ველი შვიდი სტროფი წარმოადგენს პოემის 777-ე, 350-ე,
878-ე, 861-ე, 906-ე, 1225-ე, 1415-ე სტროფებს, ხოლო უკა-
ნასკნელი მერვე სტროფი კი ამოღებულია „ვეფხისტყაოსნის“
დანართისაგან — „ავთანდილისა და ფრიდონისაგან წასვლა და
ხვარაზმელთა ომი“, რომელიც პოემის ტექსტის ჩანართ-დანარ-
თებიან ს. ყუბანეიშვილისეულ გამოცემაში (თბ., 1956 წ.)
2003-ე სტროფად არის დაბეჭდილი.

ჯერ ვიფიქრე, ჩვენს ნუსხაში პოემის აღნიშნული სტრო-
ფები 1712 წლის ვახტანგისეული ბეჭდური გამოცემიდან ხომ
არ არის გაღმოწერილი-თქო. შეეუდარე ისინი დასახელებულ
გამოცემაში შესაბამის ღმერთი, ტმვ, ყავ, ყნა, ყუვ, ჩსიე, ჩუე
სტროფებს და გამოირკვა, რომ ისინი ერთმანეთისგან ვარიან-
ტულად განსხვავდებიან.

ვახტანგისეული გამოცემის გამორიცხვის შემდეგ, ეჭვი
გამიჩნდა აღნიშნული სხვაობანი ზეპირად ჩაწერის ბრალი ხომ
არ არის-მეთქი. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიან-
ტებისა“ და პოემის ა. შანიძე-აღ. ბარამიძის გამოცემასთან

(თბ., 1966 წ.) შედარებამ ეს ეჭვიც გააქარწყლა: ჩვენი ნუსხას
მეტად საყურადღებო ვარიანტული სხვაობანი მეტწილად და
დასტურდა პოემის აქამდე ცნობილ ხელნაწერთა საუკეთესო
წყებაში, ხოლო ზოგიერთი მხოლოდ მას შემოუნახავს.

ხელნაწერი გავაცანი აკადემიკოსებს აკაკი შანიძეს, ალექ-
სანდრე ბარამიძეს და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს სარ-
გის ცაიშვილს, რითაც ისინი ძლიერ დაინტერესდნენ. კერძოდ,
ს. ცაიშვილის დასკვნით, „როგორც ჩანს, სტროფები ამოღე-
ბულია რომელიმაც ვრცელი რედაქციის, ჩემი ვარაუდით, პირ-
ველი რედაქციის შემცველი ტექსტიდან, რასაც მოწმობს აგ-
რეთვე რიგი წაკითხვებიც“.

მათ აგრეთვე ერთსულოვნად გაიზიარეს ვარაუდი პალეოგ-
რაფიულად ხელნაწერის მე-18 საუკუნის II ნახევრით დათა-
რიღების თაობაზე.

ამდენად, „ზატიკის“ 1738 წლის მოსკოვურ გამოცემაში
ჩაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი ანგარიშგა-
საწევი ხელნაწერის მნიშვნელობას იძენს და მე-18 საუკუნის
ნუსხათა რიგში დგება. ამას გარდა, იგი საყურადღებოა სასუ-
ლიერო ხასიათის წიგნში (ამ შემთხვევაში „ზატიკის“ ნაბეჭდ
ცალში) ჩაწერის ფაქტის გამომეუღლევნებით, რის მაგალითები
ადრეც გვქონდა, ოღონდ, ხელნაწერებში და არა ბეჭდურ ცა-
ლებში (ამის შესახებ იხ. ა. შანიძისა და თ. ბრეგაძის ნაშრო-
მები) და მისთვის გავეთებული მინაწერი-კომენტარით, რაც
ახალ საგულისხმო მასალას გვაწვდის რუსთაველის პოემასთან
ქართული ეკლესიის დამოკიდებულების თვალსაზრისის გა-
სარკვევად.

უეღვრი კეთილშობილი ჩვეულის ნიმისა...

„თქვენი ნაწარმოებები საუკუნეებში დარჩება, როგორც
შედევრი თქვენი კეთილშობილი ქვეყნის ნიჭისა. მარჯორი მუ-
დამ აღმერთებდა თქვენს გენის...“ — სწერდა ოლივერ უორ-
დროპი 1913 წლის 25 მარტს აკაკი წერეთელს.

მართლაც, მარჯორი უორდროპს ინგლისურად უთარგმნია
აკაკის პოეზიის ნიმუშები, კერძოდ, „სულიქ“ (1897 წლის
26 ივლისი), „სალამური“ (1909 წლის 14 იანვარი), „იმერული“

ნანინა“; ჩანს, ისინი ინგლისელ ქალს ნათარგმნი აქვს დაკავის თხზულებათა 1893 წლის გამოცემის I ტომიდან უნდა მისამართოს შესაბამის ინგლისურ თარგმანებთან ერთად ოქსფორდში, ბოლოს ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდშია დაცული. ხოლო მარჯორისეული ერთი თარგმანი, რომელიც ცალკე ინახება, ასეა დასათაურებული: აკაკი, „მჩაგვრელებს“ — „თაიგულის“ ბოლო გვერდი...

მარჯორი უორდროპი საკუთარი თავისადმი მეტისმეტი მომ-თხოვნელობისა და მოკრძალებული ხასიათის გამო თავის თარგმანებს არ თვლიდა გამოქვეყნების ღირსად. ამიტომ იყო, ოლივერ უორდროპი რომ ატყობინებდა აკაკის ზემოდასახელებულ წერილში: „თქვენი ლექსები მას აღაფრთოვანებდა და ამავე დროს საგონებელში აგდებდა ფორმისა და ენის მშვენიერებით, რომლის უცხო ენაზე გადმოცემა შეუძლებელია. მან სცადა გადმოეთარგმნა თქვენი პოეზია. მე შენახულიც მაქვს რამოდენიმე ნიმუში, მაგრამ ჩემს დას თავისი თარგმანი არასოდეს არ აქმაყოფილებდა და ამიტომაც თქვენი არაფერი არ გამოუქვეყნებია.“

ცნობილია, რომ მარჯორი უორდროპი ასევე არ თვლიდა გამოქვეყნების ღირსად „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ ინგლისურ თარგმანს, რომელსაც ოცი წელი შეალია და ით წელს კიდევ აპირებდა მასზე მუშაობის გაგრძელებას, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა (1909 წ. დეკემბერი) ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა მას აღარ დააცალა! მხოლოდ გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, 1912 წელს, ოლივერ უორდროპმა ლონდონში გამოსცა თავისი განსვენებული დის ეს ნამოლვაწარი და დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული „დაუსრულებელი“ ინგლისური თარგმანი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა რუსთაველის უკვდავი პოემის დღემდე არსებულ უცხოურ თარგმანებს შორის!

ასე რომ, აკაკის პოეზიის მარჯორისეულმა ინგლისურმა თარგმანებმა ახლა მაინც უნდა იხილოს მზის სინათლე. მათი ქსეროსასლები საქართველოში ჩამოვიტანე და მალე გამოვაჭვენებთ...

შორეული უცხოეთიდან ინგლისელი ქალი მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს დიდი პოეტის



ჯანმრთელობას: „მსურს სულით და გულით, რომ თავადუფლური
კი ახლა სულ ქარგათ არის. მას ჩემი უგულითადეს შოკისთვის
მოვახსენეთ“ — ქართულად სწერდა მარჯორი უორდროპი თა-
ვის მეგობარ მწერალ ქალს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლი-
სას 1895 წლის ივლისში, ხოლო 1902 წლის იმავე თვეში იგი
ივანე მაჩაბლის ცოლისდას — ბაბო ბაგრატიონის შეშფოთებით
ეკითხებოდა: „გუშინ გავიგეთ დიდ მწუხარებით ქართულ გა-
ზეთებიდგან, რომ აყავი წერეთელი მძიმედ ავად გამხდარა. სურ-
ვილი გვაქვს, რომ მალე ჯანმრთელი იქნება“ (იხ. ლ. თაქთაქი-
შვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 147,
174).

საინტერესო ცნობებს ვპოულობთ აკაკის შესახებ პეტერ-
ბურგიდან 1906 წლის შემოდგომაზე გაგზავნილ ბაბო ბაგრა-
ტიონის ერთ უცნობ წერილში მარჯორი უორდროპისადმი,
რომელიც ოქსფორდშია დღეს დაცული: „...აკაკი *ჩამოვიდა
პეტერბურგში. ამ დღეებში აპირებს წასვლას პარიზში. უნდო-
და თქვენთან მოსვლა, ეწყინება, რო გაიგებს თქვენ წასვლას
(იგულისხმება უორდროპების პეტერბურგიდან ბუქარესტში
1906 წელს გადასვლა დიპლომატიურ სამსახურში, გ. შ.). მე
მითხრა, ინგლისში ვაპირებ წასვლასო რამდენიმე დღით. ძა-
ლიან დაბერებულა! ჩემთან იყო ერთი საღამო და სულ იწვა“
(ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი, ც-30).

მარჯორისეულ არქივს იქსფორდში შემოუნახავს აკაკის
ორი ლექსის — „ხანგალს“ და „გვარით, ცულით და მათრაპით“
ქართული ნუსხებიც; აქვე ქუთაისელი პედაგოგის ვენერა
ბერიძე-წერეთლისას წერილები, საიდანაც ბევრ სხვა საინტე-
რესო ამბავთან ერთად, ვიგებთ ზოგიერთ დამატებით ცნობას
აკაკი წერეთლის შესახებაც:

„...შვიდ დეკემბერს (1908 წ.) იქნება აკაკი წერეთლის იუბი-
ლეის დღესასწაული თბილისში, აქ (ქუთაისში) კი თოთხმეტს
ვიხდით, ყოველ ქალაქებში გადიხდიან შემდეგ, ჯერ კი ყველა
ქალაქები მონაწილეობას იღებენ თბილისის დღესასწაულში.
აკაკი ჯერ აქ არის“ — სწერდა ვენერა ბერიძე 1908 წლის 16
ნოემბერს ქუთაისიდან მარჯორი უორდროპს აკაკის სამწერ-
ლო მოღვაწეობის 50 წლისთავის მოახლოებული დღესასწაუ-
ლის გამო.

1909 წლის 20 თებერვლის წერილში კი ვენერა ბერიძე

უკვე ამ დღესასწაულის გადახდის დღეებს უცოცხლები ჟურნალების ინგლისელ მეგობარს: „...აკაკის იუბილეის გადახდულ დრუჟთ გამოაფხიზლა ჩვენი ხალხი და ხელახლა გაულვიძა წინანდული ეროვნული გრძნობა; სხვადასხვა სოფლებსა და დაწესებულებებში კიდევ დღესასწაულობენ და იწვევენ მგოსანს. დიდი ბეჭინიერია აკაკი, მოხუცდა კი ძლიერ!“..

უორდროპთა ოქსფორდს დაცულ ფოტოკოლექციაში ვხვდებით აკაკის ორ პორტრეტს: ერთი როინიშვილის მიერაა გადაღებული, ხოლო მეორეს ამქობს პოეტის წარწერა: „სახსოვრათ ნიშნად მეგობრობისა შიო დავიდოვს აკაკისაგან“. აქვე შევნიშნავთ, რომ ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ გველესიანის (1870—1926) ვაჟმა პროფესორმა ლევან გველესიანმა საოჯახო არქივიდან მოგვაწოდა აკაკის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაკლებად ცნობილი ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია 1914 წლის მაისში, გრიგოლ გველესიანის სახლის (ახლ. ცხაკაიას ქ. № 8) ივანზე. მასზე მხცოვანი პოეტის გვერდით გამოსახულნი არიან მელანია, თინა და გრიგოლ გველესიანები.

აკაკის ბიბლიოგრაფიისათვის შეიძლება საინტერესო ილ-მოჩნდეს უურნალ „ქართლოსში“ 1937 წელს (№ 1, თებერვალი, გვ. 6—7) ნიკოლოზ (კოკი) დადიანის მიერ გამოქვეყნებული აკაკი წერეთლისა და გიორგი შარგაშიძის პოეტური გა-პაექტება: აკაკის ლექსი „ძვირფას გიორგის“ და გიორგი შარგაშიძის „პასუხი აკაკის“, რომელთაც ახლავს ნიკ. დადიანის ფრიად საგულისხმო კომენტარი.

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ასევე ბევრ საინტერესო ცნობას და ახალ დეტალებს იპოვის დაინტერესებული მკითხველი ვ. მგელაძის (გარდ. 1943 წ.) „მოგონებებში“ (პარიზი, 1934). აქ განსაკუთრებით საყურადღებოა თავები: „დრმიტრი ყიფიანის თფილისში მოსვენება“, „ივანე კურესელიძის გარდაცვალება“, „ნიკ. ბარათაშვილის ცხელრის გაღმოსვენება“, „ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალება“, „ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალება 1894 წ.“, „კრწანიძის ველის პანაშვიდი 1895 წ. 11 ენკენისთვეს“, „გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალება“, „რაფიელ ერისთავის იუბილე“, „გიორგი წერეთლის გარდაცვალება“, „ილია ჭავჭავაძის მოკველა 1907 წ.“, „აკაკი წერეთლის იუბილე“...

სანიმუშოდ მოგვყავს „რაფიელ ერისთავის იუბილე“, რო-
მელშიც სახელოვანი იუბილარის გვერდით შშვენივრიანულის
დახატული მოზეიმე საქართველოს ყოველი კუთხის წარმო-
მადგენელი, გამორჩეულად დი ილიასა და აკაკის უკვდავი სა-
ხეები:

„1896 წელს ოქტომბრის 22-ს, იდლესასწაულეს რაფიელ
ერისთავის 50 წლის მოღვაწეობა.

გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე გელათში (1896 წლის
ზამთარში) დიადი სანახაობით გაოცებული ხალხი ჭერ კარგად
ვერ გამორჩეულიყო, რომ რაღაც უხილავმა ძალამ ქართველ
საზოგადოებას მოუწოდა, თფილისის ქაშვეთის ეკლესიაში
თავი მოუყარა...

ვითარცა გაზაფხულის ველ-მინდორი, სურნელოვან ყვა-
ვილებით დახატული, ისე სადღესასწაულოდ მორთულ-მოქაზ-
მული, სახეგაბრწყინებული ქალი და კაცი, მოხუცედა ახალგა-
ზრდა, ქაშვეთის ეკლესიის გალავანში შეიკრიბა; გარშემო მდე-
ბარე ქუჩები გაიშედა... მანდილოსნები ქართულ გულ-ამოჭრილ
ფერად კაბებში, ჩიხთა-კოპით, ძვირფას სამკაულებით მორ-
თულნი, ვით ვარსკვლავებში ახალი მთვარე ისე შვენოდენ...
იდგენ ზღვა ხალხში შველივით ყელ-მოღერებულნი და ძვირ-
ფას იუბილარის მობრძანებას მოუთმენლად ელოდენ...

აქვე იყვნენ საქართველოს ყოველ კუთხიდან საგანგებოთ
მოწვეული დელეგატები, თავიანთი მხარის ტანისამოსში გა-
მოწყობილნი... საუცხოო სანახაობას წარმოადგენდენ მოხუცი
და ახალგაზრდა აჭარელ-ქობულეთლები, მოსირმულ ჩაქურაში
გამოკვანძულნი, რომელთა ნაკვთიანი ტანადობა, ძველი, ქარ-
თული სახის გამომეტყველება, იერი იქაურობას ამკობდა...

ხავერდის ფერად ქულაჯებში სახეიმოთ გამოწყობილი
ქართლ-კახელები ალვის ხესავით ამართული იმერნი, სირმიან
ჩიხაში გამოწყობილნი აფხაზ-მეგრელნი, მხარებეჭიანი სვან-
რაჭა-ლეჩეზუმელები, ლომ-ვეფხი ხევსურ-მთიულნი, — ჯაჭვ-
მუზარადებით შეჭურვილნი, მკვირცხლი გურულები სუროსა-
ებრ ქუჩუჩა თმითა და ფაფანაკით, — ჩაქურაში გამოკვანძულ-
ნი, სიჩალისე-სილამაზეში ერთმანეთს ეცილებოდენ, „ცალ-
ცალკე და ყველა ერთად სიცოცხლე და ნეტარება“-ს წარმო-
ადგინდენ...

უცემ რუსთაველის (მაშინ გოლოვინის, გ. შ.) გამზირიდან
გაისმა ხმა: მოდის, მობრძანდება — მოყავთო!!!

ქაშვეთის წინ ქუჩაში მდგომი ხალხი ორად გაიყო, გამოვა-
ნის კარიბჭედან ეკლესიამდე საზოგადოება რიგში ჩამოწყვდა,
ტაძარში დელეგატები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი შე-
ქუჩდენ, საკურთხევლიდან სამღვდელოება ეპისკოპოსით გა-
მოეგება... ქუჩაში „ვაშას“ ძახილი და ტაშის ცემა გაისმა, ვარ-
დებით მორთულ ეტლიდან მთვარესავით გაბადრული მხცოვა-
ნი იუბილიარი რაფიელ ერისთავი, სახეეგაბრწყინებული, სიხა-
რულისაგან აცრემლებული გადმოაბრძანა ჩოხაში გამოწყო-
ბილმა, წელზე ხმალშემორტყმულმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ;
კარიბჭეზე მესამოცე წლების მოღვაწენი — ილია-აკაკის მეთა-
ურობით გამოეგებენ, გალობითა და „დიდი ხნის სიცოცხლე“-ს
ძახილით ტაძარში შეაბრძანეს!..

აქ სამშვიდობო პარაკლისი გადაუხადეს; სამშობლოს, ძმობა-
სიყვარულის, ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა პირველი პოეტის
დიდი ხნის სიცოცხლე, ცისა და ქვეყნის შემოქმედს შეავედ-
რეს...

ვითარცა ჯვარდაწერილი მეფე-დედოფალი, ისე გამოიყვა-
ნეს რაფიელი ეკლესიიდან, გზა ვარდითა და ყვავილებით მოუ-
ფინეს, „ვაშა“-თი ქართულ თეატრის კარებამდე მიაცილეს,
საღაც დიდაძლი საზოგადოება აღტაცებით შეეგება...

თეატრის გარშემო მდებარეობა ხალხით იყო გაჭედილი.
თეატრის დარბაზი და ქანდარა წინასწარ უკვე დელეგატებით
დაქვებული...

სცენის ჩამოშვებულ ფარდის უკან გაისმა კაზური მაყრუ-
ლი: „მოგვყავს და მოგვიხარია“-ს სულისა და გულის დამატე-
ბობელი ხმა, რომელიც გურულ-კრიმანჭულ გამყივანმა შესც-
ვალა, რის შემდეგ სცენის ფარდა ნელ-ნელა იიშია, სცენაზე
რაჭელი მესტვირე ტკბილი ხმით შემოუძლვა, თითქოს მთე-
ბიდან მთვარემ ამოანათა — ამოგორდაო, ისე გასხივოსნებული
იუბილიარი აკაკი-ილიამ სცენაზე შემოიყვანეს, ფარ-მუზარა-
დით შეკურვილმა ხევსურებმა ყვავილებით მორთულ სავარ-
ძელში ჩაბრძანეს, ილია-აკაკი ორივ მხარეს მოუსვეს!

ფეხზე ამდგარი, აღელვებული საზოგადოება ტაშის ცემით
და ვაშათი აჭილდოებდა, სიხარულით იცრემლებოდა!..

იყო რისთვისაც გატაცებით მხიარულობდენ...

სცენაზე, ვითარცა „სამება“, სამი პოეტი გამობრწყინდა!..;
იუბილიარის პირდაპირ, მეორე მხარეს, სავარძელი დადგეს;

ჩვენი ლვიძლი ძმების, ჩვენი სისხლი და ხორცის აჭარე-
ლების ცენტრშე გამოჩენამ საზოგადოებაში უსაზღვრო სიხა-
რული გამოიწვია; ფეხზე აღგომით: „გაუმარჯოს ჩვენს ძმებს,
ჩვენს დებს, ჩვენს გულიდან მოგლეჭილ აჭარას, ჩვენს ქვლავ
ერთ ოჯახში თავის მოყრას“-ო!

ამ სანახაობამ საზოგადოება სიხარულის ცრემლებით აატი-
რა, დროებით დაკარგული ძმების აქ გამოჩენამ დღესასწაულს
ისეთი სიხარულის ელფერი მისცა, თითქოს წვიმიან დღეში
მზემ გამოიჭიატა და საქართველოს შვიდფეროვანი ცისარტყე-
ლა გადაეკრაო.

აჭარა-ქობულეთის დელეგატების შუა იჯდა ბათომის დე-
ლეგატი...

საზეიმო კვარცხლბეჭზე მჯდომი სამი პოეტი სამუსულმა-
ნო საქართველოს ძმებს სახეგაბრწყინებული მისჩერებოდენ,
ორივე სამეულის გულები ერთი გრძნობით ძვერდენ, საზო-
გადოების წინაშე შვენოდენ...

დაიწყო მილოცვები, რამაც დიდ ხანს გასტანა და რაც დამ-
თავრდა გრიგოლ აბაშიძის შესანიშნავი პოეზიით აღსავსე სი-
ტყვით...

მაღლიერმა ერმა იუბილიარი ეტლამდე მიაცილა, საიდანაც
პოეტ აბაშიძემ ბინაზე მოსასვენებლათ წაიყვანა.

საღამოს იუბილიარის პატივსაცემათ ერთმოქმედებიანი
მისი პიესა დადგეს; ყვავილებით მორთულ ლორაში აკაკი-
ილიას შუა იუბილიარი, ვით ცის ტატნობზე გაბადრული მოვა-
რე, ისე შვენოდა...

წარმოდგენის შემდეგ თეატრის შენობაში გაიმართა ზეიმი,
რომელსაც სამასამდე დელეგატი, უცხო სტუმრები და მოღვა-
წეები დაესწრო.

გრძლათ გაშლილ სუფრის გარშემო, ოქროქსოვილ ფანჩა-
ტურებში მომლერალთა გუნდები, მეთარე, მეჩონეურე, მესა-
ზანდრე დასები იყო ჩამწკრივებული; მაღალ ესტრადაზე სი-
მებიანი ორკესტრი, რატილის ხორო, ქალთა გუნდი, კანელები,
გურული მომლერლები — ილარიონ ჩავლეიშვილის ხელმძღვა-
ნელობით...

დარბაზის შუა სუფრასთან ვითარცა მამა აბრაში შვენოდა
15. გ. შარაძე

იუბილარი: აქეთ-იქით ილია-აკაკი, პირდაპირ გრიგოლ გრძა-
შიძე, ძმები რაზიცაშვილები (ვაჟა-ფშაველა და მისი ძმი თე-
დო). ამათ მხარს უშვენებდენ თვალწარმტაცი და გულისტი მომ-
ჯადოებელი მანდილოსანნი: პოეტი ნინო ორბელიანი, ეპ. გა-
ბაშვილისა, ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა, ნინო ყიფიანის
მეთაურობით... აქვე ისხდენ უცხოეთის მწერლები არტურ ლა-
ისტის და პოეტ ველიჩკოს მეთაურობით... შემდეგ გრძელ გაშ-
ლილ სუფრას უსხდენ თავად-აზნაურობის ჭინამძღვრები, სა-
ქართველოს ყოველ კუთხის წარმომადგენლები, რომელშიაც
ერჩიოდენ გურიის გლეხობის დელეგატი, ჩაქურაში გამოწყო-
ბილი პოლონ წულაძე და მარშალი კოწია ერისთავი... ამ შე-
სანიშნავ ზეიმს თამაღობდა თფილისში განთქმული გიგო ყა-
რანგოზიშვილი, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, რომელსაც ვერ-
ცხლის ბადიები და ყანწები წინ ეწყო, ხოლო ბანეტს განაგებ-
და მესამოც წლების მოღვაწე გიორგი წერეთელი...

ვინ შეამჟოს ამათი სილამაზე, სიტურფე! ვინ ასწეროს აქ
წარმოთქმული სიტყვების მარგალიტობა! რომელი ხელოვანი
შეიძლებს გადაიტანოს ქალალდზე ეს სულისა და გულის და-
მატკბობელი ხმები!.. რომელმა ერმა იცის ასეთი ზეიმი, ქერ-
ფი, დროს ტარება!.. აქ სულის საზრდოცაა, მისი აღმაფრენა,
აქ ამქვეყნიური ღმერთები ზეიმობენ, ცისა და ქვეყნის შემოქ-
მედების შვენიერებით სტკბებიან, ასეთ ზეიმში ზნეობა ფა-
ქიზდება, გონება ვითარდება, სიცოცხლეს შინაარსი ეძლევა...

ოო! რა სულგანაბული უსმენდა უცხოელი კომპოზიტორი
რატილი, როცა კახური „სუფრული“ გუგუნებდა, გურულ
„ხასანბეგურაში“ წერიალა ხმა კრიმანჭულობდა, პირველს და
მეორეს ეტმასნებოდა, ჩავლეიშვილის ბანი სილბოს და სიტკ-
ბოებას აძლევდა; ადამიანის სულიერი განცდა ამ შეწყობილი
ხმის საშუალებით გასაგები ხდებოდა!..

ჭეშმარიტათ საკვირველ არს ქართველი ერის ნიჭი და მისი
შემოქმედება!..

აპა, მოაწია გათენების უამი; ბადიები, თასები ხელიდან
ხელში გადადის... სადღეგრძელოებს „მრავალუამიერი“ მოს-
დევს, სხვა და სხვა საქრავები წერიალა ხმით ერთმანეთს ეჭიბ-
რებიან, გულმა ფრთა გაშალა, სიცოცხლე მთელი ძალით ლხი-
ნობს... საზოგადოება ქეიფობს, მარა მთვრალი არავინ არის;
მანდილოსნების გაბრწყინებული თვალები, გით ცის კამარაში

გარსკვლავები ისე ელავენ, ციმციმობენ, გარემოს სიხალისეს
ჰუმინული გიგანტები...

იუბილარი დაიღალა, მის გაბადრულ სახეს ფერმქრთალობა
დაეტყო, მთელი ღამე ყველას შეღიმოდა, შარავანდელის სხივს
აფრქვევდა, თავისი გადლიანი სახით ყველას ატკობდა... ამ
ღამეს აქ მოიგონეს დიადი წარსული და აქვე გამოკრთა მო-
მავლის ლანდი და იმედი...

თამადა ზე წარმოდგა, ყანჭით კვლავ იუბილიარის საღლეგრ-
ძელო შესვა... ტუში, თარი, „მრავალუამიერის“ ხმები ერთმა-
ნეთში აირია, იუბილიარმა სამადლობელი ინება, საზოგადოება
და თამადა დალოცა...

თამადა სუფრიდან ადგა, შუა დარბაზში მერიქიფერებმა
სუფრა-სკამები აალაგეს, წრე გაეკთდა; ზურნა, დოლი, ჩაღა-
ნა, ნაღარა, დაირა, თარის ხმა გაისმა, ცეკვა-თამაში გაიმართა..

სათამაშოთ თამადა გამოვიდა, დაუარა, წრე მოათვალიერა,
შანდილოსანთა ქრებულიდან ქართულ კაბაში გამოწყობილი
ქალი მორიდებულათ გამოვიდა, კელაპტარივით მკლავები წყვი-
ლათ გაშალა, თამადას თვალებში შეანათა, ეშხით შეხედა, ნაკ-
ვეთიანი ტანთრხევით გაუთამაშა!.. ამ სანახაობაშ საზოგადოება
მოავადოა — გაახალისა!

ქართლ-კახეთის წარმომადგენლები წარმოუდგენელი სიმ-
ჩატით იატაკზე მიცოცავენ, გულ-მქერდ მოღერებულ ხოხბებს
გარს უვლიან...

აგერ ინხადა ხმალი გურიის დელეგატმა, მარშალმა კოწია
ერისთავმა და როგორც ალვის ხე, წრეში დაშვენდა მისი წერ-
წეტი ტანით ერთი შემოტრიალდა, ქორივით დაუარა, მაყურებ-
ლებში ვიღაც შენიშნა, მის წინ საუცხოოთ გაითამაშა, მოხდე-
ნილათ თავი დაუკრა და ჩოხის სამკლაური გაისწორა, მანდი-
ლოსანთა წრიდან ცნობილი არტისტი ნატალია გაბუნიას ქალი
გამოვიდა, გულ-ამოჭრილ ქართულ კაბაშე ჩაშვებული არშიე-
ბი გაისწორა, როგორც მტრედი გასაფრენათ მკლავები გაშალა,
თავის ცეცხლმფრქვევი თვალებით ვაჟს მიანათა; როგორც შე-
ვარდენი მტრედს, ისე ჩაუქროლა ვაჟმა და თვალის წარმტაცი
თამაში გაიმართა...

გაშასა და ქების ძახილში მანდილოსნების ხმა ისმოდა: „შე-
ნი ჭირიმე, შენ გენაცვალე მაგ ჯანში, ნატო გვასახელე“-ო!
იუბილიარი წასასვლელათ დაიძრა, საზოგადოება მხედრე-

ბივით დაირჩებია, დაფიც შიქულიძის შეთაურობით პრეზენტი „ნუ-
ჩხა-ბედნიერის“ ხმა გაისმის „აფუჩხა-ბედნიერით“ და ასევე „თ-
ველოს გაუმარჯვოს“ ძახილით იუბილიარი გააცილეს; დაფა-
ზურნამ დილის საარი დაუკრა, ტებილი დუდუკით რუსთველის
(გოლოვინის) გამზირზე გააშელენ, ქუდ-მოხდილნი, ამომავალ
მხეს შეეგეტენ...

დელეგატები რამდენიმე დღეს დატჩენ თბილისში, ერთმა-
ნეთს გაეცნენ, თაგიანთ კუთხეს დაუბრუნდენ და ნახულ-ნაგრ-
ძნობი ამზებით სტოგადოება ამოძრავეს.

ეს პოეზიის დღი უდიდეს ეროვნულ მოძრაობის ღერძათ
შეიქნა“...

ასევე დაუციწყარ შთაბეჭდილების ტოვებს თბილისზე აღ-
მაპმაღ ხანის თავდასხმის ას წლისთავის გამო 1895 წლის 11
სექტემბერს გამართული კრწანისის ცელის ბინაშვილის“ ნამ-
დვილი მწერლური ოსტატობით აღწერა; და იქ კვლავ ერთად
ვხედავთ ჩვენი ერის მესვეურებს: ილის, ფიქის და ივანე მა-
ჩაბელს:

„1895 წ. 11 ენგვნისთვეს, თფილისი გამოაღვიძა სიონის
სამრეკლოდან დიდი ზარის ხმაშ, რომელიც მისი ბოხი ხმით
გუგუნებდა, თფილისი მცხოვრებთ კრწანისის ცელისაკენ მო-
უხმობდა.. სიონის ბანს აძლევდა ანჩისხატის ტაძრის ზარი
მყაფიო წერიალა ხმით, ხოლო მას მოსახოდა სამების, კალ-
უბნის, ქაშვეთის, მთაწმინდის, ამაღლების, ნითლისმცმელის,
დიდუბის, ნიკოლოზის, ფერისცვალების, მეტეხის, წმინდა ბარ-
ბალეს ეკლესიათა ზარები, და ყველა ტაძრებიდან — შემოსი-
ლი სამღვდელოები, გულზე ხატებით, ჯვრებით, საეკლესიო ბა-
ირაღებით, საცეცლურითა და საკმეველის ქმევით, მწყობრათ
დაწყობილი, სხვა და სხვა მხარე-ქუჩით კრწანისის ველისკენ
მიემართებოდა...

თფილისის შურომელნი თავიანთ საამქრო ფერადი დროშე-
ბით ხელში, შაგ ჩოხა-ყურთ-მაჯებიან ქულაჯაში გამოწყობილ-
ნი, მწერივათ ქალაქის სხვა და სხვა უბნებიდან მოდიოდენ!
ქალაქის მცხოვრებნი, ფაუქაცები შავი ქულაჭით, ხმალ-კაპარ-
ჭით, სატევარით, მაღალი წოწოლა და ჩაქეცილი ქუდებით,
წვერგაპარსულნი, დიდრონ შავ-ულვაშებ გადაგრეხილნი, დინ-
ჭათ და ამიყათ გამოიყურებოდენ, გრუზა წარბების ქვეშ თვა-
ლები სიცოცლით უღვივოდათ...

მანდილოსნები შავ ქართულ კაბაში, თავსაკრავ-თავსამურა
რით, კავებით მორთულნი მობრძანდებოდენ, მათი გამოიყენებოდენ
იერიანი სახე და უფერუნა თვალები ნაღვლიანათ გამოიყურებოდა — სახეიმოთ არ ელვარებდენ...

სკოლის შეგირდები, ვაჟები და გოგონები აზღვავებულ
ხალხში მწყობრათ მიპყვებოდენ თავიანთ ხელმძღვანელებს,
ძვირფას ადგილის შესამკობათ ყვავილები მოპქონდენ...

თფილისის ყოველ მხრიდან, ყოველ უბნიდან, ყოველ ქუ-
ჩიდან ქართველები, დიდი და პატარა, კრწანისის ველისაკენ
მიერართებოდენ, მის ბაღნარ ჭალებში იკრიბებოდენ, სამშობ-
ლოსათვის თავდადებულ გმირთა საფლავებს რკალივით გარს
ეცლებოდენ, ქუდმოხდილნი, მოწიწებით რიგში დგებოდენ!

ეს დღე იყო კრწანისის ველზე დახოცილ გმირთა სულის
მოსახსენებელი ასი წლის თავი...

ეს იყო პირველი საჯარო ისტორიული პანაშვიდი. ქვერთვე-
ლი ერის მოღვაწეების თხოვნით კონსტანტინე მუხრან-ბაგრა-
ტიონმა რუსეთის მეფეს საამისო ნებართვა გამოსხოვა, ხო-
ლო ქართველმა მოღვაწეებმა ეს პანაშვიდი უდიდეს ეროვნულ
დღედ გადააქციეს, მთელ ქართველობას წარმომადგენლობის
საშუალებით აქ თავი მოუყარეს, ეროვნული სული და ძალა
გამოაჩინეს...

გაწეულ იქნა დიდი წინასწარი მზადება: ისტორიკოსები
ერს წერილობით მოუთხრობდენ აღა-მაპმად-ხანის თფილისზე
შემოსევას, მცირერიცხოვან მამულიშვილთა გმირობას. ლრმა
მოხუც ერეკლე მეფის და მისი შვილების ბრძოლას, მრავალი
ვაჟაცის, მათ შორის, სამასი არაგველის თავდადებას... მწერ-
ლები ასწერდენ ბრძოლის სხვა და სხვა მხარეს და პოეტები
ქებითა და დიდებით იხსენიებდენ თავდადებულთ...

საქართველოს ყოველ კუთხეში დაიგზავნა კაცები, მოწვე-
ული იქნენ წარმომადგენლები; კრწანისის ველზე მოეყარათ
შავი ნახშირი, მაღლა განიერი შავი ტილოები გადაეფინით
სამგლოვიაროთ, რომლის ქვეშ იდგენ რამდენიმე მღვდელმთა-
ვარნი შემოსილი ხატებითა და ჭვარებით შემკულნი, ეპისკო-
პოზების მეთაურობით; აქვე ქალ-ვაჟ მგალობელთა გუნდი. შემ-
დეგ წარჩინებულნი, საზოგადო მოღვაწენი, საქართველოს ყო-
ველი კუთხიდან მოსული წარმომადგენელნი, კონსტანტინე ბა-
გრატიონი, მესამოცე წლების მოღვაწენი — ილია-აკაკის მე-
თაურობით...

შორი-ახლოს განცალქევებით იდგენ ხევსურ-არაგველების
წაზმომადგენლები მუზარიად, რკინის ჯაჭვ-სამოსტრებულების
ვილნი — ივანე მაჩაბელის მეთაურობით... ხევსურების მთა-
სავით ჩათნრობილნი, დინჯი, მრისხანე სახის გამომეტყველო-
ბის; ხელი ხმალსა და სატევრებზე ედოთ, თვალთაგან ცეცხლს
აკვესებდენ... ღირსეული შთამომავლობა აქ თავდადებულ გმი-
რების! უსიტყვოთ, უხმოთ, ეს ვაჟყაცები ფიცს სდებდენ, რომ
მამა-პაპის ანდერძს აასრულებდენ...

აქვე ახლოს იდგა ღრმა მოხუცებული, ყავარჯენზე დაბჯე-
ნილი, შვილებ მხრებში ამომდგარი აღამიანი, ას წელზე მეტის,
რომელსაც ეს ომი ახსოვდა, ერეკლე მეფეც ენახა..

მოხუცი ჩიფჩიფებდა: ვაი, ამ დღის მომსწრებს, მეფე ერეკ-
ლე არა გყავს; მე რა ვქნა, თორემ თქვენ კიდევ მოესწრებით
თავისუფლებასაო!..

ერეკლე მეფის მომსწრე მოხუცის ნახვამ ღრმა შთაბეჭდი-
ლება დასტოვა აქ შეკრებილ საზოგადოებაზე; მორიდებით აკ-
ვირდებოდენ მის დაღარულ, დამჭკნარ სახეს. ყველას სურდა
ისტორიული ბრძოლის ამ ცოცხალი მოწმის ხილვა...

მოზღვავებული ხალხი სმენათ იყო გადაქცეული; საეკლე-
სიო და აქართა ფერად ღროშებს ნიავი აფრიალებდა...

დაიწყო პანაშვიდი, ლოცვა-ვედრება; სმენის დამატებობე-
ლი, სასოების მომგვრელი გალობა კრწანისის ბალ-ჭალებს ეფი-
ნებოდა... პაერში გაისმა ეპისკოპოსის გარევეული ხმა: მამუ-
ლისათვის თავდადებულ გმირების საფლავზე მუხლი მოიყა-
რეთო! და მთელი ზღვა ხალხი პირქვე დაემხო, გულიდან ქვი-
თინი აღმოხდა... „დიდება და ხსენება“—ს გალობას რამოდენიმე
ათასი ხმა შეუერთდა და სამშობლოსათვის თავდადებულ გმი-
რების დიდება ნიავმა გაიტაცა, საქართველოს მოეფინა...

სხვა და სხვა კუთხის ქართველები ერთმანეთს ეცნობოდენ,
მომავალზე ოცნებობდენ...

დელეგატებს შორის იდგენ ძმები გურიელები: ჯაბა, ლო-
მებრ ფაფარგაყრილი, ოქრო-მქედით ნაქარგი ფაფანაკით;
შვენიერი ვახტანგი თავისი საამო ტქბილი ხმით საუბრობდა:
ამდენი ჯარი რომ ერეკლე შეფეხს ყოლოდა, რაც აქ ხალხია
თავმოყრილი, ხომ არ დამარცხდებოდა, არ დავიღუპებოდით!
ამ გამოლევიდებულ და ერთად შეკრებილ ხალხს რომ უყურებ,
მათ სახეს ვაკვირდები, მრწამს საქართველო ქვლავ დიდებით
აღდგებაო!

ამ სიტყვებს გარშემოკრებილი საზოგადოება გულისურით /
ისმენდა, ვახტანგის განიერ მხარ-ბეჭე, მის ჯევარიან საქართველოს
ნადობას თვალებგაბრწყინებული მისჩერებოდა... სიმღერების
გამოცემის გარე

შევათ გადაფენილ ფანჩატურს გარშემოკრებილი საზოგა-
დოება დიღხანს ჩათხრობილი მისჩერებოდა, მამულისათვის
თავდადებულთა სისხლით მორწყულ ველს თვალ-ცრემლიანი
ათვალიერებდა...

მოსალამურდა... ხალხი მწუხრმა დაშალა... ნელი ნაბიჯით,
ძარორიულ ამბებზე მუსაიფით თფილისისაკენ მოედინებოდა...
დიადი სანახაობით, გაგონილი ამბებით ქართველი საღათის
ძილისაგან იღვიძებდა... ორთაჭალის ბაღებიდან თარის ნაღვ-
ლიანი და სალამურის მკვნესარე ხმა მოისმოდა, დოლისა და
ნაღარის სამგლოვიარო ხმაზე ქრწანისის ველზე დახოცილ
გმირთა შესანდობარი შეისმებოდა...“.

ინტერესმოკლებული არ იქნება აგრეთვე მკითხველისათვის
ამავე ავტორის მოგონება „ეგნატე ნინოშვილის გარდაცვა-
ლება 1894 წელს“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ერ ალექსანდრე ყაზბეგის გლოვა (იგი 1893 წლის დეკემ-
ბერში გარდაიცვალა) არ დამთაერებულიყო, რომ ყაზბეგსავით
გაჟირვება — სულიერ ტანჯვაში დადნა და გარდაიცვალა და-
სავლეთ საქართველოში ახლად გამოლვიძებულ ხალხის სული
და გული ეგნატე ინგოროვა-ნინოშვილი... მის უდროოთ გარ-
დაცვალებამ ყველას გული ატკინა, მწერლებისა და მშრომე-
ლი ხალხის წარმომადგენლები გურიაში მის საფლავთან შეპ-
ყარა, ცხარე ცრემლით ატირა...“

ნინოშვილის დაკრძალვა არაჩევულებრივი, არნახული და
არგაგონილი ამბავი იყო არა თუ ქართველი მწერლისათვის,
არამედ ბევრ უცხო ქვეყნებისათვისაც... ექვეთი მოეყარა არა
თუ მწერლებს, პრესის წარმომადგენლებს და ჭირისუფალთ,
არამედ ექვეთი თავიანთ წარმომადგენლების საშუალებით შეკრე-
ბილიყო საქართველოს დაბა-ქალაქების, სოფლების ახლად გა-
მოლვიძებული მშრომელი ხალხი და ცხარე ცრემლით დასტი-
რულდა მას, ვინც პირველათ მშრომელი ხალხის გულში ჩაიხედა,
ვინც ამომავალ მზის სხივსავით მათ ბნელით მოცულ ქოხებში
შეანათა, იქ გამეფებული ცხოვრების სიღუხჭირე ასწერა, სა-
ზოგადოების წინაშე გადაშალა... დასტიროდენ მას, ვინც ხალხ-

ში ცხოვრობდა, თავის სუსტი აგებულობით ლუქმა მურისათვის მისებრ ტანჯულებთან ერთად საარსებოთ იბრძოდა სამართლის უკეთესი მდგომარეობისათვის ჯოჯოხეთურ პირობებში ყოველნაირათ გათახსირებულ მდგომარეობაში პიროვნებებს ეძებდა, ახალგაზრდების სულსა და ჭულს ეცნობოდა, თავის უზომი სიყვარულით იმეგობრებდა, ფაფშირებდა, ჰეშმარიტების სხივებით მათ გონების აშუქებდა... დასტიროდენ და მწარეთ გლოვობდენ ჩას, ვინც ქაოსათ ქცეულ ცხოვრებაში საგალი გზა იძოვა, ვინც მაცხოვარსავით ახალი აზრების მქადაგებელი გარშემოიყრიბა, სიმართლის, ძმობა-ერთობის პირველი ქრებული შეკრა, მომქმედი „წრე“ დააარსა, მშრომელ ხალხის განმათავისუფლებელი დროში გაშალა და ყველა ტანჯულთ, ტვირთ მძიმეთ, შეურაცხყოფილთ ამ დროშის ქვეშ საბრძოლველათ მოუწოდა...

იქ შორეული მხრიდან მოსულ მშრომელთა წარმომადგენლობას დახვდა ეგნატეს მიერ შედგენილი, მის გარშემო შემოქრებილი მეგობრები, მთელი ქრებული ეგნატეს სიყრმის, სულისა და გულის მეგობრი სილიბისტრო ჯიბლაძის მეთაურობით... ეს ძრებული ჰგავდა ქრისტეს პირველ მოციქულებს, რომელთაც კაცობრიობის დასახსნელთა, ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა გასათავისუფლებლათ თავისი ნებით მძიმე ჯვარი აიკიდეს, უსიმართლობასთან, ბოროტებასთან საბრძოლველათ დაირაზმნენ, შეკავშირდნენ და ორგანიზაციულად დაწყვენენ...

ამათ გვერდით ედგენ გურიის ყველა კუთხის გლეხების, მშრომელი ხალხის წარმომადგენელი, რომელთა შორის მრავლათ იყვნენ მანდილოსნები, და „ქრისტინე“-ს, „გოგია უიშვილი“-ს და „სიმონა“-ს ავტორს მწარედ დასტიროდენ, მათი დაბექავებული ცხოვრების გამქითხავს გლოვობდენ... გურიის უმთავრეს სკოლებიდან იყვნენ სოფლის მასწავლებლები, თავიანთი ნორჩი შეგირდებით და თავ-ქოჩორა მაღაზი გოგონებით და გაუებით, რომლებიც ცოცხალი ყვავილებით მწერლის ცხედარს ამკობდენ, მათი ყოფა-ცხოვრების ამწერს უმანკო ცრემლით ასველებდენ...

გურიის პატარა სოფლის — ებალაურის ერთ ეზოში გადაშავებული ხალხი ეგნატე ნინოშვილის კუბოს დასტიროდა, გლოვობდა, ამავე დროს მის მიერ დაწყებულ დიად საქმის

ასრულების ფიცს დებდა, მის მოძღვრების სამოქმედო გეგმას, ათ მცნებასავით შედგენილს, აქვე საჯაროთ, მტრისაპლუაშა რის გასაგონათ, აშკარად ახალგაზრდა ლადო დარჩიაშვილის პირით ლაღადებდა, კითხულობდა — აქვეყნებდა... ეგნატე დაასაფლავეს სოფელ ჩანჩეთის საყდრის გალავანში...

აქ ნახული და გაგონილი სიტყვების შინაარსი, აქ გამოქვეყნებული ამ ჯგუფის მიერ სამოქმედო პროგრამა, ცნობილმა მესამოცე წლების მოღვაწე გიორგი წერეთელმა უურნალ „ქვალში“ ასწერა და შენიშვნა: ნინოშვილის დასაფლავებაზე ახალი ჯგუფი, ახალი მომქმედი დასი გამოჩნდათ იყო პირველი დასი, იყო მეორე, ნინოშვილის დაკრძალვის დღეს კი მესამე დასი მოგვევლინა, განახლებულ ცხოვრებაში ახალი აზრებით მებრძოლი და მომქმედიო, ეს „მესამე დასი“ ჩვენი ცხოვრების წილიდან წარმოიშვა და მას გამარჯვებას უსურვებთო...

ეს უაღრესათ დემოკრატიული და თავის ერის მოყვარული მოღვაწე გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გამოჩენილ „მესამე დასი“-ს მხარეზე დადგა და თავის უურნალ „ქვალში“ ამ „მესამე დასელების“ მწერალ-პუბლიცისტებს წერის საშვალება მისცა...

ნინოშვილის დასაფლავებაზე აღსრულდა იქაქის სიტყვები: „არა, არა, სხვა დრო გვინდა, გამოვიდეს სულ სხვა დასი, რომ ძველსა და ახალსაცა ღირსეული დასდგას ფასი“-ო...

ამ დღიდან მშრომელი ხალხის და მოსწავლე ახალგაზრდობის გულისყური უურნალ „ქვალისაკენ“ მიეპყრა... „მესამე დასი“ გამოვიძებულ ცხოვრების ხელმძღვანელი და ერის მესვეური შეიქნა...

აქ წარმოთქმულმა სიტყვებმა, აქ წაკითხულმა დეკლარაციამ, ქართველი მშრომელი ხალხი გამოაღვიძა, უფლება-თანასწორობის, სამართლიანობა-ძმობა და ერთობის დასამყარებლათ ბრძოლის ველზე დარაზმა, მისი დიადი მომავალი ქვეყნიერებას ხმამაღლა ამცნო...

გამოვიძებული ხალხი სხვა და სხვა ფრონტზე ცხოვრებაში საბრძოლველათ სხვადასხევანაირათ ეწყობოდა, ირაზმებოდა, მარა ერის სული თავისი მარადიულობით ყველას ერთნაირად ეფინებოდა და თავს უყრიდა, ეროვნულ დიად ტაძრისაკენ გზას უჩვენებდა...

ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღიდან იწყება ქართ-

ცოლი ერის, მშრომელი ხალხის კულტურულ და პოლიტიკურ
ასპარეზე ლიათ გამოსვლა...“

საყურადღებო ცნობების შემცველია აღნიშნულ მოგონე-
ხათა ცალკე თავი: „დიმიტრი ყიფიანის თფილისში მოსვენება“

„დიმიტრი ყიფიანის მოკვლით დამწუხრებული ქართველი
ერი შეძრულდა... ტანჯულის ცხედარი თფილისში მოსვენება.
1887 წ. ოქტომბრის პირველ დღეებში თფილისი საომრაც
გამზადებულ ქალაქს წარმოადგინდა საქართველოს ყოველ
კუთხიდან დელეგატები და წარმომადგენლები მოდიოდენ,
წარბ-შეჭმუხნული დიდებულ მამულიშვილის წინაშე ფიცქ
სდებდენ, რომ ამ სირცხვილს და შეურაცხყოფას მტერს არ
შეარჩენდენ...“

დიდებულ სანახაობას წარმოადგინდა შავათ მოსილი რამო-
დენიმე ათასი ქალი და ქაცი, ქუდ-ჩატეცილნი, ხმალ-კაპარჭით
შემოსილი: მთელი ქართველი ინტელიგენცია, თავად-აზნაუ-
რობა, ჩვენი ერის ბურჯი — ახლად გამოღვიძებული მშრომელი
ხალხი, თავიანთ ამქრული დროშებით, სამღვდელოებას და
მვალობელთა გუნდს მიჰყებოდენ... ამ გლოვაში, ხალხის მწუ-
ხარე გამოხედვაში, ერის რისხეა და შეგნება იხატებოდა...

დამწუხრებული ერი ღირსეულ მამულიშვილს მთაწმინდა-
ში მიასვენებდა... პროცესია შავი დროშებით რუსთველის (მა-
შინდელი გოლოვინის, გ. შ.) გამზირის ასავალ აღმართს შე-
უდგა, რომ კავკასიის მთავარმართებელმა წინ თავის მოხელე
რამდენიმე ოფიცერ ყაზახ-რუსებით შემოაგება, სასახლის წინ
ცხედარის გასვენება აკრძალულია!

აქ მოთმინების ფიალა აიგსო, დაგუბებულმა ბოლმამ ამო-
ხეთქია!

როგორ?! ჩვენს ოჯახში, მათ მიერ ღალატით მოკლულის
დასაფლავებასაც გვიშლიან?! მაშ ჩვენ კაცები არ ვყოფილ-
ვართ? ამ სირცხვილს არ შევვამთ, არაო, — გაიძახა ხალხმა;
იელვა პაერში ხმლებმა, სამღლოვიარო პროცესია წამით ბრძო-
ლის ველად იქცა. და მთელი ზღვა ხალხი განრისხებული მიე-
სია მის წინ გადადგომილ სამხედრო რაზმს...

გააფთრებული (ალექსანდრე) ეპისკოპოსი ქრისტეს ჯერით
ემუქრებოდა ოფიცერს: „გზა, შე შეჩვენებულო, როგორ ბე-
დავ შემოსილ სამღვდელო კრებულს მიცვალებულის გასვენე-
ბას გვიშლიო!“.. მთავარდიაკვანი საცეცხლურიდან ნაკვერჩე-

ლებს ცხვირ-პირში აყრიდა მთავარმართებლის აღიუტანტს... დიმიტრი ყიფიანის შვილები, ჭირისუფლები, — კოტე ყიფიანის მეთაურობით მჯიდებით მიიწევდენ... მანდილოსნერი ლეგიონებით ჩინ-ორდენებს აგლეჭდნენ ოფიციებს... ქუდ-ჩაკეცილი თავად-აზნაურნი სიპტყით სცემდენ ხმალს, გაელვარებული თვალებით მიიწევდენ, უყვიროდენ: „გზა, თორებ ორათ გაგდეთ, მამიჩემის ცხონებამაო“... თფილისის ყარაბინხელები და კინტოები ერთი შემოკვრით ორ პოლიციელს ერთათ აწვენდენ მიწაზე... ამათში უველაზე წინ მოჩანდა ქუდ-ჩაკეცილი ქართლელი თავადიშვილი — ნიკო დაისამიძე, რომელიც ამოლებული ხმლით ადიუტანტზე მიიწევდა..

აზღვავებულმა ხალხმა, როგორც ნაფოტი, ისე გაიგდო წინ თავხედი მხედრობა... სასახლის წინ ცხედარი დასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს... შემდეგ მამა-დავითზე ასვენეს, აქ შესაფერი სიტყვები უთხრეს და უკვდავების ძეგლი აუგის ლირ-სეულ მამულიშვილს...

შეშინებულმა მთავარმართებელმა მეორე დღეს დაატყვევა ჭირისუფალები, რაც შემდეგ ოცდახუთი მანეთის ჯარიმით შეუცვალა...

ეს დიდებული პროცესია, რომელიც მთავრობამ მისი უტაქტობით თავის საწინააღმდეგო დემონსტრაციათ გადააქცია, არის პირველი თარიღი, პირველი აშკარათ გამოსვლა ახალ პირობებში და ახლათ გამოღვიძებულ ქართველ ერში...

ამ დღეს გამოაშკარავდა, რომ ქართველი ხალხი კვლავ ცოცხლობს, დიად მომავლისათვის ემზადება... დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებამ მთელი საქართველო გაბედულათ ახალ ასპარეზზე გამოიყვანა და... სასახელოთაც...

ამით დაიწყო ახალი ხანა...“

მართალია, ძლიერ მოკლეა, მაგრამ უაღრესად საინტერესო და თავისებურად უნიკალურია მოგონება „ივანე კირესელი-ძის გარდაცვალება“, რომელშიც ავტორი წერს:

„თფილისში (1893 წლის იანვარში, ა. სტ.) გარდაიცვალა დიდ გაჭირვებაში და სიღარიბეში ცნობილი მოღვაწე ივანე კერესელიძე, რომელიც უურნალ „ცისკარი“-ს დამაარსებელ-თაგანი იყო. იანვრის ცივ ზამთარში მიცვალებული დიდუბეში მიასვენეს, რასაც ცოტა-ოდენი ახლად გამოღვიძებული მშრო-მელი ხალხიც დაესწრო... აქ თავის შესანიშნავ სიტყვაში აღექ-

სანდრე ეფისკოპოზმა მიმართა შეძლებულ პირთ და უმთავრესათ დაავალა თავად-აზნაურობის წინამძღვალს, რომ უხმილეს თავის ქონებიდან დახმარებოდა იმ ქართველ მწერლებს, რომლებიც სიღარიბის გამო უდროოთ ეძირგვებოდენ სამშობლოს...

ეს იყო პირველი საზოგადო გამოძახილი მოღვაწის ბედზე შერომელ ხალხისა, მისი და ინტელიგენციის შესხვდრა — რა შუალოთ რომ სასაფლაოზე ანტონ ფურცელაძის და სხვათა სიტყვებს მორიდებით, მარა სიამოვნებით ვისმენდით...“

ვფიქრობთ, მყითხველს უთუოდ დააინტერესებს ავტორის საკუთარი თვალით დანახული „ნიკ. ბარათაშვილის ცხედრის გადმოსვენება“:

„1893 წელს აპრილში, განჯიდან გადმოსვენეს სამშობლოში სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედარი და მის საყვარელ ტფილისში — დიდუბეში დაკრძალეს. გადმოსვენების წინასწარი მზადება პქონდა: შესდგა საგანგებო კომისია; ისტორიკოსებმა გააშუქეს ბარათაშვილის ეპოქა, ეს ჩვენი გადაგვარების დრო... დაიბეჭდა პოეტის მოკლე ბიოგრაფია, მისი რჩეული ლექსები, განიმარტა ეს გამოთქმული აზრი და განცდა, რამაც ინტელიგენცია ააფრთვანა, ხალხი გამოაფხიზლა...“

საგანგებოთ გაგზავნილმა დელეგატებმა ძვირფასი პოეტის ცხედარი თფილისის სადგურზე მოასვენეს; სადგურის მოედანზე ყვავილებით და თაიგულებით რიგში ჩამწკრივებული თფილისის თავად-აზნაურობის შეოლის შეგირდები, რუსეთიდან ჩამოსული სტუდენტობა, შემოსილი სამღვდელოება, ქალ-ვაჟთა მგალობელი გუნდი, საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსული სხვა და სხვა დაწესებულებათა დელეგატები, და ქართველი მესამოცე წლების მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის მეთაურობით ქართველი ერის სულის მესამდუმლე პოეტის ნეშტს შეეგებნენ, მის ცხედრის წინაშე მუხლი მოიყარეს..“

ცხედარი სტუდენტობამ და სკოლის შეგირდობამ გაასვენეს; თვალწარმტაცი პროცესია დიდუბისაკენ დაიძრა... აქ, პანაშვილის გადახდის შემდეგ, პოეტის ნეშტი მის მშობელ დელა-მიწას სამუდამოთ მიაბარეს, „ობოლი სული“ დიდუბის

განებული სიტყვები უთხრეს — დიდების ძეგლი აუგი... /

ბარათაშვილის გადმოსვენებამ, საქართველოს კოუნიკოსის თხიდან დელეგატების ჩამოსვლამ, დიდუბეში ერთად თავის მოყრამ, მესამოცე წლების მოღვაწეების კრებულის საზოგადოების წინაშე გამოჩენამ ქართველი ხალხი ააღფრთოვანა, გაახალისა, მას რაღაც გამოურკვეველი იმედი მისცა — ძალა იგრძნობია... თვით მოღვაწეებს აზღვავებული ხალხის ხილვით სახე უბრწყინავდათ, ერთმანეთს ულიმოდენ, მხნევდებოდენ, ხალხი და „მოღვაწენი“ ერთმანეთის გულის ნადებს უსიტყვოთ იგებდენ...

ხალხში დაბრუნებული დელეგატები მოუთხრობდენ ქართველ ერს სასიქალულო პოეტის გადმოსვენების, მის დიდებულათ დაკრძალვის ამბავს და ერიც ამ ამბით სტკბებოდა, მისთვის უცნობ კმაყოფილებას განიცდიდა...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩდების, საშვილიშვილოთ გარდაიცემის“—ო სწერდა პოეტი და ეს ეროვნული სული უკუღმართ დროებით გადაგვარებულ შვილებში იღვიძებდა, თავის თავს აკვირდებოდა...

ბარათაშვილით დაიწყო ხომ ჩვენი სულიერი გამოფხილება...“

„მოგონებათა“ ერთგვარ პპოთეოზად წარმოგვიდგება „ილია ჭავჭავაძის მოკვლა 1907 წ.“:

„როგორც მზიან დარში გრგვინვა, ისე მოულოდნელათ გაისმა ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი, რომელმაც მოელ საქართველოს თავზარი დასცა!..

მწუხარება უზომო იყო, აღშფოთება და დაბნევა დიდი...

ერმა თავი ობლად იგრძნო, შეკრთა...

ისეთი შეკრთომა ქართველთ, ერეკლე მეფის დაკარგვის შემდეგ არ უგრძნიათ... ამ უბედურებით აღშფოთებული პიროვნებები და ჯგუფები, საერთო მტრის ვერ დამნახავნი, მათი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ თავიანთ ძმებზე შურის საძიებლათ მიიწევდნენ და მით მათდა უნებურათ, საერთო მტერს ხელს უწყობდენ...

მთავრობამ სცადა პარტიათა შორის ბრძოლის გაჩაღება, ძმათა შორის შურის ჩამოგდება, მით თავის გახრწნილ სიცოცხლის გადარჩენა, მარა დამწუხერებული ქართველი სული ერში გაჩნდა! შურ-მტრობას სიყვარულმა სძლია... პარტიები

და პიროვნებები ზე ამაღლდენ, საერთოდ, სამშობლოს  მაღლა დააყენეს.

გამწარების, დაბნევის და სულ-მოკლეობის, ლანძღვა-გინების ხმაში გაისმა საყვარელი პოეტის — აკაკის კეშმარიტების მღალადებელი სიტყვები: „ნუ მიწამლავთ მოხუცს გულს“-ო..

„შესაძლებელია თითო-ოროლა გარეწარი ყოველ ერში იყოს, მარა სასიკეთოთ გამოღვიძებული ქართველი ხალხი აქ არაფერ შუაშია“-ო..

მთავრობის მზაყვარული განზრახვები, მის ბოროტ გულში დასამარდა, ქართველმა პარტიებმა, ჯგუფებმა, პიროვნებებმა უდიდესი მწუხარების უამს ერთმანეთს ძმურათ ხელი გაუწოდეს, დიდებულ მამულიშვილის ლირსეულათ დაკრძალვას შეუდგენ...

საქართველოს ყოველ კუთხიდან ხალხი თფილის მოაწყდა, დიდებულ სიონის ტაძრის გარშემო მოზღვავდა, ერის მამის — ილიას ცხედრის გარშემო შემოიკრიბა...

ტრალიკულათ დაღუპულ მამულიშვილის პანაშვილის გადახთის შემდეგ, ქართველ მოღვაწეებმა ილიას ცხედარი სიონიდან გამოასვენეს... კუბოს მთავარმართებელი — ვარანცოვდაშვილიც ხელს კიდებდა, ქუდ-მოხდილი სიონის კარიბჭემდე მოყობოდა...

სიონიდან მთა-წმიდის მონასტრამდე ქუჩები დამგლოვიარებული, შავათ მოსილი ხალხით იყო გაჭედილი, ორ რიგათ ჩამწკრივებული... ცხედარს წინ მიუძლოდა შავი სამგლოვიარო დროშა, მგალობელთა გუნდი, სამღვდელოება; ყვავილებითა და გვირგვინებით შემკული ცხედარი ხელით მოპქონდათ, რომელსაც დამწუხრებული ქართველი ერი ცრემლის ფრქვევით მოაცილებდა, შავათ მოსილი ქართველი მანდილოსნები იმდუღრებოდა, ქუჩაში მდგომი ხალხი ქვითინებდა, გულის სილრმიდან ამონეთქილი ოხერა და კვნესა დედა-ქალაქ თფილისის მდებარეობას ედებოდა... მამა-დავითის სამრეკვლოდან სამგლოვიარო ზარის ხმა გულ-შემზარავ ამბავს დიმიტრი ყიფიანის აკლდამას ამცნობდა, მასავით თავგატეხილ, უდიდეს მამულიშვილის მისაღებათ ემზადებოდა!..

ვითარცა ნისლი, მამა-დავითის მთის კალთებს ისე მოედო ქართველი ხალხი და შეენიერ ტაძრის გარშემო შემოკრბა, ილიას აკლდამის წინ მუხლ-მოყრილი, უღვთოთ გატეხილ მი-

რონცებულ შებლს გამბორებოდა, — გვაძატი, დიდ-სულო—
ვანო მამაო ილია, — ეუბნებოდა... სამშობლოს განთავისუფლების
ლების ფიცი აქ უსიტყვოთ იდებოდა...“.

„ელგუჯა“ და „ელისო“ ინგლისურად

ქართული მწერლობის ძეგლთა ოლივერ უორდროპისეულ
თარგმანებს დღეიდან ემატება ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ და
„ელისოს“ ინგლისური თარგმანები, რომელთა ქსეროასლები
ოქსფორდიდან ჩამოვიტანე.

აღნიშნული თარგმანები შესრულებულია ქართველთა ამ-
ხანაგობის მიერ ალ. ყაზბეგის თხზულებათა 1891—92 წლების
გამოცემიდან, რომლის ოთხტომეული უორდროპებს საკუთრად
ჰქონიათ და დღეს, ოქსფორდში, მათ ფონდშია დაცული.

ორივე თარგმანი მანქანაზეა გადაბეჭდილი (d-28, d-40/4(2)
და ასეა დასათაურებული: „ელგუჯა, კავკასიის მთების გმი-
რული რომანი ალექსანდრე ყაზბეგისა, თარგმანი ქართულიდან
ოლივერ უორდროპისა“, „ელისო, ალექსანდრე ყაზბეგისა“.

„ელგუჯას“ თარგმანს წინ უძღვის ოლივერ უორდროპის
ძლიერ საგულისხმო ივტოგრაფული ჩანაწერი ინგლისურ ენა-
ზე, საიდანაც ვიგებთ ალექსანდრე ყაზბეგთან და მის შემოქ-
მედებასთან ინგლისელი ქართველოლოგის გაცნობის ისტო-
რიას:

„ეს შემზარავი მმბავი XIX საუკუნის დასაწყისის კავკასი-
ელ მთიელთა ცხოვრებიდან ვთარგმნე ქერჩში ივერიკო მიქე-
ლაძის (ცნობილი ქართველი უურნალისტის დავით მიქელაძის
ძეველის) უფროსი ვაჟია, გ. შ.) დახმარებით 1895 წელს, ქარ-
თული ენის უკეთ დაუფლების მიწნით. მან შეიძლება გამოიწ-
როს გარკვეული ინტერესი ინგლისელი მკითხველებისა, რო-
გორც ქართველი მთიელი მწერლის ნაწარმოებმა. მისი ავტო-
რი იმ ოჯახიდან იყო, რომელმაც მისცა სახელი მსოფლიოს
ერთ-ერთ უმაღლეს მწერევალს (იგულისხმება მყინვარწვერი
ანუ ყაზბეგი, გ. შ.), რომელთანაც არის დაკავშირებული პრო-
მეთეს ლეგენდა.

თავადი ალექსანდრე ყაზბეგი განათლებული კაცი იყო,
რომელიც მშობლიურ მთებში ცხვრების მწყემსვაში პოუ-
ლობლა სიამოვნების, მსგავსად მისი ყმა ზრდებისა.

ერთხელ მან ფრანგი მოგზაურების ჯგუფი გვარიანაც გააოცა, როცა მათ ენაზე დაელაპარაკა სუფთად დაუკურნა თულად, რომელთაც იგი უწიგნური ველური ეგონათ.

ალ. ყაზბეგი დაიბადა 1847-ს და გარდაიცვალა 1893-ში. მე ბედნიერება მხვდა წილად გავცნობოდი მას 1887 წელს თბილისში პირველად ყოფნისას. ის ხშირი სტუმარი იყო ჩემი კარგი მეგობრის, თავად ივანე მაჩაბლისა, რომელიც იყო შექსპირის მთარგმნელი და რომლის იღუმალებით მოცულ დაკარგვაზე დიდხანს ცრემლს ღვრილნენ თანამემამულენი.

ალ. ყაზბეგი წყოფიერი მწერალი იყო და 1909 წელს გამოსული მისი თხზულებათა გამოცემა შეიცავს 1204 გვერდს (აქ უნებლივ ლაფსუსია, უნდა ეწეროს 1891-92 წლების გამოცემა 4 ტომად, რადგან 1909 წელს ალ. ყაზბეგის მხოლოდ ერთი მოთხოვბა „ელისო“ დაიბეჭდა ქუთაისში, ხელაძის სტამბაში, რომელიც 86 გვერდს შეიცავდა, გ.შ.). სამწირლო ასპარეზზე 1880 წელს გამოჩნდა, ხოლო „ელგუჯა“ 1881 წელს გამოვიდა და ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ საზოგადოებამ დაიინა, რათა ის გაგრძელებულიყო. გაზეთ „დროების“ ასოთამწყობებმა აიძულეს მწერალი, რომ თავისი გმირი გაეცოცხლებინა და მოთხოვბა ისე მაღლე არ დაესრულებინა.

ნაწყვეტი „ელგუჯადან“, რომელიც აქ არის მოცემული გამოღება ყაზბეგის სტილის ნიმუშად. მისი წარმატება გარეეულწილად იმანაც განაპირობა, რომ იგი გაუღენილია ჰატრიოტული სულისკვეთებით...“.

„ელგუჯას“ ინგლისური თარგმანი შეიცავს მანქანაზე გადაბეჭდილ 39 გვერდს და იწყება პირდაპირ I თავიდან (შესავლის გარეშე) და ბოლომდე არ არის მიყვანილი, ხოლო „ელისოს“ 5 თავიდან თარგმნილია მხოლოდ I თავი და II თავის დასაწყისი.

ალ. ყაზბეგის ამ ორი მშვენიერი მოთხოვბის ინგლისურ თარგმანთა დაუსრულებლობის მიუხედავად, თვით ფაქტი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსის შემოქმედებით ინგლისელი ქართველობის ასეთი დაინტერესებისა, ახალ ფურცელს შლის ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში.

განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა მარჯორი და თლივერ უორდონპებს სილამაზით განთქმულ სამ დასთან — ტასო, ბაბო და ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილებთან. ამათგან ტასო გახლდათ ივანე მაჩაბლის მეუღლე, ბაბო გაუთხოვარი იყო, ხოლო ნიცა ცოლად გაჰყევა საჩერელ თავადს ხევან წერეთელს. სწორედ მათი ქალიშვილი იყო თამუნია წერეთელი, რომლის განუმეორებელ მშვენიერებას ტიციან ტაბიძემ უძღვნა თავისი რამდენიმე შესანიშნავი ლექსი (მის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი საგანგებო თავში „ძველი საქართველოს ცოცხალი ფრესკა“).

ტასო მაჩაბლის მიერ უორდონპებისთვის მიწერილი უცნობი წერილებიდან, რომლებიც დღეს ოქსფორდშია დაცული, რამდენიმე ჯერ კიდევ 1981 წელს ჩამოვიტანება და იმ წელსვე ნაწილობრივ გამოვაქვეყნე გაზეთ „კომუნისტი“, ხოლო სრულად წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (თბ., 1984, გვ. 318-331). ამჟამინდელი მივლინების დროს გადმოვიდე ტასო მაჩაბლის კიდევ სამი უცნობი წერილი, ამათგან ორი — ფრანგულ ენაზე, ხოლო ერთიც — ქართულად, აგრეთვე, ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილისა და ნიცა ბაგრატიონ-წერეთლის მიერ ფრანგულ ენაზე მიწერილი უცნობი წერილები, რომლებიც თარგმნა ტასო მაჩაბლის შეილთაშვილმა მარინე ჩერქეზიშვილმა.

I

ტფილისი, 21 თებერვალი, 1911

ძეირფასო ბატონო თლივერ!

ძალიან მასიამოვნა თქვენმა წერილმა და თუ უფრო აღრე არ გიპასუხეთ ეს იმის მიზეზია, რომ ახალი საზრუნავი გამიჩნდა:

ალბათ, გაზეთებიდან შეიტყობდით, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები კვლავ კრიზისს განიცდიან, რაც დიდად მაწუხებს. ეს არეულობა ასე მაღე არ ჩაწყნარდება, მე კი არ მინდა, რომ ნიკომ (იგულისხმება მისი უფროსი შეილი — ნიკო მაჩაბელი, გ. შ.) დრო დაკარგოს და ალბათ დამჭირდება სწავლის დასასრულებლად მისი უცხოეთში გაგზავნა.

ამ გადაწყვეტილებას ის დადებითი მხარეც ახლავს, რომ იგი
შეისწავლის უცხო ენებს, რაც მომავალში დიდადად გამოიყენდა.

ძალიან გული დამწყდა, რომ საშუალება არ მომეცა თბილისიდან თქვენი გამგზავრებისას საღვურზე გამეცილებინეთ. ჩვენ, ქართველებს, ჩვეულებად გვაქვს ჩვენი მეგობრების შეყვანა ვაგონში. ის დრო, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში გავატარეთ (იგულისხმება 1911 წლის 24 იანვარს ტასო მაჩაბლის თაოსნობით ქართველი საზოგადოების მიერ „ტიფლისსკი კრუუკში“, ახლანდელ ოფიცერთა სახლის შენობაში რუსთაველის გამზირზე, თბილისში სტუმრად მყოფ ოლივერ უორდროპის პატივსაცემად გამართული საგანგებო ნადიმი, გ. შ.) საუკეთესო მოგონებად დაგვრჩება და იმედი გვაქვს მალე დაგვიბრუნდებით.

ის ცხოველი ინტერესი, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ენის მიმართ, ღრმა პატივისცემის გრძნობას იწვევს თქვენდამი.

დაჩაგრულები მით უფრო მგრძნობიარენი არიან მათდამი გამოჩენილი ყურადღებისადმი, რაც უფრო მეტია ჩაგვრით გამოწვეული სიმწარე.

როგორ ვნანობთ მე და ნიკო, რომ დრო არ მოგეცათ სანკტ-პეტერბურგიდან თქვენს წასვლამდე კიდევ ერთხელ ჩამოგვერთმია ერთმანეთისთვის ხელი.

უსაზღვროდ მაღლობელი ვარ ლამაზი თაიგულისთვის! შალიან მესიამოვნა თქვენი ესოდენ დიდი ყურადღება, ოლონდ საშინლად ვბრაზობ ჩემს თავზე შინ რომ არ დაგიხვდით. როგორც კი მივიღებ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს, სისარულით გამოგიგზავნით მას ლონდონში.

არ გემშვიდობებით ძვირფასო ბატონო ოლივერ, ნახვამდის! გისურვებთ ჯანმრთელობას და ბეღნიერებას, მაგან გართმევთ ხელს.

თბილისელი მეგობრები მაღლობას გითვლიან მოგონებისათვის და გულწრფელ სალამს გითვლიან.

მომიკითხეთ დედა და ძმა.

ტასო მაჩაბელი*.

* აქ ციტაცია უორდროპი ცოტლი ქ—38/4 (8), ფრანგულ ენაზე.

ტურისი, 17 აპრილი, 1911

დეირფასო ბატონო ოლივეტი

ძილიან ვწუხვარ, რომ ინგლისში დაბრუნება თქვენი ჯან-
 შრთელობისათვის სასიკეთო არ აღმოჩნდა. გაზაფხულის იმე-
 დი კი გაქვთ, მაგრამ შელს ჩვენც ამაოდ ვილით გაზაფხულს,
 წარმოიდგინეთ, ჩემო ზატონო, ჩვენთან თითქმის ყოველდღუ-
 წევის და ისე ცივა, რომ თბილი ტანისამოსი ვერ გაგვიძირა

ნიკოს ჯერ ვერაფერი გადაუწყვეტია თავისი სწავლის შე-
 ხახებ. სურს აგრძონომიის კურსი მოისმინოს მონპელიეში, მაგ-
 რამ ჩადგან ფრანგული ენა არ იცის, ერთ შელს მაინც და-
 კირგავს... სანამ ენას ისწავლის... ყველაფერი ეს მეტად მა-
 ფიქრებს.

უდრმესი მადლობა დედათქვენსა და თქვენ გულთბილი
 შიპატიუებისათვის. ძალიან გავიხარებდი კიდევ რამდენიმე
 დღეს თქვენს საამონ საზოგადოებაში ყოფნით. სამწუხაროდ,
 საქმეები საშუალებას არ მაძლევს კავკასიიდან წამოვიდე და
 ნიკო იძულებული იქნება მარტო გაემგზავროს, თუკი მაინც
 გადაწყვიტა საფრანგეთში გააგრძელოს სწავლა.

მიხარია, რომ შემიძლია მოგილოცოთ პატარა ძმისწულის
 (იგულისხმება თომას უორდროპის ვაჟი, გ. შ.) შეძენა. მთელი
 გულით ვუსურვებდი დამსგავსებოდა თავის ბიძეს ოლივერს,
 ვინც ასე ჯაღოსნურად მოინადირა ყველა იმ ადამიანის გუ-
 ლი, ვისაც მისი გაცნობის ბეღნიერება ჰქონდა.

ძალიან მაწუხებს ჩემი საბრალო დის — ბაბოს ამბავი.
 ივალყოფნიამ სულ მთლად შეუცვალა ხასიათი. პატარა ბა-
 რათი რომ მიგეწერათ, ეგებ ცოტათი მაინც გამოცოცხლე-
 ბულიყო. არავის ნახვა არ სურს, ძალიან ცუდ გუნებაზეა
 ვერაფრით გამოვიყვანეთ ამ მდგომარეობიდან. მისწერეთ
 გეთაყვა და ძალიან მასიამოვნებოთ თუ მის პასუხს მაცნო-
 ბებოთ (ბაბო ბაგრატიონი ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობ-
 და, გ. შ.). ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბაბო გამოგანმრთე-
 ბების გზას დაადგა. წერილს წერილზე ვუგზავნი, მაგრამ
 ლების გზას დაადგა. წერილს წერილზე ვუგზავნი, მაგრამ
 უშედეგოდ. ვერ აგიშერთ როგორ მტანჯავს მისი მდგომარე-
 ბობა.

„ქრუეოქში“ გადალებული ფოტო შშვენიერი გამოდგა,
 უკვე გზაშია, ამ წერილს რომ მიიღებთ, ალბათ, უკვე ხელთ

ჟენებათ ეს ჯუფური ფოტოსურათი, რომელიც თბილისში 1911 წლის 24 იანვარს ოლივერის ბატივსაცემად გენერალუ ნადიმზეა გადაღებული, დღეს ოქსფორდს ინახება და მისი ერთი ფრაგმენტი „კომუნისტში“ გამოვაჭვეყნე 1981 წელს, გ. შ.).

სათავადაზნაურო ქრების დეპუტატებმა დიდი სიხარულით შეიტყვეს ქართველ საზოგადოებასა და თქვენს შორის დამყარებული გულითადი ურთიერთობის ამბავი. კმაყოფილი ვარ რომ დაგარწმუნეთ, ქართველები ახლო გაცნობის ლირსნი არიან და მშენივრად იციან მათდამი გამოჩენილი ყურადღების ფასი. ისინი დიდად გემადლიერებიან, რომ მათ არ ივიწყებთ და ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებენ..

რაც შეეხება რუსთაველის რუსულ თარგმანს, მის შოვნას შემპირდნენ (იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილის სიმამრის — ივანე პოლტორაცის (1836-1892) მიერ რუსულ ენაზე გადათარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი). თურმე ხელნაწერის ერთადერთი ეგზემპლარი არსებობს, მეორე პირის გადაწერა უკვე დაიწყეს და როცა ეს სამუშაო დამთავრდება, დაზღვეული ამანათით გამოგიგზავნით.

ელენე და ნიკო (იგულისხმება ივანე და ტასო მაჩაბლების ქალ-ვაჟი, გ. შ.) გულითად სალამს გითვლიან, ბედნიერები იქნებიან თქვენი ნახვით. ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ კვლავ ჩამობრძანდებით.

შვეიცარია, ძვირფასო ბატონო ოლივერ, მაგრამ დიდი ხნით არა, ხომ ასეა? თქვენს მოლოდინში ვართ. მაგრად გართმევთ ხელს. მომიკითხეთ დედათქვენი, გადაეცით რა მაღლიერი ვარ მისი მიწვევისათვის და როგორ ვნანობ, რომ ვერ ესარგებლობ ამ შემთხვევით ერთხელ კიდევ გავიხარო თქვენს მომხიბვლელ საზოგადოებაში ყოფნით.

ტასო მაჩაბელი.*

III.

14 მაისი, (1911)

შვირფასო მეგობარო ოლივერ!

გწერთ ქართულად, გაიგებთ თუ არა და შეგიძლიანთ თუ

* თქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d. 38/4 (9), ფრანგულ ენაზე.

არა პასუხი ქართულათ მომწეროთ. გიგზავნით „ზაკავკაზის“ თარგმანს „ვეფხისტყაოსანს“.

სიყვარულით მოგიყითხავთ ყველას ერთობით. ნიკოლოზ გილა ბელგიაში, ელენე (იგულისხმება უმცროსი შვილი ელენე მაჩაბელი, გ. შ.) მოკითხვას გიგზავნით.

თქვენი მოყვარული

ტასო მაჩაბელისა.

ველი პასუხს*.

ტასო მაჩაბლის პირველ წერილთან დაკავშირებით რომ ოლივერ უორდროპის პატივსაცემად 1911 წლის 24 იანვარს გამართული ნადიმის შესახებ შევნიშნავდი, უნდა დამატებით ვთქვა, რომ ოქსფორდში დაცულია ამ ნადიმზე დამსწრე ჩვენი ცნობილი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ხელით შესრულებული ესკიზი შავი აკვარელით: ჯვრის მონასტრის და ამომავალი მზის სხივების ფონის ქვეშ გრძელ ქადაღდის ფურცელზე შემონახულა ამ ნადიმის მონაწილეთა ხელმოწერა-ფაქსიმილები, მათ შორისაა, თვითონ იაკობ ნიკოლაძე, ტასო მაჩაბელი, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ყაზბეგი, დავით სარაჯიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის გაყაბაძე, კოტე მაყაშვილი, მხატვარი დავით გურამიშვილი და სხვ. (უორდროპთა ფონდი C-2). აქვეა ამ ნადიმზე წაკითხული წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1911 წლის 24 იანვრის ადრესი, რომელიც საპატიო ინგლისელ სტუმარს ამ საზოგადოების სახელით, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემასთან ერთად, მიართვა საზოგადოების მაშინდელმა თავმჯდომარემ გენერალმა გიორგი ყაზბეგმა:

„ნება მიბოძეთ უძლვნა სალამი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახელით ჩვენს ძვირფასს სტუმარს მისტერ ოლივერ უორდროპს და ვიბაასო იმ ძმობა-მეგობრობაზედ, რომელსაც იჩენს ბ-ნი ოლივერ ქართველ ერისადმი.

შორეულ ალბიონის შვილნი, ბედისაგან გადმოხვეწილნი საქართველოში, — მისტერ უორდროპი და მისი განსვენებული და, კარგა ხანია მას აქედ, რაც დაუახლოვდნენ საქართველოს, შეიყვარეს იგი და შეუდგნენ მის შესწავლას.

* ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 38/4 (10).

აქ დაიბადა იმ სიმპატიის პირველი ნაპერწყალი, რომელიც
ჭართველი ინტელიგენციის და, განსაკუთრებით, ჩვენის პოტ-
ტის ილია ჭავჭავაძის წყალობით, შეიქმნა მეგობრობაში მეგობრობას მოჰყვა სურვილი ჭართულის ენის შესწავლისა
და ბოლოს, როგორც შედეგი უცხოელისთვის ფრიად სამძი-
მო ღვაწლისა — თარგმანი ინგლისურ ენაზე თანამედროვე
ჭართულ ლიტერატურის სამაგალითო ნიმუშებისა. განსვენე-
ბულმა მისტრის უორდროპმა, რომელიც სიკვდილამდის ით-
ვლებოდა ჭართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგა-
დოების წევრად, ასეთის შრომით კარი გაულო ინგლისელთ
ჩვენის სამშობლო ქვეყნისა.

ამგვარის ღვაწლით მისტრის უორდროპმა დაიმსახურა ჩვე-
ნი გულწრფელი სიყვარული. განსვენებულის ძმა, ჩვენი პა-
ტივცემული სტუმარი, განაგრძობს დის მიერ დაწყებულ საქ-
მეს და ამთავრებს ჩვენის ენის შესწავლას. იგი არა ზოგავს
შრომას, არ ერიდება დიდის ფულის დახარჯვას და აგროვებს
მასალას თვის სახლობის მიერ დაფუძნებულ ოკსფორდის
უნივერსიტეტში ჭართულის ენის კათედრისათვის და ჭართ-
ველოლოგის ბიბლიოტეკისათვის.

გაკითხებით, ნუთუ ყველა ესე არაა უმაღლესი გამოსახვა
მისტერ უორდროპის სიყვარულისა საქართველოსადმი?

პატარა ერნი, როგორც პატარა კაცნი, დიდის გრძნობით
ეკიდებიან მეგობრობას. მეგობრობის ალი ათბობს ჩვენს
გულს, თუმცა კი იგი ალი არა გვწვავს. მეგობრობა ნაანდერ-
ძევი აღთქმაა და სიმბოლო ჭართველის ერისა, რომელმაც
შეისისხლხორცა ის აზრი, რომ ნამდვილი გრძნობა თვისის
თავის დავიწყებაა, რომ იცხოვროს სხვით და სხვისთვის. ამ
იდეის სრულს განხორციელებას ვხედავთ ჩვენს სახალხო პო-
ეზიაში და განსაკუთრებით უკვდავ რუსთველის ნაწარმოებ-
ში. ჩვენი ერი საბედნიეროდ აქნობამდის დიდის პატივით და
სიყვარულით ეკიდება მეგობრობას, მიუხედავად იმისა, რომ
უკვე ვიშხამებით იმ საწამლავით, რომელიც დასავლეთის ცი-
ვილიზაციამ გადმონერგა ჩვენშიაც.

ბატონო ოლივერ! თქვენი მეგობრობა ათბობს ჩვენს გულ-
სა და სულს, ხოლო ხსოვნა თქვენის დისა, ჩვენის წერა-კი-
თხვის საზოგადოების წევრისა, რომლის სურათიც ამშვენებს
სადა და უბრალო ბინას საზოგადოებისას, უფლებას გვაძ-

ლიგს მოგმართოთ თხოვნით — მიიღოთ წერა-კითხვის ცაზოგა/ დოებისაგან ერთი ცალი ქართველ გენის შოთა რუსთაველის ნაწარმოებისა, სადაც იპოვნით მეგობრობის წმინდა იდეალებს, ჩომელნიც დღესაც არ გამქრალან ქართველ ერის გულში და ამჟამად გადმოსჩეფენ თქვენდამი მომართული.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი.

ეს ხაზი უნდა გადესვას ერთ გარემოების: ოქსფორდში და-ცული გიორგი ყაზბეგის მიერ ხელმოწერილი ეს ადრესი, რო-გორც უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენ-ტი, — ინგლისურად თარგმნა და 1956 წელს ოქსფორდის სა-შეცნიერო უურნალში „Oxford Slavonic Papers“, ტ. VI გა-მოქვეყნებულ ნაშრომში — „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“ შეიტანა პროფ. დევიდ ლანგმა. *

უურნალ „ცისკრის“ 1957 წლის № 4-ში გამოქვეყნდა დე-ვიდ ლანგის აღნიშნული ნაშრომის ქართული თარგმანი, შეს-რულებული ინგლისურიდან ჩვენი განსვენებული ცნობილი მეცნიერის ალექსანდრე გამყრელიძის მიერ.

გიორგი ყაზბეგის დასახელებულ დოკუმენტთან დაკავში-რებით ალ. გამყრელიძე შენიშნავდა: „ვინაიდან ამ ადრესის ტექსტს ჩვენში ვერ მივაკვლიეთ, პირდაპირ ინგლისურიდან გთარგმნეთ“ (იხ. ცისკრი, 1957, № 4, გვ. 148).

ახლა უკვე ხელთ გვაქვს ამ ადრესის ქართული დედანი, რომლის მიხედვითაც ხდება მისი პირველი პუბლიკაცია.

IV.

საჩერე, 12 იანვარი (1912 წ.)

ძეირფასო ბატონო ოლივერ!

მივიღე თქვენი წერილი და ბეღნიერი ვიყავი გამეგო, რომ ჩვენსკენ მობრძანდებით. გთხოვთ აუცილებლად მინახულოთ, ოლონდ, თან წამოიღეთ თქვენი საბრალო დის და თქვენი პატივცემული ოჯახის ფოტოსურათები.

ერთი ცუდი ამბავი უნდა გაგაგებინოთ: ჩვენი საყვარე-ლი ვენერა (ბერიძე-წერეთლისა, გ. შ.) გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ როსტომი (წერეთელმა) მთხოვა თქვენთვის შემეტ-ყობინებინა ეს ამბავი... ყველა ძალიან შეწუხებული ვართ...

ეს ამბავი, ალბათ, გეწყინებათ, თქვენ ხომ ის დედაშვილის
გცემდათ.

ჩემი დისტული ელენი (ივანე და ტასო მაჩაბლების ქალი-
შვილი, გ. შ.) კვლავ აფად არის, მართალია, ისე მძიმედ არა,
როგორც ადრე, მაგრამ მთლად ისე მაინც ვერ არის, როგორც
ეს ჩენ გვსურს.

მაპატიეთ ამდენ უსიამოვნო ამბავს რომ გწერთ, მაგრამ
სხვანაირად არ შემეძლო.

გიგზავნით საუკეთესო სურვილებს თქვენ, დედათქვენსა
და ძმას.

თქვენი მეგობარი ნიცა ბაგრატიონი-წერეთლისა.*

V

15 ივნისი (1912 წ.)

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

დღეს მივიღე თქვენი საბრალო დის ფოტოსურათები. რა
შვენიერია! დიდად გმადლობთ, ძვირფასო ბატონო, ბედნიე-
რი ვარ, რომ ისინი მაქვს.

ტასოსთან და ბავშვებთან ერთად ზღვაზე ისეთ ადგილს
ვიყავით, სადაც ფოსტა არ იყო. სულ ორი დღეა, რაც ჩამო-
ვედით საჩერეში და პასუხიც ამიტომ დაგიგვიანეთ. ტასო
იმდენი საქმე დაუგროვდა, რომ პირდაპირ თბილისში წავიდა.
დასანანია, რომ ამ ზაფხულს ვერ ჩამოხვალთ ჩენს სანახა-
ვად. როგორ ბრძანდებით თქვენ და დედათქვენი? ამჟამად
ჩენ ყველანი ჯანმრთელად ვართ. ერთი რამ გვაწუხებს მხო-
ლოდ, რომ ჩემი ვაჟები (დათიკო და ნიკო წერეთლები, გ. შ.)
ამ ზაფხულს არ ჩამოდიან აქ და ბაბოც კვლავ პეტერბურგში
რჩება.

ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო! ვფიქრობ,
რომ ყველა ადამიანისთვის ეს არის მთავარი, დანარჩენი კი —
სისულელეა!

მოკითხვა დედათქვენს. გისურვებთ ორივეს ყოველივე
საუკეთესოს.

ჩემი მეუღლე, ჩემი მაზლი და პატარა გოგონა (თამუნია
წერეთელი, გ. შ.) მოკითხვას გითვლიან.

ნიცა ბაგრატიონი-წერეთლისა.**

* ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 38/5. ფრანგულ ენაზე.

** ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 38/5. ფრანგულ ენაზე.

დღემდე ცნობილი იყო მარჯორი უორდოპის მრტვრიშმაგრა
 ბაგრატიონისადმი 1902 წლის 7 ივლისს ქერჩიდან გამოგზავ-
 ნილი ერთი წერილი ქართულ ენაზე (იხ. ლ. თაქთაქიშვილის
 ურუშაძე, მარჯორი უორდოპი, თბ., 1965, გვ. 173-174) და
 1905-1908 წლებში მიწერილი კიდევ სამი წერილი (იხ. გ. შა-
 რაძე, ხედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984, გვ.
 412-415). ახლა კიდევ გამოვლენილი ბაბო ბაგრატიონისთვის
 1908-09 წლებში ბუქარესტიდან პეტერბურგში ფრანგულ
 ენაზე მოწერილი მარჯორის ორი უცნობი წერილი, რომლე-
 ბიც თქმისფრდშია დაცული და კარგად გვიჩასიათებს ამ ორი
 შესანიშნავი მანდილოსნის ღრმა მეგობრობას.

I.

1908, დეკიმბერი (?), ბუქარესტი
 ძვირფასო მეგობარო!

შევწუხდით თქვენი ამბები რომ ვეღარ შევიტყვეთ, მაგ-
 რამ გადაბარებამ (იგულისხმება პეტერბურგიდან ბუქარეს-
 ტში, გ. შ.) ბევრი ღრო წამართვა. ორი წერილი აღრეც გამო-
 გიგზავნეთ, პასუხი კი არ მიმიღია. ჩემო ძვირფასო ბაბო, რო-
 გორც კი მიიღებთ ამ წერილს პასუხი მომწერეთ, ან კიდევ
 უკითესი იქნება თუ ჩამოხვალთ ჩვენთან. მოხარული ვიქე-
 ბით თუ რამდენიმე კვირას ჩვენთან გაატარებთ. ვფიქრობ,
 მოგიხდებათ ჰაერისა და გარემოს გამოცვლა. შეგიძლიათ მოი-
 სვენოთ ჩვენთან რამდენსაც მოისურვებთ. მე კი ვეცდები
 კარგად მოგიაროთ.

არ მინდა რომ დააყოვნოთ სახსრების უქონლობის გამო.
 თუ ამ წუთში ხელთ არა გაქვთ აუცილებელი სახსარი, ნუ და-
 აყოვნებთ ამის მიზეზით, გიგზავნით 20 გირვანქა სტერლინ-
 გის ქვითარს, მგონია „სევერნი ბანქში“ გადაგიცვლიან. იქი-
 თხეთ და ბატონი სანდერსი თუ იქ არის, დარწმუნებული ვარ,
 რაც საჭიროა ყველაფერს მოგიხერხებთ. თუ მაინც რამე სი-
 ძნელეს შეხვდით, მიუტანეთ ან გაუგზავნეთ ქვითარი ბატონ
 მაჟის — ჩვენს ვიცე-კონსულს, რომელსაც თქვენ კარგად იც-
 ნობთ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, ჩემო ძვირფასო ბაბო, თუ რო-

გორ გვასიამოვნებთ თქვენი ჩამოსვლით. ძალიან დაგვენანა,
რომ ზაფხულში ვერ შესძელით ჩვენთან ინგლისში სტუმრო
ბა, სადაც უფრო მეტ გართობას შემოვთავაზებდით, ვიღორებენ,
ბუქარესტში. აյ მეტად წყნარ და უბრალო ცხოვრებას ვეწე-
ვით და იმედია პპოვებთ მოსვენებას, რომელიც, ალბათ, ასე
გაჭლიათ თქვენს სკოლაში.

აბა, მომწერეთ, გეთაყვა, როდის შესძლებთ ჩამოსვლას.

ჩემი ძმა ოლივერი საუკეთესო სურვილებს გითვლით.

გულმხურვალედ გკოცნით, გელით მოუთმენლად.

მუდამ თქვენი ერთგული

მარჯორი.*

II.

6/19 იანვარი, 1909, ბუქარესტი

ძვირფასო მეგობარო

თქვენმა წერილმა, რომელიც გუშინწინ მივიღე, ძალიან
დაგვამწუხარო. მეშინია, რომ გასულ წელს ბევრი ტანგვა გა-
მოიარეთ. კვლავ შეუძლოდ ბრძანდებით? რატომ არ დატო-
ვებთ სანკტ-პეტერბურგს, რომლის პავა ასეთი ულმობელია
თქვენთვის. ხომ შეგეძლოთ ცოტა ხანი ჩვენთან გაგეტარები-
ნათ. ეს არც ისე შორსაა საქართველოდან. რატომ უფრო ად-
რე არ მომწერეთ თუ გიჭირდათ, ხომ იცით, რომ ნამდვილ
მეგობრად ვთვლით! და ვფიქრობ, დიდი ბედნიერებაა მეგო-
ბარს დაეხმარო! დარწმუნებული ვარ თქვენც ასე მოიქცეოდით
ჩვენს მიმართ. ზაფხულში წერილით გთხოვდით გაგემხილათ
ჩემთვის ხომ არაფერი გიჭირდათ რა და რადგან პასუხი არ
მიმიღია, ვიფიქრე, რომ უკვე თქვენს დასთან იყავით და რომ
ყველაფერი კარგად იყო. არ ვიცი ზუსტად, რა დარდი გქონ-
დათ გასულ წელს, ერთში კი დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ-
ზე მეტად არავინ არ იმსახურებს ბედნიერებას. ვისურვებთ,
რომ ამ წელმა მაინც მოგიტანოთ ის ბედნიერება, რაც თქვენ
გსურთ, ჩემო ძვირფასო!

დარდი მუდამ არ გაგრძელდება და იმედი გვაქვს, რომ ახ-
ლა მხოლოდ სიხარული და სიმშვიდე მოგელია.

მომწერეთ ჩემო კარგო ბაბო და მითხარით თუ შეგვიძ-

* თქვენორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/4 (9). ფრანგულ ენაზე.

ლია რაიმეთი გაამოთ, ეცადეთ ჩვენთან ჩამოხვიდეთ
ვენებლად.

უქეთესი ამბების მოლოდინში მთელი გულით გერმანი
და გოცნით.

ჩემი ძმა ოლივერი საუკეთესო და გულწრფელ სურვილებს
გითვლით.

მუდამ თქვენი ერთგული

მარჯორი უორდროპი.

ხომ გერ გამომიგზავნით ელენის მისამართს. იმედია, კარ-
გად არის. კვლავ იტალიაშია?**

ვინ არის ეს იტალიაში მყოფი ქართველი ქალი ელენი,
ვის მისამართსაც ითხოვს მარჯორი?

პირველი ჩართველი მომღერალი ჩალი იტალიაში

იქაერ ჭერეთელს აქვს 1905 წლით დათარიღებული ერთი
ლექსი „სიმღერა“, რომლის ქვესათაურად პოეტი ჭერს: „ვუ-
ძღვნი ელენე თარხნიშვილის ქალს“. აი, ისიც:

„ნეტავი შას.

ეიცც შენს ტებილ ხშის
ერთხელ კიდევ გარგონებს,

გულის ვნებას

და გონებას

ათაყვანებს!... დაუმონებს!!

მაგ სიტყვაში.

გამოთქმაში,

მომხიბლავი ისმის ძალა.

სასურველი,

საწყურველი.

უკვდავების ვით ფიალა.

ვხედავ!.. მჯერა!..

მაგრამ მე რა?

დაუნიშნავს სხვისთვის გულსა!..

იმას უთმობს,

იმას უტებობს.

ოცნებას და სიყვარულსა.

* ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 26/4 (10). ფრანგულ ენაზე.

მაგრამ მაინც,
 მიყვარს მე ვინც,
 მსხვერპლად ცსწირავ სულ და გულსა..
 ვით ბულბული,
 გულმოქლული
 ვიგონებ ჩემს გაზაფხულსა.
 ნეტავი მას,
 ვინც შენს ტებილ ხმის
 ისაჟუთრებს გაუყოფლად..
 და ვაი მას,
 ვინც გულისთქმას
 ჩემებრ იკლავს გულში ობლად!!

პროფ. გ. ბზიანიძის მიერ აკაკის ამ ლექსისთვის დართულ ქომენტარში წერია:

„ელენე იოსების სული თარხნიშვილი (დაბ. 1879), მომ-ლერალი ქალი. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო მი-ლანოში. აკაკის ერთს ხელნაწერში ვკითხულობთ: „აღმოსავ-ლეთ საქართველოდან დასავლეთში გადმოვიდა ხმა, ელენე თარხნიშვილის ქალმა თავისი სიმღერებით დაატებო იქაური ქართველობაო... ჩამოვედი იმერეთიდან საკუთრად მის ხმის მოსასმენად, ვნახე ელენე თარხნიშვილი სცენაზე „ტრავიატა-ში“ და გავკვირდი: მართლა და გაუზდია მეცადინეობით ხმა იმდენათ, რომ არა თუ ჩვენს პატარა სცენას, დიდ სცენებსაც არ შეარცხევს“ (H-1501, აკაკის ეს ავტოგრაფული ხელნაწე-რი 1914 წლით თარიღდება, გ. შ.).

აკაკის ლექსს შემდეგი შენიშვნა აქვს დართული გაზ. „თემ-ში“ (1912 წ., № 53), საღაც იგი ადრე დაიბეჭდა:

„ამ რამდენიმე წლის შინათ (1905წ.) ჯერ, როდესაც ელე-ნე თარხნიშვილისა სიმღერის შესწავლას არც კი შესდგომო-და და მხოლოდ შინაურულის სიმღერით ატებობდა ხოლმე მსმენელთ, ერთ პაწია საზოგადოებაში იგი მღეროდა ცნობილ ჰანგს „მხოლოდ შენ ერთს“, იმ კრებულში ბრძანდებოდა, სხვათა შორის, ბატონი აკაკი, რომელსაც ქ-ნ ელენეს სიმღერა ძალიან მოეწონა; მხოლოდ ლექსმა კი „მხოლოდ შენ ერთს“ ვერ დააკმაყოფილა. მაშინ ოჯახის უფროსმა მანდილოსანმა მიჰმართა ბ. აკაკის: „კარგი კიდევ თქვენ დაუშერეთო“ — „დიდის სიამოვნებითო“ — უპასუხა აკაკიმ და მართლაც, მეო-რე დღეს დილითვე მოუტანა ელენე თარხნიშვილისას ზემოთ

დაბეჭდილი ლექსი” (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული
 ლი ქრებული, ტ. III, თბ. 1954, გვ. 519-520).

უკანასკნელ ხანს, ჩვენში რამდენიმე საინტერესო წერილი
 და მასალა გამოქვეყნდა ელენე თარხნიშვილის საზღვარგარეთ
 მოღვაწეობის თაობაზე (იხ. ა. ცამციშვილი, პირველი ქართ-
 ველი მომღერალი ქალი საოპერო სცენაზე, „საბჭოთა ხელოვ-
 ნება“. 1959, № 11, გვ. 58-61; მისივე, ბუდემოშლილი ბულ-
 ბული, „საქართველოს ქალი“, 1960, № 12, გვ. 14-15; მისი
 ვ, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბ, 1959,
 1962, გვ. 72-75; აგრეთვე, ნ. ედიშერაშვილი, პირველი მომ-
 ღერალი ქალი — ელენე თარხნიშვილი, „განთიადი“ (კასპი),
 1967, 22 ივნისი) და ძირითად ხაზებში უკვე აღდგენილია მი-
 სი ბიოგრაფია და განვლილი შემოქმედებითი გზა:

ელენე ოსების ასული თარხნიშვილი დაიბადა 1881 წელს
 28 მარტს, ახალქალაქში (ქართლი). მის აღზრდაში მონაწილე-
 ობა შიულიათ მამიდამისს, ცნობილ ქართველ მწერალ ქალს
 — ეკატერინე თარხნიშვილ-გაბაშვილისას და ივანე მაჩაბლის
 შეულლეს — ტაო ბაგრატიონს, რომელიც ახლო ნათესავად
 ერგებოდა. ელენე სწავლობდა თბილისის წმ. ნინოს სასწავ-
 ლებელში, ხოლო თავდაპირველი მუსიკალური განათლება
 მიუღია თბილისში მოღვაწე ცნობილ ჩეხ მუსიკოს რატიონ-
 თან. 1897 წელს თბილისში სწავლის დასრულების შემდეგ
 900-იან წლებში ელენე თარხნიშვილს მამასთან ერთად უმოგ-
 ზაურია ევროპაში (გერმანია, საფრანგეთი), უნახავს დრეზ-
 დენი, პარიზი, 1905 წლიდან კი იგი უკვე პეტერბურგშია და
 მეცადინეობდა იქაურ მუსიკის პედაგოგებთან. 1908 წელს
 ელენე თარხნიშვილი გაემგზავრა იტალიაში, სადაც მას ყუ-
 რადღებას არ აკლებდა მილანში მყოფი ვანო სარაჯიშვილი,
 რომელსაც იგი ემა დოტისთან მოუწყვია მოწაფედ. როგორც
 გადმოგვცემენ, ელენე თარხნიშვილი მილანში დაუმეგობრდა
 შალიაპინს, კარუზოს, ტიტა რუფოს და სხვა გამოჩენილ მუ-
 სიკოს-შემსრულებლებს, აგრეთვე, იქ მოსწავლე ახალგაზრ-
 და ქართველ მომღერლებს (მ. ნანობაშვილი, ს. ინაშვილი, ვ.
 ქაშაკაშვილი და სხვა), რომლებიც თავს იყრიდნენ მის სახლ-
 ში.

ელენე თარხნიშვილის ბრწყინვალე გამოსვლები საოპერო

შეტყობინებულ შტატების
სამთავროსად
გამოცემისად

პარტიებში ახსოვთ იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორქში..

1920 წელს ელენე თარხნიშვილი ცოლად გაჰყვა იტალიაში ტენორსა და პიანისტს არტურ ვიტას და უმთავრესად მილაბში ცხოვრობდა. 1953 წლიდან გადასახლდა სამხრეთ იტალიის ქალაქ რეჯიო-კალაბრიაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1961 წლის 2 აგვისტოს და იქვეა დაკრძალული.

მილანში — ამ საოპერო კულტურის მექაში — ელენე თარხნიშვილის ჩასვლის, განსწავლისა და დაოსტატიურის პირველი წლების შესახებ ცნობებს ნაშილობრივ ავსებს ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში ჩვენს მიერ გამოვლენილი მასალები...

■ ■ ■

როგორც ვიცით, 1904-05 წლებში ოლივერ უორდროპი პეტერბურგში, ბრიტანეთის საელჩოში დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა და მასთან ერთად, როგორც ყველგან, განუშორებლად ცხოვრობდა მისი უმცროსი დაც — მარჯორი უორდროპი.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდში ინგლისელი ქართველოლოვი და-ძმა დაუახლოვდნენ რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში მცხოვრებ დროებით ჩასულ ქართველებს, მათ შორის, როგორც ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებიდან გაირკვა ოლღა მირზაშვილს და ელენე თარხნიშვილს (იხ. „ბედნიერებისა და სათნოების საუნჩე, თბ., 1984, გვ. 185, 341, 409, 411-414, 417, 455).

ოლღა მირზაშვილი, რომელიც ამ დროს სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, თურმე ეხმარებოდა მარჯორი უორდროპს ქართული ენის უკეთ დაუფლებასა და ქართული ლიტერატურის ძეგლების, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებათა ათვისებასა და ინგლისურად გადათარგმნაში. ოქსფორდში გამოვლინდა ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი დოკუმენტი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი სისტემატური ხასიათი პქონდა ოლღა მირზაშვილის ქართული ენის

გაეცეთილებს მარჯორი უორდროპთან (წერილი დაუმტკიცებულის სავიზიტო ბარათზე):



«Ольга Ивановна
Мирзаева
Слуш, Женск. Медиц. Инст.

28 თებერვალი [1905]

საყვარელო და ძვირფასო ქალბატონო მარჯორი!

დიდათ გმიდლობთ ყურადღებისათვის. ამ კვირია ზე უმეო-
ფოთ გახლდი, იმიტომ ვერ გვახელი თქვენთან შაბათს, ლო-
გინშიაც კი გიშექი სამს დღეს, რაც ჩემთვინ იშვიათია. კვი-
რას ავდექი, დღეს უკვე ქარშიაც გავედი. ხვალ გვახლებით,
გისურვებ თქვენ დარგად ყოფნას.

მარად თქვენი
ო. მირზაშვილი».

*

ელენე თარხნიშვილი კი, როგორც ჩანს, უორდროპებთან
შეებრობას 1906 წელს მათი პეტერბურგიდან ბუქარესტში
გადასვლის შემდეგაც არ წყვეტდა და არც 1909 წლის დეკემ-
ბერში მარჯორის გარდაცვალების შემდეგ დაუვიწყნია ცალ-
იდ დარჩენილი ინგლისელი ქართველოლოგი მეგობარი —
ოლივერი.

უორდროპების არქივს ოქსფორდში შემოუნახავს ელენე
თარხნიშვილის იტალიაში — მილანში 1910 წლის მაისში გა-
დაღებული ფოტოსურათები სამახსოვრო წარწერებით, იტა-
ლიური პრესიდან ამოჭრილი რეცენზიები მილანში ელენე
თარხნიშვილის საოპერო სპექტაკლებში გამოსვლებზე, აგრე-
თვი, ელენე თარხნიშვილის მიერ იტალიიდან გაგზავნილი ბა-
რათები ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებიც შუქს პფე-
ნენ ელენე თარხნიშვილის მილანში განსწავლისა და დაოსტა-
ტების აქამდე სრულიად უცნობ მხარეებს, კერძოდ, დოკუმენ-
ტური სიზუსტით ირკვევა, რომ ბუნებრივი ნიჭითა და სასიმ-
ღერო ხმით დაჭილდოებული ქართველი ქალი მილანში საო-
პერო კულტურის დასაუფლებლად ჩასულა 1908 წელს.

მაგრამ ჯერ მოვყავს მარჯორი უორდროპის 1909 წლის
15/28 აგვისტოს უცნობის წერილი ელენე თარხნიშვილისად-
ში, რომელიც ქართულ ენაზეა მიწერილი ბუქარესტიდან მი-
ლანში:

Elene Tarkhan — Mouravi

ჩემო ძვირფასო მეგობარო ელენე!

თქვენი წერილი მივიღე, რას ფიქრობთ ჩემს საქციელზე? დიდ-დიდ ბოლიშს გიხდი თქვენს წინაშე, რომ ამდენ ხანს ვერ მოგწერე წერილი. ნუ გვინიათ, რომ წერილის მოუწერლობა დავიწყების ნიშანი არის. არა და არა, საყვარელო ელენე; ძალიან ხშირად გულით თქვენთან ვარ და ეს მაწუხებს, რომ აღარ ვართ ერთ ქალაქში [პეტერბურგში, გ. შ.]. იმედი მაქს ეხლა გყავთ კარგი მეგობრები მილანში. ერთად ყოფა უცხოეთში ძნელია (მოწყენილი უნდა იყოთ). როდის გაქვთ უქმები მობრძანდით ჩვენთან, ორი-სამი კვირას გატარება როდესაც შეგიძლიანთ ანუ ეხლა შემოდგომას, ანუ ზამთარს ქრისტეშობისთვის, შორს არ არის ვენეციიდან ბუდაპეშტამდე და ბუდაპეშტიდგან ბუნარესტში მატარებლით ოცი საათია.

წერილი იმიტომ დამიგვიანდა, რომ დედა აქ ყოფილა შთელი ზაფხული. ჩვენი მეორე ძმა [თომას, გ. შ.] მასთან ჩამოსულა, მაგრამ ის კი სამი კვირას შემდეგ იძულებული იყო მიბრუნება ინგლისში საქმისათვის. დედა და მე სოფელში ვიყავით, — კარპატიის მთებში და ოლივერ ჩვენთან მოვიდა ხოლმე შაბათისაგან ორშაბათამდე. ჰაერი და ილაგი მშვენიერი იყო. ეხლა დედა კიდევ ინგლისში არის.

უსათუოდ ეხლა დიდი Celebrita (იტალიურად — დიდად ცნობილი, სახელგანთქმული, გ. შ.) ხართ. ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იქნება თქვენი მშვენიერი ხმის სმენა.

რას აკეთებს ბაბო [ბაგრატიონ-დავითაშვილი, გ. შ.]? მივ-სწერე, მაგრამ დიდი ხანია პასუხი აღარ მომდის. იმედი მაქს, რომ კარგათ არის. მომწერეთ, ჩემო კარგო და ამ დროს უფრო მაღლე მოგწეროთ. თუ იცით ოლგა მირზაშვილის აღრესი, გთხოვთ მაცოდინებით. ჩემი ძმა [ოლივერ, გ. შ.] გულითადი მოკითნვა გიძლვნეს. გაკოცებთ მრავალს და ღმერთს ესთხოვ თქვენი მშვიდობას და ბეღნიერებას.

თქვენი მარად ერთგული

მარჯორი.

ყველა ნიშნით, მარჯორი უორდოპის ამ წერილის პატი
ხია ელენე თარხნიშვილის ქვემოთ მოყვანილი 1909 წლის გ/კონფერენცია
სექტემბრის ბარათი:

საქართველოს
სახალხო მთავრობა

Via Pisacane 53

9. 09. 1909

ძირითასო მეგობარო [მარჯორი]!

შეოლოდ გუშინ მივიღე თქვენი წერილი. ეს ერთი თვეა
საღვური გამოვიცვალე და ამიტომ თქვენი წერილი ცოტა
გვიან მომივიდა. ამ ზაფხულს ერთი თვე თავისუფალი მქონ-
და. მინდოდა სამშობლოში წასვლა, მაგრამ ორი კვირა გზას
მოუნდებოდი და ამიტომ ისევ აქ დავრჩი. ცოტა ვიმოგზაუ-
რე. დავათვალიერე იტალია. ვიყავი გენუაში, ლივორნო, ნეა-
პოლი, მესსინა და პალერმოში. ეს ქალაქები დავათვალიერე კარ-
გად. ვმოგზაურობდი ნავით და ამ ქალაქებში ორი-სამი
დღით ჩერდებოდა ნავი. ბინა ნავზედ მქონდა მუდამ. დიდათ
გმაღლობთ დაპატიუებისათვის. დიდი სიამოვნებით* გავატა-
რებდი თქვენთან ცოტაოდენ დროს, მაგრამ ეხლა სწავლა და-
შეწყო და მარტო შობა დღეს და ახალ წელიწადის პირველ
დღეს თუ ვიუქმებთ, თორემ ყოველ დღე გვაქვს სწავლა.
თქვენ კმაყოფილი იქნებით, რომ დედა და თქვენი ძმა ამ ზა-
ფხულს თქვენთან ერთად იყვნენ. ბატონი ოლივერი როგორ
ბრძანდება? ვერც თქვენ იყავით კარგად პეტერბურგში. ბუ-
ხარესტის პარი როგორ იიტანეთ? მე კარგად ვარ და სწავ-
ლითაც კმაყოფილი. ერთი მეგობარი ქალი მყავს ეხლა — ჩე-
მი მასწავლებლის მოწაფეა. ოთახიც იმიტომ გამოვიცვალე,
რომ ჩემს სახლში მეორე ოთახი გასაქირავებელი არ იყო.
ეხლა ერთად ვდგვართ — ოთახები გვერდითა გვაქვს და
ცოტა არ იყვეს უფრო შეუმჩნევლად მიდის დრო. ჭერ celeb-
rita-მდის დიდი ზღვაა გასავლელი. ჭერ დებიუტი მაქვს ჩა-
ფიქრებული. მე მგონი თავი მოგაწყინეთ ლაპარაკით. ცოტა
გვიანაც არი — ლამე მშვიდობისა. როცა მოიცალოთ, წერა-
ლი მომწერეთ ხოლმე. დიდი სიამოვნებით ვღებულობ თქვენს
წერილებს. ბაბო [ბაგრატიონ-დავითიშვილი, გ. შ.] კარგად
არის — თავისებურად მუდამ ისე არის გართული საქმეში,
რომ წერილებს თითქმის არავის სწერს. მეც მეორე თვეა ბა-
ბოს წერილი არ მომსვლია — სხვებიდგან ვიცი, რომ კარგად
არის. [ოლღა] მირზაშვილის ადრესს შევიტყობ და გაცნო-

გებთ. ბატონ ოლივერს გულითადი სალამი. თქვენ გაკოცით
ბევრს.

თქვენი მოსიუვარულე
ილენი თარხნიშვილი.

ელენე თარხნიშვილს მძიმედ განცდია მარჯორისადმი ამ
გარათის მიწერიდან სულ რამდენიმე თვეში საუგარელი მე-
გობრის მოულოდნელად დაკარგვა, რასაც მოშმობს ოლივე-
რისადმი რუსულ ენაზე 1909 წლის 27 დეკემბერს გაგზავნი-
ლი სამძიმრის წერილი:

„53. Pisacanoe

Milano

27.12.09

Многоуважаемый Monsieur Oliver!

Не нахожу слов выразить Вам то чувство глубокой
горести, которое овладело мной при чтении Вашего
письма. Так горько и обидно терять хороших людей!
На днях я хотела писать бедной Магјогу и узнать, что
ея уже нет, было очень тяжело. Передайте мое ис-
креннее соболезнование в постигшем Вас горе Вашей
Матери и Брату. Я очень прошу Вас, если Вы имеете,
прислать портрет милой и доброй Магјогу. Затем, если
Вам не трудно, напишите мне краткую биографию Ва-
шей сестры. Как и когда изучила она грузинский язык,
какая редкая книги имела в своей библиотеке. Я пом-
ню, что она перевела на английский язык «Житие св.
Нины». Вообще, напишите все, что необходимо для
некролога. Я, с Вашего разрешения, воспользовавшись
Вашими данными, хотела бы поместить некролог о той,
которая так любила и так внимательно относилась
всегда ко всем грузинам. Вы, не стесняясь, напишите,
если почему-либо Вы против этого. Некролог я поме-
щу в газ. «Закавказье».

Шлю Вам сердечный привет, да поможет Вам Бог
перенести тяжелую утрату.

Е. Тарханова.

P. S. На конверте не пишите «principessa»* адре-
суйте «signorina»**

P. S. Пожалуйста, напишите в каком году Вы с
Магјогу были на Кавказе.

Е. Т.»

* principessa (იტალ.) — თავიდის ასული, პრინცესა (გ. შ.).

** signorina (იტალ.) — ქალიშვილი, სინოორინა (გ. შ.).

სიტყვამ მოტანა და ბარემ აქვე დავბეჭდავთ ბრიუსელში /
მყოფ ქართველთა სახელით პ. ყიფიანის მიერ 1909 წლის 23 დეკემბერს ოლივერისადმი მიწერილ უცნობ თანაგრძნელება
წერილსაც, რომელიც დღეს ოქსფორდშია დაცული:

„დიდად პატივცემულო ბატონო!

თავშარდაცემული თქვენის ძვირფასი დის მისს მარჯო-
რი ვარდობის სიკვდილის ამბით, ვისწრაფვით ჩვენის ქვეყ-
ნის საერთო გლოვას ჩვენი მწუხარებაც შევუერთოთ. დავსტი-
რით დამაშვრალ, სათნო და კაცომოყვარე ადამიანის უდროვო
დაკარგვის, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში ესდენი
დღვაწლი დასდო ჩვენს მწერლობასა და ერს; დავსტირით ადა-
მიასს, რომელმაც გაიცნო ჩვენი ქვეყანა და გაცნო თავისს
ხალხს „გახდეგილის“, „სიბრძნე-სიცრუის“, „ვიფხისტყაოს-
ნის“ უკვდავი შემქმნელი; დავსტირით ადამიანს, რომელმაც
უსაზღვროდ შეგვაყვარა თავისი თავი და აგრეთვე ის ერი,
რომელსაც ის ეკუთვნოდა. ნუგეშად ისა გვრჩება, რომ განს-
ვენებულის სურვილი თავის ხალხში ჩვენი ერისადმი სიმპა-
ტიის და თანაგრძნობის აღძვრისა უნაყოფოდ არ ჩაივლის.

დიდადა ვწუხვართ, რომ ამ ამბის გვიან შეტყობის გამო
სხვაფრივ ვერ გამოვსახეთ ჩვენი მწუხარება.

ბრიუსელში მყოფ ქართველების
მაგიერ

დავშთები თქვენის განსვენებულის
დის ხსოვნის და აგრეთვე თქვენი
გულწრფელად პატივისმცემელი

პ. ყიფიანი

ქ. ბრიუსელი,
23 ქრისტეშობისთვე
1909 წ.

ბრიუსელიდან გაგზავნილი პ. ყიფიანის ეს ბარათი მხარს
უბამს მილანიდან ელენე თარხნიშვილის მიერ მოწერილ მწუ-
ხარების წერილს და ორივე ერთად შესანიშნავად გვიხატავს
ქართული კულტურისათვის თავდადებული ახალგაზრდა ინგ-
ლისელი ქალის სახეს და მის ღვაწლს! ქვე ვბეჭდავთ მილან-
ში 1910 წლის მაისში გადაღებულ ელენე თარხნიშვილის

ფოტოსურათს ოლივერისადმი მიძღვნილი სამახსოვრო წერ-წერით, რომელიც დღეს ოქსფორდში, უორდოროპლაზმუნიდ-შია დაცული.

ძველი საჭართველოს ცოცხალი ფრესკა

„ძველი საჭართველოს ცოცხალ ფრესკას — თამარ წერე-თელს. ავტორი“ — ასეთი წარწერა ამკობს კონსტანტინე გამ-სახურდიას „დიონისოს ღიმილის“ 1925 წლის გამოცემას, რომელიც მწერალს მიუძღვნია თამუნია (თამარ) წერეთლისად-მი და დღეს მისი ქალიშვილის რუსულან კახიძის საოჯახო არქივშია დაცული.

იქვე ინახება ტიციან ტაბიძის „რჩეული ლექსების“ 1934 წლის გამოცემა, რომელიც იხსნება პოეტის ფაქსიმილური წარ-წერით: „თამუნია წერეთელს, ვისი შთაგონებითაც დაწერი-ლია მეორე წიგნი ლექსებისა. ტიციან ტაბიძე, 1934 წ. ნოემ-ბერი, ქ. ტფილისი“...

ტიციან ტაბიძემ ერთი მეორეზე უბრწყინვალესი ლექსები უძლვნა თამუნია წერეთელს, რომელთაც აქ მოვიყვანთ ქრო-ნოლოგიური თანმიმდევრობით, მაგრამ ჯერ შევჩერდეთ ტი-ციანის ერთი დაუთარილებელი ლექსის „ანანურთან“ შესახებ:

ანანურთან

თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან.

შავი არაგვი თეორ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.
არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი,
ხარ დანგრეული შენ „მოდი-ნახე“,
ფეხ-მოტეხილი, შენ ხარ ღრუბელი.
ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება,

სჯობს გაიხარონ სხვა გოგოებმა
 მოიბან შენი ირმის ფეხები.
 დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,
 მათი ცხოვრება ხვალე იწყება,
 ჩვენ მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას
 დაფარავს მიწა და დავიწყება.
 გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
 და ახეული მაქვს ლაყუჩები,
 შემართულია ფეხზე ჩახმახი
 და უსიკვდილოთ ვერ გადურჩები.
 ასე კვდებოდა ილბათ ათასი
 და მოწმეთ ჰყავდათ ეს ანანური,
 ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
 და თვითმქოლელობის იავნანური.

ტიციან ტაბიძის ლექსთა გამოცემებში (1934, 1955, 1960 წწ.) „ანანურთან“ დაუთარილებელია. ლექსში არის მინიშნება თამუნია წერეთლის ცხოვრებაში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე — ფეხის მოკვეთაზე („ფეხ-მოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“, „სჯობს გაიხარონ სხვა გოგოებმა, მოიბან შენი ირმის ფეხები“). თამუნია წერეთლის ერთადერთი ასულის — რუსულან კახიძის ცნობით, დედამისს ეს ამბავი შეემთხვა 1929 წლის 16 მარტს — ქალიშვილის შეძენიდან 15 დღის შემდეგ (უცნაური დამთხვევაა — 16 მარტი თამუნის დაბადების დღე ყოფილა!). მაშასადამე, ტიციანის აღნიშნული ლექსიც — „ანანურთან“, რომელიც მისი პოეტური მუზის ამ ტრაგიკული ამბითაა ნაბიძები, 1929 წლით უნდა დათარილდეს.

ახლა მოვიყვანოთ თამუნია წერეთლისადმი მიძღვნილი ტიციანის სხვა, ოღონდ უკვე თარიღიანი ლექსები:

თ ა მ უ ნ ი ა ჭ მ რ ი თ მ ლ ს

ბედნიერი ვარ — როგორც არასდროს,
 თვითონ არ ვიცი, რა მიხარია.
 არ მინდა გული ცეცხლმა დაღადროს,
 თუ ცეცხლი ლექსად მე მაფარია.

ტაშისკარიდან მოჰქმდის გრიგალი
დიდ მოურავის მუზარადებით.
ცას მოგრეხია თავის ნამგალი,
მთვარე საესეა გულის ზაფებით.
დარღვეულ ციხეს მე გათანგული
ვეღარ ვაშორებ ოცნებას ოჩანს.
ვიცი მარტყია ხმალი ფრანგული,
მაგრამ თათარი კი არსად მოჩანს.
ვტირი და ვამბობ, საწყალ მამიას,
— „თამარს ვინ იტყვის, მართლა რა იყო“?..
ჩემი ცხოვრება ისეც წამია
და სხვა თამარმა შვაზე გამიყო.
თამარს ვინ იტყვის — რა იყო მართლა,
თამარს ვინ იტყვის — მართლა რა არი..
თავზე დამნათის მე ძველი ქართლი,
„მოდი-ნახის“ კი ვარ პატიმარი.

ივლისი, 1925 წ.
ბორჯომი

* * *

თამარი ზორბეგილს

„მოდი-ნახეო“-ო — მიველ და ვნახე
და სჯობდა მაინც, რომ არ მენახა,
არხისტრატივის მრისხანე სახე,
საკურთხეველის რომ დგას კარებთან.
მე ბავშვი ვიყავ და არ ვიცოდი,
ნათელა სისხლზე რისთვის ხარობდა,
რომ სიამაყის გულს აწვა ლოდი,
როცა სარებზე თავებს ახმობდა.
როგორც ათასი გამტყდარი თარი,
ისე იმღერის თავების ღობე.
ვაჟკაცთ შეტევით სძლიერ თათარი
და ვამარჯებას ვეღარ ხარობდენ.
და მოგონება მოასედება გულს
და გრიგალივით სულზე გადიარს,
ვხედავ მებრძოლი სისხლით გათანგულს

და შეუვარებულ ცოტნე დადიანს.
 მე არ მაცხია მონგოლის თაფლი,
 და ხელგაკრული არ ვზივარ მზეზე,
 მაგრამ ბუზები, რომ ვერ დაითვლი,
 კბენენ ჩემ სხეულს სულ უმიზეზოდ.
 არ შეგიკერავს შენ ჩემთვის ჩოხა,
 მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს,
 რაც სხვას სიცოცხლე მიაჩნდეს ოხრად,
 ასეთი სისხლით ვეღარ შეღებავს.
 ბევრი დაგუვება დღეს აბეზარი,
 მაგრამ არ გვანან იმ ძველ რაინდებს,
 რა საჭიროა იმ დროთ მეზარე,
 დრო უმისოდაც არავის ინდობს.
 ამ სიბნელეშიც მოდის ნათელა —
 ქველი წერეთლის ამაყი ქალი.
 მე თუ ცხოვრებამ მართლა გამთელა,
 მღელვარე გულის დამრჩა ფართქალი.
 მაგარი არი ხომ „მოდი-ნახე“,
 ლექსს უფრო მტკიცე აქვს გალავანი
 და ეს პოემაც შენ შეინახე,
 მეც პოეტების ვარ ფალავანი.
 ასე იმღერის ძველი მოტივით
 სამოთხის ჩიტი — გამაიუნი,
 შენს გარდა, ალბათ, სხვაც მომიტევებს,
 რომ შენზე ვფიქრობ დღეს თამუნია.

22 აპრილი,
 1926 წ.

კიდევ ერთი ლექსი-მიძღვნა — „თამუნია წერეთელს“ ტი-
 ციანს დაუთარილებელი დაუტოვებია. მაგრამ აქაც გამჭვირვა-
 ლეა 1929 წლის 16 მარტის ზემოთ ახსნილი ტრაგიკული ამბა-
 ვი. რის მიხედვითაც ეს ლექსიც 1929 წლით უნდა დათარიღ-
 დეს:

რა დამავიწყებს ამ შავ გაზაფხულს,
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,
გსტირი სიცოცხლით კუბოს დაშარხულს,
გაუხარებელ დაფლეთილ მუზას.

რა საჭიროა კითხვა-პასუხი,
ეს უმისოდაც გახდა აშკარა,
არ იყო ბედი არასდროს უხვი,
მოდენის ნაღველს ეხლა ლაშქარად.

ნუღარ მეტყვიან „მოდი, ნახეო“,
უნახავადაც ეს მჯერა ერთ წამს,
გულის მაგიერ გული არ მოვა,
არ მოებმება არც ფეხი ლერწამს.

სხვები მოვლენ და სხვები ნახავენ
ამ ჭოჯოხეთის ავარდნილ ალმურს,
მე არ მინდოდა სხვა სიხარული,
ჩემთვის ლერწმიდან სჭრიან სალამურს.

მაწუხებს მხოლოდ, ვერ მოვასწარი
თავის დროს შენთვის მეთქვა, მეამბო,
თუ როგორ არის დაუკიწყარი
სხვა პოეტებში უფეხო რემბო.

ტიციან ტაბიძის მეუღლე — ნინო მაყაშვილი-ტაბიძისა მო-
გონებათა წიგნში — „ტიციანი და მისი მეგობრები“ მშვენივ-
რად გვიჩატავს თავისი მეუღლის ახალი პოეტური შთაგონე-
ბით გატაცების ისტორიას, საიდანაც ნათლად იკვეთება ტიცი-
ანის არაჩვეულებრივად ფაქიზი სული და ზეამაღლებული
მგოსნის ბუნება:

„ლამაზ ქალს რომ დაინახავდა [ტიციანი], უცებ ეძლეოდა
უზომო იღტაცებას. 1925 წლის ზაფხულში ბორჯომში ვისვე-
ნებდით; მოულოდნელად ტიციანის წერილი მივიღე — თბი-
ლისში ვიღაც მომხიბელელი ქალი გამოჩნდა და ძალიან მი-
ნდა შენც შეხედოო. იმავე დღეს დეპეშაც გამომიგზავნა — სა-
სწრაფად ჩამოდიო. მერე ტელეფონითაც მელაპარაკა და იგი-
ვე გაიმეორა. ჩამოვედი თბილისში, საღამო იყო, ტიციანი შინ

არ დამიხვდა... ვუცდი, ვლელავ... ღამის თორმეტ საათზე გნიდან დავინახე — მოღის!

მეორე დღეს იმ ქალის სანახავად წამიუგანა პავილინტში, სადაც მინერალურ წყლებსა ჰყიდილნენ (რუსუდან კახიძის ცნობით თამუნია წერეთელი, რომელსაც წმ. ნინოს სასწავლებელი და ფრანგული ლიცეუმი ჰქონდა დამთავრებული, უცხო ენებიდან თავისუფლად ფლობდა ფრანგულ და ინგლისურ ენებს, მაშინ გათხოვილი არ იყო, იძულებული გახდა რუსთაველის გამზირზე ბორჯომის წყლების მაღაზიაში მოლაპედ დაწყო მუშაობათ. გ. შ.). ის ქალი ძალიან მომეწონა, იშვიათი სილამაზის იყო: რაღაც კეთილშობილური იერი ჰქონდა, ეშნითა და სიტურფით აღსავს, ტანწერწეტი და შნოიანი იყო, როგორც ქურციკი. მე ვუთხარი ტიციანს — აღტაცებული ვარ შენი გემოვნებით, მაგრამ ვერ გამიგია, აქ ახლა მე რა საჭირო ვარ-მეთქი; მან მაჩუქა მშვენიერი მომძივული ჩანთა და ფრანგული ტანსაცმელი, რომელიც მაშინ დიდ მოდაში იყო. მუ გამოვართვი საჩუქრები და ისევ ბორჯომში წავედი.

როცა აგარაკიძან საბოლოოდ დაგბრუნდი, ტიციანმა მიჩვენა ლექსები, მიძღვნილი იმ ქალიშვილის — თამუნია წერეთლისადმი. პაოლო იაშვილმა და ვალერიან გაფრინდაშვილმა აუკრძალეს მას ამ ლექსების დაბეჭდვა, ეგონათ, რომ მე წყინებოდა. მაგრამ მე ვუთხარი მათ — დაე, დაბეჭდოს, ძალიან კარგი ლექსებია და ცოდვაა მათი გამოუქვეყნებლობა-მეთქი.

ასეც მოხდა. ტიციანმა ეს ლექსები დაბეჭდა. მათ დიდი წარმატება ხვდათ.

ტიციანი არც ისე ახლოს იცნობდა თამუნია წერეთელს, მაგრამ მთელ ამ ამბავს ლრმად და სერიოზულად განიცდიდა. საქმე იქამდე მიღიოდა, რომ მე თვითონ ვყიდულობდი ყვავილებს, რომლებიც ტიციანს იმ ქალიშვილისათვის უნდა მიერთმია“ (იხ. ნინო ტაბიძე, ტიციანი და მისი მეგობრები, „მნათობი“, 1975 წ., № 9, გვ. 183-184).

თამუნია წერეთლის არქივში, რომელიც მის ქალიშვილთან — რუსუდან კახიძესთან ინახება, დაცულია გიორგი ლეონიძის 1925 წელს დაწერილი ცნობილი ლექსის „ლამე ივერიისა“ ავტოგრაფი (ფანჯრით ნაწერი), საიდანაც ირკვევა, რომ თავდაპირველად პოეტს იგი თამუნიასადმი ჰქონდა მიძღვნი-

ლი, ნაბეჭდ გამოცემებში კი ეს მიძღვნა ორ ჩანს  ბ-
ლეონიძე, ლექსები, პოემები, ერთტომეული, თბილი 1980, გვ.
38; ეს ფაქტი აღნიშნა ნ. ჩიხლაძემ: პოეტის მუზა, „ლიტ. სა-
ქართველო“, 18 აპრილი, 1975 წ.). გარდა ამისა, „ღამე ივ-
რიისას“ თამუნიასეული ნუსხა ნაბეჭდ ტექსტთან შედარებით,
საინტერესო ვარიანტულ ნაირკითხვებს გვიჩვენებს. ამიტომ
მოგვყავს მის მიხედვით:

ლაპა ივერიისა

თამარ წერეთელს

ისევ აყვავდა გული ვარდივით
მინდა მწუხარე ლექსი დავწერო,
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.
დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზედ წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მლერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე.
სთვლემენ ბეღლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, როგორც ლამპარი.
ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები...
სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი.
სთქვი ნაღვლიანი რამე ქართლივით
ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ,
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო...

გ. ლეონიძე

ასეთ ცნობილ პოეტთა ლექსების გვერდით თამუნიას არ-
ჟივში ინახება ილიქო ნიუარაძის მიერ სულ რაღაც ათიოდე
წლის თამუნია (თამარ) წერეთლისადმი 1912 წლის 5 მარტს
მიძღვნილი ასეთი ლექსიც:

კუძღვნი კნიაუნა თამარას
ტურფათ მოსჩანს ტყე-მინდორი,
იფურჩქნება ია-ვარდი!
ნაზ ყვავილებს თავს აწონებს
მზის სიცხოვლე მთვარე ბაღრი.

ბულბული სტვენს, მერცხალს ართობს,
 არე-მარეს თავს ევლება
 და ბუნების სანუგეშოთ
 ბუზ-პეპლები გარს ედება —
 ქარი დაპქრის, ჯეჯილსა შლის,
 ოქროს ფერად აპრიალებს!
 და პატარა ჩვენს თამარას
 თმებს უვარცხნის, ალამაზებს.

ი ლ ი კ ო ნ ი ჟ ა რ ა ძ ე
 1912 წ. 5. III.

თამუნია წერეთელი მამის — საჩხერელი თავადის, ქუთა-
 ისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორის, განთქმული მე-
 ლვინისა და აგრონომის ბეჟან დავითის ძე წერეთლის (1845-
 1913) — მხრიდან აკაკი წერეთლის ახლო ნათესავი იყო, ხოლო
 დედა — ნიკა (ნინო) ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ-დავი-
 თაშვილი (1861-1935) გახლდათ უფროსი და იგანე მაჩაბლის
 მეუღლის — ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილისა (1869-1917)
 და ასევე სილამაზით ქებულ ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი-
 სა (1870-1915). ნიკა საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწეოდა
 და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც ეხმარე-
 ბოდა. ბეჟან და ნიკა წერეთლებს ხუთი შვილი ჰყოლიათ:
 ივლიტა (ლიტა) (1885—1896, ს. ჯამბაზიშვილის ცნობით, და-
 კრძალულია ხაშურის რ-ნის სოფ. სატივეში), ალექსანდრე
 (საშა) (გარდაიცვალა 1898 წელს), დავით, ნიკო (1890-1935)
 და თამარი. ამათგან ნიკო მოუნათლავს აკაკის, ხოლო თა-
 მარისათვის სიყვარულით თამუნა აკაკის შეურქმევია და
 ეს სახელი მას ბოლომდე შერჩენია. 1909 წელს პარი-
 ზიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი სწერდა ნიკას: „...ნი-
 კო დამიკოცნე და თამუნას დაგვტენ, მაგრამ ისე ფრთხილად
 კი, რომ არ ეტკინოს...“ (აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრუ-
 ლი კრებული თხუთმეტ ტომად, ტ.XV, თბ., 1963, გვ. 219).
 თამუნა ამ დროს ექვსიოდე წლის თუ იქნებოდა: იგი 1903
 წელს დაიბადა საჩხერეში.

ბავშვობაში თამუნია კარგი დეკლამატორი ყოფილა და
 თურმე მშვენივრად კითხულობდა აკაკის ლექსებს. ერთხელ,

ქუთაისში, დავით კლდიაშვილის მიერ მოწყობილ დღისაზე, როგორც ირკვევა, 1911 წლის 9 მაისს (იხ. აფიშებისა მიერ არქივში), მას აკაკის „განთიადი“ წაუკითხავს: „შეა კითხვის დროს, — იგონებს თვითონ თამუნია, — მომესმა ძია აკაკის ქვითინი. ლექსის კითხვა რომ გავათავე, სცენიდან ამიუვანეს და პირდაპირ აკაკის ლოუაში გადამსვეს, სადაც გულაჩუყებულმა მოხუცმა გულში ჩამიქრა. თურმე ჩემი ბავშვური გულუბრყვილობით წაკითხულმა მისმა მშვენიერმა ლექსმა მასზე ასე იმოქმედა“ (იხ. თამარ ბეჟან წერეთლის ასული, აკაკი წერეთელი ჩემს ხსოვნაში, „ლიტ. მატიანე“, წიგნი 3-4, თბ., 1942, გვ. 137-138; შდრ. 6. ჩიხლაძე, დასახ. წერილი). ამასვე იგონებს სხვა შემთხვევის გამო დედამისი — ნიცა წერეთელი: „ერთხელ ელისაბედ წერეთელმა მოაწყო საღამო, საღაც 8 წლის ბავშვმა, ჩემმა შვილმა თამარმა, ბეჟან წერეთლის ქალმა წაკითხა „ცა-ფირუზი, ხმელეთ-ზურმუხტო“. აკაკი რომ ყურს უგდებდა ბავშვს, საშინლად აღელდა და ქვითინი დაიწყო. მე ვკითხე, რამ აგაღელვათ, აგრე რომ ატირდით-მეთქი. — იმისთანა გრძნობით წაკითხაო, რომ ბეღდნიერება განვიცადე, რომ ამ პატარამ ასე იგრძნო ჩემი გულის ნადებიო, დიდები ასე ვერ წაკითხავენო. დაუძახა ბავშვს და მოუალერსა“ (იხ. ნიცა ბაგრატიონი-წერეთლისა, აკაკი, იქვე, გვ. 133).

ნიკო ნიკოლაძის და — კატო ნიკოლაძე, რომელიც ღარიბ ბავშვთა საქველმოქმედო სკოლას ხელმძღვანელობდა ქუთაისში, 1911 წლის 23 პპრილს საჩხერეში სწერდა ქუთაისიდან ნიცა წერეთელს: „...ახლა ჩვენს საყმაწვილო დილაზედ მოვილაპარაკოთ: ეს დილა ჩვენ შევუერთეთ ეკატერინა გაბაშვილის იუბილეს — ...დანიშნულია ექვსი მაისისათვის. ახლა თითქმის ყოველ დღე ვიკრიბებით, რაღვანაც დრო ძალიან ცოტა დაგვრჩა. ყოველთვის და ყველა თამარს ჰეკითხულობს. გასაოცარი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენს პატარა თამარს. იმას ნუ ეტყვით, ქე არ გაამაყდეს. ჩარკვიანის ცოლი ამბობს, თუ თამარა არ იქნა, ჩვენი დილა არაფრად ეღირებათ. ამასვე ამბობს დავით კლდიაშვილი. ყველანი მეხვეწებიან, ძალიან გთხოვთ, თამარა უთუოდ ჩამოიყვანოთ (საჩხერედან ქუთაისში). მაგან უნდა ისწავლოს ზეპირად აკაკის „განთიადი“ — „მთაწმინდა აყვავებულა...“ და სხვ. თავიდან ბო-

ლომდის უნდა დაისწავლოს“ (ეს წერილი დაცულია თამუნიას
არქივში).

თამუნიას დეკლამატორული ნიჭით აღტაცებას მოწმობს
თვით აკაკის მიერ თამუნიას დედის — ნიცა წერეთლისადმი
გამოგზავნილი წერილიც: „...ერთი ის კი მწყინს მხოლოდ,
რომ თამუნას წაკითხვას ვერ ვნახავ სცენაზე“ (ტ. XV, თბ.,
1963, გვ. 223).

როგორც ვთქვით, თამუნია წერეთელს დამთავრებული
ჰქონდა წმ. ნინოს სასწავლებელი და ფრანგული კურსები
თბილისში, კარგად ფლობდა ფრანგულ და ინგლისურ ენებს.
1928 წელს იგი ცოლად გაჰყვა ქართველ იურისტს, ექიმსა და
თეატრალურ მოღვაწეს, 1920-იან წლებში თბილისის ეპადე-
მიური სატირის თეატრის დამაარსებელს, მთავარ რეჟისორს
და მხატვრულ ხელმძღვანელს ნიკოლოზ კახიძეს (1895-1942),
რომელიც კინომსახიობობასაც მისდევდა (ითამაშა, მაგალი-
თად იბრაგიმის როლი ფილმში „იბრაგიმ და გოდერძი“ და
სხვ.). თამუნია წერეთელი გარდაიცვალა 1968 წელს, დასაფ-
ლავებულია ძუკიაზე, დედამისის — ნიცა ბაგრატიონ-წერეთ-
ლის გვერდით.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თამუნია წერეთელი ახლო
ნათესავი იყო აკაკისა. ამიტომ არაფერია მოულოდნელი იმა-
ში, რომ მის არქივს შემოუნახავს აკაკის რამდენიმე ლექსი:
„პარიჟი, ბეჭანს წერეთელს“, „სახსოვარი“ (ივლიტა (ლიტა)
ბეჭანის ასულ წერეთლის ეპიტაფია), „ეპიტაფია“ (ალექსან-
დრე ბეჭანის ძე წერეთლისა).

ამათგან „პარიჟი“ ავტოგრაფია და იგი ბეჭან წერეთლი-
სადმია შიძლვნილი. სხვათა შოთა, პროფ. გ. აბზიანიძე აკა-
კის წერილებისათვის დართულ კომენტარებში ერთ ადგილას
შენიშვნავს: „აკაკი იყო ბეჭან წერეთლის ბაგშვების ხათლია,
პარიზიდან აკაკი მას სახურაო ლექსებსა და ბარათებს უგზა-
ვნიდა, რომელთა დიდი ნაწილი დღეს დაკარგულად ითვლე-
ბა“ (ტ. XV, თბ., 1963, გვ. 226). თამუნია წერეთლის არქივ-
ში გაძლიერებული აკაკის „პარიჟის“ ეს ავტოგრაფი უცნობია
პოეტის აღხიშხული ლექსის დღემდე ცნობილ ავტოგრაფებს
შოთა, რომელთა მიხედვით არის იგი დაბეჭდილი აკაკის თხზუ-
ლებათა სრული კრებულის III ტომში (თბ., 1954, გვ. 297, შდრ. გვ. 539-540).



თამუნია წერეთლის არქივში დაცული აკაკის დაწყეტების
ორი ლექსი — ეპიტაფია ბერან წერეთლის უდროობაში გადასახლდებული
ლილ ქალ-ვაჟის — ივლიტას (ლიტას) და ალექსანდრეს (საშას) ხსოვნას ეძღვნება და სატივესა და საჩერეში მათს საფლავებზე
ამოსაკვეთად არის გამიზნული, რომლებიც დღემდე შ. გოზა-
ლიშვილს სხვა წყაროების მიხედვით აქვს გამოქვეყნებული
(„ლიტ. საქართველო“, 26. XI. 1965; იხ. გ. მიქაძე, „კომუნისტი“, 17. I. 85.)

აი, ისინიც:

სახსოვარი

იხარე ანგელოსთ გუნდში,
ვარსკვლავო მოსხივ-ცისკარე!
ლიტანიობდე ამიერ
ეთერზე ფრთებ-მოელვარე!
წახველ უდროვოდ ამ სოფლით
ედემის ნორჩი ყვავილი,
რომ შენი ხსოვნა შენს მშობლებს
ექლად დაესოს მწარ-ტკბილი.
თანამავალო ვარსკვლავთა
ელვარებითა დიდობით...
ლიტანიობით ცის გუნდში
იმხიარულე!.. მშვიდობით!..

აკაკი

თავდ ბერან დავითის ძე წერეთლის და მისი მეუღლის ნი-
ნოსი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალის ასული
ივლიტე.

დაიბადა: ღვინობისთვის 9-ს 1885 წ.

მიიცვალა: მარტის 7-ს 1896 წ.

* * *

ეპიტაფია

მშობლების გულში აღმგზნები
გავხდი ცეცხლისა მწველისა:
მოვწყდი ამ სოფელს უდროვოდ,
ვთა ყვავილი ველისა.
ანგელოზთ გუნდსა მივმართე,
იქ დამხედა ლიტა ელვარე

და მაღლით ერთად ორივე
 გართ ქვეყნის მოსხივ-ცისკარე.
 რომ თან გადმოჰყვეს ჩვენს სხივებს
 ძალი და მაღლი ზეცისა,
 გასაქარვებლად ქვეყნიურ
 ჭირისა მრავალ კიცისა.

აკაკი.

ალექსანდრე ბერძნის ძე წერეთელი
 დაიბადა: _____ /...../

მიიცვალა: _____ [1898 წ.]

თამუნია წერეთლის საინტერესო ლიტერატურული არქი-
 ვი, რომელიც აღნიშნულ და სხვა ხელნაწერებსა თუ დოკუ-
 მენტებთან ერთად, იშვიათ ფოტომასალას (ნაწილს ამათგან
 აქ ვაქვეყნებთ) შეიცავს, სპეციალისტებისა და ფართო მჭიო-
 ველი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გაძლეს.

88 წლის პატარძალი და გოგოლის უცნობი პორტრეტი

1981 წელს, პროფესორ დევიდ ლანგთან ერთად კემბრიჯ-
 ში ყოფნისას, საშუალება მომეცა გამოჩენილი ინგლისელი
 სლავისტი ქალის, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის
 ელიზაბეტ ჰილის კერძო კოლექციაში გავცნობოდი ნიკოლაზ
 გოგოლის უცნობ ფერწერულ პორტრეტს, რომელიც დიდი
 რუსი მწერლის რომში ყოფნისას 1839 წელს დაუხატავს იტა-
 ლიელ მხატვარს საპორტრიტის...

ელიზაბეტ ჰილი მაშინ უკვე 80 წელს იყო გადაცილებუ-
 ლი, მაგრამ საოცრად მოძრავი, სიცოცხლის მოყვარული და
 ენერგიით აღსავსე გამოიყურებოდა, წინა დღით ჩამოსული-
 ყო ესპანეთში მოგზაურობიდან და გატაცებით გვიზიარებდა
 ესპანურ შთაბეჭდილებებს. იგი გაუთხოვარი გახლდათ და მა-
 რტო ცხოვრობდა. მისი დიდი მეცნიერული დამსახურება ინ-
 გლისის დედოფალმა „სეფექალის“ (Dame) საპატიო ტიტუ-
 ლის მინიჭებითა და ბრიტანეთის საიმპერიო ორდენით აღნი-
 შნა...

პროფესორმა ქალმა გოგოლის სურათის გადაღების ნება

თუ დამრთო (ვინც კერძო კოლექტიონერის ბუნებას ასე თუ ისე იცნობს, ის კარგად გაიგებს ამის მიზეზს!), თუ გამოვიყენოთ ზე კი დავიყოლიე, მის შესახებ შეგიძლიათ თქვენთან დაწეროთო!

კემბრიჯში, პროფესორ ელიზაბეტ ჰილის კერძო კოლექტი დაცული ნატურიდან შესრულებული ახალგაზრდა ნიკოლოზ გოგოლის მეტად საინტერესო აღრინდელი უცნობი პორტრეტის შესახებ პირველად ცნობა გაზეთ „კომუნისტში“ გამოვაჭვეუნე 1981 წლის ნოემბერში, რომელიც შევიტანე ახლახან გამოცემულ წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (თბ., 1984, გვ. 438-439). მაგრამ თვითონ პორტრეტის ფოტორეპროდუქციის გადაღების ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა და ინგლისში წლევანდელი მივლინება მსურდა ამ მიზნითაც გამომეყენებინა...

ლონდონში ჩასვლის პირველ დღიდანვე (8 აპრილიდან) კემბრიჯში რამდენიმეჭერ დავრეკე ელიზაბეტ ჰილთან, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. გამოგიტყდებით და, სულო ცოდვილო, გუნებაში ისიც კი გავითიქრე, ეს ოთხმოც წელს გადაცილებული ქალი შეიძლება სულაც უკვე სამუდამოდ გამოვეთხოვა-მეთქი...

ამასობაში სამუშაოდ ოქსფორდში გადავედი და 13 აპრილს ერთხელ კიდევ ვცადე კემბრიჯში დარეკვა.

უცებ, სრულიად მოულოდნელად, ყურმილში ძველი ნაცნობი ხმა მომესმა, ისევ ისეთი ახალგაზრდული, ენერგიული და სასიამოვნო ტემბრის ხმა ასაკოვანი მანდილოსნისა.

მოვიკითხე და ჩემი ვინაობა მოვაგონე. მან მაშინვე მიცნო და მშვენიერი პეტერბურგული რუსულით (იგი პეტერბურგშია დაბადებული, დედით რუსი და მამით ინგლისელი გახლავთ!) მკითხა, ჩვენთან როდის ჩამობრძანდით და კიდევ რამდენ ხანს დარჩებითო.

მე მოვახსენე ჩემი სამივლინებო ვადების შესახებ და თან ისიც დავსძინე, თქვენი ნებართვით ჩვენს პრესაში გოგოლის პორტრეტის შესახებ დავწერე და წიგნშიც შევიტანე, რამაც მკითხველთა და სპეციალისტთა დაინტერესება გამოიწვია და იქნებ ახლა მაინც გადამაღებინოთ იგი მეთქი.

— თქვენი წიგნი თან გაქვთო? — გამომცდელად მკითხა პროფესორმა.

ჩემგან რომ დადებით პასუხი მიიღო, — სიამოვნებით მოულოდნელად დამეთანხმა კემბრიჯელი მასპინძელოფული თღონდ როდის ჩამობრძანდებითო?

— ჭერ კიდევ ლონდონიდან რამდენჯერმე ვცადე ტელე-ფონით დაკავშირება, რათა თქვენთან ჩამოვსულიყავი, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა, სად ბრძანდებოდით, თავს კარგად ხომ გრძნობთ-მეთქი.

პასუხად ისეთი რამ მოვისმინე, კარგა ხანს ჩემს ყურებს არ ვუჭერებდი და გაშტერებული ვიდექ ტელეფონთან:

— ეს რომ მცოდნოდა რამდენიმე დღის უკან ლონდონში ბრძანდებოდით, აუცილებლად მოგიპატიუებდით ჩემს ქორწილში, ეს-ესაა ლონდონში რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჭვარი დავიწერე. ჩემი მეუღლე ეროვნებით სერბი გახლავს. სწორედ ახლახან დაებრუნდით ლონდონიდან, ბარგს ვალაგებთ ჩემოდნებში და ხვალ საქორწინო მოგზაურობაში ესპანეთს მივემგზავრებით და სააღდგომო არდადეგებსაც იქ გავატარებთო!

83 წლის ინგლისელ პატარძალს გაბედნიერება მივულოდე, ოღონდ სიძის ასაკი ვერ დავადგინე (შეკითხვაც ვერ ვადრე!).

ელიზაბეტ ჰილმა მადლობა გადამიხადა და ამიხსნა, რომ უსაზღვროდ ბედნიერია, მოსწყინდა 80 წელს წიგნებში ქექვა და მარტო ყოფნა, ბოლოსდაბოლოს, წინ ხომ სიბერე მელისო (თურმე, სიბერე ჭერ კიდევ წინაა!), და მიხარია, რომ მოხუცებულობაში (ესეც თურმე წინა აქვს!) ცალად აღარ ვიქნებიო! ესპანეთში საქორწინო მოგზაურობიდან კემბრიჯში 8 მაისს დაებრუნდებით და მოუთმენლად დაველოდებით თქვენთან შეხვედრასო!

ამის პასუხად რომ გაიგო მივლინება 22 პრილს მითავდებოდა და სამშობლოში უნდა დაებრუნდე-მეთქი, საშინლად შეწუხლა: კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი, რატომ ჩქარობთ, ერთ თვეს კიდევ დარჩით ჩვენთან, ნუთუ ინგლისში ვერაფერი საინტერესო ვერ ნახეთ, რომ 8 მაისამდე გასძლოთო?

მეტისმეტი დაკავებულობის მიზეზით საბოლოოდ რომ დარწმუნდა 8 მაისამდე ინგლისში ვერ დავრჩებოდი, ელიზაბეტ ჰილს შევთავაზე, — იქნებ ჩემი სახელით საბჭოთა კორესპონდენტი იური კობალაძე მიიღოთ ესპანეთიდან დაბრუნე-

ბის შემდეგ და მას გადააღებინოთ გოგოლის პორტრეტი-მე-
თქი!

კი, ბატონო, — მითხრა მან, მაგრამ სამწუხაროდან დაუყ-
რო ზრდილობის გულისთვის ნათქვამი პირობა აღმოჩნდა!

შემდეგში იური კობალაძემ ლონდონიდან ტელეფონით
მაცნობა, რომ ელიზაბეტ ჰილმა ახლოსაც არ გამიკარაო. გო-
გოლის იტალიური პორტრეტი კვლავ უცნობად დარჩა კემ-
ბრიჯში!

გრიგოლ ორბელიანის პორტრეტი იასცორდუ

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის უო-
რდროპთა ფონდში ჩემი ყურადღება მიიჩვია მდიდარმა ფო-
ტორკოლექციამ, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს XIX
საუკუნის საქართველოს ფოტოგალერეა. აქ წარმოდგენილია
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკო-
ლაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი, დიმიტრი ყიფი-
ანი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ვახტანგ ორბე-
ლიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, მამია გუ-
რიელი, დავით სარაჯიშვილი, რაფიელ ერისთავი, ბარბარე
ჭორვაძე, მარიამ დემურია, განდეგილი, ოლღა ჭავჭავაძე, ტა-
სო მაჩაბელი შეილებთან (ნიკუშა, ელენე) და თავის დასთან
ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილთან ერთად, ილია და ანეტა
ჭყონიები, ელენე თარხნიშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წე-
რეთლისა, ნინო ორბელიანი, ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვი-
ლისა, ნინო გურიელი, ვენერა ბერიძე, თიკო მაყაშვილი, პა-
ტარა ელენე როსტომაშვილი, თამარ წერეთელი, გარლამ ჩე-
რქეზიშვილი, ანდრია ერისთავი, ვასილ კარბელაშვილი, ქარ-
თველი გენერლები ივანე გივის ძე ამილახვარი და მაყაშვი-
ლი...

არაფერს ვამბობ როინაშვილის, ერმაკოვის და თვით
უორცროპების მიერ გადაღებულ იმდროინდელ საქართველოს
ხედებსა და ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებზე
/თბილისი, მცხეთა, ვარძია, აწყური, შემოქმედი, ბათუმი,
ახალციხე, დარიალი, კავკასიონის მთები, მლეთა, ფასანაუ-
რი, გერგეტის სამება, ქუთაისი, ალავერდი, ახალი შუამთა,
საგანე, ნიგოითი.../, იგრეთვე, ძველი ქართული მოხატული
ხელნაწერებისა და ოქრომჭედლობის /მათ შორის, ორი
ლვთისმშობლის ხატია — ერთი ზარზმისა, — ლაკლაკისძეების
მიერ შეწირული, მეორე — ალავერდისა, — ორიგე დღეს სა-
ქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული/ ნიმუშთა რე-
პროდუქციებზე, რომლებიც აქეთა დაკოლი... ამაუე კოლექ-

ციაში ვხვდებით საქართველოს ისტორიულ პირთა /წმ. ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, წმ. მოწამენი — ლუარსაბ და არჩილი, თეიმურაზ II, ერევლე 11, გიორგი XII, ქეთევან წამებული, დარეჯან დედოფალი, მარიამ დედოფალი, ალექსანდრე, იულინ, ფარნაოზ, ვახტანგ, ბაგრატი, იოანე, დავით ბატონიშვილები... /ფოტოპოპორტრეტებს, ქართველ თავადს, ჩაქურაში გამოწყობილ გურულებს, ქართველ მოჭიდავეებს, ძველ თბილისელ მომლერლებს /დუღუძურნაზე დამკვრელებს/, ძველი თბილისის აბანოებს, სცენებს ქართული სპექტაკლიდან — ვალერიან გუნიას „და-ძმა“ /ლადო მესხიშვილის, ვიქტორ გამყრელიძისა და ბაბო ავალიშვილის მონაწილეობით/. ყველა მათგანის ფოტოასლი საქართველოში ჩამოვიტანე.

მათ შორის მაინც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გრიგოლ ორბელიანის უცნობი ფოტოპორტრეტი /დედანი/, რომლის მსგავსი დღემდე არსებულ პუბლიკაციებსა თუ ჩვენთვის ცნობილ არქივებში არ შეგვხედრია /ასეთივეა გრიგოლ ორბელიანის ცნობილი მქოლევარის აკაკი გაწერელიას და სხვა სპეციალისტთა ერთსულოვანი დასკვნაც, კისაც კი ეს პორტრეტი გავაცანი!.

მასზე გამოსახულია ცხოვრების დაისს მიახლოებული მოხუცი მგოსანი, რომელიც იმავ დროს სახელგანთქმული გენერალი და კავკასიის ომის გმირი იყო. სურათიდან დარბაის-ლურად შემოგვცემის დიდგვაროვანი ქართველი, რომელსაც კარგა ხნის გადახდილი აქვს შამილთან მძიმე ბრძოლები და ამასთან, კავკასიის მეფისნაცვლის მუნდირიც აქვს მონარები, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ამ დროის თვის ქართული პოეზია უკვე გამდიდრებულია მისი ისეთი უძრინობი პოეტური შედევრებით, როგორიცაა „ეკატერინა ჭავჭავაძისას“, „მუხამბაზი“, „იარალის“, „ჩემს დას ეფემიას“, „საღამო გამოსალმებისა“, „მუშა ბოჭულაძე“, „სადლეგრძელო“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“... გაივლის სულ ცოტა ხანი ამ პორტრეტის გადაღებიდან და თავად სიკვდილს მიახლოებული ქართული სილამაზის მაღმერთებელი დიდი პოეტი ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო ერთ ლირსეულ ქართველ მანდილოსანს მისწერს: „ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!“...

ქართველები და ქართველობობები ინგლისი

ქართველოლოგის პიონერად ინგლისში აღიარებულია სოლომონ სიზარ მალანი (1812-1894) — წარმოშობით შეეიკარიელი პასტორის ვაჟი, შემდგომ ოქსფორდში მოღვაწე მეცნიერი, პოლიგლოტი და ლეთისმეტაგენი. მან 1866 წელს ოქს-

ფორდში გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“, ხოლო 1867 წელს გაბრიელ ეჭისკავშირის მის (ქიქოძის) „ქადაგებათა“ ინგლისური თარგმანი. 1872 წლის მაისში მალანი საქართველოში ჩამოსულა, ყოფილა სოხუმში, ქუთაისისა და თბილისში, კერძოდ, გელათში, გაბრიელ ქიქოძესთან სტუმრობისას, წირვა და ქადაგებაც კი ქართულ ენაზე ჩაუტარებია...

სოლომონ სიზარ მალანის შესახებ უწერიათ დ. ლანგს (მისი შრომის ქართული თარგმანი დაბეჭდა აღ. გამყრელიძემ), ლ. თაქთაშვილ-ურუშაძეს, მ. სურგულაძეს, ა. ცამციშვილს, ლ. მენაბდეს, ამ სტრიქონების ავტორს... მაგრამ ჩვენში დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი იყო ლონდონში 1897 წელს გამოცემული მალანის ვაუის — არტურ ნოელ მალანის მონოგრაფია „სოლომონ სიზარ მალანი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომელსაც გავიცანით ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

ეს 423-გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომი საუკეთესო ძეგლია შვილის მიერ მამის ხსოვნისა და მოღვაწეობისადმი დადგმულ ძეგლთა შორის! მე ასეთად კიდევ მხოლოდ ლორან ბროსე მაგონდება, რომელმაც 1887 წელს პეტერბურგში ფრანგულ ენაზე დასტამბა თავისი სახელოვანი მამის — ეპროპული ქართველოლოგის მამამთავრის აკადემიკოს მარი ბროსეს ნაშრომთა „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელშიც გასაოცარი სიზუსტით და სისრულით აღნუსხულია დიდი ფრანგი ქართველოლოგის მიერ განკლილი მდიდარი ცხოვრების გზა და მის მიერ დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა.

არტურ ნოელ მალანის ამ წიგნში მამამისის საქართველოში 1872 წელს მოგზაურობა და მისი ქართველოლოგიური ღვაწლი აღწერილია 255-276 გვერდებზე. ამავე წიგნში მას დაბეჭდილი აქვს სოლომონ სიზარ მალანის ორი ფოტოსურათი, რომელთაც ჩვენში პირველად გაქვეყნებთ.

* * *

ინგლისურ ქართველოლოგიას საკმაო სამსახური გაუწია ამ საუკუნის I ნახევარში ინგლისში მოღვაწე ჩაენმა თანამემამულემ, ამ განსვენებულმა ეპარტერინე ჩერქეზიშვილმა, რომელიც იქ ეკა ჩერქეზის სახელითაა ცნობილი.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ეკა ჩერქეზის მიერ დიდი შრომითა და რუდუნებით 1923 წელს შედგენილი „მარჯორი უორდროპის კოლექციის კატალოგი“, რომელიც მანქანაზე გადაბეჭდილ 525-ფურცლიან ორ ტომს შეადგენს და ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაშიც დაკული. დიდხანს, აგერ

1973 წლამდე, — დევიდ ბარეტის ცნობილი ქატალოგის გამოქვეყნებამდე, — იგი უორდროპთა ვრცელი ფონდის ურთაჭრებულ გზამქველევს წარმოადგენდა, ხოლო ზოგიერთი პირველსარისხოვანი ცნობის წყალობით, დღესაც გვერდაუკლელი წყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ინგლისელ ქართველოლოგებს ასევე დიდი სარგებლობა მოუტანა ეკა ჩერქეზის მიერ შედგენილმა „ქართულ-ინგლისურმა ლექსიკონმა“, რომელიც 1950 წელს დაიბეჭდა ოქსფორდში.

ამ დღეებში თბილისელმა ინჟინერმა ოთარ მორბედაძემ გამომიგზავნა ეკა ჩერქეზის ახალგაზრდობისუროინდელი ორი ფოტოპორტრეტი, რომელთაგან ერთს აქ ვათავსებთ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა გიორგი მაყაშვილმა კი მომაწოდა ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობა ეკა ჩერქეზის შესახებ, რომელიც მას ახლო ნათესავად მოხვდებოდა ბების მხრიდან.

„ეკა ჩერქეზი დაიბადა 1900 წელს, თბილისში. მამამისი ესტატე ჩერქეზიშვილი სამხედრო პირი იყო, ხოლო დედა წლების განმავლობაში თბილისის წმ. ნინოს სასწავლებლის გამგედ მუშაობდა.

ეკამ დაამთავრა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, სადაც ჩინებულად შეისწავლა ფრანგული და გერმანული ენები, ხოლო შემდეგ ცნობილი უურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეუღლემ — ფრიდა ჩერქეზიშვილმა, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ინგლისიდან და ბინად ეკა ჩერქეზიშვილთან ჩერდებოდა, შეასწავლა ინგლისური ენა.

1919 წლიდან ეკა ჩერქეზიშვილი მუშაობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანაშემწედ. იგი ძირითად უკხოური ლიტერატურის დამუშავების გაწევით.

1922 წელს ეკა ჩერქეზიშვილი მიემგზავრება ინგლისში საბიბლიოთეკო საქმის შესასწავლად.

თბილისის უნივერსიტეტის არქივში ინახება 1922 წლის 22 მარტით დათარიღებული ასეთი დოკუმენტი: „ეკატერინე ჩერქეზიშვილის ქალმა, რომელიც ინგლისში მიდის სპეციალურად საბიბლიოთეკო საქმის შესასწავლად და რომელსაც საქართველოს საზოგრაფიდან გასვლის პირობების გართულების გამო შეიძლება ბათომიდან აეკრძალოს გასვლა და ის საქართველოში დარჩეს, სთხოვა საბიბლიოთეკო კომისიას, რომ ასეთი შემთხვევისათვის მას ადგილი შეენახოს ბიბლიოთეკაში.“

საბიბლიოთეკო კომისიამ განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა იშუამდგომლოს უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე, რათა ეკატერინე ჩერქეზიშვილის ქალს სარგო და თანამდებობა შეენახოს ბიბლიოთეკაში ფაქტორად მუშაობის შეწყვეტის დღიდან ორი თვის განმავლობაში“.

1922 წელს ეპ. ჩერქეზიშვილი უკავ ინგლისშია და ვარ-
ლამ ჩერქეზიშვილის დახმარებით მუშაობას იწყებს ბრიტან-
თის მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბი-
ბლიოთეკებში.

1928 წლიდან იგი „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“-ს
შედგენაზე მუშაობს. ეს შრომა დამთავრებული იქნა 1939.
წელს, მაგრამ მის გამოცემას ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომშა. ლექსიკონი გამოცემული იქნა მხოლოდ 1950 წელს. 1937 წელს ლექსიკონი განხილული და შემოწმებული
იქნა ზურაბ ივალიშვილისა და რევაზ გაბაშვილის მიერ, ხოლო მისი საბოლოო რედაქცია ოლივერ უორდორმს ეკუთვნის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკა ჩერქეზი გაემგზავრა
საბერძნეთში — მას შემდეგ არავითარი ცნობა მის შესახებ
აღარ არსებობს. ნათესავები ვარაუდობენ, რომ საბერძნეთში
მისვლამდე ის დაიღუპა გემით მგზავრობისას.

* * *

ლონდონში ყოფნისას, სამწუხაროდ, ერ შევხედი ჩვენს
თანამემამულეს, პიანისტ ალისა კეჭერაძეს, რომელიც თანამე-
დროვეობის გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლის, იუგო-
ლაველი პიანისტის ივო პოგორელიჩის მეუღლეა და ამჟამად
ორივენი ინგლისში ცხოვრობენ, მაგრამ ჩემი იქ ჩასვლისას
ისინი გასტროლებზე იყვნენ იტალიაში მიწვეულინი.

ალისა კეჭერაძე გახლავთ ქართული კალტურის უანგარო
მსახურის, ორმოცი წლის მანძილზე აკაკი წერეთლის
სხვიტორის სახლ-მუზეუმის დირექტორის, ნიკოლოზ კე-
ჭერაძის ერთადერთი ასული, ხოლო მისი დედა — ლუსია
კეჭერაძე, — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებე-
ლი, — უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტი თბილისის № 6
მუსიკალური სკოლის ფორტეპიანოს კლასის წამყვანი პედა-
გოგი იყო და ისიც გარდაიცვალა. ალისამ თბილისის სახელ-
მწიფო კონსერვატორის დამთავრების შემდეგ, პროფესორ
გურევიჩის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი
და პედაგოგიურ საქმიანობას მიპყო ხელი მოსკოვში. აქ იგი
1980 წელს ცოლად გაპყვა ივო პოგორელიჩს, რომელიც მა-
შინ მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდა. ახლად შეულ-
ლებული ცოლ-ქმარი თავდაპირველად ცხოვრობდნენ იუგო-
სლავიაში, ქალაქ დუბროვნიკში, ხოლო ამჟამად, როგორც
ვთქვით, მათ ლონდონში დაიდეს ბინა, ზაფხულს კი დუბრო-
ვნიკში ატარებენ.

ივო პოგორელიჩი მსოფლიოში სახელგანთქმული პიანის-
ტია და ფართო საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეო-
ბას ეწევა დასავლეთ ევროპის, აზიისა და ამერიკის შეეყნებ-

ში. ტრიუმფით ჩაიარა მისმა გასტროლებმა სატრანგეთში, გე-
რმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, პოლონეთში და რუსეთში
ჩაიში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში..., და ოა-
თქმა უნდა, აღარაფერს ვამბობთ ინგლისზე, სადაც იგი ხში-
რად მართავს სოლო კონცერტებს. როგორც პრესაში გამოივე-
ყნებული მასალები მოწმობს, ივო პოგორელიჩი ყველგან
ხმამალლა აცხადებს, რომ მისი მასწავლებელი და ყველაზე
დიდი შთამაგონებელი არის ქართველი ქალი ალისა კეშერაძე

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ივო პოგორელი-
ჩის მიერ პარიზში გამართული კონცერტი, რომლის პროგრა-
მაში შედიოდა რაველისა და პროკოფიევის ნაწარმოებები.
კონცერტს დაესწრო სერგეი პროკოფიევის ქვრივი ლინა პრო-
კოფიევა, წარმოშობით ესპანელი ქალი, რომელიც ახლა პა-
რიზში ცხოვრობს. კონცერტის დამთავრების შემდეგ თავისი
ილტაცების გასაზიარებლად ახალგაზრდა სახელოვან პიანისტს
კულისებში ეწვია ლინა პროკოფიევა, რომელმაც მას განუცხა-
და: „ჩემს ქმარს მაინცდამაიც არ უყვარდა რაგილი, მას უფრო
დებიუსი მოსწონდა, მაგრამ დღეს მას თქვენთვის რომ მოეს-
მინა, დარწმუნებული ვარ, თავის შეხედულებას რაგულზე შეი-
ცვლიდა“, ხოლო პროკოფიევის მე-6 სონატის შესრულების
გამო აღთქმოვანებით უთქვამს: „ასეთი მგრძნობელობით,
ასეთი სიმართლით ჩემი მეულის ეს სონატა დღემდე არავის
დაუკრავსო“ (იხ. „კლასიკი აკვინტე“). პარიზში პრესის
„პარი-მატჩი“, „ლე მონდ დე ლა მუზიკ“, ფრანსეს-უარ“...)
აღიარებით, ივო პოგორელიჩი „ფრარტეპიანოს ახალი ერთად-
ერთი გენიოსია“, ხოლო ვარშავაში გამართული კონცერტის
დროს პოლონეურ პრესაში გაჩნდა სტატიები სათაურით: „კო-
ნცერტი მილიციის დაცვით“... თანამედროვეობის უდიდესმა
დირიჟორმა პერბერტ ფონ კარიაინმა ივო პოგორელის შეს-
თავაზა ზალცბურგის ფისტივალში მონაწილეობა, თანაც ასე-
თი პირობის დადებით: მართალია, ტრადიციულად ზალცბურ-
გის ფესტივალს სიმფონიური კონცერტით ეხსნით, მაგრამ
თქვენი გულისთვის დავუშეებთ გამონაკლის და პირველ დღეს
თქვენს საფორტეპიანო გამოსვლას დაგუთმობთო...“

ალისა კეშერაძე თავის მხრივ აგრძელებს საკონცერტო-პე-
დაგოგიურ საქმიანობას და ხშირად იწვევენ საერთაშორისო
კონკურსების ეიურში მონაწილეობის მისაღებად, კურძოდ,
ჩემი ინგლისში ყოფნის დღეებში, როგორც კონკურსით, მიწვეუ-
ლი იყო იტალიის ქალაქ ტერინში, კაზი-გრანდის კონკურსის
ეიურის წევრად.

სულ ახლანან ალისა კეშერაძეს და მის მეულლეს შოტ-
ლანდიაში შეუძენიათ საკუთარი სასახლე, რომელიც XIX სა-
უკუნის დასაწყისშია აგებული „ბრიტანეთის მუზეუმის“ ავ-
ტორის მიერ და არქიტექტურის გამორჩეულ ძეგლად ითვ-
ლება...



ლონდონში მოღვაწეობს აგრეთვე მეორე ჩეგნი თუ აშენებული მულე რამაზ ქლიმიაშვილი. იგი საბჭოთა მოქალაქეა, სოციო-ლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის ქურსი პროფ. მ. გეგეშიძის ხელმძღვანელობით, ხოლო მისი სადისერტაციო ნაშრომი „ქალაქ თბილისის დემოგრაფიული პროცესების სოციალური ფაქტორები“, თბილისში კალაკ წიგნად 1974 წელს გამოსცა „მეცნიერებამ“. რამაზ ქლიმიაშვილის მეულება უკინეთში დაბადებული და ოზრდილი ჩეგნში კარგად ცნობილი მწერალი და ეთნოგრაფი ქალი თამარ დრაგაძე, რომელთანაც ჰყავს ორი მცირეწლოვანი ქალ-გაუი — დავითი და ანა!

რამაზ ქლიმიაშვილი ამჟამად ერთდროულად მუშაობს ლონდონსა და ბირმინგემში (ადრე ოქსფორდშიც მუშაობდა), გახლავთ ეროვნულ უმცირესობათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო თამარ დრაგაძე იუნესკოს მუშავიდა კურიორებს ფილიპინების, კენიისა და მექსიკის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას. თამარი ახალდაბრუნებული იყო ფილიპინებში სამივლინებო მოგზაურობიდან. იგი სულ მალე ოქსფორდში დაიკავას საკანდიდატო დისტრიციას ეთნოგრაფიაში, რომელშიც გამოყენებულია ქართული, განსაკუთრებით რაჭული მასალები.

ქლიმიაშვილებმა ლონდონში, თავიანთ საკუთარ სახლში მიმიპარიქეს. თავაზიან მასპინძლებთან ერთად აქ დამხვდა პარიზიდან სტუმრად ჩამოსული ქართველი ქალი, მხატვარი-გრაფიკოსი ირინე ტარასაშვილი. იგი ჩეგნი ცნობილი მთარგმნელის სერგი წულაძის დისტული გახლავთ, ქმარი ჰოლანდიელი ჰყავს, ისიც მხატვარია და კენგრობენ პარიზში, ჰყავთ ორი ვაჟიშვილი. ირინე ახალი ნამყოფია საქართველოში და გატაცებით მიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სამშობლოზე, მიამბობს დედულეთში — ქურიაში გატარებულ დაუვიწყარ დღეებზე, მშვენიერად ლაპარაკობს ქართულად: — შვილებსაც ხომ ასწავლით ქართულს-მეთქი? — გითხე.

— შვილებსაც და ქმარსაცო, — სიამაყით მიპასუხა პარიზელმა ქართველმა ქალმა!

...ვისხედით ლონდონის ერთ მყუდრო სახლში ოთხი ქართველი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კიდევ ორ ქართველს, რამაზ ქლიმიაშვილის პატარა ქალ-გაუს, — დავით და ანა გლიმიაშვილებს, რომელთა დაწომა არც ისე ადვილი საქმე იყო!) კედლებზე თვალს ჩავლებდი რამაზის დედის — საქართველოს დამსახურებული მხატვრის თელი ლიბრაძის მშვენი-280

ერ ფერწერულ ტილოებს და თაროებზე დაწყობილ უამრავ
ქართულ წიგნს მეუღლეთა მიერ წლების შანძილზე მშეგნებლა-
ვებულს შესანიშნავი ბიბლიოთეკიდან, გარშემო მესმოდუშიც
თული საუბარი, შეზავებული ირინე ტარასაშვილისა და თამარ
დრაგაძის ოდნავ შესამჩნევი პარიზულ-ლონდონური აქცენ-
ტით და ზოგჯერ წამით მავიწყდებოდა, დიდი ბრიტანეთის დე-
დაქალაქში ვიმყოფებოდი თუ ჩვენს მშობლიურ თბილისში...

* * *

ლონდონთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ პარლოუ-
დან დიდი ხანი არ არის, რაც ოქსფორდში გადავიდნენ საკხო-
ვრებლად ახალგაზრდა ინგლისელი ქართველოლოგი, მარჯო-
რი უორდრობის სახელობის სტიპენდიანტი სტივენ ჭოუნისი
და მისი მეუღლე, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავ-
რებული მარინე მახარობლიშვილი, რომელთა გერგერობით
ერთადერთ ვაჟს ქართველი პაპის საპატიოცემულოდ ავთანდი-
ლი ჰქვია, ხოლო მეორე სახელად კი ლოურენსი (ინგლისში, სა-
ერთოდ, ჩვეულებრივია ორმაგი სახელის ტარება!). ოქსფორდ-
ში ჩემს ჩასვლას დაემთხვა სიძე-ქალიშვილთან ავთანდილ მა-
ხარობლიშვილის თბილისიდან სტუმრობა. ბატონ ავთანდილ-
თან ოქსფორდში შეხვედრამ, რომელიც საქართველოს კუ-
რორტების საპროექტო ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანე-
ლია და თბილისიდანაც კარგად გიცნობდი მასაც და მის მეუ-
ღლეს — ბაბო დოლიძეს, თბილისის პირველი სამუსიკო სას-
წავლებლის პედაგოგს, ხოლო მისი ქალიშვილის — მარინე მა-
ხარობლიშვილის მიერ ოქსფორდში გაწეულმა ქართულმა
დიასახლისობამ და ინგლისელი სიძის — სტივენ ჭოუნის და-
რბაისლურმა ქართულმა სიტყვა-პასუხმა ისე მომხიბლა, რომ
გეოგრაფიული ორიენტაცია სულ დამაკარგვინა! სასტუმრო
ოთახში თვალსაჩინო ადგილზე იდგა დიმიტრი შოსტაკოვი-
ჩის მიერ მარინე მახარობლიშვილისთვის ნაჩუქარი საკუთა-
რი ფოტოპორტრეტი ავტოგრაფით „ძვირფას მარინე მახარობ-
ლიშვილს ჩემგან სახსოვრად. დ. შოსტაკოვიჩი“.

ამ ოქსფორდულ ინგლისურ-ქართულ ოჯახში ორი სასია-
მოვნო ამბავი მაკნობეს: მარინე მახარობლიშვილი ლონდო-
ნის კონსერვატორიის ასპირანტი გამხდარა ფორტეპიანოს გა-
ნხრით, ხოლო სტივენ ჭოუნის ლონდონის უნივერსიტეტში
მალე დაიცავს საკანციდატო დისერტაციას თემაზე: „ილია
ჭავჭავაძე და XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის ის-
ტორია“... ეს დაცვა ლონდონში უკვე წარმატებით შედგა).

მარინე მახარობლიშვილი პედაგოგიურ და, თუ შეიძლება
ითქვას, პატრიოტულ საქმიანობასაც ეწევა ოქსფორდში: იგი
ქართულ ენას ასწავლის (და საკმაო წარმატებითაც) ოქსფორ-

დის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის თანამშრომელს მაკლ დეილის, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ქართველოლოგი გახდეს, ხოლო ჩვენთვის ქარგად ცნობილში ღქსფორდში მოღვაწე ქართველოლოგმა დევიდ ბარეტმა სიამაყითა და სიხარულით მაცნობა (მიჩვენა კიდეც!), რომ იგი ინგლისურად თარგმნის დიდი ქართველი მეცნიერის აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკას“...

* * *

ინგლისში მოღვაწეობენ ქართველი საბჭოთა მოქალაქეები — თემურ ჩხიკვიშვილი და იური კობალაძე.

თემურ ჩხიკვიშვილი პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის უფროსი ვაჟია, რომელიც ლონდონში საბჭოთა საელჩოს ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელია. იური კობალაძე კი საბჭოთა რალიოს კორესპონდენტია ინგლისში და ორივე ქართველი ახალგაზრდა კაცი დამსახურებული აკტორიტეტით სარგებლობს იქაურ დიპლომატიურ და უურნალისტურ წრეებში. მათ დახმარებას და ქართველობას ყოველ ფეხის ნაბიჭე გვრძნობდი...

იური კობალაძეს ლონდონში საკურაო ბაზრობაზე, რომელიც აქ რეგულარულად იმართება, შეუძენია XVII საუკუნის ორი ფრანგული გრავიურა, რომლებზედაც გამოსახულია ძველი თბილისისა და გორის ხედები, კერძოდ, მეტები ნარიყალის მხრიდან და გორის ციხის მიღამოები, იგრეთვე, ერთი ძველი გერმანული გრავიურა ქართველთა ტიპებით. ამ უკანასკნელს მე ბუდაპეშტში, უნგრელი ქართველოლოგის პროფესორ ლაიოშ ტარდის კოლექციიდანაც ვიცნობდი და თავის დროს გამოქვეყნებული მაქვს გაზეთ „თბილისში“; რაც შეეხება თბილისის და გორის ფრანგულ გრავიურებს, იგი ჩვენში უცნობია და მათი აკტორი, გრავიურების აღრინდელი მეპატრონის ცნობით, თითქოს ყოფილა ფრანგი ქართველრაფი ილან მეინსონ მალე (Alain Manesson Mallet) (1630-1706), ინჟინერი, რომელიც წერდა მათემატიკასა და ფორტიფიკაციაზეც. 1683 წელს გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „სამყაროს აღწერა“ (Description de l'Univers). ის თურმე ძალიან ბევრს მოგზაურობდა და იმდენად, უმრავლესობა გრავიურებისა მის მიერ ყოფილა გაცეთებული. საჭიროა ამ შრომის დროულად მოძიება და მის შესახებ ცნობების დაზუსტება.

იური კობალაძე აპირებს, როგორც მან მითხრა, გორის ციხის ერთ-ერთი უძველესი გრავიურა გორის მუზეუმს უსასესოვროს, ხოლო რაც შეეხება თბილისის ასევე ძველ გრავიურას, იგი შეიძლება სპეციალისტებს გამოადგეს ჩვენი დედაქალაქის ძველი უბნების ამჟამად მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დროსაც.

ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა ქალმა „**კავკაციუმის ტერიტორიაზე მდგრადი განვითარებისას**“ და „**სიბრძნე-სიცრუისას**“ ინგლისურად მთარგმნელმა ქეთრინ ვივიენ-აშტონმა ჩემი ლონდონში ჩატვლა რომ გაიგო, მეორე დღესვე დამტკაშირდა უელსის დაბა პრესტენიდან ტელეფონით და ათი დღით ადრე ჩამომართვა პირობა, 19 აპრილს, ხუთშაბათს ჩემი სტუმარი იქნებით და ეს ერთი დღე მე უნდა დამითმოთო.

...დათქმულ დღეს, დილის 6 საათზე ლონდონიდან მანქანით გავედი და უელსისკენ ავილე გეზი ასეთი მარშრუტით: ლონდონი-რედინგი-სვინდონი-გლოსტერი-პერეფორდი-ლეომნისტერი-მორტიმერს-კროსი-პრესტენი.

ეს მშვენიერი ადგილები მანქანით 6 საათში გავიარე, გზა-დაგზა ეჩერდებოდი და რამდენიმე ლირსშესანიშნავი ადგილის გადალებაც მოვასწარი, მათ შორის გლოსტერის სახელგანთქმული კათედრალისა და შუალეზე უკვე უელსში, პრესტენის მაღლობზე ქეთრინ ვივიენ-აშტონის სახლში ვიყავი.

უელსი მთავრობიანია ინგლისის ვაკესთან შესარებით და საქართველოს ვეკვე, უფრო, ქართლის გორაკებს...

ჭიშკართან თავაზიანი მასპინძელი შესომეგება; ქეთრინის პირველი სიტყვებია ქართულად: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან, უელსში! აქვე დამხვდა ქეთრინის მეულლებატონი აშტონი, რომელსაც ადრე ვილსონის მთავრობაში ერთ-ერთი მინისტრის პოსტი ეკავა. მაშინ ცოლ-ქმარი ლონდონში ცხოვრობდნენ ქალიშვილებთან ერთად. ეს რამდენიმე წელია მათ დატოვეს ლონდონი (იქ მათი ერთი გაუთხოვარი ქალიშვილი დარჩა) და უელსის ამ უმშვენიერეს ადგილს დასახლდნენ. ქარგად მოვლილი ბალი, დიდი მწვანე ველი, აქვე გვერდით საკუთარი ტყე და მყურილ სახლი მუშაობისა და დასვენების შესანიშნავ პირობებს ქმნის.

ქეთრინმა შემიყვანა თავის სამუშაო კაბინეტში: საწერი მაგიდის თავზე ჰკიდია „ქართული ანბანი“, გვერდით კი მამია მალაზონიას „სიბრძნე-სიცრუისას“ ილუსტრაციების ციკლიდან ერთ-ერთი ორიგინალია გამოფენილი, რომელიც ინგლისელ ქალს ძალიან მოსწონს და უყვარს, კარადები გამოჭერილია ქართული წიგნებით; აქვა აწყვია ქეთრინ ვივიენის მიერ ქართულიდან ინგლისურად თარგმნილი „**ვეფხისტყაოსანი**“ (ლონდონი, 1982), „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ (ლონდონი, 1982), აგრეთვე, ფრანგული ენიდან ინგლისურად მის მიერვე, გადალებული კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია“ (პარიზი, 1983).

— ქალე სალიას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად არჩევის ამბავი რომ გავიგე, ჩვენთან დიდი თოვლი იყო და მოძრაობა თითქმის შეჩერებული,

მაგრამ იმ დიდ თოვლში ფეხით მაინც ჩავედით ფულსტერში, რომ ეს ფრიად სასიხარულო ამბავი მიმელოცა პარიზში მცხოვრები — ქართველოლოგისთვისო — სახეგაბრწყინიშეულა, მომითხოობდა ჩემი კეთილი მასპინძელი.

— ამჟამად რაზე მუშაობთ-მეტქი? — გაითხე მას.

— ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ინგლისელ ერს და სერთოდ, ინგლისურენოვან მკითხველს გავაცნო „ქართლის ცხოვრება“. უკვე ვთარგმნე კიდევ „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩემთვის ყველაზე მეტად საინტერესო ნაწილები: დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება დემეტრე მეფისა“ და სხვ.) და ბასილი ეზოსმოძღუარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. თარგმანები შევასრულე „ქართლის ცხოვრების“ აკად. ს. ყაუხებიშვილისეული გამოცემის (ტ. I, თბ., 1955, გვ. 318-364, 365-371; ტ. II, თბ., 1959, გვ. 115-150) მიხედვით. ოღონდ, სამწუხაროდ, აქაური გამომცემლები ვერ დავაინტერესე „ქართლის ცხოვრებით“, მათ არ იციან მისი მნიშვნელობა, აი, სულ სხვა იყო „ვითხისტყაოსანი“, თუნდაც „სიბრძნე-სიცრუისა“... იქნებ საქართველოში მაინც დაინტერესდნენ ჩემი თარგმანების გამოცემის ბეჭით, კერძოდ, თქვენი მეცნიერებათა აკადემია და მისი გამომცემლობა, ამით ხომ ჩვენ საერთო საქმეს გავაჭეოთ: ინგლისურენოვან სამყაროს გავაცნობთ ქართველი ერის უძველეს მატიანეს, რომლის მეცნიერული და საისტორიო ლირებანი ყოველგვარ ესეს გარეშე დგას!

იქნებ, მართლაც ყურად ვიღოთ ჩვენი ქულტურისათვის უანგაროდ დამშვრალი ინგლისელი ქალის, „მეორე მარჯორი უორდორპის“ — ქეთრინ კიკინ-აშტონის ეს გულმხურვალე თხოვნა!..

სამუშაო კაბინეტიდან სასტუმრო ოთახში გადავინაცელეთ. კუთხეში მდგარ პიანინოს თავზე ქართული სიმღერების ნოტები აწყვია, ხოლო კლავიშებს ზემოთ გადაშლილია ა. მშერლიძის „ქართული ხალხური ქალაქური სიმღერები“ (თბ., 1970). ქეთრინი პიანინოს მიუჯდა და ოთახში დაირჩა „სულიკო“, „ტურთავ, მოდი“, „თამარის დროშა გაშალეს“...

აქვე გაშლილ სუფრასთან მასპინძელმა ბატონმა აშტონმა ბოდიში მოიხადა, ქართული ლვინით ვერ გაგიმასპინძლდებით, ადრე ჩვენთან იყიდებოდა ქართული ლვინობები, სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს აღარ შემოაქვთ და ვერ ვშოულობთო...

ქეთრინ ვივიენმა დიდი სიყვარულით მოიკითხა მისი ქართველი კოლეგები და მუშაობაში ხელისშემწყობნი — ილექსანდრე ბარამიძე, სარგის ცაიშვილი, ლევან მენაბდე, ილგოზა ხინთიბიძე, სერგო სერგებრიაქოვი, მანანა გიგინეიშვილი, ციალა კარბელაშვილი, სერგი თურნავა, თამაზ ფოფხაძე, მა-



რიყა ოძელი... რომ გაიგო, ძლიერ გაეხარდა და მთხოვთ მიაწვდის
ლობა გადამეცა არჩილ სულაკაურისთვის, რომელმაც „შილშან“
შურზალ „მნათობში“ დაბეჭდა ქეთრინ ვიგიენ-აშტონის სა-
ყურადღებო წერილი თარგმნის ხელოვნებაზე.

კეთილმა მასპინძლებმა ეზოს ბოლომდე გამომაცილეს. ახ-
ლაც ყურში ჩამესმის ქეთრინის ტკბილი ქართულით გამომ-
შვილობება: ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე ჩვენთან, ინგ-
ლისში!

უკან გზაზე მარშრუტს გადავუხვიე და სტრატიგორდში გა-
მოვიარე: ვნახე შექსპირის სახლი და შექსპირის კინტრი, აგ-
რეთვე, შექსპირის თეატრი.

12 საათზე ლამით დავგზონდი ლონდონში. რამდენიმე
დღის შემდეგ კი უკვე სამშობლოში მოვიტრინავდი!..

ლონდონი — ოქსფორდი — თბილისი
1984-85 წ.

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

შესავალი	3
დაკარგული საუნჯე ანუ ერთი ჯერის თავგადასავალი	5
გურიაში ჩაწერილი ქართული ზღაპრები ოქსფორდიდან	24
მისტიფიკაცია თუ სინამდვილე? — შოთა რუსთაველის ეგრეთწოდებული არაბული ლექსების გამო	92
საბას ლექსიკონის იშვიათი ნუსხა ლონდონში	104
ივანე გავახიშვილის შრომის უცნობი ინგლისური თარგმანი	134
„ვეუზისტყაოსნის“ ჩეენში უცნობი ლექსიკონი	138
ილია ჭავჭავაძე იქსფორდში	139
§ 1. გაზეთი „ტაიმსი“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ	140
§ 2. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მარქორი უორდროპისეული გამოუქვეყნებელი ინგლისური თარგმანები	141
§ 3. ოლღა ჭავჭავაძის ორი უცნობი წერილი	143
მოგონებები ილიაზე	145
§ 1. ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი — რევაზ გაბაშვილი იგონებს	146
§ 2. ვლ. ახმეტელი, ილია ბრძენის გარშემო	149
§ 3. გიორგი ეურული, ილიასთან შორი-ახლოს დგომით	154
ზეობრივი გმირობის უკვდავი მაგალითი	204
„ვეუზისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფის უცნობი ნუსხა „ზატიკის“ 1738 წლის გამოცემაში	211
შელევრი კეთილშობილი ქვეყნის ნიუისა	219
„ელგუჯა“ და „ელისო“ ინგლისურად	239
ბაგრატიონთა სამი ასეული და უორდროპები	241
პირველი ქართველი მომღერალი ქალი იტალიაში	251
შეელი საქართველოს ცოცხალი ფრესკა	260
83 წლის პატარძალი და გოგოლის უცნობი პორტრეტი	271
გრიგოლ ორბეგლიანის პორტრეტი იქსფორდში	274
ქართველები და ქართველობოგები ინგლისში	275

რედაქტორი მზია ერისთავი
მხატვარი თამაზ შარიფაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლერი ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ეთერ ციხელაშვილი
კორექტორები: ელენე უვანია, ნუნუ მაზნიაშვილი
გამომშევები მერი წივწივაძე

ს. ბ. № 4638

გადაეცა წარმოებას 08.08.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად
14.01.86. უე 01513. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტური ვენა.
შეკვეთის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 15,12+
ჩაკვრა 1,47. პირ. საღ. გატ. 16,91. სააღრ.-საგამომც. თაბაზი
15,26. ტირაჟი 20.000. შეკვეთა № 2335.
ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. თბილისის
ი. ჭიდვავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი
№ 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе
Государственного комитета Грузинской ССР по делам
издательства, полиграфии и книжной торговли, пр.
Дружбы № 7.



ШАРАДЗЕ ГУРАМ СЕВЕРЬЯНОВИЧ

Солнце и любовь Грузии на острове
Альбиона (Очерки из английского дневника)
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1986



1025/4